უკანასკნელი დონი
P
SEP
ნაწილი პირველი

მარიო პიუზო

პროლოგი

ქუოგი, 1965

სანტადიოს ოჯახის წინააღმდეგ დასრულებული დიდი ომის შემდეგ ერთი წელიწადი გასულიყო, როდესაც ბზობას დონ დომენიკო კლერიკუციომ სანათესავოში ორი ჩვილის ნათლობის აღსანიშნავი ზეიმი გამართა და თავის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაც მიიღო. წვეულებაზე ამერიკის უდიდესი ოჯახების თავკაცები მიიპატიჟა, მათ შორის, ლას-ვეგასში სასტუმრო „ქსანადუს“ მფლობელი ალფრედ გრონეველტი და დევიდ რედფელო, რომელმაც აშშ-ში ვრცელი ნარკოიმპერია შექმნა. გარკვეულწილად, ორივე დონის პარტნიორი გახლდათ.

დონ კლერიკუციომ, ამჟამად ამერიკული მაფიის ყველაზე უფრო გავლენიანი ოჯახის უფროსმა, საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვა გადაწყვიტა, ცხადია - მხოლოდ ზედაპირულად. ახალი ხელის დარიგების დრო დადგა. აშკარა ძალაუფლება მეტისმეტად საშიში გახდა. თუმცა, თავის მხრივ, ძალაუფლების შეზღუდვაც საშიში იყო, ეს დიდი სიფრთხილითა და კეთილი ნების დემონსტრირებით უნდა განეხორციელებინა და თანაც, საკუთარ სამფლობელოში.

კლერიკუციოს მამული ქუოგში ფართობით ოც აკრს შეადგენდა, წითელი აგურის ათფუტიანი გალავნით იყო გარშემორტყმული და

მავთულხლართითა და ელექტროსენსორებით დაცული. დონის რეზიდენციის გარდა, მის ტერიტორიაზე მისი სამი ვაჟის სახლები და ოჯახის ერთგული მსახურების ოცი მომცრო საცხოვრებელი იყო განლაგებული.

სტუმრების მოსვლამდე დონი თავის ვაჟებთან ერთად სახლის უკან გაშენებულ ბაღში, რკინის თეთრ მაგიდასთან იჯდა. უფროსი, ჯორჯო, გამხდარი, წოწოლა ახალგაზრდა იყო, მკვეთრი შავი ულვაშით, ინგლისელ ჯენტლმენს წააგავდა და ამ მსგავსებას იმითაც უსვამდა ხაზს, რომ მუდამ საუკეთესო მკერავთან შეკერილი კოსტიუმი ეცვა. ოცდაშვიდი წლის იყო, პირქუში სახე და მწარე ენა ჰქონდა. დონმა ჯორჯოს აცნობა, რომ გზავნიდა სასწავლებლად უორტონის ბიზნესსკოლაში, სადაც კანონის დაურღვევლად ფულის მოპარვის ყველა ხრიკს შეასწავლიდნენ.

ჯორჯოს მამისათვის არაფერი უკითხავს. ეს ხელმწიფის ბრძანება იყო და არა სადისკუსიო შეთავაზება. მხოლოდ უხმოდ დაუქნია თავი.

დონმა ახლა დისშვილს, ჯოზეფ „პიპი“ დე-ლენას მიმართა, რომელიც საკუთარ შვილებზე არანაკლებად უყვარდა, რადგან სისხლით ნათესაობის გარდა (პიპი მისი გარდაცვლილი დის ერთადერთი ვაჟი იყო), დონი სწორედ მას უმადლოდა მრისხანე სანტადიოზე გამარჯვებას.

- ვეგასში გადახვალ და იქ იცხოვრებ, - უთხრა დონმა, - „ქსანადუში“ ჩვენს წილს მიხედავ. მას შემდეგ, რაც ჩვენი ოჯახი ძირითად საქმეს

ჩამოშორდება, აქ ბევრი არაფერი გექნება გასაკეთებელი. ასეა თუ ისე, შენ მაინც ჩვენს მთავარ დამრტყმელ ძალად დარჩები.

პიპის უკმაყოფილება შეატყო, ამიტომ საჭიროდ ჩათვალა მიზეზების დასახელება.

- შენი ცოლი ნელინი ჩვენი ოჯახის ატმოსფეროს ვერ შეეწყობა, ბრონქსის წრე მას თავისიანად არ მიიღებს, რადგან ის ჩვენგან მეტისმეტად განსხვავდება. ოჯახური ცხოვრება ჩვენგან მოშორებით უნდა მოიწყო, - ეს ყველაფერი კი მართალი იყო, მაგრამ დონს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ამოძრავებდა: პიპი ოჯახის მხედართმთავარი იყო და, თუკი დონის გარდაცვალების შემდეგაც ბრონქსის წრეში უწინდელ ძალაუფლებას შეინარჩუნებდა, დონის ვაჟები დაიჩაგრებოდნენ.

- დასავლეთში ჩემს ემისრად გნიშნავ, - განაგრძო დონმა, - იქ გამდიდრდები. გარდა ამისა, იქ მნიშვნელოვანი საქმე გექნება.

მან პიპის ლას-ვეგასში სახლის შესყიდვის აქტი გადასცა და თავის უმცროს ვაჟს, ოცდახუთი წლის ვინსენტს მიუბრუნდა. ის ყველაზე ტანდაბალი იყო, მაგრამ მკვრივი გახლდათ. ცოტას ლაპარაკობდა და ძალზე გულჩვილი იყო. დედისგან ყველა იტალიური ეროვნული კერძის მომზადება ისწავლა და დედის ნაადრევი გარდაცვალებაც სხვა შვილებზე მწარედ სწორედ მან განიცადა.

- შენი ბედის განსაზღვრას ვაპირებ, - გაუღიმა მამამ, - მინდა, სწორ გზაზე დაგაყენო. ნიუ-იორკში საუკეთესო რესტორანს გახსნი. ხარჯები ნუ შეგაშინებს. მინდა, ფრანგებს დაანახვო, რას ნიშნავს ნამდვილად

კარგი საჭმელი, - პიპისა და დანარჩენ ძმებს გაეცინათ, თვით ვინსენტსაც კი გაეღიმა. დონმაც ღიმილით განაგრძო: - ერთი წლით ევროპის საუკეთესო კულინარიულ სასწავლებელში გაგგზავნი.

- მაინც რა უნდა მასწავლონ იქ? - ჩაიბურტყუნა ვინსენტმა, თუმცა კმაყოფილება დაეტყო.

- შენი ნამცხვრები ჯერ კიდევ დასახვეწია, - მკაცრად უთხრა დონმა, - მაგრამ მთავარია, ამ ბიზნესის ფინანსური მხარე შეისწავლო. ვინ იცის, იქნებ ოდესმე რესტორნების ქსელიც გახსნა. ჯორჯო საჭირო თანხას გასესხებს.

ბოლოს დონი პიტის მიუბრუნდა. პიტი მისი მეორე და ყველაზე მხიარული შვილი გახლდათ. ძალზე ლაღი იყო, ოცდაექვსი წლის ასაკში პატარა ბიჭივით იქცეოდა, თუმცა დონი გრძნობდა, რომ ბუნებით სიცილიელ წინაპრებს ჰგავდა.

- პიტი, - მიმართა მას დონმა, - როცა პიპი დასავლეთში დამკვიდრდება, ბრონქსის წრეს სათავეში შენ ჩაუდგები. ჩვენი კლანისთვის ახალწვეულებს შენ მოამზადებ. გარდა ამისა, შენთვის დიდი სამშენებლო კომპანია შევისყიდე. ნიუ-იორკის ცათამბჯენებს გაარემონტებ, პოლიციის ყაზარმებს ააშენებ, ქალაქში ქუჩებს დააგებ. ეს საიმედო ბიზნესია და მინდა, ეს კომპანია ააყვავო. ის საშუალებას მოგცემს, შენი ჯარისკაცები ლეგალურად დაასაქმო და, ცხადია, ფულსაც მოგიტანს. თავიდან კომპანიის ახლანდელი მფლობელის მეთვალყურეობითსაცდელ პერიოდს გაივლი. ოღონდ გახსოვდეს, შენი უპირველესი მოვალეობა ჩვენი ოჯახისთვის კარგი ჯარისკაცების

პოვნა და გაწვრთნაა. [P SEP]

შემდეგ კვლავ ჯორჯოს მიუბრუნდა.[P SEP]

- ჯორჯო, შენ ჩემი მემკვიდრე იქნები. შენ და ვინი, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, აღარასოდეს მიიღებთ მონაწილეობას ოჯახის სახიფათო საქმიანობაში. ჩვენს მომავალზე უნდა ვიზრუნოთ. შენი შვილები, ჩემი სისხლი და ხორცი, და პატარა დანტე და კროჩიფიციო მაფიის საშიშ სამყაროში არ უნდა გაიზარდონ. უკვე საკმაოდ მდიდრები ვართ და ლუკმაპურის საშოვნელად რისკზე წასვლა აღარ გვჭირდება. დღეიდან ჩვენი ოჯახი სხვა ოჯახებს მხოლოდ ფინანსური რჩევებით დაეხმარება. მათ პოლიტიკურ მხარდაჭერას გავუწევთ, უთანხმოების შემთხვევაში, შევარიგებთ. მაგრამ ეს რომ შევძლოთ, ხელში კოზირები უნდა გვეჭიროს. ძლიერი ჯარი უნდა შევქმნათ. უნდა შეგვეძლოს იმათი სიმდიდრისა და უსაფრთხოების დაცვა, ვისი გულისთვისაც გავირჯებით. - ხანმოკლე დუმილის შემდეგ დონმა განაგრძო: - ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ ყველანი კანონიერ სამყაროს შევერწყმებით და შევძლებთ ჩვენი სიმდიდრით ლეგალურად ტკბობას. იმ ორ ბავშვს, ვისაც დღეს ვნათლავთ, არც ჩვენი ცოდვების გამეორება მოუწევთ, არც ჩვენსავით ფათერაკებში გაბმა.[P SEP]

- თუ ასეა, რაღაში გვჭირდება ბრონქსის ჯგუფის შენარჩუნება? - ჰკითხა ჯორჯომ.[P SEP]

- ყველანი ვიმედოვნებთ, ერთ მშვენიერ დღეს წმინდანებად რომ შეგვრაცხავენ, - უპასუხა დონმა, - მაგრამ წამებულის ხვედრი არც

ერთს არ გვხიბლავს, ასე არ არის?

ერთი საათის შემდეგ დონ კლერიკუციო თავისი სახლის აივნიდან ეზოში მიმდინარე ზეიმს გადაჰყურებდა.

დიდ ფართობზე გაჭიმული მოლი მაგიდებით იყო მოფენილი, რომლებსაც თავზე ფრთის ფორმის ქოლგები ედგა. სუფრებს ორასამდე სტუმარი უჯდა, რომელთა დიდ ნაწილს ბრონქსის ჯგუფის ჯარისკაცები შეადგენდნენ. ჩვეულებრივ, ბავშვების ნათლობა მათ ოჯახში ძალზე სასიხარულო მოვლენა იყო, მაგრამ ამჯერად მას დიდი ტკივილი ამძიმებდა.

სანტადიოზე გამარჯვება ოჯახს ძვირად დაუჯდა: დონმა თავისი უსაყვარლესი ვაჟი სილვიო დაკარგა, მისმა ქალიშვილმა, როუზ-მერიმ კი - ქმარი.

ახლა დონი თვალს ადევნებდა ხალხს, რომელიც გრძელი მაგიდების გარშემო შემომსხდარიყო, სადაც შავი ღვინით სავსე ბროლის დოქები იდგა, თეთრი ჯამებით - წვნიანი, სხვადასხვა რეცეპტით დამზადებული სპაგეტი, დიდ თეფშებზე თხლად დაჭრილი ათასგვარი ხორცეული და ყველი იყო დაწყობილი და ყველა სახისა და ზომის ხრაშუნა პური ელაგა. მასპინძელი სიამოვნებით უგდებდა ყურს მუსიკას, რომელსაც მოშორებით განთავსებული, მცირე ორკესტრი ასრულებდა.

პიკნიკის მაგიდების წრეში ცისფერ საბნებგადაფარებული ორი საბავშვო ეტლი დაინახა. პატარები ძალიან ყოჩაღად იქცეოდნენ: ნათლობისას ერთხელაც კი არ წამოუტირიათ. იქვე იყვნენ დედებიც -

როუზ-მერი და პიპის მეუღლე, ნელინ დე-ლენა. დონი ჩვილების უმანკო სახეებს აივნიდანაც კარგად არჩევდა. გრძნობდა პასუხისმგებლობას იმისთვის, რომ საკუთარი მომავლის უზრუნველსაყოფად ტანჯვის გამოვლა არ დასჭირვებოდათ. ყველაფერს იღონებდა საიმისოდ, რათა ეს ბავშვები საზოგადოების კანონიერი წევრები გამხდარიყვნენ. უკვირდა, სტუმრებიდან არავინ რომ არ აქცევდა ყურადღებას.

დაინახა ვინსენტი, რომელსაც საგანგებოდ ამ წვეულებისთვის ჰოთდოგების დახლი მოეწყო და ახლა ბავშვებს უმასპინძლდებოდა. ნიუ-იორკის ქუჩებზე დადგმულ ჰოთდოგის დახლებს ჰგავდა, ოღონდ ვინსენტის უფრო დიდი იყო, უფრო ხასხასა ქოლგა ჰქონდა და საკვებიც - უფრო ხარისხიანი. ვინსენტს ქათქათა წინსაფარი ეკეთა და ჰოთდოგებს არც მწნილს აკლებდა, არც მდოგვს, არც ალყა-ალყა დაჭრილ ხახვს და არც ცხელ საწებელს. თითოეულ ბავშვს ჰოთდოგის სანაცვლოდ მისთვის ლოყაზე უნდა ეკოცნა. მოუხეშავი გარეგნობის მიუხედავად, ვინსენტი დონის შვილებს შორის ყველაზე გულკეთილი იყო.

კეგლის მოედანზე პიტი პიპი დე-ლენას, ვირჯინიო ბალაცოსა და ალფრედ გრონეველტს ეთამაშებოდა. პიტის მუდამ ჯამბაზობის დაუოკებელი ჟინი სჭირდა, რაც დონს აღიზიანებდა; მისი ხუმრობა ყოველთვის ცუდად მთავრდებოდა. აი, ახლაც, პიტის გამო თამაში შეწყდა, რადგან ისე ძლიერ სტყროცნა, რომ ბურთი ნამსხვრევებად იქცა.

ვირჯინიო ბალაცო დონის მოადგილე იყო, კლერიკუციოს ოჯახში აღმასრულებელი ოფიცრის ფუნქციას ასრულებდა. ისიც საკმაოდ მხიარული კაცი გახლდათ და ახლა, ხუმრობით, პიტის გაეკიდა, რომელიც ხუმრობაში აჰყვა და თავქუდმოგლეჯილივით გაურბოდა. დონს ეს სანახაობა მწარე ირონიად ეჩვენა: მისი ვაჟი პიტი ხომ მკვლელად იყო დაბადებული, და არც ხალიანი ბალაცო ჩამორჩებოდა მსგავსი პირქუში რეპუტაციის მხრივ.

თუმცა მაინც, ვერც ერთი შეედრებოდა პიპის.

დონი ამჩნევდა, თითქმის ყველა ქალს პიპისკენ გაურბოდა თვალი. გამონაკლისს ახალგაზრდა დედები - როუზ-მერი და ნელინი შეადგენდნენ. პიპი ძალზე წარმოსადეგი მამაკაცი იყო, თავად დონივით მაღალი, კარგი აღნაგობის, გამოკვეთილი, მოხდენილი ნაკვთებით. მამაკაცებიც აკვირდებოდნენ, მათ შორის - მისი ჯარისკაცები ბრონქსის დაჯგუფებიდან. ყურადღებას იპყრობდა არა მარტო გარეგნობითა და მანერებით, არამედ იმ მოარული ხმებითაც, რომლებიც მისი, როგორც „ეროს“, „საუკეთესო პროფესიონალის“ შესახებ დადიოდა.

ამერიკის ყველაზე გავლენიანი ნარკოდილერი, ახალგაზრდა და ლოყებღაჟღაჟა დევიდ რედფელო ეტლებში მყოფ ჩვილებსლოყებზე ჩქმეტდა. ამ უცნაური თამაშის შემყურე, ჩვეულებისამებრ კოსტიუმში გამოწყობილი და ჰალსტუხით მკერდდამშვენებული ალფრედ გრონეველტი, ცოტა არ იყოს, უხერხულობას გრძნობდა. ის დონის თანატოლი იყო, სამოცს მიაღწია.

დონ კლერიკუციოს იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა ამ ადამიანების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლას.

ჯორჯო აივანზე ამოვიდა და მამა იმ დღისთვის დანიშნულ პირველ თათბირზე მიიწვია. მაფიის ათი თავკაცი სახლის საგანგებო ოთახში შეკრებილიყო. ჯორჯომ მათ მოკლედ გააცნო დონის გადაწყვეტილება. ბავშვების ნათლობა მსგავსი შეკრებისთვის შესანიშნავი საბურველი იყო, მაგრამ უმრავლესობას კლერიკუციოს ოჯახთან ბევრი არაფერი აკავშირებდა, ამიტომ ყველას ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა თათბირი და დაიშლებოდნენ.

კლერიკუციოს კაბინეტი მძიმე ავეჯით გაწყობილი და სასმელების ბარით აღჭურვილი უფანჯრებო ოთახი იყო. მუქი მარმარილოს დიდი სათათბირო მაგიდის გარშემო შეკრებილ ათივე მამაკაცს პირქუში გამომეტყველება ჰქონდა. ყველანი დონ კლერიკუციოს მიესალმნენ და მისი სათქმელის მოსასმენად მოემზადნენ.

დონ კლერიკუციომ შეკრებაზე დასასწრებად თავისი ვაჟები - ვინსენტი და პიტი, თავისი აღმასრულებელი ოფიცერი ბალაცო და პიპი დე-ლენა მოიწვია. როცა ისინი შეკრებილთ შემოუერთდნენ, ჯორჯომ ცივი და ირონიული სახით, მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა.

დონ კლერიკუციომ თვალი გადაავლო დამსწრეთ - ყველაზე გავლენიან პირებს ჩრდილოვანი სამყაროსი, რომელიც ადამიანთა რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება.

- ჩემმა ვაჟმა, ჯორჯომ, მოკლედ მოგახსენათ საქმის არსი, - დაიწყო

დონმა, - აი, რას გთავაზობთ. მე ყველა საქმეს ჩამოვცილდები, გარდა აზარტული თამაშების ბიზნესისა. ნიუ-იორკში ჩემს საქმეებს ჩემს ძველ მეგობარს, ვირჯინიო ბალაცოს გადავცემ. ის საკუთარ კლანს შექმნის და კლერიკუციოსგან დამოუკიდებელი იქნება. ქვეყნის დანარჩენ ნაწილში ტრანსპორტის, ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკების სფეროებში ჩემს წილს მთლიანად თქვენს ოჯახებს ვუთმობ. სანაცვლოდ მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ თქვენი შემოსავალი მთლიანად მე მომანდოთ - შევინახავ და ის თქვენთვის ყოველ წამს ხელმისაწვდომი იქნება. იმის ნუ შეგეშინდებათ, რომ მთავრობა არალეგალური შემოსავლის გამო პასუხისმგებლობაში გადაგცემთ. თქვენს უსაფრთხოებას მე უზრუნველვყოფ და ამისთვის მხოლოდ ხუთპროცენტიან გადასახადს დაგაკისრებთ.

შეკრების ათივე მონაწილისთვის ეს მართლაც საოცნებო შემოთავაზება გახლდათ. გადადგომის ნაცვლად, კლერიკუციოს ოჯახს შეეძლო, გავლენის სფერო კიდევ უფრო გაეფართოებინა ან ყველა კონკურენტი გაენადგურებინა.

ვინსენტმა მაგიდას შემოუარა და ღვინო ჩამოასხა. მაფიის ბოსებმა დონის ღირსეული გადადგომისა შესვეს.

მას შემდეგ, რაც ათი ბოსი დონ კლერიკუციოს დიდი პატივით დაემშვიდობა, პიტიმ კაბინეტში დევიდ რედფელო შემოიყვანა, დონის პირისპირ ტყავის სავარძელში ჩასვა და ღვინო დაუსხა. რედფელო სხვებისგან მხოლოდ გრძელი თმით როდი გამოირჩეოდა, არამედ იმითაც, რომ ცალ ყურზე ბრილიანტის საყურე ეკეთა და ჯინსის

ქურთუკი და ჯინსის ვიწრო შარვალი ეცვა. მას სკანდინავიური სისხლი ჰქონდა. ქერათმიანი იყო, ცისფერთვალება, მუდამ ხალისიანი ჩანდა და ენაკვიმატობით გამოირჩეოდა.

დონი მას ბევრ რამეს უმადლოდა. სწორედ რედფელოს წყალობით შეიტყო, რომ ნარკობიზნესის საქმეში შესაძლებელი იყო ხელისუფლების მოსყიდვა.

- დევიდ, - უთხრა მას დონმა, - ვაპირებ, ნარკობიზნესისგან დაგასვენო. შენთვის უკეთესი გეგმები მაქვს.

რედფელოს უკმაყოფილება არ გამოუხატავს, მხოლოდ ჰკითხა, რატომ მაინცდამაინც ახლაო?

- ჯერ ერთი, მთავრობა ამ სფეროს მეტ დროსა და ენერგიას უთმობს. თუ დარჩები, შენს სიცოცხლეს ყოველ წუთს დიდი საფრთხე დაემუქრება. ჩემი ვაჟი პიტი და მისი მებრძოლები აქამდე შენს დაცვას უზრუნველყოფდნენ, მაგრამ არ მინდა, ასე გაგრძელდეს. ნარკობიზნესი თავზე ხელაღებულ კოლუმბიელებს გადაულოცე და ევროპაში გადადი. იმაზე ვიზრუნებ, რომ იქ უსაფრთხოდ იყო. რომში იცხოვრებ, ბანკს იყიდი და ამით დასაქმდები. იქ ერთად დიდ საქმეებს დავატრიალებთ.

- მაგარია, - შენიშნა რედფელომ, - არც იტალიური ვიცი და არც ბანკის მართვის გამეგება რამე.

- ორივეს ისწავლი და რომში შესანიშნავად იცხოვრებ, - დაამშვიდა დონმა, - ან შეგიძლია, აქ დარჩე, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი მხარდაჭერა აღარ გექნება და აღარც პიტი დაგიცავს. არჩევანი

შენზეა.

- ჩემი საქმე ვის გადავაბარო? კომპენსაციას დაგამიხდიან? - ჰკითხა რედფელომ.

- შენს საქმეს კოლუმბიელები გადაიბარებენ. ეს ბუნებრივად მოხდება, ამას წინ ვეღარ აღვუდგებით. სამაგიეროდ, მთავრობა მათ ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევს. გადაწყვიტე, თანახმა ხარ თუ არა.

რედფელო დაფიქრდა, მერე სიცილით უთხრა:

- მითხარი, რით დავიწყო.

- ჯორჯო რომში გაგყვება და იქ ჩემს ხალხს გაგაცნობს. მომდევნო წლებშიც ის მოგცემს რჩევებს.

დონმა რედფელო გულში ჩაიკრა.

- გმადლობ, რომ ჩემი რჩევა გაითვალისწინე. ევროპაში შენი გამგზავრების შემდეგაც პარტნიორებად დავრჩებით და, მერწმუნე, იქ არაფერი მოგაკლდება.

* * *

რედფელოს წასვლის შემდეგ დონმა ჯორჯო ალფრედ გრონეველტის მოსახმობად გაგზავნა. გრონეველტი, როგორც ვეგასში სასტუმრო „ქსანადუს“ მეპატრონე, აქამდე სანტადიოსოჯახის მფარველობაში იმყოფებოდა.

- მისტერ გრონეველტ, - მიმართა მას დონმა, - თქვენ ჩემი მფარველობის ქვეშ განაგრძობთ სასტუმროს მართვას. თქვენს

სიცოცხლესა და ქონებას არავითარი საფრთხე არ დაემუქრება. ძველებურად, მოგების ორმოცდაათ პროცენტს მიიღებთ. მე კი იმ ორმოცდაცხრა პროცენტს ავიღებ, რასაც მანამდე სანტადიო იღებდა, იმავე ლეგალური წარმომადგენლის შუამავლობით. თანახმა ხართ?

გრონეველტი დიდი პიროვნული ღირსებითა და, ასაკის მიუხედავად, შთამბეჭდავი გარეგნობით გამოირჩეოდა. მან ფრთხილად უპასუხა:

- თუკი დავრჩები, სასტუმრო უწინდელი უფლებამოსილებით უნდა ვმართო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი წილის გაყიდვა მოგიწევთ.

- ოქროს საბადო რისთვის გავყიდო? - ეჭვით მიუგო დონმა. - არა, არა. მე, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესმენი ვარ. სანტადიოს მეტი სიფრთხილე რომ გამოეჩინა, მთელი ეს უბედურება არ დატრიალდებოდა. ასეა თუ ისე, ეს კლანი აღარ არსებობს. მე და თქვენ შეგნებული ადამიანები ვართ. ჩემი შუამავლები სანტადიოს წილს მიხედავენ. ჯოზეფ დე-ლენა, იგივე პიპი, დასავლეთში ჩემს ემისრად დავნიშნე, ის თქვენგან წელიწადში ასიათასიან გასამრჯელოს მიიღებს, თქვენთვის მოსახერხებელი ნებისმიერი პირობით. სანაცვლოდ, როგორც კი პრობლემები შეგექმნებათ, მას მიმართავთ. თქვენს ბიზნესში კი პრობლემებს რა გამოლევს?!

მაღალმა, დინჯმა გრონეველტმა სრულიად მშვიდად ჰკითხა:

- რატომ მეხმარებით? თქვენ ხომ სხვა, ამაზე ბევრად უფრო ხელსაყრელი ვარიანტებიც გაქვთ.

- იმიტომ, რომ თქვენს საქმეში გენიოსი ხართ. ლას-ვეგასში ყველა

ამას ამბობს. და ჩემი პატივისცემის ნიშნად, თქვენთვის ერთი შემოთავაზება მაქვს.

- ისედაც დიდი საჩუქარი გამიკეთეთ: ჩემი სასტუმრო. ამაზე მეტი რაღა უნდა შემომთავაზოთ?!

დონმა ეშმაკურად გაუღიმა: თუმცა მუდამ სერიოზულად ეჭირა თავი, ხშირად სიამოვნებას ანიჭებდა საკუთარი ძალაუფლებით ადამიანების გაოცება.

- შეგიძლიათ, ნევადის მომდევნო საშტატო თამაშებისთვის დრო დანიშნოთ. ისინი თქვენს სასტუმროში ჩატარდება.

გრონეველტი თავის სიცოცხლეში იშვიათად ყოფილა ასე გაკვირვებული და აღტაცებული. თავისი სასტუმროს მომავალი ერთბაშად ისეთ მწვერვალზე დაინახა, რაზედაც მანამდე არც კი უოცნებია.

- თუკი ეს მართლაც შესაძლებელია, უახლოეს წლებში ყველანი უზომოდ გავმდიდრდებით, - უთხრა დონს.

- ეს უკვე გადაწყვეტილია, - მიუგო დონმა, - ახლა კი შეგიძლიათ, სუფრასთან დაბრუნდეთ და ისიამოვნოთ.

- ჯობს, ვეგასში დავბრუნდე. არა მგონია, ჭკვიანური იყოს, ყველას გავაგებინოთ, რომ თქვენთან სტუმრად ვარ.

დონმა თავი დაუკრა.

- პიტი, მისტერ გრონეველტი მანქანით ნიუ-იორკში გაამგზავრე.

ოთახში, დონის გარდა, მხოლოდ მისი ვაჟები, პიპი დე-ლენა და ვირჯინიო ბალაცო დარჩნენ. ყველანი ცოტათი შემცბარნი ჩანდნენ,

რადგან ჯორჯოს გარდა, დონის გეგმები ამ დღემდე არავინ იცოდა.

ბალაცო პიპიზე მხოლოდ რამდენიმე წლით იყო უფროსი. აქამდე კლუბებს, ტანსაცმლის ტრანსპორტირებასა და ნაწილობრივ, ნარკოტიკებს აკონტროლებდა. ახლა დონ დომენიკომ აცნობა, რომ დღეიდან ის კლერიკუციოს ოჯახისგან დამოუკიდებლად იმოქმედებდა, მხოლოდ ათპროცენტიანი გადასახადი ეკისრებოდა, სხვა მხრივ კი დამოუკიდებლად შეეძლო ყველა გადაწყვეტილების მიღება.

ვირჯინიო ბალაცო ამ დიდსულოვნებამ გააოცა. ჩვეულებრივ, საკუთარ განცდებს ხმაურიანად გამოხატავდა, მაგრამ ახლა მადლიერების გრძნობამ იმდენად მოიცვა, რომ დონს მხოლოდ უსიტყვოდ გადაეხვია.

- ამ ათი პროცენტიდან ხუთს საპენსიოდ ანდა უბედური შემთხვევისთვის შემოგინახავ, - განაგრძო დონმა, - და კიდევ: მაპატიე, მაგრამ ადამიანები იცვლებიან, დროთა განმავლობაში ძველი სიკეთე ავიწყდებათ. მინდა გაგაფრთხილო, ხარჯთაღრიცხვას გულმოდგინედ მოეკიდო. მე ხომ საგადასახადო სამსახური არ ვარ და შენს წილებსა და შემოსავალ-გასავალს ვერ გადავამოწმებ.

ბალაცო მიუხვდა. დანაშაულისთვის დონ დომენიკო დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ სჯიდა. სასჯელი კი უთუოდ სიკვდილს ნიშნავდა. თან, წინასწარი გაფრთხილების გარეშე. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა შებრძოლებოდა საკუთარ მტრებს?!.

დონ კლერიკუციომ ბალაცო დაითხოვა, პიპისთან

დამშვიდობებისას კი მისკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა.

- გახსოვდეს, მე და შენ ერთი საიდუმლო გვაქვს, რომელიც სამუდამოდ საიდუმლოდ უნდა დარჩეს. იცოდე, შენთვის ეს ბრძანება არასოდეს გამიცია.

გარეთ, მოლზე, როუზ-მერი კლერიკუციო პიპი დე-ლენას სალაპარაკოდ ელოდა. ის სრულიად ახალგაზრდა და ძალზე მომხიბვლელი ქვრივი გახლდათ, თუმცა ძაძები არ უხდებოდა. მის გარეგნობასა და ტემპერამენტს მეუღლისა და ძმის გლოვა თრგუნავდა. ქალს თითქმის შავი თვალები და ძალზე მუქი კანი ჰქონდა. მის იერს მხოლოდ ღია ფერის ჩვრებში გახვეული მისი ახალშობილი ვაჟი დანტე ახალისებდა. მთელი დღის განმავლობაში მამასა და ძმებს შორიდან ცნობისმოყვარედ ადევნებდა თვალს, მაგრამ დისტანციას ინარჩუნებდა. ახლა კი პიპი დე-ლენასთან საუბარი გადაწყვიტა.

სიყმაწვილეში როუზ-მერი თავდავიწყებით იყო მასზე ათი წლით უფროს მამიდაშვილ პიპიზე შეყვარებული. მაგრამ პიპი მუდამ ისე ექცეოდა, როგორც უფროსი უმცროსს. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ გამოუსწორებელი მექალთანე იყო, მაგრამ თავისი დონის ქალიშვილის მიმართ ცდუნებას არასოდეს აჰყვებოდა.

- გამარჯობა, პიპი, - უთხრა ქალმა, - გილოცავ!

პიპიმ გულითადადგაუღიმა, რამაც მისი უხეში ნაკვთები ოდნავ დაარბილა. დაიხარა და ბავშვს შუბლზე აკოცა. გაუკვირდა, როცა შენიშნა, რომ ჩვილისთვის მეტისმეტად ხშირი ქოჩორო ამშვენებდა,

რომელსაც ჯერაც შერჩენოდა წმინდა ზეთის სურნელი.

- დანტე კლერიკუციო, შესანიშნავი სახელია, - შენიშნა კაცმა.

ეს არცთუ უწყინარი ქათინაური გახლდათ. როუზ-მერიმ ქალიშვილობის გვარი დაიბრუნა და უმამოდ დარჩენილ ბავშვსაც თავისი გვარი მისცა. დონმა მყარი არგუმენტებით დაარწმუნა, რომ ეს ყველაზე უფრო გონივრული იქნებოდა, მაგრამ ქალი თავს მაინც დამნაშავედ გრძნობდა.

ამ დანაშაულის გრძნობამ ათქმევინა როუზ-მერის:

- როგორ დაიყოლიე შენი პროტესტანტი ცოლი კათოლიკურ ცერემონიაზე და ბავშვისთვის რელიგიური სახელის დარქმევაზე?

- ჩემს ცოლს ვუყვარვარ, ამიტომაც ყველაფერს მითმობს, - გაიღიმა პიპიმ.

ეს მართალიც იყო. როუზ-მერიმ გაიფიქრა, ცოლს პიპი იმიტომ უყვარს, რომ არ იცნობსო. ისე არ იცნობდა, როგორც როუზ-მერი, თუმცა მიუხედავად ამისა, ოდესღაც მაინც უყვარდა.

- შვილისთვის კროჩიფიციო რომ არ დაგერქმია, განა ცოლს რაიმე ამერიკული სახელით მაინც ვერ ასიამოვნებდი? - ირონიულად ჰკითხა ქალმა მამიდაშვილს.

- ბავშვს შენი პაპის სახელი დავარქვი, რათა მამაშენისთვის მესიამოვნებინა, - უპასუხა კაცმა.

- ჰო, ყველანი ვალდებული ვართ, მამაჩემს ვასიამოვნოთ, - შენიშნა როუზ-მერიმ, მაგრამ თავისი სიტყვების სიმწარე ღიმილით შენიღბა. ისეთი ნაკვთები ჰქონდა, რაც უნდა ეთქვა, მისი ღიმილი ყველაფერს

ტკბილ და ნათელ ელფერს ანიჭებდა. ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

- გმადლობ, რომ სიცოცხლე შემინარჩუნე.

პიპი გაოცებით დააშტერდა. მის ნათქვამს ვერ ჩასწვდა. მერე რბილად უთხრა:

- შენს სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებია, - მხარზე ხელი დაადო და განაგრძო: - გთხოვ, დაივიწყე წარსული. წინ გრძელი და ბედნიერი ცხოვრება გველის.

როუზ-მერი ბავშვის საკოცნელად დაიხარა, მაგრამ სინამდვილეში პიპისგან სახის დამალვა სურდა. ხმადაბლა თქვა:

- ყველაფერი კარგად მესმის, - იცოდა, პიპი ამ სიტყვებს მის მამასა და ძმებს რომ გადასცემდა, - მომხდარს უკვე შევურიგდი. - სურდა, მისიანებს სცოდნოდათ, რომ ყველანი ძალიან უყვარდა და იმისთვის ემადლიერებოდა, რომ მისი შვილი თავიანთ ოჯახში მიიღეს, მონათლეს და წარწყმედას გადაარჩინეს.

ამ დროს მათ ვირჯინიო ბალაცო მიუახლოვდა, ხელები მკლავებზე მოხვია და მოლის შუაგულისკენ გაიყოლა. დონ დომენიკო კლერიკუციო სამივე ვაჟის თანხლებით სახლიდან გამოვიდა.

ოფიციალურად შემოსილი მამაკაცები, საღამოსკაბებიანი ქალები, სატინის ფუშფუშასამოსიანი პატარები - კლერიკუციოს ოჯახი ჯგუფური სურათის გადასაღებად რკალად ჩამწკრივდა. სტუმრებმა ტაში შემოჰკრეს, გაისმა მისალოცი შეძახილები და ღირსშესანიშნავი წუთი სამუდამოდ დაფიქსირდა: გამარჯვების, მშვიდობისა და სიყვარულის წუთი.

მოგვიანებით ეს სურათი გაადიდეს, ჩარჩოში ჩასვეს და დონის კაბინეტში, სანტადიოსთან ბრძოლისას დაღუპული მისი ვაჟის, სილვიოს უკანასკნელი ფოტოს გვერდით დაკიდეს.

წვეულების დანარჩენ ნაწილს დონი თავისი საძინებლის აივნიდან ადევნებდა თვალს.

როუზ-მერიმ ბავშვის ეტლი კეგლის მოედანთან ჩამოატარა. მას პიპის ცოლი - მაღალი, ელეგანტური ნელინი მიუახლოვდა ხელში ატატებული ბავშვით. ნელინმა კროჩიფიციო გვერდით მიუსვა დანტეს და ორივე ქალი თავიანთ პირმშოებს სიყვარულით დააცქერდა.

დონს სიხარულს ანიჭებდა იმაზე ფიქრი, რომ ეს ბავშვები ვერასოდეს შეიტყობდნენ, თუ რა ძვირად დაუჯდა მათი ბედნიერი მომავალი.

პიტიმ ეტლში საწოვარიანი რძის ბოთლი ჩაუშვა და ყველას გულიანად გაეცინა, როცა დაინახეს, ბავშვები მას ერთმანეთს ხელიდან როგორ აცლიდნენ. როუზ-მერიმ დანტე ეტლიდან ამოიყვანა. დონმა გაიხსენა, როგორი იყო მისი ქალიშვილი სულ რაღაც ორი წლის წინ. არაფერია შეყვარებულ ქალზე უფრო მშვენიერი და ახალგაზრდა ქვრივზე უფრო სევდიანიო, - სინანულით გაიფიქრა დონმა.

როუზ-მერი მისი უსაყვარლესი შვილი იყო, მუდამ სიცოცხლით სავსე და ხალისიანი. ის ახლა შეიცვალა. ძმისა და ქმრის დაღუპვამ მძიმე დარტყმა მიაყენა. თუმცა, დონმა საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს უთუოდ

ხელმეორედ უყვარდებათ ხოლმე, ქვრივები კი ძაძების ტარებით იღლებიან. თანაც, ახლა შვილი ჰყავდა მისახედი.

დონმა განვლილ ცხოვრებას გადახედა და გაოცდა, ასეთ წარმატებას რომ მიაღწია. რასაკვირველია, ძალაუფლებისა და სიმდიდრის მოსაპოვებლად ხშირად შემზარავი გადაწყვეტილების მიღება უწევდა, მაგრამ ამის გამო სინანულს არ განიცდიდა. საბოლოოდ, ყველაფერი მართებული და გარდაუვალი აღმოჩნდა. დაე, სხვებმა გამოიგლოვონ საკუთარი ცოდვები, დონ კლერიკუციო კი ცოდვებსაც კმაყოფილებით იხსენებდა და საკუთარ თავს უფალს ანდობდა, რომელიც, სწამდა, რომ შეუნდობდა.

პიპი კეგლის თამაშით იყო გართული. მისი პარტნიორები - ბრონქსის დაჯგუფების სამი ჯარისკაცი, სერიოზული ბიზნესმენები, მასზე უფროსი მამაკაცები - დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ. პიპი, როგორც ყოველთვის, ლაღი და ხალისიანი, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ის ნამდვილი ლეგენდა იყო, თვით სანტადიოს წინააღმდეგ ითამაშა და გაიმარჯვა კიდეც.

როდესაც ბურთს მიზანში მარჯვედახვედრებდა, სიხარულით შეჰყვირებდა ხოლმე. დონმა გაიფიქრა, მისნაირი იშვიათად თუ მოიძებნებაო. მამაცი იყო, გამბედავი, გონიერი, გამძლე და წინდახედული.

მოედანზე მისი უახლოესი მეგობარი, ვირჯინიო ბალაცო გამოჩნდა - ერთადერთი კაცი, ვინც პიპის მოთამაშის ოსტატობით შეეჯიბრებოდა. ბალაცო დიდხანს უმიზნებდა. როცა ბურთი მიზანში მოახვედრა,

ყველამ აღტაცებით შეჰყვირა. გამარჯვებულმა ბალაცომ აივნისკენ აიშვირა ხელი და დონმა ტაშით დააჯილდოვა. დონს სიამაყით ავსებდა იმაზე ფიქრი, რომ ასეთი ვაჟკაცები ჰყავდა დაქვემდებარებაში და რომ მისი წყალობით ისინი წარმატებასა და წინსვლას აღწევდნენ. ამ ბზობა დღეს აქ შეკრებილთაგან ყველა ემადლიერებოდა დონ კლერიკუციოს, მისი დიდსულოვნებისა და სიუხვის გამო.

დონს მხოლოდ ერთი რამის განჭვრეტა არ შეეძლო: როგორ ღვივდება ბავშვის ჯერაც ჩამოუყალიბებელ სულში ბოროტების თესლი.

წიგნი I - ჰოლივუდი - ლას-ვეგასი, 1990 - თავი 1

ბაზ სკანეტს წითურ თმაზე კალიფორნიის გაზაფხულის მზის ლიმონისფერი სხივები ეღვრებოდა. მის მძლავრ დაკუნთულ სხეულს დიდ ბრძოლაში ჩაბმა სწყუროდა. მთელი არსებით იყო შემართული საიმისოდ, რომ მისი ქმედება მილიარდზე მეტ ადამიანს ეხილა.

ჩოგბურთის თეთრი შარვლის ქვეშ წელზე მომცრო ზომის რევოლვერი ჰქონდა მიმაგრებული, მას ელვაშესაკრავიანი ჟაკეტი უფარავდა, რომელზედაც თეთრ ფონზე წითელი ელვა ჰქონდა გამოსახული. თავზე წითელი, ლურჯად დაწინწკლული ბენდენა ეკეთა.

მარჯვენა ხელში „ევიანის“ სასმელი წყლის დიდი, მოვერცხლისფრო ბოთლი ეჭირა. ბაზ სკანეტი საგანგებოდ მოემზადა შოუბიზნესის სამყაროში ფეხის შესადგმელად.

ამ სამყაროს წარმომადგენლები ლოს-ანჯელესში „დოროთი ჩენდლერის პავილიონის“ წინ უკიდეგანო ბრბოდ შეკრებილიყვნენ და კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიაზე კინოვარსკვლავთა მობრძანებას ელოდნენ. მაყურებელთათვის საგანგებო ტრიბუნები აეშენებინათ, მთელი ქუჩა ტელეკამერებით იყო სავსე, რეპორტიორები საიმისოდ ემზადებოდნენ, რათა ლეგენდარული სახეები მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ. ამ საღამოს აქ შეკრებილი ხალხი თავიანთ სათაყვანებელ ვარსკვლავებს ნიღბების გარეშე იხილავდა და იმაში დარწმუნდებოდა, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, არც ისინი იყვნენ დაზღვეული მარცხისა და უიღბლობისგან.

ფორმიან და რეზინისხელკეტებიან დაცვის თანამშრომლებს პერიმეტრი შეეკრათ და სიტუაციას აკონტროლებდნენ.

ბაზ სკანეტს ისინი არ ანაღვლებდა. თითოეულზე ბევრად უფრო მაღალი, ღონიერი და სწრაფი იყო. თანაც მოულოდნელად იმოქმედებდა. უფრო მეტად, ცნობილ ადამიანებზე დაგეშილი ოპერატორებისა და რეპორტიორების სიმრავლე აფიქრებდა, თუმცა იცოდა: ისინი მომხდარის გადაღებას შეეცდებოდნენ, მისი შეჩერება კი არც მოაფიქრდებოდათ.

პავილიონის შემოსასვლელთან თეთრი ლიმუზინი გაჩერდა და იქიდან ათენა ექვითეინი გადმოვიდა, რომელსაც მრავალი ჟურნალი

მსოფლიოში ულამაზეს ქალად აღიარებდა. ხალხმა მისი სახელის წარმოთქმა დაიწყო და ზღუდეებს მიაწყდა. კამერები ერთთავად მიაშტერდნენ და მისი სილამაზე დედამიწის უშორეს კუთხე-კუნჭულებს გადასცეს. ქალმა ხელი დაუქნია.

სკანეტი ტრიბუნის ღობეს გადაევლო და ზიგზაგისებურად გაიკვლია გზა მანქანებს შორის. პოლიციელთა ყავისფერი ფორმების მოახლოებაც შენიშნა. მაგრამ მათ სწორი კუთხე ვერ გათვალეს და სკანეტი ისევე იოლად დაუსხლტა, როგორც წლების წინ საფეხბურთო მოედანზე აბითურებდა მოწინააღმდეგეს. დანიშნულების ადგილამდე ზუსტ დროს მიაღწია: ათენა მიკროფონში ლაპარაკობდა და თავს ისეთნაირად ატრიალებდა, რომ კამერებს მისი სილამაზე საუკეთესოდ დაეფიქსირებინა. გვერდით სამი მამაკაცი ედგა. ბაზი დარწმუნდა, რომ კამერების ხედვის არეში მოხვდა და ქალს ბოთლიდან სითხე სახეში შეასხა.

- ეს მჟავაა, შე ძუკნავ! - შეჰყვირა მან, მერე კამერას მიუბრუნდა და უდრტვინველი სახით გამოცრა: - მან ეს დაიმსახურა. - იმავე წუთში ყავისფერფორმიანები შემოეხვივნენ. სკანეტმა დაიჩოქა.

ათენა ექვითეინმა მხოლოდ უკანასკნელ წამს შენიშნა მისი სახე. მისი დაყვირება რომ გაიგონა, მკვეთრად მობრუნდა და ამ მომენტში სითხე ლოყასა და ყურზე შეესხა. ეს სურათი მილიარდმა ტელემაყურებელმა იხილა: ათენას ულამაზესი სახე, მოვერცხლისფრო სითხე, მის თვალებში გამოსახული შიში და ზაფრა, რომელმაც წამით დაუმახინჯა დიდებული სილამაზე, როდესაც მან თავდამსხმელი იცნო.

მსოფლიოში მილიარდმა ადამიანმა დაინახა, თუ როგორ წაათრია სკანეტი პოლიციამ. ის თვითონაც კინომსახიობს ჰგავდა, როდესაც ბორკილდადებული ხელები გამარჯვების ნიშნად მაღლა ასწია, მაგრამ მაშინვე ჩაიკეცა, რადგან პოლიციელმა, რომელმაც შარვალში რევოლვერი უპოვა, თირკმელებში ძლიერად დაარტყა. P SEP

ჯერაც თავზარდაცემულმა ათენა ექვითეინმა სახეზე ინსტინქტურად მოისვა ხელი. არავითარ წვას არ გრძნობდა, სახეზე წვეთები ჩამოუგორდა. ხალხი გარს ეხვეოდა, მის დაცვასა და უსაფრთხო ადგილას წაყვანას ცდილობდა. P SEP

ქალმა თავი გაითავისუფლა და მშვიდად თქვა: P SEP

- მხოლოდ და მხოლოდ წყალია! - თავის დასარწმუნებლად ხელისგული აილოკა და სუსტი ღიმილით წარმოთქვა: - ჩემი ქმრისგან მსგავსი რამ არ მიკვირს. P SEP

ათენას არნახულმა თავშეკავებამ მის იმიჯს გაასმაგებული ბრწყინვალება შემატა. როდესაც ცოტა ხნის შემდეგ, ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის „ოსკარი“ გადასცეს, დარბაზი ფეხზე წამოდგა და დიდხანს უკრავდა ტაშს. P SEP

ლას-ვეგასში, სასტუმრო-კაზინო „ქსანადუს“ პენტჰაუზ-ლუქსში მისი ოთხმოცდახუთი წლის მეპატრონე თავის საწოლში კვდებოდა. მაგრამ იმ დღეს ასე ეგონა, თექვსმეტი სართულის სიმაღლიდან ქვევით „რულეტის“ ბორბლის შავ და წითელ ღარებზე სპილოს ძვლის ბურთულის კაკუნი, ზარის მოთამაშეთა ხრინწიანი შეძახილები და

სათამაშო აპარატებში ვერცხლის მონეტების ჩხრიალი ჩაესმოდა.

ალფრედ გრონეველტი ბედნიერი იყო იმდენად, რამდენადაც სიკვდილის პირას მყოფი ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ბედნიერებას. თითქმის ოთხმოცდაათწლიანი ცხოვრების გზაზე, ჯიბგირიც იყო, სუტენიორიც, მოთამაშეც, მკვლელის თანამზრახველიც, პოლიტიკური მაქინაციების მონაწილეც, ვიდრე საბოლოოდ, სასტუმრო „ქსანადუს“ მეპატრონედ მოევლინებოდა ქვეყანას. ღალატის შიშით, ცხოვრებაში ბოლომდე არავინ ჰყვარებია, თუმცა ბევრისთვის სიკეთე გაუღია. არაფერს ნანობდა. სიხარულით ელოდებოდა იმ მცირედ სიამოვნებას, რაც ცხოვრებამ შემოუნახა. ეს საღამოობით კაზინოს მონახულება გახლდათ.

კროჩიფიციო, იგივე „კროს“ დე-ლენა, რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე მისი მრჯვენა ხელი იყო, ოთახში შემოვიდა და ჰკითხა;

- მზად ხარ,ალფრედ?

მოხუცმა ღიმილით დაუკრა თავი.

კროსმა ის ხელში აიყვანა და ბორბლებიან სავარძელში გადასვა, ექთანმა სათუთად გადააფარა საბანი, მსახურმა კი სავარძელი გასასვლელისკენ გააგორა. ექთანმა კროსს წამლების ყუთი გაუწოდა და კარი გაუღო, უკან არ გაჰყვა, რადგან გრონეველტს გასეირნებისას ექთანის თანხლება არ სიამოვნებდა.

სავარძელი რბილად გაგორდა პენტჰაუზის ვერანდის ხელოვნურ მოლზე და საგანგებო ლიფტით თექვსმეტი სართულით დაბლა დაეშვა, იქ, სადაც კაზინო იყო განთავსებული.

გრონეველტი წელგამართული იჯდა სავარძელში და თავს აქეთ-აქით ატრიალებდა. უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა იმ მამაკაცებისა და ქალების დანახვა, ვინც მას გამუდმებით ერკინებოდა, თუმცა ყველამ საუკეთესოდ იცოდა, რომ გრონეველტი მაინც მოგებული დარჩებოდა, ისინი კი დამარცხდებოდნენ. სავარძელი ნება-ნება მიგორავდა „ბლეკ ჯეკისა“ და „რულეტის“ სათამაშო მაგიდებს შორის. გრონეველტი ბანქოს ურიცხვი მოთამაშის სახეებს აკვირდებოდა, ისინი კი მხოლოდ სავარძელს მიჯაჭვულ, გალეულსახიან და ანთებულთვალებიან მოხუცს ხედავდნენ. ინვალიდი მოთამაშე ლას-ვეგასს ბევრი უნახავს: როგორც ჩანს, ეს ადამიანები ფიქრობდნენ, რომ წართმეული ჯანმრთელობის სანაცვლოდ, ბედისწერამ მათ იღბლის სახით ვალი უნდა დაუბრუნოს.

ბოლოს სავარძელი სასადილო ოთახში შეაგორეს. მსახურმა ის შეკვეთებისთვის განკუთვნილ კაბინამდე მიაცილა, თვითონ კი გვერდით მაგიდას მიუჯდა და განკარგულებებს დაელოდა.

მინის კედლის მიღმა გრონეველტი ვეება საცურაო აუზს ხედავდა, რომლის წყალიც ნევადის მზის ქვეშ თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. მობანავე ქალები და ბავშვები მის ზედაპირზე მიმოფანტულ ფერად-ფერად სათამაშოებს ჰგავდნენ. მოხუცმა აღტაცებით გაიფიქრა, რომ ამ მშვენიერი სურათის შექმნაში თვითონაც ჰქონდა წვლილი შეტანილი.

- ალფრედ, ცოტა რამ მიირთვი, - უთხრა მას კროს დე-ლენამ.

გრონეველტს გაეღიმა. მოსწონდა ამ ახალგზარდის მოხდენილი

გარეგნობა, რომელიც ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთთავად ხიბლავდა. კროსი ადამიანთა იმ იშვიათ რიგს მიეკუთვნებოდა, ვისაც გრონეველტი თითქმის მთლიანად ენდობოდა.

- მიყვარს ეს საქმიანობა, - თქვა ალფრედმა. - კროს, სასტუმროს ჩემს წილს შენ გიანდერძებ. ვიცი, რომ ჩვენს ნიუიორკელ პარტნიორებთან საქმის დაჭერა მოგიწევს. ოღონდ „ქსანადუს“ ნურასოდეს მიატოვებ.

- არ მივატოვებ, - უთხრა კროსმა და მოხუცს გაძვალტყავებულ ხელზე ხელი მოუთათუნა.

გრონეველტი გრძნობდა, მზით გავარვარებული მინის კედელი ძარღვებში სისხლს როგორ უცხელებდა.

- კროს, მე ყველაფერი გასწავლე, რაც ჩვენი საქმისთვისაა საჭირო. ერთად მრავალი სიძნელე გადავლახეთ. უკან არასოდეს მიიხედო. ხომ იცი, პროცენტების განაწილება ბევრნაირადაა შესაძლებელი. რაც შეგიძლია მეტი სიკეთე აკეთე. ეს ყოველთვის დაგიფასდება. სიყვარულსა და სიძულვილზე ხარჯის გაღებას არ ვგულისხმობ. ეს ფულის დაბანდების ყველაზე უარესი საშუალებაა.

ორივე ყავას წრუპავდა. გრონეველტი ხილის ნამცხვარს შეექცეოდა, კროსი კი ყავას ფორთოხლის წვენს აყოლებდა.

- კიდევ ერთი რამ, - განაგრძო გრონეველტმა, - არავის მისცე ვილა, თუკი ის მილიონს არ გაიღებს. ეს მუდამ გახსოვდეს. ვილებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

კროსმა მოხუცს ალერსიანად დააფარა ხელზე ხელი. მისი

ყურადღება სრულიად გულწრფელი გახლდათ. ზოგჯერ ეგონა, რომ გრონეველტი საკუთარ მამაზე მეტად უყვარდა.

- არ იდარდო. ვილები ხელშეუხებელია. კიდევ რამის თქმა გინდოდა?

გრონეველტის ლიბრგადაკრულ თვალებში ძველი ცეცხლი აენთო.

- ფრთხილად იყავი. მუდამ ძალიან ფრთხილად იყავი.

- კარგი, - უპასუხა კროსმა და, რაკი არ სურდა, მოხუცს მოახლოებულ სიკვდილზე ეფიქრა, ჰკითხა: - როდის მომიყვები სანტადიოსთან დიდი ომის შესახებ? მაშინ მასთან თანამშრომლობდი. მე კი არავინ არაფერს მიყვება.

გრონეველტმა ამოიოხრა და ძლივსგასაგონად წარმოთქვა:

- ვიცი, ცოტა დროღა დამრჩა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი, არ შემიძლია. მამაშენს ჰკითხე.

- პიპის უკვე ვკითხე, მაგრამ არ მიყვება, - უპასუხა კროსმა.

- წარსულზე ფიქრს თავი დაანებე, - უთხრა გრონეველტმა, - უკან ნურასოდეს გაიხედავ. წარსულში ნურც გამართლებებს ეძებ, ნურც ბედნიერებას. რაც ხარ, ის იყავი და ცხოვრებაც ის იქნება, რაც არის.

პენტჰაუზის ბინაში ექთანმა გრონეველტს აბაზანა გაუმზადა და წნევა გაუზომა. მოხუცმა ექთანის შეკრული წარბები შენიშნა და ღიმილით უთხრა:

- არაფერია, საქმე პროცენტებშია.

იმ ღამით მშვიდად ეძინა, განთიადზე კი ექთანს აივანზე გაყვანა სთხოვა. ქალმა დიდ სავარძელში ჩასვა და საბანში გაახვია. შემდეგ გვერდით დაუჯდა და პულსი გაუზომა. მისი ხელის გაშვება უნდოდა, მაგრამ მოხუცმა არ გააშვებინა და ასე, ხელიხელჩაკიდებულები შეხვდნენ მზის ამოსვლას.

მზე მეწამულ ბურთად ამოვიდა და მუქი ლურჯი ცა მუქ ნარინჯისფრად შეღება. გრონეველტი ხედავდა ჩოგბურთის კორტებს, საცურაო აუზს, გოლფის სათამაშო მოედანს, ვერსალივით აბდღვრიალებულ შვიდ ვილას, რომლის თავზეც „ქსანადუს“ დროშა ფრიალებდა; მწვანე მინდორზე თეთრი მტრედები დასეირნობდნენ, მოშორებით კი ქვიშის უსასრულო უდაბნო გადაჭიმულიყო.

ეს ყველაფერი ჩემი შექმნილიაო, გაიფიქრა გრონეველტმა. „შუა უდაბნოში სრა-სახლები ავაგე. საკუთარიბედნიერება ცარიელ ადგილზე შევქმენი. ვეცადე, ამქვეყნად, როგორც შემეძლო, ისე მეკეთებინა სიკეთე. რა მომეკითხება იმ ქვეყნად?“ გაიხსენა ბავშვობა და თოთხმეტი წლის ასაკში მეგობრებთან ერთად ღვთისა და სამართლიანობის შესახებ საუბარი. ერთ-ერთმა მეგობარმა მაშინ აღტყინებით ჰკითხა:

- ერთი ღილაკის დაჭერით მილიონი ჩინელის განადგურებისთვის მილიონი დოლარი რომ მოგცენ, რას იზამ? დააჭერ?

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყველამ თქვა, რომ არ დააჭერდა. მხოლოდ გრონეველტი არ დაეთანხმა.

ახლა გაიფიქრა, მაშინ მართალი ვიყავიო. ამაში საკუთარმა

წარმატებულმა ცხოვრებამ კი არ დაარწმუნა, არამედ ასე იმიტომ ფიქრობდა, რომ ახლა ამგვარი საკითხი მისთვის აღარც კი იდგა, ურთულესი დილემა სამუდამოდ გაუქმდა. საკითხი ახლა სხვაგვარად იდგა: დახოცავდა თუ არა ათ მილიონ ჩინელს (რატომ მაინცდამაინც ჩინელს?) ათი ათას დოლარად? P SEP

მზემ მთელი სამყარო მეწამული შუქით შეღება. გრონეველტმა ექთანს ხელში თითები მაგრად ჩასჭიდა და ლიბრგადაკრული თვალებით პირდარ შეაშტერდა მზეს. ბუნდოვნად მოაგონდა ის ქალები, რომლებიც უყვარდა, და ოდესღაც ჩადენილი ქმედებები. მამაკაცები, რომლებიც უმოწყალოდ დაამარცხა და ის წყალობაც, რომელიც ცხოვრებაში არაერთხელ გაეღო. კროსზე ახლა ისე ფიქრობდა, როგორც საკუთარ ვაჟიშვილზე. ისიც შეებრალა და ყველა, ვინც სანტადიოსა და კლერიკუციოს ოჯახებს ეკუთვნოდა. უხაროდა, ამ ყველაფრის უკან მოტოვება რომ უწევდა. ბოლოს და ბოლოს, რა უფრო მნიშვნელოვანია: ბედნიერება თუ ზნეობა? P SEP

ამ უკანასკნელმა ფიქრმა გონება აუფეთქა. ექთანმა იგრძნო, მოხუცს ხელი როგორ გაუცივდა, კუნთები მოუდუნდა. ის დაიხარა და დააკვირდა. ეჭვი აღარ შეჰპარვია: მოხუცი გარდაიცვალა. P SEP

გრონეველტის მემკვიდრემ, კროს დე-ლენამ სამოქალაქო პანაშვიდი დაგეგმა. მასზე ლას-ვეგასის ყველა მნიშვნელოვანი პირი, გარდაცვლილის ყველა მეგობარი, სასტუმროს პერსონალი და მუდმივი მოთამაშე მიიწვია. ალფრედ გრონეველტი აზარტული თამაშების ინდუსტრიის გენიოსად ითვლებოდა. P SEP

მან ბევრი ხარჯი გაიღო განსხვავებული კონფესიის ეკლესიების ასაგებად და ხშირად იმეორებდა, აზარტული თამაშებით გატაცებულ მორწმუნეთ მათი რწმენა არ უნდა დავუკარგოთო. ღარიბთა თავშესაფრების აშენებას ეწინააღმდეგებოდა, თვითონ მაღალი კლასის საავადმყოფოებსა და სკოლებს აშენებდა. მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს დაწესებულებები საკუთარ ფინანსებს თვითონვე გააკონტროლებდნენ და დიდ ნაწილს სოციალურ ინფრასტრუქტურას უწილადებდნენ. უკმაყოფილო იყო იმით, რომ ატლანტიკ-სიტიში ამგვარი ორგანიზაციები სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მთელ შემოსავალს თავისთვის იტოვებდნენ.

გრონეველტი საჯაროდ გამოსვლისას მუდამ ცდილობდა იმ აზრის გამოთქმას, რომ აზარტული თამაშები მავნე ჩვევად კი არა, საშუალო კლასის საზოგადოებისთვის გართობის ისეთივე ბუნებრივ საშუალებად მიაჩნდა, როგორიც გოლფი ან ბეისბოლია. ამგვარად, მან აზარტული თამაშები ამერიკაში სოლიდურ და პატივსაცემ ბიზნესად აქცია. რაღა გასაკვირია, რომ მისთვის პატივის მისაგებად უამრავი ადამიანი შეიკრიბა.

კროსმა პირადი განცდები დროებით გვერდზე გადადო. არადა, გულწრფელად გრძნობდა დანაკლისს. ბავშვობიდან ძალზე თბილი გრძნობები აკავშირებდა ალფრედთან. ახლა კი ის ერთბაშად „ქსანადუს“ ორმოცდათერთმეტი პროცენტის მფლობელი გახდა. ეს სულ ცოტა, 550 მილიონ დოლარს უდრიდა.

იცოდა, რომ მისი ცხოვრება შეიცვლებოდა. გავლენასა და

სიმდიდრეს უდიდესი რისკიც უკავშირდებოდა. ამიერიდან კლერიკუციოს ოჯახთან მისი ურთიერთობა უფრო დელიკატური გახდებოდა, რადგან ის უდიდეს ბიზნესში მათ პარტნიორად იქცა.

კროსმა, უპირველეს ყოვლისა, ქუოგში დარეკა და ჯორჯოს ელაპარაკა, რომელმაც მითითებები მისცა და შეატყობინა, რომ მათი ოჯახიდან დაკრძალვას მხოლოდ პიპი დაესწრებოდა. ისიც აცნობა, რომ დანტეც პირველივე რეისით გამოფრინდებოდა იმ მისიის შესასრულებლად, რომელზედაც წინათ უკვე ისაუბრეს, ოღონდ დაკრძალვას არ დაესწრებოდა. იმ ფაქტზე, რომ კროსი დღეიდან სანახევროდ სასტუმროს მფლობელი გამხდარიყო, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს.

კროსმა თავისი დისგან, კლოდიასგან მიიღო შეტყობინება, მაგრამ როდესაც დაურეკა, ავტომოპასუხის ხმა გაისმა. ასევე მიიღო შეტყობინება ერნესტ ვეილისგან. ვეილის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი, მაგრამ ახლა მის საკითხს მანამდე ვერ მიუბრუნდებოდა, ვიდრე გრონეველტს დაკრძალავდნენ.

თავისი მამის, პიპისგანაც მიიღო შეტყობინება. პიპი გრონეველტის უახლოესი მეგობარი იყო. კროსს ახალი ცხოვრების დასაგეგმად ყველაზე მეტად მამის რჩევა სჭირდებოდა. ნეტავ, როგორ განეწყობოდა მამა მისი ახალი მდგომარეობისა და სიმდიდრის მიმართ? ეს არანაკლებ საჩოთირო საკითხი იყო, როგორც კლერიკუციოს ოჯახის რეაქცია იმაზე, რომ დასავლეთში მათი წარმომადგენელი ფინანსურად მათგან სრულიად დამოუკიდებელი და

ზღაპრულად მდიდარიც გახდა.

დონის სამართლიანობაში კროსს ეჭვი არ ეპარებოდა. არც იმაში, რომ მამა მხარში ამოუდგებოდა. მაგრამ დონის შვილები - ჯორჯო, ვინსენტი და პიტი, ასევე შვილიშვილი დანტე, - ისინი როგორ მიიღებდნენ ამ სიახლეს? ის და დანტე ერთიმეორეს იმ დღიდან ემტერებოდნენ, რაც დონის შინაურ ეკლესიაში ერთად მოინათლნენ. ეს ოჯახში მოარულ ამბად იქცა.

ახლა კი დანტე უნდა ჩამოსულიყო, რათა დიდი ტიმის საკითხი მოეგვარებინა. ეს კროსს მეტისმეტად აღელვებდა, რაკი დიდ ტიმთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა. მაგრამ ტიმის ბედიპირადად დონს გადაეწყვიტა და ახლა კროსი იმაზე ფიქრს მოეცვა, თუ როგორ შეასრულებდა დანტე დავალებას.

ალფრედ გრონეველტის დაკრძალვის მსგავსი ლას-ვეგასს მანამდე არ ენახა. ყველაფერი ისე მოაწყვეს, როგორც ნამდვილ გენიოსს შეეფერება. გრონეველტის ცხედარი მისი შენაწირებით აშენებულ პროტესტანტულ ეკლესიაში დაასვენეს, რომელიც ევროპული და ამერიკული საეკლესიო არქიტექტურის ნაზავს წარმოადგენდა და ლასვეგასური პრაგმატულობის შესაბამისად, წინ მანქანების დასაყენებელი დიდი ფართობი ჰქონდა, რომელიც ინდიელთა ეთნიკური ორნამენტებით იყო გაწყობილი.

გუნდი, რომელიც უფალს ადიდებდა და გრონეველტის სულს ავედრებდა, იმ უნივერსიტეტის სტუდენტებისგან შედგებოდა, რომელსაც გრონეველტმა სამი ახალი ჰუმანიტარული ფაკულტეტი

გაუხსნა.

ასობით ადამიანი, ვინც გრონეველტის მიერ დაწესებული სტიპენდიებით დაასრულა სწავლა კოლეჯში, გულწრფელი გულისტკივილის გამოსახატავად მოსულიყო. შეკრებილთა შორის ბევრი იყო ისეთი მოთამაშეც, ვინც მის სასტუმროში მთელი ქონება დაკარგა და ახლა მოკრძალებულ კმაყოფილებას განიცდიდა იმის გამო, რომ ახლა მაინც „გაიმარჯვა“ გრონეველტზე. განმარტოებით მოსული, მეტწილად შუა ხნის ქალები მოგუდულად ტიროდნენ. ცერემონიას გარდაცვლილის თანხებით აშენებული სინაგოგებისა და კათოლიკური ტაძრების სამრევლოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კაზინოს დაკეტვა გრონეველტის მრწამსისა და სიცოცხლის საზრისისადმი ღალატი იქნებოდა, მაგრამ მისი პერსონალის ის წევრები, ვისთვისაც ეს დღე უქმე იყო, უკლებლივ დაესწრნენ ცერემონიას. ზოგიერთი ვილის ბინადარიც კი მოსულიყო. კროსი და პიპი მათ განსაკუთრებული მოწიწებით დახვდნენ.

ნევადის შტატის გუბერნატორი უოლტერ უევენი ქალაქის მერის თანხლებით დაესწრო დაკრძალვას. მთავარი პროსპექტი გადაკეტეს, რათა ვერცხლისფერი კატაფალკები, შავი ლიმუზინები და ფეხით მოსიარულე მგლოვიარენი სასაფლაომდე თავისუფლად მისულიყვნენ და ალფრედ გრონეველტს უკანასკნელად გაევლო საკუთარი ქმნილების ტერიტორაზე.

ხოლო იმ საღამოს ლას-ვეგასის მოქალაქეებმა ალფრედ

გრონეველტს ის უკანასკნელი პატივი მიაგეს, რასაც ყველაზე მეტად ინატრებდა: ისეთი გამალებით თამაშობდნენ მის კაზინოში, რომ დაწესებულებისთვის მოგების ნამდვილი რეკორდი დამყარდა, თუკი ახალი წლის დღეების მოგებას არ მივიღებთ მხედველობაში. მისდამი პატივისცემის ნიშნად, საკუთარი ფული გრონეველტს „მიწაში ჩააყოლეს“.

ამ დღის ბოლოს კროს დე-ლენა ახალი ცხოვრებისთვის ემზადებოდა.

იმავე საღამოს, მალიბუში, საკუთარ ზღვისპირა სახლში განმარტოებული ათენა ექვითეინი გადაწყვეტილების მიღებას ცდილობდა. ოკეანიდან მონაქროლი ნიავი ღია კარში იჭრებოდა და ტახტზე მჯდომ ქალს ჟრუანტელს ჰგვრიდა.

ძალზე ძნელი წარმოსადგენია მსოფლიოში ცნობილი კინოვარსკვლავის ბავშვობა და მისი ქალად ჩამოყალიბების რთული და მტკივნეული პერიოდი. ვარსკვლავური ხიბლი იმდენად მომნუსხველია, კაცი იფიქრებს, ისინი პირდაპირ ზევსის თავიდან იშვნენ უკვე ჩამოყალიბებულ გმირებად. არასოდეს ჩაუსველებიათ საწოლში, არასოდეს ჰქონიათ მუწუკები, არც მოზარდის უმწიფარი სიუშნოვე, არც ავადმყოფური მორიდება და საკუთარი თავისადმი ზიზღი განუცდიათ, არასოდეს დაკავებულან მასტურბაციით, არც საყვარელი ადამიანისთვის მიუმართავთ მუდარით და არც ბედის ანაბარად დარჩენილან.

ათენა ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ მსოფლიოში არავინ

დაბადებულა მასზე იღბლიანი. მასთან ყველაფერი ბუნებრივად მოდიოდა. არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავდა, რომლებმაც მისი ნიჭი ადრევე ამოიცნეს და მის გასაღვივებლად ყველაფერი გააკეთეს. მის ფიზიკურ სილამაზეს აღმერთებდნენ, მაგრამ ამავდროულად, მისი გონების გასავითარებლად ყველაფერი გააკეთეს. მამა სპორტში ავარჯიშებდა, დედა - ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ბავშვობის ვერც ერთ ისეთ წუთს ვერ იხსენებდა, როდესაც თავი უბედურად უგრძნია. მანამ, ვიდრე ჩვიდმეტი წლის შესრულდებოდა.

კოლეჯის საფეხბურთო გუნდის ვარსკვლავი, მასზე ოთხი წლით უფროსი ბაზ სკანეტი შეუყვარდა. ბაზი მამაკაცის კვალობაზე თითქმის ისეთივე მოხდენილი იყო, როგორც ათენა - ქალის კვალობაზე, გარდა ამისა, საოცრად მომხიბვლელი და ენამოსწრებული იყო და ათენა სიგიჟემდე უყვარდა. მათი სრულყოფილი, ასხმული სხეულები ერთურთს მაგნიტური ძალით ელტვოდა, ერთად ყოფნამ წყვილი სიტკბოების მწვერვალზე აიყვანა და ნეტარების სამუდამოდ გასაგრძელებლად იქორწინეს.

სულ რაღაც ორი-სამი თვის შემდეგ ათენა დაფეხმძიმდა, თუმცა წონაში თითქმის არ მოუმატებია და სილამაზე არ დაუკარგავს, არც შეუძლოდ გრძნობდა თავს და ბავშვის ყოლის პერსპექტივამ ძალზე გაახარა. ამიტომაც კოლეჯში სწავლა და დრამის კურსებზე სიარული არ შეუწყვეტია, ძველებურად თამაშობდა გოლფსა და ჩოგბურთს. ბაზი ჩოგბურთში უგებდა, მაგრამ გოლფში ათენა ბევრად ჯობდა ქმარს.

ბაზი თავისი მამის ბანკში მსახურობდა. ათენას გოგონა ეყოლა,

რომელსაც ბეთანი დაარქვა. არც მშობიარობის შემდეგ მიუტოვებია სწავლა, რადგან ბაზს ძიძისა და შინამოსამსახურის დასაქირავებლად საკმარისი სახსრები ჰქონდა. გათხოვების შემდეგ ათენა ძველებურზე მეტადაც კი დაეწაფა ცოდნას, ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით დრამებს. პირანდელო ახალისებდა, სტრინდბერგი აღიზიანებდა, ტენესი უილიამსის კითხვისას ცრემლებს ღვრიდა. განათლებამ მის ფიზიკურ სილამაზეს განსაკუთრებული ღირსება შემატა, რომელიც ბუნებრივ სილამაზეს ხშირად აკლია. საკვირველი სულაც არ იყო, რომ ის უამრავ, ახალგაზრდა თუ ხნიერ მამაკაცს უყვარდებოდა. ბაზ სკანეტს ასეთი ცოლის გამო მეგობრები შურის თვალით უყურებდნენ. ათენას საკუთარი სრულყოფილება ეამაყებოდა, ვიდრე წლების შემდეგ მიხვდებოდა, რომ სწორედ მისი სრულყოფილების გამო ბევრ ადამიანში, მათ შორისმის მეგობრებსა და საყვარლებში, გაღიზიანებასა და სიძულვილსაც კი აღძრავდა. [P SEP]

ბაზი ხუმრობით ამბობდა, ეს იგივეა, „როლს-როისი“ გყავდეს და მისი ყოველღამით ქუჩაში დაყენება გიწევდესო. შესანიშნავად აცნობიერებდა იმას, რომ მისი ცოლი განსაკუთრებული იყო და ბევრად მეტს იმსახურებდა. საკმაოდ გონიერი იყო, ცხადად დაენახა, რომ ამ ქალს ისევე დაკარგავდა, როგორც ყველა თავისი ოცნება დაკარგა. თუმცა იცოდა, რომ უშიშარი იყო, თავისი ვაჟკაცობის ომში დამტკიცებამ არ მოუწია. იცოდა, რომ ხიბლისა და კარგი გარეგნობის მიუხედავად, არანაირი განსაკუთრებული ნიჭით არ იყო დაჯილდოებული. არც სიმდიდრის დაგროვება იზიდავდა. [P SEP]

შურდა ათენას ნიჭის და იმის, რომ ქალმა ამ სამყაროში საკუთარი ადგილი მონახა.

ამიტომ, ბაზ სკანეტმა ბედის გამოწვევა გადაწყვიტა: დაიწყო სმა, მეგობრების ცოლების შეცდენა, თავისი მამის ბანკში კი არალეგალურ ოპერაციებს ატარებდა. საკუთარი გაქნილობა სიამაყით ავსებდა, როგორც რაღაც ახალშეძენილი ხელობა. ამით ცდილობდა ცოლისადმი მზარდი სიძულვილის დაოკებას. და განა ათენასნაირი ნიჭიერი და მშვენიერი ქალისადმი სიძულვილი დიდ სიმამაცეს არ საჭიროებდა?!

ცხოვრების არეული წესის მიუხედავად, ბაზი საოცრად ღონიერი და ჯანმრთელი იყო. თავის ჯამრთელობას დაჟინებით ებღაუჭებოდა, უამრავ დროს უთმობდა ვარჯიშს, კრივზე დადიოდა. უყვარდა რინგი, სადაც მუშტით ადამიანისთვის სახის დალეწვა შეეძლო. ტკივილისა და დამარცხების მედგრად ატანაც უყვარდა. ნადირობაც უყვარდა და გულუბრყვილო ქალების შეცდენაც, მიჯნურობის ერთფეროვანი სქემატურობაც.

მერე კი ყველაფერთან შეგუების უნარმა გამოსავალი უჩვენა. მასა და ათენას კიდევ ეყოლებოდათ შვილები. ოთხი, ხუთი, ექვსი. ეს მათ ერთმანეთთან დააახლოებდა, ქალი მას ვეღარ დაუსხლტებოდა. მაგრამ ამ დროისთვის ათენამ მისი განზრახვა განჭვრიტა და მტკიცე უარი უთხრა. უფრო მეტიც: უთხრა, - თუ შვილები გინდა, იმ ქალებმა გაგიჩინონ, რომლებსაც ხმარობო.

მაშინ პირველად დაელაპარაკა ასე მწარედ. კაცს არც კი

გაჰკვირვებია, რომ ათენამ მისი ღალატის შესახებ იცოდა. ამის დამალვას არც კი ცდილობდა. უფრო მეტიც, ქვეცნობიერად სურდა კიდეც, ცოლს ეს სცოდნოდა: მაშინ ხომ გამოვიდოდა, რომ ცოლმა საკუთარი ნებით კი არ მიატოვა, არამედ თვითონ თქვა ცოლზე უარი.

ათენა ამჩნევდა იმას, რაც ბაზის თავს ხდებოდა, მაგრამ მეტისმეტად ახალგზარდა იყო და საკუთარი თავით დაკავებული, რათა სერიოზული ზომები მიეღო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბაზს აგრესიის შეტევები დაეწყო, ოცი წლის ათენამ მტკიცე ხასიათი და ქმრის ახირებებისადმი შეურიგებლობა გამოავლინა.

ბაზმა იმგვარი თამაშები წამოიწყო, რასაც მამაკაცები ქალისადმი სიძულვილით სჩადიან. ათენას ეჩვენებოდა, რომ ქმარი თანდათან ჭკუიდან იშლებოდა.

სამსახურიდან შინ დაბრუნებისას ბაზი ხშირად შეივლიდა ქიმწმენდაში თავისი და ცოლის ტანისამოსის წამოსაღებად, რადგან ხშირად იმეორებდა, - ძვირფასო, შენი დრო ჩემსაზე უფრო ძვირფასია, შენ დიპლომთან ერთად, მუსიკისა და დრამის კურსებით ხარ დაკავებულიო. ეგონა, ცოლი მის კილოში მწარე საყვედურის ნიშანს ვერ ამოიკითხავდა.

ერთ დღეს ბაზი ათენას კაბებით დატვირთული მოვიდა შინ. ცოლი აბაზანაში დახვდა. კაცმა წყალში მწოლიარეს დახედა, თვალი შეავლო მის ქათქათა კანს, ოქროსფერ თმას, თეთრი ქაფით შემკულ ქორფა ძუძუებსა და დუნდულებს. უეცრად ჩახრინწული ხმით უთხრა:

- ეს ხარახაურა ახლა საპნიან წყალში რომ ჩაგიყარო, როგორ მოგეწონება?

თუმცა, ნაცვლად ამისა, მან კაბები სათუთად ჩამოკიდა კარადაში, ათენას აბაზანიდან ამოსვლასა და გამშრალებაში მიეხმარა, მერე კი დიდხანს ეალერსა. რამდენიმე კვირის შემდეგ ეს სცენა გამეორდა, ოღონდ ამჯერად მან ტანისამოსი მართლაც ჩაყარა წყალში.

ერთ საღამოს დაემუქრა, - მაგიდაზე რა ჭურჭელიცაა, ყველაფერს დავლეწავო. ერთი კვირის შემდეგ სამზარეულოში ყველაფერი ნამსხვრევებად აქცია. ამგვარი გამოხდომების შემდეგ მუდამ ბოდიშს იხდიდა და ცოლს ეალერსებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ათენას ეს ყელში ამოუვიდა და იმ ღამით მათ სხვადასხვა საძინებელში ეძინათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ საღამოს ბაზმა ცოლს მუშტი მოუღერა და უთხრა:

- ისეთი უნაკლო სახე გაქვს, მეტისმეტიც კია. იქნებ, ცხვირი რომ მიგინგრიო, უფრო სახასიათო გარეგნობა გქონდეს, მარლონ ბრანდოსავით?

ათენა სამზარეულოსკენ გაიქცა, ქმარი გამოეკიდა. ქალს ძალიან შეეშინდა, დანას დასწვდა. ბაზს გაეცინა და უთხრა, - აი, ამას კი ნამდვილად ვერ გააკეთებო. მართალიც იყო. დანა გამოართვა და უთხრა:

- ვიხუმრე. შენი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ იუმორის გრძნობა არ გაქვს.

ათენას შეეძლო, მშობლებისთვის ეთხოვა დახმარება, მაგრამ ეს არ გაუკეთებია, არც რომელიმე მეგობრისთვის უთქვამს ამის შესახებ. ნაცვლად ამისა, ყველაფერი საგულდაგულოდ აწონ-დაწონა და საკუთარ გონიერებას მიენდო. მიხვდა, რომ ძალზე საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა, კოლეჯს მშვიდად ვერ დაამთავრებდა და ვერც პოლიცია დაიცავდა. ერთი პირობა გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო, რომ ბაზს ხელახლა, უწინდელივით შეჰყვარებოდა, მაგრამ ამ დროს უკვე მის მიმართისეთ ფიზიკურ ზიზღს განიცდიდა, რომ ძალზე გაუჭირდებოდა თვალთმაქცობა, თუმცა მოსიყვარულე ქალის როლი მისთვის პროფესიულად საინტერესო იქნებოდა.

საბოლოოდ ბაზის მიტოვება ისეთმა რამემ გადააწყვეტინა, რაც თავად კი არა, მათ ერთი წლის ქალიშვილ ბეთანის უკავშირდებოდა.

ბაზი ხშირად ეთამაშებოდა ბავშვს: მაღლა ააგდებდა, თავს ისე მოაჩვენებდა, თითქოს მის დაჭერას არ აპირებდა და მხოლოდ უკანასკნელ წამს შეაშველებდა ხელებს. მაგრამ ერთხელ, თითქოს შემთხვევით, ბავშვი ტახტზე დაუვარდა. მოგვიანებით კი უკვე აშკარად განგებ დააგდო ძირს. ათენამ შეჰყვირა, ბავშვს მივარდა და ხელში აიტაცა. მთელი ღამე მის საწოლთან იჯდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ არაფერი მოუვიდოდა. ბეთანის თავზე დიდი დაჟეჟილობა ჰქონდა. ბაზი ტირილით ებოდიშებოდა და ჰპირდებოდა, ასე აღარასოდეს ვიხუმრებო, მაგრამ ათენას უკვე მიეღო გადაწყვეტილება.

მეორე დღეს ქალმა საკუთარი ხარჯები და დანაზოგი გადაითვალა. რთული სამოგზაურო გეგმა დასახა, რათა ბაზს მისი ადგილსამყოფელი არ გაეგო და, როცა ორი დღის შემდეგ ბაზი სამსახურიდან შინ დაბრუნდა, ცოლ-შვილი აღარ დახვდა.

ექვსი თვის შემდეგ ათენა ლოს-ანჯელესში ბავშვის გარეშე გამოჩნდა და კინოკარიერა დაიწყო. საშუალო კლასის აგენტთან დაკავშირება არ გასჭირვებია და მალე თეატრალურ ჯგუფებთან მუშაობა დაიწყო. თავიდან „მარკ თეიპერის ფორუმის“ ერთ-ერთ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა, რამაც კინოში მცირე როლებისკენ გაუხსნა გზა. ბოლოს მაღალრეიტინგულ ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. მომდევნო როლით უკვე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავის სტატუსს მიაღწია. სწორედ მაშინ მის ცხოვრებაში კვლავ შეაბიჯა ბაზ სკანეტმა.

მომდევნო სამი წლის განმავლობაში ათენა ფულის მეშვეობით მის თავიდან მოშორებას ახერხებდა, თუმცა კინოაკადემიის დაჯილდოების დღეს რაც მოხდა, სულაც არ გაჰკვირვებია. ძველი ხრიკი იყო. ამჯერად - მხოლოდ ხუმრობა... მაგრამ შემდეგ ჯერზე ბოთლი მჟავით იქნება სავსე.

- სტუდიაში დიდი ამბებია, - უთხრა იმ დილით მოლი ფლენდერსმა კლოდია დე-ლენას, - ათენა ექვითეინთან პრობლემა აქვთ. დაჯილდოებისას მასზე თავდასხმის გამო ეშინიათ, ფილმში გადაღება არ შეწყვიტოს. ბენცი სტუდიაში გიძახებს. უნდათ, რომ ათენას შენ დაელაპარაკო.

კლოდია მოლის ოფისში ერნესტ ვეილთან ერთად მოსულიყო.

- როგორც კი აქ მოვათავებთ საქმეს, მაშინვე დავურეკავ, - უპასუხა მან მოლის, - არა მგონია, სერიოზულად ამბობდეს გადაღებაზე უარს.

მოლი ფლენდერსი შოუბიზნესის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი იურისტი იყო, ყველას შიშის ზარს სცემდა, განსაკუთრებულად უყვარდა სასამართლო დარბაზში ბატალიების გამართვა და მუდამ გამარჯვებულიც გამოდიოდა, რადგან საუკეთესო მსახიობიც იყო და კანონებიც უნაკლოდ იცოდა.

შოუბიზნესის სფეროში გადასვლამდე კალიფორნიის სასამართლოს ნომერ პირველი ადვოკატი იყო და, სულ ცოტა, ოცი მკვლელი იხსნა გაზის კამერისაგან. მის კლიენტებს მაქსიმუმ რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ბოლოს მოლის ნერვებმა უმტყუნა და კულტურის სფეროში გადაინაცვლა. მას მერე ხშირად უხუმრია, აქ სისხლი ნაკლებია, ბოროტმოქმედნი კი უფრო გამჭრიახნი და გაქნილნი არიანო.

ამჟამად ის მაღალრეიტინგული ფილმების, რენტაბელური ვარსკვლავებისა და მაღალი კლასის სცენარისტების ინტერესებს იცავდა. „ოსკარის“ დაჯილდოებიდან მეორე დღეს მის ოფისში მისი უსაყვარლესი კლიენტი, კლოდია დე-ლენა მოსულიყო. მას თან ახლდა ოდესღაც პოპულარული მწერალი, ამჟამად მისი პარტნიორი სცენარისტი, ერნესტ ვეილი.

კლოდია მოლის ძველი მეგობარი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ

მისი ყველაზე უმნიშვნელო კლიენტი იყო, მთელი გულით უყვარდა. ამიტომაც, როცა კლოდიამ ვეილისთვის დახმარების გაწევა სთხოვა, მოლის უარი არ უთქვამს. ახლა კი ამას ნანობდა, რადგან ვეილი ისეთ რამეს სთხოვდა, რასაც ვერაფრით შეასრულებდა. თანაც ამ კაცისადმი სიმპათიით ვერ განიმსჭვალა, თუმცა ჩვეულებრივ, ყველა კლიენტის, უსასტიკესი მკვლელების მიმართაც კი კეთილგანწყობის გამოხატვას ახერხებდა. სამაგიეროდ, ახლა სულაც არ სწყდებოდა გული, მისი უარით გასტუმრება რომ უწევდა. [P SEP]

- ერნესტ, - მიმართა მან, - ყველა კონტრაქტსა და მთელ დოკუმენტაციას გავეცანი და დავრწმუნდი, რომ სტუდია „ლოდსტოუნს“ ვერაფერში შეედავებით. თქვენთვის საავტორო უფლებების დაბრუნების ერთადერთი საშუალება ის იქნება, თუკი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ანუ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გარდაიცვლებით. [P SEP]

ათი წლის წინ ერნესტ ვეილი ამერიკის ყველაზე ცნობილი მწერალი გახლდათ. კრიტიკოსები ხოტბას ასხამდნენ, მის წიგნებს მკითხველების მასა კითხულობდა. მისი ერთ-ერთი რომანის საავტორო უფლებები სტუდია „ლოდსტოუნმა“ შეისყიდა და მისი ეკრანიზაციით გვარიანი მოგებაც ნახა. მისმა ორმა გაგრძელებამაც დიდი წარმატებით ჩაიარა. სტუდია კიდევ ოთხი გაგრძელების გადაღებას გეგმავდა. საუბედუროდ, საწყისი კონტრაქტის თანახმად, ვეილმა სტუდიას თავისი პერსონაჟების გამოყენების შეუზღუდავი უფლება მიჰყიდა, რომელიც ქვეყნიერების ყველა პლანეტაზე და

შოუბიზნესის ყველა, არსებულ თუ ჯერ არგამოგონილ სახეობაზე ვრცელდებოდა. ეს სტანდარტული კონტრაქტი გახლდათ იმ მწერლებისთვის, ვინც შოუბიზნესში სრული ბრიყვები იყვნენ.

ერნესტ ვეილს სახეზე მუდამ დაღვრემილი გამომეტყველება აღბეჭდოდა და ამის საკმაო მიზეზებიცჰქონდა. თუმცა კრიტიკოსები მის წიგნებს კვლავაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ, მაგრამ ხალხი აღარ კითხულობდა. თანაც, ნიჭის მიუხედავად, ცხოვრებაში არ გაუმართლა. ცოლმა მიატოვა და მათი სამი შვილიც თან წაიყვანა. ერთადერთი წარმატებული წიგნისთვის ერთჯერადი თანხა მიიღო, მაშინ, როდესაც კინოსტუდიის მესვეურნი მისი წყალობით, მომავალშიც მილიონებს მოიპოვებდნენ.

- კარგად ამიხსენით, - სთხოვა ვეილმა.

- კონტრაქტს წყალი არ გაუვა, - გარკვევით აუხსნა მოლიმ, - სტუდია თქვენს პერსონაჟებს ფლობს. ერთადერთი გამოსავალი ესაა: თქვენი გარდაცვალების შემთხვევაში უფლებები თქვენს მემკვიდრეებს გადაეცემათ.

- გამოვისყიდი, - თქვა ვეილმა და პირველად გაიღიმა.

- მაინც რა თანხაზე ვლაპარაკობთ? - ჩაერთო კლოდია.

- მთელი მოგების ხუთ პროცენტზე, - უპასუხა მოლიმ, - თუ დავუშვებთ, რომ ფილმის კიდევ ხუთი გაგრძელება გადაიღეს, და არცთუ წარუმატებელი, მაშინ ლაპარაკი ოცდაათ ან ორმოც მილიონზეა, - ის წამით დადუმდა, მერე კი ირონიულად შენიშნა: - თუკი ამქვეყნად აღარ იქნებით, შევძლებ, თქვენს მემკვიდრეებს დავეხმარო.

მაშინ კინოსტუდიის წინააღმდეგ სერიოზულად ვიქნებით შეიარაღებული.

- გთხოვთ, კინოსტუდიას დაუკავშირდეთ, - უთხრა ვეილმა, - მათთან შეხვედრა მინდა. დავარწმუნებ, რომ თუკი წილში არ ჩამსვეს, თავს მოვიკლავ.

- არ დაგიჯერებენ, - მშვიდად უპასუხა მოლიმ.

- მაშინ ამას მართლა ჩავიდენ, - არ ცხრებოდა ვეილი.

- მოდი, გონივრულად ვიმსჯელოთ, - სცადა მისი დამშვიდება კლოდიამ, - ერნესტ, შენ მხოლოდ ორმოცდათექვსმეტი წლის ხარ, ეს მეტისმეტად ადრეა საიმისოდ, რომ ფულის გულისთვის სიკვდილი ღირდეს.

- ცოლსა და შვილებზე ხომ უნდა ვიზრუნო, - თქვა ვეილმა.

- ყოფილ ცოლზე, - შეუსწორა მოლიმ, - თუ ღმერთი გწამთ, მას მერე კიდევ ორი ცოლი გყავდათ.

- მე ჩემს ნამდვილ ცოლს ვგულისხმობ, ვინც შვილები გამიჩინა.

მოლი მიხვდა, ეს ადამიანი მთელ ჰოლივუდს რატომაც სძულდა.

- სტუდია არ მოგცემთ იმას, რასაც ითხოვთ. მშვენივრად იციან, რომ თავს არ მოიკლავთ და მწერალს თავს არ გააბითურებინებს. მაღალრეიტინგული კინოვარსკვლავი რომ იყოთ, კიდევ მესმის, ანდა რეჟისორი. მაშინ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ მწერალი ამ სფეროში ცარიელი ადგილია. ვწუხვარ, კლოდია.

- ეს მეც ვიცი და ერნესტმაც იცის, - უთხრა კლოდიამ, - მაგრამ ნუთუ სრულიად არაფრის გაკეთება არ შეგიძლია?

მოლიმ მძიმედ ამოიოხრა და ელი მერისონს დაურეკა, რომელსაც სტუდია „ლოდსტოუნის“ პრეზიდენტ ბობი ბენცთან დაკავშირება შეეძლო.

მოგვიანებით კლოდია და ვეილი პოლოს კლუბში სასმლის ჭიქებით მაგიდას უსხდნენ. ვეილი დაფიქრდა, შემდეგ თქვა:

- დიდი ქალია. საქმიანი. თუ შეგიმჩნევია, დიდი ქალების ცდუნება ბევრად უფრო ადვილი რომაა? და ისინი საწოლშიც უფრო სასიამოვნონი არიან, ვიდრე პატარები.

კლოდიამ უკვე მერამდენედ გაიკვირვა, - ნეტავ, ვეილი ასე ძალიან რისთვის მიყვარსო?.. ის თითქმის არავის უყვარდა. მაგრამ კლოდია დღემდე აღტაცებული იყო ვეილის რომანებით.

- აბა, რას მიედ-მოედები! - რბილად უთხრა ქალმა.

- ასეთი ქალები უფრო ალერსიანნი არიან, მამაკაცს საუზმეს საწოლში მიართმევენ ხოლმე და ათას საამო, ძალზე ქალურ წვრილმანს უკეთებენ.

კლოდიამ მხრები აიჩეჩა.

- დიდ ქალებს კეთილი გული აქვთ. ერთხელ ერთმა წვეულებიდან შინ მიმიყვანა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მომქცეოდა. საწოლ ოთახს ზუსტად ისევე შეავლო თვალი, როგორც დედაჩემი შეავლებდა ხოლმე თვალს სამზარეულოს, როცა სტუმრებს ელოდა, შინ კი ბევრი არაფერი ჰქონდა. ესეც თავს იმტვრევდა, როგორ უნდა მოგვემოქმედა რაიმე იმ მწირი საშუალებებით, რაც გვქონდა.

ორივემ სასმელი მოსვა. როცა ვეილი ასე ენაკვიმატად საუბრობდა,

კლოდია მისი ხიბლის წინაშე უძლური იყო. P SEP

- იცი, მოლი როგორ გავიცანი? - ჰკითხა მან ვეილს. - ერთ ტიპს იცავდა, რომელმაც ცოლი მოკლა, და მთხოვა, მისთვის დიალოგის ტექსტი დამეწერა. მეც, როგორც სცენარი, ისე დავწერე და მის კლიენტს სასჯელი შეურბილეს. მას მერე სასამართლოში წარსადგენად კიდევ სამჯერ დავუწერე მსჯავრდადებულის ჩვენება. P SEP

- როგორ მძულს ჰოლივუდი! - ჩაილაპარაკა ვეილმა. P SEP

- შენ ჰოლივუდი იმიტომ გძულს, რომ „ლოდსტოუნმა“ გადაგაგდო. P SEP

- არა მარტო ამის გამო. მე იმ ძველ ცივილიზაციებს ვგავარ, აცტეკებს, ჩინეთის იმპერიას თუ ჩრდილოეთამერიკელ ინდიელებს, რომლებიც მათზე უფრო განვითარებული ტექნიკის მქონე ხალხმა დაამარცხა. მე ჭეშმარიტი მწერალი ვარ. ჩემი ნაწარმოებები გონებას ავითარებს. მაგრამ ეს ძალზე ჩამორჩენილი ტექნიკაა. ჩემი წიგნები კინოს ვერ უწევს კონკურენციას. კინოს უახლესი კამერები, მუსიკა და დიდებული სახეები აქვს. ამ ყველაფერს როგორ გაუმკლავდება მხოლოდ სიტყვებით შეიარაღებული მწერალი?! თანაც, კინომ ბრძოლის ველი შეავიწროვა: ადამიანთა გონების დაპყრობას არც კი ცდილობს, მისთვის გულების დაპყრობაც კმარა. P SEP

- შენი დედაც,მე რა, მწერალი არ ვარ?! - გაცხარდა კლოდია. - შენი აზრით, სცენარისტი მწერალი არ არის? ამას მხოლოდ იმიტომ ამტკიცებ, რომ სცენარის დაწერა არ შეგიძლია. P SEP

- შენი დამცირება არ მსურს, - მხარზე ხელი მოუსვა ვეილმა, - არც

საერთოდ, კინოს დამცირება. უბრალოდ ზღვარს ვავლებ.

- გაგიმართლა, რომ შენი წიგნები მიყვარს. სხვა მხრივ არ მიკვირს, რომ აქ ყველანი ალმაცერად გიყურებენ.

- არა, ალმაცერად არ მიყურებენ. უბრალოდ, ბედოვლათად მთვლიან. მაგრამ როცა ჩემი ოჯახი ჩემი სიკვდილის შემდეგ საავტორო უფლებებს დაიბრუნებს, ყველა პატივისცემით მომიხსენიებს.

- არა მგონია, ამას სერიოზულად ამბობდე.

- სერიოზულად ვამბობ. თვითმკვლელობა ძალზე მიმზიდველი ცდუნებაა. თუ დღეს ეს პოლიტიკურად არაკორექტულად ითვლება?

- უჰ, შენი! - კლოდიამ ვეილს კისერზე ხელი მოხვია. - ბრძოლა ჯერ მხოლოდ იწყება. დარწმუნებული ვარ, ყურს მაინც დამიგდებენ, როცა შენს წილს მოვთხოვ. გესმის?

- არ იდარდო. მე არ ვიჩქარებ. სულ ცოტა, ექვსი თვე მაინც დამჭირდება იმის მოსაფიქრებლად, თუ როგორ ჯობს, სიცოცხლე მოვისწრაფო. ძალადობას ვერ ვიტან.

კლოდიამ ერთბაშად ახლაღა გაიაზრა, რომ ვეილი არ ხუმრობდა და თვითონაც გაუკვირდა, როცა მისი სიკვდილის შესახებ გაფიქრებამ არნახულად დაზაფრა. არა, ვეილი არ უყვარდა, თუმცა ერთხანს საყვარლები იყვნენ, მაგრამ საქმე არც უბრალო ადამიანურ სიმპათიაში იყო. ქალი იმ აზრმა შეძრა, რომ ამ შესანიშნავი წიგნების ავტორს ფული მათზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ხელოვნება შეიძლება ისეთი უღირსი მეტოქის ხელით დამარცხდეს,

როგორიც ფულია. სწორედ ამ პანიკამ ათქმევინა:

- უკიდურეს შემთხვევაში, ვეგასში წავიდეთ და ჩემს ძმას, კროსს შევხვდეთ. ის შენდამი კარგად არის განწყობილი და რამეს იღონებს.

- არა მგონია, ამდენად კარგად იყოს ჩემდამი განწყობილი.

- კეთილი გული აქვს. დამიჯერე, ჩემს ძმას ვიცნობ, - უთხრა კლოდიამ.

- არა, არ იცნობ, - თავი გააქნია ვეილმა.

დაჯილდოების შემდეგ ათენა ბანკეტს აღარ დასწრებია, შინ დაბრუნდა და მაშინვე საწოლში ჩაწვა. რამდენიმე საათს იწრიალა და ვერაფრით დაიძინა. სხეულის ყოველი კუნთი დაძაბული ჰქონდა. ეს აღარ უნდა გამეორდესო, ფიქრობდა გამუდმებით. ამას აღარ გავამეორებინებ. მეყო შიშში ცხოვრება.

ჩაი მოიმზადა, უნდოდა დაელია, მაგრამ ხელის კანკალი შენიშნა და ამან უარესად გააღიზიანა. აივანზე გავიდა და ღამის ცას დაუწყო ცქერა. კარგა ხანს იდგა ასე, მაგრამ გულისცემა არ შეუნელდა.

თეთრი შორტი და ჩოგბურთის ფეხსაცმელი ჩაიცვა და გაიქცა. შეუჩერებლად მიუყვებოდა სანაპიროს, ცდილობდა, მყარ სველ ქვიშაზე დაებიჯებინა და მოქცეული წყლისთვის იმ მომენტში აერიდებინა თავი, როცა ის მის ტერფებთან სულ ახლოს აღწევდა. გონებაში ყველაფრის მოწესრიგებას ცდილობდა. ბაზს თავს არ დაუხრიდა. არავითარ შემთხვევაში. მეტისმეტად ბევრი იშრომა, ბევრს მიაღწია. ბაზი ადრე თუ გვიან, მოკლავდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

მაგრამ მანამდე გაეთამაშებოდა, გააწვალებდა, ბოლოს დაამახინჯებდა, რადგან ეგონა, ასე კვლავ დაიბრუნებდა. გრნობდა, ბოღმა ცხელ ტალღად როგორ მოადგა ყელზე და ახრჩობდა. ცივი ნიავი ოკეანის შხეფებს სახეში ესროდა. არა, აღარასოდეს!

კინოსტუდია მოაგონდა. იცოდა, მის დარწმუნებას და დაშინებასაც კი რომ შეეცდებოდნენ. მაგრამ სინამდვილეში მისი კარიერა კი არა, ფული აღელვებდათ. თავისი მეგობარი კლოდია მოაგონდა. იფიქრა, ჩემმა წასვლამ მას შეიძლება, მთელი პროფესიული საქმიანობა დაუნგრიოსო. სხვებზეც იფიქრა, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანაგრძნობა მისთვის ახლა ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა. ბაზი შეშლილი იყო და, საღად მოაზროვნე ადამიანებს მისი დარწმუნება რომ ეცადათ, თავს მოიკატუნებდა, რადგან ძალზე ეშმაკი იყო. მაგრამ ათენაზე უკეთ მას არავინ იცნობდა. იღბლის იმედად ვერ იქნებოდა.

როცა ჩრდილოეთი სანაპიროს ბოლოს დიდ შავ ლოდებს მიაღწია, სრულიად ქანცგაწყვეტილი იყო. ჩამოჯდა და დამშვიდებას შეეცადა. ცაში აფრენილი თოლიების ხმები გაიგონა, თავი ასწია და მათ გუნდს თვალი გააყოლა. თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ თავი ხელში აიყვანა, ყელზე მომდგარი ბურთი გადაყლაპა და დიდი ხნის განმავლობაში პირველად ინატრა მშობლების სიახლოვე. მისი არსების ერთ ნაწილში შეშინებული ბავშვი ცხოვრობდა, რომელსაც ძალზე უნდოდა, შინ, უსაფრთხო თავშესაფარში გაქცეულიყო, ვინმეს ჩახუტებოდა და ყველაფერი დაევიწყებინა. მწარე ღიმილით შეეცადა

იმის გახსენებას, უკანასკნელად როდის სწამდა ხსნის ამგვარი შესაძლებლობის. ახლა ის ყველას უყვარდა, ყველა თაყვანს სცემდა, მაგრამ ამით რა? ნებისმიერ ადამიანზე უფრო მეტად განიცდიდა სიცარიელესა და მარტოსულობას. ზოგჯერ, ქმარ-შვილის გვერდით მდგარ სრულიად ჩვეულებრივ ქალს რომ ჩაუვლიდა, არნახული შური და მონატრება იპყრობდა. „შეჩერდი!“ - უთხრა საკუთარ თავს. ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. გეგმა დასახე და შეასრულე. მხოლოდ საკუთარ ცხოვრებაზე როდი აგებ პასუხს...

უკვე გათენებული იყო, როცა შინ ბრუნდებოდა.თავი მაღლა ჰქონდა აწეული, მშვიდად მიაბიჯებდა. უკვე იცოდა, რაც უნდა ექნა.

ბაზ სკანეტი იმ ღამით პოლიციაში დატოვეს. გათავისუფლების შემდეგ მისმა ადვოკატმა პრესკონფერენცია მოუწყო. სკანეტმა რეპორტიორებს აუხსნა, რომ ათენა ექვითეინი მისი ცოლი იყო, თუმცა ერთმანეთი ათი წელიწადი არ უნახავთ. რაც ჩაიდინა, მხოლოდ ხუმრობა იყო და ის დარწმუნებული იყო, ათენა მას არ უჩივლებდა. ასევე აღიარა, რომ ცოლის შესახებ ერთი საშინელი საიდუმლოება იცოდა. ის მართალი აღმოჩნდა - ათენას პოლიციაში საჩივარი არ შეუტანია.

იმ დღეს ათენამ სტუდია „ლოდსტოუნს“ განუცხადა, რომ არ დაუბრუნდებოდა იმ ფილმზე მუშაობას, რომელიც კინემატოგრაფის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ პროექტს წარმოადგენდა. მასზე ჩადენილი თავდასხმის გამო თვლიდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

მის გარეშე შეუძლებელი იყო ფილმ „მესალინას“ ბოლომდე მიყვანა და მასში ჩადებული ხუთი მილიონი დაიკარგებოდა. ეს აგრეთვე იმასაც ნიშნავდა, რომ ამ დღიდან ათენას არც ერთი წამყვანი კინოსტუდია კონტრაქტს აღარ გაუფორმებდა.

„ლოდსტოუნმა“ გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ მისი ვარსკვლავი გადაიღალა, მაგრამ ერთი თვის შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდებოდა გადასაღებ მოედანს.

თავი 2

„ლოდსტოუნი“ ჰოლივუდის უდიდესი, ყველაზე უფრო გავლენიანი კინოსტუდია გახლდათ, თუმცა ათენას წასვლა მისთვის გამანადგურებელ ღალატს ნიშნავდა. დაუჯერებელიც კია, ასეთი გრანდიოზული ნაგებობა ერთი ადამიანის ნიჭს ეყრდნობოდეს, მაგრამ „მესალინა“ სტუდიას საშობაოდ თავის უდიდეს კოზირად ჰქონდა ჩაფიქრებული, რომელსაც მისი ყველა დანარჩენი პროექტი უნდა „ამოექაჩა“.

ამ მოვლენას დაემთხვა მომდევნო კვირა დღეს დაგეგმილი საქველმოქმედო საღამო, რომელიც თანამეგობრობის ყოველწლიური ფესტივალის ფარგლებში „ლოდსტოუნის“ მთავარი მფლობელის, ელი მერიონის რეზიდენციაში გაიმართებოდა.

ბევერლი-ჰილზის თავზე კლდეებს შორის განლაგებული ეს რეზიდენცია დიდი ოცოთახიანი სახლი იყო, რომელიც ერთი უცნაურობით გამოირჩეოდა: მასში ერთადერთი საძინებელი იყო. ელი

მერიონს არ უყვარდა, როცა მის სახლში მის გარდა ვინმე ღამით რჩებოდა. ცხადია, იქვე სტუმრებისთვის განკუთვნილი ბუნგალოებიც იდგა, ჩოგბურთის კორტებიცა და საცურაო აუზიც იყო მოწყობილი. ელის ექვს ოთახს მისი ფერწერული ტილოების დიდი კოლექცია იკავებდა.

ამ საქველმოქმედო საღამოზე ჰოლივუდის ხუთასი ყველაზე უფრო ცნობილი პიროვნება იყო მიწვეული. თითოეულს დასწრების საფასური - ათასი დოლარი უნდა გადაეხადა. ბაღში გაშლილ კარვებში ბარები და დახლები იყო გაწყობილი, იქვე ორკესტრიც დაუკრავდა და საცეკვაო მოედანიც მოეწყოთ, მაგრამ სტუმრებს სახლში შესვლის უფლება არ ჰქონდათ. ტუალეტის ჯიხურებიც კი საგანგებოდ მოეტანათ და სახალისოდ მორთულ კარვებში განეთავსებინათ.

სახლი, ბუნგალოები, ჩოგბურთის კორტები და საცურაო აუზი შემოღობილი იყო და ამ ღობეს დაცვის თანამშრომლები იცავდნენ. სტუმრები ამის გამო უკმაყოფილებას არ გამოთქვამდნენ: ელი მერიონი იმდენად გავლენიანი პიროვნება იყო, რომ მასზე განაწყენება არ ღირდა.

ვიდრე სტუმრები მოლზე დასეირნობდნენ, ცეკვავდნენ და ჭორაობდნენ, - წვეულება სამ საათს უნდა გაგრძელებულიყო, - მერიონი თავისი სახლის საკონფერენციო დარბაზში იმ პირებთან ერთად იმყოფებოდა, ვისაც „მესალინას“ გადაღებასთან უშუალო შეხება ჰქონდა.

მერიონი შეკრებას თავმჯდომარეობდა. ოთხმოცი წლის იყო,

მაგრამ ასაკი იმდენად ოსტატურად ჰქონდა შენიღბული, სამოცზე მეტის არ გეგონებოდათ. ჭაღარა თმა უნაკლოდ ჰქონდა შეკრეჭილი და ვერცხლისფერი საღებავით შეფერილი. კოსტიუმი მხრებს უფართოებდა, ჩამომხმარ სხეულს სისავსეს მატებდა, ჩხირივით გამხდარ ფეხებს უფარავდა. საუცხოოდ შეკერილი ყავისფერი ფეხსაცმელებით მიწაზე მყარად იდგა. თეთრ პერანგზე ვარდისფერი ჰალსტუხი ეკეთა, რომელიც მისი სახის მორუხო სიმკრთალეს აცოცხლებდა. მერიონი იშვიათად ერეოდა სტუდიის საქმეებში: მათ ძირითადად, უბრალო მოკვდავებს ანდობდა.

თუმცა უკვე დაწყებული „მესალინას“ გადაღებების შეწყვეტა იმდენად სერიოზული ფაქტი იყო, მერიონის ყურადღება მიიპყრო. ეს ასმილიონდოლარიანი პროდუქცია უნდა ყოფილიყო, რომლის ვიდეო, სატელევიზიო, საკაბელო და საზღვარგარეთის ტრანსლაციის უფლებები უკვე გაყიდული იყო გადაღებების ხარჯების დაფარვის მიზნით. და ეს დიდებული განძი ახლა ძვირფასეულობით დატვირთული ძველი ესპანური ხომალდივით უნდა ჩაძირულიყო.

ცალკე ათენას მდგომარეობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ოცდაათი წლის ასაკში მსოფლიოში სახელგანთქმულ ვარსკვლავად იქცა, „ლოდსტოუნს“ მასთან უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი მომდევნო ბლოკბასტერში მონაწილეობაზე. სრულყოფილი, ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა, მასზე ძვირფასი კი მერიონს ქვეყნად სხვა არაფერი ეგულებოდა. ნიჭის წინაშე ქედს იხრიდა.

მაგრამ ნიჭი დინამიტს ჰგავდა, ყოველწამიერ საფრთხეს ფარავდა

და მისი გაკონტროლება იყო საჭირო. ოღონდ ეს სიყვარულით უნდა გაგეკეთებინა, ალერსით მოპყრობოდი, არაფერი დაგეშურებინა. მისთვის დედაც უნდა გამხდარიყავი, მამაც, და-ძმაც და სატრფოც კი. ნიჭი ნებისმიერ მსხვერპლად ღირდა. მაგრამ ისეთი მომენტებიც დგებოდა, როცა სიმტკიცე უნდა გამოგეჩინა და უმოწყალოდ დაგესაჯა.

ამგვარად, მერიონთან ერთად დარბაზში ის ადამიანები შეკრებილიყვნენ, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ მისი ნების აღსასრულებლად: ბობი ბენცი, სკიპი დირი, მილო სტიუარტი და დიტა ტომი.

როდესაც ელი მერიონი მათ ამ დარბაზში იღებდა, სადაც ავეჯისა და ფერწერული ტილოების ღირებულება ოც მილიონს აღწევდა, ბროლის ლარნაკები კი - დამატებით ნახევარ მილიონს უტოლდებოდა, ეჩვენებოდა, ეს-ესაა ძვლები ჩამემსხვრევა და ჩავიკეცებიო. სულ უფრო მეტად უჭირდა მსოფლიოს წინაშე იმ ყოვლისშემძლე პიროვნებად წარდგომა, რადაც ყველას მიაჩნდა.

უკვე დილაობითაც კი თავს მხნედ ვერ გრძნობდა. უჭირდა პირის გაპარსვა, პერანგის ღილებისა და ჰალსტუხის შეკვრაც კი ღლიდა. ამაზე უფრო შემზარავი კი სულიერი სისუსტე გახლდათ, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მერიონს თავისზე ნაკლებგავლენიანი ადამიანებისადმი სიბრალული იპყრობდა. ბოლო დროს სულ უფრო მეტად მიმართავდა დასახმარებლად ბობი ბენცს და მეტ თავისუფლებასაც აძლევდა. ეს ადამიანი მისი უახლოესი მეგობარი

იყო, მასზე ოცდაათი წლით უმცროსი და მისი ერთგული.

ბენცი სტუდიის პრეზიდენტი და უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი იყო. წლების მანძილზე ედგა მხარში მერიონს და ერთიმეორეს არაჩვეულებრივად შეეწყვნენ. სამოცდაათს რომ გადასცდა, მერიონი მეტისმეტად გულჩვილი გახდა და ზოგიერთი ხისტი, თუმცა აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება უჭირდა, ამიტომ ბენცი ამ გადაწყვეტილებებს მის მაგივრად იღებდა და ასრულებდა კიდეც.

ბენცი რეჟისორებისგან გამზადებულ ფილმებს იღებდა და მათაუდიტორიისთვის ხელმისწავდომს ხდიდა. სწორედ ბენცი წყვეტდა, რა მოგება ექნებოდა ამა თუ იმ ფილმისგან რეჟისორს, მსახიობებსა და მწერალს. უკმაყოფილოებს სასამართლოში გზავნიდა, მაგრამ არასოდეს უთმობდა. სწორედ ბენცი აწარმოებდა უმოწყალო ვაჭრობას სათაყვანებელი ნიჭის მქონე ადამიანებთან, პირველ რიგში - მწერლებთან.

ბენცი მათ სტანდარტულ ფასზეც კი უარს ეუბნებოდა, კინემატოგრაფში მათი როლი უმნიშვნელოდ მიაჩნდა. მართალია, ფილმის გადასაღებად სცენარი იყო დასაწერი, მაგრამ, მისი აზრით, უმთავრესი და გადამწყვეტი ქასტინგი იყო. ყველაფერს ვარსკვლავები წყვეტენ. რეჟისორები ბიუჯეტზე აგებენ პასუხს და აუცილებელია, ასი თვალი და ასი ყური, რომ არ გაგძარცვონ. ამ მხრივ არც პროდიუსერები ჩამორჩებიან, სამაგიეროდ, მათი ენერგია და აღტყინება ფილმის იდეის განხორციელებას უწყობს ხელს.

მაშ, მწერლებზე რა ითქმოდა? მათ მხოლოდ ქაღალდზე საწყისი მონახაზის გაკეთება ევალებოდათ. კიდევ ათიოდე მათნაირს ამ მონახაზის დამუშავება დაევალებოდა, მერე კი პროდიუსერი სიუჟეტს საბოლოო სახეს მიანიჭებდა. რეჟისორი დრამატულ მხარეს იგონებდა, რაც ხშირად თავდაპირველ ჩანაფიქრს აბსოლუტურად ცვლიდა. მერე კი ვარსკვლავები ერგებოდნენ თავიანთ როლებს და არცთუ იშვიათად, სპონტანური შთაგონებით ცვლიდნენ დიალოგებს. გარდა ამისა, იყო კინოსტუდიის კრეატიული ჯგუფი, რომელიც მთელი სამუშაო პროცესის მანძილზე აწვდიდა სცენარისტებს ახალ იდეებს, რჩევებს, უზიარებდა სურვილებს. ბენცს მილიონ დოლარად შეფასებული ბევრი სცენარი უნახავს და ბევრი ისეთი ფილმი, რომელსაც საბოლოო ჯამში იმ მილიონდოლარიანი სცენარიდან არც ერთი ფრაზა აღარ შერჩენოდა. მაშ, სადღა იყო აქ მწერლის დამსახურება? მართალია, ელი მერიონი მწერლების მიმართ განსაკუთრებულ სისუსტეს განიცდიდა, მაგრამ ეს სწორედ იმიტომ ხდებოდა, რომ კონტრაქტის დადებისას ასე იოლი იყო მათი გაბიაბურება.

მერიონმა და ბენცმა ერთად მოიარეს მსოფლიოს კინოფესტივალები და საბაზრო ცენტრები, პარიზი და კანი, ტოკიო და სინგაპური. ერთად ყიდდნენ ფილმებს, ერთად წყვეტდნენ ახალგაზრდა მსახიობთა ბედს. ხელმწიფისა და მისი მთავარი ვასალის მსგავსად, ერთად მართავდნენ თავიანთ იმპერიას.

ორივე იმ აზრის იყო, რომ ნიჭით დაჯილდოებულნი - ისინი, ვინც

სცენარებს წერდნენ, ფილმებს დგამდნენ და როლებს თამაშობდნენ, - მსოფლიოში ყველაზე უფრო უმადური ადამიანები იყვნენ. რა თავმდაბალნი, თვინიერნი და მადლიერნი იყვნენ დამწყები, იმედის მომცემი მსახიობები, როდესაც მათ წინსვლის შანსს აძლევდი, მაგრამ როგორ იცვლებოდნენ მას მერე, რაც დიდების მწვერვალს მიაღწევდნენ. თაფლის მომტანი ფუტკრები ერთბაშად ნესტრებს გამოუშვებდნენ ხოლმე. მათ მოსათოკად მერიონსა და ბენცს იურისტთა ოცკაციანი შტატი ჰყავდათ.

რატომ ქმნიდნენ ეს ადამიანები მუდამ ამდენ პრობლემას? მუდამ ყველაფრით უკმაყოფილონი იყვნენ. ორი აზრი არ არსებობდა იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ფულს დახარბებული ადამიანები ამ ნიჭიერ ხელოვანებზე ბევრად უფრო წარმატებულნი, უფრო ბედნიერნი და საზოგადოებისთვის უფრო სასარგებლონიც იყვნენ. ფულს ხელოვნებასა და სიყვარულზე უკეთ შეეძლო ყველა ჭრილობის მოშუშება. მაგრამ ვაი, რომ ხალხს ამის დაჯერება არ სურდა.

ბობი ბენცმა ყველანი წვეულებას მოსწყვიტა და ამ დარბაზში შეკრიბა. ერთადერთი „ნიჭიერი“ მათ შორის, „მესალინას“ რეჟისორი ქალი დიტა ტომი გახლდათ - მაღალი დონის კინემატოგრაფისტი, ვისაც განსაკუთრებულად გამოსდიოდა ვარსკვლავ ქალებთან მუშაობა, რაც დღესდღეობით ჰოლივუდში არა ჰომოსექსუალიზმთან, არამედ ფემინიზმთანაა დაკავშირებული. იმ ფაქტს, რომ დიტა ამასთანავე ლესბოსელიც იყო, დარბაზში შეკრებილი მამაკაცებისთვის

არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დიტა ტომი თავის ფილმებს მუდამ ზუსტად ატევდა ბიუჯეტში, მის სურათებს სტუდიისთვის მუდამ კარგი შემოსავალი მოჰქონდა, ხოლო ქალებთან მისი კავშირები ბევრად ნაკლებ პრობლემას ქმნიდა, ვიდრე ის მამაკაცი რეჟისორები, რომლებიც გამუდმებით ცდილობდნენ, მსახიობი ქალების შეცდენას. ლესბოსელი საყვარლები საერთოდ, ბევრად უფრო მოკრძალებულად იქცეოდნენ.

ელი მერიონი მდუმარედ იჯდა მაგიდის სათავეში. დისკუსიის წარმართვა ბენცს მიანდო.

- დიტა, ზუსტად გვითხარი, რა მდგომარეობაა ამ ფილმთან დაკავშირებით და როგორ გესახება ამ პრობლემის გადაწყვეტა. ამის დედაც, წესიერად არც კი მესმის, რაშია საქმე.

ტომიმ, როგორც ყოველთვის, მოკლედ და კონკრეტულად ჩამოაყალიბა სათქმელი.

- ათენა საშინლადაა შეშინებული. მუშაობას არ დაუბრუნდება, თუკი თქვენ, გენიოსებო, მისი შიშის დასაცხრობად რაიმეს არ მოიფიქრებთ. თუ არ დაბრუნდა, ორმოცდაათ მილიონს დაკარგავთ. მის გარეშე ფილმს ვერ დავასრულებთ. - ხანმოკლე პაუზის შემდეგ დაამატა: - წინა კვირას ცოტათი მოვასწარი მისი გადაღება, ასე რომ, მცირე თანხა დაგიზოგეთ.

- ჯანდაბა ამ ფილმს! - შესძახა ბენცმა. - თავიდანვე მისი წინაამდეგი ვიყავი.

ამ რეპლიკამ ყველა ააღელვა.

- ბობი, რას მიქარავ? - წამოენთო პროდიუსერი სკიპი დირი.

- სისულელეა! - მხარი აუბა ათენას აგენტმა მილო სტიუარტმაც.

„მესალინას“ გეგმას ყველა აღტაცებით შეეგება. მსგავსი ერთსულოვნება კინოსამყაროს მანამდე არ ახსოვდა.

„მესალინაში“ ძველი რომის ისტორიის ერთ-ერთი ეპიზოდი, კლაუდიუსის მმართველობა ფემინისტური კუთხით იყო დანახული. მამაკაცთა მიერ დაწერილი ისტორია დედოფალ მესალინას გარყვნილდა სისხლიან მეძავად წარმოაჩენდა, რომელმაც ერთ ღამეს რომის მთელი მოსახლეობა აღვირახსნილ ორგიაში ჩააბა. მაგრამ ამ ფილმში მისი ორი ათასი წლის წინანდელი ცხოვრება ახალი კუთხით იქნა გააზრებული: ის ტრაგიკულ გმირად, ახალ ანტიგონედ თუ მედეად გამოიყვანეს, იმ ქალად, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი მწირი საშუალებებით ცდილობდა იმ სამყაროს შეცვლას, სადაც მამაკაცები ქალებს ანუ კაცობრიობის ერთი ნახევარი მეორეს, როგორც მონებს, ისე ეპყრობოდნენ.

კონცეფცია მართლაც დიდებული იყო: შთამბეჭდავი ეროტიკული სცენები, ძალზე აქტუალური და ამაღელვებელი თემა. მაგრამ ამ ყველაფერს კარგი შეფუთვაც სჭირდებოდა. თავდაპირველად კლოდია დე-ლენამ საინტერესო და ისტორიულად კარგად დასაბუთებული სცენარი დაწერა. რეჟისორად დიტა ტომის მოწვევა ძალზე პრაქტიკული და პოლიტიკურად კორექტული არჩევანი იყო. ის თავის საქმეში გამოცდილი გახლდათ და საღი გონებით გამოირჩეოდა. მესალინას როლისთვის ათენაზე უკეთესს ვერავის მონახავდნენ, ის

ფილმის მთავარი კოზირი გახდებოდა: სახეც და სხეულიც უნაკლო ჰქონდა და მისი სამსახიობო ნიჭიც ჩანაფიქრს დამაჯერებლობას შესძენდა. რაც ყველაზე მთავარია, ის მსოფლიოში სამი ყველაზე რენტაბელური კინოვარსკვლავიდან ერთ-ერთი იყო. თავის მხრივ, ნიჭიერმა კლოდიამ მისთვის ასეთი სცენაც კი შეთხზა: ქრისტიანული თქმულებებით მოხიბლული მესალინა ქრისტიან მოწამეებს არენაზე სიკვდილისგან იხსნის. როცა ეს ტომიმ წაიკითხა, უსაყვედურა, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვსო.

- ოღონდ არა კინოში, - მიუგო კლოდიამ.

- ფილმი იმ დრომდე უნდა დავაკონსერვოთ, ვიდრე ათენა გადაღებებს დაუბრუნდება, - განაცხადა სკიპი დირმა, - ეს დღეში ას ორმოცდაათი ათასი დაგვიჯდება. ფილმს ორმოცდაათი მილიონი უკვე დაახარჯეთ. სამუშაო ნახევრამდეა მიყვანილი, ათენას გადაღებებიდან ვეღარ მოვხსნი და ვერც სხვა მსახიობით შევცვლით. თუ არ დაბრუნდა, პროექტის გაუქმება მოგვიწევს.

- ვერ გავაუქმებთ, - შეაწყვეტინა ბენცმა, - დაზღვევა იმ შემთხვევას არ ითვალისწინებს, როცა მსახიობი მუშაობის გაგრძელებაზე უარს ამბობს. მსახიობს თვითმფრინავიდან თუ გადავაგდებთ, მაშინ გადაგვიხდიან დაზღვევას. მილო, ამაზე შენ ხარ პასუხისმგებელი, შენ უნდა დააბრუნო.

- მისი აგენტი ვარ, მაგრამ მისნაირ ქალზე გავლენის მოხდენა ძალზე ძნელია, - უპასუხა მილო სტიუარტმა, - ერთ რამეს გეტყვით: ეს ქალის ახირება არ არის. გულწრფელადაა შეშინებული. ჭკვიანი

ქალია და, როგორც ჩანს, ამის საფუძვლიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს. ძალზე სახიფათო და დელიკატური ამბავია.

- ის თუ უთხარი, რომ თუკი ასმილიონიან ფილმს ჩაგვიგდებს, არასოდეს აღარავინ დათანხმდება მის გადაღებას? - ჰკითხა ბენცმა.

- იცის, - უპასუხა მილომ.

- ვის შეუძლია მისი დარწმუნება? სკიპი, შენ არაფერი გამოგივიდა. შენც უკვე სცადე, მილო. დიტა, ვიცი, შენც ყველაფერი გააკეთე, რაც კი შეიძლებოდა. მეც კი ვეცადე.

- შენ სათვალავში ჩასაგდები არ ხარ, ბობი, - უთხრა ტომიმ, - ვერ გიტანს.

- მავანს შეიძლება, ჩემი მანერები არ მოსწონდეს, მაგრამ ჩემს აზრს მაინც ითვალისწინებს, - გაღიზიანებით თქვა ბენცმა.

- საერთოდ, ნიჭიერებს არ მოსწონხარ, მაგრამ ათენას შენ მიმართ განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს, - უბოროტოდ უთხრა ტომიმ.

- მე ისეთი როლი მივეცი, რომლის წყალობითაც ვარსკვლავი გახდა, - უპასუხა ბენცმა.

- ის ვარსკვლავად დაიბადა, - მშვიდად ჩაერთო მილო, - მადლობელი უნდა იყო, რომ შენს ფილმში ითამაშა.

- დიტა, შენ მისი მეგობარი ხარ, - ყური არ ათხოვა ბენცმა, - შენ უნდა დაარწმუნო.

- ათენა ჩემი მეგობარი არ არის, უბრალოდ კოლეგაა, რომელიც პატივს მცემს, რადგან მას მერე, რაც ინტიმურ შეთავაზებებზე მისგან უარი მივიღე, მეტად აღარ შემიწუხებია. შენგან განსხვავებით, ბობი.

ბენცმა ღიმილით მიუგო:

- დიტა, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ამისთანა ეს ათენა, რომ არ მომცეს?! ელი, კანონით უნდა დაემუქრო.

ყველამ მზერა მიაპყრო მოხუცს, რომელიც საუბარს თითქოს არც კი უგდებდა ყურს. მერიონი ისეთი გამხდარი იყო, ერთმა კინოვარსკვლავმა მამაკაცმა იხუმრა, თავზე საშლელს თუ დაიმაგრებს, ფანქარს დაემსგავსებაო, თუმცა ეს საკმაოდ ბოროტი ხუმრობა გახლდათ. მერიონს მისი ტანისთვის ოდნავ დიდი თავი ჰქონდა, გორილის გამობურცული ყვრიმალებით, ფართო ცხვირითა და სქელი ტუჩებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის ნაკვთებს რაღაც სინატიფე გამოარჩევდა, რის გამოც ბევრს ლამაზადაც კი მიაჩნდა. მაგრამ ცივი ცისფერი თვალები მაინც ამხელდა - მათი გამჭოლი, დაჟინებული მზერა ბევრს შიშს ჰგვრიდა. იქნებ ამიტომაც, ყველა ნაცნობს სთხოვდა, მისთვის სახელით მიემართათ.

მერიონმა უემოციო ხმით წარმოთქვა:

- თუკი თქვენ ვერ დაარწმუნეთ ათენა, მაშინ ის არც მე დამიგდებს ყურს. ჩემი ავტორიტეტით მასთან ვერაფერს გავხდები. მით უმეტეს საკვირველი და გაუგებარია, ასეთი ბრიყვი კაცის სრულიად უწყინარმა თავდასხმამ ასე ძლიერ რატომ შეაშინა. ნუთუ არ შეიძლება, ეს პრობლემა ფულით მოვაგვაროთ?

- ვეცდებით, - თქვა ბენცმა, - მაგრამ ათენასთვის ამას მნიშვნელობა არ ექნება, მაინც არ ენდობა.

- ძალაც მოვსინჯეთ, - თქვა პროდიუსერმა სკიპი დირმა, -

პოლიციაში ნაცნობები გვყავს, მათ წიხლი დააჭირეს, მაგრამ ეს კაცი ძნელი შესაშინებელია. მის ოჯახს ფულიც აქვს და პოლიტიკური კავშირებიც.

- ზუსტად რამდენს დაკარგავს სტუდია ამ ფილმის დახურვით? ვეცდები, მომავალი პროექტების ხარჯზე ავანაზღაურო, - თქვა სტიუარტმა.

მილო სტიუარტს, როგორც ათენას აგენტს, ზარალის ზუსტ მონაცემებს არ უმხელდნენ, რადგან ეს მომავალში მასთან მუშაობას გაართულებდა. მერიონმა არ უპასუხა და თავი ბენცისკენ გააქნია. ბენცმა ნაძალადევად ამოთქვა:

- ამ ფილმზე უკვე ორმოცდაათი მილიონია დახარჯული. კარგი, ვთქვათ, ორმოცდაათი მილიონის დაკარგვას შევეგუებით, მაგრამ ვიდეოგაქირავებისა და საზღვარგარეთ ჩვენებისთვის წინასწარ აღებული ფული გვექნება დასაბრუნებელი და, გარდა ამისა, საშობაოდ წამყვანი ფილმი აღარ გვექნება. ეს დაგვიჯდება... - ის შეჩერდა, რადგან ზუსტი თანხის დასახელება არ სურდა. - ამას სალაროს შემოსავალიც თუ დავუმატეთ, რომელსაც ვეღარასოდეს მივიღებთ... ჯანდაბა! ორას მილიონ დოლარამდე ადის! ბოლოს მოგიწევს, ყველა სამომავლო პროექტი გვაჩუქო, მილო.

სტიუარტმა გაიღიმა და გაიფიქრა, თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, ათენასთვის ათმაგს მოვთხოვო, მერე კი უთხრა:

- მაგრამ ნაღდი ფულით მაინც მხოლოდ ორმოცდაათს კარგავთ.

მერიონმა ახლა უკვე ნაკლებად რბილი კილოთი მიმართა:

- მილო, ბოლოს და ბოლოს, რამდენი დაგვიჯდება შენი კლიენტის გადასაღებ მოედანზე დაბრუნება? - ყველა მიხვდა, რაც ხდებოდა. მერიონმა გადაწყვიტა, ისე ემოქმედა, თითქოს ეს ყველაფერი მხოლოდ აფერა ყოფილიყო.

სტიუარტი აზრს მიუხვდა. ეს მისი პირადი პატიოსნების ეჭვქვეშ დაყენებას ნიშნავდა, მაგრამ მერიონთან აღშფოთების გამოხატვა ვერ გაბედა. იგივე მისთვის ბენცს რომ ეკადრებინა, სხვაგვარი რეაქცია ექნებოდა.

სტიუარტი კინოს სამყაროში ძალზე გავლენიანი კაცი იყო და მერიონის წინაშეც კი არ უწევდა ქედის მოხრა. მისი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა საკმაოდ მაღალრეიტინგული რეჟისორების მთელი გუნდი, უმაღლესი რანგის ორი ვარსკვლავი მამაკაცი და ერთიც ქალი - ათენა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამი ადამიანი ჰყავდა ისეთი, ვისი თანამშრომლობაც ნებისმიერ ფილმს მწვანე შუქს აუნთებდა. და მაინც, მერიონის გადამტერება უჭკუო ნაბიჯი იქნებოდა. სტიუარტმა სწორედ წინდახედულობით მიაღწია ამდენს. ეს ერთი შეხედვით, ფასის ასაწევად ხელსაყრელი ვითარება იყო, მაგრამ ის ცთუნებას არ აჰყოლია. სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა გულახდილობა ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა. სტიუარტის წარმატება დიდწილად მისმა გულწრფელობამ განაპირობა: მას თვითონაც სწამდა იმის, რასაც ყიდდა და ათენასიც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ირწმუნა, როცა ის ერთი უცნობი გოგონა იყო. მისი ახლაც სწამდა და ყველანაირად ეცდებოდა, კვლავ კამერების წინ დაეყენებინა.

- ფული აქ არაფერ შუაშია, - გზნებით დაიწყო მან, - ათენას დამატებით მილიონიც რომ შესთავაზოთ, მაინც არ დაბრუნდება. ჯობს, მისი ყოფილი მეუღლის პრობლემა გადაჭრათ.

მრავალმნიშვნელოვანი დუმილი ჩამოწვა. ყველა გაირინდა. კონკრეტული თანხა იქნა დასახელებული. ნუთუ ეს ვაჭრობა იყო?

- ის ამ თანხას არ აიღებს, - თქვა სკიპი დირმა.

დიტამ მხრები აიჩეჩა. სტიუარტს ერთი წუთითაც კი არ ენდო, მაგრამ რა ენაღვლებოდა, თვითონ ხომ არ მოუწევდა მილიონის გადახდა. ბენცმა სტიუარტს თვალები დაუბრიალა, ის კი მერიონს არ აცილებდა მზერას.

მერიონმა სტიუარტის ნათქვამი საღად მიიღო. ათენა ფულის სანაცვლოდ არ დაბრუნდებოდა. ნიჭიერი ადამიანი ასეთი ანგარებიანი ვერ იქნებოდა. მან შეკრების დასრულება გადაწყვიტა.

- მილო, გარკვევით უთხარი შენს კლიენტს, რომ თუკი ის ერთ თვეში არ დაბრუნდება, სტუდია სურათს დახურავს და მთელ ზარალს მას აანაზღაურებინებს. რაც კი აბადია, ყველაფერს დაკარგავს. ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ამის შემდეგ ვერც ერთ მაღალრეიტინგულ ამერიკულ კინოსტუდიასთან ვეღარ ითანამშრომლებს, - მაგიდასთან შეკრებილთ ღიმილით გადახედა, - რა იყო? ბოლოს და ბოლოს, სულ რაღაც ორმოცდაათი მილიონია.

ყველა მიხვდა, რომ ამას სრულიად სერიოზულად ამბობდა, რადგან ამდენი ლაპარაკი ყელში ამოუვიდა. დიტა ტომი აფორიაქდა. დამსწრეთა შორის ეს ფილმი მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი იყო,

მისი პირმშო იყო. თუკი მას წარმატება ერგებოდა, დიტა მაღალრეიტინგული რეჟისორი გახდებოდა. სწორედ ამის გამო მოწოლილმა შეშფოთებამ ათქმევინა:

- კლოდია დე-ლენას სთხოვეთ, დაარწმუნოს. ის და ათენა ახლო მეგობრები არიან.

ბენცი აიმრიზა:

- არ ვიცი, რა უფრო უარესია: როცა ვარსკვლავი ჩვეულებრივ მოკვდავთან წვება თუ როცა ის მწერალთან მეგობრობს.

მერიონი კვლავ გაღიზიანდა.

- ბობი, სერიოზულ საკითხებზე ვსაუბრობთ და შენი აბდაუბდა არაფერში გვჭირდება. კლოდია დაელაპარაკოს. მაგრამ ეს საკითხი, ასე თუ ისე, დროულად უნდა გადავწყვიტოთ, სხვა სურათებიც გვაქვს გასაკეთებელი.

მეორე დღესსტუდია „ლოდსტოუნმა“ ხუთმილიონდოლარიანი ჩეკი მიიღო. ათენამ ფილმში მთავარი როლის შესრულებისთვის მიღებული ავანსი უკან დააბრუნა.

დანარჩენი იურისტების საქმე იყო.

ენდრიუ პოლარდმა სულ რაღაც თხუთმეტ წელიწადში „წყნარი ოკეანის დაცვის კომპანია“ დასავლეთ სანაპიროზე უსაფრთხოების დაცვის ყველაზე უფრო პრესტიჟულ ორგანიზაციად აქცია. სასტუმრო რამდენიმე ნომრით დაიწყო და ახლა უკვე სანტა-მონიკაში ოთხსართულიან შენობას ფლობდა, სადაც ორმოცდაათზე მეტი მაღალკვალიფიციური მუდმივი თანამშრომელი ჰყავდა. გარდა ამისა,

ხელშეკრულებით თანამშრომლობდა ხუთას გამომძიებელსა და დაცვის წევრთან და სარეზერვო ჯგუფიც ჰყავდა.

„წყნარი ოკეანის დაცვის კომპანია“ მხოლოდ ძალზე მდიდარ და ცნობილ ადამიანებს ემსახურებოდა. ის კინომაგნატების ბინებს შეიარაღებული დაცვითა და სიგნალიზაციის სისტემებით იცავდა. ვარსკვლავების პირად დაცვასაც უზრუნველყოფდა და დიდ საჯარო ღონისძიებებზე, მაგალითად - „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიაზე უნიფორმიან დაცვის ჯგუფებს გზავნიდა. ასევე აწარმოებდა გამოძიებებს ისეთ დელიკატურ საკითხებში, როგორიცაა შანტაჟისტის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის მოძიება.

ენდრიუ პოლარდმა წარმატებას იმის წყალობით მიაღწია, რომ ყოველ წვრილმანს აქცევდა ყურადღებას. კლიენტების ნაკვეთებში აყენებდა მანათობელ აბრებს წარწერით „შეიარაღებული დაცვა“ და მათ უბნებსაც პატრულის მეშვეობით აკონტროლებდა. თანამშრომლებს გამოწვლილვით არჩევდა და, ამასთან, კარგ გასამრჯელოს უხდიდა, ამიტომაც ისინი განსაკუთრებულად ფთხილობდნენ, რომ სამსახური არ დაეკარგათ. სიუხვისა და დიდსულოვნების საშუალებას ის აძლევდა, რომ მისი კლიენტები ქვეყანაში უმდიდრესი ადამიანები იყვნენ და შესაბამისადაც უხდიდნენ. გარდა ამისა, ჭკუა ჰყოფნიდა საიმისოდ, რათა ძალზე მჭიდროდ ეთანამშრომლა ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტთან. ლეგენდარულ დეტექტივ ჯიმ ლოუზისთან საქმიანი მეგობრობა აკავშირებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ კლერიკუციოს

ოჯახი უმაგრებდა ზურგს.

თხუთმეტი წლის წინ, როცა ჯერ კიდევ პოლიციის ახალგაზრდა ოფიცერი იყო და ზოგჯერ ქარაფშუტულ ნაბიჯებს დგამდა, ნიუ-ორკის პოლიციის განყოფილების შიდა საქმეთა კომისია მცირე ქრთამის აღებასთან დაკავშირებით შემოედავა. პოლარდი გაჯიუტდა და არ განუცხადა ზემდგომებს მათი ვინაობა, ვინც ამ საქმეში იყო ჩარეული. კლერიკუციოს ოჯახის წარმომადგენლები ამას თვალს ადევნებდნენ და პოლარდს შესთავაზეს, ნიუ-იორკის პოლიციაში სამსახური მიეტოვებინა და ამ ფასად პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებდნენ.

პოლარდი ოჯახთან ერთად ლოს-ანჯელესში გადავიდა საცხოვრებლად და კლერიკუციოს ოჯახმა მას დაცვის კომპანიის დასაფუძნებლად თანხა უწყალობა. მერე ხმა გაავრცელა, რომ მისი კლიენტები ხელშეუხებლები უნდა დარჩენილიყვნენ, მათი სახლების გაქურდვა, მათზე თავდასხმა უსასტიკესად დაისჯებოდა, ხოლო თუ შემთხვევით გაქურდავდნენ, ნაქურდალი უნდა დაებრუნებინათ. გარკვეულწილად ამ მიზეზითაც ეკიდა მათ სახლებზე აბრა „შეიარაღებული დაცვა“: ეს დაცვის კომპანიის სპეციფიკის განმსაზღვრელი იყო.

შედეგად ენდრიუ პოლარდს საოცარი წარმატება ხვდა: მის კლიენტებს არც ერთხელ არ დასხმიან თავს, მისი დაცვის თანამშრომლები თითქმის „ეფბიაის“ აგენტების დონეზე იყვნენ გაწვრთნილნი, არც ერთი მათგანი არ დაუდანაშაულებიათ

კლიენტებზე სექსუალური ძალადობის ან მსგავსი რამის გამო, რაც დაცვის სამსახურებში არცთუ იშვიათია. სულ ერთი-ორჯერ იქნა მათი მხრიდან შემჩნეული შანტაჟისა თუ საიდუმლო ინფორმაციით ვაჭრობის ფაქტი, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო. ასეა თუ ისე, პოლარდი საჭირო და სუფთა საქმეს აკეთებდა.

მის კომპანიას კომპიუტერულ სისტემაში საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა შესახებ კონფიდენციური ინფორმაცია ჰქონდა, ამიტომაც გასაკვირი სულაც არ არის, რომ ვინმეზე ცნობების მოსაპოვებლად კლერიკუციოს ოჯახი მას მიმართავდა. პოლარდს კარგი შემოსავალი ჰქონდა და კლერიკუციოს ემადლიერებოდა. გარდა ამისა, დროდადრო ისეთი სამუშაოს შესრულებას სთხოვდნენ, რომელსაც თავის თანამშრომლებს ვერ დაავალებდა და მაშინ კლერიკუციოს კლანის დასავლელი ემისრის დახმარებას მიმართავდა.

რამდენი გაქნილი მტაცებელი უსაფრდებოდა მსხვერპლს ჰოლივუდისა და ლოს-ანჯელესის „ჯუნგლიში“! კინოს სამყაროს რამდენი წარმომადგენელი ებმებოდა გამომძალველთა ხაფანგში! რამდენ გულჩათხრობილ ვარსკვლავს, სადომაზოხისტ რეჟისორს, პედოფილ პროდიუსერს აკანკალებდა იმის გაფიქრებაზე, რომ მათ საიდუმლოებას ფარდა აეხდებოდა!.. პოლარდი ცნობილი იყო იმით, რომ ამგვარ შემთხვევებს ჯეროვანი გაგებითა და ტაქტით ეკიდებოდა. მუდამ შეეძლო გამომძალველთან მინიმალურ თანხაზე მოლაპარაკება და საქმის ისეთნაირად წარმართვა, რომ მისი კლიენტი მეორედ აღარ

შეეწუხებინათ.

ბობი ბენცმა ენდრიუ პოლარდი თავის ოფისში კინოაკადემიის დაჯილდოების მეორე დღესვე გამოიძახა.

- გთხოვთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიძიოთ ამ ბაზ სკანეტის შესახებ. ათენა ექვითეინის წარსულის დეტალებიც მაინტერესებს. წამყვანი ვარსკვლავის კვალობაზე მის შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით. ასევე გვინდა, სკანეტთან შეთანხმებას მიაღწიოთ. ათენა მომდევნო სამი-ექვსი თვის მანძილზე გადაღებისთვის გვჭირდება და სკანეტი უნდა დაითანხმოთ, ამ ხნის მანძილზე არ შეაწუხოს. შესთავაზეთ თვეში ოცი ათასი, შეგიძლიათ ას ათასამდეც დაუმატოთ.

- მას მერე კი, რაც უნდა, ის ქნას? - მშვიდად ჩაეკითხა პოლარდი.

- მერე რასაც იზამს, უკვე სამართალდამცავების საქმეა, - უთხრა ბენცმა. - ენდრიუ, ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედოთ. ამ ვაჟბატონს ძალზე გავლენიანი ოჯახი ჰყავს. შეუძლიათ, ფილმიც ჩაგვიგდონ და კინოსტუდიის რეპუტაციასაც ჩირქი მოსცხონ.ასე რომ, უნდა დაიყოლიოთ. გარდა ამისა, თქვენს ფირმას ვთხოვ, ათენას პირადი დაცვა გამოუყოს.

- თუ შეთანხმება არ ისურვა, რა ვიღონო? - ჰკითხა პოლარდმა.

- მაშინ დღე და ღამე მოგიწევთ მისი დაცვა, ვიდრე ფილმზე მუშაობა დასრულდება, - მიუგო ბენცმა.

- შემიძლია, ცოტათი მივაწვე კიდეც, ცხადია - კანონის ფარგლებში.

- არ ღირს, ძალიან ძლიერი კავშირები აქვს. მასთან პოლიციაც კი ფრთხილობს. ჯიმ ლოუზიც კი, სკიპი დირის ახლო მეგობარი, მასზე ძალდატანების წინააღმდეგია. საზოგადოებრივ ურთიერთობებს რომ თავი დავანებოთ, ეს შეიძლება, ჩვენს სტუდიას ძალზე დიდ თანხად დაუჯდეს. იმის თქმა როდი მინდა, რომ ფაქიზი ყვავილივით მოეპყროთ, მაგრამ...

პოლარდი მიუხვდა: ცოტაოდენი სიუხეშე, რათა შეშინდეს, მაგრამ მეორე მხრივ, რასაც მოითხოვს, ის უნდა მიიღოს.

- კონტრაქტები დამჭირდება, - უთხრა მან ბენცს. ბენცმა უჯრიდან საბუთები ამოიღო.

- სამ ეგზემპლარს უნდა მოაწეროს ხელი. აქვეა ორმოცდაათიათასდოლარიანი ჩეკი - ავანსი. კონტრაქტში თანხის ადგილას სიცარიელეა, რიცხვი თქვენ თვითონ ჩაწერეთ.

როცა პოლარდი ოთახიდან გადიოდა, ბენცმა დააწია:

- თქვენს ხალხს დაჯილდოების დღეს სულ არაფერი უკეთებია. ამ ნაბიჭვრებს მგონი, ზეზეურად ეძინათ.

პოლარდს არ სწყენია, რადგან ბენცი მუდამ ასე გამოხატავდა თავის ემოციებს.

- ჩემი დაცვის ბიჭები ადგილზე მაყურებელთა შორის წესრიგის დასაცავად იყვნენ. არ იდარდოთ, მის ექვითეინს თვალს არ მოაშორებენ.

ოცდაოთხი საათის შემდეგ „წყნარი ოკეანის დაცვის კომპანიის“ კომპიუტერულმა სისტემამ ბაზ სკანეტის შესახებ ყველა შესაძლო

ცნობა მოიძია. ის ოცდათოთხმეტი წლის იყო, დაამთავრა ტეხასის აგრარული და მექანიკური კოლეჯი, ერთი წელიწადი ითამაშა ფეხბურთის პროფესიულ გუნდში. მამამისი ჰიუსტონში ბანკის მფლობელი იყო, მაგრამ, რაც მთავარია, ბიძამისი ტეხასში რესპუბლიკელთა პოლიტიკურ მანქანას მართავდა და პრეზიდენტთან მეგობრობდა. ამ ყველაფერში კი დიდი ფული ტრიალებს.

ბაზ სკანეტი ერთგვარი ფენომენი გახლდათ. თავისი მამის ბანკის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ნავთობის ბიზნესთან დაკავშირებულ აფერაში გაეხვია და ბეწვზე გადაურჩა სამართალდამცავებს. თავდასხმის გამო ექვსჯერ იქნა დაკავებული. ერთ-ერთი შემთხვევისას ორ პოლიციელს იმდენად მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენა, რომ ისინი საავადმყოფოში მოათავსეს. აგრეთვე, სექსუალურ ძალადობაშიც ედებოდა ბრალი, მაგრამ ეს საქმე სასამართლომდე იქნა ჩაფარცხული. ვიდრე ამ ყველაფერს ჩაიდენდა, ოცდაერთი წლის ასაკში ათენასთან იქორწინა და ერთ წელიწადში გოგონა გაუჩნდათ. ბავშვს ბეთანი დაარქვეს, ხოლო, როცა ცოლი ოცი წლის გახდა, შვილთან ერთად, ბაზი მიატოვა.

ენდრიუ პოლარდმა ეს ადამიანი ნათლად დაინახა. ბოღმიანი კაცი უნდა ყოფილიყო, რომელიც ათი წლის შემდეგაც კი ცოლზე ჯავრის ამოყრას ცდილობდა. იმდენად ძლიერი იყო, რომ შეიარაღებული პოლიციელების დასახიჩრება შეეძლო. ასეთი კაცის შეშინების შანსი თითქმის არავის ჰქონდა. სჯობდა, მისთვის ფული გადაგეხადა, კონტრაქტზე ხელი მოგეწერინებინა და მისგან თავი შორს დაგეჭირა.

პოლარდნა ჯიმ ლოუზის დაურეკა, რომელსაც ლოს-ანჯელესის პოლიციის განყოფილებაში სკანეტის საქმე ებარა. პოლარდი აღფრთოვანებული იყო ლოუზის პროფესიული უნარით და თავის ორგანიზაციაში მის გადმობირებაზე ოცნებობდა. ერთმანეთთან გამუდმებით თანამშრომლობდნენ. ყოველ შობას ლოუზი „წყნარი ოკეანის დაცვის კომპანიისგან“ ძვირად ღირებულ საჩუქარს იღებდა. ახლა პოლარდს სურდა, ლოუზისგან გაეგო ყველაფერი, რაც კი ამ ადამიანზე იცოდა.

- ჯიმ, შეგიძლია, ბაზ სკანეტზე მთელი ინფორმაცია მომაწოდო? ლოს-ანჯელესში მისი მისამართი მჭირდება და საერთოდ, მის შესახებ მეტი მინდა ვიცოდე.

- კი, ბატონო, მაგრამ მას ყველა ბრალდება მოეხსნა. შენ ეს რისთვის გჭირდება?

- მისგან სხვა პიროვნების დასაცავად. რამდენად საშიშია?

- ეს ტიპი გიჟია. შენს დაცვის ბიჭებს უთხარი, თუ მიუახლოვდება, სროლა აუტეხონ.

- ეს კანონს ეწინააღმდეგება. ასე რომ მოიქცნენ, დამაპატიმრებ, - უთხრა პოლარდმა.

- მომიწევს, ეგეც მართალია. სასაცილოა, ამის დედაც!..

ბაზ სკანეტი სანტა-მონიკაში, ერთ მოკრძალებულ სასტუმროში ცხოვრობდა, რამაც პოლარდი ააღელვა, რადგან ეს მალიბუს კოლონიაში ათენას სახლიდან მანქანით სულ რაღაც თხუთმეტი წუთის

სავალზე იყო. მან ათენას სახლს ოთხკაციანი დაცვის ჯგუფი მიუჩინა, ორი კაციც სკანეტის სასტუმროში დააყენა. ამის შემდეგ სკანეტს შეხვედრაზე შეუთანხმდა.

პოლარდმა სამი ღონიერი თანამშრომელი გაიყოლა. სკანეტისნაირი კაცისგან ყოველ წამს ყველაფერია მოსალოდნელი.

სკანეტმა ისინი თავის ნომერში მიიღო. გულითადად მიესალმა, თუმცა სასმელი არ შეუთავაზებია. გასაკვირი ის იყო, რომ ოფიციალური კოსტიუმი ეცვა და ჰალსტუხიც ეკეთა. შესაძლოა, ამით სურდა შეეხსენებინა, ასეა თუ ისე, მაინც ბანკირი ვარო. პოლარდმა საკუთარი თავი და თანამშრომლები წარუდგინა და მათ სამსახურის დამადასტურებელი მოწმობებიც უჩვენეს. სკანეტმა კბილები დაკრიჭა და უთხრა:

- გეტყობათ, მაგარი ბიჭები რომ ხართ. დარწმუნებული ვარ, პატიოსან ბრძოლაში ნებისმიერ თქვენგანს მიწასთან გავასწორებ.

განწვრთნილმა თანამშრომლებმა ღიმილით უპასუხეს, პოლარდმა კი განგებ მიიღო შეურაცხყოფილიიერი.

- აქ იმისთვის მოვედით, რომ საქმეზე გელაპარაკოთ და არა თქვენგან შეურაცხმყოფელი განცხადებები ვისმინოთ. სტუდია „ლოდსტოუნი“ მზადაა, დაუყოვნებლივ გადაგიხადოთ ორმოცდაათი ათასი და შემდეგ, რვა თვის განმავლობაში, თვეში ოცი ათასი. ერთადერთი, რასაც თქვენგან ითხოვს: ლოს-ანჯელესი უნდა დატოვოთ.

პოლარდმა საქაღალდიდან კონტრაქტები და დიდი თეთრ-მწვანე

ფერის ჩეკი ამოიღო. სკანეტმა ყველა ქაღალდს თვალი გადაავლო.

- უმარტივესი კონტრაქტია, იურისტიც კი არ დამჭირდება, - შენიშნა ბოლოს, - მაგრამ თანხაც საკმაოდ მცირეა. ავანსად ასი ათასს ველოდებოდი, ყოველთვიურად კი - ორმოცდაათს.

- ეს მეტისმეტია, - უთხრა პოლარდმა, - თქვენ წინააღმდეგ სასამართლო განჩინება გვაქვს. ათენას ერთი კვარტალის მანძილზე თუ მიუახლოვდებით, ციხეში ჩაჯდებით. ყოველწამიერად ჩემი საგამომძიებლო ჯგუფი გითვალთვალებთ. ასე რომ, თქვენთვის ეს თანხა ნაჩუქარია.

- რატომ აქამდე არ ჩამოვედი კალიფორნიაში?! - გაიცინა სკანეტმა. - აქ ქუჩები ოქროთი ყოფილა მოპირკეთებული. თუ ასეა, საერთოდ რატომ მიხდით ფულს?

- სტუდიას მის ექვითეინის დაყოლიება სურს, - უთხრა პოლარდმა.

- ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანი ვარსკვლავია? - ჩაფიქრდა სკანეტი. - თუმცა, მუდამ განსაკუთრებული იყო. წარმოგიდგენიათ, ასეთ ქალს დღეში ხუთჯერ ვხმარობდი?! - სკანეტმა დაცვის სამ თანამშრომელს გაუღიმა.

პოლარდი ამ კაცს ინტერესით აკვირდებოდა. „მარლბოროს“ რეკლამაზე გამოსახული ვაჟკაცივით მოხდენილი და ღონიერი იყო, იმაზე მეტად დაკუნთული და გარუჯულიც. სამხრეთელის ხიბლი ჰქონდა, ერთდროულად მიმზიდველიც და საფრთხილოც. ასეთი მამაკაცები თითქმის ყველა ქალს უყვარდება. ნიუ-იორკში

არაერთხელ შეხვედრია მსგავსი გარეგნობის პოლიციელი, მკვლელობის გამოძიების დაწყებიდან ერთ კვირაში თავისი ალერსით ქვრივისთვის რომ გაუქარვებია დარდი. კაცმა რომ თქვას, ჯიმ ლოუზიც ამ ტიპის პოლიციელი იყო. პოლარდი ასეთი იღბლიანი არ ყოფილა.

- მოდით, საქმეზე ვილაპარაკოთ, - უთხრა პოლარდმა. უნდოდა, სკანეტს მოწმეების თანდასწრებით მოეწერა კონტრაქტზე ხელი და ჩეკიც აეღო, რათა მოგვიანებით, თუ საჭირო გახდებოდა, სტუდიას გამოძალვაში მისი დადანაშაულება შესძლებოდა.

სკანეტი მაგიდას მიუჯდა და იკითხა:

- საწერი კალამი თუ გაქვთ?

პოლარდმა საქაღალდიდან კალამი ამოიღო და კონტრაქტში ყოველთვიური თანხის ადგილას ოცი ათასი ჩაწერა. სკანეტმა ეს რომ შენიშნა, ხალისიანი კილოთი თქვა:

- ესე იგი, შემეძლო, მეტიც მომეთხოვა, - მერე სამივე ეგზემპლარს მოაწერა ხელი და იკითხა: - როდის უნდა დავტოვო ლოს-ანჯელესი?

- ამავე საღამოს, - უპასუხა პოლარდმა, - აეროპორტში მე მიგაცილებთ.

- არა, გმადლობ, - უთხრა სკანეტმა, - ვფიქრობ, ლას-ვეგასში გავემგზავრო მანქანით და ამ ჩეკით ფსონი დავდო.

- იცოდეთ, თვალყურს გადევნებთ, - უთხრა პოლარდმა და ჩათვალა, რომ დადგა დრო, ცოტაოდენი ძალა გამოემჟღავნებინა, - თუ ლოს-ანჯელესში გამოჩნდებით, იძულებული გავხდები,

დაგაპატიმროთ.

სკანეტს გარუჯული სახე გამარჯვების ღიმილით გაუნათდა.

- ამას რა სჯობს? მეც ათენასავით ცნობილი გავხდები!

იმ საღამოს სამეთვალყურეო ჯგუფმა პოლარდს მოახსენა, რომ ბაზ სკანეტი შორს არ წასულა, იქვე, ბევერლი-ჰილზში ჩავიდა და ჩეკი „ამერიკის ბანკში“ თავის ანგარიშზე დადო. ამან პოლარდს არაერთი დასკვნა გამოატანინა. ჯერ ერთი, რაკი ბევერლი-ჰილზის სასტუმროში შეაღწია, ესე იგი, დიდი გავლენა ჰქონია, მეორე - მასთან ხელმოწერილ კონტრაქტს სკანეტი არაფრად აგდებდა. პოლარდმა ეს ბობი ბენცს შეატყობინა და ინსტრუქციები სთხოვა. ბენცმა ურჩია, ამის შესახებ ხმა არ ამოეღო. მთავარი იყო, რომ კონტრაქტი ათენას უკვე უჩვენეს, რათა დამშვიდებულიყო და სამუშაოს დაჰბრუნებოდა. მაგრამ ის აღარ უთქვამს, რომ პასუხად ათენამ მხოლოდ გაიცინა.

- ხომ შეგიძლიათ, ჩეკი დაბლოკოთ? - უთხრა პოლარდმა.

- არა, დახარჯოს, მერე კი სასამართლოში ვუჩივლებთ, გამოძალვისთვის ან თაღლითობისათვის, ეგ სულ ერთია, - უთხრა ბენცმა, - მთავარია, ათენამ არ გაიგოს, რომ ის ჯერ კიდევ ქალაქშია.

- მის ექვითეინის დაცვას გავაორმაგებ, - თქვა პოლარდმა, - მაგრამ თუ ეს კაცი მართლაც შეშლილია და მართლაც რაიმეს უპირებს, ჩვენ მაინც ვერ შევუშლით ხელს.

- სკანეტს ბლეფი უყვარს, - მიუგო ბენცმა, - პირველად თუ არ გააკეთა, აწი რატომ უნდა გააკეთოს რაიმე მსგავსი?

- გეტყვით, რატომაც, - უთხრა პოლარდმა, - მისი ოთახი გავჩხრიკეთ და თუ გამოიცნობთ, რა აღმოვაჩინეთ? ნამდვილი მჟავათი სავსე ჭურჭელი.

- მაგის დედაც! შეგიძლიათ ეს პოლიციას აცნობოთ? იქნებ ჯიმ ლოუზის უთხრათ?

- მჟავას შენახვა დანაშაული არ არის. აი, უკანონო ჩხრეკა კი დანაშაულია. სკანეტს სრული უფლება აქვს, ჩემი თავი ციხეში ჩაასმევინოს.

- კარგი, ჩავთვალოთ, რომ ჩემთვის არაფერი გითქვამთ, ერთმანეთთან არ გვილაპარაკია და საერთოდ, დაივიწყეთ, რაც იცით.

- მესმის, მისტერ ბენც. ამ ინფორმაციისთვის გასამრჯელოსაც არ მოგთხოვთ.

- დიდად გმადლობ, -დამცინავად უპასუხა ბენცმა, - თუ რამე სიახლე გექნებათ, შემატყობინეთ.

სკიპი დირმა კლოდიას აუხსნა, თუ რა ევალებოდა მას, როგორც ფილმის სცენარისტს.

- თუ საჭირო გახდა, შეგიძლია, ათენას ტრაკი დაუკოცნო. ეხვეწე, ემუდარე, ისტერიკაში ჩავარდი. ყველაფერი შეახსენე, რაც კი ოდესმე მისთვის გაგიკეთებია როგორც მეგობარს და როგორც კოლეგას. რადაც უნდა დაგიჯდეს, ათენა გადაღებებს უნდა დაუბრუნდეს.

კლოდიას სკიპის კილო არ გაჰკვირვებია. ცივად უპასუხა:

- რატომ მაინცდამაინც მე? შენ პროდიუსერი ხარ, დიტა რეჟისორია,

ბენცი კი „ლოდსტოუნის“ პრეზიდენტია. წადით და თვითონ დაუკოცნეთ უკანალი. თქვენ ამაში ჩემზე მეტად ხართ გამოცდილი.

- იმიტომ, რომ თავიდანვე ეს შენი პროექტი იყო. შენ დაწერე სცენარის მონახაზი, მე და ათენაც ამ პროექტში შენ ჩაგვრთე. თუ პროექტი ჩაფლავდა, ეს მარცხი შენს სახელს სამუდამოდ დაუკავშირდება.

დირის წასვლის შემდეგ კლოდია დაფიქრდა და მიხვდა, რომ ის სიმართლეს ამბობდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა გადაწყვიტა, თავის ძმას, კროსს დაჰკავშირებოდა. ის ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო დახმარებოდა და ბაზ სკანეტის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა. არ სურდა, ათენასთან მეგობრობით ესარგებლა, თანაც იცოდა, რომ ათენა უარს ეტყოდა. კროსს კი ჯერ არასოდეს უთქვამს მისთვის უარი.

ვეგასში, სასტუმრო „ქსანადუში“ დარეკა, მაგრამ უთხრეს, კროსი ქუოგშია წასული და ხვალამდე არ დაბრუნდებაო. ამან ბავშვობის მთელი ის მოგონებები აუშალა, რის დავიწყებასაც ასე დაჟინებით ცდილობდა. ქუოგში არასოდეს დარეკავდა. აღარასოდეს ექნებოდა რაიმე საერთო კლერიკუციოს ოჯახთან. არც ბავშვობის გახსენება სურდა, არც თავის მამასა თუ კლერიკუციოს ოჯახის რომელიმე წევრზე სურდა ფიქრი.

წიგნი II - PSEPPSEPკლერიკუციოს ოჯახი და PSEPPSEPპიპი დე-ლენა - PSEPPSEPთავი 3PSEP

კლერიკუციოს ოჯახის სისხლიან ლეგენდას დიდი ხნის წინ სიცილიაზე ჩაეყარა საფუძველი. ეს ოჯახი იქ ოცი წლის განმავლობაში ეომებოდა მეორე ოჯახს ტყის ნაკვეთის გამო. მოწინააღმდეგე კლანის უხუცესი, დონ პიეტრო ფორლენცა სიკვდილის პირას იყო; ოთხმოცდახუთწლიან უწყვეტ ბრძოლას გაუძლო, მაგრამ ბოლოს ინსულტი დაემართა, რომელიც, ექიმის თქმით, ერთ კვირაში ბოლოს მოუღებდა. კლერიკუციოს ოჯახის წარმომადგენელმა მომაკვდავის საძინებელში შეაღწია და გულში დანა ჩასცა, თან დაიყვირა, - ამ კაცს მშვიდობიანი სიკვდილი არ დაუმსახურებიაო! PSEP

დონ დომენიკო კლერიკუციოს უყვარდა ამ სასტიკი ამბის მოყოლა იმის დასტურად, თუ რა სიბრიყვეს სჩადიოდნენ წინათ, ძველი ტრადიციების მიმდევრები. იმასაც ხშირად იმეორებდა, რომ მრისხანება დიდი ფუფუნებაა და მისი ფლანგვა არ ეგების.PSEP

მართალიც იყო, რადგან სწორედ მრისხანებამ მიიყვნა კლერიკუციოს ოჯახის სიცილიური შტო განადგურებამდე. როგორც კი მუსოლინიმ და ფაშისტებმა იტალიაში ძალაუფლება ხელთ იგდეს, მაშინვე მიხვდნენ, რომ მაფიის განადგურება იყო საჭირო. მათ ამას კანონების გამკაცრებითა და უძლეველი შეიარაღებული ძალის მეშვეობით მიაღწიეს. მაფიის განადგურებას ათასობით უდანაშაულო ადამიანიც შეეწირა. PSEP

მხოლოდ კლერიკუციოს კლანს ეყო ფაშისტებთან ბრძოლის გამბედაობა. მათ ფაშისტების მიერ დანიშნული ადგილობრივი პრეფექტი მოკლეს, ფაშისტურ გარნიზონზე იერიში მიიტანეს. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის იყო, რომ, როდესაც მუსოლინი პალერმოში სიტყვით გამოვიდა, ინგლისიდან ჩამოტანილი სახელგანთქმული მრგვალი ქუდი და ქოლგა მოჰპარეს. სწორედ ამ გლეხურმა ზიზღნარევმა იუმორმა განაპირობა სიცილიაზე მუსოლინის მასხრად აგდება და ფაშიზმის საბოლოო მარცხი. მათ პროვინციაში ძალზე დიდი რაოდენობით შეიარაღებული ძალების კონცენტრირება მოხდა. ერთბაშად ამოხოცეს კლერიკუციოს კლანის ხუთასზე მეტი წარმომადგენელი, კიდევ ხუთასი - წყნარი ოკეანის უკაცრიელ კუნძულებზე გადაასახლეს, სადაც სადამსჯელო კოლონიები იყო მოწყობილი. მხოლოდ ოჯახის ბირთვი გადარჩა. ნორჩი დომენიკო კლერიკუციო ამერიკაში გახიზნეს. იქ დონ დომენიკო სისხლის ყივილს მიჰყვა, საკუთარი იმპერია შექმნა და თავის სიცილიელ წინაპრებზე ბევრად მეტი გამჭრიახობა და ცბიერება გამოავლინა. მუდამ ახსოვდა, რომ სახელმწიფო, სადაც კანონი არ კანონობს, ძალზე საშიში მტერია. ამიტომაც მთელი გულით შეიყვარა ამერიკა.

ადრევე შეიტყო დიდებული ამერიკული ჭეშმარიტება: ჯობს, ასმა დამნაშავემ თავისუფლად ისეირნოს, ვიდრე ერთი უდანაშაულო უსამართლოდ დაისაჯოს. ამ საუცხოო იდეამ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მას მერე დომენიკო კლერიკუციო მგზნებარე პატრიოტი გახდა, ამერიკა თავის სამშობლოდ დაიგულა და

იცოდა, რომ არასოდეს დატოვებდა.

ამერიკის მადლიან ნიადაგზე დონ დომენიკომ ბევრად უფრო მძლავრი იმპერია ააშენა, ვიდრე კლერიკუციოებს ჰქონდათ სიცილიაზე. დიდი ფინანსური შენატანებით მოიპოვა ყველა პოლიტიკური თუ სამართალდამცავი ინსტიტუციის კეთილგანწყობა. შემოსავლის ერთ რომელიმე სფეროს კი არ მიენდო, არამედ, ამერიკული მეწარმეობის წესისამებრ, რესურსები თანაბრად გაანაწილა. ჰქონდა სამშენებლო ინდუსტრია, ნაგვის გადამუშავების საწარმეობი და სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტი. მაგრამ ფულის ძირითადი ნაკადი აზარტული თამაშებიდან მოდიოდა, ეს ბიზნესი კი დონს ყველაზე მეტად უყვარდა, განსხვავებით ნარკოტიკებით ვაჭრობისგან, რომელიც სძაგდა, თუმცა უფრო უხვშემოსავლიანი იყო. ამიტომაც დონმა სიცოცხლის ბოლოს კლერიკუციოს ბიზნესი მხოლოდ და მხოლოდ აზარტული თამაშებით შემოსაზღვრა, დანარჩენ სფეროებში კი მოგების ხუთ პროცენტს დასჯერდა.

ოცდახუთი წლის შემდეგ დონის გეგმა და მისი სანუკვარი ოცნება, როგორც იქნა, ახდა. აზარტულ თამაშებს საპატიო სტატუსი მიენიჭა, უფრო მეტიც: ის თანდათან სრულიად ლეგალური გახდა. ახლა ხელისუფლება თვითონაც ახვევდა თავბრუს თავის მოქალაქეებს სხვადასხვაგვარი ლატარიით. პრიზების გაცემა ოც წელიწადზე იწელებოდა და საბოლოოდ სახელმწიფო ახერხებდა აკრეფილი თანხის მთლიანად შენარჩუნებას, მხოლოდ პროცენტებს იხდიდა. ეს ყველაფერი სრულიად კანონიერად ხდებოდა. საკვირველია! დონ

დომენიკომ მთელი ეს დეტალები იმიტომ იცოდა, რომ მისი ოჯახი რამდენიმე სამენეჯერო კომპანიას ფლობდა, რომელიც სხვადასხვა შტატისთვის კარგი გასამრჯელოს ფასად ლატარიას ათამაშებდა. P SEP

ნამდვილი დღესასწაული კი დონს მაშინ დაუდგებოდა, როცა სპორტული ტოტალიზატორი სხვა შტატებშიც ისევე გახდებოდა ლეგალური, როგორც თავდაპირველად მხოლოდ ნევადაში იყო. ეს არალეგალური ფსონების მიხედვით იცოდა: მხოლოდ ფეხბურთის მსოფლიო თასის გათამაშება ერთ დღეში მილიარდ დოლარს მოაგებინებდა. რეგულარული ჩემპიონატები, კოლეჯის საფეხბურთო თამაშენი, ჰოკეი, კალათბურთი - ეს ყოველივე ოქროს საბადოების ტოლფასი გახლდათ. დონმა იცოდა, რომ ამ ბიზნესის მთლიანად ლეგალიზებას თვითონ ვერ მოესწრებოდა, მაგრამ მის შვილებს ეს არნახულ მოგებას მოუტანდა. კლერიკუციოს ოჯახი აღორძინების ხანის მთავრებსა და ჰერცოგებს დაემსგავსებოდა: ხელოვნების მფარველებად, მაღალჩინოსნებად და მრჩევლებად იქცეოდნენ, მათ სახელებს ისტორიის სახელმძღვანელოებშიც მოიხსენიებდნენ. ჩანასახიდან ოქროს განტოტვილი მცენარე ამოიზრდებოდა. დონის შთამომავლები, მისი მიმდევრები და მეგობრები სამუდამოდ დაცულნი და შეძლებულნი იქნებოდნენ. დონს ცხადად წარმოედგინა მომავლის ცივილიზებული საზოგადოება როგორც უზარმაზარი აყვავებული ხე, რომელიც თავისი ნაყოფით მთელ კაცობრიობას რომ დაანაყრებდა და დაიფარავდა. ამ ხის ფესვებს შორის კი, კლერიკუციოს უკვდავი გველიდაიბუდებდა და მისი მარად უშრეტი წვენით გამოიკვებებოდა. P SEP

თუკი აშშ-ში მიმოფანტული მრავალი მაფიოზური იმპერიისთვის კლერიკუციოს ოჯახი დედა ეკლესიის როლს ასრულებდა, მაშინ დონ დომენიკო უწმინდესი პაპი გახლდათ, რომელსაც ყველანი მისი ჭკუისა და ყოვლისშემძლეობისთვის ეთაყვანებოდნენ.

დონი აგრეთვე იმ უმკაცრესი ზნეობრივი ნორმებითაც გამოირჩეოდა, რომლებსაც თავის ოჯახში იცავდა. თითოეული მამაკაცი, ქალი თუ ბავშვი საკუთარ ქმედებებზე სრულად აგებდა პასუხს, განურჩევლად გარემოებისა. მამაკაცი მისი საქციელით ამოიცნობოდა, სიტყვები კი ცარიელი ბგერები გახლდათ. დონი არანაირ სოციალურ მეცნიერებას არ ცნობდა, არც ფსიქოლოგიას. ღვთისმოსავი კათოლიკე იყო და მტკიცედ სწამდა, რომ ამქვეყნად ცოდვების გამოსყიდვა გვიწევს, იმქვეყნად კი მოგვეტევება. ნებისმიერ ვალს რომ გადახდა უნდა, ამ წესს უზუსტესად ასრულებდა კიდეც.

პირველ ადგილზე სისხლით ნათესავების ინტერესებს აყენებდა, მეორეზე - ღმერთს (შინ საკუთარი ეკლესიაც კი ჰქონდა!), მესამეზე - ოჯახის ერთგულ და მას დაქვემდებარებულ ყველა პირს.

რაც შეეხებოდა საზოგადოებასა და ხელისუფლებას, დონი, თუმცა პატრიოტი იყო, ამავე სიმაღლეზე არ აყენებდა. ის ხომ სიცილიაში გაიზარდა, სადაც ხალხი ხელისუფლებას ნებისმიერ შემთხვევაში მტრად აღიქვამდა. თავისუფალი ნების უზუსტესი კონცეფცია ჰქონდა. შენი ნებით შეგეძლო, თავი მონად გაგეყიდა და ლუკმაპურის საშოვნელად ჭაპანი გეწყვიტა, მაგრამ შეგეძლო, ღირსეულ კაცად დარჩენილიყავი და ისე მოგეპოვა პური შენი არსობისა. ასეთი

ადამიანისთვის ოჯახი საზოგადოებაა, ღმერთი - მსაჯული, ხოლო მიმდევრები - დაცვა. ის უბრალო მოკვდავთა ხვედრზე აგებს პასუხს: მათ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს.

დონს თავისი იმპერია იმისთვის არ აუშენებია, რომ მისი შვილთაშვილები ოდესმე უსუსურ და არაფრისმაქნის მასად ქცეულიყვნენ. სიმდიდრეც იმისთვის დააგროვა, რათა მის ოჯახს მანამ შეენარჩუნებინა ძალაუფლება, ვიდრე ეკლესია იარსებებდა. განა ადამიანის უდიდეს მოვალეობად ამქვეყნად შრომით ლუკმაპურის მოპოვება, იმ ქვეყნად კი ყოვლის მოწყალე ღვთის წინაშე წარდგომა არ უნდა ჩავთვალოთ?! ხოლო მისი თანამოძმეები და მათ მიერ შექმნილი დანაშაულებრივი სტრუქტურები ეშმაკსაც წაუღია.

დონ დომენიკომ საკუთარი ოჯახი თანდათან საზოგადოების მწვერვალზე აიყვანა და ეს ბორჯას ვერაგობითა და მაკიაველის ცბიერებით მოახერხა. ამ ყველაფერს კი ბიზნესმენის საფუძვლიანი ამერიკული ალღო ემატებოდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ხელქვეითთა მიმართ მამობრივი სიყვარულით მოახერხა: სიკეთისთვის მუდამ აჯილდოებდა, დანაშაულისთვის სჯიდა.

საბოლოო ჯამში, დონის გეგმის თანახმად, კლერიკუციოს ოჯახმა ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ რიგით კრიმინალურ საქმიანობაში აღარ მონაწილეობდა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ერეოდა. მაფიის სხვა ოჯახები მისი აღმასრულებელი ბარონები იყვნენ, მათ „ბრულიონეებსაც“ უწოდებდნენ და, როცა რამე გაუჭირდებოდათ, დახმარებას მას სთხოვდნენ. იტალიურში

„ბრულიონე“ სიტყვა „ბარონს“ ერითმება, მაგრამ ამავდროულად, დიალექტზე „ბრულიონე“ ყოველგვარი მცირე სამსახურისთვის განკუთვნილ თანაშემწეს ნიშნავს. კლერიკუციო მათ ქიშპობისას ერთურთთან არიგებდა, ციხიდან ათავისუფლებდა, ევროპაში მათ არალეგალურ შემოსავალს საიმედოდ მალავდა და ამერიკაში ნარკოტიკების კონტრაბანდულად გადმოტანაში ეხმარებოდა, საჭიროებისამებრ, სასამართლოსა და ფედერალურ სამსახურთან საქმეს უგვარებდა. მუნიციპალურ ხელისუფლებას „ბრულიონე“ თავად უნდა მორიგებოდა და, თუკი ამას ვერ ახერხებდა, ესე იგი, არაფრად ვარგებულა.

დონ კლერიკუციოს უფროსი ვაჟის, ჯორჯოს ეკონომიკურმა ნიჭმა ოჯახის გავლენა კიდევ უფრო გააძლიერა. ნამდვილი „მრეცხავი ღვთაება“ იყო: მთელი კაცობრიობის კუჭ-ნაწლავში გამოვლილი შავი ფულის გათეთრება შეეძლო. ჯორჯო მუდამ ცდილობდა მამის სისასტიკის მოლბობას და, გარდა ამისა, ლამობდა, კლერიკუციოს ოჯახი საზოგადოების თვალისთვის მოეცილებინა, ამიტომაც ოფიციალური სამსახურებისთვისაც კი იდუმალ ამოუცნობ ობიექტს წარმოადგენდა, რომელსაც ათასგვარი მითქმა-მოთქმა და საშინელებათა ისტორია უკავშირდებოდა. მათ შესახებ ცნობები ეფბიაისა და პოლიციის ფაილებში მოიძებნებოდა, მაგრამ გაზეთები მათ შესახებ დუმდნენ, ისინიც კი, ვინც სხვა მაფიოზური ოჯახების საიდუმლოებათა გამოაშკარავებით იწონებდნენ თავს.

იმასაც ვერ ვიტყოდით, კლერიკუციოს ოჯახი კბილებამოცლილი

ვეფხვიაო. ჯორჯოსგან განსხვავებით, მის ძმებს, ვინსენტსა და პიტის მამის მრისხანე და უმოწყალო ხასიათი ჰქონდათ. პროფესიული ჯარიც ჰყავდათ - ბრონქსის დაჯგუფება, რომელსაც მხოლოდ იტალიელი ახალწვეულებით აკომპლექტებდნენ. ისინი ორმოცი კვარტალისგან შემდგარ დახურულ დასახლებაში ცხოვრობდნენ, რომელშიც სავსებით შესაძლებელი იყო იტალიის ისტორიის შესახებ კინოფილმის გადაღება. აქ ვერც გრძელწვერა ებრაელებს ნახავდით, ვერც შავკანიანებს, მთელ ტერიტორიაზე ერთი ჩინური რესტორანიც კი არ იყო. იმ მიდამოებში მთელი უძრავი ქონება კლერიკუციოს ოჯახს ეკუთვნოდა. რა თქმა უნდა, ამ იტალიური მოსახლეობის არაერთი პირმშო იზრდიდა თმას და გიტარით ხელში უჯანყდებოდა მშობლებს, მგრამ ასეთებს ნათესავებთან კალიფორნიაში გზავნიდნენ. ყოველწლიურად სიცილიიდან სათუთად ნარჩევი ახალმოსახლეები ჩამოდიოდნენ. ბრონქსის დასახლება დანაშაულის მხრივ ქვეყანაში ყველაზე უფრო საშიში უბნებით იყო გარშემორტყმული, მაგრამ მისი ტერიტორია აბსოლუტურად სუფთა იყო კრიმინალისგან. ¶

პიპი დე-ლენა თავდაპირველად სწორედ ამ ქალაქის მერი და ჯარის მეთაური გახლდათ, მოგვიანებით კი დაწინაურდა და ლას-ვეგასში „ბრულიონეს“ ანუ დონის ემისრის სტატუსი მიენიჭა. ის კვლავინდებურადუშუალოდ ექვემდებარებოდა კლერიკუციოს ოჯახს, რომელსაც მისი ნიჭი და მონაცემები სჭირდებოდა.¶

პიპი სწორედ ის იყო, რასაც ამ წრეში „კვალიფიკადოს“ ანუ გაწაფულ კაცს უწოდებდნენ. „საბრძოლო ნათლობა“ ძალზე ადრე,

ჩვიდმეტი წლის ასაკში მიიღო და, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო, მოწინააღმდეგე თოკით მოახრჩო, რასაც ამერიკელი ახალგაზრდები, როგორც წესი, თაკილობდნენ. ფიზიკურად ძალზე ღონიერი, მაღალი და ბრგე იყო. რასაკვირველია, ასაფეთქებელ მოწყობილობებშიც საუცხოოდ ერკვეოდა. ამასთან, სიცოცხლის ისეთი ხალისი ჰქონდა, ყველას რომ აჯადოებდა. მამაკაცებს მისი გამჭრიახობა მოსწონდათ, ქალებს კი მისი გალანტურობა - ნაწილობრივ ჰოლივუდის ფილმებიდან ნასესხები, ნაწილობრივ სიცილიურ-გლეხური მედიდურობით გაზავებული. საქმეს ძალზე სერიოზულად ეკიდებოდა, მაგრამ ამავდროულად, სწამდა, რომ ადამიანი ცხოვრებით უნდა დატკბეს.

პატარ-პატარა სისუსტეებიც ჰქონდა. ბევრს სვამდა, გატაცებით თამაშობდა და ქალებსაც დიდად სწყალობდა. ისეთი დაუნდობელი არ იყო, როგორც დონს სურდა, იქნებ იმიტომ, რომ სხვა, „ჩვეულებრივ“ ადამიანებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მაგრამ ახერხებდა, საკუთარი სისუსტეებიც მტრის წინააღმდეგ იარაღად გამოეყენებინა.

კარიერაში, ცხადია, იმან შეუწყო ხელი, რომ დონის დისშვილი იყო. დიდებული ოჯახისშვილობა მაშინაც გამოადგა, როცა ოჯახური ტრადიცია დაარღვია.

შეცდომა ყველას მოსდის და პიპი დე-ლენამაც ოცდარვა წლის ასაკში მისთვის სრულიად შეუფერებელი ქალი შეიყვარა და ცოლადაც მოიყვანა.

მას ნელინ ჯესაპი ერქვა და სასტუმრო „ქსანადუს“ შოუს მოცეკვავე იყო. პიპი მუდამ სიამაყით უსვამდა ხაზს იმას, რომ ნელინი შოუს მონაწილე ჩვეულებრივი გოგონა კი არ იყო, წინა რიგში რომ დგას და მაყურებელს ძუძუებსა და დუნდულებს უჩვენებს, არამედ - ნამდვილი მოცეკვავე. გარდა ამისა, ვეგასის საერთო ფონზე, განათლებულიც იყო: წიგნებს კითხულობდა, პოლიტიკას თვალს ადევნებდა და, რაკი ძველ კალიფორნიულ ოჯახში გაიზარდა, პატრიარქალურ ტრადიციებს იზიარებდა.

არანაირი საერთო ინტერესი არ ჰქონდათ. პიპი თითქმის არაფერს კითხულობდა, არც მუსიკას უსმენდა და არც თეატრში დადიოდა. პიპი ხარს ჰგავდა, ნელინი კი - ყვავილს. პიპის ადამიანების მოხიბვლა შეეძლო, ძალზე იოლად ამყარებდა კონტაქტს ადამიანებთან, თუმცა მისი იერი მუქარას ასხივებდა. ნელინს კი იმდენად რბილი ხასიათი ჰქონდა, რომ თანაგუნდელი გოგონები მასთან ჩხუბის საბაბსაც ვერ პოულობდნენ, არადა, ერთმანეთს გამუდმებით ეკინკლავებოდნენ, თუნდაც თავშესაქცევად ან დროის მოსაკლავად.

ცეკვა ერთადერთი იყო, რაც პიპისა და ნელინს ერთმანეთთან აკავშირებდა, რადგან პიპი დე-ლენა, კლერიკუციოს ოჯახის „ურო“, „დამრტყმელი ძალა“ საცეკვაო მოედანზე სრულიად იცვლებოდა. ცეკვა მისთვის იმ პოეზიის მაგიერი იყო, რომელსაც ვერასოდეს კითხულობდა, შუასაუკუნოვანი რაინდობის, დახვეწილი ალერსის, სინაზის შემცველი ფენომენი, რომელიც მისი გონებისთვის მიუწვდომელი იყო და მხოლოდ თანდაყოლილ ალღოს წყალობით

შეიგრძნობდა.

ნელინ ჯესაპს ეს მამაკაცის სულში წვდომის შესაძლებლობას აძლევდა. ზოგჯერ, ვიდრე ალერსს მიეცემოდნენ, საათობით ერთმანეთს ეცეკვებოდნენ და ამის წყალობით, რაღაც არაამქვეყნიური სიამოვნების ფორმას იძენდა და თითქოს მათ შორის სულიერი ხიდი გადების საშუალებად იქცეოდა. ნელინის სასტუმროს ნომერში ან ვეგასის საცეკვაო მოედნებზე ცეკვისას პიპი გამუდმებით ლაპარაკობდა.

პიპი კარგი მთხრობელი იყო და ქალით აღტაცებასაც სასიამოვნოდ და ენამოსწრებულად გამოხატავდა. ძლიერი მამაკაცური ხიბლით გამორჩეულს, ურთიერთობის დაწყების დღიდანვე შეეძლო, ნელინის ფერხთით გაწოლილიყო და მისი სიტყვებისთვის, როგორც ნამდვილ მონას, გაფაციცებით დაეგდო ყური.. გული სიამაყით ევსებოდა, როცა ნელინი წიგნებზე, თეატრზე, დემოკრატიული საზოგადოების ვალდებულებაზე, დაეცვა უმწეოთა თუ ფერადკანიანთ უფლებები, სამხრეთ აფრიკის გათავისუფლებასა და მესამე სამყაროს მოსახლეობისთვის დახმარების აუცილებლობასაც ახსენებდა. პიპის ამგვარი განცდები საოცრად აღელვებდა, მისთვის ეს უცხო და საკვირველი რამ იყო.

ერთმანეთს იმანაც დააახლოვა, რომ ძალზე კარგად შეეწყვნენ როგორც სექსუალური პარტნიორები. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულები ერთურთისადმი დაუოკებელ ლტოლვას განიცდიდნენ და საუცხოოდ ავსებდნენ. მათ კავშირს ისიც ამყარებდა,

რომ პიპი იცნობდა ნელინს, ნელინისთვის კი დაფარული რჩებოდა პიპის ნამდვილი არსი და მხოლოდ მასზე უგონოდ შეყვარებულ მამაკაცს ხედავდა, რომელიც საჩუქრებით ავსებდა და ოცნებებში მხარს უბამდა. P SEP

გაცნობიდან ერთი კვირის შემდეგ იქორწინეს. თვრამეტი წლის ნელინს ჭკუა არ მოეკითხებოდა, ოცდარვა წლის პიპი კი თავდავიწყებით იყო შეყვარებული. ორივე, თუმცა სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც ტრადიციულად იყო აღზრდილი, ამიტომაც ორივეს ოჯახის შექმნა სურდა. ნელინი უკვე დაობლებულიყო, პიპის კი არ სურდა, კლერიკუციოს ოჯახისთვის თავისი ახალი განცდა გაემხილა. იცოდა, ამას არ მოუწონებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, ოჯახი უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა. მათ ვეგასის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. P SEP

პიპი გაოცებული დარჩა, როცა დონ დომენიკომ მისი ქორწინების გამო კმაყოფილება გამოთქვა. მისი აზრით, კაცის უპირველესი დანიშნულება ქონების დაგროვებაა, მაგრამ რა აზრი აქვს ამას, თუკი ოჯახი არ შექმნა და მემკვიდრეები არ აღზარდა?! მართალია, დონი განაწყენდა, რაკი ეს ქორწინება მისი რჩევის გარეშე და მისგან უჩუმრად შედგა.პიპის ძარღვებში ხომ კლერიკუციოს სისხლი ჩქეფდა. P SEP

უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა, - თუ უნდათ, იცეკვონ, თუ უნდათ, კლდიდან გადაცვივდნენო, - მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალდაქორწინებულებს მეფური საჩუქრები გაუგზავნა: ვეება „ბიუიკი“,

წელიწადში ასიათასდოლარიანი შემოსავლის მომტანი კომპანია და სარეკლამო სააგენტო. პიპი დე-ლენა ძველებურად ემსახურებოდა კლერიკუციოს ოჯახს დასავლეთში, თუმცა ბრონქსის დაჯგუფებიდან სამუდამოდ გაირიცხა, რადგან უცხოტომელ ცოლთან მათი საქმის ერთგულ შთამომავლებს ვერ იყოლიებდა. მისი ცოლი ისევე უცხო იყო მათთვის, როგორც მუსლიმები, შავკანიანები, ჰასიდები თუ დევნილი აზიატები. ამგვარად, მიუხედავად ოჯახის წევრობისა და „ბარონობისა“, პიპიმ ქუოუგის „სამეფო კარზე“ მნიშვნელოვანწილად დაკარგა გავლენა.

უხმაურო ჯვრისწერაზე პიპის ხელისმომკიდედ „ქსანადუს“ მფლობელი, ალფრედ გრონეველტი გამოცხადდა. ცერემონიის დასასრულს მანვე გამართა მოკრძალებული სადილი, რომელზედაც ნეფე-დედოფალმა გვიან ღამემდე იცეკვა. მომდევნო წლების მანძილზე გრონეველტს და პიპი დე-ლენას ძალზე მჭიდრო მეგობრობა კავშირებდა.

მათი ქორწინება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, რათა ორი შვილი - ქალ-ვაჟი გაეჩინათ. უფროს შვილს ნათლობისას კროჩიფიციო დაარქვეს, მაგრამ მუდამ კროსს ეძახდნენ. ბიჭი ზედგამოჭრილი დედა იყო, მოხდენილი აღნაგობა და თითქმის ქალურად ლამაზი სახე ჰქონდა, თუმცა მამასავით ღონიერი და მოქნილიც გახლდათ. გოგონა, კლოდია მამას ჰგავდა, თუმცა მამის არც ერთი ნიჭი თუ ღირსება არ გამოჰყოლია და არც დედასავით ლამაზი იყო: მხოლოდ ბავშვის მიმზიდველობა არ გათქმევინებდათ, შეუხედავიაო. სამაგიეროდ,

დედის სილბო, წიგნების, მუსიკისა და თეატრისადმი ინტერესი გამოჰყვა. ბუნებრივად ისე მოხდა, რომ კროსი უფრო მამას დაუახლოვდა, კლოდია კი - დედას. ვიდრე დე-ლენას ოჯახი დაინგრეოდა, თერთმეტი წელიწადი შესანიშნავად ცხოვრობდნენ. პიპიმ ვეგასში „ბრულიონედ“ დაიმკვიდრა თავი, „ქსანადუს“ ჰპატრონობდა, ძველებურად ემსახურებოდა კლერიკუციოს ოჯახს. გამდიდრდა, ცხოვრება მოიწყო, თუმცა, დონის აზრით, სანიმუშო ცხოვრებას სულაც არ ეწეოდა: ბევრს სვამდა, თამაშობდა, ცოლს ხშირად ეცეკვებოდა, შვილებს საკმაო ყურადღებას აქცევდა და ცდილობდა, ისინი ზრდასრული ცხოვრებისთვის მოემზადებინა.

პიპის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა და შორსმჭვრეტელობის უნარი გამოიმუშავა. მისი წარმატების საწინდარიც სწორედ ეს იყო. ადრევე განჭვრიტა პატარა კროსში მომავალი მამაკაცი და სურდა, ეს მამაკაცი მისი თანამოაზრე გამხდარიყო. ან იქნებ სურდა, გვერდით ერთი არსება მაინც ჰყოლოდა ისეთი, ვისაც ბოლომდე ენდობოდა.

ამიტომაც კროსი გამოწვრთნა, აზარტული თამაშების ხრიკები შეასწავლა, გრონეველტთან ერთად სასადილოდ თან დაჰყავდა, რათა ბიჭს კაზინოს შესახებ სხვადასხვა ამბავი მოესმინა. გრონეველტი ამგვარ თხრობას მუდამ ერთი და იმავე ფრაზით იწყებდა:

- ყოველღამით მილიონობით ადამიანი თვალგახელილი წევს და სულ იმას ფიქრობს, ჩემი კაზინო როგორ გააკოტროს.

პიპის ვაჟი სანადიროდ დაჰყავდა, ადრევე ასწავლა ნადირის

გატყავება, სისხლის სუნსა და სისხლიან ხელებს შეაჩვია. კრივიც შეასწავლა და ტკივილის ატანასაც შეაჩვია. შეაყვარა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ თოკით მოგუდვა არ უსწავლებია. ეს პრაქტიკა მათ დროში აღარ გამოიყენებოდა, თანაც ბიჭის დედისთვის ამის ახსნა ძალზე რთული იქნებოდა.

კლერიკუციოს ოჯახს ნევადაში დიდი სანადირო მამული ჰქონდა და პიპი ოჯახთან ერთად იქ ატარებდა არდადეგებს. ვიდრე ნელინი თბილ, მყურდო კოტეჯში წიგნებს კითხულობდა, მამას შვილები სანადიროდ დაჰყავდა. კროსს ირმებისა და მგლების დახოცვა არ უჭირდა, ზოგჯერ ჯიქებსა და დათვებზეც კი ნადირობდა, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ იარაღს საუკეთესოდ ხმარობდა, მასთან მოპყრობაში ფრთხილიც იყო, საფრთხის პირისპირ თავი მშვიდად ეჭირა, სისხლიან შიგნეულში ხელის ფათური არ ეზიზღებოდა. ნანადირევის გატყავება და გამოშიგვნა მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა.

კლოდია ამგვარი გამძლეობით არ გამოირჩეოდა: გასროლის ხმაზე კრთებოდა, ირმის გატყავებისას გული ერეოდა. რამდენიმე ასეთი ლაშქრობის შემდეგ წამოსვლაზე უარი თქვა, დედასთან ერთად წიგნებს კითხულობდა ანდა ნაკადულის პირას სეირნობდა. კლოდია თევზაობაზეც კი უარს ამბობდა: უბრალოდ არ შეეძლო, წვეტიანი კაუჩი ჭიაყელას რბილ სხეულში გაეყარა.

პიპიმ მთელი ყურადღება ვაჟიშვილის აღზრდას მიაპყრო. ქცევის ნორმებს უყალიბებდა: არასოდეს გამოამჟღავნო ბრაზი, შენ შესახებ

არავის არაფერი გაუმხილო. საყოველთაო პატივისცემა სიტყვით კი არა, საქმით დაიმსახურე. მოწიწებით მოეპყარი სისხლით ნათესავებს. აზარტული თამაშები გართობაა და არა - შემოსავლის წყარო. გიყვარდეს მამა, დედა, და, მაგრამ უფრთხილდი შენი ცოლის გარდა სხვა ქალის შეყვარებას. ცოლი ის ქალია, ვინც შვილები გაგიჩინა და მათი დაბადების დღიდან მოყოლებული, შენი უპირველესი ვალი მათთვის ლუკმაპურის შოვნაა.

კროსი იმდენად დამყოლი მოწაფე იყო, რომ პიპის მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. უხაროდა, რომ მისი ვაჟი ნელინივით მოხდენილი და ლამაზი იყო, და წუხდა, რომ დედის ინტელექტუალური შესაძლებლობები არ გამოჰყოლია, არადა, სწორედ ეს შესაძლებლობები იყო, მათ ქორწინებას თანდათან ძირს რომ უთხრიდა.

პიპიმ ვერა და ვერ ირწმუნა დონის ოცნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ყველა შთამომავალი კანონიერ საზოგადოებას შეერწყმებოდა.არც იმ აზრს იზიარებდა, რომ ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. დონის გენიალობას აღიარებდა, მაგრამ ეს მოხუცის რომანტიზმად მიაჩნდა. ბოლოს და ბოლოს, ბუნებრივი იყო, მამებს შვილები თავიანთი საქმის გამგრძელებლებად ნდომოდათ. სისხლი სისხლი იყო და, რაგინდ გეცადა, მას მაინც ვერ ჩამოიბანდი.

პიპი მართალი აღმოჩნდა. დონ დომენიკოს დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მის გეგმებს მისი შვილიშვილი დანტეც კი არ იზიარებდა.

ის ძალაუფლების მოყვარული და აგრესიული იყო და აშკარად ამჟღავნებდა იმას, რომ მის ძარღვებში სიცილიური სისხლი ჩქეფდა. არც საზოგადოების წესების დარღვევას უფრთხოდა, არც ღვთისას.

როცა კროსი შვიდი წლის იყო, კლოდია კი - ექვსის, ბუნებით აგრესიულ კროსს ცუდი ჩვევა ჩამოუყალიბდა: თავის დას მამის თანდასწრებითაც კი ხშირად ურტყამდა მუცელში. კლოდია ყვიროდა და შველას ითხოვდა. პიპის შეეძლო, ეს პრობლემა სხვადასხვაგვარად მოეგვარებინა. შეეძლო, ბიჭი ქეჩოთი აეყვანა და ჰაერში შეენჯღრია, რასაც ხშირად სჩადიოდა; ანდა შეეძლო, კლოდიასთვის ეთქვა, ხელი შეუბრუნეო. შეეძლო, კროსი კედელზე მიენარცხებინა, რაც ერთი-ორჯერ ადრეც გაუკეთებია. მაგრამ ამჯერად სადილის შემდეგ სიზარმაცე მოეძალა ან იქნებ ცოლის საყვედურს მოერიდა, რომელიც ბავშვებზე ფიზიკური ძალადობის წინააღმდეგი იყო. ასეა თუ ისე, პიპიმ სიგარას მოუკიდა და კროსს უთხრა:

- იცოდე, რამდენჯერაც შენს დას დაარტყამ, იმდენჯერ ვაჩუქებ დოლარს.

კროსს კლოდიას ცემა არ შეუწყვეტია, მაგრამ ახლა ეს გოგონას ახარებდა კიდეც, რადგან ლამის თითოეულ დარტყმას მის თავზე „ოქროს წვიმა“ მოდიოდა. კროსი სახტად დარჩა და, ბოლოს და ბოლოს, გაჩერდა.

პიპი ცოლს საჩუქრებით ავსებდა, მაგრამ ამით მხოლოდ მისი დამოკიდებული მდგომარეობის შენიღბვას ცდილობდა. ეს პატრონის მიერ მონისთვის გაღებული წყალობა გახლდათ: ბრილიანტის

ბეჭდები, ბეწვის ქურქები, ევროპაში მოგზაურობა. პიპიმ ცოლს საკრამენტოში სახლი უყიდა, რადგან მას ვეგასი სძულდა. როცა „ბენტლი“ აჩუქა, მძღოლის ფორმა ჩაიცვა და მანქანა პარმაღთან მიუყენა. ერთად ცხოვრების დასრულებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ძველი, უძვირფასესი ბეჭედი აჩუქა, რომელიც ბორჯას კოლექციის ნაწილად იქნა აღიარებული. მხოლოდ თავისი საკრედიტო ბარათებით სარგებლობას უკრძალავდა.

სხვა მხრივ, გამგები და ლმობიერი იყო. ნელინს გადაადგილების სრულ თავისუფლებას აძლევდა, ეჭვიან იტალიელ ქმარს ნამდვილად არ ჰგავდა. თვითონ უცხოეთში მხოლოდ საქმეზე მიემგზავრებოდა, სამაგიეროდ, ნელინს ნებას რთავდა, ევროპაში მეგობარ ქალებთან ერთად გამგზავრებულიყო, რადგან ქალს ასე ძლიერ სურდა ლონდონში მუზეუმების დათვალიერება, პარიზში - ბალეტის ნახვა, იტალიაში კი - ოპერის მოსმენა.

ზოგჯერ ნელინს აოცებდა, რომ ის ეჭვიანობის ნიშანწყალსაც კი არ ავლენდა, მერე კი მიხვდა, რომ მათ გარემოცვაში ვერც ერთი მამაკაცი მასთან არშიყს ვერ გაბედავდა.

როდესაც იქორწინეს, დონ დომენიკომ დამცინავად შენიშნა: ნუთუ ჰგონიათ, მთელი ცხოვრება ასე ერთად იცეკვებენო?!

პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა. ნელინს, გრძელი ფეხების მიუხედავად, წვეულებებზე დასწრებისა და საზოგადოებაში ტრიალის ჟინი აკლდა. შინ ჯდომის პირველი ოთხი წლის მანძილზე ბედნიერი იყო: შვილებს უვლიდა, ბევრს კითხულობდა და ნევადის

უნივერსიტეტში სწავლობდა.

მაგრამ პიპის აღარ აინტერესებდა გარემოს დაცვის პრობლემები, აღარც ზანგებისადმი ცოლის თანაგრძნობას იზიარებდა, რომლებსაც ისიც კი ვერ მოეხერხებინათ, ისე ექურდათ, რომ პოლიციას არ დაეჭირა, ხოლო ამერიკის ინდიელების ბედი მთლად ფეხებზე ეკიდა. წიგნის თუ ფილმის შესახებ საუბრისგანაც თავს იკავებდა. ნელინის მოთხოვნაც, შვილები არ ეცემა, აოცებდა. ბავშვები ხომ პატარა მხეცები არიან, სხვანაირად როგორ უნდა ასწავლო მოქცევა, თუ კედელს არ მიანარცხე? ცხადია, მუდამ ფრთხილად იყო, რათა არაფერი დაშავებოდათ.

ამ ყველაფერმა ქორწინების მეოთხე წელიწადს პიპის იმისკენ უბიძგა, რომ საყვარელი გაეჩინა, თანაც - არაერთი: ერთი ლას-ვეგასში ჰყავდა, მეორე - ლოს-ანჯელესში, ერთიც ნიუ-იორკში. ნელინმა საპასუხოდ პედაგოგის დიპლომი აიღო.

ბავშვები ორივეს უყვარდა და მათთვის დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ. ნელინი საათობით უკითხავდა წიგნებს, ასწავლიდა სიმღერასა და ცეკვას. ქორწინებას პიპის კეთილგანწყობა ადუღაბებდა. მისი დაუღალავი სიცოცხლის ხალისი ცოლქმრულ უთანხმოებას არბილებდა. ბავშვებს დედა უყვარდათ, მამას კი აღტაცებით შეჰყურებდნენ. დედა სათნო და მშვენიერი იყო, ალერსიანი და ჭკვიანი, მამა კი - ღონიერი.

ორივე მშობელი ბრწყინვალე პედაგოგიური ნიჭით იყო დაჯილოებული. დედისგან ბავშვებმა ისწავლეს საზოგადოებაში ქცევის

წესები, გემოვნებით ჩაცმა, თავის მოვლა, ცეკვა. მამამ ამ სამყაროში თავდაცვის საშუალებებზე მიუთითა, ასწავლა აზარტული თამაშები და სხეულის ფიზიკური ფორმის შენარჩუნება. სასტიკი დასჯისთვის მამას არ ემდუროდნენ, რადგან ის ამას მხოლოდ დისციპლინის აუცილებლობის გამო სჩადიოდა, დასჯისას არასოდეს კარგავდა სიმშვიდეს და მოგვიანებით არასოდეს ახსენებდა დანაშაულს. ¶

კროსი უშიშარი იყო, მაგრამ დათმობა შეეძლო. კლოდიას კი ძმის სიმამაცე აკლდა, სამაგიეროდ, სიჯიუტეს არც ის უჩიოდა. ვითარების სტაბილურობას ის უწყობდა ხელს, რომ ფულის ნაკლებობა არასოდესგანუცდიათ. ¶

წლების განმავლობაში ნელინმა უცნაური რამეები შენიშნა. თავიდან - უმნიშვნელო. როცა პიპი ბავშვებს ბანქოს ეთამაშებოდა, თავიდან პიწმინდად გაფცქვნიდა - მთელ ფულს წააგებინებდა, ბოლოს კი მუდამ ისე ხდებოდა, რომ ბავშვები გამარჯვებულები რჩებოდნენ და ბედნიერებისგან გაბრწყინებული წვებოდნენ დასაძინებლად. საკვირველი ის იყო, რომ პატარაობაში კლოდიას აზარტული თამაშები უფრო მეტად იტაცებდა, ვიდრე კროსს. მოგვიანებით პიპი შვილებს მუდამ უხსნიდა, თუ როგორ ატყუებდა. ნელინს ეს საშინლად აბრაზებდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ქმარი მისი და შვილების სიცოცხლით თამაშობდა. პიპი უხსნიდა, ეს აღზრდის ნაწილიაო, მაგრამ ცოლის აზრით, ეს ბავშვების აღზრდა კი არა, მათი გაფუჭება უფრო იყო. პიპი ეუბნებოდა, - მინდა, ბავშვები ცხოვრებისეული სინამდვილისთვის შევამზადოო, - ნელინს კი სურდა,

ისინი ცხოვრების მშვენიერებისთვის შეემზადებინა.

პიპის საფულეში მუდამ მეტისმეტად ბევრი ფული ჰქონდა: ეს გარემოება ცოლსაც საეჭვოდ მიაჩნდა და საგადასახადოს მოხელესაც. მართალია, პიპის ბიზნესი ყვაოდა, მაგრამ მისი დონის სააგენტოსთვის ის ბევრად უფრო მდიდრულად ცხოვრობდა.

როცა პიპი ოჯახთან ერთად აღმოსავლეთში მიემგზავრებოდა და კლერიკუციოს ოჯახს სტუმრობდა, ნელინს მუდამ აკვირვებდა, თუ რა მოწიწებით ეპყრობოდა ყველა მის ქმარს და რა დიდხანს გრძელდებოდა მამაკაცების საიდუმლო შეხვედრები.

სხვა წვრილმანებიც შენიშნა. პიპის თვეში ერთხელ მაინც უწევდა მივლინებაში გამგზავრება. ცოლმა არასოდეს იცოდა მისი მივლინების დეტალები და ჩამოსვლის შემდეგ ქმარი მოგზაურობის შესახებ არაფერს უამბობდა. ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ლიცენზია ჰქონდა, რაც გასაკვირი სულაც არ იყო, რადგან კლიენტებისგან დიდი თანხების შეგროვება უწევდა. იარაღს ძალზე ფრთხილად ეპყრობოდა, ნელინს და ბავშვებს არ აკარებდა. ტყვიები მუდამ სხვა უჯრაში ჰქონდა ჩაკეტილი.

რაც წლები გადიოდა, პიპი სულ უფრო ხშირად მოგზაურობდა, ნელინი კი ბავშვებთან ერთად შინ მარტო რჩებოდა. პიპისა და ნელინს შორის სექსუალური სიახლოვეც თანდათან იკლებდა და კავშირი ფერმკრთალდებოდა.

შეუძლებელია, ადამიანმა წლების მანძილზე დაუმალოს ახლობელს თავისი ჭეშმარიტი არსი. ნელინმა თანდათან დაინახა,

რომ პიპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მისი მისწრაფებები და ინტერესები იყო. თუმცა ნელინის მიმართ არასოდეს გამოუჩენია სისასტიკე, ბუნებით სასტიკი და მრისხანე ადამიანი იყო. უაღრესად გულჩათხრობილი გახლდათ, თუმცა თავი ისე ეჭირა, თითქოს სრულიად გახსნილი ყოფილიყოს. გულითადი და მიმზიდველი იყო, მაგრამ ამავდროულად, საშიშიც.

ძალზე გულისამაჩუყებელი პატარა სისუსტეებიც ახასიათებდა. მაგალითად, ერთხელ ნაცნობი ცოლ-ქმარი იტალიურ რესტორანში დაპატიჟა. აღმოჩნდა, რომ წყვილს იტალიური კერძები არ უყვარდა და თითქმის არაფერი მიირთვეს. ამის შემხედვარე პიპიმ თვითონაც ვერაფერს დააკარა პირი.

ზოგჯერ თავისი სააგენტოს საქმიანობაზე საუბრობდა. მას იმ კლიენტებისგან ევალებოდა კაზინოში წაგებული თანხების შეგროვება, ვინც გადახდაზე უარს ამბობდა. ნელინს უმტკიცებდა, ძალას არასოდეს ვხმარობ, მხოლოდ სიტყვიერად ვცდილობ მათ დაყოლიებასო. ვალის გადახდა ნებისმიერი ადამიანისთვის ღირსების საკითხია, საკუთარ ქმედებაზე ყველამ უნდა აგოს პასუხი და პიპი თვითონაც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, როცა ხედავდა, რომ პატივსაცემი ადამიანები ამ პასუხისმგებლობას გაურბოდნენ. ექიმები, იურისტები, კორპორაციების თავმჯდომარეები სასტუმროს დამატებითი მომსახურებით სარგებლობდნენ, მერე კი გადახდაზე უარს აცხადებდნენ. მაგრამ მათგან საჭირო თანხის აღება ყველაზე უფრო ადვილი იყო. საამისოდ საკმარისი იყო, მათ დაწესებულებაში

მისულიყავი და მათი კოლეგების გასაგონად აგეტეხა ერთი ამბავი, კი არ დამუქრებოდი, არამედ კლიენტისთვის მხოლოდ წყალწაღებული მოთამაშე გეწოდებინა, რომელიც საქმის კეთების ნაცვლად თამაშობს, აგებს, მერე კი წაგებულის გადახდას თავს არიდებს.

მცირე ბიზნესის წარმომადგენლები უფრო პრაქტიკულნი იყვნენ. ეს კერკეტი კაკლები ყოველი დოლარიდან თითო ცენტის გამორჩენას ცდილობდნენ. ზოგიერთი ჭკვიანი ყალბ ჩეკს გასცემდა, ხოლო როცა გამოიჭერდი, ამტკიცებდა, შეცდომა მომივიდაო. ეს ყველაზე უფრო გავრცელებული ხრიკი გახლდათ. ვთქვათ, გაძლევდა ათიათასიან ჩეკს მაშინ, როდესაც ანგარიშზე მხოლოდ რვა ათასი ჰქონდა. მაგრამ პიპის ბანკის ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებოდა, ამიტომაც ის უბრალოდ იმ ორ ათასს მოვალის ანგარიშზე ურიცხავდა, მერე კი მთელ თანხას, ანუ ათი ათასს ხსნიდა. როცა ამგვარ ეშმაკობას ნელინს უხსნიდა, მუდამ გულიანად იცინოდა.

მაგრამ მისი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარე ის იყო, კლიენტი არა მხოლოდ თანხის გადახდაზე დაეყოლიებინა, არამედ იმაშიც დაერწმუნებინა, რომ მომავალში არ უნდა შეეწყვიტა აზარტული თამაში. მისი სამსახურისთვის გაკოტრებულ მოთამაშესაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: პიპი მას არწმუნებდა, მის კაზინოში კრედიტით ეთამაშა, ვიდრე მოგებიდან ვალს დაფარავდა.

ერთ საღამოს პიპიმ ნელინს ისეთ ამბავს მოუყვა, თვითონ უაღრესად სასაცილოდ რომ მიაჩნდა. იმ დღეს ჩვეულებისამებრ თავის ოფისში, სასტუმრო „ქსანადუს“ გვერდით მდებარე სავაჭრო ცენტრში

მუშაობდა. უეცრად ქუჩიდან სროლის ხმა გაისმა. გარეთ გავარდა და დაინახა, საიუველირო მაღაზიიდან ორი ნიღბიანი კაცი როგორ გამორბოდა. პიპი არც დაფიქრებულა, ისე ამოიღო იარაღი და მძარცველებს ტყვიები დაადევნა. გაქცეულებიიქვე მომლოდინე მანქანაში ჩახტნენ და იქაურობას გაეცალნენ. რამდენიმე წუთში მოვიდა პოლიცია, პიპი დაჰკითხა და დააპატიმრა. ცხადია, იცოდნენ, რომ იარაღის ტარების უფლება ჰქონდა, მაგრამ გასროლით მან „დაუფიქრებელი საფრთხე“ შექმნა. ალფრედ გრონეველტს პოლიციის განყოფილებაში მოუწია მისვლამ მის გასათავისუფლებლად.

- თვითონაც ვერ გამიგია, ეს რატომ გავაკეთე, - ამბობდა პიპი, - ალფრედმა მითხრა, შენში მონადირემ გაიღვიძაო. მაინც არ მესმის, რაში დამჭირდა მძარცველების ხოცვა და საზოგადოების დაცვა?! ან მე როგორ გამიბედეს ციხეში ჩასმა?!

თუმცა გულახდილობის მსგავსი გამონათებებით პიპი შეგნებულად ახედებდა ნელინს თავისი არსის ნაწილში, რათა ცოლი მის ხასიათს უფრო ღრმად არ ჩასწვდომოდა. ბოლოს ქალმა პიპი დე-ლენასთან გაყრა მაშინ გადაწყვიტა, როცა ის მკვლელობისთვის დააპატიმრეს...

დენი ფიუბერტა ტურისტული კომპანიის მფლობელი იყო, რომლის შესაძენ თანხას თავის დროზე, ჯერ კიდევ სანტადიოს ოჯახის მფარველობისას, მევახშეობით მოუყარა თავი. ამას მოჰყვა სოლიდური ფულის კეთება, როცა ვეგასში გართობის ორგანიზატორობას მიჰყო ხელი.

გართობის ორგანიზატორი ვეგასის სასტუმროს მეპატრონესთან დებდა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც, თამაშსა და გართობას დახარბებული დამსვენებლები მის კლანჭებში უნდა მოექცია. დენის დაქირავებული ჰქონდა თვითმფრინავი, რომლითაც ყოველთვიურად ორასამდე კლიენტი ჩამოჰყავდა სასტუმრო „ქსანადუში“. სულ რაღაც ათას დოლარად კლიენტი ნიუ-იორკიდან ვეგასში ხვდებოდა, ფრენისას უფასო საკვებს მიირთმევდა, სასტუმროშიც უფასოდ ცხოვრობდა და იკვებებოდა. ფიუბერტას მუდამ მსურველების გრძელი სია ჰქონდა შედგენილი, თუმცა კლიენტებს ძალზე ფრთხილად არჩევდა. თითოეულს მაღალანაზღაურებადი სამსახური უნდა ჰქონოდა, შესაძლოა, უკანონოც, და დღეში ოთხი საათი მაინც უნდა გაეტარებინა კაზინოში. თუკი ისინი სასტუმროსგან კრედიტს აიღებდნენ, მთლად უკეთესი.

ფიუბერტას ყველაზე მეტად ხელს აძლევდა აფერისტებთან, ბანკის მძარცველებთან, ნარკოდილერებთან, კონტრაბანდისტებთან და სხვა ჯურის თაღლითებთან ნაცნობობა, ნიუ-იორკის კლოაკებში რომ ფუთფუთებდნენ. ეს ადამიანები მისი უპირველესი კლიენტები იყვნენ. თუნდაც იმიტომ, რომ მათი ცხოვრება სტრესებით იყო სავსე და განტვირვა სჭირდებოდათ. არაკანონიერი ხერხებით დიდ თანხებს აგროვებდნენ და აზარტული თამაშები ძალზე უყვარდათ.

ვეგასის სასტუმროში ჩამოყვანილი ორასკაციანი თვითმფრინავისთვის ფიუბერტა ოცი ათას დოლარს იღებდა. ზოგჯერ, თუ კლიენტები განსაკუთრებით ბევრს აგებდნენ, დამატებით თანხასაც

უხდიდნენ. ეს ყველაფერი, უშუალო კლიენტებისგან მიღებულ თანხებთან ერთად, საბოლოოდ, არცთუ ურიგო ყოველთვიურ შემოსავალს შეადგენდა. მაგრამ, საუბედუროდ, ფიუბერტას თვითონაც სჭირდა თამაშის ჟინი და ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ მისი დანაკარგი ამონაგებს აღემატებოდა.

როგორც პრაგმატულმა ადამიანმა, ფიუბერტამ გადაწყვიტა, რაიმე ეღონა, რათა კვლავ გადახდისუნარიანი გამხდარიყო. მძარცველთა ბანდა ჩამოაყალიბა და მასთან ერთად გადაწყვიტა, სასტუმრო „ქსანადუდან“ 800.000 დოლარი მოეპარა.

მის მოვალეობაში, საჭიროების შემთხვევაში, სასტუმროს კრედიტით კლიენტების უზრუნველყოფა შედიოდა. ახლა თავის თანამოაზრეებს ყალბი საკრედიტო ბარათები დაურიგა, თავად ისინი კი ტანსაცმლის დიდი მაღაზიის მფლობელებად გაასაღა და ვეგასში ჩამოიყვანა.

- მშვენივრად გაერთნენ, - ამბობდა მოგვიანებით გრონეველტი.

ფიუბერტას თანამზრახველებს სასტუმროში არანაირი გართობა არ მოუკლიათ, შოუს გოგონებს სადილად ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო. ორ ჯგუფად დანაწილდნენ და ერთურთის წინააღმდეგ ფსონებს ჩამოვიდნენ. რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ, გაცხარებული თამაშობდნენ, სინამდვილეში კი წყალს ნაყავდნენ. კაზინოდან მილიონი დოლარის ყალბი ჩიპები გამოიტანეს, რომელიც ფიუბერტამ მოგვიანებით ნაღდ ფულად აქცია. ნამდვილი მსახიობები იყვნენ: წაგებისას თავში ხელებს ირტყამდნენ, მოგებისას სიხარულით

ყვიროდნენ. დღის ბოლოს ფიუბერტას თავიანთი ჩიპები გადასცეს და ახალი ჩიპების გამოსატანად მარკერებს ხელი მოაწერეს. ორი დღის შემდეგ, როცა კომედია დასრულდა, თაღლითებს ხელთ 800.000 დოლარი დარჩათ, ხოლო კაზინოში მილიონდოლარიანი მარკერები დატოვეს.

ფიუბერტამ, როგორც ინიციატორმა, თავისთვის ოთხასი ათასი დაიტოვა, მისი თანამზრახველები კი დანარჩენს დასჯერდნენ, მით უმეტეს, რომ ფიუბერტა მათ ამ ოპერაციის გამეორებას დაჰპირდა. ამაზე უკეთესს კაცი ვერაფერს ინატრებდა: შესანიშნავი დასვენება დიდებულ სასტუმროში, უფასო საჭმელ-სასმელი, ლამაზი გოგონები პლუს ასიათასიანი მოგება, - ეს ნამდვილად სჯობდა ბანკის ძარცვას, რაც შეიძლებოდა, სიცოცხლის ფასადაც დაგჯდომოდა.

გრონეველტმა თაღლითობა მეორე დღესვე აღმოაჩინა. მარკერები ფიუბერტას კლიენტურისთვისაც კი მეტისმეტად მაღალი იყო, მაგიდაზე დატოვებული დანაკარგი თანხა კი ძალზე მცირე იყო და ფსონებს არ შეესაბამებოდა. გრონეველტმა დარბაზში დამონტაჟებული კამერის ფირი მოითხოვა. ათი წუთის ყურების შემდეგ უკვე მთელ ოპერაციას ჩასწვდა და ისიც იცოდა, რომ კაზინოში დატოვებული მილიონდოლარიანი მარკერები მხოლოდ სიგარეტის ქაღალდად თუ გამოდგებოდა, მოთამაშეების პირადი მონაცემები კი ყალბი ყოფილა.

გრონეველტი განრისხდა. წლების მანძილზე უთვალავი თაღლითობის მსხვერპლი გამხდარა, მაგრამ ეს მეტისმეტად

ბრიყვული თაღლითობა იყო. თანაც, დენი ფიუბერტა თუნდაც იმის გამო მოსწონდა, რომ მას სასტუმროსთვის მოგება მოჰქონდა. დარწმუნებული იყო, ფიუბერტა იმის მტკიცებას დაიწყებდა, რომ ყალბი პირადობის მოწმობებით თვითონაც მოტყუვდა, რომ თვითონაც უდანაშაულო მსხვერპლი იყო.

გრონეველტი აგრეთვე, კაზინოს პერსონალის არაკომპეტენტურობამშეაშფოთა. წესით, კრუპიეს რაღაც უნდა შეენიშნა, ჩიპების გამცემი მოლარეც უნდა მიმხვდარიყო, რომ ე.წ. ჯვარედინი თამაში მიმდინარეობდა. ეს არცთუ ისე ჭკვიანური ხერხი იყო. მაგრამ მშვიდობიანმა დრომ ადამიანები მოადუნა და ამ მხრივ არც ვეგასი წარმოადგენდა გამონაკლისს. სინანულით იფიქრა იმაზე, რომ კრუპიესა და მოლარის დათხოვნა მოუწევდა, მაგრამ კიდევ ერთი რამ აუცილებლად ჰქონდა გასაკეთებელი: ფიუბერტას ამ აფერის შესახებ კლერიკუციოს ოჯახისთვის უნდა ეცნობებინა.

თავიდან პიპი დე-ლენა სასტუმროში გამოიძახა და საბუთები და ვიდეოფირი უჩვენა. პიპი ფიუბერტას იცნობდა, მის ოთხ თანამზრახველს კი - არა, ამიტომ გრონეველტმა ვიდეოდან კადრები ამოუბეჭდა, საიდანაც მათი ამოცნობა შეიძლებოდა.

- არ მესმის, დენის რატომ ეგონა, რომ ეს შერჩებოდა, - თავი გააქნია პიპიმ, - უფრო ჭკვიანი მეგონა.

- ის მოთამაშეა, - უთხრა გრონეველტმა, - მოთამაშეს კი მუდამ სწამს, რომ ხელში მოგებიანი ბარათი უჭირავს. - ხანმოკლე დუმილის შემდეგ განაგრძო: - დენი ეცდება დაგარწმუნოს, რომ თვითონ არაფერ

შუაშია, მაგრამ გახსოვდეს - მან წერილობით დაამოწმა, რომ ამ ადამიანებს გადახდის საშუალება აქვთ. გეტყვის, რომ მათი პირადობის მოწმობები შეამოწმა, მაგრამ ის ვალდებულია, მათი ნამდვილი ვინაობა იცოდეს.

- არ იდარდო, ვერ დამარწმუნებს, - გაუღიმა პიპიმ და მხარზე ხელი მოუთათუნა. ორივეს გაეცინა. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, დამნაშავე იყო თუ არა დენი ფიუბერტა, მომხდარზე ნებისმიერ შემთხვევაში აგებდა პასუხს.

მეორე დღეს პიპი ნიუ-ორკში გაფრინდა, რათა ეს შემთხვევა დაწვრილებით მოეხსენებინა ქუოგში კლერიკუციოს ოჯახისთვის.

პიპიმ გუშაგებიან ჭიშკარში შეაბიჯა და ქვაფენილის ბილიკით გადაჭრა ფართო მოლი, რომელსაც მაღალი მავთულხლართიანი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. სახლის შესასვლელთანაც დაცვა იდგა. და ეს ყველაფერი - მშვიდობიან დღეებში!

მოსულს ჯორჯო შეეგება და სახლის გავლით ბაღში შეუძღვა. ბაღი პომიდვრისა და ბადრიჯნის მსხმოიარე ბუჩქებით იყო დაბურული. აქ სალათა და საზამთროც ხარობდა, ყველაფერს კი ზეთისხილის ხეების ჩრდილი ეფინებოდა. ყვავილები დონს უსარგებლო მცენარეებად მიაჩნდა და ამიტომ არ უყვარდა.

ოჯახი ხის მაგიდასთან იჯდა და ადრიან ლანჩს შეექცეოდა. დონი ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხალისს ასხივებდა, მიუხედავად იმისა, რომ სამოცდაათს მიატანა. ის ბაღის კრიალა, სურნელოვნ ჰაერს აშკარა განცხრომით ისრუტავდა. მის გვერდით მჯდომ ათი

წლის შვილიშვილ დანტეს მზრუნველად უდებდა თეფშზე კერძს. ბიჭს უზადო ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ კროსის თანატოლისთვის მეტისმეტად თამამი და თავნება ჩანდა. პიპის ხელები ექავებოდა, ისე ძლიერ სურდა, მისთვის სილა გაეწნა. ყოვლისშემძლე დონი შვილიშვილს ეთაყვანებოდა; ხელსახოცით პირს სწმენდდა, ენის მოჩლექით ეალერსებოდა. ვინსენტი და პიტი მოღუშულები უსხდნენ სუფრას. საქმიანი საუბარი მანამ ვერ შედგა, ვიდრე ბავშვმა საუზმე არ დაასრულა და დედამისმა, როუზ-მერიმ არ წაიყვანა. დონმა ბიჭს სიყვარულით სავსე მზერა გააყოლა, მერე კი პიპის მიუბრუნდა.

- რაო, ჩემო „მარტელო“? რას ფიქრობ ამ ვიგინდარა ფიუბერტაზე? კაცად ვაქციეთ და მადლობის ნაცვლად, ჩვენვე გვძარცვავს.

ჯორჯომ რბილად შენიშნა:

- თუკი მოპარულს დაგვიბრუნებს, მომავალშიც ისეთივე დიდ მოგებას მოგვიტანს, რაც აქამდე მოჰქონდა, - ეს დამნაშავის შეწყალების ერთადერთი საფუძვლიანი არგუმენტი იყო.

- არცთუ მცირე თანხა წაგვართვა, აუცილებელია დავიბრუნოთ, - თქვა დონმა, - პიპი, რას ფიქრობ?

- ვეცდები, - მხრები აიჩეჩა პიპიმ, - მაგრამ მისნაირი ადამიანები ჩვეულებრივ, შავი დღისთვის არაფერს ინახავენ.

ვინსენტს ფუჭი ლაპარაკი სძულდა, ამიტომ ამჯერადაც საქმეზე გადავიდა:

- ფოტოები გვიჩვენე.

ვინსენტი და პიტი ფოტოებზე აღბეჭდილ მძარცველებს

დააკვირდნენ, მერე კი ვინსენტმა თქვა:

- მე და პიტი ვიცნობთ ამ ადამიანებს.

- კარგია, - უთხრა პიპიმ, - მაშინ ამ ოთხს თქვენ გაუსწორდით. ფიუბერტას რა ვუყო?

- მათ შეურაცხყოფა მოგვაყენეს, - თქვა დონმა, - მათ თვალში ბედოვლათი ბრიყვები გამოვდივართ, რომლებიც, დიდი-დიდი, პოლიციაში იჩივლებენ. პიტი, ვინსენტ, თქვენ პიპის დაეხმარებით. ფული უნდა დავიბრუნოთ, ეს ვიგინდარები კი დავსაჯოთ, - ყველაფერი ნათელი იყო: პიპის სადამსჯელო ჯგუფის ხელმღვანელობა დაეკისრა. ხუთივე დამნაშავეს სიკვდილი მიესაჯა.

ამის შემდეგ დონი განმარტოვდა, ახალგაზრდებმა კი ბაღში გაისეირნეს. ჯორჯომ ამოიოხრა:

- დღევანდელი ვითარებისთვის მოხუცი მეტისმეტად უმოწყალოა. დღეს ამგვარი ზომები უფრო სახიფათოა, ვიდრე - სასარგებლო.

- თუ იმ ოთხ კაცს მიხედავთ, პრობლემა არ უნდა შეგვექმნას, - უთხრა პიპიმ.

- ჯორჯო, დაელაპარაკე მოხუცს, - მიმართა ძმას ვინსენტმა, - იმ ოთხს ფული არ ექნება. უნდა ვაცადოთ, იშოვონ და დაგვიბრუნონ. უცებ თუ დავხოცავთ, ფულს მაინც ვერ მივიღებთ.

ვინსენტი პრაგმატულად აზროვნებდა და უაზრო სისხლის ღვრას ერიდებოდა.

- კარგი, ვეცდები, ამაში მამა დავარწუნო, - თქვა ჯორჯომ,- ისინი მაინც, მხოლოდ დამხმარეები იყვნენ. მაგრამ ფიუბერტას ასე იოლად

არ გაუშვებს.

- სხვა ორგანიზატორების დასანახავად, სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, - შენიშნა პიპიმ.

- მამიდაშვილო, - ღიმილით მიმართა პიპის ჯორჯომ, - ამ საქმიდან რა სარგებელს მოელი?

პიპი ვერ იტანდა, როცა ჯორჯო „მამიდაშვილს“ ეძახდა. ვინსენტი და პიტი ამ სიტყვას სიყვარულით წარმოთქვამდნენ, ჯორჯო კი ასე მხოლოდ მაშინ მიმართავდა, როცა მასთან რაიმე გარიგებას აპირებდა.

- ეს ჩემი მოვალეობაა, - მიუგო პიპიმ, - თქვენ გადასახადის ამკრეფი სააგენტო გადმომეცით და „ქსანადუ“ გასამრჯელოს მიხდის. რაკი მოვალეებისთვის ფულის ჩამორთმევა იოლი საქმე არ არის, პროცენტებს ისევე ვიღებ, როგორც ვინსენტი და პიტი იღებენ ხელფასს სადამსჯელო ოპერაციებისთვის.

- ეს სამართლიანია, - უპასუხა ჯორჯომ, - მაგრამ ეს წაგებული თანხის დაბრუნება არ არის. ამ შემთხვევაში ორმოცდაათ პროცენტს ვერ მიიღებ.

- ცხადია, არა, - დაეთანხმა პიპი, - მხოლოდ ნისკარტს დავისველებ.

ამ ძველმა სიცილიურმა გამოთქმამ ყველანი გააცინა.

- ნუ დაწვრილმანდები, ჯორჯო, - თქვა პიტიმ, - მე და ვინსენტი ამაში ხელფასს მაინც არ ავიღებთ, - პიტი ამჟამად ბრონქსის მეთაური იყო და მუდამ თვლიდა, რომ ხელქვეითებს მეტი უნდა გადაუხადო.

მოგებას მუდამ თანაბრად უნაწილებდა თავის თანამშრომლებს.

- მეტისმეტად მომთხოვნები ხართ, - გაეცინა ჯორჯოს, - მაგრამ მოხუცს ოც პროცენტს შევთავაზებ. - პიპიმ იცოდა: ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოლოს და ბოლოს, თხუთმეტს ან სულაც ათს გადაუხდიდნენ. ჯორჯო მუდამ ასე იქცეოდა.

- რომ გავიყოთ? - შესთავაზა პიპის ვინსენტმა. იგულისხმა - რამდენი ფულიც უნდა აეღოთ, სულერთია, რომელი დამნაშავისგან, სამივენი მას თანაბრად გაინაწილებდნენ. ეს მეგობრული წინადადება იყო. ფულის გამოძალვა კი იმ ადამიანისგან უფრო ადვილი იყო, ვისაც უნდა ეცოცხლა, ვიდრე იმისგან, ვინც იცოდა, რომ მოკლავდნენ.

- რა თქმა უნდა, - მიმართა პიპიმ ვინსენტს, - ამას არ დაგივიწყებთ.

ბაღის ბოლოში დანტე შენიშნა, დონთან ხელიხელჩაკიდებული რომ სეირნობდა. მისი მზერა რომ შენიშნა, ჯორჯომ თქვა:

- განა საკვირველი არ არის, მამა და დანტე ერთმანეთს ასე რომ უგებენ?! ჩემ მიმართ მამა არასოდეს ყოფილა ასეთი კეთილი. ერთმანეთს სულ რაღაცას ეჩურჩულებიან. კარგია, ბავშვი მისგან ბევრ რამეს ისწავლის.

პიპიმ დაინახა, ბიჭი მოხუცს როგორ შეჰყურებდა. იმწუთას ერთურთს ისე უმზერდნენ, თითქოს უფროსი უმცროსს ცასა და მიწაზე მომავლი გაბატონების საიდუმლოს უზიარებდა. მოგვიანებით პიპის ის აზრიც კი გაუჩნდა, იქნებ სწორედ ამ სურათმა დამთარსა და ჩემი უბედურებებიც იმ დღიდან დაიწყოო.

პიპი დე-ლენამ წლების მანძილზე ფრთხილი და წინდახედული კაცის სახელი დაიმკვიდრა. ფიზიკური ძალის გარდა, ნამდვილიო სტრატეგი იყო და საქმის დაგეგმვისას, უხეშ ძალაზე მეტად, გონებას მიმართავდა ხოლმე. დენი ფიუბერტასთან დაკავშირებით სამი პრობლემა იდგა. პირველი: მისგან ფული იყო დასაბრუნებელი. მეორე: ვინსენტსა და პიტისთან შეწყობილად უნდა ემუშავა (რაც ძნელი არ იქნებოდა, რადგან ძმები თავიანთ საქმეში ძალზე გაწაფულნი იყვნენ. მათ ორ დღეში მიაკვლიეს დამნაშავეებს, ჩადენილის აღიარება აიძულეს და კომპენსაციაზეც შეუთანხმდნენ). მესამე: პიპის დენი ფიუბერტა უნდა მოეკლა.

პიპის არ გასჭირვებია ფიუბერტასთან „შემთხვევით“ შეხვედრა და მისი ჩინურ რესტორანში დაპატიჟება. ფიუბერტამ იცოდა, რომ პიპი „ქსანადუს“ მოვალეებისგან ფულის აგროვებით იყო დაკავებული, რამდენჯერმე მოუწიათ ერთად მუშაობამ, მაგრამ ამჯერად პიპი ისეთი გახარებული ჩანდა ნიუ-იორკში ფიუბერტასთან მოულოდნელი შეხვედრით, რომ მიწვევაზე უარი ვეღარ უთხრა.

კერძი რომ შეუკვეთეს, პიპიმ ხმადაბლა დაიწყო:

- გრონეველტმა კაზინოში თაღლითობის შესახებ მიამბო. შენ პასუხს აგებ იმ ტიპების გამო, ვისი კრედიტებიც დაამოწმე.

ფიუბერტამ დაიფიცა, უდანაშაულო ვარო, მაგრამ პიპიმ მხარზე ხელი დაარტყა და ღიმილით უთხრა:

- გეყო, დენი, გრონეველტს ვიდეოფირები აქვს. ის ოთხი ტიპი კი უკვე ყველაფერში გამოტყდა. დიდ შარში ხარ გახვეული, მაგრამ თუ

ფულს დააბრუნებ, გიშველი. შეიძლება, სამსახურიც კი შეინარჩუნო.

დასტურად ფოტოები უჩვენა.

- ეს შენი ბიჭები არიან და სწორედ ამ წუთებში აღიარებენ თავიანთ ნამოქმედარს. ყველაფერში შენ გადანაშაულებენ. ისიც თქვეს, რომ მოგება ორად გაიყავით, ესე იგი, შენ ოთხასი ათასი დაგრჩა.

- ამ ბიჭებს, ცხადია, ვიცნობ, - უპასუხა ფიუბერტამ, - მათ ასე ადვილად ვერ აალაპარაკებ.

- დაკითხვას კლერიკუციოები აწარმოებენ, - უთხრა პიპიმ.

- ამის დედაც!.. არ ვიცოდი, სასტუმრო მათი თუ იყო, - შეცბა ფიუბერტა.

- ახლა ხომ იცი. თუ ფულს არ დააბრუნებ, მართლაც დიდი პრობლემები გექნება.

- მგონი, დროა, აქაურობას გავეცალო, - თქვა ფიუბერტამ.

- არა, არა,დარჩი. პეკინური იხვი მართლაც საუცხოოა. ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება, დიდი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლეში ერთხელ ყველას უთაღლითია. ოღონდ ფული უნდა დააბრუნო.

- ერთი ცენტიც კი არ გამაჩნია.

პიპიმ პირველად გაამჟღავნა გაღიზიანება.

- იქნებ ოდნავ მეტი პატივისცემით მოგვეპყრო? ასი ათასი დააბრუნე, დანარჩენ სამასს შენი მარკერიდან ავიღებთ.

ფიუბერტამ შემწვარი იხვის ხორცი გაღეჭა და თქვა:

- მხოლოდ ორმცდაათის მოცემა შემიძლია.

- კარგია, ძალიან კარგი, - გაამხნევა პიპიმ, - დანარჩენს იმით გადაგვიხდი, რომ ნიუ-იორკიდან რეისების ორგანიზებისთვის გასამრჯელოს არ მიიღებ. მე მგონი, ეს სამართლიანია.

- ჰო, ალბათ.

- მეტად აღარ ინერვიულო, გემრიელად მიირთვი, - პიპიმ იხვის ხორცი ბლინში გაახვია, საწებელა მოასხა და ფიუბერტას გაუწოდა, - ნახე, რა მაგარია. მერე კი საქმეს მივხედოთ.

დესერტად შოკოლადის ნაყინი მიირთვეს და შეთანხმდნენ, რომ პიპი სამუშაო საათების შემდეგ ფიუბერტას ტურისტულ სააგენტოში მივიდოდა და იქიდან ორმოცდაათი ათასს წამოიღებდა. პიპი რესტორნის ჩეკს დასწვდა და ნაღდი ფულით გადაიხადა.

- დენი, თუ შეგინიშნავს, ჩინურ რესტორანში შოკოლადის ნაყინს მუდამ ბევრი კაკაო რომ აქვს? მართლაც საუცხოოა. იცი, რას ვფიქრობ? ამერიკაში პირველ ჩინურ რესტორანში რეცეპტი შეეშალათ, დანარჩენები კი ამ შეცდომას იმეორებენ. მაგარია, არა? მაგარი ნაყინი იყო.

მაგრამ დენი ფიუბერტამ ტყუილად როდი იცხოვრა ორმოცდარვა წელი, რომ უტყუარი ნიშნების ამოკითხვა არ ესწავლა. ამ შეხვედრის შემდეგ ის იატაკქვეშეთში გაუჩინარდა, მანამდე კი პიპის დაუბარა, „ქსანადუსთვის“ დასაბრუნებელი თანხის შესაგროვებლად მივემგზავრებიო. პიპის ეს არ გაჰკვირებია. ფიუბერტა ასეთი შემთხვევებისთვის ჩვეულ ტაქტიკას მიმართავდა. უსაფრთხო ადგილას მიიმალა, რათა იქიდან ეწარმოებინა მოლაპარაკება. ეს კი იმას

ნიშნავდა, რომ ფული არ ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, ვერც პიპი მიიღებდა თავის ბონუსს. ერთადერთი შანსი ის იყო, ვინსენტსა და პიტის დანარჩენი თანხა თავიანთი პატიმრებისთვის გამოეძალათ.

პიპიმ ქალაქის გასაჩხრეკად ბრონქსის ჯგუფის რამდენიმე მებრძოლი გამოიხმო. ხმა დააგდო, რომ დენი ფიუბერტა კლერიკუციოს ხალხის მიერ იძებნება. ერთმა კვირამ ჩაიარა და პიპი სულ უფრო ღიზიანდებოდა: რატომ არ გაითვალისწინა, რომ ვალის მოთხოვნით ფიუბერტას მხოლოდ დააფრთხობდა?!. ფიუბერტა, ცხადია, მიხვდა: ორმოცდაათი ათასი რომც ჰქონოდა, ამ თანხით თავს მაინც ვერ დაიძვრენდა.

მეორე კვირის მიწურულს პიპი მოთმინებიდან გამოვიდა, ამიტომ, როცა, ბოლოს და ბოლოს, ინფორმაცია მიაწოდეს, უფრო სწრაფად ამოქმედდა, ვიდრე ამას გონიერება და სიფრთხილე მოითხოვდა.

ფიუბერტა ზემო უესტ-საიდის ერთ პატარა რესტორანში გამოჩნდა. მისი მეპატრონე კლერიკუციოს კაცი იყო და პიპის დაუყოვნებლივ დაურეკა. პიპი მაშინ მივიდა, როცა ფიუბერტა რესტორნიდან გამოდიოდა. მოულოდნელად ფიუბერტამ იარაღი ამოიღო. კარგი მსროლელი იყო და თუ გაისვრიდა, არ ააცდენდა. პიპიმ დაასწრო და ხუთი ტყვია დაახალა.

მომხდარს რამდენიმე უსიამოვნო მომენტი ახლდა. ჯერ ერთი, იყვნენ მოწმეები. მეორეც, პატრულის მანქანა პიპის წასვლამდე გაჩნდა მკვლელობის ადგილზე. მესამე: პიპი სროლისთვის მზად არ იყო, ის ფიუბერტას დარწმუნებას აპირებდა, საიმედო ადგილას

გადასულიყო. მეოთხე: თუმცა ის მკვლელობის მოტივად თავდაცვას ასახელებდა, მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ პიპიმ პირველმა გაისროლა. კიდევ ერთხელ დადასტურდა ძველი ჭეშმარიტება: უდანაშაულოსთვის თავის მართლება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე - დამნაშავისთვის. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ფიუბერტასთან შესახვედრად წამოსულმა პიპიმ რევოლვერს მაყუჩი მიამაგრა.

კარგი ის იყო, რომ პიპიმ პატრულის გამოჩენაზე სწორი რეაქცია გამოიჩინა: არც სროლა აუტეხავს, არც გაქცეულა, რევოლვერი შეუმჩნევლად გადააგდო და როცა აკავებდნენ, წინააღმდეგობა არ გაუწევია. კლერიკუციოს ოჯახს უზუსტესი წესი ჰქონდა: კანონის დამცველს არასოდეს ესროლო. არც პიპის უსვრია. დაკითხვისას უარყო მოკლულთან რაიმე კავშირი.

ამგვარი შემთხვევები მაფიის საქმიანობაში გათვალისწინებული იყო: ბოლოს და ბოლოს, რა საგულდაგულოდაც უნდა დაგეგმილიყო საქმე, ბედისწერის დარტყმისგან დაზღვეული არავინ იყო. პიპი გრძნობდა, რომ უიღბლობის ქარიშხალმა გაიტაცა, მაგრამ მტკიცედ სწამდა იმისა, რომ სიმშვიდე უნდა შეენარჩუნებინა და კლერიკუციოს ოჯახი მას ამ განსაცდელისგან იხსნიდა.

ჯერ ერთი, მუდამ მოიძებნებოდა მარჯვე და გაქნილი ადვოკატები, მეორეც - შესაძლებელი იყო მოსამართლეების იმაში დარწმუნება, რომ სამართლიანობა ბრალდებულის მხარესაა. მოწმეთა მეხსიერებაც შეიძლებოდა შესუსტებულიყო და ამერიკელ მსაჯულებს მცირედი ეჭვიც რომ გასჩენოდათ, შეცდომის ჩადენის შიშით,

პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, კლერიკუციოს ოჯახის მებრძოლს ტყვეობიდან ცოფიანი ძაღლივით ბრძოლით თავის დაღწევა არ მოუწევდა.

და მაინც, მაფიის ოჯახის სამსახურში პიპიმ ძალზე დიდი ხანი გაატარა და ამ ხნის მანძილზე პირველად მოუწია სასამართლო დარბაზში საბრალდებო სკამზე ჯდომამ. წესისამებრ, პროცესს მისი ცოლ-შვილი დაესწრო: მსაჯულებს უნდა ხსომებოდათ, რომ მათ გადაწყვეტილებაზე ამ ოჯახის ბედი იყო დამოკიდებული. თორმეტ ქალსადა მამაკაცს მართლაც რთული გადაწყვეტილების მიღება უწევდა: სიბრალულის მიუხედავად, „საფუძვლიანი ეჭვიც“ უნდა გაეთვალისწინებინათ.

პროცესზე პოლიციის ოფიცრებმა განაცხადეს, რომ პიპის ხელში იარაღი არ უნახავთ და არც ის შეუნიშნავთ, როგორ მოისროლა. მოწმეებიდან სამი არ იყო იმაში დარწმუნებული, რომ რესტორანთან სწორედ პიპი დე-ლენა ნახა. დანარჩენი სამი კი ისე დაჟინებით ამტკიცებდა, სწორედ ის იყოო, რომ მსაჯულთა ეჭვი გამოიწვია. რესტორნის მეპატრონემ, კლერიკუციოს კაცმა განაცხადა, რომ დენი ფიუბერტას რესტორნიდან გარეთ იმიტომ გაჰყვა, რომ მას შეკვეთის საფასური არ გადაუხდია. დაადასტურა, რომ მკვლელობას დაესწრო და რომ მკვლელი ნამდვილად სხვა ადამიანი იყო და არა - პიპი დე-ლენა.

გასროლისა და დაკავების მომენტში პიპის ხელთათმანები ეცვა, ამიტომაც რევოლვერზე მისი თითის ანაბეჭდები არ აღმოუჩენიათ.

დამცველმა მხარემ წარმოადგინა სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ პიპი დე-ლენას დროდადრო კანის აუხსნელი და განუკურნელი სენი აწუხებდა, რის გამოც მისთვის ხელთათმანებით სიარულია რეკომენდებული.

წარმატების სრული გარანტიისთვის კლერიკუციოს ოჯახმა ერთ-ერთი მსაჯული მოისყიდა. პიპი ხომ მათი ოჯახის მნიშვნელოვანი წევრი და ოფიცერი იყო. მაგრამ ეს უკანასკნელი ზომა სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. პიპი კანონის წინაშე სრულიად უდანაშაულოდ ცნეს.

მაგრამ მისი ცოლის, ნელინ დე-ლენას თვალში ის უდანაშაულო აღარ იყო. სასამართლოდან ექვსი თვე იყო გასული, როცა მან ქმარს უთხრა, რომ განქორწინება სურდა.

მათ, ვინც დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობს, მუდამ უწევს ამა თუ იმ ფორმით საფასურის გადახდა. სხეულის ესა თუ ის ნაწილი უმტყუნებთ ან მოუწესრიგებელი კვების რეჟიმი ღვიძლსა და გულს ვნებს. უძილობა ემართებათ, გრძნობები უჩლუნგდებათ, ვეღარც სილამაზეს აღიქვამენ და სარწმუნოებასაც შორდებიან. პიპისა და ნელინს სწორედ ეს ყველაფერი დაემართათ. ნელინი საწოლში ქმრის სიახლოვეს ვეღარ იტანდა და ვეღარც პიპი იტანდა ისეთ პარტნიორს, მისი განცდებისადმი გულგრილი რომ რჩებოდა. ქალს შიშის ზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ მკვლელთან ერთად იწვა. პიპიმ კი უდიდესი შვება იგრძნო იმის გამო, რომ ცოლისთვის თავისი ნამდვილი სახის დამალვა აღარ მოუწევდა.

- კარგი, თანახმა ვარ გაგეყარო, - უთხრა მან ნელინს, - მაგრამ შვილებს ვერ დაგითმობ.

- როგორც იქნა, ვიცი, რასაც წარმოადგენ. არც შენთან ცხოვრება მინდა და არც ჩემი შვილები იცხოვრებენ შენთან.

პიპი ამან გააკვირვა: ნელინი არასოდეს ყოფილა თამამი და აგრესიული. გაოცდა, როგორ უბედავდა ქალი მას, პიპი დე-ლენას ასეთ ლაპარაკს?! მაგრამ ქალები ადვილად ჰყვებიან ვნებებს. პიპიმ მაშინვე ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია. აღიარა, ბავშვების აღსაზრდელად მზად არ იყო. კროსი თერთმეტი წლის იყო, კლოდია - ათის და, თუმცა მამა კროსთან სიახლოვეს გრძნობდა, ხედავდა, რომ ორივე შვილს მასზე მეტად დედა უყვარდა. სცადა, ცოლს სამართლიანად მოპყრობოდა. საბოლოო ჯამში, მისგან ყველაფერი მიიღო, რაც კი მამაკაცს ქალისგან სჭირდება: ოჯახი, შვილები, მყარი და საიმედო ნავსაყუდელი. ვინ იცის, რად იქცეოდა, ეს ქალი რომ არ შეხვედროდა?

- მოდი, გონივრულად ვიმსჯელოთ და ერთმანეთს ისე დავცილდეთ, ხინჯი რომ არ დაგვრჩეს, - უთხრა პიპიმ ცოლს და მთელი თავისი პიროვნული ხიბლი მოიხმო. - ბოლოს და ბოლოს, თორმეტი წელი კარგად ვიცხოვრეთ. ბედნიერი პერიოდებიც გვქონდა. და, შენი წყალობით, ორი არაჩვეულებრივი შვილი გვყავს, - პიპი დადუმდა, ნელინის მკაცრი გამომეტყველება ისევ ეუცხოვა. - კარგი, რა, ნელინ, მზრუნველი მამა ვიყავი, ბავშვებს ვუყვარვარ. შენს ყველა წამოწყებაში დაგეხმარები. ცხადია, ამ სახლს დაგიტოვებ და შემიძლია, ვეგასში,

სასტუმროსთან მაღაზია გიყიდო: ტანსაცმელი, სამკაულები, ანტიკვარული ნივთები... წელიწადში ორასი ათასი გექნება. ბავშვები კი, ასე ვთქვათ, გავინაწილოთ.

- ლას-ვეგასი მძულს. მუდამ მძულდა, - უთხრა ნელინმა, - მასწავლებლის დიპლომი ავიღე და სამსახურიც მაქვს საკრამენტოში. ბავშვები უკვე ჩავრიცხე იქაურ სკოლში.

გაოგნებულმა პიპიმ მხოლოდ იმ წამს გააცნობიერა, რომ ეს ქალი მისი მტერი და მოწინააღმდეგე იყო. ეს მისთვის სრულიად ახალი და მოულოდნელი იყო. მისი აზრით, ქალი არასოდეს იყო საშიში. არც ცოლი, არც საყვარელი, არც დეიდა, არც ცოლის მეგობარი, თვით დონის ქალიშვილი როუზ-მერი მას ვერაფრით დაემუქრებოდნენ. პიპი იმ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც ქალი მტრად ვერ ჩაითვლებოდა. ახლა კი იმ რისხვასა და ენერგიის მოზღვავებას განიცდიდა, რაც მხოლოდ მამაკაცების მიმართ ემართებოდა.

ამით განრისხებულმა, გამოსცრა:

- ჩემი შვილების სანახავად საკრამენტოში არ ჩავალ, - მუდამ საშინლად ბრაზდებოდა, როცა ვიღაც გულითადობას არ უფასებდა, მისი ხიბლის გავლენის ქვეშ არ ექცეოდა. ხოლო ყველა, ვინც პიპი დე-ლენასთან დაპირისპირებას ბედავდა, დიდ რისკზე მიდიოდა. მტრობაში ზღვარი არ იცოდა და ბოლომდე დაუნდობელი იყო. ახლა იმანაც გააცოფა, რომცოლს თურმე უკვე გეგმებიც კი დაუწყვია.

- შენ თქვი, ვიცი, რასაც წარმოადგენო. ჰოდა, თუ ასეა, ძალიან ფრთხილად უნდა იყო. გინდა, საკრამენტოში წადი, გინდა, ოკეანის

ფსკერზე ჩაიძირე, ეგ მე არ მადარდებს. მაგრამ ჩემი შვილებიდან მხოლოდ ერთს წაიყვან, მეორე კი ჩემთან დარჩება.

- ამას სასამართლო გადაწყვეტს, - ცივად მიუგო ნელინმა, - მგონი, დროა ადვოკატი იქირაო, რათა ის ჩემს ადვოკატს გაესაუბროს, - ამ სიტყვებით გაოგნებული პიპის შემხედვარე ქალმა ლამის გადაიხარხარა.

- შენ რა, ადვოკატიც გყავს?! მაშ, აპირებ, სასამართლოში წამათრიო? - პიპის სიცილი აუტყდა და ვეღარ ჩერდებოდა. ეს ნამდვილი ისტერიკა იყო.

შემზარავი სანახავი იყო კაცი, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე ქალს ეთაყვანებოდა, მის სხეულზე ჭკუას კარგავდა, ამ ქვეყნის სისასტიკისგან ყოველ წამს იცავდა, ახლა კი მრისხანე მხეცად იქცა. ნელინი ახლა მიხვდა, თუ რატომ ეპყრობოდნენ პიპის სხვა მამაკაცები ასეთი რიდითა და შიშით. მისი მოუხეშავი ხიბლი ახლა მიმზიდველად აღარ ეჩვენებოდა. საოცარია - ქალი იმდენად შეშინებული კი არ იყო, რამდენადაც იმით შეძრწუნებული, მამაკაცს მისდამი სიყვარული ასე ერთბაშად როგორ შეეცვალა სიძულვილით. ბოლოს და ბოლოს, თორმეტი წლის განმავლობაში ერთმანეთის სხეულებით ტკბებოდნენ, ერთად იცინოდნენ, ცეკვავდნენ, შვილებს ზრდიდნენ, ახლა კი აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ქალს სულ არაფერს ემადლიერებოდა.

პიპიმ ცივად მიმართა:

- არ მაინტერესებს, რა გადაწყვიტე. არც ის მადარდებს, სასამართლო რას გადაწყვეტს. გონივრულად მოიქეცი და არაფერს

გავნებ. თუ შემომიტევ, ყველაფერს დაკარგავ.

ქალმა პირველად იგრძნო შიში იმ ყოველივეს წინაშე, რაც ასე ძლიერ უყვარდა: მისი ღონიერი სხეულის, მძლავრი, დიდი ხელების, უსწორო ნაკვთების წინაშე, რომელიც ვაჟკაცურად მიაჩნდა, თუმცა სხვები უშნოდ თვლიდნენ. მთელი მათი ქორწინების მანძილზე პიპი უფრო თაყვანისმცემელი იყო, ვიდრე - ქმარი, ცოლთან არასოდეს აუმაღლებია ხმისთვის, არც უგერგილო ხუმრობა უკადრებია, მხოლოდ ბავშვების უხეშად დასჯა იცოდა, ისიც მაშინ, როცა ისინი დედას ჯეროვანი პატივით არ ეპყრობოდნენ.

ქალმა ერთბაშად თავი უსუსურად იგრძნო. პირველად დაინახა, რომ პიპის სახე დამრგვალებულიყო, ყვრიმალები შევსებოდა, ნიკაპზე მომცრო ღრმულში შავი ჩრდილი ჩაუდგა, ხშირ წარბებში ჭაღარა ღერები შერეოდა, თუმცა თავზე თმა ძველებურად შავი და ხშირი ჰქონდა. სხვა დროს ხალისიანად მბზინავ თვალებს ახლა ყინულივით სისასტიკის ბინდი გადაკვროდა.

- მეგონა, გიყვარდი, - ატირდა ნელინი, - ასე როგორ მაშინებ?!

პიპის ქალი შეებრალა.

- მე დამიგდე ყური, შენს ადვოკატს ნუ უსმენ. გახსოვდეს, თუ სასამართლომდე მივიდა საქმე, ჩემს თავზე პასუხს აღარ ვაგებ. რაც უნდა მოხდეს, ორივე შვილს მაინც არ დაგითმობ. ნელინ, ნუ მაიძულებ, ძალა გამოვიყენო, ეს ნამდვილად არ მინდა. მესმის, რომ ჩემთან ერთად ცხოვრება არ გსურს. მუდამ ვთვლიდი, რომ გამიმართლა, რაკი ჩემთან ყოფნა ისურვე. მინდა, ბედნიერი იყო.

ჩემგან ბევრად მეტს მიიღებ, ვიდრე ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილებით. უბრალოდ ვბერდები და ოჯახი მჭირდება.

ნელინმა ცხოვრებაში პირველად ვერ შეიკავა სარკაზმი:

- კლერიკუციოს ოჯახი ხომ გყავს.

- დიახაც, მყავს. და ეს არ უნდა დაგავიწყდეს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სიბერეში მარტოდ დარჩენა არ მინდა.

- ამას მილიონობით მამაკაცი უძლებს, - მიუგო ნელინმა, - და მილიონობით ქალიც.

- იმიტომ, რომ უძლურნი არიან. მათ ცხოვრებას სხვები განკარგავენ. მათ ინტერესებს არად აგდებენ. მე ამას არასოდეს დავუშვებ.

- შენც იმავეს აკეთებ: სხვების ინტერესებს არად აგდებ.

- დიახაც, - გაეღიმა პიპის, - სწორედ ასეა.

- ბავშვებს რამდენჯერაც მოგესურვება, იმდენჯერ მოინახულებ, მაგრამ ორივენი ჩემთან იცხოვრებენ.

- როგორც გინდა, ისე მოიქეცი, - ავის მომასწავებელი სიმშვიდით უთხრა პიპიმ და ზურგი შეაქცია.

- მოიცადე, - მიაძახა ნელინმა. პიპი მიუბრუნდა. სახეზე ისეთი არაადამიანური სისასტიკე აღბეჭდოდა, რომ ქალმა ძლივს ამოილუღლუღა: - თუ რომელიმე შენთან ერთად ცხოვრებას ისურვებს, მაშინ თანახმა ვარ.

პიპი ისე აღფრთოვანდა, თითქოს პრობლემა ერთბაშად მოგვარდა.

- შესანიშნავია. ჩემი შვილი საკრამენტოში მოგინახულებს ხოლმე, შენი კი ვეგასში გვეწვევა. მოდი, ეს ყველაფერი დღესვე გადავწყვიტოთ.

ნელინმა უკანასკნელი არგუმენტის გამოყენება სცადა:

- ორმოცი წელი არცთუ ისე დიდი ასაკია. შენ ახალი ოჯახის შექმნას მოასწრებ.

- არასოდეს. შენ ერთადერთი ქალი ხარ, ვინც მომაჯადოვა. გვიან ვიქორწინე და ზუსტად ვიცი, რომ მეორედ არასოდეს შევირთავ ცოლს. გაგიმართლა, რომ ჭკუა მყოფნის და შენს შენარჩუნებას არ ვცდილობ. საიმისოდაც მყოფნის ჭკუა, რომ ყველაფრის თავიდან დაწყებას არ ვეცადო.

- ამაში მართალი ხარ, თავს ვეღარ შემაყვარებ.

- ვერა, მაგრამ შემიძლია მოგკლა, - ღიმილით უთხრა პიპიმ, თითქოსეს ხუმრობა ყოფილიყოს.

ნელინმა თვალებში ჩახედა და მიხვდა, რომ მართალს ამბობდა. ამ კაცის ძალაუფლება სწორედ ამაში მდგომარეობდა: მისი მუქარა ადამიანებში ეჭვს არასოდეს იწვევდა. ქალმა უკანასკნელი გამბედაობა მოიკრიბა.

- იცოდე, თუ ორივე მოინდომებს გამომყვეს, მოგიწევს, თავი დაანებო.

- მათ მამა უყვართ. ერთ-ერთი მაინც მოისურვებს მამილოსთან დარჩენას.

იმავე საღამოს, კონდიციონერებით გაგრილებულ სახლში, სადაც

გარედან უდაბნოს სიმხურვალე არ ატანდა, მშობლებმა ყველაფერი აუხსნეს თერთმეტი წლის კროსსა და ათი წლის კლოდიას. ეს არც ერთს არ გაჰკვირებია. დედასავით ლამაზ კროსს უკვე ემჩნეოდა მამის ძალა და სიფრთხილე. გარდა ამისა, არაფრის ეშინოდა. არც დაფიქრებულა, ისე წამოიძახა:

- მე დედასთან დავრჩები.

- მე კი კროსთან, - თქვა დამფრთხალმა კლოდიამ.

პიპი გაოცდა. კროსი მასთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე დედასთან. მამას სანადიროდ დაჰყვებოდა, ბანქოსა და გოლფს ეთამაშებოდა. წიგნებისა და მუსიკისადმი დედის ინტერესს ბიჭი არ იზიარებდა. შაბათობით, როცა პიპის თავის სააგენტოში დოკუმენტაციის მოწესრიგება უწევდა, კროსი გვერდით ეჯდა და თვალს ადევნებდა. პიპი დარწმუნებული იყო, რომ კროსი მასთან დარჩენას ამჯობინებდა. სწორედ კროსის იმედი ჰქონდა.

კლოდიას პასუხზეც დასწყდა გული. ძალიან გონიერი ბავშვი იყო. მაგრამ კლოდია მეტისმეტად ჰგავდა მამას. პიპის დიდად არ სიამოვნებდა თავისნაირი შეუხედავი სახის ყურება. თანაც სავსებით გასაგები იყო, რომ კლოდიას დედის სიახლოვე ერჩივნა, რადგან მის ინტერესებსა და გატაცებებს იზიარებდა. პიპი კლოდიასთან საერთო ენას ვერც იპოვიდა.

პიპიმ ბავშვებს გადახედა. სიამაყით აევსო გული. ისინი გრძნობდნენ, რომ მშობლებიდან დედა უფრო სუსტი და დაუცველი იყო და მის მხარში დგომა გადაწყვიტეს. ისიც შენიშნა, რომ ნელინი ამ

შემთხვევისთვის მისთვის დამახასიათებელი დრამატული ალღოთი წინასწარ მოემზადა. ვიწრო შავი შარვალი და შავი პულოვერი ეცვა, ოქროსფერი თმა სადა შავი რეზინით შეეკრა, თხელი სახის ოვალი რაღაც საწყალობლად გამოკვეთოდა შავ ფონზე. პიპიმ გააცნობიერა, რომ ბავშვების თვალში თვითონ უხეში და ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

პიპი თავისი ხიბლის გამოყენებას შეეცადა:

- ბავშვებო, მხოლოდ იმას გთხოვთ, ერთ-ერთი თქვენგანი ჩემთან დარჩეს. ერთმანეთს, როგორც კი მოინდომებთ, მაშინვე მოინახულებთ, ხომ ასეა, ნელინ? ხომ არ გინდათ, ვეგასში მარტოდმარტო დავრჩე?

ბავშვები კუშტად შეჰყურებდნენ. პიპი ნელინს მიუბრუნდა.

- უნდა დამეხმარო. არჩევანი შენ უნდა გააკეთო, - გულში კი იფიქრა, ნეტავ, ასე რა მანერვიულებსო?!

- ხომ დამპირდი: თუ ორივე ჩემთან დარჩენას მოინდომებდა, ამის ნებას დართავდი, - შეახსენა ნელინმა.

- მოდით, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ, - პიპი თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობდა. ბავშვების სიყვარულში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ხედავდა, რომ დედა უფრო მეტად უყვარდათ. ეს ბუნებრივად მიაჩნდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს.

- სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს, - ჯიუტად მიუგო ნელინმა, - ხომ დამპირდი.

პიპიმ ვერც კი წარმოიდგენდა, ამ წუთებში თავისი ოჯახის წევრების თვალში რა საშინლად გამოიყურებოდა. ვერ ხვდებოდა, რა გამყინავი გაუხდა მზერა. ეგონა, საუბრისას საკუთარ ხმას აკონტროლებდა, მშვიდად და დალაგებულად ლაპარაკობდა.

- არჩევნის გაკეთება მოგიწევს. გპირდები, თუ არაფერი გამომივა, დაგითმობ. მაგრამ შანსი მაინც უნდა მომცე.

- ეს სასაცილოა, - თავი გააქნია ნელინმა, - სასამართლოში მისვლა მოგვიწევს.

იმ წამს პიპიმ გადაწყვეტილება მიიღო.

- არაფერია. როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მაგრამ გაიხსენე ჩვენი ერთად ცხოვრება. გაიხსენე, ვინ ვარ მე და ვინ ხარ შენ. ძალიან გთხოვ, წინდახედულად იმოქმედო. ყოველი ჩვენგანის მომავალზე იფიქრე. კროსი მე მგავს, კლოდია - შენ. კროსი ჩემთან თავს უკეთ იგრნობს, კლოდია კი - შენთან. ეს ფაქტია. - წამით შეჩერდა და განაგრძო: - განა შენთვის იმის ცოდნა არ კმარა, რომ ორივეს ჩემზე მეტად უყვარხარ? და ჩემზე მეტად მოენატრები? - ბოლო ფრაზა ჰაერში ავბედითად გამოეკიდა. არ სურდა, ბავშვები მის აზრს ჩასწვდომოდნენ.

ნელინი კი მიუხვდა. შეშინებულმა, კლოდია თავისკენ მიიზიდა და გულში ჩაიკრა. კლოდიამ ძმას მუდარით შეხედა და დაუძახა:

- კროს!..

კროსი ამ წუთებში განსაკუთრებულად ლამაზი იყო. მოხდენილი მოძრაობით ადგა და მოულოდნელად მამის გვერდით დადგა.

- შენთან დავრჩები, მამა.

პიპიმ მადლიერების ნიშნად ბიჭს ხელი ჩასჭიდა.

ნელინი ტიროდა.

- კროს, ძალიან ხშირად მოგვინახულებ. როცა კი მოინდომებ, მუდამ შეძლებ ჩვენთან მოსვლას. საკრამენტოში შენი საკუთარი საძინებელი გექნება, სადაც შენ გარდა არავინ დაიძინებს, - დედა ბიჭის წინაშე თავს მოღალატედ გრძნობდა.

პიპი უეცრად აღტაცებით აივსო. მხრებიდან უდიდესი ტვირთი მოეხსნა, როგორც კი იგრძნო, რომ იმის გაკეთება აღარ მოუწევდა, რაც იმ წამს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

-ეს უნდა აღვნიშნოთ, - წარმოთქვა მან, - მართალია, ერთმანეთს ვეყრებით, მაგრამ ერთი ბედნიერი ოჯახის ნაცვლად ორი ბედნიერი ოჯახი ვიქნებით. - დანარჩენების გაქვავებული სახეები რომ შენიშნა, დასძინა: - რა იყო? ვეცდებით მაინც, ასე იყოს.

პირველი ორი წლის შემდეგ კლოდია მამასა და ძმას ვეგასში აღარ სტუმრებია. კროსი ყოველწლიურად მიემგზავრებოდა საკრამენტოში დედასა და კლოდიას სანახავად, მაგრამ მას მერე, რაც თხუთმეტი წელი შეუსრულდა, ეს ვიზიტები შობის დღეებით შემოიფარგლა.

მშობლები მისთვის ცხოვრების ორ საპირისპირო პოლუსს წარმოადგენდნენ. კლოდია სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა დედას. უყვარდა სკოლა, წიგნები, თეატრი, კინო. დედის სიყვარულით ტკბებოდა. ნელინი კი ქალიშვილში ყოფილი ქმრის ხალისსა და პიროვნულ ხიბლს გრძნობდა. ისიც სიამოვნებდა, რომ გოგონა

შეუხედავი კი იყო, მაგრამ მამასავით უხეში ნაკვთები არ ჰქონდა. დედა-შვილი ერთად ბედნიერი იყო.

კოლეჯის დასრულების შემდეგ კლოდია ლოს-ანჯელესში გაემგზავრა და კინობიზნესში სცადა ბედი. ნელინს მისმა წასვლამ გული დასწყვიტა, მაგრამ საკრამენტოში კარგად მოეწყო, მეგობრების წრეც გაიჩინა, ერთ-ერთ უმაღლეს სკოლაში რექტორის თანაშემწის ადგილიც მოიპოვა.

კროსი და პიპიც, როგორც ნორმალური ოჯახი, ისე ცხოვრობდნენ. თუმცა - სრულიად სხვა გაგებით. კროსი მაღალ კლასებში საუკეთესო ათლეტი იყო, მაგრამ ცუდად სწავლობდა. კოლეჯი არ იზიდავდა. თუმცა თვალში საცემად ლამაზი იყო, ქალები დიდად არ აინტერესებდა.

კროსს მამასთან ერთად ცხოვრება მოსწონდა. რაგინდ უსიამოვნო გადაწყვეტილება მიეღოთ მის მშობლებს, საბოლოო ჯამში, ის მართებული აღმოჩნდა. მართლაც, ორ ბედნიერ ოჯახად ცხოვრობდნენ, ოღონდ - განცალკევებით. პიპი ისეთივე კარგი მშობელი აღმოჩნდა კროსისთვის, როგორიც ნელინი - კლოდიასთვის. ოღონდ ეს არის, მას საკუთარი ხატის მსგავსად ძერწავდა.

კროსს უყვარდა სასტუმრო „ქსანადუში“ საქმიანობა, კლიენტებით მანიპულირება, თაღლითობის წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებები. შოუს გოგონებითაც ზომიერად ინტერესდებოდა. ბოლოს და ბოლოს, პიპიმ გადაწყვიტა, კროსი კლერიკუციოს ოჯახში შეეყვანა. მუდამ ახსოვდა დონის სიტყვები: ადამიანს, პირველ რიგში,

ლუკმაპურის შოვნა უნდა ეხერხებოდესო.

პიპიმ კროსი თავისი სააგენტოს პარტნიორად აქცია. ერთხელ გრონეველტთან სადილად თან წაიყოლა და საუბარი ისეთნაირად წარმართა, რომ გრონეველტი მისი ვაჟის ბედით დაინტერესებულიყო. როცა „ქსანადუს“ მდიდარ კლიენტებს ოთახში გოლფს ეთამაშებოდა, თამაშში მუდამ კროსსაც რთავდა და თანაც თავის მოწინააღმდეგედ აყენებდა ხოლმე. ჩვიდმეტი წლის ასაკში კროსი გოლფში საუკეთესო დამრტყმელად ჩამოყალიბდა. რაც უფრო დიდი თანხები ტრიალებდა, მით უფრო უკეთ თამაშობდა. კროსი და მისი პარტნიორი, როგორც წესი, იგებდნენ. პიპი დამარცხებას მშვიდად და სიამოვნებითაც კი იღებდა. თუმცა ფულს კარგავდა, სამაგიეროდ, ეს მისი ვაჟის რეპუტაციას ემსახურებოდა.

კლერიკუციოს ოჯახში ყველა საზეიმო წვეულებას პიპი კროსთან ერთად ესწრებოდა: ყველა დღესასწაულზე, უპირველეს ყოვლისა კი ოთხ ივლისს, რომელსაც ოჯახი განსაკუთრებული პატრიოტიზმით აღნიშნავდა. ასევე ესწრებოდნენ ყველა ქორწილსა და დაკრძალვას. კროსი ხომ დონის უფროსი შვილიშვილი იყო და ძარღვებში კლერიკუციოს სისხლი უჩქეფდა.

როცა პიპი კვირაში ერთხელ „ქსანადუს“ სათამაშო მაგიდას მიუჯდებოდა, რათა, როგორც ყოველთვის, რვაათასდოლარიან მოგებას დასჯერებოდა, კროსი გვერდით ეჯდა და თვალყურს ადევნებდა. პიპი თამაშის ყველანაირ სიბრძნესა და ხრიკს ასწავლიდა. დაარიგა, არასოდეს ეთამაშა, როცა თავს შეუძლოდ გრძნობდა,

არასოდეს ეთამაშა შეუსვენებლად ორ საათზე მეტხანს, არც კვირაში სამ დღეზე უფრო ხშირად; როცა ატყობდა, რომ აგებდა, დიდი თანხები არ დაედო, ხოლო მოგებისას თანდათან აეწია ფსონები, ოღონდ სიფრთხილე არ დავიწყებოდა.

პიპის სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მამამ ვაჟიშვილს წუთისოფლის უსიამო და მახინჯი მხარეები უნდა გააცნოს. ვალების ამკრეფი სააგენტოს უმცროს მენეჯერს ამგვარი ცოდნა ძალზე სჭირდებოდა, რადგან გადასახადის აკრეფა მუდამ ისეთი უწყინარი საქმე როდი იყო, როგორც ამას პიპი ნელინს აღუწერდა.

რამდენიმე შემთხვევისას, როცა განსაკუთრებული სიმკაცრის გამოჩენამ მოუწიათ, კროსმა სანიმუშო სიმტკიცე გამოიჩინა. იმდენად ნორჩი და ლამაზი იყო, საშიში თითქოს არ ჩანდა, მაგრამ საკმარისად ღონიერი და ძლიერი იყო, რათა პიპის ნებისმიერი განკარგულების შესრულება შეძლებოდა.

საბოლოოდ, შვილის შესამოწმებლად, პიპიმ ის განსაკუთრებით რთულ საქმეზე გაგზავნა, სადაც მიზნისთვის ძალით კი არა, მხოლოდ დარწმუნებით უნდა მიეღწია. კროსის გაგზავნა უკვე თავისთავად, მოვალის მიმართ ლმობიერებასა და კეთილგანწყობას ნიშნავდა. ამ პიროვნებას, კალიფორნიის ჩრდილოეთში მცხოვრებ წვრილ მაფიოზის, სასტუმროს ვალად ასი ათასი ემართა. ეს იმდენად უმნიშვნელო ამბავი იყო, რომ არ ღირდა კლერიკუციოს სახელის ხსენება; ის რკინის მუშტით კი არა, ხავერდის ხელთათმანით უნდა მოგვარებულიყო.

ბარონს ფალკო ერქვა. კროსს ის უხასიათოდ დახვდა. ერთხანს ბიჭის შეგონებებს უსმინა, მერე კი რევოლვერი ამოიღო, ყელზე მიაბჯინა და უთხრა:

- ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს, გლანდებს დაგიცხრილავ, შენი დედაც!

კროსს თვითონაც გაუკვირდა, შიში რომ არუგრძნია.

- ორმოცდაათ ათასზე შევთანხმდეთ, - უთხრა მან ფალკოს, - რაღაც ტილიანი ორმოცდაათი ათასის გამო ხომ არ მომკლავთ? მამაჩემს ეს არ მოეწონება.

- მამაშენი ვინღაა? - ჰკითხა ფალკომ ისე, რომ იარაღი არ მოუცილებია.

- პიპი დე-ლენა. ისედაც მომკლავს, როცა გაიგებს, რომ ორმოცდაათ ათასზე დაგთანხმდით.

- კარგი, - გაეცინა ფალკოს და იარაღი დაუშვა, - უთხარი, რომ ვეგასში შემდეგი ჩასვლისას გადავუხდი.

- სასტუმროში როგორც კი მიხვალთ, დამირეკეთ, - უთხრა კროსმა, - თქვენთვის განკუთვნილ მომსახურების პაკეტს მოგცემთ.

ფალკომ პიპის სახელი გაიხსენა, მაგრამ, გარდა ამისა, კროსის სახეზე ისეთი რამ ამოიკითხა, რამაც უკან დაახევინა. მას შიში არ ეტყობოდა, სიმშვიდე არ დაუკარგავს, ხუმრობდა კიდეც. ასე ის ადამიანი იქცევა, ვინც დარწმუნებულია, რომ მისი მეგობრები მის გამო შურს იძიებენ. მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ კროსი საქმეზე მუდამ იაღარითა და დაცვის თანხლებით დადიოდა.

პიპიმ შვილის ვაჟკაცობა იმით წააქეზა, რომ მასთან ერთად „ქსანადუში“ დასვენება მოიწყო. გრონეველტმა მათ საუკეთესო ნომრები გამოუყო და კაზინოს ჩიპებით სავსე საფულეც მიართვა.

იმ დროს გრონეველტი ოთხმოცი წლის იყო, ჭაღარათმიანი, მაგრამ მაღალი და ჯერაც ძლიერი აგებულების. პედაგოგიური ალღო ჰქონდა და სიამოვნებდა კიდეც კროსისთვის რჩევა-დარიგებების მიცემა. როცა ჩიპებს გადასცემდა, უთხრა:

- მოგების შანსი არ გაქვს, ასე რომ, ამას აუცილებლად უკან დავიბრუნებ. მაგრამ ერთი შანსი მაინც გაქვს. ჩვენს სასტუმროს უამრავი სხვადასხვანაირი ატრაქციონი აქვს. ჩვენს გოლფის მოედანზე სათამაშოდ იაპონიიდანაც კი ჩამოდიან. გვაქვს დელიკატესების რესტორნები და გოგონების უმშვენიერესი შოუ. ჩვენს სცენაზე კინოსა და ესტრადის უდიდესი ვარსკვლავები გამოდიან. გვაქვს ჩოგბურთის კორტები და საცურაო აუზები. სპეციალური ტურისტული თვითმფრინავი მსურველებს დიდ კანიონზე გადააფრენს. და ეს ყველაფერი უფასოა. ამიტომაც ამ საფულეში რომ ჩიპებია, წაგებულად ვერანაირად ვერ ჩაითვლება. თუკი ფულს დაკარგულად თვლი, კაზინოში არ უნდა ითამაშო.

იმ სამდღიანი არდადეგების განმავლობაში კროსმა გრონეველტის რჩევა გაითვალისწინა. ყოველ დილით ეთამაშებოდა გოლფს თავის მამას, გრონეველტსა და სასტუმროს ერთ-ერთ სახელოვან სტუმარს. მუდამ საკმაოდ დიდ თანხებზე თამაშობდნენ, მაგრამ უსაშველოდ დიდზე - არასოდეს. გრონეველტმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ რაც

უფრო მაღალი იყო ფსონები, მით უფრო უკეთ თამაშობდა კროსი.

- რკინის ნერვები აქვს, რკინის, - უთხრა მან პიპის.

ყველაზე მეტად კი ამ ბიჭში ის ხიბლავდა გრონეველტს, რომ მას თანდაყოლილი ტაქტი და ალღო ჰქონდა, არასოდეს სჭირდებოდა იმის თქმა, თუ როგორ მოქცეულიყო. უკანასკნელ დილას სასტუმროს მდიდარი კლიენტი, რომელმაც ქონება საროსკიპოების ქსელით დააგროვა, ძალზე უგუნებოდ დახვდათ. ეს არც იყო გასაკვირი: წინა ღამით 500.000 დოლარი წაუგია. იმდენად ფული არ ადარდებდა, რამდენადაც ის, რომ თავი ვერ მოთოკა, უიღბლობის მიუხედავად, თამაში განაგრძო და დაკარგულის ანაზღაურება სცადა. ასეთი შეცდომა გამოცდილ მოთამაშეს არ ეკადრებოდა.

იმ დილით, როდესაც გრონეველტმა ფსონის ერთ გარტყმაში ორმოცდაათ დოლარამდე შემცირება შესთავაზა, გაღიზიანებულმა სტუმარმა უთხრა:

- ალფრედ, წუხელ ისე გამყვლიფე, რომ ერთ გარტყმაში ათას დოლარსაც სულ უპრობლემოდ გადამიხდიდი.

გრონეველტი შეურაცხყოფილი დარჩა: გოლფის მოედანი საზოგადოებრივი გართობის ადგილად ჰქონდა ჩაფიქრებული და კაზინოსთან მისი დაკავშირება უტაქტობად აღიქმებოდა. მაგრამ მან ჩვეული თავაზიანობით უპასუხა:

- კარგი. მეტსაც ვიზამ და მეწყვილედ პიპის შემოგთავაზებ. მე კი კროსთან ერთად ვითამაშებ.

დაიწყეს თამაში. საროსკიპოების მეპატრონე კარგად აგდებდა

ორმოებში ბურთს, პიპისა და გრონეველტსაც ბედი სწყალობდათ. მხოლოდ კროსი საშინლად მოქმედებდა, ასეთი ცუდი თამაში მის პარტნიორებს მანამდე არასოდეს ენახათ. ერთხელ ბურთი ტბორშიც კი ჩაუვარდა (რომლის მოწყობაც აქ, ნევადის უდაბნოში, ძალზე ხარჯიანი იყო). საროსკიპოების მეპატრონემ წუხანდელი დანაკარგის საკომპენსაციოდ ხუთი ათასი მოიგო, შელახული თავმოყვარეობა აღიდგინა და ყველანი საუზმეზე დაპატიჟა.

- მაპატიეთ, რომ იმედი გაგიცრუეთ, მისტერ გრონეველტ, - უთხრა სასტუმროს მეპატრონეს კროსმა. გრონეველტმა სერიოზული სახით შეხედა და უთხრა:

- მამაშენს დაველაპარაკები, უფლება დაგრთოს, ჩემთან იმუშაო.

კროსი წლების განმავლობაში ადევნებდა თვალს გრონეველტთან მამის მეგობრობას. ბევრ დროს ატარებდნენ ერთად, ხშირად ერთად სადილობდნენ. პიპის გრონეველტთან იმაზე უფრო მოკრძალებულადაც კი ეჭირა თავი, ვიდრე კლერიკუციოს ოჯახის წევრებთან, თავზე აფრქვევდა „ქსანადუს“ ყველა სიკეთეს, თუ ვილებს არ მივიღებთ მხედველობაში. ამ ყველაფრის საფუძველზე კროსი მიხვდა, რომ გრონეველტი და კლერიკუციოს ოჯახი სასტუმროს თანაბარი პირობებით ფლობდნენ.

კროსი იმასაც ამჩნევდა, რომ გრონეველტი მას რაღაც განსაკუთრებული ინტერესითა და სიმპათიით ადევნებდა თვალს. სამდღიანი არდადეგების დროს, ნაჩუქარი ჩიპების გარდა, კიდევ ბევრი რამით გაუმჟღავნა კეთილგანწყობა. კროსი და მისი მეგობრები

სასტუმროს სრული სამომხმარებლო პაკეტით სარგებლობდნენ. სკოლის დამთავრებისაღსანიშნავად გრონეველტმა მას კაბრიოლეტი აჩუქა, ხოლო ჩვიდმეტი წლის რომ გახდა, მოხუცმა თავისი შოუს გოგონებს განსაკუთრებულად თბილი რეკომენდაციით გააცნო. კროსმა მალევე შეიტყო, რომ გრონეველტი თვითონაც ხშირად ეპატიჟებოდა გოგონებს საკუთარ პენტჰაუზში და, მათ მონაყოლს თუ დაუჯერებდი, მართლაც ყოველმხრივ სანატრელი მამაკაცი გახლდათ: სერიოზულად არავინ უყვარდებოდა, მაგრამ გოგონებს ისე გულუხვად ასაჩუქრებდა, რომ ყველანი აღმერთებდნენ. ნებისმიერი ქალი, ვისაც გრონეველტი ერთი თვის მანძილზე მაინც სწყალობდა, მდიდრდებოდა.

ერთ-ერთი საუბრისას, რომელიც მოძღვარსა და შეგირდს შორის იმართებოდა, როცა სასტუმროს მეპატრონე კროსს „ქსანადუსთანა“ დიდი სასტუმროს მოვლა-პატრონობას ასწავლიდა, ბიჭმა მას ჰკითხა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქალებთან, როგორც ხელმძღვანელს? გრონეველტმა ღიმილით უპასუხა:

- შოუს ქალებთან ურთიერთობას კაბარეს დირექტორს ვანდობ. საერთოდ, სასტუმროში მომუშავე ქალებს კი ზუსტად ისევე ვექცევი, როგორც მამაკაცებს. მაგრამ თუ გსურს, სასიყვარულო ურთიერთობებთან დაკავშირებით რჩევა მოგცე, ერთ რამეს გეტყვი: ჭკვიან კაცს, როგორც წესი, ქალების არ უნდა ეშინოდეს. მაგრამ ორ რამეს მაინც უფრთხილდი. პირველი და ყველაზე უფრო საშიში ისეთი ქალიშვილია, ვისაც რაიმე დარდი აწევს ან გასაჭირშია ჩავარდნილი.

მეორე: ქალი, რომელსაც შენზე მეტი ამბიცია აქვს. უსულგულო ნუ გეგონები, მსგავს გაფრთხილებებს ქალებსაც მივცემდი მამაკაცებთან დაკავშირებით, უბრალოდ, ეგ მე და შენ არ გამოგვადგება. მე იმაში გამიმართლა, რომ „ქსანადუ“ ყველა ქალზე და ქვეყნად ყველაფერზე უფრო მეტად მიყვარდა. ოღონდ ერთი რამ კია: შვილები რომ არ მყავს, ძალიან ვნანობ.

- შენ ხომ სრულყოფილი ცხოვრებით ცხოვრობ, - უთხრა კროსმა.

- ასე გგონია? მაგრამ ეს ძვირადაც მიჯდება.

ქუოგის რეზიდენციაში ქალები კროსს მუდამ აღტაცებით უტრიალებდნენ გარს. ოცი წლის ასაკში დახვეწილი მამაკაცის გარეგნობით გამოირჩეოდა: ლამაზიც იყო, ათლეტური აღნაგობისაც და, თავისი ასაკის კვალობაზე, ქალებთან ურთიერთობაც შესანიშნავად ეხერხებოდა. ოჯახში სიცილიური გლეხური იუმორით ამბოდნენ, - მადლობა ღმერთს, დედას ჰგავს და არა მამასო!

ერთხელ აღდგომას, როცა ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად ასზე მეტი ნათესავი შეკრებილიყო, ბიძაშვილმა, დანტემ მიაწოდა ცნობა, რომელიც კროსს დაეხმარა, საბოლოოდ გაერკვია, რას წარმოადგენდა მამამისი.

რეზიდენციის დიდ ბაღში შეკრებილ სტუმრებს შორის კროსმა მშვენიერი ქალიშვილი შენიშნა, რომელსაც ახალგზარდა თაყვანისმცემლები ეხვეოდნენ. დაინახა, მამა გვერდით მაგიდას როგორ მიუახლოვდა, თეფშზე შემწვარი სოსისი გადმოიღო და თან ქალიშვილსა და მის თანამოსაუბრეებს მეგობრულად რაღაც

გადაულაპარაკა. ქალიშვილი შეკრთა და უკან წაიწია. კროსს ეს გაუკვირდა, რადგან ქალებს პიპი ჩვეულებრივ, მოსწონდათ. ეს დანტემაც შენიშნა და კროსს უთხრა:

- ხომ ლამაზი გოგონაა? წამოდი, მივესალმოთ. - როცა ორივენი ახლოს მივიდნენ, დანტემ გააცნო: - ლილა, ეს ჩვენი ნათესავი კროსია.

ლილა მათი თანატოლი იყო, მაგრამ ჯერ ბოლომდე არ დაქალებულიყო. თმა ქერა ჰქონდა, სახე - ნაზი ხორბლისფერი, მაგრამ ტუჩები მეტისმეტად ბავშვური ჰქონდა, თითქოს ჯერაც განუვითარებელი. ანგორის თეთრი სვიტერი ეცვა, რომლის წყალობითაც მის გარუჯულ კანს ოქროსფერ ბზინვარებას ენიჭებოდა. იმ წამს კროსს ეგონა, ეს გოგონა სამუდამოდ შემიყვარდაო. მაგრამ როცა მასთან დალაპარაკება სცადა, ლილამ ზურგი შეაქცია და ქალებისთვის გაწყობილი ფანჩატურიანი მაგიდისაკენ წავიდა.

დაბნეულმა კროსმა დანტეს ჩაულაპარაკა:

- მგონი, არ მოვეწონე.

პასუხად დანტემ მხოლოდ ბოროტად გაუღიმა.

დანტე უცნაური ახალგარდა იყო: ძალზე მგზნებარე, ფეთქებადი, სახეზე გამომწვევი გამომეტყველებით. კლერიკუციოსთვის დამახასიატებელი თმა ჰქონდა, რენესანსული სტილის უცნაურ პატარა ქუდს იხურავდა. ძალზე დაბალი იყო, ხუთ ფუტზე სულ ოდნავ მეტი იქნებოდა, მაგრამ არნახულად მედიდურად ეჭირა თავი, რაკი დონის გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა. მის გარშემო მუდამ

ბოროტების აურა იგრძნობოდა.

- ეს გოგო გვარად ანაკოსტაა, - უთხრა მან კროსს.

კროსმა ეს გვარი გაიხსენა. ანაკოსტას ოჯახს ერთი წლის წინ უბედურება დაატყდა თავს: მამა და უფროსი ვაჟიშვილი მაიამის სასტუმროს ნომერში დახოცეს. მაგრამ დანტე მას ახლა ისეთნაირად უყურებდა, თითქოს მისგან რაღაც პასუხს ელოდა.

- მერე რა? - გულგრილად ჰკითხა კროსმა.

- მამაშენთან ერთად არ მუშაობ?

- ჰო.

- და ლილას ეარშიყები? ხომ არ გაგიჟებულხარ? - გადაიხარხარა დანტემ.

კროსი მიხვდა, აქ რაღაც ხაფანგი რომ იყო დაგებული და დადუმდა. დანტე არ მოეშვა:

- ნუთუ არ იცი, მამაშენი რას საქმიანობს?

- გადასახადებს კრეფს.

- სიმართლე უნდა იცოდე, - თავი გააქნია დანტემ, - მამაშენი ჩვენი ოჯახის დავალებით ხალხს ხოცავს. ის ჩვენი მთავარი დამრტყმელი ძალაა, ჩვენი „ურია“.

კროსს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს რაღაც ჯადომ მის ცხოვრებას ერთბაშად ყველა საიდუმლო ჩამოაცილა. წამში გაუნათდა გონება. მამის მიმართ დედის ზიზღი, კლერიკუციოს მხრიდან მოწიწება და დაფასება, ის, რომ მამა ყოველკვირა სადღაც მიდიოდა და რომ იარაღს მუდამთან დაატარებდა; მისი ხუმრობები, რომლებიც კროსს

ხშირად არ ესმოდა. მოაგონდა, მამას მკვლელობისთვის რომ ასამართლებდნენ, რაც ბავშვმა მეხსიერებიდან იმ დღეს ამოიშალა, როცა მამამ მადლობის ნიშნად ხელი ჩასჭიდა. უეცრად მამის მიმართ საოცარი სინაზე იგრძნო. მოეჩვენა, თითქოს შიშველი და დაუცველი, მისგან შველას საჭიროებდა.

მაგრამ ეს ყველაფერი იმ წუთებში დანტეზე ბრაზმა გადაფარა იმის გამო, რომ სიმართლის პირში თქმა გაუბედა.

- არა, მსგავსი არაფერი ვიცი და არც შენ იცი. ეს არავინ იცის, - კროსს უნდოდა დაემატებინა, - შე პატარა ნაბიჭვაროო, - მაგრამ ნაცვლად ამისა, დანტეს გაუღიმა და დასძინა: - ეს ბრიყვული ქუდი სად იშოვე?

ვირჯინიო ბალაცო ჯამბაზის თანდაყოლილი ოსტატობიით აგროვებდა ბავშვებს სააღდგომო კვერცხების მოსაძებნად. კოხტად ჩაცმული, აღაჟღაჯებული პატარები სააღდგომო ყვავილებს ჰგავდნენ. ბალაცომ პატარა კალათები დაურიგა, თითოეულს ლოყაზე აკოცა, მერე დაიყვირა, დაიწყეთო. ბავშვები მინდორზე გაიფანტნენ.

ვირჯინიო ბალაცო დიდებული შესახედავი გახლდათ: ლონდონში შეკერილი კოსტიუმი ეცვა, იტალიური ფეხსაცმელი, თმა კი მანჰეტენელ მიქელანჯელოსთან ჰქონდა შეკრეჭილი. ვირჯინიოს ბედი სწყალობდა: მისი ქალიშვილი ამ ბავშვებივით ქორფა და მომხიბვლელი იყო.

ლუსილი, მოფერებით - სილი, თვრამეტი წლის იყო და ამ დღეს მამას ეხმარებოდა. როცა ბავშვებს კალათებს ურიგებდა, ბალახზე

მდგომი მამაკაცები ხარბად აყოლებდნენ თვალს და ჩუმად შესტვენდნენ ხოლმე. გოგონას შორტი და გულზე ამოჭრილი თეთრი პერანგი ეცვა. ოქროსფერი კანი ჰქონდა, მუქი თმა თავზე გვირგვინივით ადგა. მართლაც დედოფალივით იდგა და სინორჩესა და ხალისს ასხივებდა.

გოგონამ თვალის კუთხით შენიშნა, რომ კროსსა და დანტეს შორის შელაპარაკება მოხდა და ისიც დაინახა, კროსს ტუჩები როგორ დაეგრიხა, როცა დროებითი მარცხი განიცადა.

ლუსილს ხელში ერთი კალათა შერჩენოდა. ის ყმაწვილებს მიუახლოვდა და სიცილით გაუწოდა.

- აბა, კვერცხების შეგროვება რომელს გინდათ?

ორივემ აღტაცებით შეხედა. შუადღის მზე მის კანს ოქროს ბზინვარებას მატებდა, თვალები ეშმაკურად უელავდა, თეთრი პერანგი მაცდუნებელ და ამასთანავე უმწიკვლო სხეულს გამოჰკვეთდა, შიშველი თეძოები რძისფრად ულაპლაპებდა.

უეცრად ერთმა პატარა გოგონამ დაიყვირა. ყველამ მისკენ მიიხედა. ბავშვს დიდი, კეგლის ბურთისხელა, ფერადად მოხატული კვერცხი ეპოვა, კალათაში ჩადება უნდოდა. კოხტა ჩალის ქუდი გვერდზე მოქცეოდა, მღელვარებისგან თვალები დაეჭყიტა. კვერცხი გატყდა და იქიდან ბარტყი გადმოხტა. გოგონამ სწორედ ამიტომ შეჰყვირა.

პიტიმ ბავშვი ხელში აიტაცა და დაამშვიდა. ხალხს სიცილი აუტყდა.

გოგონამ ქუდი გაისწორა და ნაწყენი კილოთი დაიყვირა.

- რატომ მომატყუეთ?! - და პიტის სილა გააწნა. ხალხი უარესად ახარხარდა. პიტი ბავშვს პატიებას სთხოვდა, მაგრამ ის ხელიდან დაუსხლტა და გაექცა. პიტი გამოეკიდა, ხელში აიტაცა და ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებული ბრილიანტის კვერცხი გაუწოდა. გოგონამ საჩუქარი გამოართვა და ლოყაზე აკოცა.

სილმა კროსს ხელი ჩასჭიდა და სახლიდან ასიოდე იარდის მოშორებით განლაგებული ჩოგბურთის კორტებისკენ წაიყვანა. ჩოგბურთის სამკედლიან კარავში დასხდნენ, რომელიც მოზეიმეებისგან განმარტოების საშუალებას იძლეოდა.

დანტემ ბრაზით გააყოლა თვალი. შესანიშნავად ესმოდა, რომ კროსი მასზე ბევრად მიმზიდველი იყო და გოგო-ბიჭის განმარტოება პირად შეურაცხყოფად მიიღო. მაინც ეამაყებოდა კროსისნაირი მოხდენილი ნათესავის ყოლა. გვიანღა გააცნობიერა, რომ კალათა ეკავა ხელში, მხრები აიჩეჩა და კვერცხების მძებნელებს შეუერთდა.

კარავში სილმა კროსის სახე ხელისგულებს შორის მოიქცია და ტუჩებში აკოცა. ნაზად და მორცხვად ჰკოცნიდა. როცა ბიჭმა ხელები პერანგის ქვეშ შეუცურა, გოგონამ შეაჩერა. გაბრწყინებული ღიმილით უთხრა:

- ათი წლიდან ვოცნებობდი, შენთვის მეკოცნა, დღეს კი საამისოდ შესანიშნავი დღეა.

კროსი კოცნამ ააფორიაქა, მაგრამ სილს მხოლოდ ის ჰკითხა, რატომო?

- იმიტომ, რომ ასეთი ლამაზი და ვაჟკაცური ხარ. დღეს ისეთი დღეა, რაც უნდა გავაკეთოთ, ყველაფერი გამართლებულია. - ქალიშვილმა კროსს ხელი ჩასჭიდა. - ხომ ორივეს შესანიშნავი ოჯახები გვყავს? - მერე მოულოდნელად ჰკითხა: - მამაშენთან რატომ დარჩი?

- ასე გამოვიდა, - უთხრა კროსმა.

- დანტესთან შელაპარაკება გქონდა? აუტანელია.

- არა, უბრალოდ ვხუმრობდით. დანტე ბიძია პიტივით ხუმარაა.

- დანტე მეტისმეტად უხეშია, - თქვა გოგონამ და ისევ აკოცა, მაგრამ ბიჭის ხელები კვლავ შეაკავა, - მამაჩემი ისეთი მდიდარია, კენტუკიში სახლის და 1920 წლის „როლს-როსის“ ყიდვას აპირებს. უკვე სამი ანტიკვარული მანქანა ჰყავს, ახლა კი კენტუკიში ცხენებსაც ყიდულობს. ხვალ ჩვენთან მოდი, მანქანებს დაგათვალიერებინებ. ხომ მოგწონს დედაჩემის მომზადებული საჭმელები?

- ხვალ ვეგასში უნდა დავბრუნდე. ახლა „ქსანადუში“ ვმუშაობ, - უთხრა კროსმა.

- მძულს ვეგასი. ჩემი აზრით, საძაგელი ქალაქია.

- მე კი მომწონს. როგორ გძულს, თუკი იქ არასოდეს ყოფილხარ?

- იქ ხალხი სიმწრით ნაშოვნ ფულს ფლანგავს, - ახალგაზრდულისიჯიუტით უპასუხა სილმა, - მადლობა ღმერთს, მამაჩემი აზარტულ თამაშებს არ თამაშობს. თანაც ეს შოუს გოგონები - რა ამაზრზენია!

- არ ვიცი, - გაეცინა კროსს, - მე მხოლოდ გოლფის მოედანს

ვემსახურები. კაზინოში ერთხელაც არ შევსულვარ.

სილი მიხვდა, რომ ბიჭი ემასხარავებოდა, მაგრამ არ სწყენია.

- თუ დაგპატიჟებ, კოლეჯში მესტუმრები?

- ჰო, - უთხრა კროსმა. ამ თამაშში თვითონ სილზე ბევრად უფრო იყო გაწაფული. გული სინაზით მოეწურა ამ უცოდველი გოგონას შემხედვარეს, რომელიც ხელებს უკავებდა და არც საკუთარი მამის, არც საერთოდ ოჯახის საქმიანობის შესახებ იცოდა რაიმე. მიხვდა, რომ უმანკო კოცნითა და ალერსით უბრალოდ, ქალურ ასაკში შებიჯებას ზეიმობდა, სიცოცხლე უხაროდა.

- ჯობს, წვეულებაზე დავბრუნდეთ, - უთხრა კროსმა და ისინი ხელიხელჩაკიდებულნი დაუბრუნდნენ მოზეიმეებს. სილის მამამ, ვირჯინიომ, სხვებზე ადრე შენიშნა და ხუმრობით უსაყვედურა.

- სირცხვილო, სირცხვილო! - მერე კი ორივეს გადაეხვია.

ეს დღე კროსს სისპეტაკის ატმოსფეროთი დაამახსოვრდა. კიდევ დიდხანს ედგა თვალწინ ქრისტეს აღდგომის აღსანიშნავად ქათქათა კაბებში გამოწყობილი პატარები. ისიც ახარებდა, რომ ამ დღეს, როგორც იქნა, მამის შესახებ სიმართლე შეიტყო.

ვეგასში დაბრუნების შემდეგ პიპისა და კროსის ურთიერთობა შეიცვალა. პიპი მიხვდა, რომ მის შვილს ვიღაცამ საიდუმლო გაუმხილა, და განსაკუთრებული კეთილგანწყობით ცდილობდა მისი ყურადღების მოპყრობას. კროსს თვითონაც აკვირვებდა ის, რომ მამის სიყვარული არ გაუნელდა. მამის, კლერიკუციოს ოჯახის, გრონეველტისა და სასტუმროს გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

ეს მისთვის განკუთვნილი ცხოვრება იყო და ამ ცხოვრებით კმაყოფილი იყო. მაგრამ იმავდროულად, მოუთმენლობამ აიტანა. იგრძნო, რომ დადგა დრო, ცხოვრებში ახალი ნაბიჯი გადაეედგა. P SEP

წიგნი III - P SEP P SEPკლოდია დე-ლენა P SEP P SEPათენა ექვითეინი - P SEP P SEPთავი 4P SEP

კლოდია დე-ლენა ოკეანის სანაპიროზე მდებარე თავისი ბინიდან ავტომანქანით მალიბუს დასახლებაში, ათენას სანახავად გაემგზავრა. გზაში იმაზე ფიქრობდა, თუ რა არგუმენტებით დაერწმუნებინა მსახიობი, „მესალინაში“ გადაღებას დაჰბრუნებოდა. P SEP

ეს პირადად მისთვისაც ისევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც სტუდიისთვის. „მესალინა“ მისი პირველი ორიგინალური და დამოუკიდებელი სცენარი იყო, მანამდე წიგნების ეკრანიზაციებზე მუშაობდა ან სხვებთან თანამშრომლობდა. P SEP

გარდა ამისა, კლოდია ფილმის კოპროდიუსერი იყო, რაც მანამდე ჯერარგანცდილ ძალაუფლებას ანიჭებდა. ცხადია, კოლოსალური მოგებაც იზიდავდა. როგორც იქნა, ნამდვილად დიდ ფულს გამოჰკრავდა ხელს და თავისი გეგმის ახალ ეტაპზე გადასვლას - სცენარისტ-პროდიუსერობას შეძლებდა. კლოდია ალბათ ერთადერთი ადამიანი იყო მისისიპის დასავლეთ სანაპიროზე, ვინც რეჟისორობას არ ნატრობდა, რადგან ეს ადამიანთა ურთიერთობაში ძალადობის ელემენტების შეტანას ნიშნავდა და კლოდიას ხასიათს

ეწინააღმდეგებოდა.

კლოდიას ათენასთან, პროფესიული ურთიერთობის გარდა, ახლო მეგობრობა აკავშირებდა. ათენა ჭკვიანი იყო და უნდა სცოდნოდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო კლოდიასთვის ამ ფილმის გადაღება. კლოდიას ის არ ესმოდა, მეგობარს ასე ძალიან რატომ ეშინოდა ბაზ სკანეტის, რადგან ათენას იცნოდა: მას არასოდეს არავის შიში არ ჰქონია.

კლოდიას სწამდა, რომ ერთ რამეს მაინც მოახერხებდა: ათენას შიშის მიზეზს გაარკვევდა და დახმარებას შეეცდებოდა. და ბუნებრივია, არ უნდა დაეშვა, რომ ათენას კარიერა ჩაშლილიყო. ბოლოს და ბოლოს, კლოდიაზე მეტად არავინ იყო ჩახედული კინობიზნესის ინტრიგებსა და სირთულეებში.

* * *

კლოდია დე-ლენა ნიუ-იორკში სამწერლო კარიერაზე ოცნებობდა. ოცდაერთი წლის ასაკში განიცადა მარცხი, როცა ოცმა გამომცემლობამ რომანის დაბეჭდვაზე უარი უთხრა. მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია, ლოს-ანჯელესში გადავიდა და კინოში სცადა ბედი.

გონიერმა, ცოცხალმა და გახსნილმა კლოდიამ ლოს-აჯნელესში მალევე ბევრი მეგობარი გაიჩინა. კალიფორნიის უნივერსიტეტში კინოდრამატურგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც ერთი ახალგაზრა

გაიცნო, რომელსაც მამა პლასტიკური ქირურგი ჰყავდა. ისინი საყვარლები გახდნენ. ახალგზარდა იმდენად მოაჯადოვა კლოდიას სხეულმა და გონიერებამ, რომ მეგობრობა „სერიოზულ ურთიერთობაში“ გადაიზარდა და თავის ოჯახში სადილად დაპატიჟა. მამა, პლასტიკური ქირურგი, ასევე მოიხიბლა კლოდიათი. სადილის შემდეგ მან ქალიშვილს ხელისგულებით სახე მოუსინჯა.

- უსამართლობაა, რომ თქვენნაირი გოგონა ისეთი ლამაზი არ არის, როგორც ამას იმსახურებთ, - უთხრა მან, - გთხოვთ, არ მიწყინოთ, ეს ბუნებრივი უიღბლობაა. თუ ნებას დამრთავთ, ამას გამოვასწორებ.

კლოდიას არ სწყენია, მაგრამ აღშფოთდა.

- რა ჯანდაბად მინდა სილამაზე? რას მარგებს? თქვენს შვილს ისედაც მოვწონვარ.

- როგორ თუ რას გარგებთ? გარწმუნებთ, ჩემს საქმეს რომ დავასრულებ, ჩემი შვილისთვის მეტისმეტად ლამაზიც კი გახდებით, - უთხრა ქირურგმა. - სიმპათიური და ჭკვიანი ქალიშვილი ხართ, მაგრამ გარეგნობა ძალაუფლებაა. ვერ დავიჯერებ, რომ მთელი ცხოვრება განზე დგომა გსურთ, ვიდრე თქვენზე ბევრად უფრო სულელი და გაუნათლებელი ქალები საუკეთესო მამაკაცებს დაეპატრონებიან. თქვენ კი მხოლოდ იმის გამო იქნებით უგულებელყოფილი, რომ სქელი ცხვირი და მაფიოზივით ნიკაპი გაქვთ, - ეს რომ თქვა, ქირურგი ქალიშვილს ნაზად მიეფერა ლოყაზე, - სამუშაო ბევრი არაა: ძალზე ლამაზი თვალები და ტუჩები გაქვთ. თქვენი ტანი კი ნებისმიერ

კინოვარსკვლავს შეშურდება.

კლოდიამ უკან დაიხია. იცოდა, რომ მამას ჰგავდა და მაფიოზის ხსენება უსიამოდ მოხვდა გულზე.

- სულერთია, - უპასუხა მან ქირურგს, - სამუშაოს ვერ აგინაზღაურებთ.

- კიდევ ერთი რამ: კინობიზნესში ჩახედული ვარ. არაერთი კინოვარსკვლავი ქალი და მამაკაცი მიმადლის თავის კარიერას. როცა სტუდიაში ამა თუ იმ ფილმზე შეკვეთის აღება მოგიწევთ, თქვენი გარეგნობა გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ვიცი, ეს უსამართლოდ მოგეჩვენებათ, რადგან ნიჭიერი ხართ. მაგრამ სწორედ ასეთია კინოს სამყარო. გირჩევთ, ამ ნაბიჯს პროფესიული კუთხით მიუდგეთ და არა - მამაკაცებთან ურთიერთობის კუთხით. თუმცა ცხადია, ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

კლოდია პასუხისგან თავს იკავებდა, ამიტომაც კაცმა განაგრძო:

- თქვენგან ჰონორარს არ ავიღებ. ამას თქვენთვის და ჩემი შვილისთვის გავაკეთებ, თუმცა ვშიშობ, როცა ისეთი მომხიბვლელი გახდებით, მე როგორც წარმომიდგენია, ის მიტოვებული კაცის როლში აღმოჩნდება.

კლოდიას მუდამ ახსოვდა, რომ შეუხედავი იყო, მაგრამ ახლა ის მოაგონდა, მამამ არჩევისას მას კროსი რომ ამჯობინა. ლამაზი რომ ყოფილიყო, ნეტავ, ეს მის ბედს თუ შეცვლიდა?.. ახლა პირველად შეხედა ქირურგს დაკვირვებით. წარმოსადეგი კაცი იყო და კლოდიას ისე ნაზად უმზერდა, თითქოს მისი განცდები იცოდა. ქალიშვილს

გაეცინა.

- მაშ, კარგი. გადამაქციეთ კონკიად.

ქირურგს ბევრი არაფერი შეუცვლია: ცხვირი შეუთხელა, ნიკაპი მოუმრგვალა და კანს სიგლუვე მიანიჭა. როცა კლოდია ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა, ის გაბედული, თამამი და მომხიბვლელი ქალი გამხდარიყო, უნაკლო ფორმის ცხვირი ჰქონდა და თავისი გარეგნობით ადამიანებზე კარგშთაბეჭდილებას ახდენდა. მთლად ლამაზიც არ ეთქმოდა, მაგრამ თითქოს უფრო საინტერესო და მიმზიდველიც კი იყო.

მისი პროფესიული საქმიანობის სფეროში ამან ჯადოსნური ეფექტი იქონია. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, კლოდიამ მილო სტიუარტთან შეხვედრას მიაღწია და ის მისი აგენტი გახდა. მისი წყალობით, კლოდიას სცენარების გადაკეთება-დამუშავებას ავალებდნენ. სტიუარტი მას წვეულებებზე ეპატიჟებოდა, სადაც ახალგაზარდა სცენარისტს საშუალება ჰქონდა, პროდიუსერებს, რეჟისორებსა და ვარსკვლავებს გასცნობოდა. კლოდია ყველას ხიბლავდა. სულ რამდენიმე წელიწადში მაღალი რანგის სცენარისტად იქცა. მის პირად ცხოვრებაშიც ჯადოსნური ცვლილებები მოხდა. ქირურგი მართალი აღმოჩნდა - მისმა ვაჟმა კონკურენციას ვერ გაუძლო. კლოდიამ რამდენიმე ისეთი სასიყვარულო გამარჯვება მოიპოვა, კინოვარსკვლავს შეშურდებოდა.

კლოდიას კინობიზნესი უყვარდა. სხვა სცენარისტებთან თანამშრომლობაც სიამოვნებდა, პროდიუსერებსა და რეჟისორებთან

კამათიც კი ახალისებდა: პირველ შემთხვევაში ფილმის რაც შეიძლება ეკონომიურად გადაღებაზე იყო საუბარი, მეორეში - მაღალმხატვრული სცენარის შექმნაზე. აღტაცებით უსმენდა მსახიობებს, მის მიერ დაწერილ სიტყვებს სრულყოფილად რომ ერგებოდნენ, მათ ახალ აზრსა და გრძნობას ანიჭებდნენ. უყვარდა გადასაღები მოედნის ატმოსფეროც, მავანს მოსაწყენად რომ ეჩვენებოდა, სამუშაო ჯგუფის მეგობრული ერთსულოვნებაც სიამოვნებდა და არც „დაბალი რანგის“ თანამშრომლებთან სასიყვარულო ურთიერთობას თაკილობდა. მონუსხული უყურებდა ახალი ფილმის წარმოებაში ჩაშვებას, თვალს ადევნებდა მის მარცხსა თუ გამარჯვებას. მხატვრული ფილმი ხელოვნების მაღალ ფორმად მიაჩნდა და როცა სხვისი სცენარის დამუშავებას ავალებდნენ, ასე ეგონა, ცვლილებები კი არ შემყავს, ცოცხალ ორგანიზმს ვმკურნალობო. ოცდახუთი წლის ასაკში მას უკვე სოლიდური რეპუტაცია ჰქონდა და ძალზე ბევრ უდიდეს ვარსკვლავთან მეგობრობდა, უახლოეს მეგობრად კი ათენა აქვითეინი ეგულებოდა.

P SEP

თვითონაც აოცებდა საკუთარი მჩქეფარე სექსუალობა. მიმზიდველ მამაკაცთან წოლა მისთვის ისევე ბუნებრივი იყო, როგორც მეგობრობის ნებისმიერი სხვა აქტი. ამას გამორჩების მიზნით არასოდეს სჩადიოდა - ისედაც საკმაოდ ნიჭიერი იყო. ხშირად ხუმრობდა, ვარსკვლავები ჩემთან იმიტომ წვებიან, რომ ჩემგან ახალ სცენარს ელოდებიანო.

P SEP

პირველი სასიყვარულო კავშირი თვით ქირურგთან ჰქონდა, რომელიც თავის ვაჟზე ბევრად უფრო მომხიბვლელი და ალერსიანი აღმოჩნდა. იქნებ მხოლოდ სექსისთვის კი არ შესთავაზა ბინა და გარკვეული თანხა ყოველთვიური ხარჯებისთვის, არამედ იმიტომაც, რომ საკუთარი ქმნილებით მოხიბლულს, მისი ხშირ-ხშირად ნახვა უნდოდა. კლოდიამ სიცილით უთხრა უარი და თქვა:

- გადასახადზე არ შევთანხმებულვართ.

- შენ უკვე გადამიხადე სამუშაოს საფასური, - უთხრა კაცმა, - მაგრამ იმედი მაქვს, დროდადრო ერთმანეთის ნახვას შევძლებთ.

- კი, რა თქმა უნდა.

კლოდიას საკუთარ თავში ყველაზე მეტად ის აკვირვებდა, როგორ შეეძლო, სრულიად განსხვავებული ასაკის, ხასიათის, გარეგნობის მამაკაცებთან ურთიერთობით ერთნაირი სიამოვნება მიეღო. გურმანივით უყვარდა ახალ-ახალი დელიკატესის გასინჯვა. დამწყებ მსახიობებსა და სცენარისტებთან მოძღვრის როლს თამაშობდა, მაგრამ ამ როლს სათავისოდ არ მიიჩნევდა. ბევრად უფრო ერჩივნა, თვითონ ესწავლა, ამიტომაც ასაკოვანი მამაკაცები უფრო საინტერესოდ მიაჩნდა.

ერთი ღირსშესანიშნავი ღამე თავად დიდ ელი მერიონთანაც კი გაატარა. განსაკუთრებულად წარმატებული ღამე არ ყოფილა, მაგრამ კლოდიამ მაინც მიიღო სიამოვნება.

ერთმანეთს სტუდია „ლოდსტოუნის“ წვეულებაზე შეხვდნენ. კლოდიამ ელი იმით მოხიბლა, რომ მისი სრულებით არ ეშინოდა და

ერთი-ორი არსებითი და ღრმა შენიშვნა გამოთქვა უკანასკნელ ბლოკბასტერთან დაკავშირებით. ელის ისიც მოეწონა, რომ კლოდიამ ბობი ბენცს სექსის შემოთავაზებაზე ისე ენაკვიმატად უთხრა უარი, რომ განაწყენების შანსი არ დაუტოვა. ¶

ელი მერიონმა უკანასკნელ წლებში სექსზე თითქმის სრულებით თქვა უარი. ამგვარი შეხვედრები საქმეში უფრო ეხმარებოდა, ვიდრე სიამოვნებას ჰგვრიდა, რადგან თითქმის იმპოტენტი იყო. როცა კლოდია ბევერლი-ჰილზში მის ბუნგალოში მიპატიჟებას დათანხმდა, მერიონმა ივარაუდა, რომ ამის მთავარი მიზეზი მისი ძალაუფლება უნდა ყოფილიყო. აზრადაც არ მოსვლია, რომ კლოდიას ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა: ნეტავ, როგორი იქნებოდა ასეთ გავლენიან და ასეთ ხნიერ მამაკაცთან დაწოლა? თუმცა თანხმობისთვის არც ეს იქნებოდა საკმარისი: კლოდიას მერიონი, ასაკის მიუხედავად, წარმოსადეგ მამაკაცად მიაჩნდა. მის გორილასებრ სახეს ღიმილი იმდენად მოუხდა, რომ კლოდიას ლამაზიც კი მოეჩვენა, როცა უთხრა, - ჩემი შვილიშვილების ჩათვლით, ყველა ელის მეძახისო. კლოდია ამ კაცის ჭკუამ და პიროვნულმა ხიბლმა მიიზიდა, თანაც მისი სისასტიკის შესახებ სმენოდა. ძალზე დაინტერესდა.¶

ბევერლი-ჰილზში, ბუნგალოს პირველ სართულზე განლაგებულ საძინებელში კლოდიამ გაკვირვებით შენიშნა, რომ ელი მორცხვობდა. თვითონ უხერხულობას სრულებით არ განიცდიდა, მოხუცს ტანსაცმლის გახდაში მიეხმარა და, ვიდრე ის სამოსს სკამის საზურგეზე

ჰკიდებდა, თვითონაც გაშიშვლდა. მერე გადაეხვია და მასთან ერთად საბნის ქვეშ შეძვრა. მერიონი ხუმრობას შეეცადა.

- როცა მეფე სოლომონი კვდებოდა, მასთან ქალწულები მიჰყავდათ, რათა თავიანთი სხეულებით გაეთბოთ.

- თუ ასეა, დიდად ვერ დაგეხმარები, - უთხრა კლოდიამ, აკოცა და მიეფერა. კაცს ტუჩები სასიამოვნოდ თბილი ჰქონდა. მისიკანის ცვილისებრი სიმშრალე სულაც არ იყო ამაზრზენი. როცა გაშიშვლდა, კლოდიამ გაიკვირვა, როგორი ჩია და ტანხმელი ყოფილაო და გაიფიქრა, მაინც როგორ ცვლის ადამიანს სამიათასდოლარიანი კოსტიუმიო! ჩია ტანზე მერიონს დიდი თავი ება, მაგრამ კლოდიას არც ამის გამო განუცდია იმედგაცრუება. უფრო გულაჩუყებული დარჩა. ათწუთიანი კოცნისა და მოფერების შემდეგ (ყოვლისშემძლე მერიონი პატარა ბიჭივით მორცხვად კოცნაობდა) ორივე დარწმუნდა, რომ მამაკაცი სქესობრივად სრულიად უძლური იყო. მერიონმა გაიფიქრა, ცხოვრებაში ქალთან უკანასკნელად ვწევარო, ამოიოხრა და კლოდიას მკლავებში განცხრომას მიეცა.

- მაშ, კარგი, ელი, - უთხრა კლოდიამ, - ახლა აგიხსნი, თუ რატომაა შენი ფილმი უვარგისი ფინანსური გაგებითაც და მხატვრული გაგებითაც. - კაცის ნაზად მოფერება არ შეუწყვეტია, ისე ჩამოაყალიბა, ზუსტად და ამომწურავად, საკუთარი შეხედულება. - ეს უბრალოდ ცუდი ფილმი როდია: მისი ყურება შეუძლებელია. სიუჟეტი სრულიად უშინაარსოა. ამის ნაცვლად, ვიღაც ბრიყვი რეჟისორი სლაიდშოუს გვიჩვენებს და ამ ყველაფერს ამბის თხრობას უწოდებს. მსახიობებიც

უაზროდ მიდი-მოდიან, რადგანაც ესმით, რომ უნიჭობის ზარ-ზეიმში მონაწილეობენ.

მერიონი თბილი ღიმილით უგდებდა ყურს. თავს ძალზე მყუდროდ გრძნობდა. იცოდა, რომ მისი ცხოვრების მნიშვნელოვნი ეტაპი დასრულდა, მაგრამ დამამცირებლად სულაც არ მიაჩნდა ის, რომ ქალთან ვეღარასოდეს დაწვებოდა. იცოდა, რომ კლოდია ამ ღამის შესახებ არავის მოუყვებოდა, და რომც ეთქვა, ამით რა დაშავდებოდა? ძალაუფლებას მაინც ვერავინ წაართმევდა. ვიდრე ცოცხალი იყო, ათასობით ადამიანი სიხარულით გაუცვლიდა საკუთარ ხვედრს. ფილმის კლოდიასეული ანალიზით დაინტერესდა.

- შენ არ გესმის: მე შემიძლია დავუშვა ფილმის გადაღება, მაგრამ მისი ხარისხის გადამოწმება ჩემს კომპეტენციაში აღარ შედის. თუმცა, მართალი ხარ: ამ რეჟისორს აღარასოდეს ავიყვან. მართალია, უხარისხო პროდუქციის გამო მე ვზარალდები, მაგრამ მარცხი და კრიტიკა ნიჭიერ ადამიანებს ხვდება წილად. მე მუდამ ერთადერთ კითხვას ვსვამ: ფილმი მოგებას თუ მოიტანს? თუკი ამასთან ერთად, ხელოვნების ნიმუშიც გამოვა, ეს იღბლიანი დამთხვევა იქნება.

ამ საუბრისას მერიონი საწოლიდან ადგა და ჩაცმას შეუდგა. კლოდიას არ უყვარდა ჩაცმულ მამაკაცებთან საუბარი: ამ პირობებში ყველაფერი გაცილებით რთულდებოდა. რაოდენ საკვირველიც უნდა ყოფილიყო, მერიონი შიშველი უფრო საყვარლად ეჩვენებოდა: მისი ჩხირებივით ფეხები, გამხდარი ტანი, დიდი თავი ქალში გულაჩუყებასა და სიბრალულს აღძრავდა. უცნაური იყო ისიც, რომ მისი მოჩვარული

ასო ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა მამაკაცებისა ამავე მდგომარეობაში. გადაწყვიტა, თავისი ქირურგისთვის ეს შეკითხვა დაესვა: მართალი თუა, რომ რაც უფრო უსარგებლო ხდება ასო, მით უფრო მატულობს ზომაში?

შენიშნა, რომ მერიონს გულისპირისა და საკინძეების შეკვრა საოცრად ღლიდა. საწოლიდან წამოხტა და დაეხმარა.

მერიონი მის შიშველ სხეულს დააკვირდა. კლოდია ბევრ იმ ვარსკვლავთაგანს სჯობდა, ვისთანაც ის წოლილა, მაგრამ რაღაც ნაპერწკალი აკლდა, მასში გრძნობები რომ აღეძრა, ამიტომაც არც სინანულს განიცდიდა და არც სევდას.

კლოდია ჩაცმაში მიეხმარა, ჰალსტუხი გაუსწორა, თმაც თითებით გადაუვარცხნა. ფართომხრებიანი პიჯაკიც რომ ჩაიცვა, მერიონი ისევ თავისი ხილული ძალმოსილებით შეიმოსა. ქალმა აკოცა და უთხრა, ვისიამოვნეო.

მერიონი ისე დაჟინებით დააკვირდა, თითქოს თვალთმაქცობაში ამხელდა. უცებ მიხვდა, რომ ეს ახალგაზრდა ქალი გულწრფელი და ალალი იყო და გული დასწყდა, რომ სამყარო, რომელშიც ცხოვრება უწევდა, უსათუოდ შეცვლიდა. მერე თავისი სახელგანთქმული ლამაზი ღიმილით გაიბადრა და უთხრა:

- გემრიელად რომ დაგანაყრო, ის მაინც ხომ შემიძლია, - და მსახურს დაურეკა.

კლოდია მშიერი იყო. მადიანად მიირთვა წვნიანი, იხვის ხორცი ბოსტნეულის გარნირით, ბოლოს კი დიდი ფიალით მარწყვის ნაყინიც

მიაყოლა. მერიონს თითქმის არაფერი უჭამია, მაგრამ ქალს ღვინის ბოთლის გამოცლაში კი წაეხმარა. ფილმებსა და წიგნებზე ისაუბრეს და კლოდიამ გაოცებით აღმოაჩინა, რომ მერიონი მასზე ბევრად უფრო ნაკითხი ყოფილა.

- სიამოვნებით გავხდებოდი მწერალი, - თქვა მერიონმა, - ლიტერატურა მიყვარს და დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მაგრამ იცი, თითქმის არასოდეს შემხვედრია ისეთი მწერალი, პირადად რომ მომწონებოდა, თუნდაც მის წიგნებზე მაბოდებდეს. აი, თუნდაც ერნესტ ვეილი: მშვენიერ წიგნებს წერს, ცხოვრებაში კი ყოვლად აუტანელია. ვერ გამიგია, რატომაა ასე.

- იმიტომ, რომ მწერალი და მისი წიგნი ერთი და იგივე არ არის, - უთხრა კლოდიამ, - წიგნებში მწერლის მხოლოდ საუკეთესო თვისებებია კონცენტრირებული. ის უზარმაზარ კლდეს ჰგავს, რომელიც უნდა დაამსხვრიო, რათა ციცქნა ალმასი აღმოაჩინო.

- ერნესტ ვეილს იცნობ? - იკითხა მერიონმა. კლოდიამ დაუფასა ის, რომ მის კილოს უხამსი ელფერი არ დაჰკრავდა, - არადა, იცოდა, რომ კლოდიას ვეილთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. - როგორც მწერალი მომწონს, ადამიანს კი ვერაფერი გავუგე. ჩვენი სტუდიის მიმართაც რაღაცავადმყოფური პრეტენზიები აქვს.

კლოდიამ ხელზე ხელი მოუთათუნა - რაკი ერთმანეთი შიშვლად ნახეს, ამგვარი ფამილარობა მათ შორის უკვე დასაშვები იყო.

- ყველა ნიჭიერი ადამიანი რაღაცას ემდურის სტუდიას, - უთხრა მან მერიონს, - ამაში პირადული არაფერია. თანაც, საქმეში არცთუ

უწყინარი ვინმე ბრძანდები. მგონი, ამ ქალაქში ერთადერთი მწერალი ვარ, ვისაც გულით უყვარხარ.

ორივეს გაეცინა.

დამშვიდობებისას მერიონმა უთხრა:

- როცა კი რაიმე პრობლემა შეგექმნება, მაშინვე დამირეკე, - ეს უსიტყვო მინიშნება იყო იმისა, რომ კლოდიასთან ინტიმური ურთიერთობის გაგრძელება აღარ სურდა.

ქალი, ცხადია, მიუხვდა.

- შენი შემოთავაზებით არასოდეს ვისარგებლებ. შენ კი, როცა კი სცენართან დაკავშირებული პრობლემა გექნება, დამირეკე. რჩევას უფასოდ მოგცემ, მაგრამ თუ წერა მომიხდა, ჰონორარს მოგთხოვ, - ამით იმის თქმა სურდა, რომ პროფესიულ დონეზე ის მერიონისთვის ბევრად უფრო საჭირო იყო, ვიდრე - პირიქით. ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ მერიონი მაინც დარწმუნდა, რომ კლოდიას საკუთარი ნიჭის სწამდა. ერთმანეთს მეგობრებად დაშორდნენ.

ოკეანის სანაპიროს გზატკეცილზე არც ისე დიდი მოძრაობა იყო. მარცხენა მხარეს კლოდია პლაჟს ხედავდა და უკვირდა, რა ცოტა ხალხი მოჩანდა. ლონგ-აილენდზე, სადაც ის ბავშვობაში ისვენებდა ხოლმე, ბევრად მეტი იყო. თავს ზემოთ დელტაპლანები დაფრინავდა, რომლებიც დროდადრო პლაჟზე ეშვებოდა. გზის მარჯვენა მხარეს ხალხმრავლობა შენიშნა, იქვე კამერები და აპარატურით დავტირთული ავტომობილი იდგა. ვიღაც ფილმს იღებდა. როგორ უყვარდა ოკეანის სანაპიროს გზატკეცილი! ერნესტ ვეილს კი ის

სასტიკად სძულდა. ხშირად ამბობდა, გზატკეცილზე მგზავრობა იგივეა, რაც ჯოჯოხეთისკენ მიმავალ ბორანზე ყოფნაო... P SEP

კლოდია დე-ლენა ვეილს პირველად მაშინ შეხვდა, როცა მისი ბესტსელერის ეკრანიზაციისთვის სცენარზე სამუშაოდ მიიწვიეს. ვეილის ნაწარმოებები ქალს ძლიერ ხიბლავდა: მისი წინადადებები მუსიკალური ნოტებივით ჰარმონიულად ერწყმოდა ერთიმეორეს. მას შესანიშნავად ესმოდა ცხოვრება და ადამიანთა ტრაგედიები. სიუჟეტის გამოგონების ნიჭი კლოდიას ისევე აჯადოებდა, როგორც ბავშვობაში ზღაპრები. ამიტომაც მასთან შეხვედრას აღელვებით მოელოდა. მაგრამ რეალური ვეილი თავისი წიგნებისგან სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. P SEP

ვეილი მაშინ ორმოცს გადაცილებული კაცი იყო. მის ტანს ნამდვილად აკლდა მისი პროზის მოხდენილობა. მელოტი კინკრიხოს დამალვას არც კი ცდილობდა. შესაძლოა, თავისი წიგნების პერსონაჟები ძალზე უყვარდა, მაგრამ ამ ცხოვრების სრულებით არაფერი გაეგებოდა. ამის გამო ბავშვივით დაუცველი და გულუბრყვილო ჩანდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლოდიამ კარგად გაიცნო, ამ ადამიანის არაორდინარულ ჭკუას ჩასწვდა და მასთან ურთიერთობისგან სიამოვნებასაც იღებდა. ვეილი ზოგჯერ ბავშვივით გაუცნობიერებლად ავლენდა ჭკუას და ბავშვური ეგოიზმითაც გამოირჩეოდა. P SEP

იმ დღეს, პოლოს პავილიონში გამართულ საუზმეზე ვეილი მსოფლიოში უბედნიერესი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავისი

წიგნებით მან კრიტიკოსთა აღიარება და საკმაოდ სოლიდური, თუმცა არა უსაზღვრო სიმდიდრე მოიპოვა. მისი უკანასკნელი წიგნი კი ბესტსელერი გახდა და ამჟამად „ლოდსტოუნი“ მის ეკრანიზაციასაც იღებდა. ვეილმა სცენარი თვითონ დაწერა და სწორედ ახლა ბობი ბენცი და სკიპი დირი ეუბნებოდნენ, სცენარი არაჩვეულებრივიაო. კლოდიამ გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ ვეილი ამ შექებას დამწყები ვარსკვლავივით კეკლუცად იფერებდა. ნეტავ, მისი აზრით, კლოდია ამ წვეულებაზე რას აკეთებდა? კიდევ უფრო მეტად, ბენცისა და დირის სიტყვებმა განაცვიფრა, ვისგანაც წინადღეს მოისმინა, ეს სცენარი ნაგავიაო. ეს არც მიკერძოებული ნათქვამი იყო, არც მაინცდამაინც უხეში: „ნაგავი“ უბრალოდ ისეთ რამეს ნიშნავდა, რაც საქმეს არ წაადგებოდა.

კლოდია ვეილის შეუხედაობას არ დაუფრთხია, რაკი სულ ცოტა ხნის წინ თვითონაც შეუხედავი იყო, ვიდრე ქირურგის დანა სილამაზეს აჩუქებდა. მწერლის გულუბრყვილობითა და ენთუზიაზმით მოიხიბლა კიდეც.

- ერნესტ, კლოდია იმისთვის მოვიწვიეთ, რომ დაგეხმაროს, - უთხრა ბენცმა მწერალს, - ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტია და სცენარს ნამდვილ ფილმად აქცევს. ვგრძნობ, ამ პროექტს დიდი წარმატება ერგება. დაიხსომე, ქსელიდან აღებული შემოსავლის ათი პროცენტი შენია.

კლოდიამ დაინახა, მიამიტი მწერალი მაშინვე როგორ წამოეგო ანკესს: აზრადაც არ მოსვლია, რომ ქსელის შემოსავლის ათი

პროცენტი იგივე იყო, რაც ნულის ათი პროცენტი.

სცენარზე მუშაობისას ვეილი კლოდიას დახმარებისთვის გულწრფელად ემადლიერებოდა.

- მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ, - ამბობდა მწერალი, - სცენარის წერა წიგნის წერაზე ბევრად უფრო სახალისოა, ჩემთვის კი ჯერ კიდევ უცხო ხილია.

- ერნესტ, შენ თანდაყოლილი ნიჭი გაქვს, - აგულიანებდა სკიპი დირი, - ეს ფილმი გაგამდიდრებს. მით უმეტეს, თუ წარმატებული აღმოჩნდა და კინოაკადემიის პრიზიც აიღო.

კლოდია სამივე მამაკაცს აკვირდებოდა. ორი გაქნილი და ერთი შტერი - არცთუ ისე იშვიათი კომბინაცია იყო ჰოლივუდში. თუმცა არც თვითონ აღმოჩნდა მაინცდამაინც ჭკვიანი: განა სკიპი დირმა ის ყველა გაგებით არ იხმარა? და, მიუხედავად ამისა, ახლაც აღფრთოვანებითშეჰყურებდა სკიპის, რომელიც, რაც უნდა ეთქვა, სრულიად გულწრფელი ჩანდა.

კლოდიამ იცოდა, რომ პროექტი უკვე ერთგვარ კრიზისში იყო და რომ შეუდარებელი ბენი სლაი მის ზურგს უკან ყველაფერს ცვლიდა: ვეილის მთავარი პერსონაჟი ჯეიმს ბონდის, შერლოკ ჰოლმსისა და კაზანოვას კლიშეების ქვეშ მოაქცია, რათა მაყურებელთა მასებისთვის უფრო გასაგები გაეხადა. მაგრამ ეს ვეილის მწერლური ჩანაფიქრის სრულ გაცამტვერებას ნიშნავდა.

კლოდია სწორედ სიბრალულის გამო დათანხმდა ვეილს, იმ საღამოს ერთად ესადილათ და სცენარზე შემდგომი მუშაობის შესახებ

ესაუბრათ. თანამშრომლობის უპირველესი წესი ის გახლდათ, რომ მის ფარგლებში ყოველგვარი რომანტიკული ურთიერთობა უნდა გამორიცხულიყო. ეს წერაში ხელს უშლიდა. ამიტომაც სამუშაო შეხვედრებისთვის რაც შეიძლება უღიმღამოდ გამოეწყობოდა ხოლმე.

მისთვის სრულიად მოულოდნელად მოხდა ისე, რომ მათ შორის თანამშრომლობა ხანგრძლივ სასიყვარულო კავშირში გადაიზარდა. როცა ორივენი ერთი და იმავე დღეს პროექტიდან გააგდეს, ვეგასში ერთად გაემგზავრნენ. კლოდიას აზარტული თამაშები უყვარდა და ვეილსაც იგივე გატაცება ჰქონია. იქ კლოდიამ თავისი ძმა კროსი გააცნო და, მისდა გასაოცრად, მათ ერთმანეთს საუცხოოდ გაუგეს, თუმცა თითქოს მათი დამეგობრებისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ვეილი ხომ ინტელექტუალი იყო, რომელსაც არც გოლფი, არც სპორტის სხვა რაიმე სახეობა არ აინტერესებდა. კროსს კი უკვე მრავალი წელი წიგნი არ წაეკითხა. კლოდიამ ამის შესახებ ერნესტს ჰკითხა.

- ის მსმენელია, მე კი - მოსაუბრე, - მარტივად აუხსნა ვეილმა. კლოდია ამ ახსნამ არ დააკმაყოფილა.

კროსს ჰკითხა, რომელიც, თუმცა ღვიძლი ძმა იყო, მისთვის სხვა ადამიანებზე ბევრად უფრო იდუმალი ეჩვენებოდა. კროსი დაფიქრდა, ბოლოს თქვა:

- მასთან ფხიზლად ყოფნა არ მიწევს. ვიცი, რომ არაფერი უნდა, - როგორც კი ეს თქვა, კლოდია მიხვდა, რომ კროსი მართალი იყო.

მისი სიტყვები საოცარ გამოცხადებად ეჩვენა: ერნესტ ვეილი, მისდა საუბედუროდ, საიდუმლო ზრახვებისა და ანგარებისგან თავისუფალი ადამიანი იყო.

ერნესტ ვეილთან კავშირი კლოდიას სხვა სასიყვარულო ურთიერთობებს არ ჰგავდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ცნობილი მწერალი იყო, ვეილს ჰოლივუდში ავტორიტეტი არ ჰქონდა. არც საზოგადოებაში ურთიერთობის ნიჭით იყო დაჯილდოებული. პირიქით: ადამიანებში ანტიპათიას აღძრავდა. ჟურნალებში გამოქვეყნებული მისი წერილები მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემებს ეხებოდა და პოლიტიკურად მუდამ არაკორექტული იყო, თუმცა ავტორი რაღაცნაირად ახერხებდა საპირისპირო პოზიციების ადამიანთა გაღიზიანებას. ამერიკის დემოკრატიის პროცესს აკრიტიკებდა; როცა ფემინიზმზე წერდა, აცხადებდა, ქალები მანამ დარჩებიან მამაკაცებისგან ჩაგრულნი, ვიდრე ფიზიკურად მათ არ გაუტოლდებიანო და ფემინისტებს ქალებისთვის სამხედრო მომზადების ჯგუფების ჩამოყალიბებას ურჩევდა. რასობრივ პრობლემებთან დაკავშირებულ წერილში იმაზე მსჯელობდა, რომ შავკანიანებმა უმჯობესია, საკუთარ თავს „ფერადკანიანები“ უწოდონ, რადგან სიტყვა „შავი“ მრავალ უარყოფითად დატვირთულ გამოთქმაში იხმარება, მაგალითად: „შავი ფიქრები“, „შავბნელი ხასიათი“ და ა.შ. მისი თქმით, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ გამოთქმა „სადა შავი კაბა“, სადაც ეს სიტყვა ნეიტრალური შინაარსისაა.

საყოველთაო აღშფოთება აღძრა მისმა საბოლოო დასკვნამ, რომ

ხმელთაშუა ზღვისპირეთის ყველა ხალხს, ესპანელების, იტალიელებისა და ბერძნების ჩათვლით, „ფერადკანიანი“ უნდა ეწოდოს.

სოციალურ პრობლემებს როცა ეხებოდა, მსგავს აზრებს გამოთქვამდა: შეძლებული ადამიანები ბუნებრივად უნდა იყვნენ უმოწყალონი და აგრესიულნი, ღარიბებს კი სხვა არაფერი რჩებათ, თუ არა ის, რომ კრიმინალები გახდნენ, რადგან მდიდართა მიერ თავიანთი ფულის დასაცავად შექმნილი კანონების წინააღმდეგ ბრძოლა უწევთ. იმასაც წერდა, რომ ნებისმიერი ქველმოქმედება მხოლოდ აუცილებელი ქრთამია, რომლითაც მდიდარი ღარიბთა მოთაფვლასა და რევოლუციის შეკავებას ცდილობს. რელიგიის შესახებ წერდა, ის წამლის მსგავსად, მხოლოდ რეცეპტით გამოწერილი დოზით უნდა მიიღოო.

საუბედუროდ, ვერავინ ვერასოდეს ხვდებოდა, ავტორი ამ ყველაფერს ხუმრობით წერდა თუ - სერიოზულად. რომანებში მსგავს ექსცენტრიკულ მოსაზრებებს არ გამოთქვამდა, ასე რომ, ვერც აქედან გაიგებდა კაცი რამეს.

თუმცა, როცა ბესტსელერის სცენარად გადაკეთებაზე მუშაობდნენ, ის და კლოდია ძალზე დამეგობრდნენ. ვეილი კარგი მოწაფე იყო და კლოდიაც შეეგუა მის მწარე იუმორსა და სოციალური ვითარებით დაინტერესებას. მასში გაოცებას იწვევდა ის, რომ ვეილი ცხოვრებაში ფულს დაუდევრად ეპყრობოდა, აბსტრაქტულად მსჯელობისას კი მუდამ ძალზე სერიოზულად უდგებოდა. თანაც, სრულებით არ ესმოდა,

თუ რა იერარქია მოქმედებდა ზოგადად საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი - ჰოლივუდში. იმდენად კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, რომ კლოდიამ ვეილს თავისი რომანი უჩვენა. ესიამოვნა, როცა მწერალმა მეორე დღესვე წაუკითხა ის შენიშვნები, რომლებიც კითხვისას ჩამოუწერია.

კლოდიას რომანი საბოლოოდ იმის წყალობით გამოიცა, რომ, როგორც სცენარისტს, უკვე იცნობდნენ, და ასევე, მისი აგენტის, მილო სტიუარტის ძალისხმევის შედეგად. პრესამ თავშეკავებულად შეაქო. მიუხედავად ამისა, კლოდია კმაყოფილი იყო თავისი რომანით. არც გაყიდულა, არც მისი ეკრანიზაციის უფლებებით დაინტერესებულა ვინმე, მაგრამ მთავარი იყო, რომ გამოიცა. ერთი ეგზემპლარივეილს აჩუქა სამახსოვრო წარწერით: „ამერიკის უდიდეს ცოცხალ მწერალს“. ვერც ამან უშველა.

- ძალიან იღბლიანი გოგო ხარ, - უთხრა ვეილმა, - პროზაიკოსი არ ხარ, სცენარისტი ხარ და კარგ რომანს ვერასოდეს დაწერ, - მერე კი იქედნობის გარეშე, მშვიდად და ობიექტურად აუხსნა, რატომ იყო მისი რომანი უვარგისი: არც სტრუქტურა ჰქონდა, არც სიღრმე და კლოდიას ძლიერი მხარე - დიალოგიც ამ ფონზე აზრს მოკლებული და ჰაერში გამოკიდებული დარჩა. ეს უხეში ქირურგიული ჩარევასავით იყო, მაგრამ ისეთი არგუმენტებით გამაგრებული, რომ თვალის დახუჭვა შეუძლებელი იყო.

ბოლოს ვეილი შეეცადა, გულკეთილობა გამოეჩინა დ თქვა:

- თვრამეტი წლის ქალიშვილისთვის ეს ძალიან კარგი წიგნია.

ყველა ნაკლი, რაც ჩამოვთვალე, გამოცდილებით შეიძლება გამოსწორდეს, მაგრამ ერთ რამეს ვერასოდეს გამოასწორებ: შენი ინდივიდუალური ენა არ გაგაჩნია.

ამჯერად კლოდიამ ვეღარ მოითმინა, რადგან ზოგიერთმა კრიტიკოსმა სწორედ ლირიკული სტილის დახვეწილობა შეუქო.

- ახლა კი ცდები. თითოეულ წინადადებას საგანგებოდ ვხვეწდი. შენს წიგნებში ხომ ყველაზე მეტად ენის პოეტურობა მხიბლავს.

- გმადლობ, - გაუღიმა ვეილმა, - პოეტურობა ჩემი მიზანი არ ყოფილა. ჩემი ენა ბუნებრივად აღმოცენდა პერსონაჟების ემოციებიდან. შენი კი სრულიად ხელოვნური და ნაძალადევია.

კლოდიას ცრემლები წასკდა.

- ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს?! ასეთ გამანადგურებელ დასკვნას რატომ აკეთებ? რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

- ყური მიგდე, - კვლავ ღიმილით უთხრა ვეილმა, - თუ ძალიან მოინდომებ, წიგნებსაც დაწერ და გამოსცემ კიდეც, მაგრამ შიმშილით სული ამოგხდება. რად გინდა ასეთი ხვედრი, თუკი გენიოს სცენარისტად ხარ დაბადებული?! რაც შეეხება ჩემს დარწმუნებას: ეს ცხოვრების ერთადერთი სფეროა, რომელშიც ბოლომდე ვერკვევი. თუ გგონია, ვცდები?

- არ ცდები. უბრალოდ, სადისტი, ნაბიჭვარი ხარ!

- ძალზე ნიჭიერი ხარ, - დაჟინებით უთხრა ვეილმა, - დიალოგის ნამდვილი ოსტატი ხარ, სიუჟეტის საოცარი ალღო გაქვს. ფილმებში არაჩვეულებრივად ერკვევი. ვერ გამიგია, რად გინდა უცხო სფეროში

შეგირდობა, თუკი შენს სფეროში შეგიძლია, დიდოსტატი გახდე! შენი სფერო კინოა და არა - პროზა.

- ვერც კი წარმოიდგენ, რამხელა შეურაცხყოფას მაყენებ, - ძლივსღა წარმოთქვა სახტად დარჩენილმა კლოდიამ.

- ასეა, მაგრამ ამას შენთვის ვაკეთებ.

- ვერ წარმოვიდგენ, რომ სწორედ ის ადამიანი ხარ, ვინც შენი შესანიშნავი წიგნები დაწერა. ამას ვერავინ დაიჯერებს, ვინც კი პირადად გაგიცნობს.

- მართალი ხარ, - ჩაიცინა ნასიამოვნებმა ვეილმა, - განა ეს შესანიშნავი არ არის?!

მომდევნო კვირის განმავლობაში ვეილი კლოდიას ცივად ეპყრობოდა, რადგან ვარაუდობდა, რომ მათი მეგობრობა ამით დასრულდა. ბოლოს კლოდიამ უთხრა:

- ერნესტ, ასეთი დაძაბული ნუ ხარ. უკვე გაპატიე. უფრო მეტიც: მგონი, მართალი ხარ. მაგრამ ასეთი სიტლანქე რა საჭირო იყო? ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ჩვეულებრივ მამაკაცურ ძალადობასთან მაქვს საქმე: ჯერ განგებ დამამცირებდი, მერე კი საწოლში შემათრევდი. მაგრამ საამისოდ მეტისმეტად სუსტი ხარ. გთხოვ, შემდგომში მწარე წამალი ოდნავ მაინც დაატკბე.

- ეს ერთადერთი რამ შემრჩენია, - მხრები აიჩეჩა ვეილმა, - თუკი ამ საქმეში გულწრფელი არ ვიქნები, მაშ, რაღა დამრჩენია? თანაც, ტლანქად იმიტომ გელაპარაკე, რომ მართლა გულით მიყვარხარ. შენ გამორჩეული ადამიანი ხარ.

კლოდია ჩაფიქრდა.

- იცი, ამ ნათქვამშიც არის რაღაც შეურაცხმყოფელი. იმის თქმა გინდა, რომ ჩლუნგი ვარ და ჩემი გრძნობების დაზოგვა არ ღირს?

- მაშინ გამოდის, რაკი მელანქოლიისკენ მაქვს მიდრეკილება, შენზე უფრო მგრძნობიარე ვარ? - არ დაიბნა ვეილი.

ორივეს გაეცინა. ბოლოს კლოდია გადაეხვია და უთხრა:

- გულწრფელობისთვის გმადლობ.

- მეტისმეტად თავდაჯერებული ნუ იქნები, - ურჩია ვეილმა, - დედაჩემი იტყოდა ხოლმე: ცხოვრება ყუმბარებით სავსე კოლოფია და არავინ იცის, სად და რა მომენტში აფეთქდებაო.

- ღმერთო ჩემო, - გაეცინა კლოდიას, - ყოველთვის ასეთ საბედისწერო რამეებს რატომ ამბობ?! შენგან სცენარისტი რომ არ გამოვა, ამას თუნდაც ეს ბოლო ფრაზა ცხადყოფს.

- მაგრამ ასე უფრო რეალისტური არ გამოდის? - შეეკამათა ვეილი.

ვიდრე სცენარზე ერთობლივ მუშაობას დაასრულებდნენ, კლოდიას ძალისხმევით, საქმე საწოლამდეც მივიდა. უკვე იმდენად დიდ სიმპათიას განიცდიდა ამ მამაკაცისადმი, რომ დრო იყო, ის შიშველი ენახა და მასთან ბოლომდე გულწრფელი საუბარი ჰქონოდა.

ვეილი მგზნებარე საყვარელი აღმოჩნდა, თუმცა გამოცდილება აკლდა. თანაც, სხვა მამაკაცებთან შედარებით, უფრო მადლიერი იყო. ყველაზე კარგი კი ის იყო, რომ სექსის შემდეგ საუბარი უყვარდა, სიშიშვლე მიუკერძოებელ განსჯაში ხელს არ უშლიდა. გაშიშვლებული,

მაიმუნის სხეულის მოქნილობას იჩენდა და ასევე მაიმუნივით ბალნიანი იყო: მკერდიც და ზურგიც ხშირი თმით ჰქონდადაფარული. კლოდიას შიშველ სხეულსაც მაიმუნის სიხარბით ეწაფებოდა. კლოდია მისმა გაუმაძღრობამ გაახალისა. მანამდეც აცნობიერებდა, რომ სექსს უეჭველად ახლდა კომიკური მომენტები. ისიც ახალისებდა, რომ ვეილი მსოფლიოში ცნობილი მწერალი იყო, რომ მანამდე არაერთხელ უნახავს ტელევიზორში და მუდამ ლიტერატურული სნობის შთაბეჭდილებას უტოვებდა, ბევრს ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, პირში მუდამ ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი, თუმცა იშვითად ექაჩებოდა, და ქურთუკის იდაყვებზე დაკერებული ტყავით ტიპური მწერლის კარიკატურას ჰგავდა. მაგრამ კლოდიას ის საწოლში ბევრად უფრო ეფექტურად მიაჩნდა, ვიდრე ტელეეკრანზე.

სიყვარულზე ან „სერიოზულ ურთიერთობებზე“ არასოდეს უსაუბრიათ. კლოდიას ეს არ სჭირდებოდა, ვეილი კი მსგავს ტერმინებს მხოლოდ აბსტრაქტულად აღიქვამდა. იმაზე შეთანხმდნენ, რომ მწერლური პროფესიის გარდა, არაფერი ჰქონდათ საერთო, ეს კი ოჯახის შესაქმნელად ყველაზე უფრო შეუფერებელ საფუძველს წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ ვეილი ოცდაათი წლით უფროსი იყო.

კლოდიას უყვარდა ვეილთან კინოს საკითხებზე კამათი. მწერალი ამბობდა, - მოძრავ სურათებს ხელოვნებად ვერ ჩავთვლი, ეს ისეთივე პრიმიტიული რამაა, რაც გამოქვაბულის მხატვრობაო. ფილმს ენა არ გააჩნია და, რაკი ცივილიზაცია ენის შექმნის ხარჯზე განვითარდა,

კინო უკან დაბრუნებად მიაჩნდა.

- თუ ასეა, მაშინ მხატვრობა ხელოვნება არ ყოფილა, - ეკამათებოდა კლოდია, - არც ბეთჰოვენი, არც მიქელანჯელო ხელოვანები არ ყოფილან. რა სისულელეებს ლაპარაკობ?! - მერე კი ერთბაშად მიხვდა, რომ ვეილი ეხუმრებოდა. მისი გაღიზიანება უყვარდა, თუმცა წინდახედულობას იჩენდა და ამას მხოლოდ სექსის შემდეგ სჩადიოდა.

იმ დროისთვის, როცა ორივენი დაითხოვეს, უკვე ძალზე იყვნენ დამეგობრებული. ნიუ-იორკში გამგზავრებამდე ვეილმა კლოდიას სხვადასხვა ფერის ოთხი თვლით გაწყობილი პაწაწინა ბეჭედი აჩუქა. მეტისმეტად ძვირად ღირებული არ ჩანდა, მაგრამ ძალზე ძველი ნაკეთობა იყო და მის მოძებნას ვეილმა ბევრი დრო მოანდომა. ამის შემდეგ კლოდიას ის არ მოუხსნია და ერთგვარ იღბლიან თილისმად თვლიდა.

მაგრამ როგორც კი ნიუ-იორკში დაბრუნდა, მათი სასიყვარულო კავშირი დასრულდა. როცა კი ვეილი ლოს-ანჯელესში ბრუნდებოდა, კლოდიას ყოველთვის ვიღაც სხვა ჰყავდა. ვეილი მიხვდა, რომ მათი სექსი უფრო მეგობრობა იყო, ვიდრე - ვნება.

მათი ურთიერთობის მოსაგონებლად კლოდიამ ვეილი ჰოლივუდური თავისებურებების შესახებ ინფორმაციით დაასაჩუქრა. აუხსნა, რომ მათ მიერ დაწერილ სცენარზე ახლა ლეგენდარული ბენი სლაი მუშაობდა, რომელიც სცენარების გადაკეთებისთვის კინოაკადემიის საგანგებო პრიზზეც კი წარადგინეს. სლაის

სპეციალიზაცია არაკომერციული კინოპროექტების მრავალმილიონიან ბლოგბასტერებად გადაკეთება გახლდათ. კლოდიას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის ვეილის წიგნს ისეთ ფილმად აქცევდა, ვეილს რომ საშინლად არ მოეწონებოდა, მოგებას კი ბევრს მოიტანდა.

- ეს არ მადარდებს, - უპასუხა ვეილმა, - ქსელის ათი პროცენტი ჩემია.

- ქსელის?! - შეჰყვირა კლოდიამ, - შენ რა, ძველ კუპიურებს აგროვებ? დამიჯერე, ერთ დოლარსაც კი არ გაღირსებენ. „ლოდსტოუნი“ ფულის გაქრობის ოსტატია. ყური დამიგდე: ხუთი ფილმიდან მქონდა ქსელის პროცენტი და არც ერთიდან არაფერი მღირსებია.

ვეილმა კვლავ გულგრილად აიჩეჩა მხრები, რის ფონზეც მისი შემდგომი საქციელი მით უფრო გასაკვირად მოგეჩვენებოდათ.

მომდევნო სასიყვარულო ურთიერთობამ კლოდიას ერნესტის სიტყვები მოაგონა, ცხოვრება ყუმბარებით სავსე ყუთიაო. სრულიად მოულოდნელად და თავშეუკავებლად შეუყვარდა ისეთი მამაკაცი, რომელიც ნებისმიერ ქალს შეუყვარდებოდა.

ამგვარი ძლიერი მამრების მოხიბვლით კლოდია თავმოყვარეობას იკმაყოფილებდა, მაგრამ ისინი ისეთნაირად ეპყრობოდნენ, რომ სასიანოვნო განცდა მალევე უქრებოდა.

მასზე სულ ორიოდე წლით უფროსი რეჟისორი უკვე რამდენიმე წარმატებული და მოგებიანი ფილმის ავტორი იყო. ნებისმიერი სტუდია

მასთან თანამშრომლობას ისურვებდა. „ლოდსტოუნმა“ მასთან სამ ფილმზე გააფორმა კონტრაქტი, სცენარების დამუშავება კი კლოდიას მიანდო.

რეჟისორის წარმატების ერთ-ერთი წინა პირობა ის იყო, რომ მუდამ ზუსტად იცოდა, რა სურდა. კლოდიას მიმართ თავიდან მედიდურად განეწყო, რაკი ქალი იყო და თანაც მწერალი, რაც ჰოლივუდის საზომით, ორმაგად დაქვემდებარებულ მდგომარეობას გულისხმობდა. გამუდმებით კამათობდნენ.

მან კლოდიას ისეთი სცენის დაწერა სთხოვა, რომელიც ფილმის სტრუქტურას არ ეწყობოდა. თუმცა ეფექტური იქნებოდა და უსათუოდ რეჟისორის ოსტატობას წარმოაჩენდა.

- ამ სცენას ვერ დავწერ, - მოუჭრა ქალმა, - ის სიუჟეტს არაფერს არგებს. მხოლოდ ექშენი და სანახაობაა.

- კინოც სწორედ ესაა, - თავშეკავებულად უპასუხა რეჟისორმა, - ისე გააკეთეთ, როგორც გითხარით.

- არც ჩემი და არც თქვენი დროის ტყუილად დაკარგვა არ მსურს, - უპასუხა კლოდიამ, - წადით და თვითონ გადაიღეთ თქვენი ბრყივული სანახაობა.

რეჟისორს გაბრაზებისთვისაც კი არ დაუკარგავს დრო, მშვიდად უთხრა:

- დღეიდან ამ ფილმზე აღარ მუშაობთ, - და ტაში შემოჰკრა.

მაგრამ სკიპი დირმა და ბობი ბენცმა ისინი ერთმანეთს შეარიგეს, რაც მხოლოდ იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ

რეჟისორიქალის სიჯიუტემ დააინტრიგა. ფილმი წარმატებული გამოვიდა და კლოდია იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ეს უფრო რეჟისორის ნიჭმა განაპირობა, ვიდრე მისმა წერის მანერამ. მან უბრალოდ რეჟისორის ჩანაფიქრი წინასწარ ვერ განჭვრიტა. საწოლში ერთად თითქმის შემთხვევით აღმოჩნდნენ, მაგრამ რეჟისორმა იმედი გაუცრუა: გაშიშვლება არ მოინდომა, სექსის დროს პერანგი არ გაუხდია. მიუხედავად ამისა, კლოდია მასთან ერთად ფილმების კეთებაზე ოცნებობდა. რეჟისორისა და სცენარისტის არნახულად წარმატებული დუეტი! თანახმა იყო უკანა პლანზე ყოფილიყო, მზად იყო, მამაკაცის ნიჭიერებისთვის ემსახურა. ერთად დიდ ფილმებს გადაიღებდნენ და ლეგენდას შექმნიდნენ. მათი ურთიერთობა ერთ თვეს გაგრძელდა, ვიდრე კლოდია „მესალინას“ სცენარის პირველ ვარიანტს დაასრულებდა და რეჟისორს უჩვენებდა. მან სცენარი წაიკითხა და შორს მოისრილა:

- ძუძუებითა და დუნდულებით დახუნძლული ფემინისტური სისულელე, - გამოცრა მან, - ჭკვიანი გოგო ხარ, მაგრამ ეს ის ფილმი არ არის, რომელსაც სიამოვნებით მივუძღვნიდი ჩემი ცხოვრების ერთ წელიწადს.

- ეს მხოლოდ პირველი მონახაზია, - უთხრა კლოდიამ.

- ღმერთო, როგორ ვერ ვიტან, როდესაც ადამიანები ფილმის გადასაღებად პირად ურთიერთობას იყენებენ!

კლოდიას მთელი სიყვარული ერთბაშად გაუქრა. გაცხარებულმა შეჰყვირა:

- ფილმის გადასაღებად შენთან ჟიმაობა სულაც არ მჭირდება!

- ცხადია, არა, - მიუგო რეჟისორმა, - არც ნიჭი გაკლია და არც რეპუტაცია. კინობიზნესში ყველამ იცის, რა ბოზანდარაც ხარ!

კლოდია შეცბა. საკუთარ სექსუალურ პარტნიორებზე არასოდეს უჭორავია. მამაკაცის კილო შეურაცხმყოფლად ეჩვენა: თითქოს ერთი და იგივე ქმედება ქალისთვის სამარცხვინო ყოფილიყო, მამაკაცისთვის კი - არა.

- შენც ნიჭიერი ხარ, მაგრამ იმ მამაკაცს, რომელიც ქალთან საწოლში პერანგს არ იხდის, ბევრად უარესი რეპუტაცია აქვს. შენგან განსხვავებით, საწოლის იმედით არავის დავპირებივარ თანამშრომლობას.

მათი ურთიერთობა ამით დასრულდა. კლოდიამ თავისი სცენარისთვის შესაფერის რეჟისორად დიტა ტომი შეარჩია. ასეთ სიუჟეტს მხოლოდ ქალი თუ გაართმევდა თავს.

ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო, ფიქრობდა კლოდია იმ რეჟისორზე: საწოლში არასოდეს გაშიშვლებულა და არც სექსის შემდეგ საუბარი უყვარდა. კინოში ნამდვილი გენიოსია, მაგრამ ლაპარაკი არ შეუძლია. მხოლოდ კინოსთან დაკავშირებით თუ იტყოდა რაიმე საინტერესოს. როგორც მამაკაცი, საოცრად მოსაწყენია.

კლოდია სანაპირო გზატკეცილის დიდ მოსახვევს უახლოვდებოდა, საიდანაც ოკეანე ვეება სარკესავით ირეკლავდა გზის მარჯვენა მხარეს აღმართულ კლდეებს. ეს ადგილი კლოდიას მსოფლიოში ყველაზე მეტად უყვარდა: ბუნების ეს მშვენიერი სურათი მუდამ აღელვებდა.

აქედან მხოლოდ ათი წუთიღა რჩებოდა მალიბუს კოლონიამდე, სადაც ათენა ცხოვრობდა. კლოდიამ ის არგუმენტები მოამზადა, რომელსაც ფილმის გადასარჩენად და ათენას დასაბრუნებლად მოიშველიებდა. მოაგონდა, რომ სხვადასხვა პერიოდში ისინი ერთი და იმავე მამაკაცის საყვარლები იყვნენ და გული სიამაყით აევსო იმის გამო, რომ ათენას საყვარელს მისი შეყვარებაც შეეძლო.

მზე ახლა ძალზე კაშკაშად ანათებდა. ოკეანის ტალღებს ვეება ბრილიანტებივით აბდღვრიალებდა. ერთბაშად შეცბა, რადგან წამიერად მოეჩვენა, რომ ჰაერში მოფარფატე ერთ-ერთი პლანერი სადაცაა, მის მანქანას შეეჯახებოდა. პლანერზე მჯდომი გოგონაც დაინახა, რომელმაც ხელი დაუქნია და სანაპიროზე დაეშვა. ნეტავ, პოლიცია ამას რატომ არ კრძალავსო? - გაიფიქრა კლოდიამ. თავი გააქნია და ფეხი „გაზს“ მიაჭირა. აქ ნაკლები მოძრაობა იყო. მოსახვევში რომ შევიდა, ოკეანე თვალს მიეფარა, თუმცა ნახევარი მილის შემდეგ კვლავ გამოჩნდებოდა. ისევე, როგორც ნამდვილი სიყვარულიო, გაიფიქრა კლოდიამ. მის ცხოვრებაში გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ ჩნდებოდა ნამდვილი სიყვარული.

ნამდვილი სიყვარული რომ ეწვია, ეს მისთვის მტკივნეული, მაგრამ სასარგებლო გამოცდილება იყო. კლოდია არაფერში იყო დამნაშავე. მამაკაცი მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავი და ქალების კერპი სტივ სტოლინგზი იყო. დამაბრმავებელი მამაკაცური სილამაზის პატრონს ბუნებრივი ხიბლიც ჰქონდა და მუდამ ენერგიული და ხალისიანიც იყო, რასაც კოკაინის ხშირი ხმარებაც უწყობდა ხელს. მსახიობური ნიჭითაც

გამოირჩეოდა. ნამდვილი დონ ჟუანი იყო. სადაც კი მოხვდებოდა, ყველგან სასიყვარულო კავშირს აბამდა: აფრიკაში, ამერიკის დასავლეთში, ბომბეიში, სინგაპურში, ტოკიოში, ლონდონში, რომსა თუ პარიზში. ამას იმგვარად სჩადიოდა, თითქოს ღარიბებს მოწყალებას ურიგებსო. ურთიერთობის გაგრძელებას არასოდეს ფიქრობდა, ისევე, როგორც მათხოვარს არ იწვევენ ქველმოქმედის სახლში სადილად. კლოდიათი კი იმდენად მოიხიბლა, რომ მათი ურთიერთობა ოცდაშვიდ დღეს გაგრძელდა.

სიამოვნების მიუხედავად, კლოდიასთვის ეს დღეები დამამცირებელი აღმოჩნდა. კოკაინის წყალობით, სტოლინგზი დაუღალავი საყვარელი აღმოჩნდა. გაშიშვლება კი თვით კლოდიაზე უფრო მეტადაც კი უყვარდა. მით უმეტეს, რომ საუცხოო აღნაგობა ჰქონდა. კლოდიამ რამდენჯერმე შენიშნა, სარკის წინ ქალივით როგორ იწონებდა თავს.

კლოდიამ თავიდანვე იცოდა, რომ უუფლებო და დამცირებული იქნებოდა. პაემნის წინ კაცი მუდამ ურეკავდა და აფრთხილებდა, ერთი საათით დამაგვიანდებაო, და ნაცვლად ამისა, ექვსი საათით იგვიანებდა. ზოგჯერ სულაც არ მოდიოდა. კლოდია მისთვის მხოლოდ ღამისგათევის სარეზერვო საშუალება იყო. თანაც, სექსის დროს მუდამ აძალებდა, მასთან ერთად კოკაინით შეექცია თავი. ეს სასიამოვნო კი იყო, მაგრამ მომდევნო კვირის მანძილზე კლოდიას გონება ერეოდა, მუშაობა არ შეეძლო, ხოლო, თუ რაიმეს დაწერდა, ის არაფრად ვარგოდა. თვითონვე აცნობიერებდა, რომ ისეთ ადამიანად იქცა,

როგორიც ყველაზე მეტად ეზიზღებოდა: ქალად, რომლის მთელი ცხოვრება მამაკაცის ახირებებზეა დამოკიდებული. [P SEP]

დამამცირებლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ სტივისთვის მეოთხე თუ მეხუთე ხარისხის საყვარელი იყო. თუმცა ამ დამცირებაში მამაკაცს კი არა, საკუთარ თავს ადანაშაულებდა. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ უნდა დაუფასოს, რომ კარიერის მწვერვალზე მყოფ ვარსკვლავს ამერიკაში ლამის ნებისმიერი ქალის მოხელთება შეეძლო, მან კი კლოდია აირჩია. რომ დაბერდებოდა და თანდათან ყველას მიავიწყდებოდა, სულ უფრო მეტად შეჯდებოდა კოკაინზე. ცხადია, თავისი საუკეთესო წლები ყოველმხრივ უნდა გამოეყენებინა. კლოდია მწარედ იყო შეყვარებული და თავს ძალზე უბედურად გრძნობდა, რაც ცხოვრებაში იშვიათად ემართებოდა. [P SEP]

ჰოდა, ოცდამეშვიდე დღეს, როცა სტივმა დაურეკა, რათა ჩვეულებისამებრ გაეფრთხილებინა, დამაგვიანდებაო, კლოდიას ყველაფერი ყელში ამოუვიდა და უთხრა:[P SEP]

- ნუღარ შეწუხდები, სტივ, შენი ჰარამხანიდან მივდივარ.[P SEP]

ხანმოკლე პაუზის შემდეგ სტოლინგზმა ისეთი ხმით უპასუხა, ნათელი იყო - არც გაჰკვირვება, არც იმედგაცრუება უგრძნია:[P SEP]

- იმედი მაქვს, მეგობრებად დავრჩებით. შენთან ყოფნა ძალზე სასიამოვნო იყო. [P SEP]

- რა თქმა უნდა, - უპასუხა კლოდიამ და ყურმილი დაკიდა. ცხოვრებაში პირველად არ სურდა ყოფილ საყვარელთან მეგობრად დარჩენა. ყველაზე მეტად საკუთარმა გულუბრყვილობამ შეაშფოთა: ამ

კაცის საქციელი გამიზნულად მიანიშნებდა, რომ წასვლის დრო იყო, მას კი ამის მისახვედრად ძალზე ბევრი დრო დასჭირდა. ამან გაანადგურა. ასეთი ჩლუნგი როგორ აღმოჩნდა?! თავიდან ბევრი იტირა, მაგრამ ერთ კვირაში იგრძნო, რომ უსიყვარულობა შესანიშნავი ყოფილა. მისი დრო ისევ მთლიანად მას ეკუთვნოდა. შეეძლო, მშვიდად ემუშავა და კოკაინითა და სიყვარულით თავი აღარ გაებრუებინა. P SEP

მას მერე, რაც მისმა საყვარელმა, გენიალურმა რეჟისორმა სცენარი დაუწუნა, კლოდია ექვსი თვის მანძილზე თავაუღებლად შრომობდა მის გადაკეთებაზე. P SEP

„მესალინას“ სცენარი თავდაპირველად ფემინიზმის პროპაგანდით იყო გაჯერებული, მაგრამ კინობიზნესში ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ კლოდია დე-ლენამ უკვე იცოდა, რომ ნებისმიერი იდეა უფრო ძირეულ და საყოველთაოდ მისაღებ რაღაცებს უნდა ეფუძნებოდეს, ისეთებს, როგორებიცაა: სიხარბე, ვნება, მკვლელობა ან ჰუმანურობის რწმენა. ისიც იცოდა, რომ მთავარი როლის შემსრულებლის, ათენა ექვითეინის გარდა კიდევ, სულ ცოტა, სამი მეორეხარისხოვანი ვარსკვლავისთვის ძალზე კარგი როლების დაწერა მოუწევდა. ქალის კარგი როლი იმდენად ცოტა იყო, რომ სცენარი უსათუოდ მიიპყრობდა ცნობილი მსახიობების ყურადღებას. და რაც სრულიად აუცილებელი იყო: მთავარი ბოროტმოქმედი მამაკაცი - მომხიბლავი, უმოწყალო, ვაჟკაცური და ჭკვიანი. ამ პერსონაჟის შექმნისას საკუთარ მამას იხსენებდა. P SEP

თავიდან კლოდიას სურდა, სცენარით რომელიმე გავლენიანი პროდიუსერი ქალი დაეინტერესებინა, მაგრამ ყველა იმ სტუდიის ხელმძღვანელები, რომლებსაც შეეძლოთ, ფილმისთვის მწვანე სინათლე აენთოთ, მამაკაცები იყვნენ. ისინი შიშობდნენ, პროდიუსერი ქალისა და რეჟისორი ქალის ხელში ფილმი სულ მთლად პროპაგანდისტულ ნაწარმოებად არ გადაქცეულიყო. მათი აზრით, ავტორებს შორის ერთი მამაკაცი მაინც უნდა გამორეულიყო. რეჟისორს რაც შეეხებოდა, კლოდიას წინდაწინვე გადაეწყვიტა, ეს საქმე დიტა ტომისთვის შეეთავაზებინა.

ტომი, ცხადია, დათანხმდებოდა, რადგან ეს მაღალბიუჯეტიანი ფილმი იყო და თუკი ის წარმატებულად გავიდოდა, პირველი რანგის რეჟისორი გახდებოდა. წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი ასეთი ფილმი მის რეპუტაციას წაადგებოდა. წარუმატებელი მასშტაბური ფილმი ზოგჯერ რეჟისორის პრესტიჟს ბევრად უფრო მაღლა სწევდა, ვიდრე მცირემასშტაბიანი წარმატებული ფილმი.

მას ამ პროექტში ისიც იზიდავდა, რომ ქალები უყვარდა და ფილმზე მუშაობა ოთხ უმშვენიერეს კინოვარსკვლავ ქალთან დააახლოებდა.

კლოდიამ ტომი იმიტომ შეარჩია, რომ რამდენიმე წლის წინ უკვე იმუშავეს ფილმზე ერთად და მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ტომი ძალზე პირდაპირი, გონიერი და ნიჭიერი იყო. იმ რეჟისორთა რიგს არ მიეკუთვნებოდა, სცენარისტის ნაშრომში ქვას ქვაზე რომ არ ტოვებენ. არასოდეს იწვევდა დამატებით სცენარისტებს სცენარის გადასაკეთებლად და, მრავალი რეჟისორისგან განსხვავებით, არც

სექსუალური მოძალადე იყო. თუმცა „ძალადობა“ კინოს სფეროში უადგილო ტერმინიც კია, რადგან სექსუალობით ვაჭრობა ამ პროფესიის განუყოფელი ნაწილია.

კლოდიამ საგულდაგულოდ შეარჩია დღე და სკიპი დირს სცენარი პარასკევს გაუგზავნა, რადგან იცოდა - ის ახალ სცენარებს შაბათ-კვირას ეცნობოდა. სკიპი დირზე არჩევანი იმიტომ შეაჩერა, რომ მას, მიუხედავად არაერთგზის ღალატისა, მაინც საუკეთესო პროდიუსერად თვლიდა. გარდა ამისა, კლოდია ძველ ურთიერთობებს მეტწილად, სრულიად არ წყვეტდა. მისმა სტრატეგიამ გაამართლა. სკიპიმ კვირას დილით დაუკერა და სთხოვა, დღესვე მასთან სადილად მისულიყო.

კლოდიამ კომპიუტერი თავის „მერსედესში“ ჩადო და სამუშაოდ გამოეწყო: მამაკაცის ლურჯი პერანგი,გახეხილი ცისფერი ჯინსი და მსუბუქი „ბოტასი“ ჩაიცვა, უკან გადაწეული თმა წითელი შარფით შეიკრა.

სანტა-მონიკაში გზატკეცილზე გადაუხვია. ქალაქიდან სანაპირო გზატკეცილზე გასასვლელთან განლაგებულ პარკში სწორედ ამ დროს გროვდებოდნენ უსახლკარონი, ბაღის მერხებზე სხდებოდნენ და სოციალურ მუშაკებს ელოდებოდნენ, რომლებსაც მათთვის ყოველ კვირა დღეს სადილი მოჰქონდათ. კლოდიას უყვარდა აქ გავლა და ამ ადამიანებისთვის თვალის შევლება, უყვარდა საკუთარი თავისთვის იმის შეხსენება, რომ ბევრია ისეთი, ვისაც არც საკუთარი „მერსედესი“ ჰყავს, არც საკუთარი საცურაო აუზი აქვს და არც როდეო-დრაივზე დადის საყიდლებზე. წინათ თვითონაც მოხალისედ მუშაობდა და

პარკში საჭმელს არიგებდა, ახლა კი უბრალოდ ჩეკს უგზავნიდა იმ ეკლესიას, რომელიც უსახლკაროების კვებაზე ზრუნავდა. ერთი წრიდან სრულიად განსხვავებულ მეორე წრეში შესვლა მისთვის წლების შემდეგ ძალზე მტკივნეული გახდა და წარმატებისკენ სწრაფვაში უშლიდა ხელს. გული ეწურებოდა, ამ ჩამოკონკილ, უიმედო ადამიანებს რომ ხედავდა, რომელთა შორისაც ზოგს, უცნაური შემთხვევითობის ძალით, ღირსება შერჩენოდა. ასეთი უსასოო ცხოვრება თვითონ სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნდა, არადა, საქმე მხოლოდ ფულში იყო, რომელსაც სცენარების წერით ასე იოლად შოულობდა. რასაც ექვს თვეში იღებდა, იმაზე მეტი იყო, ვიდრე ამ ადამიანებს მთელი ცხორების განმავლობაში უნახავთ.

ბევერლი-ჰილზში სკიპი დირის აგარაკზე დიასახლისმა ის საცურაო აუზამდე მიაცილა, რომლის გარშემოც ცისფრად და ყვითლად შეღებილი კოტეჯები იდგა. სკიპი დირი ქვეშაგებიან შეზლონგში ჩაწოლილიყო. გვერდით, მარმარილოს პატარა მაგიდაზე, ტელეფონი და სცენარების დასტა ედო. სათვალე ეკეთა, რომელსაც მხოლოდ შინ ხმარობდა. ხელში დაორთქლილი წყლით სავსე ჭიქა ეჭირა. კლოდიას დანახვისთანავე ფეხზე წამოხტა და შეეგება.

- კლოდია! სასწრაფოდ საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ.

კლოდია ადამიანის კილოთი არჩევდა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ნაწერმა. ნელი, თავშეკავებული კილო გადაჭრით უარს ნიშნავდა. მხიარული, ხალისიანი ხმა იმის მაუწყებელი იყო, რომ სულ მალე იმის სამ მიზეზს მაინც დაუსახელებდნენ, თუ რატომ ვერ

ყიდდნენ მის სცენარს: ამავე თემაზე უკვე სხვა სტუდია მუშაობს, შესაფერის მსახიობებს ვერ მოიწვევენ ანდა რაიმე მსგავსი. დირის ხმა კი მტკიცედ და დამაჯერებლად ჟღერდა. ეს სიმტკიცე ფულს ემყარებოდა, რაც ერთმნიშვნელოვნად დადებით პასუხს ნიშნავდა.

- ამით დიდი, ძალიან დიდი ფილმის გაკეთება შეიძლება, - უთხრა მან კლოდიას, - ასეთი თემა აუცილებლად მასშტაბს მოითხოვს. ცხადია, მომიწევს, სტუდია საასპარეზოდ ფემინისტებს დავუთმო. მამაკაცის როლზე წამყვან ვარსკვლავს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავითანხმებთ, თუკი მას ოდნავ შეარბილებ და დადებით თვისებებს დაუმატებ. ვიცი, გსურს, ამ ფილმის თანაპროდიუსერი იყო, მაგრამ აქ მთავარი მე ვარ. მე და შენ შეგვიძლია, ყველაფერზე ვიმსჯელოთ, შენს აზრს გავითვალისწინებ.

- მსურს, ჩემი აზრები რეჟისორს გავუზიარო, - უთხრა კლოდიამ, - და სცენარის გაყიდვაზე მანამ არ დავთანხმდები, სანამ რეჟისორად ჩემს კანდიდატს მოიწონებთ.

- მაშ, კარგი. მოგიწევს, სტუდიაში განაცხადო, რომ რეჟისორობას თვითონ აპირებ, მერე კი უარი თქვა და ისეთ შვებასა და სიხარულს იგრძნობენ, რომ ყველაფერზე დაგთანხმდებიან. ვინ გინდა რეჟისორად?

- დიტა ტომი.

- კარგია, ჭკვიანურია, - მოუწონა სკიპიმ, - ის მსახიობ ქალებსაც უყვართ და სტუდიაშიც კარგი თვალით უყურებენ. ბიუჯეტში მუდამ ეტევა. ოღონდ, ვიდრე მას მოვიყვანთ, კასტინგი მე და შენ

მოვაწყოთ.

- სად აპირებ სცენარის მიტანას? - ჰკითხა კლოდიამ.

- „ლოდსტოუნში“. ჩემთან კარგი ურთიერთობა აქვთ და მსახიობებისა და რეჟისორის შერჩევაზე მათთან დიდი კამათი არ მომიწევს. კლოდია, შენ არაჩვეულებრივი სცენარი დაწერე. შინაარსიანია, ამაღელვებელი, ისტორიულ ჭრილში ფემინიზმს ეხება, ეს კი დღეს ძალზე აქტუალურია. ამას სექსიც ემატება. მესალინასთან ერთად ქალების მთელი მოდგმის გამართლებას ცდილობ. ჯერ მილოსა და მოლი ფლენდერსს შენი წილის თაობაზე დაველაპარაკები, ისინი კი „ლოდსტოუნის“ ფინანსურ განყოფილებასთან დაგაკავშირებენ.

- გამოტყდი, ნაბიჭვარო, სტუდიას უკვე ელაპარაკე, ხომ?

- წუხელ, - გაიბადრა სკიპი, - სცენარი საუკეთესოდ შევაფასე და მწვანე შუქი ამინთეს, თუკი ყველაფრის ორგანიზებას მოვაბავ თავს. ახლა კი ყური დამიგდე, კლოდია. ვიცი, რომ ათენა ამ პროექტზე უკვე დაითანხმე, ამიტომაც ხარ ასეთ დიდ გულზე. ეს ამბავი უკვე „ლოდსტოუნსაც“ ვუთხარი. მორჩა, საქმეს მივხედოთ.

ასე დაიწყო ეს დიდი პროექტი, რომლის მიტოვებასაც კლოდია ახლა ნამდვილად არ აპირებდა.

კლოდია გზაჯვარედინს მიადგა, საიდანაც გვერდითა ქუჩაზე უნდა შეეხვია და კოლონიისკენ აეღო გეზი. ახლაღა დაეუფლა პანიკის განცდა: ათენა ყველა ვარსკვლავზე უფრო თავნება იყო და არ გადათქვამდა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. კლოდიამ

გადაწყვიტა, თუ ათენა უარს ეტყოდა, ვეგასში გაფრენილიყო და დახმარება კროსისთვის ეთხოვა. კროსს მისთვის არასოდეს უღალატია: არც ბავშვობაში, არც მას მერე, რაც კლოდია დედას გაჰყვა,არც დედის სიკვდილის შემდეგ...

კლოდიას ლონგ-აილენდზე კლერიკუციოს რეზიდენციაში მოწყობილი დიდი წვეულებები ახსენდებოდა. თითქოს გრიმების ზრაპრებიდან გადმოსული დაბურული ბაღი, გარშემო - ქვის მაღალი გალავანი, ის და კროსი ლეღვის ხეების ჩრდილში თამაშობენ. დაახლოებით რვიდან თორმეტ წლამდე ბიჭები ორ მოწინააღმდეგე გუნდად დაყოფილიყვნენ. მოწინააღმდეგე გუნდს დანტე კლერიკუციო, დიდი დონის შვილიშვილი მეთაურობდა; თვითონ პაპა აივანზე გველეშაპივით გადმომდგარიყო და ბავშვებს დაჰყურებდა.

დანტე აგრესიული ბიჭი იყო, ჩხუბი უყვარდა და ბიჭებს შორის ერთადერთი იყო, ვინც კროსთან დაპირისპირებას ბედავდა. ამჯერად კროსი იმ მომენტში გამოჩნდა, როცა დანტე კლოდიას დაჩაგვრას ცდილობდა. კროსმა დანტეს ჩხუბი დაუწყო. კლოდიას ძმის სიმშვიდე და თავდაჯერებულობა ეცა თვალში, რითაც ის დანტეს მრისხანებას პასუხობდა. კროსმა ამ ბრძოლაში ადვილად გაიმარჯვა.

კლოდიას დედის არჩევანი არასოდეს ესმოდა: როგორ შეიძლებოდა, დედას მასზე მეტად კროსი არ ჰყვარებოდა? კროსი თავისზე ბევრად უფრო ღირსეულად მიაჩნდა. მან თავისი ღირსება იმითაც გამოავლინა, რომ მამასთან დარჩა. კლოდიამ დანამდვილებით იცოდა, რომ გულის სიღრმეში კროსს მასთან და

დედასთან ერთად წასვლა სურდა.

ოჯახის გაყოფის შემდეგ და-ძმა ერთმანეთს დროდადრო ხვდებოდა. წლები როცა გავიდა, კლოდია გარშემო მყოფთა სიტყვებისა თუ მიმიკის საფუძველზე მიხვდა, რომ მისმა ძმამ თანდათან მათი მამის მსგავსი ავტორიტეტი მოიპოვა. თვითონ კლოდიას დედასთან უწინდებურად თბილი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა ახლა მათ ერთმანეთთან თითქმის აღარაფერი აკავშირებდათ. კლოდია იმასაც მიხვდა, რომ კროსი კლერიკუციოს ოჯახის ნამდვილი წევრი იყო, თვითონ კი - არა.

ლოს-ანჯელესში კლოდიას გადაბარგებიდან მეორე წელს დედამისს, ნელინს ექიმებმა სიმსივნე დაუდგინეს. კროსი, რომელიც იმ დროს უკვე გრონეველტთან მუშაობდა, საკრამენტოში ჩამოვიდა და ორი კვირა მათთან ერთად დარჩა. კროსმა დედას ექთანები, მზარეული და დიასახლისი დაუქირავა. განქორწინების შემდეგ შვილები პირველად ცხოვრობდნენ დედასთან ერთად. ნელინმა პიპის ჩამოსვლა აუკრძალა.

სიმსივნის გამო ნელინს მხედველობა დაუქვეითდა და კლოდია გამუდმებით უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს. კროსი მაღაზიებში საყიდლებზე დადიოდა. ზოგჯერ ვეგასში უწევდა ჩაფრენა სასწრაფო საქმეზე, მაგრამ ვახშმამდე ყოველთვის უკან ბრუნდებოდა.

ღამით და-ძმა რიგრიგობით მორიგეობდა დედის საწოლთან, ხელზე ეფერებოდნენ და ანუგეშებდნენ. თუმცა წამლების გავლენის

ქვეშ იყო, დედაც მუდამ მაგრად ჩასჭიდებდა ხოლმე ხელს. ზოგჯერ ბოდავდა და ეჩვენებოდა, თითქოს შვილები ისევ პატარები იყვნენ. ერთი შემზარავი ღამით მწარედ ატირდა და კროსს უთხრა, მაპატიე, ასეთ დღეში რომ ჩაგაგდეო. კროსმა ის გულში ჩაიკრა და დაარწმუნა, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართაო. P SEP

საღამოობით, როცა წამლებით გაბრუებული დედა ღრმად ჩაიძინებდა, კროსი და კლოდია ერთურთს თავ-თავიანთი ცხოვრების დეტალებს უამბობდნენ. P SEP

კროსმა უთხრა, გადასახადების ამკრეფი სააგენტო გავყიდე და კლერიკუციოს ოჯახიდან წამოვედი, თუმცა მათ „ქსანადუში“ მომაწყვეს სამუშაოდო. იმაზეც მიანიშნა, რომ სასტუმროში საკმაო გავლენა აქვს და რომ კლოდიას ნებისმიერ დროს შეუძლია, უფასოდ ისარგებლოს ნომრით, კვებითა და სასმლით. ეს ისეთი სიამაყით უთხრა, კლოდიას ცოტათი სასაცილოდაც მოეჩვენა. P SEP

დედის გარდაცვალება კლოდიამ ძმაზე უფრო მძაფრად განიცადა, მაგრამ ამ მტკივნეულმა გამოცდილებამ და-ძმა ისევ დააახლოვა და ბავშვობის დროინდელი ურთიერთგაგება დაუბრუნა. კლოდია წლების მანძილზე დროდადრო ჩადიოდა ვეგასში, გრონეველტიც გაიცნო და მასთან კროსის მეგობრობის მომსწრეც გახდა. მუდამ გრძნობდა, კროსს რაღაც შინაგანი ძალა რომ ჰქონდა, მაგრამ კროსი ამ თავის ძალას კლერიკუციოს ოჯახს არ უკავშირებდა. კლოდიამ ოჯახთან ყველანაირი კავშირი გაწყვიტა, აღარ ესწრებოდა ქორწილებს, დაკრძალვებსა და სხვა შეკრებებს, ამიტომაც არ იცოდა, რომ კროსი

კვლავაც ოჯახის სოციალური სტრუქტურის ნაწილი იყო. არც კროსი უამბობდა ამის შესახებ. კლოდია მამას იშვიათად ხედავდა. ისიც ქალიშვილის მიმართ ნაკლებად იჩენდა ინტერესს.

წინასაახალწლო დღეები ვეგასში ყველაზე ცხელი პერიოდი იყო. აქ მთელი ქვეყნიდან ჩამოდიოდა ხალხი, მაგრამ კროსს კლოდიასთვის მუდამ ჰქონდა გამზადებული ნომერი. კლოდია ხშირად არ თამაშობდა, მაგრამ წელიწადში ერთხელ, სადღესასწაულოდ, მთლიანად ეძლეოდა აზარტს. ერთხელ თან ახლდა დამწყები მსახიობი, რომელზეც შთაბეჭდილების მოხდენა სურდა. თვითკონტროლი დაკარგა და ორმოცდაათი ათასი დოლარის მარკერებზე მოაწერა ხელი. კროსი მასთან ნომერში მივიდა, ხელში მარკერები ეჭირა და სახეზე უცნაური გამომეტყველება აღბეჭდოდა. კლოდიამ იმწამსვე იცნო მამის გამომეტყველება.

- კლოდია, ჩემზე უფრო გონიერი მეგონე. ეს რა ჯანდაბაა?

კლოდიამ თავი უხერხულად იგრძნო. კროსი მუდამ აფრთხილებდა, მხოლოდ მცირე თანხებზე ეთამაშა და წაგებისას ფსონები არასოდეს გაეზარდა. გარდა ამისა, ურჩევდა, დღეში ორ-სამ საათზე მეტხანს არ ეთამაშა, რადგანაც ხანგრძლივობა თამაშის უპირველესი მახეა. კლოდიამ მისი რჩევები არად ჩააგდო...

- კროს, ერთი-ორი კვირა მადროვე და გადავიხდი, - უთხრა კლოდიამ.

ძმის რეაქციამ გააოცა.

- მირჩევნია მოგკლა, ვიდრე ამ მარკერების საფასური

გადაგახდევინო. -კროსმა ქაღალდები დემონსტრაციულად დახია და ჯიბეში ჩაიდო. - მომისმინე. აქ იმიტომ გეპატიჟები, რომ შენთვის ფულის წართმევა კი არა, შენი ნახვა მინდა. ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე: ვერასოდეს მოიგებ! ამას იღბალთან არაფერი აქვს საერთო. ორჯერ ორი, ნებისმიერ შემთხვევაში, ოთხია.

- ჰო, კარგი, კარგი.

- ამ მარკერების დახევა კი არ მაღელვებს, შენმა სიჩლუნგემ გადამრია.

საქმე ამით დასრულდა, მაგრამ კლოდია ბევრს ფიქრობდა: ნუთუ კროსს ასეთი დიდი გავლენა ჰქონდა? ნუთუ გრონეველტი ამის გამო არ გაუბრაზდებოდა? გაიგებდა კი საერთოდ ამის შესახებ?

კლოდია არაერთი მსგავსი შემთხვევის მომსწრე გამხდარა, მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი ერთ ქალს უკავშირდებოდა, რომელსაც ლორეტა ლანგი ერქვა.

ლორეტა ლანგი ცხოვრებაშიც ისეთივე მომხიბლავი იყო, როგორიც სცენაზე, თუმცა კლოდიამ ძმას შეატყო, რომ ამ ქალით მოხიბლული სულაც არ იყო, პირიქით - მისი მომეტებული სიხალისე აღიზიანებდა.

ვეგასში ერთ-ერთ ჩასვლაზე კლოდიამ მილო სტიუარტი ჩაიყვანა და შოუ უჩვენა. მილო ბევრს არაფერს ელოდა, კლოდიას ხათრი გაუწია, მაგრამ ლორეტამ ისიც მოხიბლა.

- ამ გოგოს ბუნებრივი ნიჭი აქვს. სიმღერასა და ცეკვას არ ვგულისხმობ, ის ბუნებით კომიკოსია. ასეთი ქალი კი იშვიათი

განძია.

როცა კულისებში შეხვდნენ, სტიუარტმა არტისტული აღტყინებით უთხრა მსახიობს:

- ლორეტა, აღფრთოვანებული ვარ! აღფრთოვანებული! შეგიძლიათ, მომდევნო კვირას ლოს-ანჯელესში ჩამოხვიდეთ? ჩემს მეგობართან, სტუდიის ხელმძღვანელთან შეხვედრას მოგიწყობთ. მაგრამ მანამდე ჩემს სააგენტოსთან კონტრაქტს უნდა მოაწეროთ ხელი. ხომ იცით, ვიდრე მოგებას ვნახავ, ბევრი ხარჯი და ძალისხმევა მიწევს. რას ვიზამთ, ეს ბიზნესია, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მოხიბლული ვარ!

ლორეტა მილოს გადაეხვია. შეხვედრის აღსანიშნავად ერთად ისადილეს, დილით კი მილო ლოს-ანჯელესში გაფრინდა.

სუფრასთან ლორეტა გამოტყდა, რომ უკვე მოწერილი ჰქონდა ხელი ძალზე მკაცრ კონტრაქტზე სააგენტოსთან, რომელიც ღამის კლუბებს აკონტროლებდა. კონტრაქტის ვადა მხოლოდ სამ წელიწადში იწურებოდა. მილომ ის დაარწმუნა, რომ ყველაფრის მოგვარებას შეძლებდა.

მაგრამ მოგვარება რთული აღმოჩნდა. სააგენტო დაჟინებით მოითხოვდა, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ლორეტას კარიერაზე სრული კონტროლი ჰქონოდა. ლორეტამ კლოდია იმით გააოცა, რომ სთხოვა, დახმარებისთვის კროსისთვის მიემართა.

- კროსს რა შეუძლია? - ჰკითხა კლოდიამ.

- მას ამ ქალაქში დიდი გავლენა აქვს. გთხოვ!

როცა კლოდია სასტუმროს ბოლო სართულზე, პენტჰაუზში ავიდა და ეს პრობლემა კროსს აუხსნა, მან გაღიზიანებით შეხედა და თავი გააქნია.

- ასეთს რას გთხოვ? უბრალოდ, სიტყვა შეაწიე, - უთხრა კლოდიამ.

- ნუ სულელობ. ასეთი გომბიო ბევრი მინახავს: შენნაირ მეგობრებს იყენებენ, მერე კი ზედაც არ აფურთხებენ.

- მერე რა? - არ დანებდა კლოდია. - ის მართლა ნიჭიერია. თუ ხელს შევუწყობთ, მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.

- ნუ მთხოვ მის დახმარებას.

- რატომ, გამაგებინე! - კლოდია მიჩვეული იყო სხვებისთვის დახმარების თხოვნას, ეს კინობიზნესის ნაწილი იყო.

- იმიტომ, რომ თუკი ჩავერევე, მომიწევს, მანამ მივდიო, ვიდრე ჩემსას გავიტან.

- არ გთხოვ, მაინცდამაინც შენი გაიტანე-მეთქი, უბრალოდ სცადე. ყოველ შემთხვევაში, ლორეტას ვეტყვი, რომ რაც შეგვეძლო, ყველაფერი გაკავეთეთ.

- შენ მართლა არაფერი გესმის, - გაეცინა კროსს, - კარგი, ხვალ დილით, ზუსტად ათ საათზე ლორეტასა და მის აგენტს ჩემთან დავიბარებ. შეგიძლია, ჩვენს საუბარს დაესწრო.

მეორე დღეს კლოდია პირველად შეხვდა ლორეტას აგენტს, ტოლი ნივენსს. ის ვეგასისთვის ჩვეულ სტილში, საკლუბო პიჯაკში, უსაყელო პერანგსა და ჯინსში იყო გამოწყობილი.

- კროს, მიხარია თქვენთან კვლავ შეხვედრა, - უთხრა კროსს ნივენსმა.

- ერთმანეთს ადრე შევხვედრივართ? - გაიკვირვა კროსმა. პირადად არასოდეს ჩარეულა სასტუმროს შოუს საქმეებში.

- დიდი ხნის წინ, - უპასუხა ნივენსმა, - როდესაც ლორეტა პირველად გამოდიოდა „ქსანადუს“ სცენაზე.

კლოდიამ შენიშნა, რომ ლოსანჯელესური კინობიზნესის აგენტებსა და უფრო ნაკლებმასშტაბური შოუების აგენტებს შორის თვალში საცემი განსხვავებაა. ნივენსი თუნდაც მილო სტიუარტზე უფრო ნაკლებად წარმოსადეგი იყო და ნაკლებად თავდაჯერებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ლორეტამ კროსს ლოყაზე აკოცა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მის გვერდით როცა დაჯდა, კლოდიამ იგრძნო, რა დაძაბული იყო.

კროსი გოლფის სათამაშოდ იყო გამოწყობილი: თეთრი მაისური, თეთრი შარვალი და თეთრი სპორტული ფეხსაცმელი ეცვა. თავზე ბეისბოლის თეთრი კეპი ეხურა. ბართან მივიდა და სტუმრებს სასმელი შესთავაზა, მაგრამ ყველამ უარი უთხრა.

- საქმეს მივხედოთ. გისმენ, ლორეტა, - მიმართა კროსმა.

- ტოლის სურს, ჩემი შემოსავლიდან ძველებურად მიიღოს პროცენტები, - აკანკალებული ხმით თქვა ლორეტამ, - ეს იმ კონტრაქტებსაც ეხება, რომლებსაც კინოსტუდიასთან დავდებ. მაგრამ ცხადია, რომ ლოსანჯელესელი აგენტიც ითხოვს პროცენტს ნებისმიერი სამუშაოდან, რასაცმიშოვის. ორმაგ პროცენტს ვერ

გადავიხდი. გარდა ამისა, ტოლის სურს, ჩემს საქმიანობას ძველებურად უხელმძღვანელოს. ეს არც ლოსანჯელესელებს აძლევთ ხელს და არც მე.

- ჩვენი კონტრაქტი ჯერჯერობით არ დასრულებულა, - მშვიდად თქვა ნივენსმა, - მხოლოდ იმას ვითხოვ, კონტრაქტის პირობები შეასრულოს.

- მაგრამ მაშინ კინოაგენტი არ ამიყვანს, - თქვა ლორეტამ.

- საქმე მარტივად მესახება, - თქვა კროსმა, - ლორეტა, კონტრაქტის გასაუქმებლად ნივენსს ფული უნდა გადაუხადო.

- ლორეტა ძალზე ნიჭიერი მსახიობია და ჩვენი სააგენტოსთვის დიდი მოგება მოაქვს, - თქვა ნივენსმა, - ჩვენ მას მუდამ რეკლამას ვუკეთებდით. მასში ბევრი ფული ჩავდეთ და ახლა, როცა მოგებაზე მუშაობს, ვერ გავუშვებთ.

- ლორეტა, უნდა გადაუხადო, - გაიმეორა კროსმა.

- ორმაგ პროცენტს ვერ გადავიხდი, ეს უსამართლობაა! - წამოიკივლა ლორეტამ.

კლოდიამ ღიმილი შეიკავა, კროსს კი თავის შეკავებაც კი არ უცდია. ნივენსი შეურაცხყოფილი ჩანდა.

ბოლოს კროსმა თქვა:

- კლოდია, გოლფის იარაღები წამოიღე, ვითამაშოთ. საუბარს რომ დავასრულებ, პირველ სართულზე დაგელოდები.

კლოდიამ თავიდანვე გაიკვირვა, კროსი გოლფის ტანისამოსით რომ დაინახა. ცოტათი შეურაცხმყოფლადაც კი მიიჩნია, რომ ამ

შეხვედრას თითქოს სერიოზულად არ უყურებდა. მიხვდა, რომ ეს არც ლორეტას ესიამოვნა. სამაგიეროდ, ტოლის ამან თავდაჯერებულობა შემატა. რაკი არანაირ დასკვნამდე არ მისულან, კლოდიამ თქვა:

- ჯობს, დავრჩე და ყური დაგიგდოთ. მეფე სოლომონის ბრძნული განსჯა მაინტერესებს.

კროსი თავის დას არასოდეს უბრაზდებოდა, მხოლოდ გაუცინა და მანაც საპასუხოდ გაუღიმა. კროსი ისევ ნივენსს მიუბრუნდა.

- ვხედავ, დათმობას არ აპირებთ და მართალიც ხართ. რას იტყვით, ლორეტას კინოკონტრაქტებიდან ერთწლიანი პროცენტი რომ შემოგთავაზოთ? იმ პირობით, რომ მასზე კონტროლს თუ არ შეასუსტებთ, ეს კონტრაქტები არ შედგება.

- არა, ამას არ დავთანხმდები! - შეაწყვეტინა გაღიზიანებულმა ლორეტამ.

- ეს არც ჩემი მიზანია, - თქვა ნივენსმა, - პროცენტი კარგია, მაგრამ, ვთქვათ, შენთვის კარგი პროექტი გამოგვიჩნდა, შენ კი ამ დროს კინოში იქნები დაკავებული! ეს დაგვაზარალებს.

კროსმა ამოიოხრა და ნაღვლიანად თქვა:

- ტოლი, სხვა გზა არ გაქვთ. მსურს, რომ ლორეტა კონტრაქტის პირობებისგან გაათავისუფლოთ. ეს ჩემი მოთხოვნაა. ჩვენს სასტუმროს თქვენთან საერთო ბიზნესი აქვს. დათმობა მოგიწევთ.

ნივენსს პირველად დაეტყო შფოთი, მან თითქმის მუდარით წარმოთქვა:

- კროს, სიამოვნებით დაგითმობდით, მაგრამ ჩემს პარტნიორებს

უნდა შევუთანხმდე. იქნებ მოველაპარაკო საკომპენსაციო თანხაზე...

- კომპენსაციას არ ვგულისხმობ, ტოლი, დათმობას ვითხოვ, თანაც, ახლავე უნდა მიპასუხოთ, რათა, აქედან რომ გავალ, მშვიდად ვისიამოვნო გოლფის თამაშით. ჰო ან არა. გელოდებით.

კლოდია თავზარდაცემული ადევნებდა ამ სცენას თვალყურს: კროსი თანამოსაუბრეს თითქოს არც ემუქრებოდა, არც აშინებდა, თითქოს კამათისადმი სრულიად დაკარგა კიდეც ინტერესი, მაგრამ კლოდია ხედავდა, რომ ნივენსი შიშისგან ცახცახებდა.

- ეს უსამართლობაა, - ამოილუღლუღა ნივენსმა და ლორეტას საყვედურით შეხედა. ლორეტამ დარცხვენილად დახარა თავი. კლოდია ამანაც გააკვირვა.

კროსმა კეპი გვერდზე შეატრიალა და ღიმილით უთხრა:

- შეგიძლიათ, არც დათანხმდეთ, ეს ხომ ბრძანება არ არის.

- არა, რას ამბობთ?! უბრალოდ, არ ვიცოდი, ასეთი ახლო მეგობრები თუ იყავით და ლორეტას ბედი ასე თუ გაღელვებდათ.

კლოდიამ შენიშნა, კროსს ერთბაშად როგორ შეეცვალა გამომეტყველება. მან გულკეთილად გაიღიმა და ტოლი ნივენსს მეგობრულად გადაეხვია. ეს ნაბიჭვარი რა მომხიბვლელიაო! - გაიფიქრა. კროსმა მადლიერი კილოთი თქვა:

- ტოლი, ამას არ დაგივიწყებთ. ყური დამიგდეთ: თქვენ მიერ რეკომენდებულ ნებისმიერ ნიჭიერ მსახიობს სიამოვნებით მივიღებთ ჩვენს შოუში. უფრო მეტიც: ჩვენს კაბარეში საგანგებო საღამოს გავმართავ თქვენი სააგენტოს მიერ მოწვეული მსახიობების

მონაწილეობით და ამ საღამოს, თქვენს პარტნიორებთან ერთად, ვახშამზე გეპატიჟებით. ნებისმიერ დროს დამირეკეთ და განკარგულებას გავცემ, რომ დაუყოვნებლივ ჩემთან შემოგიშვან. თანახმა ხართ?

კლოდია ორ რამეს მიხვდა: კროსმა განგებ მოახდინა ძალის დემონსტრირება. ამავე დროს, შეეცადა, ნივენსი დათმობის სანაცვლოდ უხვად დაესაჩუქრებინა, მაგრამ ეს მხოლოდ მას მერე გააკეთა, რაც ნივენსი დაიმორჩილა და თავისი გაიტანა. ტოლი ნივენსს ბენეფისის საღამო აღუთქვა, რომელიც მის რეპუტაციას ძალზე წაადგებოდა.

კლოდიამ ისიც იგრძნო, რომ კროსმა მის წინაშე ძალის დემონსტრირებით დაანახვა, რომ ძალიან უყვარდა, თან ეს სიყვარული კონკრეტული საქმით გაუმჟღავნა. კროსის ნატიფ ნაკვთებში, მის მოხდენილ მიხრა-მოხრაში, რასაც თვითონ ბავშვობიდან შურითა და აღტაცებით უყურებდა, კლოდიამ ანტიკური ქანდაკებების სილამაზე დაინახა.

კლოდიამ გზატკეცილიდან გადაუხვია და სულ მალე მალიბუს კოლონიის ჭიშკარს მიადგა. ზედ სანაპიროზე გაშლილი ეს დასახლება უყვარდა. სახლებს შორის ოკეანე მოჩანდა, რომელშიც სანაპიროს კლდეები ირეკლებოდა. კლოდიამ მანქანა ათენას სახლთან მიაყენა.

ბაზ სკანეტი მალიბუსკოლონიის სასაზღვრო გისოსებს მიღმა საერთო პლაჟზე იწვა. გისოსი წყალში შედიოდა, თუმცა, თუ საკმაოდ

შორს გაცურავდი, მის შემოვლას შეძლებდი. ეს მხოლოდ პირობითი საზღვარი იყო.

ბაზი ათენაზე მორიგ თავდასხმას გეგმავდა. ამ დღეს საცდელ ოპერაციას აპირებდა, ამიტომაც გაემგზავრა პლაჟზე, მაისურისა და ჩოგბურთის შარვლის ქვეშ საცურაო ტრუსი ეცვა. საჩოგბურთო ჩანთაში პირსახოცში გახვეული ბოთლი ედო, რომელშიც მჟავა ესხა.

პლაჟის ამ ადგილიდან ათენას სახლის უკანა ფასადს ხედავდა. სანაპიროზე მის წინ პირადი დაცვის ორი შეიარაღებული თანამშრომელიც მოჩანდა. თუკი სახლის უკან იდგნენ, წინიდან სახლი მით უმეტეს იქნებოდა დაცული. დაცვასთან ბრძოლას არ უფრთხოდა, მაგრამ არ უნდოდა, გიჟის შთაბეჭდილება დაეტოვებინა, რომელიც განურჩევლად ყველას ხოცავს. ამით ათენას დამსახურებული სასჯელის ეფექტი გაქარწყლდებოდა.

ბაზ სკანეტმა შარვალი და მაისური გაიხადა, თან ოკეანეს გაჰყურებდა. ძირს დაფენილ პირსახოცზე გაწვა. მზის სითბომ გააბრუა. ათენაზე ფიქრობდა.

მოაგონდა, კოლეჯში პროფესორი როგორ უამბობდათ ემერსონის ესეების შესახებ. ბაზს ამ ავტორის გამონათქვამი დაამახსოვრდა: „მშვენიერება საკუთარ თავს თავადვე ამართლებს“. ნეტავ მართლაც ასე თუ იყო?

რა იშვიათობაა, ფიზიკურად უნაკლო ადამიანი სხვა მხრივაც დახვეწილი და სრულყოფილი რომ იყოს. სწორედ ასეთი წარმოდგენა ჰქონდა ბაზს თენაზე - როგორც მას სიყმაწვილეში ეძახდნენ.

ბაზს ის ახალგაზრდობაში იმდენად ძლიერ უყვარდა, რომ გამუდმებით ნეტარ ილუზიაში იმყოფებოდა: ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ათენაც სიყვარულით პასუხობდა. წლების მანძილზე სულ უფრო მკაფიოდ დაინახა უსიამო სინამდვილე.

მაინც რა უტიფრობაა, ასეთი ლამაზი იყო! ამდენ ხალხს შეაყვარო თავი! ნუთუ არ იცოდა, ეს რამდენად საშიშია?!

ბაზი ვეღარც საკუთარ თავს უგებდა. როგორ მოხდა, მისი სიყვარული სიძულვილად რომ გადაიქცა? სინამდვილეში ყველაფერი მარტივად იყო: ეს იმიტომ მოხდა, რომ მიხვდა, ამ ქალს სიცოცხლის ბოლომდე ვერ შეინარჩუნებდა, ადრე თუ გვიან დაკარგავდა. ათენა სხვასთან წავიდოდა და მას სამუდამოდ დაივიწყებდა.

სახით იგრძნო, მზის სითბო როგორ მოაკლდა. თვალები გაახილა და დაინახა, რომ ვიღაც მაღალი კაცი წამოდგომოდა თავს, იღლიაში დასაკეცი სკამი ჰქონდა ამოდებული. ბაზმა იცნო დეტექტივი ჯიმ ლაუზი, რომელმაც იმის შემდეგ დაჰკითხა, რაც ათენას სახეში წყალი შეასხა.

- რა დამთხვევაა, - დაიჭყანა ბაზი, - ორივე ერთსა და იმავე პლაჟზე ვცურავთ. რა ჯანდაბა გინდათ?

ლაუზიმ სკამი გაშალა და დაჯდა.

- ეს სკამი ჩემმა ცოლყოფილმა მაჩუქა. იმდენჯერ მომიხდა პლაჟზე დამსვენებლების დაკავება და დაკითხვა, მითხრა, სამუშაოს დროს სიმყუდროვე არ გაწყენსო, - თქვა ლაუზიმ და სკანეტს კეთილგანწყობით დახედა. - სულ რამდენიმე შეკითხვა მინდა

დაგისვათ. პირველი: რას აკეთებთ მის ექვითეინის სახლთან ასე ახლოს? ეს სასამართლო განჩინების უგულებელყოფაა.

- მე საზოგადოებრივ პლაჟზე ვწევარ, მისგან ღობე მაშორებს და თანაც, საცურაო კოსტიუმი მაცვია. როგორ ფიქრობთ, რამით ვაწუხებ?

- იცით, ასეთი ქალის ქმარი რომ ვიყო, მისგან მეტისმეტად შორს ვერც მე გავჩერდებოდი, - ღიმილით უთხრა გამომძიებელმა. - წინააღმდეგი ხომ არ ხართ, თქვენს ჩანთაში რომ ჩავიხედო?

- წინააღმდეგი ვარ. თუკი ჩხრეკის ორდერი არ გაქვთ.

- ნუ მაიძულებთ, დაგაპატიმროთ, - კვლავ ტკბილი ღიმილით უთხრა ლაუზიმ, - ან უბრალოდ მიგბეგვოთ და ჩანთა ძალით წაგართვათ.

ამან ბაზი გააღიზიანა. ის ფეხზე წამოდგა, ჩანთა ლაუზის გაუწოდა, მერე კი განზე გასწია.

- აბა, თუ წამართმევთ!

ლაუზი წამით შეცბა. თავის პროფესიულ სფეროში თავისზე უფრო „მაგარი“ ჯერ არავინ შეხვედრია. ნებისმიერ სხვა სიტუაციაში ხელკეტს ან რევოლვერს ამოაძრობდა და ამ კაცს ძვალსა და რბილს გაუერთიანებდა. იქნებ ახლა იმიტომ დაკარგა თავდაჯერებულობა, რომ რბილ ქვიშაში ფეხები ეფლობოდა? ან იქნებ ეს სკანეტის სრული უტიფრობის ბრალი იყო?..

- ჩემი მოკვლა მოგიწევთ, - ღიმილით უთხრა ბაზმა, - თქვენზე ძლიერი ვარ. მაგრამ ჩემი მოკვლა თქვენს ინტერესში არ შედის.

ლაუზი მისი გონიერებით აღფრთოვანდა და გაიფიქრა, რომ

მოწინააღმდეგე მართალს ამბობდა: ხელჩართულ ბრძოლაში ვერ მოერეოდა, იარაღის ამოღების კანონიერი საბაბი კი არ გააჩნდა.

- მაშ, კარგი, - თქვა, სკამი დაკეცა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მერე უკან მოიხედა და ბაზს გასძახა: - ამჯერად გაიმარჯვეთ. მართლაც მაგარი ყოფილხართ. მაგრამ ფრთხილად იყავით, სროლის საბაბს ნუ მომცემთ. მანძილი არ გამიზომია. სავსებით შესაძლებელია, სახლთან იმაზე ახლოს იმყოფებოდეთ, ვიდრე განჩინების თანახმად გეკისრებათ.

- არ იდარდოთ, ფრთხილად ვიქნები, - გაეცინა ბაზს.

თვალი გააყოლა ლაუზის, რომელმაც პლაჟი გადაკვეთა, მანქანაში ჩაჯდა და იქაურობას გაეცალა. ბაზმა პირსახოცი ჩანთაში ჩადო და თავისი მანქანისკენ გაემართა. ჩანთა საბარგულში ჩადო, მანქანის გასაღები სავარძლის ქვეშ დამალა, მერე კი პლაჟზე დაბრუნდა, რათა ოკეანეშიშეეცურა და გისოსის ღობე გადაელახა.

თავი 5

ათენა ექვითეინმა გზა ვარსკვლავობისკენ ჩვეული წესით გაიკვლია, რასაც საზოგადოება, როგორც წესი, არავის უფასებს. წლების მანძილზე სწავლობდა: გაიარა დრამატული კურსი, ცეკვისა და მოძრაობის კურსები, ხმის დაყენებისა და მხატვრული კითხვის კურსი.

ამის სარჩული, კარიერის ჩრდილოვანი მხარე აგენტებთან, სტუდიის რიგით თუ ხელმძღვანელ წარმომადგენლებთან ინტიმური

კავშირებით განისაზღვებოდა, რის ხარჯზეც თანდათან ადიოდა წარმატების კიბეზე.

თავისი კარიერის პირველ წელიწადს თავს კომერციული პროექტებით ირჩენდა, მოდელადაც მუშაობდა, არც რეკლამას თაკილობდა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მისმა ნიჭმა მალევე დაიწყო დივიდენდების მოტანა. ისეთი საყვარლები ჰყავდა, ფულსა და სამკაულებს თოვლივით რომ აფრქვევდნენ. ზოგი ცოლობასაც სთხოვდა. ყველა ეს კავშირი ხანმოკლე იყო და მეგობრულად განშორებით მთავრდებოდა.

ამგვარ ცხოვრებაში არაფერი იყო შეურაცხმყოფელი, ისიც კი ეხამუშა, როცა „როლს-როისის“ რეკლამირებისას მყიდველმა გადაწყვიტა, რომ ათენა მანქანის უფასო დანამატი იყო. ქალმა უბრალოდ იმაზე მიანიშნა, რომ თვითონაც მანქანის ფასი ღირდა. მამაკაცები უყვარდა, სექსი ახალისებდა, მაგრამ ამისთვის აუცილებლად სერიოზულ ანაზღაურებას ითხოვდა. მის ცხოვრებაში მამაკაცები მიზანს არ წარმოადგენდნენ.

მისთვის ცხოვრება მსახიობობა იყო. მსახიობობას ყველაზე უფრო მაღლა აყენებდა. ფილმებში ნათამაშებ იმ ციცქნა როლებს კი არა, რითაც ყოველდღიურ ხარჯებს ფარავდა, არამედ სერიოზულ დრამატულ როლებს ადგილობრივი თეატრების სცენებზე, რომელთა წყალობითაც, ბოლოს და ბოლოს, დიდ კინოშიც შეაბიჯა.

ის როლები, რასაც თამაშობდა, ცხოვრებაზე უფრო რეალურად მიაჩნდა. როცა დრამატულ პერსონაჟებს ასახიერებდა, მხოლოდ

მაშინ ფიქრობდა, ნამდვილად ვარსებობო. სასიყვარულო ურთიერთობები კი ისეთივე გართობად მიაჩნდა, როგორც გოლფისა თუ ჩოგბურთის თამაში.

ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ იქ არსებობდა, თეატრში, რომელიც მისთვის ტაძარივით წმინდა იყო: გრიმს ისვამდა, კოსტიუმს იწესრიგებდა, სახეზე როლის შესაფერის განცდას გამოაფენდა და მაყურებლებით სავსე წყვდიადის წინაშე წარდგებოდა, რომელსაც ღვთის ერთადერთ ხილულ სახედ შეიგრძნობდა. ტიროდა, სიყვარულით იწვოდა, შფოთავდა, მრისხანებდა, დაფარული ცოდვების მიტევებას ითხოვდა და ზოგჯერ ნანატრი ბედნიერებითაც ტკბებოდა.

სახელსა და დიდებას ასე ხარბად იმიტომ ესწრაფვოდა, რომ საკუთარი წარსულისთვის ხაზის გადასმა სურდა, ბაზ სკანეტისა და მისგან შეძენილი შვილის დავიწყება სურდა; საკუთარი ვერაგი სილამაზისაც - მისანი ნათლიის ამ მაცდური საჩუქრისა...

ყველა მსახიობის მსგავსად, ნატრობდა, ყველას ჰყვარებოდა. ლამაზი რომ იყო, ამას მისი გარემოცვა ყოველწამს ჩასჩიჩინებდა. მაგრამ თვითონ იცოდა, რომ ლამაზთან ერთად, ჭკვიანიც იყო. თავიდანვე სწამდა საკუთარი თავის, თუმცა ის კი მაინც არ სჯეროდა, რომ ნამდვილი გენიოსის თვისებებით, უსაზღვრო ენერგიითა და კონცენტრაციის უნარით იყო დაჯილდოებული. ასევე ცნობისმოყვარეობითაც.

მსახიობობა და მუსიკა ათენას ორი ჭეშმარიტი სიყვარული იყო და

ამ ორ რამეზე ყურადღების კონცენტრირება რომ შესძლებოდა, საამისოდ მთელი ენერგია სხვა დანარჩენის შესწავლას მოანდომა: მანქანის ძრავას შეკეთებაც ისწავლა, არაჩვეულებრივ კერძებსაც ამზადებდა და სპორტშიც გაიწაფა. სასიყვარულო ხელოვნებას ლიტერატურიდან და ცხოვრებიდან ეუფლებოდა, რადგან იცოდა, რომ მის პროფესიაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. [P SEP]

ერთი უცნაურობა სჭირდა. ადამიანისთვის არანაირი ტკივილის მიყენება არ შეეძლო. ხოლო რაკიღა ჩვენს ცხოვრებაში ამისთვის გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებელია, ათენა უბედური ქალი გახლდათ. მიუხედავად ამისა, გაბედულ გეგმებს ისახავდა და იმ გავლენით სარგებლობდა, რომელიც ჰქონდა, როგორც პირველი რანგის ვარსკვლავს. შეეძლო, ისეთივე ცივი ყოფილიყო, როგორიც ლამაზი იყო. კინოს ნამდვილი ბობოლები ემუდარებოდნენ, მათ ფილმებში ეთამაშა და მათ საწოლებში შემძვრალიყო. ამ ძალაუფლების წყალობით ახდენდა გავლენას რეჟისორებისა და მსახიობების შერჩევაზე. შეეძლო, მცირე დანაშაული სასჯელისა და სინდისის ქენჯნის გარეშე ჩაედინა, ზნეობის ყველა ნორმა ფეხით გაეთელა და ვერავინ შეძლებდა იმის ამოცნობას, თუ როდის იყო ის ნამდვილი ათენა. ყველა ვარსკვლავივით იდუმალი და მრავალსახოვანი იყო, მის ნამდვილ სახეს მისი საეკრანო როლისგან, როგორც ტყუპის ცალს, ვერ გაარჩევდით. [P SEP]

მაგრამ მთელი მსოფლიოს სიყვარული და აღიარება საკმარისად არ მიაჩნდა, რადგან საკუთარ შინაგან სიმახინჯეს ხედავდა.

არსებობდა ერთადერთი პიროვნება, ვისი სიყვარულიც არ ეღირსა და ეს უაზღვრო ტკივილს აყენებდა. მსახიობი ქალი ხომ სასოწარკვეთილებაში ვარდება, თუკი ასი ქება-დიდების გვერდით თუნდაც ერთ კრიტიკულ გამოხმაურებას დაიმსახურებს.

ლოს-ანჯელესში მიღვაწეობის მეხუთე წელს ათენას პირველად მისცეს მნიშვნელოვან ფილმში წამყვანი როლი და მისი თავბრუდამხვევი კარიერაც ამით დაიწყო.

მაღალი რანგის ნებისმიერი ვარსკვლავი მამაკაცის მსგავსად, სტივენ სტოლინგზსაც ჰქონდა უფლება, ყველა ფილმში თავისი პარტნიორი ქალი დაეწუნა, თუკი მის გემოვნებას არ შეეფერებოდა. ათენა მან სცენაზე ნახა და მისი ნიჭი მაშინვე ამოიცნო. უფრო მეტად კი მისი სილამაზით მოიხიბლა და მომდევნო ფილმისთვის თავის პარტნიორად აირჩია.

ათენა გაოცებული და გახარებული იყო, იცოდა, რამდენად დიდ ნახტომს ნიშნავდა მისთვის ამგვარი შემოთავაზება და თავს იმტვრევდა, ნეტავ რის გამო ამირჩიესო?მისმა აგენტმა მილო სტიუარტმა ვითარება აუხსნა.

მილოს აღმოსავლურ სტილში გაწყობილ კაბინეტში იმყოფებოდნენ, სადაც მდიდრული ხალიჩები და რბილი და მყუდრო ავეჯი იყო, მძიმე ფარდები დღის სინათლეს არ უშვებდა და ელექტრონათურები კაშკაშებდა. მილოს სადილად რესტორანში გასვლის ნაცვლად, საკუთარ კაბინეტში ინგლისური ჩაის მირთმევა ერჩივნა და ახლა, როცა ათენას ესაუბრებოდა, თან ციცქნა სენდვიჩებს

იდებდა პირში.

- ასეთ წინსვლას ნამდვილად იმსახურებ, დიდი მსახიობი ხარ. მაგრამ სულ რაღაც ორი წელია, რაც ამ ქალაქში ჩამოხვედი და ჯერ კიდევ გამოუცდელი ხარ. გეტყვი, რაც მოხდა, - მილო წამით შეყოვნდა, - ჩვეულებრივ, ამის ახსნა არ მჭირდება ხოლმე.

- მაგრამ მე ხომ ასეთი გამოუცდელი ვარ, - გაეღიმა ათენას.

- გამოუცდელიც არა, უბრალოდ ისე ხარ შენი ხელოვნებით დაკავებული, რომ ჩვენი საქმიანობის ზოგიერთ სოციალურ თავისებურებას ვერ ამჩნევ.

- მაშ, მითხარი, ბოლოს და ბოლოს, რით დავიმსახურე ეს როლი.

- სტოლინგზის აგენტმა დამირეკა. მითხრა, რომ სტოლინგზს სცენაზე უნახავხარ და შენი თამაშით აღფრთოვანებულა. სურს, მასთან ერთად ითამაშო. მერე პროდიუსერმა დამირეკა და პირობებზე შევთანხმდით. ორასიათასიანი ჰონორარი, არანაირი სამომავლო ვალდებულება და არანაირი შეზღუდვა სხვა ფილმებთან დაკავშირებით. ეს შენთვის საოცნებო პირობებია.

- მადლობელი ვარ, - უთხრა ათენამ.

- ახლა რასაც გეტყვი, წესით, მართლა არ უნდა გითხრა. სტივენს ჩვევად აქვს, თავისი პარტნიორები თავდავიწყებით უყვარდება. ძალზე მგზნებარე საყვარელია.

- მილო, ნუ დამთარსავ, - გააწყვეტინა ათენამ.

- არა, ვხვდები, რომ ვალდებული ვარ, გაგაფრთხილო, - მილომ ქალს თბილი მზერა შეავლო. თავიდან თვითონაც შეუყვარდა ათენა,

მაგრამ რაკი მისგან სიკეკლუცის არანაირი ნიშანი არ შეუნიშნავს, გრძნობის გამხელაზე ხელი აიღო. მით უმეტეს, რომ ათენა უძვირფასესი განძი იყო, რომელიც მომავალში მილიონებს მოუტანდა.

- იმის თქმა გინდა, რომ, როგორც კი მარტონი დავრჩებით, მაშინვე კალთაში თუ არ ჩავუხტი, კონტრაქტს გამიუქმებენ? ნუთუ ჩემი ნიჭი საკმარისი არ არის?

- არა, სრულებით არ არის საკმარისი. დიდი მსახიობი დიდი მსახიობია, ამას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. მაგრამ განა არ იცი, მასშტაბურ ფილმებში მთავარ როლებს როგორ იღებენ? არსებობს მომენტი, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. შენთვის ასეთი მომენტი ახლა დადგა. თანაც, სტივენ სტოლინგზის შეყვარება ძნელი სულაც არ მეჩვენება.

- რა თქმა უნდა, მისი ყურადღება მსიამოვნებს, მაგრამ ხომ შეიძლება, შემზიზღდეს, არ მომინდეს მასთან ურთიერთობა? ამ შემთხვევაში რა მელის?

- შესაზიზღი არაფერი სჭირს, გარწმუნებ, - უთხრა მილომ და ჩაი დაისხა, - იმდენ ხანს მაინც განაგრძე მასთან ურთიერთობა, ვიდრე საკმარისად ბევრს გადაგიღებენ, რომ, თუკი რაიმე მოხდა, შენი ამოჭრა ვეღარ შეძლონ.

- იქნებ ისე მოვეწონო, რომ არც მოინდომონ ჩემი ამოჭრა?

- გარწმუნებ, აქამდე შეიძლება, არც მივიდეს საქმე. თუ სტივენი სამი დღის განმავლობაში არ შეგიყვარდა, ფილმიდან მოგხსნიან.

- ეს სექსუალური ძალადობაა! - გაეცინა ათენას.

- კინობიზნესში სექსუალური ძალადობის ცნება არ არსებობს, - უთხრა მილომ, - ამ საქმეზე როცა თანხმდები, გარკვეულწილად, შენს უკანალსაც აქირავებ.

- ჰო, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია, შემიყვარდეს კიდეც? უბრალო სექსი არ აკმაყოფილებს?

- სტივენს სექსი არ აკლია. უყვარხარ და შენგან საპასუხო სიყვარულსაც მოელის. მხოლოდ მანამდე, ვიდრე გადაღებები დასრულდება. მერე ერთმანეთისადმი გრძნობა გაგიცივდებათ, რადგან ორივე ძალზე დაკავებული იქნებით. ეს შენთვის შეურაცხმყოფელი არ იქნება. სტივენი უბრალოდ, თავის დაინტერესებას არ მალავს. შენ შეგიძლია, ამას უპასუხო ან არ უპასუხო. პირველ დღეს ყვავილებს გამოგიგზავნის, მეორე დღეს სადილად დაგპატიჟებს და გვიანობამდე როლებზე მუშაობას შემოგთავაზებს. ამაში არანაირი ძალადობა არ არის, გარდა იმისა, რომ, თუ არ დათანხმდები, ფილმიდან მოგხსნიან. კომპენსაციას სრულად გადაგიხდიან, ამაზე ვიზრუნებ.

- მილო, არ ფიქრობ, რომ საკმაოდ კარგი მსახიობი ვარ საიმისოდ, რომ კარიერისთვის სხეულით ვივაჭრო?

- როგორ არ ვფიქრობ?! შენი მჯერა. ახალგაზრდა ხარ, ჯერ მხოლოდ ოცდახუთის. შეგიძლია, კიდევ ერთი, ორი, თუნდაც ოთხი თუ ხუთი წელი მოიცადო. მაგრამ შენს ადგილას, მე ჩემს ნიჭს შანსს მივცემდი. სტივენი ყველას უყვარს.

ყველაფერი ზუსტად მილო სტიუარტის წინასწარმეტყველების შესაბამისად წარიმართა. პირველ დღეს ათენამ საჩუქრად ყვავილები მიიღო. მეორე დღეს მთელ სამუშაო ჯგუფთან ერთად რეპეტიცია გაიარეს. ფილმი დრამატულ კომედიას წარმოადგენდა, სადაც სიცილი ცრემლებში გადადიოდა, რაც ძალზე რთულია მსახიობებისთვის. ათენა სტივენ სტოლინგზის ოსტატობით მოიხიბლა. მამაკაცი თავის როლს მონოტონურად კითხულობდა, შთაბეჭდილების მოხდებას არ ცდილობდა, მაგრამ ინტონაცია მაინც ზუსტი და ბუნებრივი გამოსდიოდა და რამდენიმე ვარიანტიდან მუდამ საუკეთესოს ირჩევდა. ერთი და იგივე სცენა, სულ ცოტა, თორმეტჯერ მაინცგაითამაშეს, მოცეკვავეებივით მიჰყვებოდნენ და უწყობდნენ ფეხს ერთიმეორეს. ბოლოს სტივენმა ჩაილაპარაკა, კარგია, კარგიაო, და ათენას წმინდა პროფესიული აღიარების მანიშნებელი მზერა აჩუქა.

დღის ბოლოს, როგორც იქნა, თავისი მამაკაცური ხიბლიც აამოქმედა.

- ვფიქრობ, შენი წყალობით დიდებული ფილმი გამოგვივა. რას იტყვი, საღამოს ერთად რომ ვივახშმოთ და სცენარი კარგად დავამუშაოთ? - სტივენი წამით დადუმდა და ძალზე მომხიბლავი ბიჭური ღიმილით თქვა: - ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ, არა?

- გმადლობ, - უთხრა ათენამ, - სად და როდის შევხვდეთ?

სტივენს სახეზე მაშინვე მოჩვენებითი შიში გამოესახა, ხელები მოწიწებით გაასავსავა და ქალს უთხრა:

- რას ამბობ? არჩევანი შენზეა!

იმწუთას ათენამ გადაწყვიტა, თავს მოხვეულ როლს დათანხმებოდა და კიდეც ღირსეულად ეთამაშა. ბოლოს და ბოლოს, სუპერვარსკვლავთან ჰქონდა საქმე. თვითონ კი ახალბედა იყო. არჩევნის უფლება სტივენს ჰქონდა, თვითონ კი მას უნდა გაჰყოლოდა. ყურებში ახლაც ჩაესმოდა მილოს სიტყვები: „შეგიძლია, კიდევ ერთი, ორი, თუნდაც ოთხი თუ ხუთი წელი მოიცადო“. არა, ვერ მოიცდიდა.

- თუ გინდა, ჩემთან მოდი, - შესთავაზა სტივენს, - რაიმე უბრალოს მოვამზადებ ვახშმად. თან ვიმუშაოთ, თან მივირთვათ. შვიდზე მისაღებია?

ათენა ყველაფერში პედანტი იყო, ამიტომაც ცდუნების სცენისთვის სულიერადაც მოემზადა და ფიზიკურადაც. მსუბუქი მენიუ ჩაიფიქრა, არც მუშაობას, არც სექსს რომ არ შეუშლიდა ხელს. ჩვეულებრივ, ალკოჰოლს არ ეკარებოდა, ახლა კი ერთი ბოთლი თეთრი ღვინო მოამზადა. საკუთარი კულინარიული ნიჭის დემონსტრირებასაც აპირებდა: ვიდრე იმუშავებდნენ, კერძსაც იქვე მოამზადებდა.

ტანისამოსი. ცდუნება თითქოს შემთხვევით უნდა მომხდარიყო. მაგრამ ტანსაცმელს, ამავდროულად, ბარიერი არ უნდა შეექმნა. სტივენი, როგორც მსახიობი, ნებისმიერ წვრილმანში უსათუოდ სიმბოლურ დატვირთვას ამოიკითხავდა.

ამიტომაც აირჩია თეთრ-ცისფერლაქებიანი გახეხილი ჯინსი, რომელიც დუნდულებზე ლამაზად ეტმასნებოდა. ქამარი არ გაიკეთა. ზემოდან თეთრი აბრეშუმის მაქმანიანი ბლუზა ჩაიცვა, რომელიც მკერდზე შეხსნილი არ ჰქონდა, სამაგიეროდ, მის რძისფერ ყელს

გამოკვეთდა. ყურებზე პატარა, მისი თვალების ფერი, მწვანე კლიპსები გაიკეთა. ეს ჩაცმულობა მაინც მეტისმეტად სადა და მკაცრი მოეჩვენა. უცებ გონება გაუნათდა: ფეხის ფრჩხილებზე მეწამული ლაქი წაისვა და სტუმარს ფეხშიშველი დახვდა.

სტივენ სტოლინგზმა კარგი, თუმცა არა უმაღლესი ხარისხის წითელი ღვინო მოიტანა. ისიც სამუშაო ფორმაში იყო გამოწყობილი: ოდნავ ფართხუნა ყავისფერი შარვალი, ჯინსის პერანგი და თეთრი „ბოტასი“ ეცვა, მუქი თმა დაუდევრად ჰქონდა გადავარცხნილი. იღლიაში სცენარი ამოედო, რომლიდანაც ყვითელი სანიშნე ბარათები იჭყიტებოდა. ერთადერთი, რაც მის ჩანაფიქრს ამხელდა, ოდეკოლონის ნაზი სურნელი იყო.

სამზარეულოში, მოკრძალებულ ვითარებაში ისადილეს. სტუმარმა ათენას სრულიად დამსახურებულად შეუქო კერძი. იქვე გადახედეს სცენარს, ერთურთს შენიშვნები და მოსაზრებები გაუზიარეს, ზოგიერთი დიალოგი ჩაიკითხეს.

ვახშმის შემდეგ სასტუმრო ოთახში გადაინაცვლეს და რთული სცენები გაითამაშეს. მთელი ამ ხნის მანძილზე ერთმანეთს გაფაციცებულნი აკვირდებოდნენ და ეს მათ მუშაობაზეც აღიბეჭდა.

ათენა კმაყოფილებით ამჩნევდა, რამდენად კორექტულად და პროფესიულად იქცეოდა სტივენი: ზედმეტი არაფერი უკადრებია, მხოლოდ აღტაცებული მზერით აგრძნობინებდა, რომ მისი სილამაზითა და ნიჭით ტკბებოდა. ბოლოს სტივენმა ჰკითხა, მეტისმეტად ხომ არ დაიღალე, სცენარის საკვანძო სასიყვარულო

სცენა რომ გავითამაშოთო?

ამ დროისთვის ვახშამი მონელებული ჰქონდათ. ერთად თავს კარგად გრძნობდნენ, ფილმის პერსონაჟების მსგავსად, უკვე მოასწრეს დამეგობრება. სასიყვარულო სცენა გაითამაშეს, სტივენმა ათენას ტუჩებზე ნაზად აკოცა, თუმცა არ გადახვევია, და გულწრფელი გრძნობით უთხრა:

- მას შემდეგ, რაც პირველად დაგინახე, სულ მინდოდა, ეს გამეკეთებინა.

ათენამ დაჟინებით შეხედა თვალებში, ნაზად აკოცა, მერე კი თვალები დახარა. ამით უტყუარი ნიშანი მისცა. პასუხად სტივენის უეცარი ვნების ამოფრქვევა ორივესთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ათენამ იფიქრა, მაინც მასზე უკეთესი მსახიობი ვყოფილვარო. თუმცა სტივენი სიყვარულში მასზე გაწაფული აღმოჩნდა. როცა ქალს ტანთ ხდიდა, თითებს კანზე ვნებიანად უსვამდა, თეძოების შიდა მხარეს ენით ნაზად ელამუნებოდა და ათენას სხეული საპასუხო ვნებით აენთო. საძინებლისკენ როცა მიდიოდნენ, ათენამ გაიფიქრა, ეს ურიგო სულაც არ ყოფილაო. თანაც, სტივენი მართლაც შეუდარებლად ლამაზი იყო: სრულყოფილ ნაკვთებს წრფელი ვნება იმდენად ცვლიდა, რომ სულ სხვა ადამიანად წარმოუდგა, ვიდრე ეკრანზე იყო. ფილმში ასეთ სცენას სულ სხვაგვარად, უფრო სენტიმენტალურად და დაშაქრულად ითამაშებდა, ამგვარ გულწრფელობას კი ალბათ უხამსობად ჩაუთვლიდნენ.

ათენამ უნაკლოდ შეასრულა ვნებით დაბრმავებული ქალის როლი.

ერთმანეთის რიტმსა და ემოციას სრულად შეეწყვნენ და სასიყვარულო აქტის მწვერვალზე ექსტაზსაც მიაღწიეს. შემდეგ უღონოდ იწვნენ და მსგავს რამეს ფიქრობდნენ: გამოდგებოდა თუ არა გათამაშებული სცენა ფილმისთვის? არა, არც პერსონაჟების ხასიათი გამოიკვეთა სათანადოდ, არც მათი ვნება. კიდევ ერთი დუბლი იყო აუცილებელი...

სტივენ სტოლინგზი შეყვარებული იყო, თუმცა მას ეს უკვე არაერთხელმოსვლია. ათენა, მიუხედავად თავდაპირველი უსიამო გრძნობისა, კმაყოფილი იყო იმით, რომ ყველაფერი კარგად წარიმართა. ეს ურთიერთობა სიამოვნებდა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ თვით ათენას ნებით არ დაწყებულა. მაგრამ გადარჩენისთვის ცხოვრებაში ხშირად გვიწევს ჩვენი ნების მოთოკვა.

სტივენი კი კმაყოფლი იყო, რომ ამ ფილმის გადაღებისას ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი: საუკეთესო პარტნიორიც ჰყავდა და გადაღების პერიოდში სექსითაც იქნებოდა უზრუნველყოფილი. იშვიათად უნახავს ათენასავით ნიჭიერი და ლამაზი ქალი, საწოლშიც რომ ასეთი უნაკლო აღმოჩნდა. ისიც აშკარა იყო, რომ ქალი მასზე თავდავიწყებით იყო შეყვარებული, რაც მომავალში შეიძლებოდა, პრობლემადაც ქცეულიყო.

რაც შემდეგ მოხდა, მათი ურთიერთობა საბოლოოდ შეადუღაბა: ორივენი საწოლიდან წამოხტნენ და შიშვლები დაუბრუნდნენ თამაშსა და დეკლამაციას.

ათენას ერთი რამ ეხამუშა: როცა სტივენმა საცვალი ამოიცვა,

ქალმა შენიშნა, რომ ის ვარდისფერი იყო და მის მკვრივ დუნდულებს, მისი თაყვანისმცემელი ქალების ფეტიშიზმის საგანს გამოკვეთდა. არც ის ესიამოვნა, როცა სტივენმა ამაყად ამცნო, ჩემთვის საგანგებოდ დამზადებული, სრულიად უვნებელი პრეზერვატივი ვიხმარეო. თურმე ინვესტიცია ჩაუდია კომპანიაში, რომელიც მას აწარმოებს და ახლა ამ მოდელისთვის შესაფერის დასახელებას არჩევს. ათენას ჰკითხა, რომელი სახელი სჯობდა - „ექსკალიბური“ თუ „მეფე ართური“? თვითონ „მეფე ართური“ ერჩივნა. ათენა დაფიქრდა, მერე მოჩვენებითი სერიოზულობით უპასუხა:

- იქნებ რამე უფრო პოლიტკორექტული დასახელება შეგერჩია? მაგალითად, პრეზერვატივი „ვარკვლავური“.

ფილმიც და მათი რომანიც ფრიად წარმატებული აღმოჩნდა. ათენამ ადვილად დასძლია ვარსკვლავობის პირველი საფეხური და მომდევნო ხუთი წლის მანძილზე მის მიერ ნათამაშებ ყოველ როლს ახალ სიმაღლეზე ასვლა სდევდა.

რაც შეეხება ურიერთობას - ყველა ვარსკვლავური რომანივით მგზნებარე, მაგრამ ხანმოკლე იყო. ერთმანეთი სცენარის შესაბამისად უყვარდათ, თუმცა ამ გრძნობას ის გარდაუვალი იუმორი და დისტანცია ახლდა თან, რასაც სტივენის აღიარება და ათენას ამბიცია განაპირობებდა. ვერც ერთი მათგანი თავს უფლებას ვერ მისცემდა, პარტნიორზე უფრო დიდი სიყვარულით დამწვარიყო, ეს კი მათი გრძნობისთვის მომაკვდინებელი იყო. გეოგრაფიაც დამატებით პრობლემას ქმნიდა. გადაღებების დასრულებისთანავე მათი

სიყვარულიც დასრულდა. ათენა ინდოეთში გაემგზავრა ახალ ფილმზე სამუშაოდ, სტივენი კი - იტალიაში. ამას მოჰყვა სატელეფონო ზარები, საშობაო მილოცვები და საჩუქრები, ერთხელ ჰავაის კუნძულებზე გაატარეს საამო შაბათ-კვირა. ფილმზე ერთობლივი მუშაობა მრგვალი მაგიდის რაინდთა ერთსულოვნებას მოითხოვდა, დიდებისა და გამდიდრებისთვის გარჯა კი წმინდა გრაალის ძიებას ჰგავდა - ეს თოთეულმა რაინდმა განმარტოებით უნდა აღასრულოს.

მავანი მსჯელობდა იმის თაობაზე, დაქორწინებას ხომ არ აპირებდნენ, რაც სრული აბსურდი იყო. ათენას ეს ურთიერთობა სიამოვნებდა, მაგრამ მისი კომიკური მხარე წუთითაც კი არ ავიწყდებოდა. თუმცა პროფესიულ მოვალეობად ჩათვალა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს სტივენზე თავდავიწყებით იყო შეყვარებული, ზოგჯერ სიცილი მაინც წასკდებოდა ხოლმე. სტივენი ისე ბუნებრივად და უნაკლოდ თამაშობდა შეყვარებული კაცის როლს, ათენას ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ კინოთეატრში ზის და მას ეკრანზე ხედავს.

მისი ფიზიკური სილამაზე სასიამოვნო იყო, მაგრამ გამუდმებით მისი თაყვანისცემა ნებისმიერ ქალს მოყირჭდებოდა. ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს ზომიერად, ექიმის მიერ გამოწერილი წამალივით იღებდა, ამიტომც ვერაფერს შეედავებოდი. არც პოპულარობის გამო ეტყობოდა ჭირვეულობა თუ ქედმაღლობა.

ათენასთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, როცა სტივენმა ცოლობა სთხოვა. მშვენივრად იცოდა, რომ სტივენი მდედრობითი სქესის უკლებლივ ყველა არსებას ჟიმავდა, სადაც უნდა ყოფილიყო:

გადაღებაზე, ჰოლივუდში, სარეაბილიტაციო კლინიკაშიც კი, სადაც მკურნალობას გადიოდა, როდესაც ნარკოტიკებით მისი გატაცება კონტროლიდან გამოვიდოდა. ათენა თავის გვერდით ასეთ ადამიანს ნამდვილად არ ნატრობდა.

სტივენმა მისი უარი მშვიდად მიიღო და შვებითაც კი ამოისუნთქა. სინამდვილეში მისი წინადადება სხვა არაფერი იყო, თუ არა კოკაინით გამოწვეული წუთიერი სისუსტე.

მომდევნო ხუთი წელი ათენასთვის აღმასვლის პერიოდი იყო, სტივენისთვის კი, პირიქით - დაშვების. კვლავაც ჰყავდა თავისი ფანები, განსაკუთრებით - ქალები, მაგრამ როლების შერჩევისას ან გამჭრიახობას აღარ იჩენდა, ანდა იღბალი ღალატობდა. სასმელმა და ნარკოტიკებმაც მუშაობისას დაუდევრობას მიაჩვია. სტივენმა მილო სტიუარტს დაურეკა და „მესალინაში“ მთავარი როლი სთხოვა. დიახ, ყველაფერი სწორედ ასე შეტრიალდა. ათენამ მისი კანდიდატურა მოიწონა, ის როლს უხდებოდა, თანაც ქალს მადლიერება ამოძრავებდა, მით უმეტეს, რომ ახლა ვალდებული აღარ იყო, მასთან დაწოლილიყო.

ამ ხუთი წლის მანძილზე ათენას რამდენიმე ხანმოკლე კავშირი ჰქონდა, მათ შორის, ახალგაზრდა პროდიუსერ კევინ მერიონთნ, ელი მერიონის ერთადერთ ვაჟთან.

კევინ მერიონი ათენას თანატოლი იყო, მაგრამ კინობიზნესში ვეტერანად ითვლებოდა. პირველი ფილმი ოცდაერთი წლის ასაკში გამოუშვა და დიდი წარმატებაც ხვდა წილად. ამის გამო თავის

გენიალურობაში ეჭვი აღარ შეჰპარვია, თუმცა მას მერე სამი სრულიად წარუმატებელი ფილმი გამოუშვა და ახლა საკუთარი მამისგარდა, არც ერთი სტუდიის მეპატრონე აღარ აძლევდა კრედიტს.

კევინი ძალზე ლამაზი იყო - ელის მეუღლე ხომ კინობიზნესის ერთ-ერთი უპირველესი ლამაზმანი გახლდათ. თუმცა კევინი არაკინოგენური აღმოჩნდა, ამიტომაც მსახიობობას პროდიუსერობა არჩია.

ერთმანეთს მაშინ შეხვდნენ, როცა კევინმა ათენას თავის ახალ ფილმში მონაწილეობა შესთავაზა. ათენა გაოცებით და შეძრწუნებითაც კი უგდებდა ყურს, როცა ის ბავშვური თავდაჯერებით აქებდა თავის პროექტს.

- ეს საუკეთესო სცენარია, რაც კი ოდესმე წამიკითხავს. გამოგიტყდები, მის დამუშავებაში თვითონაც მივიღე მონაწილეობა. მთავარი როლი ზედგამოჭრილია შენთვის. მსოფლიოში ნებისმიერი მსახიობი სიხარულით დამთანხმდებოდა, მაგრამ მე შენ მჭირდები.

სცენარს რომ გადახედა, ათენას თმა ყალყზე დაუდგა. მასში უსახლკარო ქალის ამბავი იყო მოთხრობლი, რომელიც ნაგავსაყრელზე ბავშვს პოულობს, შემდეგ კი სათავეში ჩაუდგება ამერიკის უსახლკაროთა უფლებების დამცველთა მოძრაობას. თითქმის მთელი ფილმის განმავლობაში ის მძიმე ურიკას დააგორებს და წვრილმანებით ვაჭრობს. ყველანაირი განსაცდელის, ლოთობის, ნარკოტიკების, გაუპატიურებისა და ძარცვის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, აშშ-ის პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს, თუმცა ცხადია,

არჩევნებში ვერ იმარჯვებს.

ათენამ წარმოიდგინა, მთელი ფილმი ჩამოკონკილ სამოსში, უღიმღამო გარემოცვაში როგორ წარდგებოდა მაყურებლის წინაშე. სცენარის ინტელექტუალური დონე სრულიად მდაბიური იყო, მისი დრამატული პათოსი - იდიოტური. წინასწარვე ნათელი იყო, რომ ასეთ ფილმს კრახი ელოდა.

- ამ როლს თუ ითამაშებ, ბედნიერი ვიქნები.

ათენამ გაიფიქრა, მე გავგიჟდი თუ ეს ტიპია იდიოტიო? მაგრამ ის გავლენიანი პროდიუსერი იყო, წარმატების გულწრფელად სწამდა და თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაც შეეძლო. ათენამ მილო სტიუარტს განწირული მზერა ესროლა. იმან თავის დაკვრით გაამხნევა.

- შესანიშნავია, შესანიშნავი, - თქვა მილომ, - კლასიკაა. ზეასვლა და დაცემა. დრამის არსიც სწორედ ესაა. მაგრამ, კევინ, ხომ გესმით, ათენასთვის ახალდაწყებულ კარიერაში რამდენად მნიშვნელოვანია როლების თანამიმდევრული შერჩევა. გვადროვეთ, სცენარს გავეცნობით და ჩვენს აზრს მოგახსენებთ.

- რასაკვირველია, - თქვა კევინმა და ორივეს თითო ეგზემპლარი გაუწოდა, - ვიცი, რომ მოგეწონებათ.

მილომ ათენა მელროუზში პატარა ტაილანდურ რესტორანში წაიყვანა. კერძი შეუკვეთეს და სცენარს გადახედეს.

- ამის თამაშს მირჩევნია, თავი მოვიკლა, - თქვა ათენამ. - ეს კევინი გონებრივად ჩამორჩენილი ხომ არ არის?

- კინობიზნესში დღემდე ვერ გარკვეულხარ. კევინი ჭკვიანია. უბრალოდ, ისეთ რამეს შეეჭიდა, რისთვისაც ბუნებრივი მონაცემები არ გააჩნია. ამაზე უარესებიც მინახავს.

- სად? როდის? - გაცხარდა ათენა.

- ახლა ვერ ვიხსენებ, - უთხრა მილომ, - შენ უკვე იმდენად დიდი ვარსკვლავი ხარ, რომ შეგიძლია როლზე უარი თქვა, მაგრამ იმდენად დიდი მაინც არ ხარ, უკიდურესი აუცილებლობის გარეშე მტრები რომ გაიჩინო.

- არა მგონია, ელი მერიონი ისეთი სულელი იყოს, თავის შვილს ამ პროექტში მხარი დაუჭიროს. უნდა იცოდეს, რომ ეს სცენარი არაფრად ვარგა.

- ცხადია, იცის. ხშირად ხუმრობს კიდეც: ჩემი ვაჟი უვარგის, მაგრამ კომერციულ ფილმებს უშვებს, ჩემი ქალიშვილი კი - ისეთ შედევრებს, ერთი ცენტიც რომ არ მოაქვსო. მაგრამ ელი ვალდებულია, თავისი შვილები გააბედნიეროს, ჩვენ კი - არა. ჩვენ უარს ვიტყვით ამ ფილმზე. მაგრამ შეხედე, სადაა მახე დაგებული: „ლოდსტოუნი“ დიდი რომანის ეკრანიზაციას გეგმავს, სადაც საშენო როლი აქვს. ამაზე თუ უარს იტყვი, შეიძლება, ისიც დაკარგო.

- ამჯერად მირჩევნია, მოვიცადო, - მხრები აიჩეჩა ათენამ.

- კი, მაგრამ არ ჯობია, ორივეს დათანხმდე? პირობა წაუყენე, რომ ჯერ რომანზე იმუშავებ, მერე კი კევინის ფილმსაც რამეს მოვუხერხებთ.

- და ამგვარად მათ აღარ გადავიმტერებ? - ღიმილით ჰკითხა

ათენამ.

- პირველი ფილმი იმდენად დიდ წარმატებას მოგიტანს, რომ მეორეს მნიშვნელობა აღარ ექნება. აი, მერე შეგიძლია, თავს უფლება მისცე, ვინც გინდა, ის გადაიმტერო.

- დარწმუნებული ხარ, რომ მის შემდეგ კევინის ფილმიდან თავს დავიძვრენ?

- თუ ამაში ვერ დაგეხმარები, შეგიძლია გამაგდო, - უთხრა მილომ. მას ყოველთვის შეეძლო ელი მერიონთან მოლაპარაკება. სტუდიის მფლობელი თავის ვაჟს პირდაპირ ვერ უბედავდა უარის თქმას და გაუხარდა კიდეც, ამ საშუალებით სტუდიას უეჭველ მარცხს რომ აარიდებდა. გადაწყვიტა, ყველაფერი მილოსა და ათენასთვის გადაებრალებინა. მილო წინააღმდეგი არ იყო: კინოაგენტს ხშირად უწევდა „ბოროტი ბიძიას“ როლის თამაში.

ყველაფერი საუკეთესოდ გამოვიდა. რომანის ეკრანიზაციამ ათენას საბოლოოდ დაუმკვიდრა უმაღლესი რანგის ვარსკვლავის სახელი. მაგრამ, საუბედუროდ, შექმნილმა ვითარებამ დროებით ყველანაირ სასიყვარულო კავშირზე უარი ათქმევინა.

კევინის ფილმის საცდელი გადაღებისას (რაც სრულ ფარსს წარმოადგენა, რადგან კევინის გარდა, ყველამ იცოდა, რომ ამ ფილმს გადაღება არ ეწერა) სავსებით მოსალოდნელი რამ მოხდა: კევინს ათენა შეუყვარდა. პროდიუსერის კვალობაზე ის საკმაოდ უმწიკვლო ახალგზარდაიყო და ათენას ყმაწვილური გზნებითა და გულწრფელობით ეარშიყებოდა. ერთ საღამოს ათენას გული მოულბა,

რასაც დანაშაულის გრძნობამაც შეუწყო ხელი, რაკი კევინსა და მის ფილმს ღალატობდა, და თაყვანისმცემელი საწოლში ჩაიწვინა. საკმაოდაც ისიამოვნა. კევინმა ცოლობა სთხოვა.

ამასობაში მილომ და ათენამ კლოდია დე-ლენას სთხოვეს, კევინის სცენარი გადაეკეთებინა. მან ის ფარსად აქცია. კევინი განრისხდა, კლოდია გააგდო და მთლად აუტანელი გახდა.

ათენას კევინთან კავშირი ხელს აძლევდა: ის მის სამუშაო განრიგს ხელს არ უშლიდა, კევინის ენთუზიაზმი საწოლში მართლაც სასიამოვნო იყო, ხოლო საქორწინო შემოთავაზება, თუნდაც არასასურველი, ათენას ეამაყებოდა, რაკი კევინი ერთ მშვენიერ დღეს „ლოდსტოუნის“ მფლობელი გახდებოდა.

მაგრამ ერთ ღამეს, როცა კევინი გაუთავებლად იმაზე ელაპარაკებოდა, თუ რა ფილმებს გადაიღებდნენ ერთად, ათენას ერთბაშად გონება გაუნათდა: „ამ ტიპს კიდევ ერთ წუთსაც რომ ვუსმინო, თავს მოვიკლავ“, - გაიფიქრა მან. იმ ადამიანთა მსგავსად, ვისაც ვინმესთვის ტკივილის მიყენება უჭირთ და სინდისის ქენჯნას უღვივებთ, ათენაც სრულებით გამოვიდა წონასწორობიდან და ყველაფერი ერთბაშად მიაყარა, რაკი იცოდა, რომ მერე მაინც დანაშაულის გრძნობით დაიტანჯებოდა. კევინს გამოუცხადა, რომ არა მხოლოდ ცოლად არ გაჰყვებოდა, არამედ აღარც დაწვებოდა მასთან და არც მის ფილმში ითამაშებდა.

კევინი სახტად დარჩა.

- კი, მაგრამ ჩვენ კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული. ყოველმხრივ

მღალატობ?

- ჰო! ყველაფერს მილო გეტყვის, - უთხრა ათენამ და საკუთარი თავი საშინლად შეზიზღდა, მაგრამ იმავდროულად, ფრიად საინტერესოდ ენიშნა ის, რომ კევინი ფილმის გამო უფრო მეტად დარდობდა, ვიდრე მათი სიყვარულის გამო.

ამ შემთხვევის შემდეგ ათენას მამაკაცებზე გული აუცრუვდა. კარიერა უკვე გაიკეთა, არავის მოქრთამვა აღარ სჭირდებოდა და გადაწყვიტა, ასკეტური ცხოვრებით ეცხოვრა. მამაკაცების სიყვარულზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა.

ათენა ექვითეინი კლოდია დე-ლენას მხოლოდ იმის გამო დაუმეგობრდა, რომ კლოდია დაჟინებით ესწრაფოდა ამ მეგობრობას, რადგან ათენას მიმართ დიდ სიმპათიას განიცდიდა. მათი შეხვედრა ერთ-ერთი ფილმის სცენარზე მუშაობისას შედგა, როცა ათენა ჯერ კიდევ არ იყო უმაღლესი რანგის ვარსკვლავი.

ათენამ სცენარის გადაკეთებისას დახმარება შესთავაზა და, თუმცა მწერლისთვის ეს ნაკლებსასურველი საქმეა, ძალზე ჭკვიანუარად იქცეოდა და მართლაც დაეხმარა. სიუჟეტსა და პერსონაჟებთან დაკავშირებული მისი შენიშვნები ყოველთვის საქმიანი და თითქმის მუდამ უანგარო იყო: ესმოდა, რომ რაც უფრო ძლიერი პერსონაჟებით იქნებოდა გარშემორტყმული, ეს მის საკუთარ როლს მით უფრო გაამდიდრებდა და სათამაშოც მეტი ექნებოდა.

ხშირად უწევდათ მალიბუში, ათენას სახლში ერთად მუშაობა და სწორედ იქ აღმოაჩინეს, რომ ძალზე ბევრი რამ ჰქონდათ საერთო.

ორივე სპორტული იყო: კარგად ცურავდა, გოლფსა და ჩოგბურთსაც საუცხოოდ თამაშობდა. წყვილში როცა თამაშობდნენ, ბევრჯერ მოუგიათ მამაკაცთა წყვილისთვის მალიბუს პლაჟის კორტებზე. მათი მეგობრობა ფილმზე მუშაობის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა.

კლოდიამ ათენას საკუთარი თავის შესახებ ყველაფერი უამბო. ათენა კი თითქმის არაფერს უყვებოდა. კლოდიამ მალევე ამოიცნო, რომ ერთგვარად ცალმხრივი მეგობრობა ჰქონდათ, მაგრამ ამაზეც თანახმა იყო. როცა უთხრა, რომ სტივენ სტოლინგზთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა, ათენამ გადაიხარხარა და ერთურთს გამოცდილება გაუზიარეს. იმაზე შეთანხმდნენ, რომ სტივენი ძალზე მომხიბვლელი მამაკაცი იყო, საწოლშიც - შეუდარებელი, ძალზე ნიჭიერი და მგრძნობიარე.

- თითქმის შენსავით ლამაზია, - უთხრა კლოდიამ, რომელიც მუდამ დიდსულოვნად აღიარებდა სხვის სილამაზეს.

ათენამ წაუყრუა. ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა ვინმე მის სიყვარულს ახსენებდა.

- ჩემზე უკეთესი მსახიობი თუა? - ხუმრობით ჰკითხა ათენამ.

- არა. შენ დიდებული მსახიობი ხარ, - უთხრა კლოდიამ, მერე კი, ათენას მეტი გულახდილობის გამოსაწვევად, დაუმატა: - მაგრამ ის შენზე ბევრად უფრო ბედნიერი ადამიანი ჩანს.

- მართლა? შესაძლოა, - უპასუხა ათენამ, - მაგრამ ოდესმე ჩემზე ბევრად უფრო უბედური გახდება.

- ჰო, კოკაინი და სასმელი ბოლოს მოუღებს. სიბერეში კარგი

არაფერი ელის, - დაეთანხმა კლოდია, - მაგრამ სტივი ჭკვიანია, იქნებ დროულად აიყვანოს თავი ხელში.

- არასოდეს ვისურვებდი მის ხვედრს. და არც მექნება, - გადაჭრით თქვა ათენამ.

- შენ ჩემი იდეალი ხარ, მაგრამ სიბერეს ვერც შენ შეაჩერებ. არც სვამ, არც კოკაინს მოიხმარ და დიდად არც დროს ტარებას ეძლევი, მაგრამ შენი საიდუმლოებები მოგიღებს ბოლოს, - უთხრა კლოდიამ.

- პირიქით, ჩემი საიდუმლოებები თუ მიხსნის. ისეთი ბანალური საიდუმლოებები მაქვს, მოსაყოლად არც ღირს. ვარსკვლავებს ცოტაოდენი იდუმალება გვჭირდება.

ყოველ შაბათს დილით, როცა არ მუშაობდნენ, საყიდლებზე როდეო-დრაივზე ერთად დადიოდნენ. კლოდია მუდამ აღფრთოვანებით შეჰყურებდა ათენას, რომელიც ისეთნაირად ახერხებდა გადაცმას, რომ ქუჩაში თუ მაღაზიაში არავის ეცნო. შავ პარიკს იკეთებდა და ფიგურისშესანიღბავად, თავისუფალ ტანისამოსს იცვამდა. სულ სხვანაირ მაკიაჟს იკეთებდა, რომლის წყალობითაც ნიკაპი და ტუჩები უფრო სქელი მოუჩანდა, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ სახის ნაკვთებსაც კი თითქოს იცვლიდა. საკონტაქტო ლინზებსაც იკეთებდა, რომელიც მწვანე თვალებს ჩვეულებრივი თაფლისფერით უცვლიდა. ლაპარაკში სამხრეთულ ინტონაციას ურევდა.

როცა რამეს ყიდულობდა, კლოდიას ერთ-ერთი საბანკო ბარათით ასწორებდა ანგარიშს, მერე კი, ერთად სადილობისას, თანხას ჩეკით უნაზღაურებდა. სასიამოვნო იყო რესტორანში ინკოგნიტოდ ჯდომა.

კლოდია ხუმრობდა, კიდევ კარგი, რომ სცენარისტებს არავინ ცნობსო.

თვეში ორჯერ კლოდია შაბათ-კვირას ათენასთან მალიბუს სანაპიროზე ატარებდა, ცურავდა და ჩოგბურთს თამაშობდა. კლოდიამ ათენას „მესალინას“ სცენარი წააკითხა და ათენამ ისეთი მოკრძალებით სთხოვა მთავარი როლი, თითქოს წამყვანი ვარსკვლავი არ ყოფილიყო და თითქოს კლოდიას არ უნდა ეთხოვა, პატივი დამდე და ჩემს ფილმში ითამაშეო.

ახლაც, როცა ფილმში დაბრუნების სათხოვნელად მიდიოდა, კლოდიას წარმატების იმედი ჰქონდა. ათენა ხომ, უარის თქმით, საკუთარ კარიერასთან ერთად, მის კარიერასაც მიაყენებდა ზიანს.

თვალში ეცა ათენას სახლთან მრავალრიცხოვანი პირადი დაცვა, რომელიც მალიბუს პლაჟის პოლიციას შემატებოდა.

ჭიშკართან ორი კაცი დახვდა, ბაღშიც - ორი. როცა სამხრეთამერიკელმა დიასახლისმა კლოდია სანაპიროს მხარეს მდებარე ვერანდამდე მიაცილა, მის წინ პლაჟზე კიდევ დაცვის ორი თანამშრომელი დაინახა. ყველანი ხელკეტებითა და რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი.

ათენამ კლოდია გულში ჩაიკრა და უთხრა:

- მომენატრები. ერთ კვირაში აქ აღარ ვიქნები.

- რამ გაგაგიჟა? - შეიცხადა კლოდიამ. - ვიღაც ქეციანი მაჩოს გულისთვის მთელ შენს ცხოვრებას ხაზი უნდა გადაუსვა?! ჩემს ცხოვრებასაც! ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი მშიშარა ხარ. მომისმინე,

დღეს და ხვალ შენთან დავრჩები. იარაღის ტარების ლიცენზიები ავიღოთ, სროლაში ვივარჯიშოთ და სულ რამდენიმე დღეში მაგარი მსროლელები გავხდებით.

ათენამ კვლავ სიცილით ჩაიკრა გულში.

- შენი მაფიოზური სისხლის ყივილია! - კლოდიას მისთვის კლერიკუციოს ოჯახისა და თავისი მამის შესახებაც ჰქონდა ნაამბობი.

სასმელი დაისხეს, რბილ სავარძლებში მოკალათდნენ და ოკეანის სილურჯეს მიაცქერდნენ.

- ვერ გადამათქმევინებ. მშიშარაც სულ ტყუილად გგონივარ, - უთხრა ათენამ. - ჩემი საიდუმლო გაინტერესებდა. გეტყვი, შენ კი სტუდიის ხალხს მოუყევი. იქნებ ამის შემდეგ მაინც გამიგოთ.

მერე ყველაფერი უამბო კლოდიას თავისი ოჯახის, ბაზ სკანეტის სადიზმისა და იმის შესახებ, თუ როგორ გამოექცა...

კლოდია მწერლური ალღოთი მაშინვე მიხვდა, რომ ამბავს რაღაც მნიშვნელოვანი დეტალი აკლდა, ათენა ყველაფერს ბოლომდე არ ამბობდა.

- ახლა ბავშვი სად არის? - ჰკითხა.

ათენამ მსახიობის შეუვალი ნიღაბი ჩამოიფარა.

- ახლა მეტს ვეღარაფერს გიამბობ. საერთოდ, შვილის ამბავი ჩვენ შორის უნდა დარჩეს. ეს ერთადერთი რამ არის, რის შესახებაც სტუდიაში კრინტი არ უნდა დაძრა. შენი იმედი მაქვს.

კლოდია მიხვდა, რომ მეტს ვეღარაფერს ათქმევინებდა.

- კი, მაგრამ ფილმს რატომ ტოვებ? ყოველმხრივ დაცული იქნები. გადაღების დასრულების შემდეგ კი გაუჩინარდები.

- არა. სტუდია მხოლოდ მანამდე დამიცავს, ვიდრე გადაღება გაგრძელდება, ეს კი საკმარისი არ არის. ბაზს ვიცნობ: მას ვერაფერი შეაჩერებს. აქ რომ დავრჩე, ფილმს მაინც ვერ დავასრულებ.

სწორედ იმწუთას შენიშნეს, საბანაოკოსტიუმიანი კაცი წყლიდან როგორ ამოვიდა და სახლისკენ გამოემართა. ორმა მცველმა შეაჩერა. ერთ-ერთმა ჩასტვინა და ბაღიდან კიდევ ორმა მოირბინა. წყლიდან ამოსული კაცი ოთხი მცველის პირისპირ აღმოჩნდა და უკან დახევა დააპირა.

ათენა შეცბა და ფეხზე წამოდგა.

- ბაზია. ამას ჩემ შესაშინებლად აკეთებს, სინამდვილეში ახლა თავდასხმას სულაც არ აპირებდა, - ვერანდის კიდემდე მივიდა და ქვემოთ მდგარ ხუთ კაცს დააცქერდა. კლოდიაც უკან გაჰყვა.

ბაზ სკანეტმა ქალებს ახედა, მზით დაბრმავებულს თვალები მოეჭუტა, შიშველი სხეული ულაპლაპებდა და გულისგამგმირავად ღონიერი ჩანდა.

- ეი, ათენა, სასმელზე ხომ არ დამპატიჟებ? - ღიმილით ამოსძახა ბაზმა.

- შხამი რომ მქონდეს, დაგპატიჟებდი, - უპასუხა ათენამ, - სასამართლო განჩინება დაარღვიე. თუ მოვინდომებ, შემიძლია, ციხეში გაგამწესო.

- ამას არ გააკეთებ. მე და შენ ერთმანეთთან მეტისმეტად ბევრი რამ

გვაკავშირებს. ბევრი საიდუმლო გვაქვს... - გაუღიმა ბაზმა და მერე ისეთი სასტიკი გამომეტყველება მიიღო, რომელმაც კლოდიას კლერიკუციოს ოჯახის მამაკაცები გაახსენა.

ერთ-ერთმა მცველმა თქვა:

- საზოგადოებრივი პლაჟიდან ღობეს შემოუარა და ისე შემოცურა. იქ, როგორც ჩანს, მანქანა უდგას. თუ გნებავთ, დავაკავებთ.

- არა, მანქანამდე მიაცილეთ და სააგენტო გააფრთხილეთ, სახლის გარშემო ოთხი დამატებითი მცველი დააყენონ.

ბაზი კვლავ ქანდაკებასავით იდგა თავაწეული.

- შეხვედრამდე, ათენა! - გასძახა ბოლოს და დაცვამ ეზოდან გაიყვანა.

- მართალი ხარ, საშიში ვინმეა. მის შესაჩერებლად ზარბაზნების სროლა მოგვიწევს.

- ვიდრე აქედან გავიქცევი,დაგირეკავ, - თეატრალურად წარმოთქვა ათენამ, - უკანასკნელი საღამო ერთად გავატაროთ.

კლოდია ლამის ტიროდა. ბაზმა სერიოზულად შეაშინა.

- ახლავე გავფრინდები ვეგასში, ჩემს ძმასთან. კროსი ჭკვიანია, უამრავი კავშირი აქვს. დარწმუნებული ვარ, დაგეხმარება. ჩემს დაბრუნებამდე არსად წახვიდე.

- რატომ უნდა დამეხმაროს? ან როგორ? მაფიაშია?

- არა. ჩემი ხათრით დაგეხმარება. ჩემსა და მამაზე მეტად არავინ უყვარს, - ამაყად უთხრა კლოდიამ.

- შენს ძმაზე რაღაც საეჭვო წარმოდგენა მაქვს, - წარბები შეკრა

ათენამ, - კინოს სფეროში მომუშავე ქალისთვის მეტისმეტად გულუბრყვილო ჩანხარ. თანაც, არ მესმის, ამდენ კაცთან როგორ იწექი: არც მსახიობი ხარ და, მგონი, არც კახპა.

- დასამალი არაფერი მაქვს, - გაეღიმა კლოდიას, - მამაკაცებს ჰკითხე, ამდენ ქალთან რატომ წვანან... მოკლედ, ვეგასში მივდივარ. იცოდე, ფეხი არ მოიცვალო.

იმ ღამით ათენა ვერანდაზე იჯდა და უმთვარო ცის ქვეშ შავად გაწოლილ ოკეანეს გაჰყურებდა. თავის გეგმებზე ფიქრობდა და კლოდიას გამო გული ეწურებოდა: მაინც რა მიამიტია, თავის ძმას სრულიად არ იცნობს! თუმცა, სიყვარული ბრმაა.

იმავე დღეს კლოდია სკიპი დირს შეხვდა და ათენას ამბავს მოუყვა. ორივე ერთხანს მდუმარედ იჯდა. მერე სკიპიმ თქვა:

- ყველაფერი არ უთქვამს. ბაზთან მოსალაპარაკებლად მივედი, ფული შევთავაზე. უარი მითხრა, თან დამემუქრა, თუ რამეს მოვიმოქმედებთ, ისეთ ფაქტებს გამოამზეურებს, რომლებიც გაგვანადგურებს. იმის შესახებ, რაც ათენამ შვილს დამართა.

- ტყუილია! - გაცხარდა კლოდია. - ათენას ვინც იცნობს, ვერ დაიჯერებს, რომ საკუთარ შვილს რამე შეიძლება დაუშავოს!

- მართალი ხარ, მაგრამ ოცი წლის როცა იყო, არც მე და არც შენ არ ვიცნობდით, - უთხრა სკიპიმ.

- ფეხებზე მკიდია! ახლავე ვეგასში მივფრინავ კროსთან სალაპარაკოდ. ის ყველა თქვენგანზე უფრო ჭკვიანიცაა და გაბედულიც.

- არა მგონია, ბაზ სკანეტის შეშინება შეძლოს. ჩვენ ეს უკვე ვცადეთ, - უთხრა დირმა, თუმცა გონებაში გაუელვა, რომ შესაძლოა, ეს არცთუ ურიგო იდეა იყო. კროსის შესახებ რაღაც-რაღაცები იცოდა: კროსს კინობიზნესთან კავშირის დამყარება სურდა, დირის ექვს ფილმში ჩადო ინვესტიცია, მაგრამ ყველაფერი დაკარგა, ასე რომ, მაინცდამაინც გამჭრიახი არ ეთქმოდა. მასზე ხმები დადიოდა, მაფიასთან არისო დაკავშირდებული, მაგრამ დირის აზრით, მაფიასთან თითქმის ყველას ჰქონდა რაღაც კავშირი. ეჭვი ეპარებოდა, რომ კროსი ბაზს რაიმეს მოუხერხებდა. მაგრამ ჭკვიანი პროდიუსერი ვალდებულია, ყველა შანსი გამოიყენოს, ამიტომაც გაიფიქრა, იქნებ კროსს ფილმისთვის ფული გამოვტყუოო. სასარგებლო იყო უმცროსი პარტნიორების ყოლა, რომლებსაც ფილმის ხარჯზე კონტროლი არ გააჩნდათ. ბოლოს კლოდიას უთხრა:

- შენთან ერთად მეც წამოვალ.

კლოდია დე-ლენას სკიპი დირი უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ სკიპიმ ერთხელ ნახევარი მილიონი დოლარი „მოუტეხა“. სკიპი მისი ცოდვების გამოც უყვარდა, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამოც. მასთან მუდამ საინტერესო იყო საუბარი და უნარიანი პროდიუსერიც იყო.

წლების წინ ერთად მუშაობდნენ ფილმზე და ძალიან დამეგობრდნენ. სკიპი მაშინ უკვე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და გამორჩეულ პროდიუსერად ითვლებოდა. ერთხელ გადაღების დროს, პავილიონში მსახიობმა მამაკაცმა დაიკვეხა, სკიპის ცოლთან ვიწექიო.

სკიპიმ მისი ტრაბახი სამი სართულის სიმაღლეზე განთავსებული ანტრესოლიდან გაიგონა, იქიდან გადმოხტა, მსახიობს მხარი მოსტეხა და ცხვირის ძგიდე ჩაუმსხვრია.

კლოდიას კიდევ ერთი შემთხვევა გაახსენდა. სკიპისთან ერთად როდეო-დრაივზე მისეირნობდა და ვიტრინაში ულამაზესი ბლუზა შენიშნა: თეთრი, ოდნავ შესამჩნევი ლურჯი ტალღოვანი ზოლებით, მონეს ფერწერას რომ მოგაგონებდათ. მაღაზია იმდენად ფეშენებელური იყო, რომ იქ მოსახვედრადაც კი, ექიმის კაბინეტის მსგავსად, წინასწარ ჩაწერა იყო საჭირო. მაგრამ მათთვის ეს პრობლემა არ იყო, რადგან სკიპი დირი მაღაზიის მეპატრონესთან მეგობრობდა, ისევე, როგორც სტუდიის მეპატრონეებთან, დიდი კორპორაციების შეფებთან, დასავლური სამყაროს ძალაუფლების მქონე პირებთან...

მაღაზიაში კლერკმა უთხრა, რომ ბლუზა ხუთასი დოლარი ღირდა. კლოდიამ მხრები აიჩეჩა და ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა.

- ხუთასი დოლარი ერთ ბლუზაში? მასხრად მიგდებთ?

კლერკმა მის უტიფრობას სათანადო პასუხი შეაგება:

- ის ხელითაა დამზადებული... უნატიფესი ქსოვილისგან. ასეთ ლურჯ ფერს სხვაგან ვერსად ნახავთ. ძალზე ზომიერი ფასია.

- ნუ იყიდი, კლოდია, - ღიმილით უთხრა სკიპიმ, - იცი, რა ეღირება მისი წმენდა? სულ ცოტა, ოცდაათი დოლარი. თითო ჩაცმა ოცდაათი დოლარი დაგიჯდება. თანაც, ბავშვივით უნდა მოუფრთხილდე: საჭმლით არ დაალაქაო, არც სიგარეტი მოსწიო. ერთი პაწაწინა

ნახვრეტი და ხუთას დოლარს ქარს გაატან.

კლოდიამ კლერკს მიმართა:

- მითხარით, ამ ბლუზას თუ ვიყიდი, საჩუქარი მეკუთვნის?

ელეგანტურად ჩაცმულ კლერკს თვალზე ცრემლი მოადგა. მან მუდარით უთხრა:

- გთხოვთ, დატოვეთ მაღაზია.

კლოდია და სკიპი ქუჩაში გავიდნენ.

- როდიდან აქვს კლერკსკლიენტის გარეთ გაგდების უფლება? - გაეცინა კლოდიას.

- ეს როდეო-დრაივია, - უთხრა სკიპიმ, - მადლობა თქვი, რომ საერთოდ, შიგნით შეგიშვეს.

მეორე დღეს სტუდიაში სამუშაოდ მისულ კლოდიას მაგიდაზე შეფუთული საჩუქარი დახვდა. შიგნით ერთი დუჟინი ბლუზები იდო ბარათით: „მხოლოდ „ოსკარის“ დაჯილდოებებზე ჩასაცმელად“.

მოგვიანებით კლოდია მიხვდა, რომ სკიპიც და მაღაზიის კლერკიც ატყუებდნენ. მერე არაერთხელ ნახა ზუსტად ისეთივე ფერის მოლურჯო ზოლი ქალის კაბასა და ასდოლარიან ექსკლუზიურ ბენდენაზე.

ის ფილმი, რომელზეც ერთად მუშაობდნენ, დაბალი რანგის სასიყვარულო ამბავს ასახავდა და ისევე შორს იყო „ოსკარისგან“, როგორც სკიპი - ზეციური დასისგან. მაგრამ კლოდიას მისი ყურადღება მაინც ესიამოვნა.

მერე კი დადგა დღე, როცა მათ მიერ გადაღებულმა სურათმა

ასმილიონდოლარიანი მოგების ჯადოსნური ზღვარი გადალახა და კლოდიამ იფიქრა, ახლა კი გავმიდრდიო. სკიპიმ ამის აღსანიშნავად, სადილზე დაპატიჟა და განსაკუთრებული ხუმრობის ხასიათზე ჩანდა.

- ეს დღე ჩემთვის მართლაც რომ იღბლიანია, - დაიწყო სკიპიმ, - ჩემმა ფილმმა ას მილიონზე მეტი მომიტანა, დილიდან ბობი ბენცის მდივანმა მაგარი მინეტი გამიკეთა, წუხელ ღამით კი ჩემი ყოფილი ცოლი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

სუფრასთან კიდევ ორი პროდიუსერი იჯდა. ორივეს სახეზე უკმაყოფილება გამოესახა. კლოდიას ეს ტლანქი ხუმრობა ეგონა, მაგრამ დირმა პროდიუსერებს აუხსნა:

- ვხედავ, შურით სკდებით. აწი, წელიწადში ხუთასათასდოლარიანი ალიმენტის გადახდა აღარ მომიწევს, ჩემი შვილები კი დედის მამულის მფლობელები გახდებიან, რომელიც ჩემი ფულითაა ნაყიდი, ასე რომ, მათი რჩენა აღარ მომიწევს.

კლოდიას ეს ყველაფერი არ ესიამოვნა. სკიპის ეს არ გამოჰპარვია და ასე მიმართა:

- მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ყველა მამაკაცი ფიქრობს, - უბრალოდ, სხვები ამის გამჟღავნებას ვერ ბედავენ.

სკიპი დირმა კინობიზნესში ფსკერიდან მწვერვალამდე ურთულესი გზა გამოიარა. ხარატის ვაჟი იყო, მამას ჰოლივუდში კინოვარსკვლავთა სახლების მოპირკეთებაში ეხმარებოდა და ისეთ გარემოებათა წყალობით, რაც მხოლოდ ჰოლივუდშია შესაძლებელი, ერთი ხანში შესული მსახიობი ქალის საყვარელი გახდა. ვიდრე სკიპის

თავიდან მოიცილებდა, ყოფილმა ვარსკვლავმა მას თავისი აგენტის ოფისში შეგირდის ადგილი უშოვა.

ბევრს შრომობდა, საკუთარი სიხარბის მოთოკვაც ისწავლა და ბევრი სხვა რამეც. უპირველესად ის, თუ როგორ უნდა მოპყრობოდა ნიჭიერებს; ახალგაზრდა ფიცხ რეჟისორებსა და თავმომწონე ვარსკვლავებს უჟმურ მწერლებსა და სცენარისტებთან არიგებდა. საკუთარ დიპლომატობასთან დაკავშირებით თვითონვე ხუმრობდა და აღორძინების ხანის ერთ ისტორიულ ეპიზოდს იხსენებდა, როცა ერთ-ერთი კარდინალი, რომის პაპ ბორჯას დავალებით, საფრანგეთის მეფეს თხოვნით ეახლა. პაპისადმი უპატივცემულობის ნიშნად, მეფემ შარვალი ჩაიხადა და კარდინალს უკანალი უჩვენა. „ო, ანგელოზის უკანალი!“ - შესძახა კარდინალმა და სასწრაფოდ ემთხვია.

თუმცა დირი, დიპლომატიის გარდა, კიდევ ბევრ აუცილებელ ბერკეტს დაეუფლა. ვაჭრობის მთავარ პრინციპად გაიხადა: „სასურველის მისაღებად ყველაფერი მოითხოვე“. ლიტერატურაში გაერკვა და ფილმისთვის შესაფერისი ნაწარმოების უტყუარად ამოცნობა შეეძლო. მსახიობური ნიჭის ამოცნობაშიც გაიწაფა. პროდიუსერობის საქმეც ისე ღრმად შეისწავლა, რომ ფილმის ბიუჯეტიდან ფულის მოპარვაში ვერავინ შეეჯიბრებოდა. წარმატებული პროდიუსერი გახდა: ისეთი, რომელსაც შეეძლო, ფილმზე სცენარის 50 პროცენტისა და გამოყოფილი ბიუჯეტის 70 პროცენტი დაეხარჯა.

კითხვის წყურვილი ძალიან ეხმარებოდა. სცენარის წერაც კი შეეძლო, თუმცა ცხადია, მთლად სუფთა ფურცლიდან - არა: სცენების

ამოგდება და დიალოგების გადაწერა კი გამოსდიოდა, ისეთ პატარა ეფექტურ ეპიზოდებსაც იგონებდა, რომლებიც შესანიშნავად ერწყმოდა ფილმს, თუმცა მისი სიუჟეტისთვის საჭიროებას არ წარმოადგენდა. ყველაზე მეტად თავისი გრანდიოზული ფინალები ეამაყებოდა: მუდამ პათეტიკური, კეთილისა და ბოროტის ხაზგასმული დაპირისპირებითა და შთამბეჭდავი ტრიუმფით ან, თუკი ეს არ იყო საჭირო, - მარცხთან მშვიდი შეგუებით. თავის შედევრად იმ ფილმის ფინალს თვლიდა, რომელიც ნიუ-იორკზე ატომური ბომბის ჩამოგდების ამბავს მოგვითხრობდა. ფინალში ყველა პერსონაჟი იმაზე უკეთეს ადამიანებად წარმოაჩინა, ვიდრე თავდაპირველად ჩანდა. ყველანი, თვით ბომბის ჩამომგდებიც კი, მოყვასის სიყვარულს ამჟღავნებდნენ. ამ ფინალზე სამუშაოდ სკიპის დამატებით ხუთი სცენარისტის დაქირავებამ მოუწია.

თუმცა ყველაფერ ამას სკიპისთვის ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ფინანსური ალღო რომ არ ჰქონოდა. ინვესტიციებს, შეიძლება ითქვას, ჰაერში შოულობდა. მის მეგობრობას მდიდარი მამაკაცები ეშურებოდნენ, ლამაზი ქალები კი მკლავზე ეკონწიალებოდნენ. რეჟისორები და ვარსკვლავები იმას უფასებდნენ, რომ ცხოვრების სიამეთა გემო იცოდა. სტუდიებს ჯადოქრობის ძალით აცლიდა ფულს და ისიც მშვენივრად ესმოდა, რომ კარგ ქრთამს ნებისმიერი ფილმისთვის მწვანე შუქის ანთება შეეძლო. საშობაოდ უსასრულოდ ბევრ მისალოცსა და საჩუქარს ურიგებდა ვარსკვლავებსაც, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსაც და სამართლის

სისტემის მესვეურებსაც კი. ყველას ძვირფას მეგობრებად თვლიდა და, როცა სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლოთ, საჩუქრების სიიდან შლიდა, თუმცა მისალოცებს უწინდებურად უგზავნიდა.

პროდიუსერობის ერთ-ერთი საიდუმლო ის იყო, რომ ხელში რაღაცუნდა სჭეროდა - თუნდაც ისეთი რომანი, რომელსაც მკითხველის მასაში დიდი წარმატება არ ჰქონია; რაღაც ხელმოსაჭიდი, რის შესახებაც სტუდიებს მოელაპარაკებოდა. ამიტომაც ნაწარმოებების ეკრანიზაციის უფლებებს ხუთწლიანი ვადით ყიდულობდა. სცენარებსაც ყიდულობდა და მერე თავის გემოზე ცვლიდა. სცენარისტებთან თანამშრომლობა გამოსდიოდა, თუმცა მათ უმეტესობას ზიზღით უყურებდა და უსიამოვნო პიროვნებებად თვლიდა.

კლოდია დე-ლენას ყველაზე კარგად შეეწყო. ჭკვიანი გოგო ჩანდა, სიმპათიური. სკიპიმ გადაწყვიტა, მისთვის ბევრი რამ ესწავლებინა. სამი თვე განუყრელად გაატარეს სცენარზე მუშაობაში. ერთად სადილობდნენ, ერთად თამაშობდნენ გოლფს (სკიპიმ ძალზე გაიკვირვა, როცა კლოდიამ მოუგო); დოღზეც იყვნენ, სკიპის საცურაო აუზშიც ცურავდნენ, ვიდრე საბანაოკოსტიუმებიანი მდივნები მათი კარნახით იწერდნენ სცენარის ახალ ვარიანტს. კლოდიამ დირი ვეგასშიც კი წაიყვანა და კროსს გააცნო. დროდადრო საწოლშიც ერთად იყვნენ, ესეც ძალზე მოსახერხებელი იყო.

ფილმმა მათ დიდი მოგება მოუტანა და კლოდია დარწმუნდა, რომ სკიპის პროცენტებიდან მიღებული პროცენტებით გამდიდრებას

შეძლებდა, რადგან სკიპი მუდამ დიდ პროცენტებს ეშურებოდა. მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ სკიპი ორმაგ პროცენტს იღებდა, ერთს საბითუმო შემოსავლიდან, ერთსაც - სუფთა მოგებიდან, ხოლო კლოდიას წილი სწორედ დირის სუფთა მოგების პროცენტს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ფილმმა ასი მილიონი მოიტანა, სცენარისტს მოგებიდან არაფერი ერგო. სტუდიაში მიღებულმა საანგარიშო წესებმა, დირის საბითუმო შემოსავალმა და ფილმის წარმოებაზე გაწეულმა ხარჯებმა სუფთა მოგება ნულამდე დაიყვანა.

კლოდიამ უჩივლა და სკიპიმ მეგობრობის შენარჩუნების ხათრით, შედარებით მოკძრალებული თანხა შესთავაზა. როცა კლოდიამ უსაყვედურა, სკიპიმ მიუგო:

- ეს ჩვენს პირად ურთიერთობებს არ ეხება, ეს ჩვენი ადვოკატების საქმეა.

სკიპის ხშირად უყვარდა გამეორება:

- ოდესღაც მეც ადამიანი ვიყავი, მაგრამ მერე ცოლიანი გავხდი.

უფრო მეტიც: თავდავიწყებით შეუყვარდა. ეპატიებოდა კიდეც, რადგან ახალგაზრდა იყო და უკვე ჰქონდა იმდენი ალღო, რომ ქალში ნიჭიერი მსახიობი ამოეცნო. ამაში არც შემცდარა, თუმცა მის ცოლს ქრისტის მაინც რაღაც აკლდა, რაც კინოვარსკვლავისთვის აუცილებელია. ქალის მესამეხარისხოვან როლებზე უკეთესს ვერაფერს მიაღწია.

დირს ის გულწრფელად უყვარდა და როცა საკმაო გავლენა მოიპოვა, ყველა ღონე იხმარა, რათა ცოლისთვის ეკრანისკენ გზა

გაეკვლია. რამდენიმე ფილმში მეორეხარისხოვანი როლი გაუხერხა. მაგრამ ასაკთან ერთად, ცოლი სამუშაოს ჩამოშორდა. ორი შვილი გაუჩნდათ. და მაინც, ქალი უფრო და უფრო უბედურად გრძნობდა თავს, რასაც სკიპის სამუშაო დრო ეწირებოდა.

სხვა წარმატებული პროდიუსერების მსგავსად, სკიპიც ძალზე დაკავებული იყო. ბევრი მოძრაობა უწევდა, უამრავ მომხიბლავ ქალთან ურთიერთობის გამო, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, ძალაუნებურად აბამდა ახალ-ახალ რომანებს, თუმცა ცოლი უწინდებურად ძლიერ უყვარდა.

ერთხელ სკიპის მოუტანეს სცენარი, რომელშიც მისი ცოლისთვის ზედგამოჭრილი როლი იყო. მძიმე შინაარსის ფილმი გახლდათ: ქალს ახალგზარდა პოეტი უყვარდება, მეუღლეს კლავს, შემდეგ კი შვილების დარდსა და ნათესავების ეჭვებს ვერ უმკლავდება და სახლიდან გარბის. ბოლოს, რაღა თქმა უნდა, ყველა ერთმანეთს ურიგდება. იშვიათი სისულელე იყო, მაგრამ მაყურებელს მოეწონებოდა.

სკიპი ორი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: სტუდია ფილმის გადაღებაზე უნდა დაეყოლიებინა და იმისთვისაც უნდა მიეღწია, რომ მთავარი როლი ქრისტისთვის მიეცათ.

ყველა შესაძლებლობა გამოიყენა. არც ფული დაიშურა, არც დიპლომატია. მამაკაცის მთავარი როლისთვის საუკეთესო მსახიობი მონახა და რეჟისორობა დიტა ტომის დაავალა. ყველაფერი სიზმარივით ახდა. ქრისტიმ შესანიშნავად ითამაშა, სკიპიმ საუცხოოდ გაართვა თავი პროდიუსერობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტის

პროცენტი ფილმს მოხმარდა.

გადაღების მანძილზე ცოლისთვის არც კი უღალატია, თუ არ ჩავთვლით ერთ ღამეს, როცა საორგანიზაცო საქმეების გამო ლონდონში დარჩენამ მოუწია, ისიც იმიტომ, რომ იქ ერთ საოცრად გამხდარ გოგონას გადაეყარა და მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო ჩაუწვა ლოგინში.

ყველაფერი გამოუვიდათ. ფილმი ფინანსურად მოგებიანი აღმოჩნდა და ქრისტიმ ქალის მთავარი როლის შესრულებისთვის კინოაკადემიის მთავარი პრიზი დაიმსახურა.

როგორც სკიპი დირმა კლოდიას შემდგომში უთხრა, ეს სწორედაც რომ საუკეთესო ფინალი უნდა ყოფილიყო: ამის შემდეგ დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ. მაგრამ წარმატებამ მის ცოლს თავდაჯერება შემატა, მას, როგორც „ოსკარის“ მფლობელს, ლამაზი ქალების როლებს სთავაზობდნენ. სკიპი თავისთვის უფრო შესაფერისი არჩევანის გაკეთებას ურჩევდა, რადგან მომდევნო როლი მისი კარიერისთვის გადამწყვეტი იქნებოდა. ცოლის ღალატის გამო არასოდეს უდარდია, პირიქით, ბუნებრივადაც თვლიდა, ქალს გადაღებისას ცოტა დრო ეტარებინა. მაგრამ „ოსკარის“ შემდეგ მას თაყვანისმცემელთა ჯარი მოაწყდა, მისი სახე ჟურნალების ყდაზე იბეჭდებოდა, დამწყები მსახიობები როლის მიღების იმედით, სიყვარულს უხსნიდნენ და ქრისტიმ მეორე ახალგაზრდობას განიცდიდა. ღიად დაიწყო მასზე თხუთმეტი წლით უმცროს საყვარლებთან ერთად სიარული. ჭორიკანა ჟურნალისტებში

მითქმა-მოთქმა ატყდა, ფემინისტები აგულიანებდნენ.

სკიპი დირი ამასაც გაგებით მოეკიდა. ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ხომ ჟიმავდა ახალგაზრდა გოგონებს, მაშ, ცოლსიგივე სიამოვნებას როგორ აუკრძალავდა?! მაგრამ აღარც ქრისტის კარიერის წინ წაწევას შეეცდებოდა, რაც ისედაც უკვე საკმაო ძალისხმევად დაუჯდა. მით უმეტეს, მას მერე, რაც ცოლს თავხედობა ეყო და თავისი ახალგაზრდა საყვარლისთვის მოსთხოვა როლი. სკიპი მისთვის აღარც სცენარებს არჩევდა, აღარც რეჟისორებსა და სტუდიის მფლობელებთან უწყობდა საქმეს. მათი უმრავლესობა კი სკიპისთანა შუა ხნის მამაკაცები იყვნენ და, მამაკაცური სოლიდარობიდან გამომდინარე, ქრისტის ბოიკოტი გამოუცხადეს.

ქრისტიმ კიდევ ორ ფილმში ითამაშა წამყვანი როლი, ორივეჯერ - წარუმატებლად, რადგან როლები მის იმიჯს არ შეესაბამებოდა. ამით ამოიწურა ის პროფესიული კრედიტი, რომელსაც აკადემიის პრიზი ანიჭებდა. სამი წლის შემდეგ ის კვლავინდებურად მნიშვნელობით მესამეხარისხოვან როლებზე გადაიყვანეს.

ამ დროისთვის შეუყვარდა ახალგზრდა კაცი, რომელიც პროდიუსერობას აპირებდა, ბევრი რამით ჰგავდა სკიპის, ოღონდ ეს იყო, საწყისი კაპიტალი სჭირდებოდა.

ქრისტიმ განქორწინება მოსთხოვა და წელიწადში 500.000-

დოლარიანი ალიმენტი მიიღო. მის ადვოკატებს არაფერი გაუგიათ იმის შესახებ, რომ სკიპი ევროპაშიც დიდძალ შემოსავალს იღებდა, ასე რომ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდა. ახლა კი,

შვიდი წლის შემდეგ, ქრისტი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. სკიპის ის ამ დრომდე მისალოცების სიაში ჰყავდა, მაგრამ, ამასთანავე, ქმარყოფილმა კიდევ ერთ სიაშიც შეიყვანა, რომლის დევიზიც იყო: „ერთადერთხელ ვცხოვრობთ“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სკიპი მის სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა.

ასე და ამგვარად, კლოდია სკიპი დირის მიმართ არაერთგვაროვნად იყო განწყობილი. ეს ადამიანი სხვებს გაბედულად უჩვენებდა თავის ნამდვილ სახეს, ცხოვრებით ტკბებოდა, თვალებში გიყურებდა და მეგობარს გიწოდებდა მაშინ, როცა ხედავდა, რომ შესანიშნავად იცოდი, რომ ნამდვილ მეგობრობას არასოდეს გაგიწევდა. ხალისიანი, სიმპათიური და ფლიდი კაცი იყო. გარდა ამისა, კლოდიამ იცოდა, რომ სკიპის ადამიანის დარწმუნების იშვიათი უნარი ჰქონდა და კროსს მასზე უკეთ ვერავინ გაუგებდა. პირველივე თვითმფრინავით ვეგასში გაფრინდნენ.

წიგნი IV - კროს დე-ლენა კლერიკუციოს ოჯახი - თავი 6

კროსს ოცდაერთი წელი რომ შეუსრულდა, პიპი დე-ლენა სასწრაფოდ შეუდგა შვილის ბედის გადაწყვეტაზე ზრუნვას. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მამაკაცის ცხოვრებაში შემოსავლის წყაროა გადამწყვეტი. ლუკმაპურის შოვნა უნდა შეეძლოს, სახლ-კარი მოიწყოს, შვილები გაზარდოს. რათა ამას ჯაპანწყვეტის გარეშე

მიაღწიოს, გარკვეულ ძალაუფლებას უნდა ფლობდეს. აქედან თავისთავად გამომდინარეობდა, რომ კროსს კლერიკუციოს ოჯახში თავისი ადგილი უნდა დაემკვირებინა, ამას კი გარკვეული გამოცდის გარეშე ვერ მიაღწევდა.

ოჯახზე კროსმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ოდესღაც წვეულებაზე მის მიერ დანტესადმი ნათქვამი სიტყვები თვით დონ დომენიკოს ისე მოეწონა, რომ ხშირად გაბრწყინებული სახით სხვებს უმეორებდა. როცა დანტემ კროსს უთხრა, მამაშენს მეტსახელად „ეროს“ უწოდებენო, კროსმა უპასუხა: „ეს არც შენ იცი, არც მე და არც არავინ. ეგ ბრიყვული ქუდი სად იშოვე?“ შესანიშნავი პასუხიაო, აღტაცებით ამბობდა დონი და თვლიდა, რომ ასეთი ახალგზარდა კაცის მხრიდან მსგავსი თავშეკავება და გონებამახვილობა მამამისისთვის საამაყო იყო. როცა პიპის ამცნეს დონის გადაწყვეტილება, ამ ბიჭს შანსი უნდა მივცეთო, მიხვდა, რომ მომენტი ხელიდან არ უნდა გაეშვა.

მამა კროსის მომზადებას შეუდგა. ისეთ მოვალეებთან გზავნიდა, ვისგანაც გადასახადის აღება რთული იყო და ძალას მოითხოვდა. ოჯახის ისტორიას უამბობდა და მისი საქმიანობის ნიუანსებს უხსნიდა. ყველაფერი მარტივი იყო. ჯერ მცირე ტერიტორიას შემოსაზღვრავ და ამ ტერიტორიაზე მიზანს იპოვი. ვითარებას კარგად რომ შეისწავლი, მერე ავტომანქანა და პირადი დაცვა გჭირდება, რამდენიმე მანქანა და მსროლელები - შესაძლო მდევრების მოსაგერიებლად, და საიმედო სამალავი, სადაც დროებით თავს შეაფარებ, რომ მალევე არ მოეცეთ

შენი დაკითხვის შესაძლებლობა. საქმეს მეტი ფანტაზია არ სჭირდებოდა.

ზოგიერთი კოდური სიტყვაც აუხსნა, მაგალითად, ისეთ შემთხვევას, როცა მოკლულის გვამი დანაშაულის ადგილიდან ქრებოდა, „ზიარებას“ უწოდებდნენ, ხოლო როცა გვამს მიაგნებდნენ, ამას „ნათლობას“ ეძახდნენ.

უამბო სანტადიოს ოჯახთან დიდი ომის შესახებ, რომლითაც კლერიკუციოს გვარმა პირველობა დაიმკვიდრა. ამ ომში საკუთარ როლზე პიპის არაფერი უთქვამს და საერთოდ დეტალებს არ ჩაღრმავებია. ჯორჯოს, ვინსენტისა და პიტის გმირობები ცამდე აიყვანა, ყველაზე მეტად კი დონ დომენიკოს წინდახედულობას ასხამდა ხოტბას.

კლერიკუციოს მრავალ სფეროში ჰქონდა ფესვები გადგმული, უპირველეს ყოვლისა კი ყველანაირი აზარტული თამაშებითა და გართობის ბიზნესით მდიდრდებოდა. დიდი გავლენა ჰქონდა ინდიელების კაზინოთა ქსელსა და ტოტალიზატორზე, რომელიც ნევადაში ლეგალური იყო, დანარჩენ შტატებში კი - იატაკქვეშა. ოჯახი სათამაშო ავტომატების ფაბრიკებსაც ფლობდა, თავისი წილი ჰქონდა ბანქოს ქაღალდისა და კამათლების, ფაიფურისა და ვერცხლის ჭურჭლის წარმოებაში და კაზინო-რესტორნებისთვის მომსახურე ოფისებსაც ფლობდა. აზარტული თამაშები ოჯახური იმპერიის უდიდესი ბრილიანტი იყო. ის ყველა შტატში აზარტული თამაშების ლეგალიზაციისთვის საზოგადოებრივ კამპანიას აწარმოებდა.

აშშ-ში თამაშების ლეგალიზაცია კლერიკუციოს ოჯახისთვის სანატრელ „წმინდა გრაალად“ იქცა. კაზინოებისა და ლატარიების გარდა, ეს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაზე ნაძლევებს ითვალისწინებდა - ბეისბოლში, ფეხბურთში, კალათბურთსა და სხვა სახეობებში. ამერიკაში სპორტს აღმერთებდნენ, ხოლო ლეგალიზებასთან ერთად მისი ღვთაებრივი ნათელი აზარტულ თამაშებსაც მოეფრქვეოდა. ოჯახს ეს არნახულ მოგებას უქადდა.

ჯორჯოს კომპანია რამდენიმე ლატარიას აწარმოებდა. მსოფლიოს ჩემპიონატის პერიოდში მთელ აშშ-ში ტოტალიზატორიდან აღებულმა თანხამ ორ მილიარდს მიაღწია, მეტწილად - არალეგალური ფსონების ხარჯზე. ვეგასში მხოლოდ ლეგალურმა ფსონებმა ხუთი მილიონი შეადგინა. კალათბურთი ნაკლებმოგებიანი იყო, მაგრამ ჩემპიონატებზე სეზონში მილიარდამდე მაინც გროვდებოდა.

ამ ბიზნესის ლეგალიზაციის შედეგად მოგება ორჯერ ან სამჯერაც კი გაიზრდებოდა საგანგებო ლატარიებისა თუ კომბინირებული ტოტალიზატორის ხარჯზე, მსოფლიოს ჩემპიონატის შემოსავალი კი სულაც გაათმაგდებოდა და შეიძლებოდა, დღეში მილიარდისთვისაც კი მიეღწია. სულ ერთი ჩემპიონატიდან შეიძლებოდა, ასი მილიარდიც კი შეგროვილიყო და მთელი ეშხი ის იყო, რომ ეს ბიზნესი არაფრის წარმოებას არ მოითხოვდა, მხოლოდ მარკეტინგი და ადმინისტრაცია იყო საჭირო. ეს ოჯახს, საერთო ჯამში, წელიწადში ხუთ მილიარდ სუფთა მოგებას მოუტანდა.

კლერიკუციოს ოჯახს ამ ბიზნესის გასაკონტროლებლად

აუცილებელი გამოცდილება, პოლიტიკური კავშირები და გავლენა ჰქონდა. აზარტი მაგნიტივით მიიზიდავდა ოქროს იმ საბადოდან, რომელსაც ამერიკელი ხალხი წარმოადგენდა.

თამაშის ბიზნესს მინიმალური რისკი და დიდი სამომავლო პოტენციალი ჰქონდა. ამ ბიზნესის ლეგალიზების მიღწევა ყველაფრის ფასად და რისკადაც კი ღირდა.

ოჯახი ნარკოტიკებითაც მდიდრდებოდა, მაგრამ ვაჭრობას მხოლოდ ძალზე მაღალ დონეზე აწარმოებდა. ეს ფრიად სახიფათო იყო. ამ საქმეს ძირითადად, ევროპაში წარმართავდა და მოგებულ ფულს ბანკების საკუთარ ქსელში ათეთრებდა. კანონი ვერაფერში შეედავებოდა.

პიპიმ შვილს ისიც აუხსნა, რომ ამ ყველაფრის ფონზე არსებობდა მომენტები, როცა რისკი გარდაუვალი და აუცილებელიც კი იყო, და ამ დროს კლერიკუციოს თავისი რკინის მუშტი უნდა აემუშავებინა. შურისძიებისა და რისხვის ჟამს ოჯახის წარმომადგენელს თავისი მრავალწლიანი პატიოსანი შრომისა და სვეკეთილი ცხოვრებისსაფასური უნდა გადაეხადა.

კროსს ის-ის იყო, ოცდაერთი წელი შეუსრულდა, როცა გამოცდა ჩაუტარეს.

* * *

კლერიკუციოს უდიდესი პოლიტიკური შენაძენი გახლდათ ნევადის

გუბერნატორი უოლტერ უევენი. ორმოცდაათს გადაცილებული კაცი იყო, კოვბოის ქუდებს იხურავდა, თუმცა მუდამ უნაკლოდ შეკერილი კოსტიუმები ეცვა. ქალების დიდი მოყვარული იყო და აზარტული თამაშებიც იტაცებდა, თუმცა საზოგადოებრივ აზრს უფრთხოდა და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა თავისი გატაცება საიდუმლოდ შეენახა და, ცხადია, არც რომანტიკული კავშირების გაბმას გაბედავდა. სასტუმრო „ქსანადუში“ უევენი ყველა მოთხოვნილებასა და სურვილს იკმაყოფილებდა, სხვაგან კი ღირსეული, ღვთისმოსავი და ოჯახური ტრადიციების დამცველი პოლიტიკოსის სახეს ინარჩუნებდა.

გრონეველტმა უევენის პოტენციალი ადრევე ამოიცნო და მის პოლიტიკურ კარიერას თავისი ფინანსური შესაძლებლობები შეაშველა. მას შემდეგ, რაც ის ნევადის გუბერნატორი გახდა და ერთ შაბათ-კვირას დასვენება გადაწყვიტა, გრონეველტმა მას ერთ-ერთი საუკეთესო ვილა დაუთმო.

ვილები გრონეველტის სიამაყე გახლდათ...

გრონეველტი ვეგასში ჯერ კიდევ მაშინ ჩამოვიდა, როცა ის არსებითად, კოვბოების კაზინოს ქალაქი იყო, და აქაური ვითარება ისე შეისწავლა, როგორც მეცნიერი აკვირდება მწერს, რომელიც ევოლუციაში გადამწყვეტ საფეხურს წარმოადგენს. არსებობს ერთი დიდი და ამოუხსნელი საიდუმლოება: რისთვის კარგავენ მდიდრები დროს ფულის მოსაგებად, როცა მეტი ფული აღარ სჭირდებათ? გრონეველტმა გადაწყვიტა, რომ ამით თავიანთი ნაკლოვანებების დაფარვა სურთ ან ბედისწერასთან შერკინება სწადიათ, ან იქნებ

სხვების წინაშე უპირატესობის მიღწევას ესწრაფვიან. ასეა თუ ისე, როცა თამაშობენ, თავს ღმერთებად შეიგრძნობენ და გრონეველტმა გადაწყვიტა, მათთვის ღმერთების თუ მეფეების საკადრისი პირობები შეექმნა.

ამიტომაც ასი მილიონი დოლარი დაახარჯა „ქსანადუს“ ტერიტორიაზე შვიდი დიდებული ვილისა და ზარდახშასავით მოკაზმული კაზინოს აშენებას (წინდახედულმა გრონეველტმა თავიდანვე იმაზე ბევრად მეტი მიწა შეისყიდა, ვიდრე სასტუმროს სჭირდებოდა). თითოეული ვილა პატარა სასახლე იყო, რომელშიც ექვსი წყვილისთვის ნომერი კი არა, მთელი ბინა იყო გამზადებული. ბინები საარაკოდ იყო გაწყობილი: ხელით ნაქსოვი ხალიჩები, მარმარილოს იატაკი, ოქროს აბაზანები, კედლებზე გადაკრული ძვირფასი ქსოვილი; სამზარეულოს სასტუმროს პერსონალი ემსახურებოდა. უკანასკნელი წარმოების აუდიო-ვიდეომოწყობილობები საძინებლებს ნამდვილ თეატრებად აქცევდა. თითოეული ვილის ბარი საუკეთესო ღვინითა და ლიქიორებით იყო სავსე, ყუთში კონტრაბანდული ჰავანური სიგარებიც იდო. თითოეულს საკუთარი საცურაო აუზი და ჯაკუზიანი აბაზანა ჰქონდა. ეს ყველაფერი მოთამაშისთვის უფასო იყო.

ვილების საგანგებოდ დაცულ ტერიტორიაზე ოვალური ფორმის პატარა შენობაში კაზინო იყო მოწყობილი, რომელსაც „მარგალიტი“ ერქვა. მაღალი რანგის სტუმრებს აქ მშვიდად შეეძლოთ თამაში. ყველაზე დაბალი ფსონი ათას დოლარს შეადგენდა. ამ კაზინოში

ჩიპებიც განსხვავებული იყო: ასდოლარიანი შავი ჩიპი ყველაზე მცირე დენომინატორი იყო, ხუთასდოლარიანი რძისფერი იყო, ოქროს ზოლით, ლურჯი მოოქრული ჩიპი ათასი დოლარის ღირებულების იყო. ათიათასდოლარიანს განსაკუთრებული დიზაინი ჰქონდა: ოქროს ზედაპირის შუაგულში ნამდვილი ბრილიანტი ბრჭყვიალებდა.

გრონეველტს აოცებდა კიდეც, რამდენი მდიდარი ეგებოდა ამ ანკესზე. სასტუმროს თითოეული ვილის შენახვა ყოველკვირეულად ორმოცდაათი ათასი დოლარი უჯდებოდა. მაგრამ გრონეველტი ორმაგ დოკუმენტაციას აწარმოებდა: საგადასახადო სამსახურს სხვა მონაცემებს აწვდიდა, სინამდვილეში ხარჯიც სხვა ჰქონდა და მოგებაც.

შვიდი ვილა გრონეველტს იმ შვიდ ბრდღვიალა გვირგვინად წარმოუდგებოდა, მხოლოდ რჩეულ კლიენტებს რომ ერგებოდათ, ვინც სასტუმროს მილიონდოლარიან კუშს უტოვებდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ასეთი კლიენტი მოიგებდა თუ წააგებდა, - მთავარი იყო, მარკერების შესაბამისად გადაეხადათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტუმროს რომელიმე ნომერში გადაიყვანდნენ, სადაც ასევე დიდებული პირობები იყო, მაგრამ ვილებს, ცხადია, ვერ შეედრებოდა.

ვილებს კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა. ცნობილ მამაკაცებსა და თანამდებობის პირებს აქ ორივე სქესის საყვარლებთან ერთად შეეძლოთ ჩამოსვლა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ არავინ დაინახავდა და არც შეაწუხებდა. უცნაურია, მაგრამ ბიზნესის

მაგნატებსა და ბობოლებს შორის ბევრი ყოფილა ისეთი მამაკაცი, ვინც მეუღლისა და საყვარლების გვერდით თავს მაინც მარტოსულად გრძნობს, მაინც სწყუროდა ქალის სითბო და ისეთი ურთიერთობები, არანაირ ვალდებულებას რომ არ აკისრებს. მათთვის ვილები სწორედაც რომ ზედგამოჭრილი იყო.

უოლტერ უევენიც ასეთი მამაკაცი გახლდათ და გრონეველტი მხოლოდ მისთვის უშვებდა გამონაკლისს და მილიონდოლარიან ფსონს არ სთხოვდა. უევენი უფრო მოკრძალებულ თანხებზე თამაშობდა და იმითაც ხშირად, საიდუმლოდ, გრონეველტი ამარაგებდა. თუ მარკერებს უცებ ვერ იხდიდა, შემდეგ მოგებამდე კრედიტსაც აძლევდნენ.

უევენი „ქსანადუში“ სულის მოსათქმელად, გოლფის სათამაშოდ და გრონეველტის მიერ მისთვის შერჩეულ ლამაზმანებთან საურთიერთობოდ ჩადიოდა.

გრონეველტს უევენი ძალიან დიდხანს არაფერზე შეუწუხებია. ოცი წლის განმავლობაში ერთადერთხელ სთხოვა, ხელისუფლებისთვის ვეგასის კაზინოს ბიზნესის მხარდასაჭერად თავისი არგუმენტები გამოეთქვა. ჩვეულებრივ, მის აზრს ყურს უგდებდნენ, ხოლო უარის შემთხვევაში ის მუდამ ატყობინებდა გრონეველტს, თუ რომელი პოლიტიკური ძალა გამოვიდა მის წინააღმდეგ. უევენი აგრეთვე, მოსამართლეებს, პოლიტიკოსებსა და სხვა გავლენიან ადამიანებს აცნობდა, ვისგანაცგრონეველტი მომავალში სარგებელს ელოდებოდა.

გრონეველტი გულის სიღრმეში იმედს არ კარგავდა, რომ უევენი ერთ მშვენიერ დღეს აშშ-ის პრეზიდენტი გახდებოდა. მაშინ კი არნახულად დიდი ჯილდო ელოდებოდა.

მაგრამ ბედისწერა რომ ყველაზე გამჭრიახ ადამიანსაც კი აბითურებს, ეს გრონეველტმა კარგად იცოდა. მოულოდნელ გარემოებათა გამო ზოგჯერ ყველაზე ძლევამოსილი ადამიანი ნამდვილი არარაობის მსხვერპლად ქცეულა. ამჯერად ბედისწერა უევენს მოევლინა ოცდახუთი წლის მამაკაცის სახით, რომელიც მისი უფროსი, თვრამეტი წლის ქალიშვილის საყვარელი გახდა.

უევენის მუეღლე, ლამაზი და გონიერი ქალბატონი, პოლიტიკური თვალსაზრისით ქმარზე უფრო ლიბერალი იყო, თუმცა ერთმანეთს კარგად ეწყობოდნენ. სამი შვილი ჰყავდათ. გუბერნატორისთვის ოჯახი ძალზე ძვირფასი იყო. უფროსი ქალიშვილი მარსი ბერკლის უნივერსიტეტში სწავლობდა. ეს მისი და დედის არჩევანი იყო, რომელსაც გუბერნატორი დიდად არ უწონებდა.

ოჯახური ავტორიტარიზმისგან გათავისუფლებული მარსი უნივერსიტეტის ლაღმა, პოლიტიკურად მემარცხენე ატმოსფერომ გაიტაცა. აქ ახალი მუსიკისა და ნარკოტიკების ფართო არჩევანიც არსებობდა. თავისი მამის ჭეშმარიტ შვილს, სექსისადმი ძლიერი სწრაფვაც აღმოაჩნდა. რაკი უშუალო იყო და სამართლიანობისკენ ახალგაზრდული სწრაფვაც არ ასვენებდა, მშრომელი კლასის ინტერესების დამცველებს ემხრობოდა. ხელოვნებამაც მოაჯადოვა. პოეტ და მუსიკოს ახალგაზრდებთან ურთიერთობდა. გასაკვირი არ

არის, რომ რამდენიმე ხანმოკლე რომანის შემდეგ სერიოზულად შეუყვარდა ღარიბი ოჯახიდან გამოსული ახალგზარდა, რომელიც პიესებს წერდა და გიტარაზე უკრავდა.

თეო ტატოსკი ერქვა და კოლეჯის სასიყვარულო ურთიერთობისთვის ზედგამოჭრილი იყო: შავგვრემანი, მოხდენილი ყმაწვილი, რომლის მშობლებიც დეტროიტში საავტომობილო ქარხანაში მუშაობდნენ. გაუნათლებელი იყო, მაგრამ პოეტის თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა და იფიცებოდა, მანქანების აწყობას მეძავობა მირჩევნიაო. მიუხედავად ამისა, მაინც უწევდა დროებითი შავი სამუშაოთი თავის რჩენა. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, თუმცა ამას მისი ნიჭი ამართლებდა.

მარსი და თეო ორი წლის განმავლობაში განუყრელად ერთად იყვნენ. ქალიშვილმა ის შინ, გუბერნატორის რეზიდენციაშიც კი მიიყვანა და ესიამოვნა, როცა შეატყო, რომ მამამისს თეოზე კარგი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. უფრო მეტიც - როცა განცალკევებული სახლის საძინებელში განმარტოვდნენ, თეომ უთხრა, მამაშენი დიდი შებერტყილი ვინმეაო.

მან, როგორც ჩანს, ქალიშვილის მშობლების ქედმაღლობა ამოიცნო: გარეგნულად ხაზგასმით თავაზიანნი და დიდსულოვანნი ჩანდნენ და შვილის არჩევანს თითქოს პატივისცემით ეპყრობოდნენ, ერთმანეთს ასეთი დამცირების გამო აღშფოთებას უზიარებდნენ. თუმცა დედა არ ღელავდა; იცოდა, რომ თეოს ხიბლი მისი შვილის თვალში თანდათან გაფერმკრთალდებოდა. მამა კი ძალზე

შეშფოთებული იყო, რასაც ისეთი მომეტებული კეთილგანწყობით ნიღბავდა, რომ პოლიტიკოსისთვისაც კი უჩვეულო იყო. არადა, გუბერნატორის პოლიტიკურ პლატფორმას სწორედ მშრომელთა კლასი წარმოადგენდა. იქნებ სჯობდა კიდეც, მის ქალიშვილს თეოსთან კავშირით ცხოვრებაზე უფრო ფართო წარმოდგენა შეექმნა?.. ამასობაში თეო და მარსი სწავლის დასრულებისთანავე დაქორწინებას აპირებდნენ. თეო პიესებს დაწერდა და დადგამდა, მარსი მისი მუზის როლს შეასრულებდა და თან კოლეჯში ლიტერატურის სწავლებას აპირებდა.

მათი ურთიერთობა სტაბილური იყო, ნარკოტიკებით გატაცებას არ ამჟღავნებდნენ. გუბერნატორი ამ პერსპექტივას შეეგუა და იმასაც კი ფიქრობდა, მათი ქორწინება პოლიტიკურად დამეხმარება და დემოკრატის იმიჯს შემიქმნისო.

მაგრამ ახალგაზრდებს თავში ქარი უქრით. სწავლის ბოლო წელიწადს მარსის თანაკურსელი შეუყვარდა, რომელიც თეოზე უფრო შეძლებული ოჯახიდან იყო და მისი მშობლებისთვის უფრო მოსაწონიც იქნებოდა. თუმცა თეოსთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებაც სურდა. ორი საყვარლის ყოლა უნიკალურობის განცდას ანიჭებდა და ახალისებდა.

თეომ სრულიად მოულოდნელი საქციელი ჩაიდინა. ბერკლის ლიბერალური, ბოჰემური ატმოსფეროს, ფემინისტი პროფესორების ლექციებისა და საკუთარი პოეტური სილაღის მიუხედავად, მასში პოლონურმა სისხლმა იმძლავრა. საშინლად ეჭვიანობდა. მისი

ახალგაზრდული ხიბლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ახირებული ექსცენტრიზმი გახლდათ, საუბრისას ხშირად გამოთქვამდა რევოლუციურ სიფიცხეს, - აქაოდა, თუ საჭიროდ ჩავთვალე, ათასობით უდანაშაულო ადამიანს ავაფეთქებო, - თუმცა მარსი ამგვარ რამეს ვერ გააკეთებდა. ერთხელ, როცა ორკვირიანი მოგზაურობის შემდეგ თავიანთ ბინაში დაბრუნდნენ, საწოლში ახალშობილი წრუწუნების მთელი ოჯახი დახვდათ. თეომ ისინი ფრთხილად აიყვანა და გარეთ გაუშვა. მარსის ამგვარმა სიკეთემ გული აუჩუყა.

მაგრმ როცა თეომ მარსის საყვარლის შესახებ შეიტყო, ისე გაცხარდა, რომ სახეში გაარტყა, მერე ცრემლები წასკდა და პატიება სთხოვა. მარსიმ აპატია. ისევ გზნებით ეძლეოდნენ სიყვარულს, მარსი ძველებურზე უფრო მეტადაც კი ტკბებოდა, რადგან ღალატის შემდეგ თეოზე ერთგვარი ძალაუფლება მოიპოვა. მაგრამ ახალგზარდა კაცი სულ უფრო ფიცხი და აგრესიული ხდებოდა, სულ უფრო ხშირად მოსდიოდათ შელაპარაკება, ერთად ცხოვრებამ ეშხი დაკარგა და მარსი მალევე ცალკე საცხოვრებლად გადავიდა.

მეორე ახალგაზრდამაც გაუცრუა იმედი. მას მერე რამდენიმე საყვარელი გამოიცვალა. თუმცა ის და თეო მეგობრებად დარჩნენ და დროდადრო კვლავაც ერთად წვებოდნენ. მარსი აიოვის უნივერსიტეტში ასპირანტურაში ჩაბარებას აპირებდა, თეო კი საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადავიდა, სადაც პიესების წერას აგრძელებდა და იმედოვნებდა,რომ კინოსთვის სცენარებს შეუკვეთავდნენ. მისი მუსიკალური პიესა ერთ მცირე თეატრში დაიდგა

და სამ წარმოდგენას გაუძლო. თეომ მარსი წარმოდგენის სანახავად დაპატიჟა.

მარსი ლოს-ანჯელესში გაფრინდა. პიესა იმდენად უფერული იყო, რომ ნახევარი დარბაზი შუა წარმოდგენისას დაცარიელდა. მარსის იმ ღამით თეოსთან მოუწია დარჩენამ მის სანუგეშებლად. იმ ღამით რა მოხდა, ზუსტად არავინ იცოდა. გამთენიისას თეომ მარსი მოკლა: ორივე თვალში დანით ღრმა ჭრილობა მიაყენა, შემდეგ დანა მუცელში ჩაიცა და პოლიციას დაურეკა. თეოს გადარჩენა მოხერხდა, მარსი კი ადგილზევე გარდაიცვალა.

კალიფორნიის შტატის სასამართლო პროცესი, ცხადია, მედიამ ფართოდ გააშუქა: ყოფილი საყვარლის, პოეტის მიერ ნევადის გუბერნატორის ქალიშვილის მკვლელობამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

ადვოკატი მოლი ფლენდერსი აფექტური მკვლელობების წარმატებული სპეციალისტი გახლდათ, თუმცა ეს მისთვის სისხლის სამართლის უკანასკნელი საქმე აღმოჩნდა, რის შემდეგაც მთლიანად შოუბიზნესის სფეროში გადაინაცვლა. მან კლასიკური ტაქტიკა აირჩია. მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ მარსის, სულ ცოტა, ექვსი საყვარელი ჰყავდა, არადა, თეოს სჯეროდა, რომ მასთან დაქორწინებას აპირებდა. ფუფუნებით განებივრებულმა, გარყვნილმა ქალიშვილმა გულუბრყვილო, ხელმოკლე დრამატურგი გააბრიყვა და მასაც გონება დაებინდა. ფლენდერსი მკვლელის ქმედებას „დროებითი შეშლილობით“ ხსნიდა. მისი დასკვნითი სიტყვის ერთ-ერთი ფრაზა

(რომელიც მას კლოდია დე-ლენამ დაუწერა) ასე ჟღერდა: „ბრალდებულს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვთხოვთ პასუხს იმისთვის, რაც მან ჩაიდინა“. დონ დომენიკო კლერიკუციოს ეს ფრაზა რომ გაეგონა, განრისხდებოდა.

პროცესის განმავლობაში თეო თავზარდაცემული ჩანდა. მისი მშობლები, მორწმუნე კათოლიკეები, ირწმუნებოდნენ, რომ თეომ ბოჰემურ ცხოვრებას თავი დაანება და გადაწყვიტა, ღვთისმსახურების გზას შესდგომოდა. იმასაც გაესვა ხაზი, რომ მკლელობის ჩადენის შემდეგ მან თავის მოკვლაც სცადა, რაც იმას მოწმობდა, რომ ჩადენილს ინანიებდა. ეს ყოველივე მოლი ფლენდერსის მჭევრმეტყველებით იქნა შეკაზმული. მან საზოგადოებას აღუწერა, თუ რამდენი სარგებლობის მოტანა შეეძლო თეოს, თუკი მას ქალის აღვირახსნილობით პროვოცირებული დანაშაულის გამო არ დასჯიდნენ. ცხადია, სამწუხარო იყო, რომ მდიდარი ქალიშვილი საკუთარ ქარაფშუტობას ემსხვერპლა, მაგრამ...

მოლი ფლენდერსს კალიფორნიის სასამართლო უყვარდა. აქაური მსაჯულები საკმაოდ განათლებულნი იყვნენ საიმისოდ, რათა ფსიქიატრიის ნიუანსებში გარკვეულიყვნენ; თეატრით, ლიტერატურითა და მუსიკით განებივრებულ მათ ემოციებზე უფრო ადვილი იყო გავლენის მოხდენა. წარმატებამაც არ დააყოვნა: თეო იმის საფუძველზე გაამართლეს, რომ აფექტის მდგომარეობაში მყოფი მოქმედებდა. მას დაუყოვნებლივ მოაწერინეს ხელი კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც მის შესახებ ფილმში მიიღებდა მონაწილეობას -

მთავარ როლში კი არა, არამედ სიმღერების ავტორ-შემსრულებლად, რაც ფილმს დამაჯერებლობასა და შთამბეჭდაობას შეჰმატებდა. ასეთი გახლდათ თანამედროვე ტრაგედიის სრულიად მოსალოდნელი ფინალი.

მაგრამ ამ ამბავმა უოლტერ უევენისთვის გამანადგურებელი შედეგი იქონია. მან გრონეველტს შეატყობინა, რომ მომდევნო არჩევნებში აღარ ჩაებმებოდა და ამგვარად, სასტუმროს მეპატრონის ოცდახუთწლიანი ინვესტიცია სულ წყალში ჩაიყარა. გუბერნატორმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია: რაღა აზრი ჰქონდა ძალაუფლებას, თუკი ნებისმიერ ჩამოკონკილ არამზადას შეეძლო, მისი ღვიძლი შვილი უსასტიკესად მოეკლა და თავისუფალ კაცად დარჩენილიყო? უფრო მეტიც: მედიამ მის შვილს საქვეყნოდ მოსდო ჩირქი, უჭკუო კახპად გამოიყვანა და სიკვდილის ღირსადაც კი ჩათვალა!

ცხოვრებაში მრავლად ხდება გამოუსწორებელი ტრაგედია და გუბერნატორისთვისაც მომხდარი სწორედ ასეთი გახლდათ. ის ახლა რაც შეიძლება მეტხანს ატარებდა „ქსანადუში“, მაგრამ სრულიად შეცვლილიყო. აღარც შოუს გოგონები აინტერესებდა, აღარც კაზინო. მხოლოდ სვამდა და გოლფს თამაშობდა, რამაც გრონეველტი ფრიად უხერხული პრობლემის წინაშე დააყენა.

გუბერნატორის უბედურებას მთელი გულით განიცდიდა. შეუძლებელია, ოცი წლის მანძილზე ადამიანს თუნდაც ანგარების გამო ეხმარებოდე ისე, რომ მის მიმართ თანაგრძნობა და სიმპათია არ გაგიჩნდეს. მაგრამ ჭეშმარიტება ის გახლდათ, რომ პოლიტიკას

ჩამოცილებული უოლტერ უევენი მისი საქმისთვის ძვირფას შენაძენს კი აღარ წარმოადგენდა, არამედ ერთი უბედური კაცი იყო, რომელიც თავს იკლავდა სასმლით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გრონეველტი მას ვილას ვეღარ დაუთმობდა. ცხადია, ამის ნაცვლად სასტუმროს შესანიშნავ ნომერს შესთავაზებდა. მაინც გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი და ერთ დილას გუბერნატორი გოლფის სათამაშოდ მიიწვია.

ოთახში სათამაშოდ გრონეველტმა პიპი დე-ლენა და მისი ვაჟი კროსი შეარჩია, რადგან პიპი საინტერესო თანამოსაუბრე იყო, კროსი კი - ლამაზი და თავაზიანი ახალგაზრდა, რომელიც უფროსი თაობის კლიენტებს მოსწონდათ. თამაშის შემდეგ ოთხივე გუბერნატორის ვილაში სადილად დაჯდა.

ბოლო ხანებში უევენმა წონაში დაიკლო და თავის გარეგნობას ყურადღებას აღარ აქცევდა. დალაქავებული სპორტული კოსტიუმი ეცვა, „ქსანადუს“ ემბლემიანი კეპი ეხურა და გაუპარსავი იყო. ხშირ-ხშირად იღიმოდა, თუმცა ეს ძველებური ოფიციალური ღიმილი კი აღარ იყო, არამედ - უხერხული და საცოდავი გრიმასა. გრონეველტმა შენიშნა, რომ კბილები გაყვითლებოდა. ისიც ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო. გრონეველტმა აღარ დააყოვნა და საქმეზე გადავიდა.

- გუბერნატორო,ასე არ შეიძლება. თქვენ ოჯახსაც ღალატობთ, მეგობრებსაც და ნევადის მოსახლეობასაც.

- ნევადის მოსახლეობის დედაც ვატირე! ნეტავ ჩემი გუბერნატორობა ვის ადარდებს?! - აგდებულად უპასუხა უევენმა.

- მე მადარდებს. ფულს შევაგროვებ და სენატორის მომდევნო არჩევნებში კენჭი უნდა იყაროთ.

- ამ ქვეყანაში არაფერს აქვს აზრი! ამხელა შტატის გუბერნატორი ვარ და ვიღაც ნაძირალამ ჩემი შვილი დაუსჯელად გამოასალმა სიცოცხლეს. მე კი უძლური ვარ! ხალხი ჩემს მოკლულ შვილს დასცინის, მკვლელი კი ცაში აჰყავს. იცით, რაზე ვოცნებობ? ამ წყეულ ქვეყანას ატომური ბომბი დაეცეს და ყველაფერი მიწასთან გაასწოროს, განსაკუთრებით - კალიფორნიის შტატი.

პიპი და კროსი გუბერნატორის გაცხარებას მდუმარედ ადევნებდნენ თვალყურს. ესმოდათ, რომ გრონეველტს თავისი ჩანაფიქრი ჰქონდა და განგებ ცდილობდა, უევენი წონასწორობიდან გამოეყვანა.

- ეს ყოველივე უკან უნდა მოიტოვოთ, - განაგრძობდა ის გუბერნატორის შეგონებას, - ამ ტრაგედიამ თქვენი სიცოცხლე არ უნდა გაანადგუროს, - მისი ფარისევლური კილო წმინდანსაც კი გაამწარებდა.

გუბერნატორმა კეპი მოიხადა და კუთხეში მოისროლა, მერე ბართან მივიდა და ვისკი დაისხა.

- უკან ვერ მოვიტოვებ! ღამღამობით თვალს ვერ ვხუჭავ, სულ იმას ვნატრობ, ის ნაბიჭვარი დამახრჩობინა, გამასრესინა, ნაკუწებად მაქცევინა. მერე გამაცოცხლებინა და თავიდან მომეკლა, კიდევ და კიდევ! - გუბერნატორმა ყვითელი კბილები გამოაჩინა, პირიდან სიმყრალის სუნი ამოსდიოდა.

მერე თითქოს გონს მოეგო და უფრო მშვიდად ალაპარაკდა.

- ნახეთ, როგორ მოკლა? დანა თვალებში ჩაარჭო. მოსამართლემ მსაჯულებს განგებ არ უჩვენა ფოტოები, მაგრამ მე, მამამ, ეს ფოტოები ხომ ვნახე! ნაბიჭვარი თეო ახლა თავისუფალია. ჩემს შვილს თვალები დასთხარა, თვითონ კი ყოველ დილით დგება, თვალს ახელს და მზის სინათლეს ხედავს. ო, ჩემი ხელით მოვკლავდი ყველას - მოსამართლესაც, მსაჯულებსაც, ადვოკატსაც, - სასმელი მიიყუდა, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა და აღტყინებით განაგრძო:

- ვიდრე მკვლელი ცოცხალია, ვეღარ გამოვალ ამომრჩევლების წინაშე და იმაზე ვეღარ ვილაპარაკებ, რისი რწმენაც დავკარგე. მე და ჩემმა ცოლმა ეს არარაობა სუფრასთან მოვისვით და, როგორც ადამიანს, ისე მოვეპყარით. პატივი დავდეთ და მის მდაბიურობაში ეჭვი არ შევიტანეთ. ეს კი ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ ჭერქვეშ მივიღეთ, ჩვენი ქალიშვილი გვერდით მივუწვინეთ, ის კი თავიდანვე მასხრად გვიგდებდა, ამბობდა, ფეხებზე მკიდია, გუბერნატორი რომ ხარ, ფული და ხალხის პატივისცემა რომ გაქვს, როცა კი მომესურვება, შვილს მოგიკლავ და თითსაც ვერ დამაკარებენ; მოვკლავ, ჩავაძაღლებ და ფეხებსაც ვერ მომჭამო! - უევენი წაბორძიკდა, კროსი მივარდა და ხელი შეაშველა. გუბერნატორმა აცრემლებული თვალები ჭერზე გამოქანდაკებულ ვარდისფერ ანგელოზებს მიაპყრო და აბუტბუტდა: - მინდა მოკვდეს, მინდა მოკვდეს...

- უოლტერ, ყველაფერი გაივლის, - ხაზგასმული სიმშვიდით უთხრა გრონეველტმა, - თავი დაანებეთ ამაზე ფიქრს, სენატორობაზე იყარეთ კენჭი. წინ საუკეთესო წლები გაქვთ!

- ვერ ხედავთ, რომ სიკეთის აღარ მჯერა?! - უთხრა გუბერნატორმა და კროსი განზე გასწია. - ვერავის ვუმხელ, რასაც ვგრძნობ, ცოლსაც კი. სიძულვილი მახრჩობს. კიდევ ერთ რამეს გეტყვით: ამომრჩევლები ზიზღით მიყურებენ, მათთვის სუსტი და უსუსური ვარ. ვინ მიანდობს მთელი შტატის ბედს ისეთ კაცს, ვინც შვილის მკვლელი დაუსჯელი დატოვა?! - მერე მწარედ გაიცინა: - იმ პატარა ნაბიჭვარს უფრო აირჩევენ სენატორად, ვიდრე მე! - წამით დადუმდა და თქვა: - ალფრედ, დაივიწყეთ ეს ყველაფერი. თამაშიდან გავდივარ.

გრონეველტი მას დაჟინებით აკვირდებოდა და ისეთი რამის დაჭერას ცდილობდა, რაც პიპისა და კროსისთვის შეუმჩნეველი დარჩა. დარდი ადამიანს ასუსტებს, მაგრამ გრონეველტმა მაინც გადაწყვიტა, რისკზე წასულიყო.

- უოლტერ, თანახმა ხართ თუ არა სენატორობაზე, თუკი მკვლელი დაისჯება? მაშინ დაუბრუნდებით თქვენს ძველ ცხოვრებას?

გუბერნატორმა ვერაფერი გაიგო, გრონეველტს ამღვრეული თვალებით დააშტერდა. სასტუმროს მეპატრონემ პიპისა და კროსს გადაულაპარაკა, - ჩემს კაბინეტში დამელოდეთო.

როცა მარტონი დარჩნენ, გრონეველტმა გუბერნატორს უთხრა:

- უოლტერ, სრულიად გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ, ცხოვრებაში პირველად. ერთმანეთს ოცი წელია ვიცნობთ, ოდესმე თუ შეგინიშნავთ, რომ ვტყუოდე? მენდეთ, ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. თანახმა ხართ სენატორობაზე, თუკი ეს ბიჭი მოკვდება?

გუბერნატორი ბართან მივიდა, ვისკი დაისხა, მაგრამ ჭიქა პირთან

არ მიუტანია. გაიღიმა.

- ჩემი მიმტევებლობის გამოსახატავად, მის გასვენებას დავესწრები, მეორე დღეს კი არჩევნებში ჩემს კანდიდატურას წარვადგენ. ამომრჩევლები ამას დამიფასებენ.

გრონეველტმა შვებით ამოისუნთქა და ერთბაშად მოეშვა.

- პირველ რიგში, კბილის ექიმთან წადით და ეგ კბილები გააწმენდინეთ, - უთხრა მან გუბერნატორს.

პიპი და კროსი გრონეველტს კაბინეტში ელოდებოდნენ. მან ისინი თავის საცხოვრებელ აპარტამენტებში შეიყვანა, სადაც მეტი სიმყუდროვე იყო, და საუბრის შინაარსი გადასცა.

- გუბერნატორი თანახმაა? - იკითხა პიპიმ.

- გუბერნატორი სულაც არ ყოფილა ისეთი მთვრალი, როგორც თავს გვაჩვენებდა. სათქმელზე ისე მიმანიშნა, რომ საკუთარი თავის კომპრომეტირებას ასცდა.

- ამაღამვე აღმოსავლეთში გავფრინდები, - თქვა პიპიმ, - კლერიკუციოს თანხმობა გვჭირდება.

- გადაეცი, რომ, ჩემი აზრით, გუბერნატორი სწორედ ის კაცია, ბოლომდე, მწვერვალამდე ასვლა რომ შეუძლია, - უთხრა გრონეველტმა, - ის ჩვენ ფასდაუდებელ მეგობრობას გაგვიწევს.

- ჯორჯო და დონი ამას გაიგებენ. ყველაფერს ვუამბობ და მათ თანხმობასაც მივიღებ.

გრონეველტმა ღიმილით შეხედა პიპის, მერე უთხრა:

- ვფიქრობ, დროა, კროსი ოჯახს შეუერთდეს. თან წაიყვანე.

ჯორჯო კლერიკუციომ გადაწყვიტა, მათთან შესახვედრად თვითონ ჩამოსულიყო დასავლეთში. გრონეველტთან საუბარი უნდოდა, გრონეველტს კი უკვე ათი წელი იყო, არსად ემოგზაურა.

ჯორჯო თავის თანმხლებ პირებთან ერთად ვილაში მოათავსეს, თუმცა თამაშს არ აპირებდა. გრონეველტმა იცოდა, ვისთვის უნდა დაეშვა გამონაკლისი. თავის დროზე ვილაზე უარი უთხრა ცნობილ პოლიტიკოსებს, ფინანსურ მაგნატებს, ჰოლივუდის ვარსკვლავებს, ლამაზმანებს, რომელთანაც სექსი ჰქონდა, ახლო მეგობრებს. პიპი დე-ლენასაც კი. მაგრამ ჯორჯო კლერიკუციოს ვილა დაუთმო, თუმცა იცოდა, რომ ჯორჯოს სპარტული პირობები ერჩივნა და ფუფუნებას დიდად არ ესწრაფოდა. პატივისცემის სულ მცირედ ნიშანსაც კი ჰქონდა მნიშვნელობა, მცირედი შეცდომაც კი მომავალში შეიძლებოდა, მის საწინააღმდეგოდ შებრუნებულიყო.

გრონეველტი, პიპი და ჯორჯო ერთმანეთს ჯორჯოს ვილაში შეხვდნენ...

- გუბერნატორი შეიძლება, ჩვენს საქმეში ძალიან გამოგვადგეს, - განმარტა ვითარება გრონეველტმა, - თუკი მოინდომა და თავი ხელში აიყვანა, ბოლომდე წავა. ჯერ სენატორი გახდება, მერე კი - პრეზიდენტიც. ეს თუ მოხდა, სპორტულ ტოტალიზატორს მთელ ქვეყანაში დავაკანონებთ. ეს მილიარდებს მოგიტანთ, თეთრ ფულს და არა - შავს! ამისთვის რისკზე წასვლაც ღირს.

თეთრი ფული შავს მუდამ სჯობდა. მაგრამ ჯორჯო ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ერიდებოდა.

- გუბერნატორმა იცის, რომ ჩვენთან ხართ? - ჰკითხა გრონეველტს.

- დანამდვილებით არ იცის, მაგრამ გაგონილი ექნება. სულელი ნამდვილად არ არის. მისთვის ისეთი რამეები მაქვს გაკეთებული, რასაც ჩემით ვერ მოვახერხებდი, ეს კარგად იცის. მხოლოდ ის მითხრა, თუ ბიჭი მოკვდება, კენჭს იმ შემთხვევაში ვიყრიო. დიდი ეშმაკი ვინმეა: ისტერიკა როცა დაემართა, სულაც არ ყოფილა ისეთი მთვრალი, როგორადაც თავს გვაჩვენებდა. მგონი, ყველაფერი თავიდანვე გათვალა. გულწრფელი იყო, მაგრამ თან აზვიადებდა კიდეც. გრძნობდა, რომ შურისძიებას შევთავაზებდი. ძალიან იტანჯება, მაგრამ ამასთანავე, სამომავლო გათვლებსაც აკეთებს. თუ ყველაფერი გამოგვივა, სენატორი გახდება. ჩვენი სენატორი.

ჯორჯომ ოთახს შეკრულ წარბებს ქვემოდან გადახედა, თვალი აარიდა კვარცხლბეკებზე აღმართულ ქანდაკებებსა და მარმარილოს ჯაკუზის, რომლის ბზინვარებაც ფარდის ქსოვილშიც კი ატანდა. მერე გრონეველტს უთხრა:

- ჩვენი თანხმობის გარეშე დაჰპირდი?

- ჰო, - უთხრა გრონეველტმა, - უნდა დამერწმუნებინა იმაში, რომ მისი დახმარება შემიძლია. სხვაგვარად, გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდებოდა.

- როგორ მძულს ამნაირი საქმე! - ამოიოხრა ჯორჯომ.

მისი თვალთმაქცობის შემხედვარე პიპის გულში გაეღიმა. ჯორჯო სანტადიოს ოჯახის ამოხოცვისას ისე უმოწყალოდ მოქმედებდა, რომ

ბებერი დონი სიამაყით აივსო.

- მგონი, პიპის ოსტატობა გამოგვადგება, - შენიშნა გრონეველტმა, - და, ჩემი აზრით, დროა, მისმა ვაჟმა, კროსმა საბრძოლო ნათლობა გამოიაროს.

- შეძლებს? - დაეჭვდა ჯორჯო. - სახუმარო საქმე არ არის.

- დაველაპარაკები, - უთხრა პიპიმ, - შეძლებს.

ჯორჯო ისევ გრონეველტს მიუბრუნდა.

- იქნებ გუბერნატორმა, ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, მომავალში ზურგი შეგვაქციოს? იქნებ რისკზე ტყუილად მივდივართ? ნევადის გუბერნატორს შვილი მოუკლეს, ის კი დეპრესიაშია, არაფერს აკეთებს. სუსტი ყოფილა.

- მან ის გააკეთა, რომ ჩემთან მოვიდა, - უთხრა გრონეველტმა, - მისნაირ ადამიანს საამისდო დიდი გამბედაობა სჭირდებოდა.

- არჩევნებში გაიმარჯვებს?

- თუ დავეხმარებით, კი. ოცი წელია, ვიცნობ და ვეხმარები. ჭკვიანია.

- პიპი, მკვლელობა უბედურ შემთხვევას უნდა მივამსგავსოთ. გამოხმაურებას უნდა ვერიდოთ, გუბერნატორი ყველანაირ მითქმა-მოთქმას მოვარიდოთ და არც ტელევიზიას მივცეთ ეჭვების გამოთქმის საბაბი, - თქვა ჯორჯომ.

- ჰო, გუბერნატორი ეჭვგარეშე უნდა დარჩეს, - დაეთანხმა გრონეველტიც.

- იქნებ ეს კროსის საგამოცდოდ მეტისმეტად რთული დავალებაა? -

იკითხა ჯორჯომ.

- არა, ზედგამოჭრილია მისთვის, - თქვა პიპიმ. არავინ შეჰკამათებია, რადგან ის გამოცდილი მეთაური იყო. არაერთ ბრძოლაში, პირველ რიგში კი, სანტადიოსთან ომში გამოიჩინა თავი და მუდამ ამბობდა, რისკს ჩემს თავზე ვიღებ, თუ დავმარცხდი, ეს მხოლოდ ჩემი ბრალი იქნებაო.

ჯორჯომ ტაში შემოჰკრა.

- მაშ, კარგი, შევთანხმდით. ალფრედ, რას იტყვი, დილით გოლფი რომ გვეთამაშა? ხვალ საღამოს ლოს-ანჯელესში გავემგზავრები ერთ საქმეზე, ზეგ კი აღმოსავლეთში დავბრუნდები. პიპი, შემატყობინე,რამდენი კაცის დახმარება დაგჭირდებათ და კროსი თანახმაა თუ არა.

პიპი მიხვდა - თუ კროსი ამ საქმეზე უარს იტყოდა, მას კლერიკუციოს ოჯახში არასოდეს მიიღებდნენ.

გოლფი კლერიკუციოს ოჯახის იმ თაობის გატაცებად იქცა, რომელსაც პიპი მიეკუთვნებოდა; დონი ხშირად ხუმრობდა, გოლფი მაფიოზების სპორტად იქცაო. პიპი და კროსი „ქსანადუს“ გოლფის მოედანზე გავიდნენ. ძრავიანი ურიკებით გადაადგილებას ფეხით სიარული არჩიეს. ხეების ჩრდილში მერხზე ჩამოსხდნენ.

- მე უსასრულოდ არ ვიცოცხლებ, შენ კი შენი შემოსავალი უნდა გქონდეს, - უთხრა პიპიმ შვილს. - გადასახადების ამკრეფი სააგენტო შემოსავლიანი, მაგრამ რთული საქმეა. კლერიკუციოს ოჯახთან მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარო.

მან კროსი არაერთი რთული დავალებით შეამზადა. ახლა შესაფერის შემთხვევას ელოდა, რათა შვილის სიმამაცე გამოეცადა.

- მესმის, - უპასუხა კროსმა.

- ის მეტიჩარა მწერალი, გუბერნატორის ქალიშვილი რომ მოკლა, გაამართლეს და გაათავისუფლეს. ეს უსამართლობაა.

- გუბერნატორი კი ჩვენი მეგობარია, - განაგრძო კროსმა მამის აზრი.

- მართალი ხარ, კროს. გახსოვდეს, შეგიძლია, უარი თქვა. მაგრამ მე მინდა, რომ ჩემს საქმეში დამეხმარო.

კროსმა გოლფის მწვანე მინდორს, უქარო ჰაერში უძრავად დაშვებულ ალმებს, შორეულ ბინდში მთვლემარე მთებს შეავლო თვალი. გაიფიქრა, რომ მისი ცხოვრება ამ წუთიდან შეიცვლებოდა და ცოტათი დაფრთხა.

- თუ ეს არ მომეწონება, ყოველთვის შემიძლია, გრონეველტთან ვიმუშაო, - თქვა მერე, მაგრამ მამას მხარზე ხელი დააფარა იმის ნიშნად, რომ იხუმრა.

- ეს საქმე სწორედ გრონეველტის დავალებაა, - გაუღიმა პიპიმ, - ხომ ნახე, გუბერნატორს რომ ელაპარაკებოდა. ეს საქმე მისთვის უნდა შევასრულოთ. უბრალოდ, ჯორჯოს თანხმობა სჭირდებოდა. მე კი ვუთხარი, რომ შენ დაგიხმარებდი.

შორს, მინდვრის ბოლოში კროსმა დაინახა, ორი მამაკაცი და ორი ქალი გოლფს თამაშობდნენ.

- ჩემი სიმამაცე უნდა გამოვცადო, - უთხრა მან მამას. იცოდა, რომ

ან თანხმობა უნდა ეთქვა, ან სრულიად შეეცვალა საკუთარი ცხოვრება. მას კი მოსწონდა ეს ცხოვრება, გრონეველტთან მუშაობა, კაზინო, გოგონები, ძალაუფლების განცდა.

- ყველაფერს მე დავგეგმავ, - უთხრა პიპიმ, - მთელი ხნის მანძილზე შენ გვერდით ვიქნები. ოღონდაც შენ უნდა ესროლო.

კროსი ფეხზე წამოდგა. შვიდივე ვილის თავზე აფრიალებული დროშები დაინახა, თუმცა ნიავი არ ქროდა, და ცხოვრებაში პირველად შეიგრძნო ამქვეყნიური ცოდვების სიმძიმე.

- შენთან ვარ, - უთხრა მამას.

მომდევნო სამი კვირის განმავლობაში პიპიმ კროსი ყველაფერში გაარკვია. მზვერავი ჯგუფისგან, თეოს გადაადგილებისა და ჩვეულებათა შესახებ ცნობებს ელოდებოდნენ. ნიუ-იორკის დანაყოფიდან ლოს-ანჯელესში უკვე გაემგზავრა მაფიის ექვსკაციანი საბრძოლო ჯგუფი. შემდგომი გეგმა მზვერავების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას უნდა დაყრდნობოდა. საბოლოოდ პიპიმ კროსს ამ საქმის ფილოსოფია განუმარტა.

- ესეც თავისებური ბიზნესია. ყველანაირ ზომას იღებ, რათა თავიდან აიცილო მარცხი. ადამიანის მოკვლა ყველას შეუძლია, მთავარია, მერე არ დაგიჭირონ. და კიდევ: არასოდეს იფიქრო იმ ადამიანებზე, რომლებსაც ეს ეხება. როცა „ჯენერალ მოტორსის“ შეფი ორმოცდაათი ათას კაცს სამსახურიდან ათავისუფლებს, ის მათზე არ ფიქრობს. ვერც იფიქრებს იმაზე, რომ მათ ცხოვრებას ანადგურებს. ის თავის მოვალეობას ასრულებს. სიგარეტი ათასობით ადამიანს კლავს,

მაგრამ რას ვიზამთ? ხალხს მოწევა უნდა და მილიარდობით დოლარის მომტან ბიზნესს, აბა, როგორ შევაჩერებთ?! იგივეა იარაღიც: ნებისმიერს შეუძლია იარაღის შეძენა და კაცის მოკვლა, მაგრამ ესეც მილიარდდოლარიანი ინდუსტრიაა და ვერსად გაექცევი. უმთავრესი და უპირველესი ისაა, რომ ადამიანებს შემოსავალი ჰქონდეთ. მუდამ ასეა. თუ ამ შეხედულებას არ იზიარებ, შეგიძლია წახვიდე და ძღნერში იცხოვრო.

პიპის თქმით, კლერიკუციოს კლანი უკიდურესად პედანტურად მოქმედებდა.

- მათი თანხმობის გარეშე ვერაფერს იზამ. დაუშვებელია, ხალხი მხოლოდ იმის გამო ხოცო, რომ პირადად შენ რაღაც გაწყენინა. ოჯახის თანხმობის გარეშე კი მათ მხარდაჭერასაც ვერ მიიღებ და ვერც ციხისგან გიხსნის ვინმე.

კროსმა უსმინა და ერთადერთი შეკითხვა დაუსვა:

- ჯორჯოს სურს, ყველაფერი უბედურ შემთხვევას მივამსგავსოთ. ეს როგორ გავაკეთოთ?

პიპიმ გადაიხარხარა.

- არასოდეს არავის ჰკითხო, თუ როგორ უნდა ჩაატარო შენი ოპერაცია. ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ! მათ მხოლოდ ის შეუძლიათ გითხრან, რასაც შენგან ელოდებიან. დანარჩენი კი შენი გადასაწყვეტია. გახსოვდეს, ზოგი საქმე უბრალოდ კეთდება. ასეთ შემთხვევებში ყველაფერი ძალიან-ძალიან მარტივად უნდა გაკეთდეს. ხოლო თუ ფანტაზიაა საჭირო, მაშინ, პირიქით, განსაკუთრებულად

დახვეწილად და საზრიანად უნდა იმოქმედო.

როცა მზვერავი ჯგუფისგან ცნობები მიიღეს, პიპიმ კროსს დაწვრილებით შეასწავლა მთელი მონაცემები. მონაცემებს შორის, თეოს რამდენიმე ფოტოსურათი იყო, მისი მანქანის სურათიც, რომელზედაც სერია და ნომერი ჩანდა; ბრენტვუდიდან ოქსნარდამდე გზის იმ მონაკვეთის რუკა, რომლითაც თეო თავისსაყვარელთან დადიოდა.

- ნეტავ, რომელი ქალი დათანხმდა საყვარლობას? - ჰკითხა კროსმა მამას.

- გეტყობა, ქალებს არ იცნობ, - უპასუხა კროსმა, - თუ მოსწონხარ, სააბაზანოს ნიჟარაშიც რომ ჩააფსა, ხმას არ გაგცემენ. თუ არ მოსწონხარ, სულაც ინგლისის დედოფლად რომ გაქციონ, მაინც მიწასთან გაგასწორებენ.

პიპი ოპერატიულ ჯგუფთან შესახვედრად ლოს-ანჯელესში გაფრინდა და დაბრუნებისთანავე უთხრა კროსს:

- ხვალ ღამით.

მეორე დღეს უდაბნოს სიცხეს გაერიდნენ და გამთენიისას დაადგნენ ლოს-ანჯელესისკენ მიმავალ გზას. პიპიმ კროსს ურჩია, მოდუნებულიყო და ძალა მოეკრიბა. კროსი მონუსხულივით უყურებდა ამომავალ მზეს, რომლის შუქსაც შორეული სიერა-ნევადის ძირში გაწოლილი უდაბნო ოქროსფრად და მეწამულად შეეღება. ღელავდა და ამ დავალების უკან მოტოვება ეჩქარებოდა.

ოკეანის სანაპიროზე იმ სახლს მიადგნენ, რომელიც ოჯახის

საკუთრებას წარმოადგენდა. იქ ბრონქსის ჯგუფის ექვსი მებრძოლი ელოდებოდათ. ეზოში მოპარული და ხელახლა შეღებილი მანქანა იდგა, რომლისთვისაც ყალბი სანომრე ნიშანი დაეყენებინათ. ამავე სახლში იყო ულიცენზიო იარაღი, რომელიც დღევანდელი საქმის მოსაგვარებლად უნდა გამოეყენებინათ.

კროსი სახლის მდიდრულმა მოწყობილობამ და განლაგებამ გააოცა. ოკეანეზე ულამაზესი ხედი იშლებოდა, იქვე იყო საცურაო აუზი და გასარუჯი ვერანდა. შეატყო, რომ მებრძოლები პიპის კარგად იცნობდნენ, მაგრამ მამამ მათ კროსი არ გააცნო.

ოპერაციის დაწყებამდე, ანუ შუაღამემდე, თერთმეტი საათი რჩებოდათ. კაცებს ტელევიზორი არ ჩაურთავთ, ვერანდაზე ბანქოს თამაშს შეუდგნენ. ყველას საბანაო კოსტიუმი ეცვა.

- ამის დედაც! საცურაო აუზი სულ დამავიწყდა! - გაუღიმა პიპიმ კროსს.

- არაფერია, - უთხრა კროსმა, - ტრუსით ვიცურაოთ.

ეზო მაღალი გალავნით იყო შემოღობილი.

- შიშველი ტრაკებით ჩავიდეთ, - შესთავაზა პიპიმ, - მაინც ვერსაიდან დაგვინახავენ, გარდა ვერტმფრენებისა. ისინიც, ჩვენ კი არა, მალიბუს სახლების ეზოებში გასარუჯად გაწოლილ ნაშებს აკვირდებიან.

ორივემ ცურვითა და მზეზე წოლით იჯერა გული, მერე კი ერთ-ერთი მებრძოლის მიერ მომზადებული სადილი მიირთვა: ვერანდაზე გრილში შემწვარი ბიფშტექსი, რუკოლასა და სალათის ფურცლების

გარნირით. დანარჩენებმა კერძს წითელი ღვინო მიატანეს, კროსმა კი გაზიანი წყალი დალია. შენიშნა, რომ ჯამა-სმაში ყველამ ზომიერება გამოიჩინა.

შემდეგ პიპიმ კროსი მოპარული მანქანით ადგილის დასაზვერავად წაიყვანა. სანაპიროს გზატკეცილს გაუყვნენ და უესტერნის სტილში გაფორმებულ რესტორანს მიადგნენ, სადაც თეოს უნდა შეხვედროდნენ. მზვერავების თქმით, როცა თეო ოთხშაბათობით ოქსნარდში ბრუნდებოდა, დაახლოებით შუაღამისას ამ რესტორანში ჩერდებოდა, ყავას სვამდა და ბეკონიან ერბოკვერცხს შეექცეოდა. დაახლოებით ღამის პირველ საათზე მიდიოდა. ამაღამ ორკაციან სადაზვერვო ჯგუფს უნდა ედევნა მისთვის თვალყური და ტელეფონით გადმოეცათ მისი ადგილსამყოფელი.

შინ დაბრუნების შემდეგ პიპიმ ყველას დავალებები მისცა. ექვსი მებრძოლი სამი მანქანით უნდა გადაადგილებულიყო. ერთი მანქანა კროსს წინ გაუსწრებდა, მეორე უკან გაჰყვებოდა, მესამე კი რესტორნის ეზოში იდგებოდა და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებოდა.

კროსი და პიპი სატელეფონო ზარის მოლოდინში ვერანდაზე ისხდნენ. მთვარის შუქზე ეზოში მდგარი ხუთი მანქანა ხოჭოებივით ლაპლაპებდა. ექვსი კაცი ბანქოს თამაშს განაგრძობდა და ვერცხლის მონეტებს აჩხრიალებდა. როგორც იქნა, თორმეტის ნახევარზე ტელეფონით ამცნეს, რომ თეო ბრენტვუდიდან რესტორნის მიმართულებით გაემართა. მებრძოლები მანქანებში ჩასხდნენ და

თავიანთი ადგილების დასაკავებლად გაემგზავრნენ. პიპი და კროსი გატაცებულ მანქანაში ჩასხდნენ და, ვიდრე დაძრავდნენ, კიდევ თხუთმეტი წუთი მოიცადეს. კროსს ქურთუკის ჯიბეში ოცდაორკალიბრიანი მცირე ზომის პისტოლეტი ჰქონდა, რომელიც, თუმცა მაყუჩი არ ეკეთა, სროლისას დაბალ ხმას გამოსცემდა. პიპის ხმაურიანი იარაღი ჰქონდა: მას მერე, რაც დააპატიმრეს, იარაღს მაყუჩს არ უკეთებდა.

პიპი საჭეს მიუჯა. ოპერაცია ისეთნაირად დაიგეგმა, რომ მის მონაწილეთაგან არც ერთი არ შესულიყო რესტორანში: პოლიცია ყველა კლიენტს დაჰკითხავდა. მზვერავებმა თეოს მანქანის ნომერი შეატყობინეს. გაუმართლათ, რომ ის ხასხასა წითელი ფერის იყო, თანაც - იაფფასიანი „ფორდი“, და ამ მიდამოებში, სადაც მეტწილად „მერსედესები“ და „პორშეები“ შეგხვდებოდათ, მისი ამოცნობა ძნელი არ იქნებოდა.

რესტორნის სადგომს რომ მიადგნენ, თეოს მანქანა უკვე იქ დახვდათ. პიპიმ ძრავა და მაშუქები გამორთო. სიბნელეში ისხდნენ და გზის გადაღმა ოკეანის მუქ ტალღებზე მთვარის ოქროსფერ სხივებს გაჰყურებდნენ. მათი ხალხის ერთ-ერთ მანქანას რესტორნის გვერდით ხედავდნენ. იცოდნენ, რომ დანარჩენი ორი გზაზე ელოდებოდათ, რათა დაბრუნებისას შესაძლო მდევრები შეეჩერებინათ.

კროსმა საათს დახედა. პირველის ნახევარი იყო. კიდევ თხუთმეტი წუთი უნდა მოეცადათ. უეცრად პიპიმ უთხრა:

- ადრე გამოვიდა. მიდი!

კროსმა გაღებულ კარში რესტორნის სინათლე და გარეთ გამოსული კაცის ფიგურა დაინახა. გაუკვირდა, თეო ბიჭივით გამხდარი და ტანდაბალი რომ აღმოჩნდა, ფერმკრთალი სახე და ხუჭუჭა თმა ჰქონდა. მკვლელისთვის მეტისმეტად უწყინარი ჩანდა.

მერე მოულოდნელი რამ მოხდა. მანქანაში ჩაჯდომის ნაცვლად, თეომ გზა გადაკვეთა, ნაპირისკენგასწია და პლაჟზე გაჩერებული, ერთხანს მთვარის შუქზე მოლივლივე ოკეანის წყლის ცქერით ტკბებოდა. მერე მანქანასთან დაბრუნდა. ტლღებში შესულა, რადგან ძვირფასი ფეხსაცმელი სველი ჰქონდა.

კროსი ნელა გადმოვიდა მანქანიდან. თეო თითქმის მის გვერდით იყო. კროსმა ის თავაზიანი ღიმილით გაატარა, მანქანაში ჩაჯდომა და ფანჯრის ჩამოწევა აცადა. თეომ ჩრდილი დაინახა, თვალები ასწია და იმწამს, როცა კროსმა გაისროლა, მათ ერთმანეთს თვალებში ჩახედეს. სახეში მოხვედრილმა ტყვიამ თეო ადგილზე გაყინა. კროსმა კარი გამოაღო და თავში კიდევ ორი ტყვია დაახალა. სისხლი სახეში შეესხა. კროსმა მანქანის იატაკზე ნარკოტიკებით სავსე პარკები მიმოაპნია და კარი დაკეტა. როგორც კი კროსმა გაისროლა, პიპიმ ძრავა აამუშავა. ახლა კარი გაუღო და კროსი მანქანაში შეხტა. გეგმის თანახმად, იარაღი ადგილზე არ დაუგდია. ეს რომ გაეკეთებინა, მომხდარი დაგეგმილ მკვლელობას დაემსგავსებოდა, მათ კი სურდათ, ისეთი შთაბეჭდილება შექმნილიყო, თითქოს თეოს ნარკოტიკების ვაჭართან შელაპარაკება მოუვიდა.

ადგილიდან დაიძრნენ, დანარჩენი მანქანებიც გაჰყვნენ და ხუთ

წუთში უკვე სახლში იყვნენ. ათი წუთის შემდეგ პიპი და კროსი პიპის მანქანით ვეგასში ბრუნდებოდნენ. დანარჩენები მოპარულ მანქანასა და იარაღს გადამალავდნენ.

რესტორანს რომ ჩაუარეს, პოლიცია არ ჩანდა. აშკარა იყო, თეო ჯერ არ აღმოუჩენიათ. პიპიმ რადიო ჩართო და ახალ ამბებს მოუსმინა. არაფერი გადმოუციათ.

- შესანიშნავია, - თქვა პიპიმ, - როცა საქმეს სწორად დაგეგმავ, ყველაფერი უნაკლოდ მიდის.

ვეგასში გამთენიისას ჩავიდნენ. უდაბნო წითელ ზღვას ჰგავდა. კროსს სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს უსასრულო გზა სიბნელეში, მთვარის შუქზე, მერე მზის ამოსვლა, ბოლოს კი გაკაშკაშებული ვეგასი. ეს კოშმარიდან გამოღვიძებას ჰგავდა. ვეგასში არასოდეს ბნელოდა.

დაახლოებით ამ დროს აღმოაჩინეს თეოს გვამი, რომელიც განთიადის შუქზე კიდევ უფრო ფერმკრთალი ჩანდა. პოლიციამ განაცხადა, რომ მის ავტომანქანაში ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების კოკაინი იპოვა. არავის შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ მკვლელობა ნარკოტიკების გამო ჩამოვარდნილი უთანხმოების ნიადაგზე მოხდა. გუბერნატორი არაფერ შუაში იყო.

კროსმა ოფიციალური განცხადებიდან შემდეგი დასკვნები გამოიტანა: ჯერ ერთი, მან თეოს მანქანაში სულ რაღაც ათი ათასის ღირებულების ნარკოტიკი ჩაყარა, პოლიციამ კი ბევრად უფრო დიდი ფასი დაასახელა; მეორე - საზოგადოებამ გუბერნატორს მოუწონა,

რომ მან მოკლულის ახლობლებს სამძიმარი შეუთვალა. რაც შეეხება მედიას, ერთი კვირის შემდეგ ეს ფაქტი აღარავის უხსენებია.

ჯორჯომ პიპი და კროსი თავისთან აღმოსავლეთში მიიწვია და ოპერაციის უნაკლოდ ჩატარება მიულოცა. იმაზე არაფერი უთქვამს, რომ მკვლელობა უბედური შემთხვევით უნდა შეენიღბათ. კროსმა იგრძნო, რომ ამჯერად მას ყველა ისეთი პატივისცემით შეხვდა, როგორიც ოჯახის ნამდვილ წევრსა და მებრძოლს ეკადრებოდა. პირველ რიგში, ეს იმით გამოიხატა, რომ მას ვეგასში ლეგალური და არალეგალური თამაშების ბიზნესის პროცენტი გამოუყვეს. ამიერიდან ის კლერიკუციოს გვარის ოფიციალური წევრი გახდა და საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა, დავალება დაეკისრებინათ, რისთვისაც რისკის შესაბამის გასამრჯელოს მიიღებდა.

გრონეველტმაც მიიღო კუთვნილი ჯილდო. როგორც კი უოლტერ უევენი სენატორი გახდა, ერთი კვირით დასასვენებლად „ქსანადუს“ ეწვია. გრონეველტმა ვილა დაუთმო და მისალოცად ეახლა.

სენატორი უევენი ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდა. თამაშობდა, იგებდა, შოუს გოგონებთან ერთად სადილობდა. გადატანილი ტრაგედიის კვალი აღარ ემჩნეოდა. მომხდარზე მხოლოდ მინიშნება გააკეთა, როცა გრონეველტს უთხრა:

- ალფრედ, თქვენთან ვალში ვარ.

- ვეცდები, თქვენი დიდსულოვნება ბოროტად არ გამოვიყენო, თუმცა, მადლობელი ვარ, - უპასუხა გრონეველტმა.

ვალის დაბრუნებას სულაც არ ჩქარობდა. ხანგრძლივი ახლო

მეგობრობა ერჩივნა.

მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში კროსი სასტუმროსა და კაზინოს მართვაში გაიწაფა. უწინდებურად ეხმარებოდა მამას სააგენტოში, მაგრამ, გარდა ამისა, კლერიკუციოს ნომერ მეორე „ეროს“ როლსაც ასრულებდა.

ოცდახუთი წლის ასაკს რომ მიაღწია, ოჯახში მეტსახელად „პატარა ეროს“ ეძახდნენ. თვითონაც უკვირდა, თავის სამუშაოს უდრტვინველად რომ ასრულებდა. მსხვერპლს პირადად არასოდეს იცნობდა. ეს ადამიანები მხოლოდ დაუცველი, კანით დაფარული ხორცის ნაჭრები იყვნენ; ჩონჩხი მათ იმ ნადირთა ფორმას ანიჭებდა, რომელსაც ბავშვობაში მამასთან ერთად კლავდა. რისკს მხოლოდ გონებით აღიქვამდა, ფიზიკური შიში მისთვის უცხო იყო. ზოგჯერ, ცხოვრების მშვიდ პერიოდებში გაღვიძებისას, მსუბუქ ფორიაქს გრძნობდა, თითქოს უსიამოვნო სიზმარი ენახოს. დროდადრო გულზე სიმძიმე აწვებოდა, ბავშვობას, დედასა და დას იხსენებდა და იმ დღეებზე ფიქრობდა, როცა ოჯახის დაშლის შემდეგ მათ მოსანახულებლად ჩადიოდა.

დედის რბილი ლოყა და ნაზი კანი აგონდებოდა. სიზმრებში ეს კანი იწვოდა, ინაცრებოდა, სისხლი ნაკადულებად სდიოდა. სხვა მოგონებებიც აწვებოდა. დედასთან სტუმრობისას მუდამ წამიერი, თავაზიანი მოძრაობით გადაეხვეოდა ხოლმე, მისგან შინ დაბრუნებისას კი კროსს მწარე განცდა ეუფლებოდა, თითქოს დედა სამუდამოდ დაკარგა და მის სითბოს ვეღარასოდეს დაიბრუნებდა.

კლოდიასთან დაკავშირებით დანაკარგის განცდა არჰქონია. მათი საერთო წარსული არ გამქრალა და კვლავაც ერთიმეორის ნაწილი იყვნენ. აგონდებოდა, პატარაობაში ის და მისი და ზამთრობით როგორ ჩხუბობდნენ ხოლმე: ხელები შეხსნილი პალტოს ჯიბეებში ეწყოთ და ერთურთს გამალებით ურტყამდნენ. ეს უცოდველი ორთაბრძოლა გახლდათ. კროსი ფიქრობდა, რომ მის ცხოვრებაში ყველაფერი ისე აეწყო, როგორც საჭირო იყო, ოღონდ ხშირად ენატრებოდა დედა და და, თუმცა მამასა და კლერიკუციოს ოჯახის წევრებთან თავს კარგად გრძნობდა.

ოცდახუთი წლის ასაკში კროსმა უკანასკნელად მიიღო მონაწილეობა ოპერაციაში. ამჯერად მისი მსხვერპლი ისეთი ადამიანი იყო, ვისაც მთელი ცხოვრების განმავლობაში იცნობდა...

ეფბიაის მაშტაბურმა ოპერაციამ მრავალი ნარკობარონი და მაფიის ბოსი შეიწირა, მათ შორის - ვირჯინიო ბალაცოც, რომელიც იმ დროისთვის სამხრეთი სანაპიროს უდიდესი ოჯახის თავკაცი იყო.

ვირჯინიო ბალაცო ოც წელიწადზე მეტხანს იყო კლერიკუციოს ერთ-ერთი ბარონი და პატიოსნად უხდიდა თავისი საქმიდან წილს. სამაგიეროდ, კლერიკუციომ ის გაამდიდრა. თავისი დაცემის დროისთვის მას ორმოცდაათი მილიონი დოლარი ჰქონდა. მეფურად ცხოვრობდა, მაგრამ მოულოდნელი კატასტროფა დაატყდა თავს. ბალაცომ „ომერტას“ ანუ დუმილის წესი დაარღვია და გასცა ისინი, ვისაც მთელ თავის სიმდიდრეს უმადლოდა.

ის დააკავეს და მკვლელობაში დასდეს ბრალი, მაგრამ ეს იმდენად

მძიმე ბრალდება არ ყოფილა, მისი ღალატი რომ გაემართლებინა. ბოლოს და ბოლოს, ნიუ-იორკის შტატში სიკვდილით დასჯა არ იყო დაკანონებული. რამდენიც უნდა მიესაჯათ მისთვის, კლერიკუციოს ოჯახი მის გათავისუფლებას მოახერხებდა და რომც ჩაესვათ, პატიმრობის წლებში არაფერს მოაკლებდა. სცენარი წინასწარ იყო ცნობილი. მსაჯულებს მოისყიდდნენ, ბრალდებულის სასარგებლოდ მოწმეებს მოძებნიდნენ. იყო შემთხვევები, როცა განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახი მის გასაჩივრებას ახერხებდა და ბრალდებულის უდანაშაულობის დამამტკიცებელ ახალ საბუთებს წარმოადგენდა. მას არა მხოლოდ ამართლებდნენ, არამედ დიდ ფულად კომპენსაციასაც კი უხდიდნენ იმის გამო, რომ საპატიმროში „უდანაშაულოდ“ ამყოფეს. [P SEP]

არა, ვირჯინიი ბალაცოს ციხის არ ეშინოდა. მოღალატედ ფედერალების მუქარამ აქცია, რომ მთელ მის ქონებას არალეგალური შემოსავლის კანონის შესაბამისად დააყადაღებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი შვილები ნიუ-ჯერსიში დიდებულ სახლს, ფლორიდაში ბინასა და კენტუკიში მდებარე, საჯიშე ცხენების ფერმას დაკარგავდნენ. საშემოსავლო კანონის მიხედვით, ხელისუფლებას შეეძლო, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულისთვის მთელი ქონება ჩამოერთმია. თვით დონ დომენიკო აღშფოთებული დარჩა ამ კანონის მიღებით, თუმცა ჩაილაპარაკა: „მდიდრები ამ კანონის დამტკიცებას მწარედ ინანებენ, რადგან ის დღეც დადგება, როცა მისი წყალობით, მთელი უოლ-სტრიტი ციხეში ამოყოფს თავს“. [P SEP]

ბედად, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე კლერიკუციოს გვარმა წინდახედულება გამოიჩინა და თავის ძველ მეგობარ ბალაცოს ნაკლებად ენდობოდა, რადგან ის საზოგადოების წინაშე თავის მოწონებისკენ ზედმეტ სწრაფვას იჩენდა. „ნიუ-იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა ვრცელი რეპორტაჟი ანტიკვარული ავტომობილების მისი კოლექციის შესახებ. ერთ-ერთ ფოტოზე ბალაცო 1935 წლის „როლს-როისის“ საჭესთან იჯდა. ის ტელეეკრანებზეც გამოჩნდა, როცა დოღზე თავის ცხენს ქომაგობდა. ტელერეპორტიორმა ის მაყურებელს შეძლებულ ბიზნესმენად, ხალიჩების იმპორტიორად წარუდგინა. კლერიკუციოს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა. ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, ბალაცოსთან დაკავშირებით მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ.

აშშ-ის საოლქო პროკურორთან ვირჯინიო ბალაცოს საუბრის შესახებ კლერიკუციოს ოჯახს ბალაცოს ადვოკატმა ამცნო. დონი სანახევროდ ჩამოშორებულიყო საქმეებს, ამჯერადაც ყველაფერი ჯორჯოს გადააბარა და უთხრა, ეს შემთხვევა სიცილიურ სიმტკიცეს მოითხოვსო.

შედგა საოჯახო საბჭო, რომელსაც დონი, მისი სამი ვაჟი და პიპი დე-ლენა დაესწრნენ. ხელისუფლებისთვის ინფორმაციის მიწოდებით ბალაცოს მართლაც შეეძლო ოჯახისთვის ზიანის მოტანა, თუმცა ყველაზე მეტად კლერიკუციოს იმპერიის დაბალი ფენები იზარალებდნენ. მოღალატე თავისი სიტყვების დამამტკიცებელ საბუთებს ვერ წარმოადგენა. ჯორჯომ ნათესავებს შესთავაზა,

უკიდურეს შემთხვევაში, ოჯახის მთავარი რეზიდენცია საზღვარგარეთ გადაეტანათ, მაგრამ დონი გაბრაზდა და კატეგორიული უარი განუცხადა. ამერიკის გარდა, სხვაგან სად უნდა ეცხოვრათ?! ამერიკამ ისინი გაამდიდრა, ამერიკა მსოფლიოს უმძლავრესი სახელმწიფო იყო და თავის მდიდრებს იცავდა. დონი ხშირად იმეორებდა ამერიკული სამართლის ნორმას: „ჯობს, ასი დამნაშავე თავისუფალი დარჩეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო შეცდომით დაისაჯოს“, - და ყოველთვის დასძენდა ხოლმე, რა მშვენიერი ქვეყანაა! ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ამ შესანიშნავმა ცხოვრებამ მაფია მოადუნა და დააძაბუნა. სიცილიაზე ბალაცო ვერასოდეს გაბედავდა ომერტის დარღვევას და ეს რომც ჩაედინა, საკუთარი ვაჟები მოკლავდნენ.

- მეტისმეტად ხნიერი ვარ საიმისოდ, რომ სხვა ქვეყანაში გავემგზავრო საცხოვრებლად, - თქვა დონმა, - მოღალატეს უფლებას არ მივცემ, ჩემი ქვეყნიდან გამაძევოს.

თავისთავად ბალაცო მათ მცირე პრობლემას უქმნიდა, მაგრამ ის სხვებისთვის მაგალითს, ფრიად სახიფათო სიმპტომს წარმოადგენდა. სხვაც ბევრი იყო მისი მსგავსი, თანდათან რომ ჩამოშორდა იმ სამყაროს, რომელმაც გაამდიდრა. ოჯახს ლუიზიანაში, ჩიკაგოსა და ტამპაშიც ჰყავდა ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი სიმდიდრისა და ძალაუფლების საქვეყნოდ გამომზეურებას არ ერიდებოდნენ.როცა ამ ყოყოჩებს მათივე დაუდევრობის გამო სასჯელი ემუქრებოდათ, მის ასაცილებლად არაფერს თაკილობდნენ, თავისიანებს გასცემდნენ და ომერტას არღვევდნენ. ამგვარი

ნაძირალა სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს - ასეთი გახლდათ დონის აზრი, თუმცა მან მზადყოფნა გამოთქვა, სხვებისთვისაც მოესმინა: იქნებ ახალგაზრდები სხვა გამოსავალსაც ხედავდნენ. P SEP

ჯორჯომ კიდევ ერთხელ გადმოულაგა მსმენელებს ფაქტები. ბალაცო პროკურორთან მოლაპარაკებას წარმართავდა, მზად იყო, ციხეში ჩამჯდარიყო, ოღონდაც მისი ოჯახისთვის ქონება არ ჩამოერთმიათ, თუმცა ერჩივნა, არც ციხეში ჩამჯდარიყო და მზად იყო, თავისუფლება ინფორმაციის ფასად ეყიდა. „მოწმეთა დაცვის პროგრამა“ მასა და მის ცოლს სხვა ქვეყანაში უსაფრთხო ცხოვრებით უზრუნველყოფდა. ყალბი საბუთებით იცხოვრებდნენ, პლასტიკური ოპერაციით გარეგნობას შეიცვლიდნენ. მათი შვილებიც უსაფრთხოდ და ღირსეულად იცხოვრებდნენ. ასეთი იყო გარიგების პირობები.P SEP

ყველა ერთხმად დათანხმდა იმ აზრს, რომ ბალაცო, მისი ცოდვების მიუხედავად, მზრუნველი მამა იყო. სამი კარგი შვილი აღზარდა. უფროსმა ვაჟმა ჰარვარდის ბიზნესსკოლა დაამთავრა, ქალიშვილს, სილს, მეხუთე ავენიუზე პარფიუმერიის ფეშენებელური მაღაზია ჰქონდა, უმცროსი ვაჟი კი კოსმოსურ პროგრამაში კომპიუტერზე მუშაობდა. სამივე მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას იმსახურებდა, ჭეშმარიტი ამერიკელები იყვნენ და ამერიკული ოცნების ახდენის მაგალითად გამოდგებოდნენ. P SEP

- მაშ, ასე, - დაიწყო მოხუცმა დონმა, - ბალაცოს ნათლად უნდა ვაცნობოთ, რომ ჩვენ გარდა, ყველა შეუძლია ჩაძიროს, მაგრამ თუ კლერიკუციოზე ერთი სიტყვა მაინც წამოსცდა, ამას მისი შვილები

შეეწირებიან. თავად მასზე ლაპარაკიც კი აღარ არის - მაინც ვერაფერი უშველის.

- როგორც ჩანს, დღეს მუქარით ვეღარავის შეაშინებ, - შენიშნა პიპი დე-ლენამ.

- მუქარა პირადად ჩემგან წამოვა და იძულებული იქნება, დაიჯეროს, - მიუგო დონმა.

- თუკი მოწმეთა დაცვის პროგრამაში იქნება, ახლოსაც ვერ გავეკარებით, - თქვა ვინსენტმა.

- ჩემო „მარტელო“, შენ რაღას ფიქრობ ამაზე? - ჰკითხა დონმა პიპის.

- მას შემდეგ, რაც ჩვენებას მისცემს და დაცვის პროგრამაში მოექცევა, მაინც მივწვდებით, თუმცა ეს დიდ რისკთან და ხმაურთან იქნება დაკავშირებული. გვიღირს ამად საქმე? ეს რაიმეს შეცვლის?

- სწორედ ხმაურის გულისთვის ღირს ამის გაკეთება. ამით ქვეყანას ფრიად საყურადღებო ცნობას გავუგზავნით, - უთხრა დონმა.

- მამა, იქნებ ჯობდეს, მოვლენები ნებაზე მივუშვათ? რაც უნდა განაცხადოს ბალაცომ, ეს ბევრს ვერაფერს დაგვიშავებს. ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა.

- იქნებ მართალიც ხარ, მაგრამ განა არსებობს გრძელვადიანი გადაწყვეტილებები? ეჭვი გეპარება, რომ მისი დასჯით სხვებს შევაჩერებთ? ზოგიერთს თუ ვერ შევაჩერებთ, რამდენიმეს მაინც ხომ შევაშინებთ. თვით უფალმაც კი ვერ მოახერხა სასჯელის გარეშე სამყაროს შექმნა. ბალაცოს ადვოკატს თვითონ დაველაპარაკები, ის

ჩემს ნათქვამს გადასცემს. სასამართლოს შემდეგ კი ჩვენს საქმეს აღვასრულებთ.

- ცოლი? - იკითხა ვინსენტმა.

- კარგი ქალია, - შენიშნა დონმა, - მაგრამ მეტისმეტად გაამერიკელდა. აბა, როგორ დავტოვოთ უნუგეშო ქვრივი, რომელმაც შესაძლებელია, მოთქმა-გოდებას მნიშვნელოვანი საიდუმლოებებიც მიაყოლოს?!.

- ვირჯინიოს შვილებს რას ვუზამთ? - პირველად ალაპარაკდა პიტი, ნამდვილი მკვლელი.

- თუ აუცილებელი არ გახდა, შვილებს ხელს ნუ ვახლებთ. ურჩხულები ხომ არ ვართ, - მიუგო დონმა, - თანაც ბალაცო თავის შვილებს საქმეში არ ახედებდა. სურდა, ყველას ჰგონებოდა, რომ ცხენების გარდა, სხვა არაფერი იტაცებდა. ჰოდა, აწი ჯოჯოხეთში იჯირითოს თავისი ცხენებით, - დონმა სული მოითქვა და დაასკვნა: - ბავშვები გაუშვით. ამ ქვეყანაში შვილები მშობლების გამო შურს არ იძიებენ.

მეორე დღესვე დონმა ადვოკატის პირით გადასცა ბალაცოს თავისი ნება. ცხადია, ქარაგმულად. საუბრისას გამოთქვა იმის იმედი, რომ მის ძველ მეგობარ ბალაცოს კლერიკუციოს ოჯხთან მხოლოდ კეთილი მოგონებები აკავშირებდა და დაარწმუნა, რომ თვითონ ძალ-ღონეს არ დაიშურებდა თავისი საბრალო მეგობრისთვის. ბალაცოს შეუთვალა, შვილებზე არ ედარდა, რადგან მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვას თავად იკისრებდა.

- ჩემი მეგობრის სიმამაცის ამბავი კარგად მომეხსენება: მას არც ციხე აფრთხობს, არც ელექტროსკამი, არც ჯოჯოხეთი, მხოლოდ შვილების ბედი ადარდებს. გადაეცით, რომ მე, დონ დომენიკო კლერიკუციო, პირადად ვაძლევ მათი უსაფრთხოების გარანტიას.

ადვოკატმა ყველაფერი სიტყვასიტყვით გადასცა თავის კლიენტს. მისი პასუხი ასე ჟღერდა:

- გადაეცით ჩემს უძვირფასეს მეგობარს, რომელიც მამაჩემთან ერთად სიცილიაზე იზრდებოდა, რომ მის დაპირებაზე დიდ იმედს ვამყარებ და უსაზღვროდ ვემადლიერები. კლერიკუციოს მთელ ოჯახთან იმდენად თბილი მოგონებები მაკავშირებს, რომ ამას სიტყვებით ვერც კი გამოვთქვამ. ხელზე ვემთხვევი. - მერე კი ადვოკატს უთხრა: - ჩემი ჩვენებები ძალიან ფრთხილად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რათა ჩვენი მეგობარი ამ საქმეში არ გავრიოთ.

- მესმის, - უთხრა ადვოკატმა და მოგვიანებით ეს საუბარი დონს გადასცა.

ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ბალაცომ ომერტა დაარღვია და მაფიისმრავალი წვრილფეხა წევრი გასცა, ნიუ-იორკის მერის მოადგილეც კი არ დაინდო. მაგრამ კლერიკუციოზე სიტყვაც კი არ დაუძრავს. ამის შემდეგ ბალაცო, ცოლთან ერთად, მოწმეთა დაცვის პროგრამის შესაბამისად გაუჩინარდა.

გაზეთები და ტელევიზია აღტაცებით აშუქებდნენ იმას, თუ როგორ გადაუმტვრიეს მაფიას ხერხემალი. გაზეთების ფურცლებზე ასობით ფოტო გამოქვეყნდა, ტელეეთერში უჩვენებდნენ, როგორ

მიაბრძანებდნენ ბორკილდადებულ ბოროტმოქმედებს საპატიმროში. გამოქვეყნებულ ფოტოებზე ბალაცო თავისი ანტიკვარული ავტომანქანების, კენტუკის ჯიშიანი ცხენების, უძვირფასესი ლონდონური გარდერობის ფონზე იწონებდა თავს. ფუფუნების ნამდვილი ორგია იყო.

როცა დონმა პიპის დაავალა, ბალაცო მოეძებნა და მისთვის ანგარიში გაესწორებინა, უთხრა:

- ეს ისეთნაირად უნდა გააკეთო, რომ საზოგადოებაში ისეთივე დიდი გამოხმაურება მოჰყვეს, როგორიც ახლაა. ჩვენი ვირჯინიო ღირსეულად უნდა გავაცილოთ.

მაგრამ ამ გეგმის განსახორციელებლად „ურროს“ წელიწადზე მეტი დასჭირდა.

კროსს ბალაცო, როგორც მხიარული და გულუხვი კაცი, ისე ახსოვდა. მასთან ხშირად სადილობდა, მისი ცოლი კარგ იტალიურ კერძებს ამზადებდა. კროსს დღემდე არ ავიწყდებოდა მისი სპაგეტი, ყვავილოვანი კომბოსტოთი და ნივრით. ბავშვობაში მათ შვილებთან ერთად თამაშობდა, სიყმაწვილეში კი ბალაცოს ქალიშვილიც შეუყვარდა. სილმა მას იმ აღდგომის შემდეგ კოლეჯიდან მისწერა, მაგრამ კროსმა არ უპასუხა. როცა პიპისთან ერთად მარტო დარჩა, უთხრა:

- ამ ოპერაციის ჩატარება არ მინდა.

მამამ ნაღვლიანად გაუღიმა და უპასუხა:

- კროს, ასეთი რამ ზოგჯერ ხდება. ამას უნდა შეეჩვიო. სხვანაირად

ვერ გადარჩები.

- ვერ გავაკეთებ, - გაიმეორა კროსმა.

- კარგი, ვეტყვი, რომ შენ დაგეგმვაში მეხმარებოდი, შემსრულებლად კი დანტეს ავიყვან.

კლერიკუციოს ოჯახმა დიდი სამუშაო ჩაატარა, რათა საიმედოდ დაცული ცოლ-ქმრის ადგილსამყოფელი აღმოეჩინა. ისინი სხვა სახელებითა და ყალბი საბუთებით მშვიდად ცხოვრობდნენ, პლასტიკურმა ოპერაციამ ათი წლით გააახალგაზრდავა და გარეგნობა შეუცვალა. მაგრამ სხეულის აგებულება, მოძრაობები, ხმები ისევ ის და კიდევ უფრო ადვილად ამოსაცნობი ჰქონდათ.

ძველი ჩვევებები არასოდეს ქრება. ერთ კვირა დღეს ბალაცო და მისი ცოლი სამხრეთ დაკოტის ერთ-ერთი პატარა ქალაქის კაზინოში სათამაშოდ გაემგზავრნენ. პიპი დე-ლენა და დანტე კლერიკუციო ექვსი კაცის თანხლებით თავს დაესხნენ. დანტემ გეგმა დაარღვია და ვიდრე ესროდა, თავი გაუმჟღავნა.

გვამები არ გაუძარცვავთ, მკვლელობას აშკარად შურისძიების კვალი ეტყობოდა და მას პრესაში დიდი აღშფოთება და აჟიოტაჟი მოჰყვა. საზოგადოება დამნაშავეთა დასჯას მოითხოვდა. კლერიკუციოს ოჯახს საფრთხე დაემუქრა.

პიპი ორი წლის განმავლობაში სიცილიაზე იმალებოდა, დანტე ნომერ პირველ „ურად“ დაინიშნა, კროსი კი კლერიკუციოს იმპერიის დასავლეთი პროვინციის ბარონი გახდა. ბალაცოს მოცილებაზე უარი რომ თქვა, ოჯახს ეს არ დავიწყებია. ჩათვალეს, რომ მას ნამდვილი

„ურος“ სიმტკიცე აკლდა.

ვიდრე პიპი სიცილიაზე ორი წლით გაემგზავრებოდა, დონ დომენიკომ გამოსამშვიდობებელი სადილი გაუმართა.

- ჩემი ვაჟის გამო უნდა მოგიბოდიშოთ, - უთხრა პიპიმ დონს, - ახალგაზრდაა და სენტიმენტალობა ვერ დასძლია: ბალაცოს ოჯახი ძალიან უყვარდა.

- ვირჯინიო ყველას გვიყვარდა, - უთხრა დონმა, - ასე არავინ მყვარებია.

- მაშ, რატომ მოვკალით? - გაიკვირვა ჯორჯომ. - განა, ეს ამდენ რისკად და პრობლემად ღირდა?

დონმა მკაცრად შეხედა.

- წესრიგის გარეშე ცხოვრებას ვერ ააწყობ. როცა ძალაუფლება გაქვს, ის სამართლიანობის დასამყარებლად უნდა გამოიყენო. ბალაცომ დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენა. პიპის ეს კარგად ესმის. ხომ ასეა, პიპი?

- რა თქმა უნდა, დონ დომენიკო, - უთხრა პიპიმ, - მაგრამ მე და თქვენ ძველ სკოლას მივეკუთვნებით, ჩვენს შვილებს კი ჩვენი აღარ ესმით. მინდოდა, მადლობა მეთქვა იმისთვის, რომ ჩემს არყოფნაში კროსი დასავლეთის ბარონად დანიშნეთ. გპირდებით, იმედს არ გაგიცრუებთ.

- ვიცი. მას ისევე ვენდობი, როგორც შენ. ვხედავ, გონიერია, ეს სისუსტე კი ახალგაზრდობის ბრალია. გავა დრო და გული გაუმაგრდება.

სადილი ბრონქსის ჯგუფის ერთ-ერთი მებრძოლის ცოლმა მოამზადა. ქალს დონისთვის ჯამით გახეხილი ყველის მოტანა დაავიწყდა, რასაც სადილზე მუდამ მიირთმევდა. პიპი სამზარეულოში გავიდა, ყველი საგულდაგულოდ გახეხა და მერე დონს თვალს ადევნებდა, როცა მან მოყვითალო მასა კოვზით ამოიღო და პირში ჩაიდო. აი, რკინის კაცი, გაიფიქრა პიპიმ. ოთხმოცი წლის იყო და კვლავაც მლაშე ყველს მიირთმევდა და შინ დაწურულ ღვინოს აყოლებდა. პიპიმ სასხვათაშორისოდ იკითხა:

- როუზ-მერი შინაა? მინდა დავემშვიდობო.

- მორიგი შეტევა აქვს, - უკმაყოფილოდ თქვა ჯორჯომ, - კიდევ კარგი, თავის ოთახშია ჩაკეტილი, თორემ მშვიდად ვერ ვისადილებდით.

- მეგონა, დროთა განმავლობაში უკეთ იქნებოდა, - შენიშნა პიპიმ.

- მეტისმეტად ბევრს ფიქრობს, განიცდის. მეტისმეტად უყვარს თავისი შვილი დანტე. არ სურს იმის გაგება, რომ ამ ცხოვრებას მაინც ვერ შევცვლით, - თქვა დონმა.

ჯორჯო პიპის მიუბრუნდა:

- ამ ოპერაციისშემდეგ დანტეს როგორ შეაფასებ? გაბედულად მოქმედებდა?

პიპიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. დონმა ჩაიცინა, მერე კი უთხრა:

- შეგიძლია, გულახდილად ილაპარაკო. ჯორჯო მისი ბიძაა, მე კი - პაპა. ერთი სისხლისანი ვართ და ერთურთის განსჯის უფლება გვაქვს.

პიპიმ ჭამა შეწყვიტა და დონს სინანულით უთხრა.

- დანტეს პირი სისხლით აქვს მოსვრილი.

მათ წრეში ეს გამოთქმა აუცილებელი საქმის შესრულებისას მხეცურ, გადაჭარბებულ სისასტიკეს აღნიშნავდა. კლერიკუციოს ოჯახში ამგვარი ქცევა სრულიად დაუშვებლად მიაჩნდათ.

ჯორჯო სკამის საზურგეს მიეყრდნო და, - ღმერთო დიდებულოო! - ჩაილაპარაკა. დონმა მკრეხელობის გამო საყვედურით შეხედა და პიპის ანიშნა, გაეგრძელებინა. გაკვირვებული არ ჩანდა.

- კარგი მოწაფეა, - განაგრძო პიპიმ, - გაბედულია, გონიერი, ძლიერიც. მაგრამ საქმისგან მეტისმეტად დიდ სიამოვნებას იღებს. ბალაცოს ძალზე ბევრი დრო დაახარჯა. ათი წუთი ელაპარაკებოდა, ვიდრე ქალს ესროდა. კიდევ ხუთი წუთი დააყოვნა, ვიდრე ბალაცოს მოკლავდა. ეს არ მომწონს და საერთოდაც სარისკოა. ასეთ დროს თითოეულ წუთს აქვს მნიშვნელობა. სხვა სამუშაოს დროსაც ზედმეტი სისასტიკე გამოიჩინა. ეს ძველ დროს მაგონებს, როცა ხალხს ყასბის კაუჭებზე კიდებდნენ. დეტალების მოყოლა არც მინდა.

- ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ჩემი ნაბიჭვარი დისშვილი ასეთი დაბალია, - სიმწრით ამოთქვა ჯორჯომ, - ნამდვილი ჯუჯა. ან ამ იდიოტურ ქუდებს სად შოულობს?!.

დონმა მშვიდად მიუგო:

- იქვე, სადაც ზანგები ყიდულობენ ქუდებს. ჩემს ბავშვობაში სიცილიაზე ყველას უცნაური ქუდი გვეხურა. იქნებ ეს სისხლში აქვს. ყველაფერი დედამისის ბრალია: პატარაობაში თავი ათასი

სისულელით გამოუტენა. მეორედ უნდა გათხოვილიყო. ქვრივები ობობებს ჰგვანან - გამუდმებით აბამენ ქსელებს.

- მაგრამ სამუშაოს ხომ კარგად ასრულებს? - იკითხა ჯორჯომ.

- კროსზე ბევრად უკეთ, - დიპლომატიურად უპასუხა პიპიმ, - მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, დედასავით ხომ არ გაგიჟდა? ზოგჯერ მაშინებს კიდეც.

დონმა პირში ყველი ჩაიდო და ღვინო მოსვა. მერე ჯორჯოს უთხრა:

- დისშვილი დაარიგე, ზედმეტობებს თავი აარიდოს. შეიძლება, მთელი ოჯახი საფრთხის ქვეშ დააყენოს. ოღონდ არ უთხრა, რომ ეს მე დაგაბარე. მე უკვე მოხუცი ვარ, ის კი ჯერ ახალგაზრდაა და ვშიშობ, მასზე გავლენას ვეღარ მოვახდენ.

პიპიმ და ჯორჯმა იცოდნენ, რომ ეს ტყუილია, მაგრამ ისიც იცოდნენ - თუ დონს თავის გამომჟღავნება არ სურდა, საამისო მიზეზებიც ექნებოდა. ზედა სართულიდან ფეხის ხმა მოესმათ და სასადილოში როუზ-მერი ჩამოვიდა.

მამაკაცები მის დანახვაზე შეძრწუნდნენ: თმა აჩეჩილი, ტანისამოსი მოუწესრიგებელი ჰქონდა, სახეზე უხვად, გადღაბნილი ფერუმარილი ესვა. პირღია მიშტერებოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ ამოთქვამდა და ნაცვლად ამისა, ხელით აძლევდა ნიშნებს. თუმცა სავსებით გასაგები იყო, რასაც გულისხმობდა: ყველანი სძულდა, სურდა, დახოცილიყვნენ, საკუთარ სისხლში ჩამხრჩვალიყვნენ. ქალი პიპის და ჯორჯოს თეფშებს დასწვდა და იატაკს დაანარცხა.

იცოდა, ამისთვის არ დაისჯებოდა. წლების წინ, პირველი მსგავსი შეტევისას დონის თეფში რომ დალეწა, დონმა ის სამი თვით საგიჟეთში გამოამწყვდია. ახლა დონმა ყოველი შემთხვევისთვის, ყველის ჯამს მაინც დააფარა ხუფი, რადგან ქალს დუჟი მოსდიოდა. ის პიპის მიუახლოვდა და დაისისინა:

- შენთან დამშვიდობება მინდოდა. იმედი მაქვს, სიცილიაზე ჩაძაღლდები.

პიპიმ მის მიმართ ძლიერი სიბრალული იგრძნო. გადაეხვია და გულში ჩაიკრა. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია. პიპიმ ლოყაზე აკოცა და უთხრა:

- ასეთ მდგომარეობაში შენს ნახვას მირჩევნია, სიცილიაზე მოვკვდე.

ქალი ხელიდან დაუსხლტა და კიბე აირბინა.

- გულის ამაჩუყებელია, - დამცინავად უთხრა პიპის ჯორჯომ, - მაგრამ შენ ყოველთვიურად არ გიწევს მისი ატანა.

- უკეთ გახდება ანდა მოკვდება, - თქვა დონმა, - თუ არა და, აქაურობას მოვაცილებ. - მერე პიპის მიუბრუნდა: - გაცნობებ, როცა შენი დაბრუნება შესაძლებელი გახდება. მანამდე კი დასვენებით დატკბი. ბოლოს და ბოლოს, წლები ყველას გვემატება. ოღონდ თვალი გეჭიროს ახალ ხალხზე, ვინც შეიძლება, მებრძოლებად ავიყვანოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ისეთი ხალხი უნდა გვყავდეს, ვისი იმედიც გვექნება, ვისაც ომერტა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და არა აქ დაბადებული დოყლაპიები, ვისაც კარგი

ცხოვრება უნდა, ამის საფასურს კი არ იხდიან.

მეორე დღეს პიპი სიცილიაზე გაემგზავრა, დანტე კი ერთი კვირით ქუოგში სტუმრად ჩამოვიდა. პირველი დღე მთლიანად როუზ-მერისთან ერთად გაატარა. საოცარი იყო, ერთურთის მიმართ როგორი თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ. დედასთან დანტე სულ სხვა ადამიანად იქცეოდა. მასთან უცნაურ ქუდებს არასოდეს იხურავდა, ერთად სეირნობდნენ და სადილობდნენ. დედას ისე სათუთად ეპყრობოდა, როგორც მეთვრამეტე საუკუნის თაყვანისმცემელი - თავის სატრფოს. როცა ქალი ისტერიკაში ვარდებოდა, დანტე გულში იკრავდა და ისიც მალე წყნარდებოდა. შვილთან არასოდეს ემართებოდაშეშლილობის შეტევა. ერთმანეთს ჩუმად, განდობილად ესაუბრებოდნენ.

სადილამდე დანტე დედას კერძის მომზადებაში ეხმარებოდა, დონისთვის ყველს ხეხავდა. როუზ-მერი შვილის საყვარელ კერძებს ამზადებდა: სპაგეტის ყვავილოვანი კომბოსტოთი და შემწვარ ბატკანს ბეკონითა და ნივრით.

ჯორჯოს მუდამ აოცებდა დანტესა და დონის მეგობრობა. დანტე თეფშზე უდებდა საჭმელს და გულდაგულ უპრიალებდა სუფრის კოვზს, რომლითაც მოხუცი გახეხილ პარმეზანს მიირთმევდა. თან ეხუმრებოდა:

- პაპა, კბილებს თუ ჩაისვამ, ყველის გახეხისაგან დავისვენებთ. ხომ იცი, ახლანდელ დანტისტებს სასწაულის მოხდენა შეუძლიათ: ფოლადის კბილებსაც კი ჩაგისვამენ.

დონიც ხუმრობით პასუხობდა.

- მინდა, ჩემი კბილები ჩემთან ერთად მოკვდნენ. რაღა დროს ჩემი სასწულია?! ჩემისთანა ბებერზე ღმერთმა სასწაული რად უნდა დახარჯოს?!

შვილის გულისთვის როუზ-მერი მოწესრიგდა და ჯერაც შერჩენილი ახალგზარდული სილამაზე გამოაჩინა. ასეთ წუთებში ბედნიერი იყო, მისი მამა და ვაჟი ერთმანეთს ასე თბილად და მეგობრულად რომ ეპყრობოდნენ. ეს ქალს მუდმივ შიშსა და დაძაბულობას უოკებდა.

ჯორჯოსაც სიამოვნებდა დის სიმშვიდე. აღარც ნერვებს უშლიდა და გემრიელ საჭმელსაც უმზადებდა.

გვიან, როცა დონი და როუზ-მერი დასაძინებლად დაწვნენ, ჯორჯომ დანტე სახლის იმ ოთახში წაიყვანა, რომელსაც არც ფანჯრები ჰქონდა, არც ტელევიზორი და ტელეფონი - გარე სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილი იყო და გამოქვაბულს ჰგავდა. კარი ძალზე სქელი ჰქონდა. შიგნით შავი ტყავის ტახტი და სავარძლები იდგა. კუთხეში სასმელების ბარი იყო, მაგიდაზე ჰავანური სიგარების კოლოფი იდო.

დანტეს მისი ასაკისთვის მეტისმეტად ცბიერი, უნდო და გამომწვევი გამოხედვა ჰქონდა. ესეც და მისი ტანმორჩილობაც ჯორჯოს აღიზიანებდა.

ჯორჯომ სასმელები ჩამოასხა და სიგარას მოუკიდა.

- კიდევ კარგი, დედაშენის თანდასწრებით მაინც არ გახურავს ეს სულელური ქუდები. საერთოდ, რად გინდა?

- მომწონს, - უსიამო ღიმილით უპასუხა დანტემ, - თანაც შენ, ბიძია ვინსენტი და ბიძია პიტი ასე უფრო შემამჩნევთ. ქუდი სიმაღლეს მმატებს.

ჯორჯომ გაიფიქრა, რომ ქუდები მართლაც უხდებოდა, მის ქრცვინისებრ სახესა და უსწორო ნაკვთებს უფრო დასრულებულ იერს ანიჭებდა.

- საქმიანობისას ნუ დაიხურავ, ადვილად ამოგიცნობენ, - უთხრა ჯორჯომ.

- მკვდრები არ ლაპარაკობენ, - მიუგო დანტემ, - ვინც საქმის დროს დამინახავს, ყველა მოკლულია.

- დისწულო, სისულეებს მორჩი! ეს რისკია, ოჯახი კი ასეთ რისკზე არ მიდის. კიდევ ერთი რამ: შენი პირსისხლიანობის შესახებ უკვე ხმები დაირხა.

დანტე ერთბაშად აფეთქდა და ბიძას მრისხანედ შეხედა:

- ეს პაპამ თუ იცის? მისგან გაიგე?

- დონმა არაფერი იცის, - ოსტატურად იცრუა ჯორჯომ, - და მე მას არაფერს ვეტყვი. მისი საყვარელი შვილიშვილი ხარ და გული ეტკინება. მაგრამ გაფრთხილებ: საქმეზე ქუდი აღარ დაიხურო და სისასტიკეზე ხელი აიღე. ახლა ოჯახის პირველი „ურო“ ხარ და საქმით მომეტებული ტკბობა არ შეგშვენის. ეს ოჯახის კანონებს ეწინააღმდეგება.

დანტე ჩაფიქრებული იყო, თითქოს არც უსმენდა. მერე ჩაილაპარაკა:

- ამას პიპი გეტყოდა...

- ჰო, - მოუჭრა ჯორჯომ, - პიპი ავტორიტეტია. პიპისთან ერთად იმიტომ გაგიშვით, რომ მისგან საქმის კეთება გესწავლა. იცი თუ არა, რატომ გახდა ავტორიტეტი? იმიტომ, რომ კეთილი გული აქვს. ამას სიამოვნებისთვის არ აკეთებს.

დანტემ არაფერი უპასუხა, ისტერიკული სიცილის შეტევა დაემართა. ჯერ ტახტზე გაგორდა, შემდეგ - იატაკზე. ჯორჯო ქუშად ადევნებდა თვალს და ფიქრობდა, დედამისივით შეშლილიაო. ბოლოს დანტე ფეხზე წამოდგა, ჭიქა ერთბაშად გამოცალა და ხალისიანად წარმოთქვა:

- ესე იგი, იმის თქმა გინდა, რომ კეთილი გული არ მაქვს?

- ასეა, - უთხრა ჯორჯომ, - ჩემი დისშვილი ხარ, მაგრამ გიცნობ, რაც ხარ. უბრალო შელაპარაკების გამო ოჯახის დაუკითხავად ორი ადამიანი მოკალი. დონს არ დაუსჯიხარ, არც კი გისაყვედურა. მერე ვიღაც კახპა მოკალი, რომელსაც ერთი წლის მანძილზე ჟიმავდი. „ზიარების“ წესი ჩაატარე, პოლიციამ გვამი ვერ იპოვა. თავი ძალიან ჭკვიანი გგონია, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გამოვიძიეთ და ვიცით, რომ დამნაშავე შენ ხარ.

დანტე დუმდა. არა შიშის გამო, არამედ იმიტომ, რომ რაღაცის აწონ-დაწონას ცდილობდა.

- დონმა ეს ყველაფერი იცის?

- ჰო. მაგრამ უწინდებურად უყვარხარ. მხოლოდ ის თქვა, ახალგაზრდაა და ნუ დასჯით, ჭკუას ისწავლისო. არ მინდა, შენი

სისასტიკის შესახებ გაიგოს, რადგან ძალზე ხნიერია, ამას ვერ გადაიტანს. მისი გული ვერ გაუძლებს შვილიშვილის ასეთ სიმხეცეს.

- მაშ, ვერ გაუძლებს?! - წამოიყვირა დანტემ. - ესე იგი, დონის გული ვერ გაუძლებს. პიპი დე-ლენასაც აქვს გული, კროსს მშიშარა წიწილის გული აქვს, დედაჩემის გული ხომ სულ მთლად გაბზარულია. მე კი? განა მე არ მაქვს გული?! შენ თუ გაქვს გული, ბიძია ჯორჯო?

-რომ არ მქონდეს, ამდენ ხანს ვერ აგიტანდი, - უთხრა ჯორჯომ.

- ესე იგი, ერთადერთი ვყოფილვარ, ვისაც ეს დედანატირები გული არ გააჩნია! ყველაზე მეტად დედაჩემი და პაპაჩემი მიყვარს, მათ კი ერთმანეთი სძულთ. რაც უფრო ვიზრდები, პაპაჩემს სულ უფრო ნაკლებად ვუყვარვარ. შენ, ვინი და პიტი ხომ საერთოდ ვერ მიტანთ. გგონიათ, ვერ ვამჩნევ? მე კი მაინც მიყვარხართ, მიუხედავად იმისა, რომ ნაბიჯვარ პიპი დე-ლენაზე უფრო დაბლა მაყენებთ. გგონიათ, არც ტვინი მაქვს?

ჯორჯო ასეთ აფეთქებას არ მოელოდა და მისმა გულწრფელობამ შეაშფოთა.

- დონთან დაკავშირებით ცდები: ძველებურად უყვარხარ. ასევე ვინის, პიტისა და მეც. განა ოდესმე ჩვენი ოჯახის წევრისთვის შეუფერებელი რამ გაკადრეთ? დონი თავშეკავებულად მსჯელობს, რადგანაც მოხუცია. მე კი გაფრთხილებ: ჩვენი საქმე ძალიან სარისკოა და პირად გრძნობებს თუ აჰყევი, დაიღუპები.

- ვინიმ და პიტიმ თუ იციან ეს ყველაფერი? - იკითხა დანტემ.

- არა, - ისევ იცრუა ჯორჯომ. დანტეს უცნაურობის შესახებ მას

ვინსენტიც ელაპარაკა. პიტის არაფერი უთქვამს, მაგრამ პიტი თვითონაც ბუნებით მკვლელი იყო. თუმცა დანტე დიდად არც მას ესიმპათიურებოდა.

- კიდევ რა პრეტენზია გაქვს ჩემთან? - ჰკითხა დანტემ.

- მეტი არაფერი და, გთხოვ, ამას ასე მტკივნეულად ნუ მიიღებ. ბიძაშენი ვარ და რჩევას გაძლევ. ოჯახში ჩემი პოზიციიდან გთხოვ, ჩვენი ნებართვის გარეშე აღარავინ „აზიარო“, კარგი?

- კარგი. მაგრამ ხომ ისევ ოჯახის ნომერ პირველი „ურო“ ვარ?

- ჰო, ვიდრე პიპი შვებულებიდან დაბრუნდება, - უთხრა ჯორჯომ. - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საქმეს როგორ შეასრულებ.

- ვეცდები, საქმისგან ნაკლები სიამოვნება მივიღო, თუკი ესაა, რაც გსურს, - უთხრა დანტემ და ბიძას მხარზე მეგობრულად შემოჰკრა ხელი.

- კარგი. ხვალ საღამოს დედა რესტორანში წაიყვანე, გაერთე. პაპა კმაყოფილი იქნება.

- ჰო, აბა, რა.

- ვინსენტს ერთ-ერთი რესტორანი ისტ-ჰემპტონში აქვს. შეგიძლიათ, იქ წახვიდეთ.

- დედა უარესადაა? - მოულოდნელად ჰკითხა დანტემ.

- წარსულს ვერ ივიწყებს, - მხრები აიჩეჩა ჯორჯომ, - ებღაუჭება, ვერ ეგუება. დონი კი მუდამ ამბობს: ამ ქვეყანას ვერავინ შეცვლის და ჩვენც ის უნდა ვიყოთ, რაც ვართო, - მერე დანტეს თბილად გადაეხვია: - ჩვენი პატარა საუბარი ჩვენ შორის დარჩეს.

დანტე ორშაბათს დილით გაემგზავრა და ჯორჯომ მასთან საუბრის შესახებ დონს უამბო. დონმა ამოიოხრა.

- რა საყვარელი ბიჭი იყო! ნეტავ, რა უნდა მომხდარიყო?

ჯორჯოს ერთი სიკეთე სჭირდა: როცა საჭირო იყო, საკუთარ აზრს თვით დიდ დონსაც კი დაუფარავად და გაბედულად უზიარებდა.

- მეტისმეტად ბევრს ურთიერთობდა თავის დედასთან. თანაც, უჯიშო სისხლი აქვს.

მამა-შვილი ერთხანს დუმდა.

- რა ვუყოთ შენს შვილიშვილს, როცა პიპი დაბრუნდება? - იკითხა ჯორჯომ.

- მაინც მგონია, პიპიმ საქმისგან უნდა დაისვენოს. დანტეს უნდა მივცეთ შანსი, საქმეს დამოუკიდებლად გაუძღვეს. ასეა თუ ისე, მაინც კლერიკუციოა. პიპი დასავლეთში თავის ვაჟს დაეხმარება და, თუ საჭირო იქნება, დანტესაც მისცემს რჩევას. პიპიზე გაწაფული არავინ მეგულება, მან ეს სანტადიოსთან დაკავშირებით დაგვიმტკიცა. მაგრამ პიპიმ სიცოცხლე მშვიდად უნდა დაასრულოს.

- მაშ, საპატიო „ურროს“ წოდება მივანიჭოთ, - სარკასტულად ჩაიცინა ჯორჯომ. დონმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ხუმრობას ვერ ჩასწვდა და წარბები შეკრა.

- ადრე თუ გვიან, ჩემს ადგილს დაიკავებ. გახსოვდეს, რომ კლერიკუციოს გვარი, ბოლოს და ბოლოს, საზოგადოების მხარეს უნდა დადგეს. რა ფასადაც უნდა დაგვიჯდეს, ოჯახმა არსებობა უნდა განაგრძოს.

მას მერე ორი წელიწადი გავიდა, ვიდრე პიპის ამერიკაში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა. იმ დროისთვის ბალაცოს საქმე ბიუროკრატიულ ბურუსში გაეხვია. ეს ბურუსი კი, ცხადია, კლერიკუციოს წყალობით გაჩნდა.

წიგნი V - ლას-ვეგასი - ჰოლივუდი - ქუოგი - თავი 7

კროს დე-ლენამ თავისი და კლოდია და სკიპი დირი „ქსანადუს“ ექსკლუზიურ პენტჰაუს-ნომერში მიიღო. დირი მუდამ გაოცებით აკვირდებოდა და-ძმის განსხვავებულობას: კლოდიას ლამაზს ვერ ვუწოდებდით, თუმცა ძალზე სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, კროსი კი ათლეტური აღნაგობითაც გამოირჩეოდა და სახის დახვეწილი ნაკვთებითაც. კლოდია ბუნებრივად უშუალო და გულითადი იყო, კროსი კი - მუდამ ხაზგასმულად თავაზიანი, რაც ორ სრულიად განსხვავებულ რამეს ნიშნავდა: პირველი - გულითადობა თანდაყოლილი იყო, მეორე - თავაზიანობა - შეძენილი, ნასწავლი.

კლოდია და სკიპი ტახტზე ისხდნენ, კროსი - მათ პირდაპირ. კლოდიამ ძმას ბაზ სკანეტის შესახებ უამბო, ბოლოს, წინ გადმოიხარა და უთხრა:

- კროს, ყური დამიგდე. ეს მხოლოდ ბიზნესი არ არის. ათენა ჩემი უახლოესი მეგობარია. საუკეთესო ადამიანია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. მუდამ მეხმარებოდა. ამაზე მნიშვნელოვანი შენთვის

ცხოვრებაში არაფერი მითხოვია. გთხოვ, ათენას დაეხმარე და აღარასოდეს არაფერზე შეგაწუხებ, - მერე სკიპის მიუბრუნდა: - ფინანსური მხარე შენ აუხსენი.

დირს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ვიდრე ვინმეს თხოვნით მიმართავდა, ჯერ პრეტენზიებს უცხადებდა.

- უკვე ათი წელია, თქვენს სასტუმროში ჩამოვდივარ ხოლმე. როგორ მოხდა, რომ ჩემთვის არასდროს შემოგითავაზებიათ ვილა?

- ყველა ვილა დაკავებულია, - მშვიდად უპასუხა კროსმა.

- გაათავისუფლეთ.

- ასეც მოვიქცევი, როგორც კი თქვენი რომელიმე ფილმის წილში ჩამსვამთ და კაზინოში ათიათასიან ფსონს ჩამოხვალთ.

- მე მისი და ვარ და ვილა არასოდეს დამიკავებია, - ჩაურთო კლოდიამ, - მორჩი ლაზღანდარობას, სკიპი, და ფულის ამბავში ჩაგვახედე.

- მოკლედ მოვხაზოთ, - ჩაერთო კროსი, - ათენა სამუშაოს არ უბრუნდება, რადგან ყოფილი ქმრის ეშინია. მისი მოსყიდვა შეგიძლიათ, მაგრამ ეს მაინც არაფერს გარგებთ, რადგან ათენა მას არ ენდობა. სულ ესაა?

- დიახ, - უთხრა სკიპიმ, - სკანეტს ახლაც ვუთვალთვალებთ. ათენას ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ვიცავთ, მაგრამ ეს პრობლემას ვერ ხსნის.

- ვერ ვხედავ პრობლემას, - თქვა კროსმა.

- ეს ტიპი გავლენიან პოლიტიკოსთა ოჯახიდანაა. ვეცადეთ, ჩვენს

დაცვის სამსახურს მასზე ზეწოლა მოეხდინა...

- ვინ არის თქვენი დაცვის სამსახური?

- წყნარი ოკეანის დაცვის კომპანია, - უთხრა დირმა.

- მაშ, მე რატომღა მომმართეთ? - ჰკითხა კროსმა.

- თქვენმა დამ გვითხრა, რომ დაგვეხმარებოდით. ეს მისი იდეა იყო.

- კლოდია, რატომ იფიქრე, რომ დაგეხმარებოდით?

- ადრეც მინახავს, ამგვარ პრობლემას რომ აგვარებდი, - შეწუხებული ხმით უთხრა კლოდიამ, მერე უდანაშაულო ადამიანის გამომეტყველებით დასძინა: - თანაც, ჩემი ძმა ხარ და შენი მჯერა.

- ერთი და იგივე მესმის! - ამოიხვნეშა კროსმა და დირმა შენიშნა, და-ძმას ერთმანეთი როგორ უყვარდა.

- კროს, თუკი სამომავლოდ ინვესტიციის ჩადება გსურთ, ერთი კარგი პროექტი მაქვს... - დაიწყო სკიპიმ.

- სკიპი, - გააწყვეტინა კროსმა, - შემახვედრეთ ამ ათენას და მასთან საუბრის შემდეგ იქნებ შევძლო კიდეც თქვენი პრობლემის გადაწყვეტა.

- შესანიშნავია! - გაუხარდა კლოდიას. - ხვალ სამივე გავფრინდეთ.

- კარგია, - თქვა სკიპიმაც. უკვე იმას ფიქრობდა, კროსისთვის „მესალინას“ გადასაღებად დამატებით ფული როგორ გამოერთმია.

მეორე დღეს ლოს-ანჯელსში გაფრინდნენ. კლოდიამ ათენა დაითანხმა, კროსთან ესაუბრა. დირი დარწმუნდა, რომ ათენა

არასოდეს დაუბრუნდებოდა ფილმს და განრისხდა, მაგრამ თვითმფრინავში გული იმაზე ფიქრს გადააყოლა, თუ როგორ დაეკავებინა კროსის ერთ-ერთი სანაქებო ვილა.

მალიბუს კოლონია, სადაც ათენა ცხოვრობდა, სანაპიროს ნაწილი იყო, რომელიც ბევერლი-ჰილზსა და ჰოლივუდს ორმოციოდე წუთის სავალზე იყო გაშენებული. ასიოდე სააგარაკო სახლი იდგა, თითოეული სამიდან ექვს მილიონ დოლარამდე ღირდა, თუმცა გარედან საკმაოდ სადად გამოიყურებოდა.

კოლონიისკენ ერთადერთი დაცული სამანქანო გზა გადიოდა. სტუმრებს კამერებით აკვირდებოდნენ, მცხოვრებლებს კი მანქანებზე საგანგებო სტიკერებით ცნობდნენ, რომლებიც კვირაში ერთხელ იცვლებოდა. კროსი ამას მომაბეზრებელ, თუმცა არასაიმედო დაბრკოლებად თვლიდა.

პოტენციური ბოროტმოქმედისთვის გაცილებით სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ათენას სახლთან მდგარი, კერძო კომპანიის დაცვის ფორმიანი წევრები, რომლებიც ეზოში და კართან განლაგებულიყვნენ.

სამხრეთამერიკელმა მოსამსახურემ სტუმრები ფართო სამზარეულოს გავლით, სასტუმრო ოთახში შეიყვანა, რომლის უზარმაზარ ფანჯრებში თითქოს ოკეანე შემოდიოდა. ოთახი ბამბუკის ავეჯით, მინის საჟურნალო მაგიდებითა და ზღვისფერი სავარძლებით იყო გაწყობილი. მინის კარს მიღმა სანაპიროზე გასასვლელი ვერანდა იყო, რომლის იქითაც ოკეანე ჰორიზონტს ერწყმოდა.

როცა კროს დე-ლენამ ვერანდაზე მჯდომი ათენა დაინახა, გული ლამის შეუღონდა. ბევრად უფრო წარმტაცი იყო, ვიდრე ეკრანზე. ეკრანი მისი თვალების სიღრმესა და მათ მწვანე ფერს სრულყოფილად ვერ გადმოსცემდა. მოხდენილი მიხრა-მოხრით გამოირჩეოდა, ოქროსფერი თმა ისე ჰქონდა შეკრეჭრილი, ნებისმიერ ქალს რომ დააუშნოებდა, მას კი უხდებოდა. ცისფერი სპორტული კოსტიუმი ეცვა,ფეხის ფრჩხილებზე ლაქი არ ესვა.

ყველაზე მეტად კი ქალის გონიერმა გამომეტყველებამ, მისმა ფიქრიანმა და დაკვირვებულმა მზერამ გააოცა.

მან სკიპი დირს ლოყაზე აკოცა, კლოდიას თბილად გადაეხვია, კროსს ხელი ჩამოართვა. თვალებში ოკეანის წყალი აერეკლა.

- კლოდია ბევრს ლაპარაკობს თავის ლამაზ, იდუმალ ძმაზე, რომელსაც, თუ ისურვა, დედამიწის შეჩერებაც კი ძალუძს, - უთხრა მან კროსს და ლაღად გაიცინა. შეშინებულ ქალს არ ჰგავდა. კროსს მისი ღრმა, მელოდიური ხმის გაგონება საოცრად ესიამოვნა. ოკეანის ფონზე კიდევ უფრო გამოჰკვეთოდა ყვრიმალების, ღვინისფერი ტუჩების ლამაზი მონახაზი. კროსს თავში გრონეველტის ერთ-ერთმა დარიგებამ გაუელვა: „ფული ყველაფრისგან დაგიცავს, ლამაზი ქალის გარდა“.

კროსს ვეგასში ბევრი ლამაზმანი უნახავს, მაგრამ იქ სილამაზე განცალკევებული, ერთადერთი განძი იყო, ჰოლივუდში კი - ნიჭთან შერწყმული. იშვიათი იყო ისეთი ქალი, რომელსაც ხიბლსა და სილამაზესთან ერთად, ბავშვური სილაღე და უშუალობაც

ახასიათებდა. ჰოლივუდში ამგვარი ქალები ოლიმპოზე აჰყავდათ. სწორედ ასეთი ქალღმერთი იყო ათენა.

კროსმა მას თავშეკავებულად უთხრა:

- კლოდიამ მითხრა, რომ მსოფლიოში ულამაზესი ქალი ხართ.

- ჩემი ტვინი როგორღა დაახასიათა? - იკითხა ათენამ.

ის მოაჯირს დაეყრდნო და გაჭიმული ფეხი უკან გასწია, თითქოს ვარჯიშობსო. რაც სხვა ქალის შემთხვევში უცნაურობა იქნებოდა, მისი მხრიდან ბუნებრივად გამოიყურებოდა. საუბრისას დროდადრო გაივარჯიშებდა, დაიხრებოდა, ფეხს მოაჯირზე შემოდებდა.

- ათენა, ხომ ვერ წარმოიდგენდი, რომ და-ძმა ვართ? - ჰკითხა კლოდიამ.

- მართალია, - ჩაურთო სკიპიმ.

- სინამდვილეში, ერთმანეთს ძალიან ჰგავხართ, - სერიოზულად უთხრა ათენამ.

- ახლა ხომ ხედავთ, რატომაც მიყვარს? - ღიმილით გადახედა კლოდიამ მამაკაცებს.

- მითხრეს, რომ დახმარება შეგიძლიათ, - მიმართა ათენამ კროსს, - ვერ წარმომიდგენია, როგორ.

კროსი ცდილობდა, ქალს არ მიშტერებოდა.

- ადამიანთა დარწმუნების ნიჭი მაქვს. თუკი სამუშაოში მხოლოდ თქვენი მეუღლე გიშლით, მასთან მოლაპარაკებას ვეცდები.

- მისი სიტყვის არ მჯერა, - უთხრა ათენამ, - სტუდიამ უკვე შესთავაზა მოლაპარაკებაზე წამოსვლა.

სკიპი დაღლილი ხმით ალაპარაკდა.

- ათენა, დამერწმუნე, არაფერი გემუქრება. ამას გპირდები, - თუმცა იცოდა, რომ საკუთარ სიტყვებს ბოლომდე თვითონაც არ ენდობოდა. სამივეს გულდასმით აკვირდებოდა. იცოდა, ათენა როგორ მოქმედებდა მამაკაცებზე. მაგრამ კროსს ვერანაირ ცვლილებას ვერ ამჩნევდა.

- სკიპი კინოდან ჩემს წასვლას ვერ ეგუება, - შენიშნა ათენამ, - ეს მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

- შენთვის არა?! - გაცხარდა სკიპი.

- ოდესღაც იყო. მაგრამ ბაზს კარგად ვიცნობ. უნდა გავუჩინარდე და ახალი ცხოვრება დავიწყო. ყველგან შევძლებ ფეხის მოკიდებას.

- მე შემიძლია, თქვენს ქმარს შევუთანხმდე და გარანტია მოგცეთ, რომ პირობას არ დაარღვევს, - უთხრა კროსმა.

- ათენა, კინობიზნესი სავსეა შანტაჟითა და გამოძალვით, - უფრო დარწმუნებით ალაპარაკა სკიპი, - ჩვენ საიმედო ბერკეტები გვაქვს. საფრთხე არ გემუქრება.

- თქვენ ბაზს არ იცნობთ, - გაიმეორა ათენამ და ფეხი თავს ზემოთ ასწია, - მე კი ვიცნობ.

- კინოდან წასვლა მხოლოდ ბაზის გამო გსურთ? - ჩაეკითხა კროსი.

- დიახ. ის ყველგან მომწვდება. ვიდრე ფილმს ვიღებთ, დამიცავთ, მაგრამ - მერე?

- არასოდეს მქონია წარუმატებელი შეთანხმება, - უთხრა კროსმა.

- ბაზმა რა პირობაც უნდა მოგცეთ, მაინც არ ვენდობი, - უთხრა ათენამ და ზურგი შეაქცია იმის ნიშნად, რომ საუბარი დასრულებულია.

- ვწუხვარ, რომ დრო წაგართვით, - თქვა კროსმა.

- დრო უქმად არ დამიკარგავს, ვვარჯიშობდი, - მიუგო ათენამ. მერე თვალებში ჩახედა: - ვაფასებ თქვენს ძალისხმევას. ვცდილობ, შიში დავმალო, როგორც ფილმში, ისე ვთამაშობ, სინამდვილეში კი საშინლად ვარ შეშინებული. კლოდია და სკიპი სულ თქვენი სახელგანთქმული ვილების შესახებ ლაპარაკობენ. ვეგასში თუ ჩამოვედი, ვილაში დამმალავთ?

გამომეტყველება სერიოზული ჰქონდა, მაგრამ თვალებში ნაპერწკლები უთამაშებდა. აშკარა იყო, სკიპისა და კლოდიას წინაშე საკუთარი ხიბლის დემონსტრირება იმით სურდა, რომ კროსისგან, თუნდაც თავაზიანობის ნიშნად, თანხმობა მიეღო.

- ჩვეულებრივ, ყველა ვილა დაკავებულია, - ძალზე სერიოზული კილოთი უპასუხა კრომა, - მაგრამ თუკი ვეგასში ჩამოხვალთ, გარანტიას გაძლევთ, არაფერი დაგიშავდებათ.

- ბაზს ვერავინ შეაჩერებს. დაპატიმრების არ ეშინია. რასაც გააკეთებს, ყველას თვალწინ გააკეთებს, არ მოერიდება.

- რატომ? - ჰკითხა კლოდიამ.

- იმიტომ, რომ ოდესღაც ვუყვარდი. და იმიტომ, რომ მასზე უფრო წარმატებული ვარ. - მერე ყველას გადახედა: - საშინელებაა, არა, როცა ორ ადამიანს ერთმანეთი ჯერ უყვარს, მერე კი - სძულს?

საუბარი მსახურმა გააწყვეტინა. მან ვერანდაზე მოხდენილი გარეგნობის მაღალი მამაკაცი გამოიყვანა, რომელსაც საუკეთესო ფირმების სამოსი: „არმანის“ კოსტიუმი, „თარნბულის დაასერის“ პერანგი, „ბოლის“ ფეხსაცმელი ეცვა და „გუჩის“ ჰალსტუხი ეკეთა. [P SEP]

- არ ვიცოდი, დაკავებული თუ იყავით, მის ექვითეინ, - თქვა კაცმა და გულსაკიდი უჩვენა. - მგონი, მოახლე ჩემმა მოწმობამ შეაშინა. წუხანდელი ინციდენტის შესახებ ცნობები მჭირდება, მაგრამ დაგელოდებით.[P SEP]

დამსწრეთ თავაზიანი, მაგრამ გაბედული მზერა შეავლო და სკიპის მიესალმა.[P SEP]

- ჩვენი თანდასწრებით ვერ დაელაპარაკები, ხომ იცი, ჯიმ, - გაღიზიანებული კილოთი უთხრა სკიპიმ.[P SEP]

- ჯიმ ლაუზი, - გაეცნო დეტექტივი კლოდიასა და კროსს.[P SEP]

და-ძმას ლოს-ანჯელესის ყველაზე წარმატებული გამომძიებლის სახელი გაგონილი ჰქონდა. ის ფილმებშიც მონაწილეობდა, ეპიზოდურ როლებში. [P SEP]

- ჯიმ, მოგვიანებით დამირეკე და მის ექვითეინთან შეხვედრას დაგინიშნავ, - უთხრა სკიპიმ.[P SEP]

- კარგი, სკიპი.[P SEP]

მაგრამ ამ დროს ათენა ჩაერთო:[P SEP]

- მოგვიანებით შეიძლება, აქ აღარ ვიყო, ასე რომ, მკითხეთ, რაც გსურთ. [P SEP]

- ამათი თანდასწრებით?[P SEP]

- მათ პოლიციაზე უფრო მეტად ვენდობი.

- მხოლოდ ის მაინტერესებს, თქვენი მეუღლის წინააღმდეგ საჩივარი რატომ გააუქმეთ. დაგემუქრათ?

- არა, უბრალოდ, მილიარდი ადამიანის თვალწინ სახეში წყალი შემასხა და დაიყვირა - „მუავა!“

- ჰო, კარგი, კარგი, - უკან დახევის ნიშნად ხელები ასწია ლაუზიმ, - ვიფიქრე, რაიმით დაგეხმარებოდით.

- ჯიმ, მოგვიანებით დამირეკე, - შეახსენა სკიპიმ.

ამ საუბარმა კროსი დააფიქრა და შეაშფოთა. ისიც შენიშნა, რომ ლაუზი მას მზერას არიდებდა.

- კარგი, - თქვა ლაუზიმ და სავარძლიდან ათენას სპორტული ჩანთა აიღო, - როდეო-დრაივზე ზუსტად ასეთი ვნახე. ორი ათასი დოლარი ღირდა. იქნებ მითხრათ, ადამიანები ასეთ რამეში ამდენ ფულს რატომ იხდიან?

- ეს შეურაცხმყოფელი შეკითხვაა, - წარბები შეკრა ათენამ და დაუყვირა: - გთხოვთ, აქაურობა დატოვოთ!

ლაუზიმ თავი დაუკრა და ღიმილით გავიდა. სწორედ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც სურდა.

- ესე იგი, შენც ადამიანი ხარ, - გაუღიმა ათენას კლოდიამ და მხრებზე ხელი შემოხვია: - ასე რატომ გაცხარდი?

- არ გავბრაზებულვარ, რაღაცაზე მივანიშნე.

სამი სტუმარი მალიბუდან ბევერლი-ჰილზში „ნეთ ენდ ალუს“ რესტორანში გაემგზავრა, რადგან, როგორც დირმა კროსი დაარწმუნა,

მხოლოდ აქ ამზადებდნენ კარგ პასტრამის, შემწვარ ხორცსა და კონიაილენდურ ჰოთ-დოგებს.

- ათენა სამუშაოს აღარ დაუბრუნდება, - გადაჭრით თქვა დირმა.

- ეს ისედაც ნათელი იყო. ერთი ვერ გავიგე: გამომძიებელს ასე რატომ გაუბრაზდა? - თქვა კლოდიამ.

- ვერც თქვენ გაიგეთ? - ჰკითხა დირმა კროსს.

- ვერა.

- ჰოლივუდის ერთ-ერთი უდიდესი ლეგენდა იმაში მდგომარეობს, უბრალო მოკვდავმა კინოვარსკვლავი შეაბას. მამაკაცი კინოვარსკვლავის შებმა ადვილია. ამიტომაცაა, აქ მუდამ უამრავი გოგონა რომ ტრიალებს. ქალთან საქმის დაჭერა უფრო რთულია. ვარსკვლავის სახლში მომუშავე პერსონალი - მებაღე, ხარატი - ცდილობს, შანსი ხელიდან არ გაუშვას. ქალს შეიძლება, წუთიერი სურვილი აღეძრას. ეს პირადად მეც მომსვლია. მაგრამ მდაბიოსთან სექსი ვარსკვლავის სახელს შელახავს. ცხადია, სუპერვარსკვლავს ყველაფერი ეპატიება. ჩვენ, ბებერ ბობოლებს, ვინც აქ ყველაფერს განვაგებთ, ეს არ მოგვწონს. გვსურს, ჩვენი ფული და გავლენა ხელშეუხებელი დარჩეს. შეხედეთ თუნდაც ჯიმ ლაუზის. ძლიერი, ზორბა ჯეელია. კაცის მოკვლა არ უჭირს, მავანი აღტაცებით შეჰყურებს და ისიც ამით სარგებლობს. ასეთი კაცი ვარსკვლავს კი არ ეხვეწება, არამედ მის დამცირებას ცდილობს. ამიტომაც შემოვიდა. ათენას დაკითხვა მხოლოდ საბაბი იყო. ათენამაც თავიდან მოიშორა.

- ნუთუ ასეთი უმწიკვლოა? - იკითხა კროსმა.

- კინოვარსკვლავისთვის - ნამდვილად.

- არ ფიქრობთ, რომ სტუდიისთვის უფრო მეტი ფულის გამოძალვას ცდილობს? - უეცრად იკითხა კროსმა.

- ასეთ რამეს არასოდეს იკადრებს. აბსოლუტურად პატიოსანია, - უთხრა კლოდიამ.

- ვიღაც ხომ არ აშანტაჟებს?

- თქვენ საქმის არსს არ იცნობთ, - უთხრა კროსს ბენცმა, - ვინმე რომ აშანტაჟებდეს, ეს არ დაიმალებოდა და სტუდია დააკმაყოფილებდა. უბრალოდ, თავნება ქალია, ბობი ბენცი სძულს და არც მე ვეხატები გულზე.

- რა ცუდია, რომ ვერ დაგვეხმარე, - უთხრა კროსს კლოდიამ, მაგრამ ძმამ არაფერი უპასუხა.

გზაში კროსი დაძაბულ ფიქრს მისცემოდა. ეს ხელსაყრელი, თუმცა სახიფათო შანსი იყო კლერიკუციოს ოჯახისგან თავდასაღწევად.

- სკიპი, გარიგებას გთავაზობთ: თქვენს ფილმს ახლავე შევისყიდი, ჩემი ხარჯებით დავასრულებ და სტუდიას გასავრცელებლად გადავცემ.

- ასი მილიონი გაქვთ? - გაიკვირვა სკიპიმ.

- ისეთ ხალხს ვიცნობ, ვისაც აქვს.

- ათენას ვერ დააბრუნებთ და ათენას გარეშე ფილმი ვერ გაკეთდება.

- ხომ გითხრით, ხალხის დარწმუნება მემარჯვება-მეთქი. შეგიძლიათ, ელი მერიონს შემახვედროთ?

- რა თქმა უნდა. ოღონდ იმ პირობით, თუ ფილმის პროდიუსერად დავრჩები.

შეხვედრის მოწყობა რთულიაღმოჩნდა. არცთუ იოლი იყო ბენცისა და მერიონის იმაში დარწმუნება, რომ კროს დე-ლენა მართლაც ასი მილიონის გადამხდელი იყო. ცხადია, „ქსანადუს“ ნაწილს ფლობდა, მაგრამ პირადი ქონება იმდენი არ გააჩნდა, რომ ამხელა თანხა გადაეხადა. დირი გარანტად დაუდგა, მაგრამ ბოლოს იმან გაჭრა, რომ კროსმა ორმოცდაათმილიონიანი ჩეკი წარმოადგინა.

დის რჩევით, კროსმა ამ შეთანხმებისთვის ადვოკატად მოლი ფლენდერსი დაიქირავა.

მოლი ფლენდერსმა კროსი თავის ვეება კაბინეტში მიიღო. კროსს ამ ქალზე ბევრი რამ სმენოდა. ჰოლივუდის ყველაზე გავლენიანი ადამიანები მას მიმართავდნენ დასახმარებლად, მილო სტიუარტისნაირი ბობოლები თავიანთ უმნიშვნელოვანეს კონტრაქტებს ანდობდნენ.

მოლი ბევრად უფრო ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე კროსს წარმოედგინა. მოსული, მაგრამ მოხდენილი ტანი ჰქონდა, უნაკლოდ იყო ჩაცმული. ამ ზორბა ტანზე ქერათმიანი ალქაჯის თავი ება: მომნუსხველი თვალებით, არწივისებრი დიდი ცხვირით, თავზე შემოხვეული გველისებრი ნაწნავებით. მკაცრი, შეუვალი იერი ჰქონდა, ვიდრე გაიღიმებდა.

მოლი ფლენდერსი, საქმიანი სიმტკიცის მიუხედავად, წარმოსადეგი მამაკაცებისადმი მგრძნობიარე გახლდათ. ეგონა, კლოდიას ძმა

მასავით შეუხედავი იქნებოდა, თუმცა კაცის სილამაზის გარდა, მასში ის უცხო ძალაც იგრძნო, რაც კლოდიას არ ახასიათებდა.

- მისტერ დე-ლენა, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ მე მის ექვითეინის ინტერესებს წარმოვადგენ როგორც ადვოკატი და არა როგორც აგენტი. თუ ეს პროექტი შეისყიდეთ, ის კი სამუშაოს არ დაუბრუნდა, იძულებული ვიქნები, თქვენ საწინააღმდეგოდ მისი ინტერესები დავიცვა.

კროსი გაფაციცებით შესცქეროდა. ასეთი ქალების აზრების ამოცნობა არ ეხერხებოდა. იძულებული გახდა, თავისი კოზირები მაგიდაზე გადმოელაგებინა.

- ხელს მოვაწერ იმაზე შეთანხმებას, რომ, თუ ფილმს ვიყიდი, მის წინააღმდეგ საჩივარს არ შევიტან. გარდა ამისა, ახლავე გაძლევთ ორასიათასდოლარიან ჩეკს ჩემი ინტერესების დაცვისთვის. შეგიძლიათ, მომავალში მეტიც მომთხოვოთ.

- გადავამოწმოთ, თუ სწორად გაგიგეთ. თქვენ ახლავე უხდით სტუდიას იმ ორმოცდაათ მილიონს, რაც ფილმზე უკვე დახარჯა. ფილმის დასრულებისთვის, სულ ცოტა, ამდენივეს გადახდა მოგიწევთ. მაშასადამე, ასმილიონიან ფსონს ჩამოდიხართ, რომ ათენა ფილმს დაუბრუნდება. პლუს ამას, ნაძლევს დებთ, რომ ფილმი წარმატებული გამოვა. ხომ შეიძლება, არ გაამართლოს. ესეც დიდი რისკია.

კროსს პიროვნული ხიბლის გამოყენება ეხერხებოდა, მაგრამ იგრძნო, რომ ამ ქალთან ხიბლით ვერაფერს გახდებოდა.

- რამდენადაც მესმის, უცხოური ინვესტიციებით, ტელევიზიების,

ვიდეოგაქირავების კონტრაქტებით ფილმი მაშინაც მოგებიანი იქნება, თუ უვარგისი გამოვა. ერთადერთ დიდ პრობლემას მის ექვითეინის დაყოლიება წარმოადგენს. იქნებ ამაში თქვენც დამეხმაროთ?

- არა, ჩემი იმედი ნუ გექნებათ. ყველა ღონე ვიხმარე, მაგრამ დავმარცხდი. მეც და სხვებიც. ელი მერიონი ტყუილად არაფერს ამბობს. ის ათენას უჩივლებს და მის განადგურებას შეეცდება, მაგრამ ამის უფლებას არ მივცემ.

- ამას როგორ მოახერხებთ?

- მერიონი ჭკვიანი კაცია. იცის, რომ სასამართლოში ნამდვილ ომს გავუმართავ, მის სტუდიას მიწასთან გავასწორებ. ათენა კინობიზნესიდან გავარდება, მაგრამ არც მათ დაადგებათ კარგი დღე.

- თუ ჩემი წარმომადგენელი გახდებით, თქვენი კლიენტის კარიერას გადავარჩენ, - უთხრა კროსმა და ქაღალდის კონვერტი გაუწოდა. მოლიმ შიგნით ჩაიხედა და ტელეფონის ყურმილი აიღო. დარეკა და ჩეკის საიმედოობა გადაამოწმა. მერე კროსს გაუღიმა:

- შეურაცხყოფას არ გაყენებთ, უდიდეს პროდიუსერებსაც კი ვამოწმებ.

- მაგალითად, სკიპი დირს? - გაეცინა კროსს. - მე მის ექვს ფილმში ჩავდე ფული. ექვსივე წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ ერთი ცენტიც არ გამომირთმევია.

- იმიტომ, რომ მე არ დაგიქირავებივართ. ახლა კი, ვიდრე დაგთანხმდებოდეთ, უნდა მითხრათ, ათენას დაყოლიებას როგორ

აპირებთ? თქვენ შესახებ რაღაც-რაღაცები გამიგია.

- მე კი - თქვენ შესახებ, - მშვიდად მიუგო კროსმა. - როცა ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმეებს აწარმოებდით, მახსოვს, ერთი ბიჭი გაამართლეთ, რომელმაც თავისი შეყვარებული სიცოცხლეს გამოასალმა. ერთი წელიწადიც არ იყო გასული, მკვლელი ქუჩაში თავისუფლად რომ დასეირნობდა. მისი რეპუტაცია, როგორც ჩანს, არ გადარდებდათ.

- კითხვაზე არ მიპასუხეთ.

- მოლი, - კროსმა, როგორც იქნა, საქმეში მცირეოდენი ხიბლიც ჩართო, - ხომ შეიძლება, მოლი დაგიძახოთ? - ქალმა თავი დაუქნია. - ხომ იცით, ვეგასში სასტუმროს მენეჯერი ვარ? კარგად მომეხსენება, რომ ფულს ჯადოსნური ძალა აქვს. ფული ნებისმიერ შიშს დაგაძლევინებს. ათენას ფილმის მოგებიდან ორმოცდაათ პროცენტს შევთავაზებ. თქვენ თვითონ არ გარისკავდით ოცდაათი მილიონისთვის?

- ათენას ფული არ აინტერესებს, - თავი გააქნია მოლიმ.

- მე მხოლოდ ის მაკვირვებს, სტუდია რატომ არ სთავაზობს ასეთივე გარიგებას.

- თქვენ კინოსტუდიებს არ იცნობთ, - საუბრის მანძილზე პირველად გაუღიმა მოლიმ, - მათ ის აღელვებთ, ვაითუ, ყველა ვარსკვლავმა ასევე დაიწყოს ჭირვეულობა. ამგვარ პრეცედენტს არ დაუშვებენ. მაგრამ, ვთქვათ, სტუდია თქვენს შემოთავაზებაზე წამოვიდა. ათენა მაინც არასოდეს დაგთანხმდებათ, - მოლიმისევ გაიღიმა. - მეგონა,

ვეგასის მფლობელები თვითონ არასოდეს თამაშობდით აზარტულ თამაშებს.

- ყველა თამაშობს, - გაუღიმა კროსმაც, - მეც, როცა თამაში ამად ღირს. გარდა ამისა, სასტუმროს გაყიდვასა და კინობიზნესში გადმონაცვლებას ვფიქრობ. ეს უფრო საინტერესო მგონია.

- ესე იგი, ეს დროებითი გატაცება არ არის?

- არა, ყველაფრის შეცვლა მსურს, - გაცხარებით უპასუხა კროსმა, - და ამ ახალ საქმეში თქვენი მხარდაჭერა დამჭირდება.

- თანახმა ვარ, თქვენი ინტერესები დავიცვა. მანამდე კი ვნახოთ, ას მილიონს თუ წააგებთ, - მოლიმ ნომერი აკრიფა, ტელეფონით ისაუბრა, ყურმილი დაკიდა და კროსს უთხრა: - სტუდიის ფინანსური განყოფილების წარმომადგენლებთან შეხვედრა დაინიშნა. მანამდე სამი დღე გაქვთ მოსაფიქრებლად.

- მართლაც სწრაფად გაახერხეთ, - გაიკვირვა კროსმა.

- ჩემი კი არა, მათი დამსახურებაა. ამ ფილმის გამო მილიონებს კარგავენ.

- ვიცი, ამის თქმა ზედმეტიც კია, მაგრამ გაფრთხილებთ: რასაც მის ექვითეინს შევთავაზებ, ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

- ამის თქმა მართლაც არ იყო აუცილებელი.

კროსი რომ გავიდა, მოლი ჩაფიქრდა. რატომ ახსენა კროსმა მაინცდამაინც ის პროცესი, რომელზეც მან საყვარლის მკვლელი სასჯელისგან იხსნა? მოლის წყალობით, ბევრი მკვლელი გაუმართლებიათ. მაშ, რატომ მაინცდამაინც ეს დიდი ხნის წინანდელი

შემთხვევა?

სამი დღის შემდეგ კროსი მოლის მის კაბინეტში შეხვდა. ფინანსურ დოკუმენტაციას გადახედეს, მერე მოლის „მერსედესით“ „ლოდსტოუნის“ წარმომადგენლებთან შესახვედრად გაემგზავრნენ.

როდესაც სტუდიის ჭიშკარში შევიდნენ, მოლიმ კროსს უთხრა:

- ეზოში რამდენ ამერიკულ მანქანასაც დაინახავ, იმდენ დოლარს მოგცემ.

კროსმა მიმოიხედა. მბზინავ „მერსედესებს“, „როლს-როისებსა“ და „ბე-ემ-ვეებს“ შორის ძლივძლივობით გამოარჩია ერთადერთი „კადილაკი“ და მოლის მასზე მიუთითა.

- ვიღაც ჯიბეგამოფხეკილი ნიუიორკელი მწერალი იქნება, - უთხრა მოლიმ.

„ლოდსტოუნი“ უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო განლაგებული, რომელზედაც დამოუკიდებელი კომპანიების ცალკეული შენობები იყო მიმოფანტული. მთავარი შენობა მხოლოდ ათსართულიანი გახლდათ და თავდაპირველ, 1920-იანი წლების სტილს ინარჩუნებდა. მას მხოლოდ აუცილებელი რემონტი უტარდებოდა. ელი მერიონისა და ბობი ბენცის კაბინეტები მეათე სართულზე იყო განლაგებული, დიდი საკონფერენციო დარბაზის გვერდით, სადაც აგრეთვე, ბარი და სამზარეულოც მოეწყოთ. დარბაზში მათ, მფლობელების გარდა, სკიპი დირი, სტუდიის საბჭოს წევრები და ორი იურისტი ელოდებოდნენ. მოლიმ ფინანსური საბუთები ამოიღო და სამივე იურისტი ერთად შეუდგა მათ განხილვას. ბარმენმა მათი არჩევნით სასმელი მოუტანა,

შემდეგ კი გაუჩინარდა. სკიპიმ დამსწრეთ ვითარება განუმარტა.

ელი მერიონმა კროსს, თავისი ჩვეულებისამებრ, სთხოვა, მისთვის სახელით მიემართა და, ასევე ჩვეულებისამებრ, მოჰყვა ძველ ამბავს, რომლითაც საქმიან ოპონენტებზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობდა. მის პაპას ოციან წლებში დაუარსებია ეს სტუდია და მისთვის „ლოუდ სტოუნის“ დარქმევა სურდა, რაც მაგნიტის მადანს ნიშნავს, მაგრამ ჯერ კიდევ ძალზე ძლიერი გერმანული აქცენტით ლაპარაკობდა, ინგლისური „ო“ წესიერად ვერ გამოთქვა და იურისტებმა დოკუმენტაციაში „ლოდსტოუნი“ ჩაწერეს. იმხანად ეს სულ რაღაც ათიათასდოლარიანი კომპანია იყო და როცა შეცდომა აღმოაჩინეს, ჩათვალეს, რომ მისი გამოსწორება არც კი ღირდა. ახლა, როცა მისი კაპიტალი შვიდ მილიარდს აღწევდა, უაზრო სახელწოდება კი ჟღერდა უცნაურად, მაგრამ ჟღერადობას მნიშვნელობა არ აქვსო, ღიმილით დაასკვნა ელიმ (ის კი ტყუილად არასდროს ხუმრობდა), მთავარი ის ვიზუალური შთაბეჭდილებაა, რომელსაც „ლოდსტოუნის“ ლოგოზე გამოსახული მბზინავი ლოდები ქმნის.

მოლიმ დამსწრეთ პირობები გააცნო: კროსი სტუდიას ფილმისათვის გაღებულ ხარჯებს გადაუხდიდა და ფილმს ბოლომდე მიიყვანდა. სტუდია მოგების ხუთ პროცენტს მიიღებდა. სკიპი დირი პროდიუსერად დარჩებოდა.

- პროცენტი მწირია, მეტს მოვითხოვთ, - უთხრა ბენცმა, - თანაც, საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ თქვენ ათენასთან მოლაპარაკება არ

გაქვთ და ეს ყველაფერი განგებ არ მოგვიწყვეთ?

მოლის პასუხმა კროსი გააოცა.

- შენი დედაც, ბობი! როგორ ბედავ და კონსპირაციას როგორ გვაბრალებ?! შეურაცხყოფისთვის ბოდიშს თუ არ მოგვიხდი, ახლავე წავიყვან აქედან მისტერ დე-ლენას და ყველანი ხახამშრალი დარჩებით.

- მოლი, ბობი, გეყოთ, - ჩაერთო სკიპი, - საქმე ფილმის გადარჩენას ეხება. იქნებ ამაზე მაინც გველაპარაკა...

ელი მერიონი ღიმილით უგდებდა ყურს. მხოლოდ ბოლოს ამოიღებდა ხმას, „ჰოს“ ან „არას“ სათქმელად.

- მართლაც, რას სთავაზობს ეს კაცი ათენას ისეთს, რაც ჩვენ არ შეგვითავაზებია? - იკითხა ბენცმა.

კროსიც იღიმოდა და დუმდა. მოლიმ გააფრთხილა, როცა კი შესაძლებელია, ჯობს, მე მალაპარაკოო.

- როგორც ჩანს, მისტერ დე-ლენას რაღაც განსაკუთრებულის შეთავაზება შეუძლია. თქვენ რატომ უნდა გითხრათ? ამ ინფორმაციისთვის მან რომ ათი მილიონი მოგთხოვოთ, მხარს დავუჭერ. ათი მილიონიც დაბალი ფასი იქნება.

ამაზე ბობი ბენცმა გადაიხარხარა.

- ისინი ფიქრობენ, რომ კროსი ამდენ ფულს საეჭვო საქმეში არ ჩადებდა, ამიტომაც ეჭვობენ,- მიუბრუნდა სკიპი მოლის.

- სკიპი, - უთხრა მოლიმ, - ჩემი თვალით ვნახე, ერთ მილიონად როგორ შეისყიდე რომანი, რომლის ეკრანიზაციაც დღემდე არ

გადაგიღია. რითია ეს შემთხვევა განსხვავებული?

- იმიტომ, რომ სკიპი ამ მილიონს ჩვენი სტუდიისგან იღებს, - უთხრა ბენცმა.

ამჯერად ყველას გაეცინა. კროსმა გაიოცა, - რა არასერიოზული შეხვედრააო! განგებ მოაჩვენა თავი, თითქოს შედეგი დიდად არ ადარდებდა და ხმადაბლა თქვა:

- საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე მეგონა. იქნებ დავანებო თავი.

- ძალიან დიდ ფულზეა ლაპარაკი. ფილმი ნახევარ მილიარდს მაინც მოიტანს, - უთხრა ბენცმა.

- ეს იმ შემთხვევაში, თუ ათენას დაიბრუნებთ, - შეეკამათა მოლი, - ამ დილით ველაპარაკე. თმა უკვე ძალიან მოკლედ შეიჭრა, ნამდვილად არ ხუმრობს.

- პარიკს დავაფარებთ, - ამოიხროტინა ბენცმა და შეიგინა: - ამ მსახიობების დედაც! - მერე კროსს ყურადღებით მიაცქერდა, მისი აზრების ამოცნობა სურდა. ბოლოს მოლის მიუბრუნდა: - თუ ათენა ვერ დაითანხმეთ და ორმოცდაათი მილიონი დაკარგეთ, ფილმის უკვე გადაღებული მეტრაჟი ვის დარჩება?

- მე, - უპასუხა კროსმა.

- აა, - თავი დაუქნია ბენცმა, - და მაშინ, როგორც არის, ისე გამოუშვებთ? იქნებ, მსუბუქი ეროტიკის სახით?

- ჰო, შესაძლებელია, - დაეთანხმა კროსი.

მოლიმ ანიშნა, ნაკლები ელაპარაკა.

- თუკი დათანხმდებით, აუცილებელი არაა, უცხოელებმა და

ტელევიზიებმა ამ შეთანხმების შესახებ გაიგონ. ყველაფერი ძალაში დარჩება, მისტერ დე-ლენა უბრალოდ, თანაპროდიუსერად ჩაებმება საქმეში.

ელი მერიონი პირველად ალაპარაკდა:

- კროს, თქვენს ადვოკატს მორიგების მიღწევაზე სრულ უფლებამოსილებას ანიჭებთ?

- დიახ, - დაუდასტურა კროსმა.

- მინდა, ეს ოფიციალურად დავაფიქსიროთ. თქვენთვის ცნობილია, რომ ფილმის დახურვასა და ზარალთან შეგუებას ვაპირებდით, რადგან დარწმუნებულები ვართ, რომ ათენა არ დაბრუნდება, - განაგრძო მერიონმა. - გარანტიას ვერ მოგცემთ. ზარალის შემთხვევაში, შეიძლება, ათენას უჩივლოთ, მას კი ასეთი თანხა არ გააჩნია და კომპენსაციას ვერ გადაგიხდით.

- არ ვუჩივლებ. ვაპატიებ, - უპასუხა კროსმა.

- არ მოგიწევთ მათთვის პასუხის გაცემა, ვინც ეს თანხა მოგცათ? - ჰკითხა ბენცმა.

კროსმა მხრები აიჩეჩა.

- ეს დანაშაულია. თქვენს მევალეებს ნუ მოატყუებთ.

- არასოდეს არავინ მომიტყუებია, - მტკიცედ მიუგო კროსმა.

- ეს რაღაც ხრიკია, - აფეთქდა ბენცი.

კროსმა მოჩვენებითი სიმშვიდით აუსნა:

- ვეგასში ასეთი სამუშაო მაქვს: ადამიანებს ვარწმუნებ, ჩემს კაზინოში ფული დახარჯონ. სანაცვლოდ, ბედნიერებას ვანიჭებ, რასაც

ნატრონებ, იმას ვაძლევ. მის ექვითეინსაც იმავეს შევთავაზებ.

ბენცს ეს ყველაფერი არ მოსწონდა. დარწმუნებული იყო, რომ სტუდიას ატყუებდნენ.

- თუ შევიტყვეთ, რომ ათენა მუშაობის გაგრძელებას უკვე დაგთანხმდათ, გიჩივლებთ. ამ შეთანხმებას გაუქმებულად გამოვაცხადებთ.

- მომავალშიც მსურს კინობიზნესში მუშაობა და „ლოდსტოუნთან" თანამშრომლობა, - უთხრა კროსმა, - ფული ყველას გვეყოფა.

ელი მერიონი მთელი საუბრის მანძილზე კროსს აკვირდებოდა. იაფფასიანი თაღლითი არ ჩანდა. ვითარებიდან გამოსავალი ნამდვილად არსებობდა. თუმცა მისი პოვნა რთული იყო, მაგრამ იმდენად რთული მაინც არა, როგორც აქ შეკრებილთ სურდათ წარმოეჩინათ. ელი ისე დაიქანცა, ტანისამოსის სიმძიმეც კი გაუსაძლის ტვირთად აწვა მხრებზე. სურდა, ეს საქმე სწრაფად გადაწყვეტილიყო.

- იქნებ ათენამ გააფრინა? თუ ამის დამტკიცებას შევძლებთ, დაზღვევას მივიღებთ, - თქვა სკიპიმ.

- ათენა ყველა თქვენგანზე უფრო ჯანმრთელია, ამას ვერასოდეს დაამტკიცებთ, - მოუჭრა მოლიმ.

- თანახმა ხართ თუ არა, ხელი მოაწეროთ იმას, რომ ათენასთან მოლაპარაკება ჯერჯერობით არ გაქვთ? - ჰკითხა ბენცმა.

- დიახ, - უთხრა კროსმა და ბენცისადმი უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

მერიონმა ეს იგრძნო და გულში ჩაიცინა. ბენცს ვერავინ იტანდა, თუმცა ვერ ამჩნევდნენ, რომ „ცუდი ბიჭის“ როლი სტუდიამ განგებ გამოუყო და ბენციც მას იდეალურად მოერგო.

- მოგების ათ პროცენტს ვითხოვთ, - უტევდა ბენცი, - და ფილმის შესაძლო გაგრძელებებშიც გვსურს, პარტნიორებად დავრჩეთ.

- რომელ გაგრძელებაზე ლაპარაკობ, ბობი? ბოლოს ყველა იხოცება! - უთხრა მოლიმ.

- კარგი, წინაისტორიას თუ გადაიღებთ, იმ შემთხვევაში.

- გინდ, წინაისტორია იყოს, გინდ, გაგრძელება, რა სისულელეა!.. კარგი, ეგრე იყოს, - გაცხარდა მოლი, - მაგრამ ათ პროცენტზე მეტს ნუ მოგვთხოვთ. ფილმის გავრცელება მაინც გაგამდიდრებთ, თანაც რისკზე წასვლა არ მოგიწევთ. ახლავე ველით თქვენგან პასუხს.

ელი მერიონი ფეხზე წამოდგა და ხმადაბლა თქვა:

- თორმეტი პროცენტი. შევთანხმდით.

ელი კროსს მიუბრუნდა.

- ფული იმდენად არ მაწუხებს. ფილმი შეიძლება, შესანიშნავი გამოვიდეს და მისი შეჩერება არ მინდა. თანაც, ძალიან მაინტერესებს იმის ნახვა, თუ რა მოხდება. მაშ, თანახმა ხართ?

მოლისკროსისკენ არც კი გაუხედავს, ისე დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად.

მოგვიანებით ელი მერიონი და ბობი ბენცი საკონფერენციო დარბაზში მარტონი ისხდნენ. დიდხანს დუმდნენ. მერიონმა თქვა:

- აქ ზნეობის საკითხი დგას.

- შეთანხმების საიდუმლოდ შენახვაზე მოვაწერეთ ხელი, მაგრამ თუ საჭიროდ თვლი, დავრეკავ, - უთხრა ბობიმ.

- მაშინ ფილმს დავკარგავთ. ეს კროსი ჩვენი ერთადერთი იმედია. თან, რომ გაიგოს, ინფორმაცია შენ გაამჟღავნე, საფრთხე დაგემუქრება.

- ვინც უნდა იყოს, სტუდიას ხელს ვერ ახლებს.

ელი მერიონი მართლაც ძალზე დაიღალა. იმდენად ხნიერი იყო, ცხოვრებისეული კატასტროფები აღარ აშინებდა, რადგანაც უდიდესი და ყოვლისმომცველი კატასტროფისთვის ემზადებოდა.

- ნუ დარეკავ. შეთანხმებას ნუ დავარღვევთ. თანაც, მგონი, ბავშვობას ვუბრუნდები, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მძლევს: მინდა ვნახო, ჯადოქრის ქუდიდან რა ამოფრინდება.

ამ შეხვედრის შემდეგ სკიპი დირმა შინიდან ჯიმ ლაუზის დაურეკა და თავისთან მოიხმო.

- ვფიქრობ, კროს დე-ლენას უნდა უთვალთვალო - ბევრ საინტერესო რამეს აღმოაჩენ, - უთხრა მას შემდეგ, რაც შეთანხმების შესახებ უამბო. მაგრამ მანამდე ხელი მოაწერინა კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც, ლაუზი სანტა-მონიკაში სერიული მკვლელობების შესახებ მის ერთ-ერთ სერიალში მომცრო როლს ითამაშებდა.

* * *

კროს დე-ლენა ლას-ვეგასში თავის პენტჰაუსში დაბრუნდა. ღამით თვალგახელილი იწვა და ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებაზე ფიქრობდა. რისთვის წავიდა ამ რისკზე? მართალია, ძალზე დიდი მოგება ექნებოდა, მაგრამ მთავარი მაინც, ოკეანის მწვანე წყლის ფონზე მდგარი ათენა იყო. იმედი ჰქონდა, ეს ქალი უკეთ გაიცნობდა და შეიყვარებდა, - არა სამუდამოდ, არამედ თუნდაც მოკლე ხნით. როგორ მოძღვრავდა ოდესღაც გრონეველტი? „ქალი ყველაზე უფრო საშიში მაშინაა, როცა მისი გადარჩენა გიწევს. უფრთხილდი საფრთხეში ჩავარდნილ მშვენებას!“ კროსმა ეს ბუნდოვანი მოგონება გაფანტა.

თუკი ათენა ანგელოზი იყო, მაშ, რად ითხოვდა - სიტყვით კი არა, მდუმარე მინიშნებით, - რომ ვინმეს მისი ქმარი მოეკლა? ხომ ყველა ამას ფიქრობდა, ხმამაღლა თქმას კი ვერავინ ბედავდა! ყველა - ელი მერიონიც, ბობი ბენციც, სკიპი დირიც. პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა ეს იყო. თუმცა მათთვის ეს მეტისმეტ რისკს ნიშნავდა. ისეთ მწვერვალზე ავიდნენ, ისე შეეჩვივნენ ტკბილ ცხოვრებას, ორმოცდაათ მილიონსაც იოლად გაწირავდნენ, ოღონდაც სასიკვდილო რისკზე არ წასულიყვნენ. ამ სფეროში კროსი პროფესიონალი იყო, ისინი კი - დილეტანტები.

ახლა მის წინაშე ორი პრობლემა იდგა: ბაზ სკანეტი ისე მოეკლა, რომ ათენაზე ეჭვი არავის აეღო; მეორე და უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა კი, ამისთვის პიპისა და კლერიკუციოს ოჯახის ნებართვის მიღება იყო. კროსმა კარგად იცოდა, მისი გეგმა მათთვის საიდუმლოდ

დიდხანს არ დარჩებოდა.

თავი 8

კროს დე-ლენამ შემთხვევით როდი ითხოვა, რომ „დიდი ტიმისთვის“ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. ჯერ ერთი, ეს კაცი სასტუმროს კაზინოს რეგულარულად ამდიდრებდა, მეორეც - კროსს მისი უდარდელი ცხოვრების წესი და იუმორი მოსწონდა.

ტიმ სნედენი, მეტსახელად საქმოსანი, კალიფორნიის ჩრდილოეთ ნაწილში დიდი სავაჭრო ცენტრების ქსელის მეპატრონე იყო. ძალზე უყვარდა სპორტული ტოტალიზატორი და უმართლებდა კიდეც. ფეხბურთზე ორმოცდაათი ათასის დადებაც კი შეეძლო, თანაც, პატარა თანხებს თუ აგებდა, ბოლოს და ბოლოს, დიდ თანხას იგენდა ხოლმე.

ამით მან კროსის ყურადღება მიიპყრო. ტიმი ძალზე მაღალი, ჩასკვნილი კაცი იყო, მადაც შესაფერისი ჰქონდა, რასაც კი თვალს მოჰკრავდა, ყველაფერს სანსლავდა და ამაყობდა კიდეც იმით, რომ წონაში არ იმატებდა.

სასტუმროში საქმოსანი თავისი მადისა და მეტსახელის შესაფერისად იქცეოდა: მოთამაშის პაკეტში შესული სადილებით თავის მეგობრებს აპურებდა, ნომრის ბარს აცარიელებდა და კახპებს ნომრის უფასო სუვენირებით ისტუმრებდა. კაზინოში როცა ბევრს აგებდა, მარკერებს ჩვეულებრივ, მომდევნო მოგებამდე არ იხდიდა, მაშინ, როდესაც პატიოსან მოთამაშეს ვალი ერთ თვეში უნდა

დაეფარა. კაზინოში უფრო იშვიათად უმართლებდა, ვიდრე ტოტალიზატორში. აქ კი იმდენად დიდი მოგებები ჰქონდა, რომ კლერიკუციოს ოჯახი მისი პიროვნებით დაინტერესდა. ფულზე მეტად სამომავლო პერსპექტივა აწუხებდათ: ადრე თუ გვიან, ტოტალიზატორის ლეგალიზებას იმედოვნებდნენ და ამ სფეროში სკანდალი ნამვილად არ სჭირდებოდათ. ტიმ სნედენის ცხოვრების გულდაგულ შესწავლის შედეგად ისეთი საგანგაშო დეტალები გაირკვა, რომ პიპი და კროსი დაუყოვნებლივ გამოიძახეს ქუოგში სათათბიროდ. ეს პიპის სიცილიიდან დაბრუნების შემდეგ მისი პირველი საქმე იყო.

მამა-შვილი ერთად გაფრინდა. კროსი ღელავდა, ვაითუ, კლერიკუციოს ოჯახმა უკვე შეიტყო „მესალინასთან“ დაკავშირდებული შეთანხმების შესახებო? მამა გაბრაზდებოდა იმის გამო, რომ ეს მის გარეშე გადაწყვიტა, რადგან ორმოცდაჩვიდმეტი წლის პიპი დე-ლენა ჯერ კიდევ თავისი შვილის, დასავლეთის ბარონის მრჩევლად ითვლებოდა.

ამიტომ ფრენის დროს კროსმა პიპის ფილმის შესახებ უამბო. დაარწმუნა, რომ მის რჩევას უწინდებურად აფასებდა, მაგრამ არ სურდა, მამას კლერიკუციოს რისხვა დასტყომოდა თავს. ასევე წუხილი გამოთქვა, ვაითუ, იმიტომ მიბარებენ, რომ ფილმის შესახებ შეიტყვესო?..

პიპი უხმოდ უსმებდა, მერე კი ამოიხვნეშა.

- ჯერ კიდევ ახალგზარდა ხარ. ფილმის გამო ასე სწრაფად არ დაგიბარებდნენ, დონი ჯერ მოვლენების განვითარებას

დაელოდებოდა. გარედან ისე ჩანს, თითქოს ყველაფერს ჯორჯო განაგებს, ვინი, პიტი და დანტე კი მრჩევლებად ჰყავს, მაგრამ მოხუცი ყველა ჩვენგანზე უფრო გამჭრიახია. თანაც, ასეთ შემთხვევებში მისი ნუ გეშინია: სამართლიანი და დიდსულოვანია. ჯორჯო და დანტე კი მართლაც საშიშნი არიან. თუ შეგინიშნავს, რომ ჯორჯოს, პიტისა და ვინსენტის შვილებმა ოჯახის საქმეებზე არაფერი იციან? დონს თავიდანვე სურდა, შვილები კანონიერ სამყაროში გაზრდილიყვნენ. დანტესაც იმავე ბედს უმზადებდა, მაგრამ დანტე მეტისმეტად გონიერი აღმოჩნდა, ყველაფერს მიხვდა და მონაწილეობა მოისურვა. დონმა ის ამიტომაც მიიღო საქმეში. წარმოიდგინე, ყველანი - მე და შენ, დანტე, პიტი, ვინსენტი, ჯორჯო - ოჯახს გუშაგებივით ვუდგავართ და საფრთხისგან ვიცავთ. დონს სწორედ ეს სიმყარე აძლიერებს. ასე რომ, შეიძლება გაუხარდეს კიდეც, რომ საქმიდან გასვლას აპირებ. სწორედ ამას ნატრობდა დანტესთვის, ეს უნდა ჩვენი შთამომავლებისთვის.

- ჰო, ალბათ მართალი ხარ, - ჩაილაპარაკა კროსმა. მამასაც ვერ გამოუტყდებოდა იმაში, რომ ასეთ ნაბიჯს ქალის სიყვარულის გამო დგამდა.

- გრონეველტივით მუდამ წინდახედულად ითამაშე. როცა დრო მოვა, პირდაპირ უთხარი დონს ამის შესახებ და დაარწმუნე, რომ ოჯახს შენი ბიზნესის წილში გაიყვან. მაგრამ ჯორჯოსა და დანტეს უფრთხილდი. პიტისა და ვინსენტს ასეთი რამეები არ ადარდებთ.

- რატომ ჯორჯოსა და დანტეს?

- იმიტომ, რომ ჯორჯო ხარბი და ამბიციურია, დანტეს კი შენი მუდამ

შურდა, რაკი ჩემი შვილი ხარ. თან, დანტე გიჟია.

კროსი გაოცებული უსმენდა. პირველად ესმოდა, მამას რომელიმე კლერიკუციო გაეკრიტიკებინოს.

- პიტისა და ვინსენტს ეს რატომ არ ადარდებთ?

- იმიტომ, რომ ვინსენტი რესტორნებითაა დაკავებული, პიტი კი - სამშენებლო ბიზნესითა და ბრონქსის ჯგუფით. ვინსენტს მშვიდი სიბერე სურს, პიტის კი საქმის პროცესი იტაცებს. ორივეს მოსწონხარ, მე კი პატივს მცემენ. ახალგაზრდობაში ერთად უამრავი საქმე გვიკეთებია.

- მამა, ხომ არ ბრაზობ, შენ რომ არ მოგეთათბირე?

- თავს ნუ იკატუნებ, - დამცინავად უთხრა პიპიმ, - მშვენივრად იცოდი, რომ მეც და დონიც წინააღმდეგი ვიქნებოდით. მაშ, როდის აპირებ იმ სკანეტის მოკვლას?

- ჯერჯერობით არ ვიცი. ისეთნაირად უნდა დავგეგმო, რომ „ნათლობა“ გამოვიდეს, რათა ათენამ დანამდვილებით იცოდეს, რომ საფრთხე აღარ ემუქრება და ფილმს დაუბრუნდეს.

- დაგეგმვაში მოგეხმარები. და თუ ეს ნაშა გადაღებაზე მაინც არ დაბრუნდა,ორმოცდაათ მილიონს კარგავ?

- დაბრუნდება. ის და კლოდია ახლო მეგობრები არიან. კლოდიამ დამარწმუნა, დაბრუნდებაო.

- ჩემი საყვარელი გოგო. ისევ არ სურს ჩემი ნახვა?

- მგონი, არა, მაგრამ ყოველთვის შეგიძლია, სასტუმროში ჩამოხვიდე, როცა იქ იქნება.

- არა, - თავი გააქნია პიპიმ, - იცოდე, თუ საქმე შეასრულე, ეგ ათენა კი ისევ გაჯიუტდება, „ზიარებას“ მოვუწყობ. სულ არ მადარდებს, კინოვარსკვლავია თუ ვინ არის!

- არა, არა, კლოდია უნდა ნახო. ის ახლა ძალიან გალამაზდა.

- მართლა?! კარგია. პატარაობაში ისეთი უშნო დრუნჩი ჰქონდა!.. სულ მე მგავდა.

- რატომ არ გინდა მასთან შერიგება? - ჰკითხა მამას კროსმა.

- რატომ და, ყოფილი ცოლის დაკრძალვაზე არ მიმიშვა. ვიცი, არ ვუყვარვარ. იცი, როცა მოვკვდები, ნურც მას მოუშვებ ჩემს დაკრძალვაზე. ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! ბავშვობაშიც საზიზღარი იყო.

- ახლა მაინც უნდა შეხვდე, - გაიმეორა კროსმა.

- დაიხსომე - ახლა დონს ნურაფერს უამბობ. ეს შეხვედრა სხვა საქმეს ეხება, - სიტყვა ბანზე აუგდო პიპიმ.

- რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

- სხვანაირად რომ ყოფილიყო, ჯერ მე დამიბარებდა და გამომცდიდა, გაგცემდი თუ რა.

პიპი მართალი აღმოჩნა.

რეზიდენციის ბარში მამა-შვილს ჯორჯო, დონ დომენიკო, პიტი, ვინსენტი და დანტე დახვდნენ. ჩვეულებისამებრ, საქმეზე გადასვლამდე ერთად ისადილეს.

ჯორჯომ საქმის ვითარებაზე ისაუბრა. როგორც დაადგინეს, სნედენი დასავლეთის კოლეჯებში საფეხბურთო და საკალათბურთო

თამაშებს აწყობდა და მსაჯებსა და ზოგიერთ მოთამაშეს ქრთამავდა. ეს ძალზე საფრთხილო იყო, რადგან გამჟღავნების შემთხვევაში, ასეთ სკანდალს შეიძლებოდა, სამუდამოდ გაეცამტვერებინა კლერიკუციოს იმედი, რომ ახლო მომავალში სპორტის ტოტალიზატორი ყველა შტატში დაკანონდებოდა.

- პოლიციამ სპორტული თამაშების ჩაწყობის საქმეში მეტი საშტატო ერთეული გადაისროლა, ვიდრე სერიული მკვლელობების გამოძიებაში, - ამბობდა ჯორჯო, - ვერ გამიგია, რატომ. რა განსხვავებაა, ვინ მოიგებს და ვინ წააგებს? ეს დანაშაული, ბუკმეკერების გარდა, არავის აზიანებს, პოლიციას კი ისინი სძულს.

- სალაპარაკოდაც არ ღირს, - მოუთმენლად შეაწყვეტინა პიპიმ, - ვინმე მივუგზავნოთ, გააფრთხილოს.

- ეგ უკვე ვცადეთ, მაგრამ განსაკუთრებული ვინმე აღმოჩნდა. არ იცის, შიში რა არის. გავაფრთხილეთ, მაგრამ იმავეს განაგრძობს.

- დიდ ტიმს და საქმოსანს რომ ეძახიან, საოცრად მოსწონს, - თქვა პიტიმ, - პროტესტის ნიშნად, არ იხდის მისი სავაჭრო ცენტრებისთვის დაკისრებულ გადასახადებს. ამის გამო ამჟამად შტატის ხელისუფლებასთან სასამართლო პროცესი აქვს. ცოლ-შვილსაც კი არ უხდის ალიმენტს. ბუნებით ქურდია. ვერაფერს შეაგნებინებ.

- კროს, შენ მას პირადად იცნობ. რას იტყვი? - ჰკითხა ჯორჯომ კროსს.

- ვალის გადახდას მუდამ აგვიანებს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც იხდის. ჭკვიანურად თამაშობს. მისნაირი ადამიანი სიმპათიას არ

იწვევს, მაგრამ ძალზე მდიდარია, ამიტომ ბევრი მეგობარი ჰყავს და ვეგასში ხშირად თან ჩამოჰყავს. მიუხედავად იმისა, როცა თამაშებს აწყობს და ცოტაოდენ ფულს გვცინცლავს, მაინც ძალზე საჭირო კაცად რჩება ჩვენთვის. ჯობს, შევეშვათ, - ეს რომ თქვა, დაინახა, დანტეს როგორ გაეღიმა, თითქოს ისეთი რამ იცოდა, რაც თავად კროსისთვის დაფარული იყო. P SEP

- ვერ შევეშვებით, - უპასუხა ჯორჯომ, - იმიტომ, რომ ეს წყეული საქმოსანი სულ მთლად გადაირია. რაღაც გიჟური სქემით მუშაობს, რომლითაც მსოფლიოს თასის ჩაწყობას აპირებს. P SEP

- კროს, ეს მართლაც შესაძლებელია? - პირველად ამოიღო ხმა დონმა და ამ შეკითხვით კროსს დიდი პატივი დასდო, რადგან ამ საკითხში მისი ექსპერტობა აღიარა. P SEP

- არა, ეს შეუძლებელია, - უპასუხა კროსმა, - მსაჯებს ვერ მოისყიდი, იმიტომ, რომ ბოლო წუთამდე არ იცი, ვის დანიშნავენ. ვერც მოთამაშეებს მოისყიდი, რადგან საუკეთესო სპორტსმენებს ისედაც დიდი შემოსავალი აქვთ. თანაც, ვერც ერთ სახეობაში ვერ ჩააწყობ ერთადერთ თამაშს ასპროცენტიანად. საამისოდ წინასწარ ორმოცდაათი ან ასი თამაშის ჩაწყობა მოგიწევს. P SEP

- ბრავო, - შეაქო დონმა, - მაშ, ასეთ მდიდარ კაცს ასეთი სისულელე რაში დასჭირდა? P SEP

- სურს, სახელი გაითქვას, - უპასუხა კროსმა, - მსოფლიოს თასის თამაშის ჩასაწყობად ისეთი რამ უნდა მოიმოქმედოს, რის გამოც უეჭველად ამხელენ. ეს რაღაც სიგიჟეა, ვერც კი გეტყვით, რა.

საქმოსანს კი სჯერა, რომ ნებისმიერი პრობლემიდან თავის დაძვრენას შეძლებს. ცეცხლს ეთამაშება.

- ასეთი კაცი ჯერ არ შემხვედრია, - გულწრფელად თქვა დონმა.

- ასეთები მხოლოდ ამერიკაში ჩნდებიან, - უპასუხა ჯორჯომ.

- ჩვენს საქმეს დიდ საფრთხეს უქმნის, - თქვა დონმა, - როგორც ამბობთ, მისი დაშოშმინება შეუძლებელია. მაშ, არჩევანი არ გვქონია.

- მოიცადეთ, - თქვა კროსმა, - მას ყოველწლიურად, სულცოტა, ნახევარმილიონიანი მოგება მოაქვს კაზინოსთვის.

- პრინციპის ამბავია, - ჩაერთო ვინსენტი, - ბუკმეკერები იმისთვის გვიხდიან, რომ ჩაწყობისგან დავიცვათ.

- დაველაპარაკები, ეგებ დამიჯეროს. მსოფლიოს თასს მაინც ვერ ჩააწყობს, ასე რომ, დროს ტყუილად ვკარგავთ, - თქვა კროსმა, მაგრამ მამამ ისეთნაირად შეხედა, რომ კროსი მიხვდა, ამგვარი კამათის უფლება არ ჰქონდა.

დონმა საბოლოდ დაასკვნა:

- ეს კაცი საშიშია. ნუ დაელაპარაკები. შენ შესახებ არაფერი იცის და თავს ნუ გაუმჟღავნებ. საშიში იმიტომაა, რომ პირუტყვივით ბრიყვია, ყველაფრის გადასანსვლა უნდა. რომ დაიჭირონ, ყველას გასცემს, - დონმა დანტეს მიმართა: - ეს საქმე შენ უნდა აღასრულო, ოღონდ პიპი ორგანიზებაში დაგეხმარება. ტერიტორიას კარგად იცნობს.

პიპი მიხვდა, რომ საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდა: დანტეს რომ რაიმე მოსვლოდა, პასუხს მას მოსთხოვდნენ. კიდევ ერთ რამეს

მიხვდა: დონსა და ჯორჯოს გადაწყვეტილი ჰქონდათ, სამომავლოდ კლერიკუციოს ოჯახის თავკაცობა დანტესთვის გადაეცათ, მაგრამ ჯერჯერობით მის შეხედულებებს დიდად არ ენდობოდნენ.

ვეგასში დანტე სასტუმროს ნომერში დააბინავეს. საქმოსანი ერთი კვირით წასულიყო და ეს დრო პიპიმ და კროსმა დანტეს მოსამზადებლად გამოიყენეს.

- საქმოსანი დიდ ფსონებს ჩამოდის, - აუხსნა დანტეს კროსმა, - მაგრამ არაბებისა და აზიელებისთანა დიდი მოთამაშე მაინც არ არის. საოცრად ხარბი ვინმეა, სასტუმროში ყველაფერი მუქთად უნდა. „რულეტის“ მაგიდასთან ხშირადდ თაღლითობს, კრუპიეებმა არაერთხელ გამოიჭირეს ტყუილში: შეუძლია ამტკიცოს, ფსონს ამა და ამ რიცხვზე ჩამოვედიო, მას მერე, რაც ნომერი უკვე ამოვიდა. მეგობრებსაც კი ჰპარავს ჩიპებს და საკუთარ მარკერზე დებს. მაგრამ თუ წაგება დაიწყო, ცოფდება, გონება ებინდება და აღარ ჩერდება. შარშან ორი მილიონი წააგო, მის პატივსაცემად წვეულება გავმართეთ და „კადილაკიც“ ვაჩუქეთ, მან კი გვისაყვედურა, „მერსედესი“ რატომ არ არისო?

- საქმოსანს რატომ ეძახით? - ჰკითხა დანტემ.

- იმიტომ, რომ მცირედშიც კი გამორჩენაზე ფიქრობს. ნომერში გოგონები შეჰყავს, მხეცივით კბენს, ფულს კი არ უხდის. ამაზეც და ბევრ სხვა რამეზეც ვხუჭავთ თვალს. მაგრამ გრონეველტი ვერაფრით დაითანხმა, მისთვის ერთ-ერთი ვილა დაეთმო. არც მე ვაძლევ.

- ჰო, მართლა, მე რატომ არ დამითმე ვილა? - უხეშად შეუტია

დანტემ.

- იმიტომ, რომ ეს სასტუმროს ერთ ღამეში ასი ათასიდან მილიონამდე დაუჯდებოდა, - მშვიდად უპასუხა კროსმა.

- ჯორჯოს ხომ უთმობ ვილას?

- კარგი, ამაზე ჯორჯოს მოველაპარაკები, - უთხრა კროსმა. იცოდა, რომ დანტეს ამგვარი თავხედობის გამო ჯორჯო განრისხდებოდა.

- როცა იქორწინებ, თაფლობის თვეს ვილაზე გაგატარებინებ, - ანუგეშა კროსმა.

- ოპერაციის გეგმა საქმოსნის ხასიათზე ავაგე, - აუხსნა ახალგაზრდებს პიპიმ, - კროს, შენ კაზინოში უნდა იყო, რათა ყველაფერი მოაგვარო. დანტეს სალაროდან განუსაზღვრელი კრედიტი მიეცი, მერე კი მისი მარკერები გააქრე. დიდი ტიმი ნამდვილად რომ ჩამოვიდეს, წვეულება გაუმართე და „როლს-როისს“ დაჰპირდი. აქ როცა იქნება, მე და დანტეს გაგვაცანი. ამით შენი მოვალეობა ამოიწურება.

პიპის გეგმის დაწვრილებით გადმოსაცემად ერთი საათი დასჭირდა. დანტემ აღფრთოვანებით უთხრა:

- დონი ტყუილად არ ამბობს, რომ ამგვარ საქმეებში ბრძენი ხარ. ამ ოპერაციაში ჩემს ხელმძღვანელად რომ დაგაყენა, გავბრაზდი, ახლა კი ვხედავ, რომ სწორად გადაწყვიტა.

პიპიმ გაქვავებული სახით მოუსმინა, მერე კი თქვა:

- გახსოვდეს, ეს „ზიარებაა“ და არა - „ნათლობა“. ყველაფერი ისე უნდა გამოიყურებოდეს, თითქოს გაიპარა. პოლიცია ამას ადვილად

დაიჯერებს. ნუ დაგავიწყდება, რომ დონს სურს, მისგან გავიგოთ, როგორ აპირებდა მსოფლიოს თასის თამაშის ჩაწყობას, მაგრამ ვფიქრობ, ეს საჭირო არ არის: ის ამ საქმის ერთადერთი ინიციატორი იყო. როცა ცოცხალი აღარ იქნება, საფრთხეც გაქრება. ასე რომ, გიჟური არაფერი ჩაიდინო.

- ჩემი ქუდის გარეშე თავს მოუხერხებლად ვგრძნობ, - ცივად ჩაილაპარაკა დანტემ.

- ისიც გახსოვდეს, რომ მეტისმეტად დიდ თანხაზე არ უნდა ითამაშო. შენი კრედიტი თვით დონმა გადაიხადა, სასტუმრო არ უნდა დაზარალდეს.

- არ იდარდო, ჩემთვის ჩემი საქმე თამაშზე უფრო აზარტულია, - უსიამოდ ჩაიცინა დანტემ.

კროსი მისმა კილომ გააოცა. მიხვდა, რომ მამამისსა და დანტეს ერთმანეთი სძულდათ და რომ დანტე პიპის დამცირებას ცდილობდა. ეს შეიძლება, ძვირად დასჯომოდა, მიუხედავად იმისა, რომ დონის შვილიშვილი იყო.

მისდა გასაოცრად, პიპიმ წყენა არ შეიმჩნია, დანტეს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

- შენ კლერიკუციო ხარ, მე კი რა უფლება მაქვს, რომ დაგასმინო?! ერთ საქმეს ვასრულებთ, მაშ, სიამოვნება მაინც მივიღოთ, ასე არ არის?

როცა საქმოსანი სნედენი ჩამოვიდა, დანტე მას დააკვირდა. მაღალი და მსუქანი იყო, მაგრამ ხორცი მკვრივი ჰქონდა, არა

დონდლო. კაზინოშისნედენმა ერთ ჯიბეში ასდოლარიანი შავი ჩიპები ჩაიყარა, მეორეში - ხუთასდოლარიანები.

მეტწილად კამათელს თამაშობდა - ამ თამაშში ყველაზე მეტი პროცენტის მოგება შეიძლებოდა. კროსმა და დანტემ იცოდნენ, რომ ამ დროისთვის უკვე ათი ათასი დადო კალათბურთის თამაშზე და სანტა-ანიტაში გამართულ დოღზეც ჩამოვიდა ფსონს, თუმცა მღელვარება სულაც არ ემჩნეოდა: უდარდელად და ხალისიანად თამაშობდა.

კამათლის მაგიდასთან ყველაზე მეტად ის ხმაურობდა, ხუმრობდა, კამათლების ხელით დაჭერას ცდილობდა, თუმცა კრუპიე ჯოხით კვლავ თავისთან აგროვებდა.

დანტე მაგიდას მიუჯდა და თამაშს შეუდგა. განგებ ჩამოდიოდა ისეთ ფსონებს, რომ გამუდმებით წაეგო. დიდმა ტიმმა მას მალევე მიაქცია ყურადღება და გასძახა:

- ჰეი, ქუდიანო! ისწავლე ეს თამაში!

დანტემ უდარდელად აუქნია ხელი და კვლავაც განაგრძო თავზე ხელაღებული თამაში. როცა ტიმმა თამაშიდან გასვლა დააპირა, დანტემ მთელი თავისი ჩიპები მაგიდაზე გადმოყარა. გულში ინატრა, ნეტავ, არ მოვიგოო! არც მოუგია. სნედენი მას ახლა დაჟინებული ინტერესით აკვირდებოდა.

დიდი ტიმი ჩვეულებრივ ამერიკულ კაფეში სადილობდა. იშვიათად შედიოდა „ქსანადუს“ ფრანგული დელიკატესების რესტორანში, არც ჩრდილოიტალიურ თუ ინგლისურ რესტორნებს სწყალობდა. ამჯერად ხუთ მეგობართან ერთად სადილობდა, თან ტოტალიზატორის

ბილეთებს არჩევდნენ. კროსი და დანტე დარბაზის კუთხეში ტიხრის უკან ისხდნენ.

- არასოდეს მინახავს, კაცი ასე ტკბებოდეს ცხოვრებით, - შენიშნა დანტემ.

- როცა ცხოვრებით სხვის ხარჯზე ტკბები, სულ მალე ბევრ მტერს გაიჩენ, - უთხრა კროსმა.

დაინახეს, საქმოსანმა როგორ მოაწერა ხელი ჩეკს, რომლის გადახდაც არ შეეძლო. მისი გასვლის შემდეგ ორივე მოდუნდა და ყავის სმას შეუდგა. კროსს უყვარდა ეს დიდი, მინისკედლებიანი დარბაზი, რომლის მიღმაც ღამის პეიზაჟი იშლებოდა.

- მახსენდება, სამიოდე წლის წინ საქმოსანმა ერთბაშად ძალზე ბევრი, მგონი, ასი ათასი მოიგო, - უთხრა მან დანტეს. - დილის სამი საათი იქნებოდა. როცა კრუპიემ მისი ჩიპები სალაროსკენ წაიღო. დიდი ტიმი მაგიდაზე შეხტა და ზედ გადააფსა.

- შენ როგორ მოიქეცი?

- დაცვას ნომერში ავაყვანინე და ზარალისთვის ხუთი ათასი დოლარის ჯარიმა დავაკისრე. დღემდე არ გადაუხდია.

- მე კი მაგ ნაბიჯვარს გულს ამოვგლეჯდი.

- როცა კაცი ყოველწლიურად ნახევარ მილიონს გჩუქნის, არ დააფსმევინებ მაგიდაზე?!. თუმცა ეგ მაინც ვერ ვაპატიე. ეს რომ ვილის კაზინოში ჩაედინა, შეიძლება, მართლაც მომეკლა, - გაიცინა კროსმა.

მეორე დღეს კროსმა დიდი ტიმი ლანჩზე დაპატიჟა და ამცნო, რომ,

როგორც სასტუმროს საპატიო სტუმარს, წვეულებას გაუმართავდა და საჩუქრად „როლს-როისს“ გადასცემდა. თან პიპიც გააცნო.

- „როლსისთვის“ მადლობელი ვარ, მაგრამ ვილას როდის დამითმობთ? - ჰკითხა საქმოსანმა.

- ვილას მართლაც იმსახურებთ და შემდეგ ჩამოსვლაზე აუცილებლად მიიღებთ კიდეც, თუნდაც ამისთვის ვინმეს გამოსახლებამ მომიწიოს, - დაჰპირდა კროსი.

- თქვენი შვილი იმ ბებერ გრონეველტზე უფრო სიმპათიურია, - მიუბრუნდა დიდი ტიმი პიპის.

- სიბერეში უცნაურობები დასჩემდა, - ადვილად დაეთანხმა პიპი, - მისი საუკეთესო მეგობარი ვიყავი, მაგრამ ვილა არასოდეს მღირსებია.

- მაგის დედაც! სამაგიეროდ, ახლა აქ ყველაფერს თქვენი შვილი წყვეტს და ვილას როცა გინდათ, მაშინ მიიღებთ.

- არაფერიც, - თავი გააქნია კროსმა, - იმიტომ, რომ მამაჩემი არ თამაშობს.

სამივეს გაეცინა.

- აქ ერთი უცნაური პატარა ტიპია, ჩაჩივით ქუდი ახურავს. იდიოტურად თამაშობს: ერთ საათში ლამის ორასი ათასი დოლარის მარკერებს მოაწერა ხელი. მიამბეთ მის შესახებ. ხომ იცით, ინვესტორებს ვეძებ, - უთხრა სნედენმა კროსს.

- ჩემი კლიენტების შესახებ ინფორმაციას არ ვიძლევი. ხომ არ მოგეწონებათ, ვინმემ თქვენ შესახებ რომ დამიწყოს გამოკითხვა?

მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ნებისმიერ დროს მივცემდი ვილას, მაგრამ არ მთხოვს.

- უბრალოდ გამაცანით, - არ მოეშვა სნედენი, - თუ მოვიგებ, წილში თქვენც გაგიყვანთ.

- მე ვერ დაგეხმარებით, მაგრამ მამაჩემი იცნობს.

- ფული არ მაწყენდა, - ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა პიპიმ და დიდ ტიმს მიმართა: - თქვენ და ეს ტიპი ერთმანეთს კარგად შეეწყობით. ბევრი ფული აქვს, მაგრამ თქვენისთანა ალღო არ გააჩნია. ვიცი, პატიოსანი კაცი ხართ, ამიტომაც იმდენი მომეცით, რამდენსაც, თქვენი აზრით, ვიმსახურებ.

- შესანიშნავია, - გაიბადრა სნედენი, - დღეს საღამოს კამათლის მაგიდასთან ვიქნები. იქ მოიყვანეთ.

როცა პიპიმ ისინი ერთმანეთს გააცნო, საქმოსანმა მოულოდნელად დანტეს ქუდი მოაძრო, მის ნაცვლად, თავისი ბეისბოლოს კეპი დაამხო, ჩაჩი კი თვითონ დაიხურა და ფიფქიას ჯუჯას დაემსგავსა.

- ჩვენი იღბალი გავცვალოთ, - გადაიხარხარა მან და ყველას გაეცინა, თუმცა პიპიმ დანტეს თვალებში უსიამო ნაპერწკლები შენიშნა. ის სნედენს გააცნო, როგორც ვინმე სტივ შარპი,აღმოსავლეთის სანაპიროს ერთ-ერთი უდიდესი ნარკოდილერი, რომელსაც მილიონები ჰქონდა „გასარეცხი“. ასევე წინასწარ უამბო, რომ სტივი უნიათო მოთამაშე იყო: მსოფლიოს თასის თამაშზე დიდ თანხას ჩამოვიდა, წააგო, თუმცა წარბიც არ შეუხრია. კაზინოშიც თავის მარკერებს მუდამ დაუყოვნებლივ იხდიდა.

- სტივ, ყავაზე გეპატიჟებით. ვილაპარაკოთ, - უთხრა მას სნედენმა და ცალკე კაბინეტში შეიყვანა. დანტემ ყავა შეუკვეთა, სნედენმა კი - ტკბილეულის მთელი წყება.

მერე ტრაბახს მოჰყვა: უთხრა, რომ მომცრო სავაჭრო ცენტრი ჰქონდა გასაყიდი, ასევე, ხორცის კომბინატი, რომელიც შეიძლებოდა, არალეგალურად დიდ თანხად გაყიდულიყო; გარდა ამისა, მისი თქმით, კინოწარმოებაშიც იყო ჩაბმული.

- მაგარი ბიზნესია: ცნობილ მსახობებს პირისპირ ხვდები, წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს ჟიმავ და თან ფულს ათეთრებ.

დანტე ამ სპექტაკლით ტკბებოდა. საქმოსანი ყველაფერს ისე დამაჯერებლად და გზნებით ამბობდა, რომ შესაძლო მსხვერპლს მომავალ გამდიდრებაში ეჭვი არ შეეპარებოდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს მართლაც აღტაცებული იყო, თუმცა მაინც ფრთხილობდა.

- თქვენი ბარათი მომეცით. დაგირეკავთ ან პიპის დავარეკვინებ და შეხვედრაზე შევთანხმდებით.

- მოდით, სწრაფად ვიმოქმედოთ, - შეაგულიანა სნედენმა, - ერთი უტყუარი საქმე მაქვს. სპორტს ეხება.

- ღმერთო, ამაზე სულ ვოცნებობდი! - მოჩვენებითი სიხარულით გაბრწყინდა დანტე, - რას გულისხმობთ? მაგალითად, ბეისბოლის გუნდის შესყიდვას?

- ასეთი დიდი საქმე არ არის, მაგრამ მაინც მასშტაბურია.

- ერთმანეთს როდის შევხვდეთ?

- ხვალ სასტუმრო წვეულებას მიმართავს და „როლს-როისს“

მჩუქნის, რაკი ამდენი ფული გამომცინცლა, - დამცინავად, მაგრამ ამაყად წარმოთქვა სნედენმა, - მეორე დღეს კი ლოს-ანჯელესში ვბრუნდები. ჩემი წასვლის დღეს შევხვდეთ.

- კარგი, - დანტე ვითომ დაფიქრდა, - პიპი ლოს-ანჯელესში მომყვება და დავარეკვინებ.

- შესანიშნავია. დღეს საღამოს კი კამათლის თამაშს გასწავლით.

- სწავლა რად მინდა? - თავი მოისულელა დანტემ. - ყველაზე მეტად თამაშის სიტუაცია მომწონს. გოგონებიც...

- მაშ, შენი საქმე წასულია, - გაეცინა სნედენს, - მაგრამ მე და შენ მაინც ბევრ ფულს გავაკეთებთ ერთად.

მეორე დღეს სასტუმროს სადღესასწაულო დარბაზში, რომელიც საშობაო და სხვა ზეიმებისთვის იყო განკუთვნილი, გრანდიოზული წვეულება გაიმართა. მაღალი ჭერი ფერადი ბუშტებით იყო დახუნძლული, დახლები - აისბერგებივით დატვირთული. ყინულივით ბდღვრიალა ზედაპირზე ყველანაირი ეგზოტიკური ხილი ეწყო: კივი, ციტრუსი, ანანასი, ქოქოსის კაკლები, ოვალური მწვანე საზამთრო. ამ აისბერგებში წყალქვეშა ნავების მოყვანილობის სხვადასხვანაირი ნაყინის კონტეინერები ჩაეფლოთ. სასტუმროს ულამაზესი მიმტანი გოგონები სტუმრებს ხემსით, ყავითა და სასმლით უმასპინძლდებოდნენ.

ვიდრე პირველი სტუმრები შემოვიდოდნენ, სნედენი უკვე გაცხარებით თამაშობდა ბანქოს.

დარბაზის ცენტრში შემაღლებაზე კრემისფერი „როლს-როისი“

ბდღვრიალებდა. მომავალ საპატიო სტუმარს კუთხეში მდგარი „კადილაკი“ ელოდებოდა. ამგვარი საჩუქრებით მოთამაშეების წაქეზება გრონეველტის იდეა გახლდათ და ეს კაზინოს მოგებას მნიშვნელოვნად ზრდიდა.

წვეულება სახალისო გამოვიდა, რადგან დიდი ტიმი თავის ამპლუაში იყო. ორი მიმტანი გოგონას დახმარებით, ლამის ნახევარი ბუფეტი დააცარიელა. თავისი ღორმუცელობის დემონსტრირებით სტუმრების წინაშე შოუ მოაწყო და ისე გაერთო, რომ ლამის საკუთარი ხელით აღასრულა დანტეს მისია.

კროსი სასტუმროს სახელით სიტყვით გამოვიდა, შემდეგ კი სნედენი ალაპარაკდა:

- სასტუმროს მადლობას ვუხდი ამ დიდებული საჩუქრისთვის. ეს ორასიათასდოლარიანი მანქანა ახლა ჩემია. ეს ჯილდოა იმისთვის, რომ ათი წელიწადია, აქ ჩამოვდივარ, სადაც, როგორც პრინცს, ისე მეპყრობიან და ჯიბეებს მიცარიელებენ. ვფიქრობ, ორმოცდაათ „როლს-როისს“ თუ მაჩუქებენ, გავსწორდებით, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველა მანქანას ერთდროულად ხომ ვერ ვატარებ!

მისი ოხუნჯობა ტაშმა და ხალისიანმა შეძახილებმა დაფარა. დიდმა ტიმმა აქეთ-იქიდან გოგონები ამოიყენა, ჩაიხუტა და კომიკოსივით დაელოდა აპლოდისმენტების ჩაცხრობას.

- არ ვხუმრობ, მართლაც მადლობელი ვარ. ეს უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში, იმ დღეს თუ არ ჩავთვლით, როცა ცოლს გავეყარე. ერთი პატარა შეკითხვა მაქვს: ვინ მომცემს ბენზინის ფულს, რათა ამ

მანქანით ლოს-ანჯელესში დავბრუნდე? სასტუმრომ, როგორც ყოველთვის, ბოლომდე გამფცქვნა.

ამ ეფექტური ხუმრობით გამოსვლა დაასრულა და მანქანაში ჩაჯდა. ამავე საღამოს ერთ-ერთმა შეძლებულმა მოთამაშემ „კადილაკი“ მოიგო. ზეიმი ოთხ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც ყველა სათამაშო მაგიდებს მიუბრუნდა.

იმ ღამით გრონეველტის სული ნამდვილად კმაყოფილი დარჩებოდა მის მიერ შექმნილი სამყაროთი. კაზინოს მოგება ჩვეულებრივ დღეებთან შედარებით გაორმაგდა. სექსის სტატისტიკის წარმოება შეუძლებელი იყო, მაგრამ სასტუმროს დერეფნები მამაკაცის თესლის სუნით გაიჟღინთა. ულამაზესი გოგონები მოთამაშეებს თავიანთი სხეულებით ატკბობდნენ, რის სანაცვლოდაც, უხვად საჩუქრდებოდნენ შავი ჩიპებით.

კროსმა ადრევე შენიშნა, რომ მოთამაშეებს, სქესის შესაბამისად, განსხვავებული ტემპერამენტი ჰქონდათ. თამაშის აზარტზე ქალის ხიბლის გავლენა პირველად გრონეველტმა უხსენა. სექსუალურ ლტოლვას სასწაულის მოხდენა შეეძლო: უიღბლო მოთამაშესაც კი შთააგონებდა და აგებინებდა. სასტუმრო უამრავ ცნობილ ადამიანსმასპინძლობდა: გენიალურ მეცნიერებს, რელიგიურ ლიდერებს, ლიტერატორებს. ერთი ნობელიანტი ფიზიკოსი ექვსი დღის განმავლობაში სტუმრობდა და აქაური გოგონებით ტკბებოდა. ბევრს არ თამაშობდა, მაგრამ მისი სახელი სასტუმროს პრესტიჟს მაღლა სწევდა. გრონეველტმა მისი გოგონები საკუთარი ჯიბიდან

დაასაჩუქრა კიდეც, რადგან თავად ფიზიკოსს ეს თავში არც მოსვლია. გოგონებმა მეპატრონეს მოახსენეს, რომ ფიზიკოსი საუკეთესო საყვარელი იყო, ვინც კი ოდესმე ჰყოლიათ: ხარბი, დაუღალავი, ვნებიანი, არც ზედმეტი ლაპარაკი უყვარდა, მათთან ერთად ლაღად ხალისობდა. გრონეველტს ესიამოვნა იმის გაგონება, რომ ასეთი ტვინის პატრონი სექსშიც მაგარი ყოფილა. ერნესტ ვეილს კი არ ჰგავდა, ლიტერატურული ნიჭის მიუხედავად, რაღაც უსქესო, მობერებული ბავშვის შთაბეჭდილებას რომ ახდენდა. სენატორი უევენი, მომავალში აშშ-ის შესაძლო პრეზიდენტიც, სექსს გოლფის თამაშივით აგემოვნებდა.

გრონეველტმა შენიშნა, რომ მოთამაშე მამაკაცები გოგონებს მანამ იძახებდნენ, ვიდრე თამაშს შეუდგებოდნენ, მოთამაშე ქალებს კი თამაშის შემდეგ ერჩივნათ სექსით ტკბობა. ეს ბარმენებისა და კრუპიე მამაკაცების გადმოცემით იცოდა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სტუმრებს სექსუალურ მოთხოვნილებებსაც უკმაყოფილებდნენ. მამაკაცებს საბრძოლო შემართებისთვის სჭირდებათ სექსი, ქალები კი წაგების შემდეგ გულს აყოლებენ ანდა გამარჯვებას ზეიმობენ.

დიდმა ტიმმა წვეულებამდე ერთი საათით ადრე ნომერში მეძავი დაიბარა, გამთენიისას კი საწოლში ორი მიმტანი გოგონა ჩაიწვინა. წესიერი გოგონები იყვნენ და სამში სექსზე უარი უთხრეს, მაგრამ საქმოსანმა ეს პრობლემა იმით გადაჭრა, რომ ათი ათასი დოლარის შავი ჩიპები გადმოუყარა. გოგონებმა მაინც გააბითურეს: ჩიპები აიღეს, თვითონ კი, ისედაც ნაჭამ-ნასვამი, ისე დაათრეს, რომ

დაწოლისთანავე გაითიშა.

გვიან ღამით კროსს კლოდიამ დაურეკა.

- ათენა გაქრა. სტუდიაში პანიკაა. რაღაც უნდა მოიმოქმედო, ვიდრე სამუდამოდ წავიდოდეს.

- კარგი, - უთხრა კროსმა. კლოდიამ არ იცოდა, რომ მისი ხალხი სკანეტს უკვე უთვალთვალებდა.

მაგრამ ამ ზარმა კვლავაც ათენას სილამაზე მოაგონა და ვნება გაუმძაფრა. კროსმა ერთ-ერთ გოგონას დაურეკა, ტიფანის, რომელთანაც დროდადრო სექსი ჰქონდა.

ტიფანი კროსის სიხარბემ და მოუთმენლობამ გააკვირვა. როგორც კი გოგონა მასთან შევიდა, კროსმა უსიტყვოდ გააძრო ტანისამოსი და მთელი სხეული დაულოშნა. სწრაფად დაეუფლა და სწრაფადვე მიაღწია მწვერვლს.

- ამჯერად ეს ნამდვილი სიყვარულია, - თითქოს სინანულითაც კი ჩაილაპარაკა ტიფანიმ.

- აბა, რა არის?! - ამოიხვნეშა კროსმა და განახლებული ვნებით შეუტია.

- სულელო, ჩემი თავი არ მიგულისხმია, - გაეცინა ტიფანის, - ვინ არის ეს იღბლიანი ქალი?

კროსი შეცბა. არ ეგონა, ასე ადვილად ამოსაცნობი თუ იყო. მაგრამ გვერდით მყოფი თბილი და რბილი სხეულის წყურვილს ვერ იოკებდა, ხარბად ეწაფებოდა გოგონას სავსე მკერდს, აბრეშუმისებრ ენას, ფეხებშუა ცხელ, ხავერდოვან ბორცვს. რამდენიმე საათის შემდეგ,

დაცლილი და დაკმაყოფილებული რომ იწვა, მიხვდა, რომ ათენაზე ფიქრს მაინც ვერ იშორებდა. თუმცა, ხორციელი წყურვილი აღარ აწუხებდა და თავდაჯერებულობაც მოემატა.

- როცა ბოლოს და ბოლოს, ხელში ჩაიგდებ, ვაი, მისი ბრალი! - სიცილით უთხრა ტიფანიმ, ჩაიცვა და ნომერში სასმელი შეუკვეთა.

მისი წასვლის შემდეგ კროსმა კაზინოს შემოუარა. ერთ-ერთ მაგიდასთან სამი ლამაზი ქალის გარემოცვაში დანტე შენიშნა. ერთ-ერთი ქალი ლორეტა ლანგი იყო, რომელსაც კროსმა კინოკარიერის შექმნაში შეუწყო ხელი, მაგრამ ახლა ვერც იცნო. დანტემ ხელით მოიხმო, მაგრამ კროსმა უარის ნიშნად თავი გააქნია. თავის ნომერში დასაძინებელი წამლის ორი აბი მიიღო, მაგრამ ათენაზე ფიქრი ძილშიც ჩაჰყვა.

დანტეს სამი თანამოსაუბრე ჰოლივუდში ცნობილი ქალები იყვნენ - მაღალი რანგის ვარსკვლავების ცოლები, თავად კი - მეორეხარისხოვანი ვარსკვლავები. ისინი დიდი ტიმის წვეულებაზე ჩამოსულიყვნენ.

ყველაზე უფროსი, ჯულია დელირი, სუპერვარსკვლავის მეუღლე იყო და ორი შვილი ჰყავდა. ბედნიერი ოჯახის ფოტოები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალებში და საზოგადოებას საოცნებო ხატად წარმოუდგებოდა.

მეორე ჯოან უორდი იყო, თუმცა ორმოცდაათს მიტანებული, მაგრამ ჯერაც ლამაზი. ახლა მეორეხარისხოვან როლებს თამაშობდა: გონიერ ქალებს, განწირული შვილების უბედურ დედებს, მარტოხელა ქალებს,

რომლებიც მეორედ ბედნიერდებიან, ანდა მგზნებარე ფემინისტებს. ქმარი სტუდიის მეპატრონე ჰყავდა, ცოლს როლებით უზრუნველყოფდა, სანაცვლოდ კი მხოლოდ დიასახლისობას სთხოვდა იმ საზოგადოებრივ ბიზნესწვეულებებზე, რომლებსაც ხშირ-ხშირად მართავდა. შვილები არ ჰყავდათ.

ლორეტა კომედიური მსახიობი გახლდათ. ქორწინებაში მასაც გაუმართლა: უტვინო მძაფრსიუჟეტიანი ფილმების სუპერვარსკვლავს გაჰყვა, რომელიც მეტწილად შორეულ რეგიონებში გადაღებებზე იმყოფებოდა.

ეს სამი ქალი ჯერ გადაღებებზე დამეგობრდა, მერე საშოპინგოდ ერთად დადიოდნენ როდეო-დრაივზე და ბევერლი-ჰილზის პოლოს პავილიონში სადილობდნენ, თავიანთ ქმრებსა და საკრედიტო ბარათებს არჩევდნენ. თუმცა პრობლემებს არც ერთი არ უქმნიდა: ფულს ნიჩბებით ხვეტდნენ და ქმრები არასოდეს სთხოვდნენ ხარჯის აღრიცხვას.

ჯულია ჩიოდა, ქმარი შვილებს საკმაო დროს არ უთმობსო. ჯოანი, რომლის ქმარიც ახალი ვარსკვლავების აღმოჩენით იყო დაკავებული,თავის უშვილობას დარდობდა. ლორეტა თვლიდა, რომ დროა, მისი ქმარი უფრო სერიოზულ როლებზე გადავიდეს. მაგრამ ერთხელაც ლორეტამ მეგობრებს განუცხადა:

- გოგოებო, მოვრჩეთ ამ სისულელეებს. სამივენი ბედნიერები ვართ, კარგი ქმრებიც გვყავს. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ქმრები როდეო-დრაივზე გვგზავნიან და ამით სინდისს ისუფთავებენ, როცა

სხვა ქალებთან გვღალატობენ.

სამივეს გაეცინა.

- ჩემი ქმარი უკვე ერთი თვეა, ტაიტიზეა გადაღებებზე, - თქვა ჯულიამ, - არა მგონია, იქ სანაპიროზე იჯდეს და მასტურბაციით იქცევდეს თავს. მაგრამ რაკი ტაიტიზე გამგზავრება არ მსურს, ან თავის პარტნიორ მსახიობს ჟიმავს, ან რომელიმე ადგილობრივ ლამაზმანს.

- იქ რომ გაჰყვე, მაინც ზუსტად ასევე მოიქცევა, - ჩაურთო ლორეტამ.

- ჩემი ქმარი უშვილოა, მაგრამ ასო კი აქვს დიდი, - მხარი აუბა ჯოანმა, - რატომღაც, მის მიერ აღმოჩენილი ვარსკვლავების უმეტესობა ქალია. როგორც ჩანს, კასტინგის დროს იმის მიხედვით ირჩევს, თუ ვინ უკეთეს მინეტს გაუკეთებს.

ამ დროისთვის უკვე გვარიანად იყვნენ შეზარხოშებულნი.

- ჩვენს ქმრებს არ ვამტყუნებ, - თქვა ლორეტამ, - სხვა რა გზა აქვთ: მსოფლიოს ულამაზეს ქალებთან აქვთ საქმე. მაგრამ ჩვენ რატომღა უნდა ვიზარალოთ?! საკრედიტო ბარათები კარგია, მაგრამ გართობა არც ჩვენ გვაწყენს!

ამის შემდეგ თვეში ერთხელ, ქმრების არყოფნისას ღამის თავგადასავლებს აწყობდნენ ხოლმე. რაკი ამერიკის მოსახლეობისთვის ცნობილი პიროვნებები იყვნენ, ინიღბებოდნენ. ეს არცთუ ისე რთული აღმოჩნდა. პარიკებს იკეთებდნენ, მაკიაჟით თვალისა და ტუჩების ფორმას იცვლიდნენ და საშუალო კლასის

შეძლებული ქალებივით იცვამდნენ. გემო გაუგეს იმას, სხვადასხვა მამაკაცი როგორ უშლიდა გულს მათთან დაწოლის იმედით, და ხშირად წარმატებასაც აღწევდნენ. მოსწონდათ ცოცხალი ცხოვრების ხიბლი, სადაც, სცენარისგან განსხვავებით, ბევრი რამ იდუმალი და უთქმელი რჩებოდა. ხშირი იყო გამაოგნებელი სიურპრიზიც: გულწრფელი სიყვარული და შეუღლების წინადადებაც კი. მოსწონდათ, რომ მათ არა სტატუსის, არამედ შინაგანი თვისებების გამო ეთაყვანებოდნენ. ახალ-ახალი როლების თამაშიც მოსწონდათ. მაგრამ ამ თავბრუდამხვევი განცდებისთვის მუდამ ქალაქისგან მოშორებით მიდიოდნენ. აღმოაჩინეს, რომ სან-ფრანცისკოც სახიფათოა: შენიღბვის მიუხედავად, მაინც ცნობდნენ. ყველაზე მეტად ვეგასი უყვარდათ.

დანტე მათ კაზინოს რესტორანში გადაეყარა, სადაც დაღლილი მოთამაშეები ისვენებდნენ, ანსამბლის, მომღერლებისა და კომიკოსების გამოსვლებს უსმენდნენ. ლორეტა ოდესღაც აქ იწყებდა თავის კარიერას. აქ საცეკვაო მოედანი არ იყო: სასტუმროს არ აძლევდა ხელს, კლიენტები დიდი ხნით მოსწყვეტოდნენ თამაშს.

დანტე ამ ქალების მხიარულებამ და სიხალისემ მიიზიდა, ქალებს კი - მის მიერ დადებულა მაღალმა ფსონებმა და იმან, რომ წაგებისას სინანული არ ემჩნეოდა. ერთად დალიეს, მერე კი დანტემ „რულეტის“ მაგიდასთან მიიყვანა და თითოეულს ათასი დოლარის ჩიპი აჩუქა. ქალებს მისი ქუდი და მწარე, სარკასტული იუმორი მოეწონათ. შენიშნეს, რომ კრუპიეები მოწიწებით ეპყრობოდნენ. სამივე მდიდარი

იყო და ფული არ აკვირვებდა, თვითონაც ხარჯავდნენ უამრავს, მაგრამ სანაცვლოდ, ძვირფას ტანისამოსს იღებდნენ, იმ სიმსუბუქემ კი, რომლითაც დანტე დიდ თანხებს აგებდა, მართლაც მოაჯადოვა.

ყოველთვის არ ჰქონდათ სექსი იმ მამაკაცებთან, ვისაც გაიცნობდნენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად, როცა საპირფარეშოში განმარტოვდნენ, იმაზე ბჭობას შეუდგნენ, დანტე რომელს რგებოდა. ჯულია მეგობრებს შეეხვეწა, ერთი სული მაქვს, მაგ სასაცილო ქუდში ჩავუფსაო. მათაც დაუთმეს.

ჯოანს იმედი ჰქონდა, ხუთ-ათ ათასს მოიგებდა. დიდად არ სჭირდებოდა, მაგრამ მაინც, ნაღდი ფული იყო. ლორეტა დანტეს ხიბლის მიმართ გულგრილი დარჩა. აქაურ კაბარეში მუშაობამ მსგავსი მამაკაცებისგან იმუნიტეტი შეუქმნა: მათ უმრავლესობას ახირებული, უფრო ხშირად - უსიამოვნო სიურპრიზი სჩვეოდა.

ქალებს სამოთახიანი ნომერი ჰქონდათ აღებული. შეთანხმებული იყვნენ, სიფრთხილე დაეცვათ და ერთურთს დიდი ხნით არ მოსცილებოდნენ, ამიტომ მამკაცებთან მთელი ღამე არ დარჩენილიყვნენ.

დანტე ჯულიასთან ერთად აღმოჩნდა, თუმცა ლორეტა უფრო მოეწონა, მაგრამ არჩევანი არ დაუტოვეს. თავის ნომერში მიიპატიჟა, რომელიც ქალების ნომრის ქვემოთ იყო.

- მხოლოდ ერთ საათს დავრჩეთ, მერე კი შენს ნომერში აგაცილებ. ხვალ ადრე ვარ ასადგომი.

- შენ თვითონ ამოდი და მერე მე ჩაგაცილებ, - არ დაუთმო

ჯულიამ.

- შენს ნომერში ორი ახირებული დაქალი გყავს. სამივე რომ თავს დამაცხრეთ, რაღა ვქნა?! ერთი პატარა ბიჭი ვარ.

ამ პასუხმა ჯულია ისე გაახალისა, რომ ნომერში ჩაყოლაზე დათანხმდა. დერეფანში ხუმრობით უთხრა, შენს ქუდში მინდა ჩავაფსაო.

- თუკი ეს გაგართობს, მეც გავერთობი, - გაყინული სახით უპასუხა დანტემ.

ნომერში ბევრი აღარ ულაქლაქიათ. ჯულიამ ხელჩანთა ტახტზე დააგდო და კაბა აიწია. თავისი მკერდი გამოაჩინა, რომლითაც ამაყობდა, მაგრამ დანტე ის იშვიათი გამონაკლისი აღმოჩნდა, ვისაც მკერდი არ იზიდავდა. კაცმა ის საძინებელში შეიყვანა, გააშიშვლა და თვითონაც გაშიშვლდა. ჯულიამმისი მოკლე, სქელი და წინადაუცვეთავი ასო დაინახა.

- პრეზერვატივი იხმარე, - უთხრა ქალმა. დანტემ ის ჰაერში მსუბუქად აიტაცა, თუმცა საკმაოდ მძიმე ქალი იყო, და საწოლზე დააგდო. მერე ზედ დააწვა.

- სერიოზულად გთხოვ, პრეზერვატივი გაიკეთე, - გაუმეორა ქალმა.

მეორე წამს ქალს თვალთ დაუბნელდა. ძლივს გაიაზრა, რომ დანტემ მთელი ძალით გააწნა სილა. თავის გათავისუფლება სცადა, მაგრამ ასეთი ტანდაბალი კაცისთვის დანტე ძალიან ღონიერი აღმოჩნდა. კიდევ და კიდევ გაარტყა, მერე კი დაეუფლა. სულ ცოტა

ხანს იმოძრავა ქალის შიგნით, მერე ზედ დააწვა და გაყუჩდა. რამენიმე წუთს ასე იწვნენ, შემდეგ დანტემ ქალი გადმოაბრუნა, მუცელზე დააწვინა და ჯულია მიხვდა, რომ ანალური სექსი უნდოდა. ჩურჩულით უთხრა:

- ეს ძალიან მიყვარს, მაგრამ ხელჩანთიდან ვაზელინი უნდა ამოვიღო.

ჯულია საწოლიდან წამოდგა და მისაღებში გავიდა. დანტე უკან გაჰყვა. ქალმა შენიშნა, რომ ასო კვლავაც ერეგირებული ჰქონდა. ჯულიამ ხელჩანთიდან პატარა ვერცხლისფერი რევოლვერი ამოიღო - ერთ-ერთი ფილმის რეკვიზიტი, რომელიც სულ უნდოდა, ცხოვრებაში გამოეყენებინა.

- ახლა ტანთ ჩავიცვამ და წავალ. თუ ჩემს შეჩერებას შეეცდები, გესვრი.

შიშველმა დანტემ ხალისიანად გადაიხარხარა, მაგრამ ჯულიამ კმაყოფილებით შენიშნა, რომ ერექცია მაშინვე გაუქრა. ქალი ამ ყველაფერმა გაახალისა. უკვე წარმოიდგინა, მეგობრებს თავგადასავალს როგორ უამბობდა და ისიც კი იფიქრა, ქუდი ხომ არ ვთხოვო და მართლაც ხომ არ ჩავუფსაო შიგ? მაგრამ ახლა დანტემ გააოცა. ძალიან ნელა წამოვიდა ქალისკენ და უთხრა:

- ასეთი მცირე კალიბრი ვერც კი შემაჩერებს, თუ შემთხვევით არ გაგიმართლა და თავში არ მომახვედრე. რომც დამჭრა, შენს დახრჩობას მაინც მოვასწრებ. მაგრამ იარაღი არასწორედ გიკავია და დიდი შანსია, საერთოდ ვერ მომახვედრო. გადააგდე და

ვილაპარაკოთ. მერე გაგიშვებ.

რაკი კვლავ განაგრძობდა მისკენ სვლას, ჯულიამ რევოლვერი ტახტზე დააგდო. დანტემ აიღო და თავი გააქნია.

- ყალბი იარაღი? ასე ნაღდად მოგკლავენ, - მერე ქალს დააცქერდა და უთხრა: - ნამდვილი ბოზი რომ იყო, ნამდვილი იარაღიც გექნებოდა. ვინ ხარ?

ქალი ტახტზე დააგდო და მუხლი მიაჭირა. ტახტიდან ხელსახოცი აიღო და სახიდან ფერუმარილი მოსწმინდა.

- პარიკი მოიხადე, - უთხრა მერე, - ღმერთო ჩემო! ჯულია დელირი ყოფილხარ! თურმე კინოვარსკვლავს ვჟიმავდი! - სახე მრუდე ღიმილით გაებადრა. - როცა მოგეხასიათება, მაშინ შეგიძლია ჩამიფსა ქუდში.

მერე ქალი წამოაყენა, აკოცა და ტახტის სამკლავურზე თავდაყირა გადააწვინა, ისე, რომ ქალს უკანალი მაღლა ამოებზიკა, ძუძუები კი მტევნებივით დაეკიდა.

- ნუ გეშინია.

- ხომ დამპირდი, გაგიშვებო, - შეევედრა ქალი.

დანტემ დუნდულები დაუკოცნა და დაუსრისა. მერე ძალზე უხეშად დაეუფლა. ქალმა სიმწრით წამოიკივლა. როდესაც კაცმა საქმე დაამთავრა, თეძოზე ნაზად მოეფერა და უთხრა:

- ვწუხვარ, მაგრამ ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. ახლა მეგობრებს ვუამბობ, რომ ჯულია დელირი ტრაკში გავჟიმე.

მეორე დილით კროსი სატელეფონო ზარმა გამოაღვიძა. წინ

საქმიანი დღე ჰქონდა. დანტეს მარკერები სალაროდან უნდა გამოეტანა და გაენადგურებინა. „როლს-როისის“ ჩუქების საბუთებიც უნდა გაეფორმებინა.

ამ დროს ლორეტა ლანგმა დაურეკა. კროსმა იფიქრა, კლოდიასთან დაკავშირებული არ იყოს რამეო და დაცვას სთხოვა, ლორეტა მის პენტჰაუსში ამოეცილებინა.

ლორეტამ ორივე ლოყაზე აკოცა და დანტესა და ჯულიას შორის მომხდარ წუხანდელ ამბავს მოუყვა. უთხრა, ეს კაცი სტივ შარპად გაგვეცნო, დიდი თანხა წააგო და ჩვენც ჩიპებით დაგვასაჩუქრაო. კროსი თანაგრძნობით უქნევდა თავს, გულში კი ფიქრობდა, რა სიბრიყვეებს სჩადის დანტე ოპერაციის წინო!.. ბოლოს ქალს მშვიდად უთხრა:

- რა თქმა უნდა, ამ კაცს ვიცნობ. ის ქალები ვინ არიან, თან რომ გახლდნენ?

ლორეტამ ცნობილი ვარსკვლავები დაუსახელა.

- ამას ხშირად აკეთებთ ხოლმე? - ჰკითხა კროსმა.

- ცოტა ჩვენც ხომ უნდა გავერთოთ, - თავი იმართლა ლორეტამ. კროსმა მოწყალედ გაუღიმა.

- მაშ, რა? შენი მეგობარი მასთან ნომერში ავიდა, გაშიშვლდა, ახლა კი ყვირის, გამაუპატიურესო? ასეა?

- არა, არა, - სწრაფად უპასუხა ლორეტამ, - უბრალოდ არ გვსურს, ვინმეს რამე გაუმხილოს. ეს რომ ქვეყანას მოედოს, ჩვენი კარიერა დასრულებულია.

- არ ილაპარაკებს, - დაარწმუნა კროსმა, - ისე კი უცნაური ვინმეა და გირჩევთ, მომავალში მასთან საქმე აღარ დაიჭიროთ. მეტი სიფრთხილე გმართებთ.

ბოლო შენიშვნამ ლორეტა შეაშფოთა. მომხდარის მიუხედავად, ქალებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, დროს ტარება გაეგრძელებინათ.

- რა გარანტია გაქვს, რომ არავის არაფერს ეტყვის?

- ამას ჩემი ხათრით გააკეთებს.

როგორც კი ლორეტა გავიდა, კროსმა სასტუმროს მიმღებში დამონტჟებული კამერით ჩაწერილი ფირი გადაამოწმა და ლორეტასთნ ერთად მოსული ორი ქალი ადვილად ამოიცნო.დანტე სულელი ყოფილა, ისინი ახლოდან რომ ვერ იცნო.

პიპიმ შვილს შეუარა, რათა ლოს-ანჯელესში გამგზავრებამდე მასთან ერთად ესაუზმა. კროსმა მამას ლორეტას ამბავი უთხრა.

- ამ ბრიყვმა ლამის მთელი ოპერაცია ჩაშალა! - განრისხდა პიპი. - თანაც, ხომ ვუთხარი, ეგ ქუდი აღარ დამანახვო-მეთქი, მან კი ჯინაზე დაიხურა!

- ოპერაციის დროს ფრთხილად იყავი, - უთხრა კროსმა, - დანტეზე თვალი გეჭიროს.

- ყველაფერი ჩემი დაგეგმილია, - თქვა პიპიმ, - წესით, შეცდომა არ უნდა დაუშვას. ლოს-ანჯელესში კიდევ დაველაპარაკები.

კროსმა უთხრა, რომ ჯორჯომ ისეთნაირად შეადგინა „როლს-როისის“ საბუთები, რომ დიდ ტიმს მხოლოდ ერთი თვის ვადაში შეეძლო მისი გადაფორმება, ასე რომ, მკვლელობის შემდეგ მანქანა

ისევ სასტუმროს დაუბრუნდებოდა.

- ეს ჯორჯოს სტილშია, - ჩაიცინა პიპიმ, - დონი მანქანას მოკლულის შვილებს არგუნებდა.

დიდმა ტიმმა ორი დღეს შემდეგ დატოვა ვეგასი, სასტუმროსი სამოცი ათასი ემართა. რამდენიმე საათი თავის კაბინეტში იმუშავა, შემდეგ სანტა-მონიკაში გაემგზავრა თავის ცოლყოფილსა და შვილებთან ერთად სასადილოდ. ბავშვებს ჯიბეებიდან ხუთდოლარიანები გადმოუფრქვია, ცოლს ჩეკით გადაუხადა ალიმენტი. ამის გარეშე მას სტუმრად არც მიიღებდნენ. ბავშვებმა რომ დაიძინეს, სნედენი ცოლის მოთაფვლას შეეცადა, მაგრამ სექსზე ვერ დაიყოლია, თუმცა ეს ვეგასის შემდეგ დიდად არც უნდოდა. ცდა კი მაინც ღირდა, რაკი უფასო სიამოვნებაზე უარს არ იტყოდა.

მეორე დღეს ბევრი საქმე ელოდებოდა. საგადასახადოს აგენტებთან ბრძოლა მოუწევდა, რამდენიმე საწყობი უნდა შემოევლო და იმაზე ეზრუნა, რომ გარკვეულ ვადაგასულ საქონელზე ვადის აღმნიშვნელი სტიკერები გამოეცვალათ. მერე კი თავისი ქსელის ვიცე-პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა და ამ საქონლის გასაყიდად ოკეანის მიღმა გაგზავნაზე მოლაპარაკებოდა.

ლანჩის შემდეგ მოულოდნელად „ეფბიაის“ აგენტმა დაურეკა და ჰკითხა, კორუფციაში ბრალდებულ ერთ-ერთ კონგრესმენთან რა ურთიერთობა ჰქონდა? საქმოსანმა შეაგინა და ტელეფონი გაუთიშა.

დიდი ტიმისთვის შიში უცხო რამ იყო. იქნებ ზორბა ტანის გამო, იქნებ ტვინში რაღაც აკლდა. არც ფიზიკური შიში აწუხებდა, არც

სულიერი. ექიმები ეუბნებოდნენ, ჭამით თავს იკლავ, დიეტა გჭირდებაო, სნედენმა კი, ნაცვლად იმისა, მადა დაეცხრო, კუჭ-ნაწლავის შუნტირების ფრიად სარისკო ოპერაცია გაიკეთა, რომელმაც გაამართლა და ახლა ისევ ყველაფრის ჭამა შეეძლო, რასაც კი მოისურვებდა. ¶

საკუთარი ბიზნესიც ზუტად ასე ააწყო. პარტნიორებს თავხედურად ატყუებდა. ყველა უჩიოდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც იმაზე უარეს პირობებზე უწევდათ დათანხმება, ვიდრე თავდაპირველი შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. დარწმუნებული იყო, მუდამ მოგებული დარჩებოდა. ქალების მიმართ კიდევ უფრო უმოწყალო იყო. მთელ მაღაზიებსა და სუპერმარკეტებს ჰპირდებოდა, ბოლოს კი მხოლოდ მოკრძალებულ ბრილიანტსა და საკმაოდ დიდ თანხას უსახსოვრებდა, რაც მაინც შეუდარებლად შორს იყო თავდაპირველი დაპირებისგან. ¶

მუდმივი მაქინაციები და სითავხედე მის ცხოვრებას ხალისსა და ეშხს მატებდა. ერთი ლოსანჯელესელი ბუკმეკერი საფეხბურთო ტოტალიზატორში სამოცდაათი ათასით მოატყუა. ბუკმეკერმა საფეთქელზე იარაღი მიადო, მაგრამ დიდმა ტიმმა წარბიც არ შეარხია, ათი ათასი შესთავაზა კონფლიქტის მოსაგვარებლად და ისიც დათანხმდა.¶

ასე რომ, პიპი დე-ლენას შეთავაზება არ გაჰკვირებია, მასში თავისნაირი საქმოსანი ამოიცნო და აპირებდა, თამაშის ჩვეული წესებით ემოქმედა. აი, სტივ შარპს რაც შეეხება, ტიმმა ნამდვილი ოქროს საბადო იყნოსა, რადგან თავისი თვალით ნახა, პატარა კაცმა

ერთ დღეში სულ ცოტა, ნახევარი მილიონი მაინც როგორ დატოვა კაზინოში. ასეთი ადამიანი ზედგამოჭრილი იყო მსოფლიო თასის თამაშის ჩასაწყობად. ფულიც ჰქონდა და ბუკმეკერების ნდობასაც დაიმსახურებდა. სნედენი ახლა იმაზე ოცნებობდა, ვეგასში სანატრელ ვილას როგორ დაიკავებდა. ვინ ჯობდა, სტუმრად წამოეყვანა? ბიზნესპარტნიორები თუ სახალისო მეგობრები? მისი მაქინაციების მომავალი მსხვერპლი თუ იქნებ, მხოლოდ ქალები? ამ ფიქრში პიპისა და სტივ შარპთან ერთად სადილის დროც მოახლოვდა. ლოს-ანჯელესის სანაპირო ზოლში ზღვის კერძების პატარა რესტორანში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

სნედენმა მანქანა სადგომზე დააყენა. რესტორნის კართან მეტრდოტელი დახვდა და იმ მაგიდასთან მიაცილა, სადაც პიპი დე-ლენა ელოდებოდა.

- სტივი სად არის? - იკითხა სნედენმა მას შემდეგ, რაც პიპი თავის დათვურ მკლავებში მოიმწყვდია. - ჩემს გაცურებას ხომ არ ცდილობს? მაიმუნობას ვერ ვაპატიებ.

პიპიმ მთელი თავისი ხიბლი აამუშავა.

- დამშვიდდი, ვინ გგონივარ? ნუთუ არ მენდობი? დაჯექი და ზღვის შესანიშნავი კერძებით დატკბი. სტივს მოგვიანებით ვნახავთ.

როცა მეტრდოტელი შეკვეთის ჩასაწერად მიუახლოვდა, პიპიმ უთხრა:

- ყველაფერი საუკეთესო გვსურს, თანაც, რაც შეიძლება მეტი. ჩემი მეგობარი ჩემპიონი მჭამელია და ამ სუფრიდან მშიერი თუ ადგება,

საქმე ვინსენტთან გექნებათ.

მეტრდოტელმა გამგები ღიმილით უპასუხა. თავისი საქმე საუცხოოდ იცოდა. მისი რესტორანი ვინსენტ კლერიკუციოს იმპერიის ნაწილი გახლდათ. როდესაც პოლიცია დიდი ტიმის ძებნას შეუდგებოდა, აქ მას შეუვალიკედელი დახვდებოდა.

კრევეტების, ხამაწნკების, ლობსტერებისა და სხვა დელიკატესების მთელი წყება მიირთვეს. პიპი დიდი ხნის დანაყრებული იყო, დიდი ტიმი ჯერაც რომ შეექცეოდა.

- უნდა გითხრა, რომ ეს ტიპი ნარკოტიკებით ვაჭრობს, - უთხრა პიპიმ, - თუკი ეს გაშინებს, ჯობს, ახლავე შეჩერდე.

- ეს ამ ლობსტერზე უფრო ნაკლებადაც კი მაშინებს, - გულგრილად უპასუხა ტიმმა, - კიდევ რამე გაქვს სათქმელი?

- მუდამ აქვს შავი ფული, რომლის გათეთრებაც სურს. თუ ერთად იმუშავებთ, ეს უნდა გაითვალისწინო.

- ეს ყველაფერი ვიცი. თვითონ სად ჯანდაბაშია?

- თავის იახტაზეა. არ სურს, ვინმემ მასთან ერთად გნახოს. ეს შენს ინტერესშია. საერთოდ, ძალზე ფრთხილია.

- სულ ფეხებზე მკიდია, მასთან ერთად ვინ მნახავს. მასთან შეხვედრა მინდა.

ტიმი, როგორც იქნა, ჭამას მორჩა. დესერტად ყავა და ხილი მოითხოვა.

- ეგებ ცოტათი გამომაფხიზლოს. მესამე ლობსტერმა ლამის გამთიშა.

მათთვის ჩეკი არ მოუტანიათ. პიპიმ მაგიდაზე ოცდოლარიანი დატოვა და რესტორნიდან გავიდნენ. მეტრდოტელმა დამშვიდობებისას ტიმს უხმოდ დაუკრა ტაში.

პიპიმ ტიმი პატარა დაქირავებულ მანქანამდე მიაცილა, რომელშიც საქმოსანი გაჭირვებით ჩაეჭედა.

- რა ჯანდაბაა! უფრო დიდ მანქანას ვერ იყიდი?

- სულ ახლოსაა, - დაამშვიდა პიპიმ. მართლაც, ხუთ წუთში მიადგნენ ერთ ადგილს ჩაბნელებულ სანაპიროზე, რომელსაც მხოლოდ პირსთან მონანავე იახტის ნათურები ანათებდა.

იახტის ტრაპი თითქმის დიდი ტიმივით ზორბა კაცმა ჩამოუშვა. სტუმრები აუყვნენ და გემბანზე შედგეს ფეხი. გაღმა ბორტთან კიდევ ერთი მეზღვაური შენიშნეს. დანტე კაიუტიდან გამოვიდა, ხელი ჩამოართვა. ისევ აღორძინების ხანის ქუდი ეხურა და ზედ ხუმრობით მოიფარა ხელი, აქაოდა, სნედენმა ისევ არ მომაძროსო.

დანტე სტუმრებს მყუდრო კაიუტაში შეუძღვა, რომელიც სასადილო ოთახის ფუნქციას ასრულებდა. ისინი მაგიდის გარშემო იატაკზე მიხრახნილ სკამებზე დასხდნენ. მაგიდაზე ჭიქები, ყინული და ბოთლები ეწყო. პიპიმ სამივესთვის ჩამოასხა სასმელი.

ძრავის ხმა გაიგონეს.

- სად ჯანდაბაში მივდივართ? - იკითხა დიდმა ტიმმა.

- ცოტათი სუფთა ჰაერზე გასეირნება არ გვაწყენს, - არხეინად თქვა დანტემ, - ნაპირს რომ ჩამოვშორდებით, გემბანზე ავიდეთ და სუფთა ჰაერით დავტკბეთ.

დიდი ტიმი ასეთი გულუბრყვილო არ იყო, მაგრამ საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და ამ განმარტებით დაკმაყოფილდა.

- ტიმ, - დაიწყო დანტემ, - როგორც ვხვდები, ჩემთან ბიზნესის წამოწყება გსურთ.

- არა, საკუთარ თავთან მსურს ბიზნესის წამოწყება, - ხუმრობით შეუტია ტიმმა, - ყველაფერს მე ვწყვეტ. შენ კი შენს ფულს უსასყიდლოდ ათეთრებ და დამატებით მოგებასაც იღებ. ფრესნოს მახლობლად დიდ სავაჭრო ცენტრს ვაშენებ და შეიძლება, ხუთ ან ათ მილიონს გამოჰკრა ხელი. სხვა გეგმებიც მაქვს.

- კარგად ჟღერს, - ჩაერთო პიპი.

ტიმმა ცივად გახედა და უთხრა:

- სულ მინდოდა მეკითხა: შენ რაღა შუაში ხარ?

- ის ჩემი უმცროსი პარტნიორია, - უპასუხა დანტემ, - ჩემი მრჩეველი. მე ფული მაქვს, მას კი - ტვინი. ბევრი კარგი რამ მიამბო შენ შესახებ, ტიმ, ამიტომაცაა, ახლა რომ გესაუბრები.

ტიმი სკამზე გადაწვა და დაფიქრდა, ღირდა თუ არა, ეს ტიპი მსოფლიო თასის აფერაში ჩაერთო. ცუდი წინათგრძნობა მოეძალა, რომელიც არასოდეს ღალატობდა. ორივე კაცს ყურადღებით დააცქერდა. მერე თქვა:

- მაშ, ვაკეთებთ თუ არა საქმეს ერთად? გინდათ სავაჭრო ცენტრის წილი?

- თანახმა ვარ, - უთხრა დანტემ, - ხვალ ჩვენი ადვოკატები ერთმანეთს შეხვდებიან და მშენებლობაში სოლიდურ თანხას

ჩავდებ.

ტიმმა წინ დაიხარა, ორივეს იდუმალი მზერა შეავლო და თქვა:

- მსოფლიო თასის ჩაწყობა შემიძლია, - მათ რეაქციას დაელოდა და სიამოვნებით ამოიკითხა მათ სახეებზე გაოცება, - გგონიათ, რაღაცას ვროშავ?

დანტემ ქუდი მოიხადა და დაბნეული იერით შიგ ჩაიხედა.

- მგონი, აპირებ, ამ ქუდში ჩამიფსა. პირველი არ ხარ, ვისაც ეს უცდია. მაგრამ პიპი ამაში ექსპერტია. რას იტყვი, პიპი?

- ყოვლად შეუძლებელია. მსოფლიო თასის გათამაშებამდე რვა თვეა დარჩენილი და ისიც კი არ იცი, მასში ვინ მიიღებს მონაწილეობას.

- თუ ნაღდი საქმიდან წილი არ გინდათ, კი, ბატონო. გეუბნებით, ეს ნამდვილად შემიძლია. თუ ჩემი არ გჯერათ, იახტა მოაბრუნეთ და დროს ტყუილად ნუ მაკარგვინებთ.

- ასეთი ფიცხი რატომ ხარ? - დაამშვიდა პიპიმ. - ბუნებრივია, გვინდა გავიგოთ, ჩაწყობას როგორ აპირებ.

- ამას ვერ გეტყვით, მაგრამ გარანტიას მოგცემთ. ათ მილიონზე დანაძლევდით და მოგება გავიყოთ. თუ წააგებთ, ათ მილიონს უკან დაგიბრუნებთ. ხომ სამართლიანია?

დანტემ და პიპიმ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

- ნაღდი ფულით დამიბრუნებ? - ჰკითხა დანტემ.

- მთლად ასეარა. სამომავლო კონტრაქტიდან ათ მილიონს ჩამოგიკლებ.

- სპორტსმენებს მოისყიდი?

- ამას ვერ იზამს, ძალიან ბევრ ფულს იღებენ, - თქვა პიპიმ, - ალბათ - ორგანიზატორებს.

- ვერ გეტყვით, მაგრამ წყალი არ გაუვა. ჯანდაბას ფული! დაფიქრდით, რამხელა გამარჯვებაა. ისტორიას ასეთი ჩაწყობა ჯერ არ ახსოვს.

- ჰო, ციხეში დაგვაჯილდოებენ, - ჩაიცინა დანტემ.

- ამაშია ჩემი დუმილის უპირატესობა. მე ციხეში ჩავჯდები, თქვენ კი - არა. კარგი ადვოკატები მყავს და ფართო კავშირებიც მაქვს.

დანტემ პირველად გადაუხვია პიპის გეგმას და იკითხა:

- ნაპირისგან საკმარისად შორს ვართ?

- ჰო, მაგრამ, მგონი, ცოტაც და, ტიმი ყველაფეს გვეტყვის, - უპასუხა პიპიმ.

- ტიმს დედას ვუტირებ, - ვითომ იხუმრა დანტემ, - ტიმ, მორჩი მაგ სისულელეებს და გვითხარი, თამაშის ჩაწყობას როგორ აპირებ.

დიდ ტიმს ბრაზისაგან სახე აეჭარხლა.

- შე პატარა ნაბიჭვარო! გგონია, შემაშინებ? თავი „ეფბიაისა“ და პოლიციაზე უფრო მაგარი გგონია? ჰოდა, იცოდე, მაგ ქუდში ჩაგიჯვამ!

დანტე გადაიზნიქა და კაიუტის კედელს მუშტი შემოჰკრა. იმწამს კარში ორი ზორბა მეზღვაური გაჩნდა. პასუხად ტიმი ფეხზე ადგა და ხელის ერთი მოსმით გადაყარა მაგიდიდან მთელი ჭურჭელი.

- არა, ტიმ, მომისმინე! - იღრიალა პიპიმ. სურდა, მსხვერპლი

ზედმეტი წამებისგან ეხსნა, თან, თვითონ არ უნდოდა სროლა, ეს გეგმას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ტიმი მცველებთან საბრძოლველად იწევდა.

მეორე წამს დანტე ტიმს შუაწელში ეძგერა, მის ვეება ტანს მიეკრა და თითქოს აფართხალდა. მერე, ასევე უცბად, მოსწყდა და დამსწრეთ თვალწინ შემზარავი სურათი გადაეშალათ: დიდ ტიმს ნახევარი პერანგი ჩამოგლეჯოდა, გულმკერდიდან სისხლი სდიოდა და მსწრაფლ მთელი მაგიდა გაეწითლებინა.

- სკამზე დასვით, - უბრძანა მცველებს დანტემ. ხელში ფართოპირიანი დანა უბრწყინავდა.

- შეგეძლო მოგეცადა, - უსაყვედურა პიპიმ.

- არა, მაგარი კაცი ჩანს. ახლავე ვნახავთ, რამდენად მაგარია.

- გემბანზე ყველაფერს მოვამზდებ, - თქვა პიპიმ და გავიდა. რაც მოხდებოდა, იმის ნახვა არ სურდა. არასოდეს არავინ უწამებია და თვლიდა, რომ ასეთ სისასტიკედ არც ერთი საიდუმლო არ ღირდა. გემბანზე ყველაფერი უკვე გამზადებული დახვდა: ფოლადის გალია იქვე იდგა, ძირს ცელოფანის ნაჭერი იყო დაფენილი.

ზღვის სურნელით გაჟღენთილი ღამის ჰაერი შეიყნოსა. იახტამ სვლა შეანელა, მერე გაჩერდა.

მთელი თხუთმეტი წუთი იდგა გემბანზე, ვიდრე ორმა კაცმა დიდი ტიმის გვამი არ გამოათრია. ისეთი შემზარავი სანახავი იყო, რომ პიპიმ თვალი აარიდა.

ოთხივემ გვამი გალიაში შეაცურა და ბაგირით ღრმად, ოკეანის

ფსკერზე ჩაუშვა. გათენებამდე დიდი ტიმის სხეულისგან მხოლოდ ჩონხი დარჩებოდა, რომელიც გალიაში დამწყვდეული, წყლებში უსასრულოდ იცურებდა.

დანტე გემბანზე გამოვიდა. შხაპი მიეღო და ტანთ გამოეცვალა. ქუდის ქვეშ სველი თმა ულაპლაპებდა. სისხლის კვალი არსად ემჩნეოდა.

- უჩემოდ „აზიარეთ“? - ჰკითხა პიპიმ. ცოტა დაგეცადათ.

- რამე თქვა? - ჰკითხა პიპიმ.

- რა თქმა უნდა. ჩაწყობას ძალზე მარტივად აპირებდა. თუ სიკვდილის წინაც ისეთივე მატყუარად არ დარჩა, როგორიც მანამდე იყო.

* * *

მეორე დღეს პიპი აღმოსავლეთით გაფრინდა და დონსა და ჯორჯოს ანგარიში ჩააბარა.

- დიდი ტიმი გიჟი იყო. მოისყიდა იმ სასადილოს მეპატრონე, რომელიც მსოფლიო თასის მოთამაშეებს საკვებით მოამარაგებს: იმ გუნდს, რომლის წაგებაც ტიმს სურდა, საჭმელში ნარკოტიკს ჩაუყრიდნენ და თამაშის მანძილზე სპორტსმენები სულ უფრო მეტად დაუძლურდებოდნენ. ამას მაყურებელი თუ არა, მსაჯები და „ეფბიაი“ ნამდვილად მიხვდებოდნენ. მართალი იყავით - ისეთი სკანდალი ატყდებოდა, ჩვენს მიზანზე ალბათ სამუდამოდაც აგვაღებინებდა ხელს.

- იდიოტი იყო? - აღშფოთდა ჯორჯო.

- მგონი, ამბიცია აწუხებდა, - აუხსნა პიპიმ, - სიმდიდრე არ აკმაყოფილებდა.

- ამ საქმეში კიდევ ვინაა გარეული? მათ რაღა ვუყოთ? - ჰკითხა დონმა.

- ვფიქრობ, ტიმი ხმას რომ აღარ მიაწვდენს, შეშინდებიან, - უთხრა პიპიმ.

- გეთანხმები, - თქვა ჯორჯომ.

- ძალიან კარგი. ჩემმა შვილიშვილმა საქმე კარგად შეასრულა? - თითქოს სასხვათაშორისოდ იკითხა დონმა, თუმცა პიპის ესმოდა, რომ ამ შეკითხვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

- ვუთხარი, ოპერაციის დროს ქუდი არ დაეხურა, მაგრამ არ დამიჯერა. გეგმასაც გადაუხვია. ინფორმაცია საუბრიდან შეგვეძლო მიგვეღო, მაგრამ მას სისხლი სწყუროდა. კაცი ნაფლეთებად აქცია. ასო, ყვერები და ძუძუსთავები მოაჭრა. ამის აუცილებლობა ნამვილად არ ყოფილა. ვიღაც ძალიან სერიოზულად უნდა დაელაპარაკოს.

- შენ დაელაპარაკე, - უთხრა ჯორჯომ დონს, - მე არ მიჯერებს.

დონი დიდხანს დუმდა. ბოლოს თქვა:

- ახალგაზრდაა, გონს მოვა.

პიპი მიხვდა, რომ დონი არაფერს მოიმოქმედებდა და იმის შესახებ უამბო,რომ დანტეს ნომერში კინოვარსკვლავი ჰყავდა. დონი დაიმანჭა, ჯორჯომაც ზიზღით ამრიზა ტუჩები. ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. პიპი შეშინდა კიდეც, ხომ არ გადავამლაშეო?!.

ბოლოს დონმა თავი გააქნია:

- პიპი, ამაზე აღარ იდარდო. შენ ყველაფერი შესანიშნავად დაგეგმე. დანტესთან ერთად მუშაობა აღარ მოგიწევს. მაგრამ უნდა გაგვიგო: ის ჩემი ქალიშვილის ერთადერთი ვაჟია და მე და ჯორჯოს მოგვიწევს, მას ყველა პირობა შევუქმნათ. მჯერა, ასაკთან ერთად შეიცვლება.

კროს დე-ლენა თავისი ნომრის აივანზე იჯდა, სასტუმროს ტერიტორიას, გოლფის მოედნებს, კორტებსა და აუზებს გაჰყურებდა და თავისი გეგმის სარისკო მხარეებზე ფიქრობდა.

უპირველესი რისკი ის იყო, რომ ბაზის მოშორებას კლერიკუციოს ოჯახის დაუკითხავად აპირებდა. მართალია, ის დასავლეთში ოჯახის სრულუფლებიანი ბარონი იყო, ბარონები კი დამოუკიდებლად წარმართავდნენ თავიანთ ბიზნესს და მხოლოდ ოჯახისთვის წილის გადახდა ევალებოდათ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გაბედავდა ასეთი მასშტაბის ახალი ბიზნესის წამოწყებას ოჯახის ნებართვის გარეშე, ერთი მარტივი მიზეზით: მარცხის შემთხვევაში, ვეღარ ექნებოდა ოჯახის მხარდაჭერის იმედი, აღარც ადგილობრივი მეტოქეების წინაშე უპირატესობით ისარგებლებდა და ვეღარც ფულს გაათეთრებდა. კროსმა იცოდა, რომ ჯორჯოსა და დონისგან ნებართვა უნდა აეღო.

გრონეველტისგან მიღებულ სასტუმროს ორმოცდათერთმეტ პროცენტს კროსი კინობიზნესში დებდა და შედეგად დიდ მოგებას ელოდებოდა. მართალია, ეს მისი საკუთარი ფული იყო, მაგრამ ამასთანავე, კლერიკუციოს დახმარებით ნაშოვნი ფულიც იყო. რაღაც

უცნაური სამართლიანობის პრინციპი, ფეოდალური ეთიკა არსებობდა იმაში, რომ კლერიკუციო ამ ფულზე კონტროლის შენარჩუნებას ესწრაფვოდა: მეფის ნებართვის გარეშე ბარონს თავისი ციხე-ქალაქის გაყიდვის უფლება არ ჰქონდა.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოდგენდა ფინანსური მასშტაბიც. კროსი სასტუმროს ორმოცდათერთმეტ პროცენტს ფლობდა, მთლინობაში კი „ქსანადუ“ მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. ფილმში ორმოცდაათ მილიონს დებდა, კიდევ ორმოცდაათი მილიონი მის დასრულებას დასჭირდებოდა. რისკი მართლაც დიდი იყო. კლერიკუციოები კი მუდამ ფრთხილად და კონსერვატიულად მოქმედებდნენ.

კროსმა კიდევ ერთი რამ გაიხსენა. როცა სანტადიო და კლერიკუციო ჯერ კიდევ მეგობრულად თანამშრომლობდნენ, მათ კინობიზნესის ათვისება სცადეს, მაგრამ მარცხი იგემეს. ამის შემდეგ დონმა განაცხადა, რომ კინოს სფეროში შეღწევის ყველა მცდელობის წინააღმდეგ წავიდოდა.

- ეს ხალხი მეტისმეტად გამჭრიახია, თანაც, არაფრის შიში არ აქვს, რადგან იქ ძალიან ბევრი ფული ტრიალებს. მათი მთლიანად ამოხოცვა მოგვიწევს, მაგრამ მაშინ არავინ შეგვრჩება, ვისაც ამ საქმის წარმოება გაეგება. ეს ნარკოტიკებზე უფრო რთულია, - თქვა დონმა.

არა, გადაწყვიტა კროსმა. თუ ნებართვას ითხოვდა, უსათუოდ უარით გაისტუმრებდნენ და მაშინ გაგრძელება უკვე შეუძლებელი გახდებოდა. ჯობდა, გაერისკა და ოჯახისთვის უკვე შემდგარი ბიზნესის

წილი შეეთავაზებინა. ხოლო თუ ხელი მოეცარებოდა, მაშინ მისი საქმე წასული იქნებოდა - გინდ, ნებართვით, გინდა, ნებართვის გარეშე. ეს კი მთავარ საკითხთან იყო დაკავშირებული.

რისთვის მიდიოდა ამაზე? ისევ მოაგონდა გრონეველტის გაფრთხილება გაჭირვებაში ჩავარდნილი ლამაზმანების შესახებ. მაგრამ კროსს ადრეც შეხვედრია გაჭირვებაში ჩავარდნილი ლამაზმანები და ურჩხულისგან მათი ხსნა არც უფიქრია. ვეგასში მათ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით.

იცოდა, სინამდვილეში რაც იზიდავდა: ათენას სილამაზე - არა მხოლოდ უნაკლო სახე, ფეხები, მკერდი, არამედ მისი თვალების გამჭოლი და თბილი მზერა, კეთილშობილებით დაღდასმული ნაკვთები, ტუჩების ნატიფი მოხაზულობა. ძალიან ნატრობდა მის ნახვას, მისი ხმის გაგობენას, მის შეხებას. გონს მოეგო და გაიფიქრა: ჯანდაბა! ამის გულისთვის ვდგამ ასეთ ნაბიჯს?!

გაიაზრა, რომ მართლაც ასე იყო და ამას შეეგუა კიდეც. ამის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და დამშვიდდა. ამჟამად მექანიკურად უნდა ემოქმედა. ათენა გონებიდან ამოეგდო. აღარც კლერიკუციოზე ეფიქრა. სასწრაფოდ გადაეჭრა ბაზ სკანეტის რთული პრობლემა.

სწრაფად დაასკვნა, რომ ამ საქმისთვის სამი ადამიანი დასჭირდებოდა. პირველი იყო ენდრიუ პოლარდი, დაცვის სამსახურის უფროსი, რომელიც ისედაც უკვე ჩართული იყო ამ ვითარებაში; მეორე: ლია ვაზი - ნევადის მთებში სანადირო კოტეჯის მომვლელი,

რომელსაც თავისი ხელქვეითები ჰყავდა, კოტეჯი კი კლერიკუციოს ოჯახს ეკუთვნოდა; მესამე გახლდათ ლეონარდ სოსა - ოჯახის ერთგული კაცი, რომელიც ოდესღაც ყალბ ფულს აწარმოებდა. სამივე კროსის, როგორც დასავლეთის ბარონის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

ორი დღეს შემდეგ კროსმა ენდრიუ პოლარდს დაურეკა.

- გავიგე, მეტისმეტად ბევრს მუშაობ. იქნებ ვეგასში ჩამოხვიდე დასასვენებლად? უფასო პაკეტს დაგახვედრებ. მეუღლეც წამოიყვანე და, თუ მოიწყენ, ჩემთან კაბინეტში შემოიხედე.

- დიდი მადლობა. ახლა დაკავებული ვარ, მომდევნო კვირას რომ იყოს? - ჰკითხა პოლარდმა.

- იყოს, ოღონდ ამ დროისთვის იქ არ ვიქნები და ვერ მნახავ.

- მაშინ ხვალვე ჩამოვალ.

- შესანიშნავია, - უთხრა კროსმა და ტელეფონი გათიშა.

პოლარდი ჩაფიქრდა. ეს დაპატიჟება კი არა, ბრძანება იყო. ძალზე დიდი სიფრთხილე იყო საჭირო.

ლეონარდ სოსასიცოცხლით ტკბებოდა, როგორც ეს მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც სასწაულებრივად გადაურჩა სასიკვდილო განაჩენს. ტკბებოდა მზის ამოსვლითა და მზის ჩასვლით, ბალახითა და მასზე მოსეირნე ძროხებით. ტკბებოდა ლამაზი ქალების, გაბედული მამაკაცების, გონიერი ბავშვების ცქერით. ღვინის თითოეულ ყლუპს, პურისა და ყველის თითოეულ ლუკმას აგემოვნებდა.

ოცი წლის წინ ის სანტადიოს ოჯახისთვის ყალბ ასდოლარიანებს

აწარმოებდა. „ეფბიაიმ“ დააპატიმრა, თავისიანებმა გაყიდეს და ზურგი შეაქციეს და უკვე ეგონა, საუკეთესო წლების ციხეში გატარება მოუწევდა. ყალბი ფულის დამზადება მკვლელობასა და გაუპატიურებაზე უფრო დიდი დანაშაული იყო, რადგან ის მთელ სახელმწიფოს აზარალებს, ნებისმიერი სხვა ბოროტმოქმედება კი - ცალკეულ პირებს. შეწყალების იმედი არ ჰქონდა და არც შემცდარა: ოცი წელი მიუსაჯეს.

მხოლოდ ერთ წელიწადს მოუწია ჯდომამ. ფანქრის, კალმისა და მელნის ხმარების მისეული ნიჭით აღტაცებულმა თანამოსაკნემ ის კლერიკუციოს ოჯახს დააკავშირა.

უცებ ახალი ადვოკატი გაუჩნდა. ახალმა ექიმმაც მოაკითხა და დაადგინა: სოსას გონებრივი შესაძლებლობები იმდენად დაუქვეითდა, რომ ის საზოგადოებისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. სოსა მაშინვე გათავისუფლდა და კლერიკუციოს ოჯახის სამსახურში ჩადგა.

ოჯახს მისი ნიჭი ფულის კუპიურების დასამზადებლად როდი სჭირდებოდა: კარგად ესმოდათ, რომ ამ დანაშაულს სახელმწიფო არავის აპატიებდა. მას უფრო მნიშვნელოვანი საქმეები დაავალეს: ჯორჯოს ზღვა საბუთების წარმოება უწევდა, სჭირდებოდა არარსებული მოხელეების მიერ ხელმოწერილი კონტრაქტები ანდა რეალური პიროვნებების ყალბი ხელმოწერები, დროთა განმავლობაში კი სოსას ბევრი სხვა ამგვარი სამუშაოც გამოუჩნდა.

სასტუმრო მის დახმარებას ძალზე ფრთხილად და მხოლოდ იშვიათ

შემთხვევებში იყენებდა. მაგალითად, როცა განსაკუთრებულად შეძლებული მოთამაშე კვდებოდა და კაზინოს მის მიერ ხელმოწერილი მარკერები რჩებოდა, სოსას იძახებდნენ და კიდევ ერთ მილიონდოლარიან მარკერზე აწერინებდნენ ხელს. თავისი სამუშაოსთვის ლეონარდ სოსა ყოველწლიურად ასი ათას დოლარს იღებდა. მას ყველანაირი სხვა საქმის კეთება, განსაკუთრებით კი ყალბი ფულის დამზადება ეკრძალებოდა: ეს და ადამიანების გატაცება ის ორი დანაშაული იყო, რასაც ოჯახი თავის ყველა წევრს უკრძალავდა, რადგან ყველა ფედერალური საგამომძიებლო სამსახურის მთელი ძალები მათ წინააღმდეგ იყო მიმართული და მოგება რისკად არ ღირდა.

ასე და ამგვარად, უკვე ოცი წელიწადი იყო, რაც სოსა მალიბუს მახლობლად, ტოპანგას კანიონში ცხოვრობდა და ხელოვანის ცხოვრებით ტკბებოდა. დღისით ხატავდა, საღამოობით სვამდა. მის სახლს გამუდმებით სტუმრობდნენ თავისუფალი ცხოვრების მოყვარული ახალგაზრდა მხატვარი გოგონები.

სოსა კანიონს მხოლოდ მაშინ ტოვებდა, როცა სანტა-მონიკაში საყიდლებზე მიდიოდა ან როცა ოჯახი საქმეზე გამოიძახებდა. ეს ჩვეულებრივ, თვეში ორჯერ, სულ რამდენიმე დღით ხდებოდა. საქმეს მდუმარედ ასრულებდა და შეკითხვებს არასოდეს სვამდა, რისთვისაც ოჯახი დიდად აფასებდა.

ამგვარად, როცა სახლისკენ მიმავალ გზაზე მანქანა დალანდა, სოსამ თავისი თხა, ძაღლი და კატა კანიონში გაუშვა და სახლის კარი

გადაკეტა. მის არყოფნაში ცხოველები თავს თვითონ მიხედავდნენ. ვერ ვიტყვით, რომ მათი ბედი არ ადარდებდა, მაგრამ ცხოველს ისედაც ხანმოკლე ცხოვრება ჰქონდა. ციხეში გატარებულმა ერთმა წელიწადმა სოსა რეალისტად აქცია, მოულოდნელმა გათავისუფლებამ კი - ოპტიმისტად.

სანადირო კოტეჯის ზედამხედველი ლია ვაზი ამერიკაში ოცდაათი წლის ასაკში ჩამოვიდა და მსუბუქი აქცენტი დღემდე შერჩენოდა. სიცილიაში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და გავლენიანი ოჯახის შვილი იყო.

თხუთმეტი წლის წინ ვაზი პალერმოს მაფიის ერთ-ერთი წინამძღოლი და დიდად გაწაფული კაცი გახლდათ, მაგრამ ზღვარს გადავიდა.

რომის მთავრობამ საგანგებო მაგისტრატს სიცილიური მაფიის განადგურება დაავალა. მაგისტრატი პალერმოში ცოლ-შვილსა და პოლიციის რაზმთან ერთად ჩამოვიდა და მოსახლეობის წინაშე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა. ის საზეიმოდ ჰპირდებოდა ხალხს დანაშაულის ალაგმვას და აცხადებდა, რომ დადგა დრო, ბნელი ძალებისა და საიდუმლო დაჯგუფებების ნაცვლად, კანონს ებატონა. ლია ვაზიმ მისი ეს გამოსვლა პირად შეურაცხყოფად მიიღო.

მაგისტრატი ციხესიმაგრეში იყო დაბანაკებული, დღე და ღამე მთელ პერიმეტრს ჯარისკაცები იცავდნენ, გამოძიებასა და მოწმეთა დაკითხვას ძირითადად, გარეთ გამოუსვლელად აწარმოებდა და, ერთი შეხედვით, სრულიად ხელშეუხებელი იყო. მაგრამ ლია ვაზიმ

შეიტყო, რომ მაგისტრატს პალერმოში იბარებდნენ, რათა მაფიის დამარცხებისთვის მედლით დაეჯილდოებინათ და, თავის ხალხთან ერთად, ხიდი დანაღმა. აფეთქების შედეგად მაგისტრატი და მისი დაცვის წევრები ნაფლეთებად იქცნენ და წყალში მათი ნაწილები ძლივძლივობით იპოვეს. მთავრობა განრისხდა, ვაზის დამალვამ მოუწია, თუმცა მასზე უშუალო სამხილი არ არსებობდა.

პიპი დე-ლენა კლერიკუციოს დავალებით, ყოველწლიურად ირჩევდა სიცილიელ ახალგაზრდებს რეკრუტებად, რადგან, დონის აზრით, მხოლოდ აქ დაბადებულ მამაკაცებს ჰყოფნიდათ სიმტკიცე, ომერტას წესისთვის არ ეღალატათ.

ომერტა სრულიად მარტივ ფილოსოფიაზეა დამყარებული: ის კრძალავს პოლიციისთვის ყველა იმ ცნობის გამხელას, რომელმაც შეიძლება, მაფიას ზიანი მიაყენოს. მოწინააღმდეგე კლანმა თვალწინ მამა რომ მოგიკლას, მაშინაც კი გეკრძალება პოლიციისთვის რამის თქმა. შენთვითონაც რომ სასიკვდილოდ დაგჭრან, უკანასკნელ წუთებშიც კი არ შეგიძლია, პოლიციას დამნაშავეზე მიუთითო.

ათი წლის წინ პიპიმ კროსი, გამოცდილების შესაძენად, თან გაიყოლა. რეკრუტების აყვანა იმდენად დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რამდენადაც ამერიკაში გამგზავრების მრავალრიცხოვან მსურველთა შორის გამოსადეგი კანდიდატების შერჩევა.

ერთ პატარა ქალაქში დასახლდნენ, რომლის მერიც პირადად შეეგება, გულითადად მიიღო და თავისი სახლი დაუთმო. ბაღით

გარშემორტყმული მყუდრო სახლის ვერანდაზე, ლიმონისა და ზეთისხილის ჩრდილში პიპი მოხალისეებს ესაუბრებოდა. ბაღი ძალზე ჰგავდა ქუოგში კლერიკუციოს ბაღს, ოღონდაც იქ ლიმონის ხეები და ხასხასა ყვავილები არ იზრდებოდა. მერს სანდომიანი მეუღლე და სამი კოხტა ქალიშვილი ჰყავდა - სრულიად ნორჩი, მაგრამ ფიზიკურად უკვე საკმარისად დაქალებული. კროსმა შენიშნა, რომ ამ ქვეყანაში პიპი სულ სხვაგვარად იქცეოდა. ქალებთან ცივად და თავაზიანად ეჭირა თავი, ჩვეულ ხიბლს მალავდა.

- სიცილიელებს უფრთხილდი, - უთხრა მან შვილს, - იმ მამაკაცებს არ ენდობიან, ვინც ქალების მიმართ ინტერესს იჩენს. მერის რომელიმე ქალიშვილი რომ გაჟიმო, აქედან ცოცხლები ვერ გავაღწევთ.

პიპი მამაკაცებს სათითაოდ ესაუბრებოდა და საკუთარი კრიტერიუმებით აფასებდა. მამაკაცი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს ოცდათხუთმეტი და არა უმცირეს ოცი წლის. თუ ცოლიანი იყო, ერთ შვილზე მეტი არ უნდა ჰყოლოდა. კიდევ, მერის რეკომენდაცია უნდა ჰქონოდა. პიპიმ ეს შვილს განუმარტა. მეტისმეტად ახალგაზრდას, ამერიკული თავისუფალი ცხოვრება გაიტაცებდა, ასაკოვანს კი ახალ გარემოსთან შეგუება გაუჭირდებოდა. ერთ შვილზე მეტი ვისაც ჰყავდა, სარისკო საქმისთვის არ ივარგებდა.

ზოგიერთი მათგანი კანონით იდევნებოდა და სიცილიაზე აღარ დაედგომებოდა. ზოგს უბრალოდ, ამერიკა იზიდავდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც საკუთარი ბედის არ სწამდა და კლერიკუციოს ჯარში

სამსახურს ეშურებოდა. ისინი საუკეთესოები იყვნენ.

კვირის ბოლოს პიპიმ ოცკაციანი კვოტა შეადგინა და მერს დასამოწმებლად გადასცა. მოგვიანებით მათ ემიგრაციაზეც მერს უნდა ეზრუნა. მერმა სიიდან ერთ-ერთი ამოშალა.

- ეს საუკეთესო მეგონა, ნუთუ შევცდი? - გაიკვირვა პიპიმ.

- არა, არა, როგორც ყოველთვის, გონივრულად იმოქმედეთ, - უთხრა მერმა.

ახალწვეულებს კარგ პირობებს უქმნიდნენ. უცოლოებს ბინას აძლევდნენ, ცოლშვილიანებს - პატარა სახლს. ყველანი ბრონქსის დასახლებაში იცხოვრებდნენ. კლერიკუციოს სამსახურში ბევრი მდიდრდებოდა.

თუკი ის კაცი, მერმა რომ ამოშალა, მებრძოლად არ ივარგებდა, მაშინ მერმა გასაუბრებაზე რატომ დაუშვა? პიპიმ რაღაც სიცილიური ხრიკი იყნოსა.

- როგორც ნამდვილ სიცილიელს, ისე გიყურებთ, ამიტომაც სიმართლეს ვერ დაგიმალავთ, - უთხრა მერმა, - კაცი, რომელიც ამოვშალე, ჩემი ქალიშვილის საქმროა. მსურს, კიდევ ერთ წელს აქ დარჩეს, ჩემი ქალიშვილის ხათრით, მერე კი გაგაყოლებთ. გარდა ამისა, ერთი კაცი მეგულება, რომელმაც მინდა, მისი ადგილი დაიკავოს. იქნებ პატივი დამდოთ და გაესაუბროთ?

- რა თქმა უნდა.

- კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. ამ ადამიანმა ახლავე უნდა დატოვოს ქვეყანა.

- ხომ იცით, ძალზე ფრთხილად უნდა ვიმოქმედო, - უთხრა პიპიმ, - კლერიკუციოს რისკი არ უყვარს.

- თქვენ ამით ბევრს მოიგებთ, თუმცა ეს საკმაოდ სახიფათოა, - მერმა ლია ვაზის ამბავს მოუყვა. მაგისტრატის მკვლელობა მსოფლიო პრესის პირველ ფურცლებზე მოხვდა, ასე რომ, პიპიმ და კროსმა ამის შესახებ იცოდნენ.

- თუკი სამხილი არ არსებობს, მაშ, რატომაა ვაზის მდგომარეობა ასეთი სახიფათო? - იკითხა კროსმა.

- ჭაბუკო, ეს სიცილიაა, - უთხრა მერმა, - პოლიციაშიც სიცილიელები მუშაობენ და მაგისტრატიც სიცილიელი იყო. ყველამ იცის, რომ ეს ლიამ ჩაიდინა. თუ ხელში ჩაუვარდათ, კანონიერი სამხილი არ დასჭირდებათ, ისე გაანადგურებენ.

- შეგიძლიათ, ის ამერიკაში გაგზავნოთ? - ჰკითხა პიპიმ.

- შემიძლია. პრობლემა ისაა, ამერიკაში როგორ დაიმალოს.

- ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მისი აყვანა სარგებელზე უფრო მეტ პრობლემას შეგვიქმნის, - თქვა პიპიმ.

- გამოგიტყდებით, ჩემი მეგობარია, მაგრამ ეს გვერდზე გადავდოთ. ძალზე განსწავლულია: ასაფეთქებელი ნივთიერებების ექსპერტია, რაც იშვიათი და საჩოთირო ხელობა გახლავთ. თოკით მოგუდვის ძველ, თითქმის მივიწყებულ ხელობასაც ფლობს. თოფსა და დანაზე აღარაფერს ვამბობ. მოსმენა შეუძლია, მტკიცე და უტყვია, სამაგიეროდ, სხვების ალაპარაკების ნიჭი აქვს. ნუთუ ასეთ კაცს ვერ გამოიყენებთ?

- საოცნებო კაცი ჩანს. და მაინც, ასეთი კაცი რატომ უნდა გარბოდეს? - გულღიად გაიკვირვა პიპიმ.

- იმიტომ, რომ თავის ყველა სათნოებასთან ერთად, ფრთხილიცაა და ბედის გამოწვევა არ სურს. აქ კი მისი დღეები დათვლილია.

- ასეთი განსწავლული, გამორჩეული კაცი ამერიკაში რიგითი მებრძოლის ბედს თუ დასჯერდება?

მერმა ნაღვლიანი იერი მიიღო და თავი დახარა.

- ჭეშმარიტი ქრისტიანია, თავმდაბალი და თვინიერი.

- ასეთი ადამიანი მხოლოდ სიამოვნების გულისთვის მაინც უნდავნახო, თუმცა წინასწარ არაფერს გპირდებით, - უთხრა პიპიმ.

- ცხადია, პირველ რიგში, თქვენ უნდა გამოგადგეთ, - ხელები გაშალა მერმა, - მაგრამ კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ: თვითონ არ სურდა, რომ თქვენთვის ეს დამემალა. ცოლი და სამი შვილი ჰყავს, რომლებიც ყოველ მიზეზგარეშე მასთან ერთად უნდა წამოვიდნენ.

პიპიმ იმავე წუთს იფიქრა, რომ უარს ეტყოდა.

- ოჰ, ეს ძალიან ართულებს საქმეს. როდის შეგვახვედრებთ?

- შეღამების შემდეგ ბაღში იქნება.

ლია ვაზი ტანდაბალი, მაგრამ ღონიერი კაცი იყო. ბევრ სიცილიელს ასეთი აღნაგობა შორეული წინაპრების - არაბებისგან ერგო. შავტუხა, არწივისებრი, მოხდენილი სახე ჰქონდა. ინგლისურს მოკრძალებულად ფლობდა.

მერის ბაღში სუფრას უსხდნენ, რომელზედაც იქვე მოკრეფილი ზეთისხილით სავსე ჯამი იდგა, თბილ-თბილი ხრაშუნა პური და ღორის

შებოლილი ბარკალი ეწყო, რომელსაც შავი წიწაკის მთელ-მთელი მარცვლები გიშრებივით ეყარა. ლია ვაზი საჭმელს მდუმარედ შეექცეოდა.

- თქვენზე საუკეთესო რეკომენდაცია მომცეს, მაგრამ ვეჭვობ, თქვენნაირი გაქანების კაცმა ამერიკაში სხვის სამსახურში გაძლოს, - უთხრა პიპიმ.

- ვაჟი ხომ გყავთ? - პირქუშად უპასუხა ვაზიმ. - რას გააკეთებდით მის გადასარჩენად? მეც მსურს, ჩემი შვილები გადავარჩინო და ამისთვის მზად ვარ, ნებისმიერი სამუშაო შევასრულო.

- ეს ჩვენთვის სახიფათოა. ხომ გესმით, რომ რისკის სანაცვლოდ, აშკარა სარგებელს უნდა ვხედავდეთ.

- ამას მე ვერ განვსჯი, - ცივად თქვა კაცმა, რომელიც თითქოს უკვე შეგუებული იყო უარს.

- მარტო რომ წამოხვიდეთ, ეს საქმეს ბევრად გაგვიიოლებს.

- არა. ჩემი ოჯახი ერთად ცხოვრობდა და ერთად ამოწყდება. ახლა რომ დავტოვო, რომი მათ მოსვენებას არ მისცემს. მირჩევნია, თავი გავწირო და აქ დავრჩე.

- პრობლემა ისაა, ამერიკაში ოჯახთან ერთად სად დაგმალოთ.

- ამერიკა დიდია, - თქვა ვაზიმ, კროსს ზეთისხილი შესთავაზა და ხუმრობით ჰკითხა: - მამათქვენი ოდესმე შეძლებდა თქვენ მიტოვებას?

- არა, - სერიოზულად, თუმცა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მიუგო კროსმა, - როგორც გავიგე, ფერმერიც ხართ, არა?

- ზეთისხილი მომყავს. საკუთარი ზეთის სახდელი წნეხი მაქვს.

- მამა, ხომ გახსოვს სანადირო კოტეჯი ნევადაში? - უთხრა კროსმა პიპის. - იქ შეიძლება დასახლდეს, ოჯახთან ერთად. გარშემო არავინაა. ტყეში იცხოვრებდით? - მიუბრუნდა ის ვაზის. კაცმა პასუხად მხრები აიჩეჩა.

პიპიმ საბოლოოდ, დადებითი გადაწყვეტილება ლია ვაზის პიროვნულმა სიძლიერემ მიაღებინა. მისი არცთუ დიდი სხეული ელექტროენერგიასა და ღირსებას ასხივებდა. საკუთარი ხვედრისადმი გულგრილობა ემჩნეოდა, არც ზეცას, არც ჯოჯოხეთს არ უფრთხოდა.

- კარგი აზრია. იქ მართლაც დამალული იქნებით, საგანგებო დავალებებისთვის კი გამოგიძახებთ ხოლმე და მაშინ რისკზე წასვლა მოგიწევთ. თუმცა ეს დამატებით შემოსავალსაც მოგიტანთ.

პიპიმ და კროსმა დაინახეს, ვაზის ერთბაშად როგორ მოუდუნდა სახის კუნთები, როცა მიხვდა, რომ მიღებულია. მან კროს დე-ლენას პირდაპირ თვალებში შეხედა და უთხრა:

- გმადლობ ჩემი ცოლ-შვილის გადარჩენისთვის.

მას მერე ლია ვაზიმ არა მხოლოდ გამოისყიდა მისთვის გაღებული წყალობა, არამედ რიგითი მებრძოლის პოზიციიდან მეთაურამდე ამაღლდა. სანადირო კოტეჯს ექვსი ხელქვეითის დახმარებით მეთვალყურეობდა, იქვე, ახლოს საკუთარი სახლიც ჰქონდა. ამერიკის მოქალაქე გახდა, გამდიდრდა, შვილები უნივერსიტეტში სასწავლებლად გაგზავნა. ეს ყველაფერი სიმამაცითა და ალღოთი მოიპოვა. ახლა, როცა პიპიმ მოუხმო, მაშინვე ჩანთა ჩაალაგა და

თავისი „ბიუიკით“ ვეგასისკენ გაემართა.

* * *

ენდრიუ პოლარდი ვეგასში სხვებზე ადრე ჩავიდა. შუადღის რეისით ლოს-ანჯელესიდან გამოფრინდა, „ქსანადუს“ აუზის პირას მზეზე დაისვენა, მერე კი კროსის ნომერში მიიწვიეს.

კროსმა ხელი ჩამოართვა.

- დიდხანს არ დაგაყოვნებ, დღესვე შეგიძლია უკან გაფრინდე. მხოლოდ სკანეტზე მთელი ინფორმაცია მჭირდება.

პოლარდმა ყველაფერი უამბო და ისიც უთხრა, რომ სკანეტი ამჟამად ბევერლი-ჰილზის სასტუმროშია გაჩერებული. ბენცთან საუბრის შინაარსიც გადასცა.

- სტუდიას ეს ქალი არ ადარდებს, მხოლოდ ფილმის დასრულებაზე ფიქრობენ, - დაასკვნა მან.

- პოლიცია რაღას აკეთებს?

- მას არაფერი შეუძლია. მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შეუძლია დააკავოს.

- შენ? შენ ხომ კარგი პროფესიონალები გყავს?

- თუ მეტისმეტად ვიაქტიურე, შეიძლება, ბიზნესი დავკარგო. ხომ იცი სასამართლოს ამბავი.

- ეს ბაზ სკანეტი რა ტიპია?

- ვერაფრით შეაშინებ. სიმართლე თუ გინდა, მისი მეშინია.

გავლენიანი ოჯახი აქვს და დარწმუნებულია, ყველაფერი გაუვა. ისეთი ტიპია, პრობლემების შექმნა რომ უყვართ, ხომ გესმის? თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებ, სერიოზულად უნდა იმოქმედო.

- მუდამ სერიოზულად ვმოქმედებ, - უპასუხა კროსმა, - ახლა თვალყურს ადევნებ?

- აბა, რა. ყველაფერზეა წამსვლელი.

- მოხსენი მასზე მეთვალყურეობა. არ მინდა, ვინმემ უთვალთვალოს, გესმის?

- კარგი, თუკი ასე გინდა, - პოლარდი წამითდადუმდა, - ოღონდ ჯიმ ლაუზის უფრთხილდი, ის სკანეტს უთვალთვალებს. ლაუზის ხომ იცნობ?

- შევხვედრივარ, - უთხრა კროსმა, - კიდევ ერთი რამ: სულ ორიოდე საათით მათხოვე შენი დაცვის სამსახურის მოწმობა. ვიდრე საღამოს ლოს-ანჯელესში გაფრინდები, დაგიბრუნებ.

- ხომ იცი, შენთვის ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ გაფრთხილდი, კროს, - აღელდა პოლარდი, - ეს ძალზე რთული შემთხვევაა. ვიცი, რომ კლერიკუციოს ოჯახის მოვალე ვარ და ვემადლიერები კიდეც იმ კარგი ცხოვრებისთვის, რომელიც მათი წყალობით ავიწყვე...

- ხომ იცი, როგორ გაფასებთ, - გაამხნევა კროსმა, - კიდევ ერთი საკითხი: თუ სკანეტი დაგირეკავს და შენი სამსახურის თანამშრომლის შესახებ გკითხავს, რომელიც მას დაელაპარაკა, ყველაფერი დაუდასტურე.

პოლარდი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ცუდ საქმეში გაეხვია და

გული ლამის გაუჩერდა.

- ახლა კი მითხარი, კიდევ რამე თუ იცი მის შესახებ.

- სკანეტი ამტკიცებს, ათენას შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი საიდუმლო ვიციო, - დუმილის შემდეგ უთხრა პოლარდმა, - ეტყობა, ეს თავად მისთვის ძალზე ძვირფასია. კროს, არ ვიცი, ამ საქმეში რატომ და როგორ ებმები, მაგრამ შესაძლოა, ამ საიდუმლომ პრობლემა გადაგიჭრას.

კროსმა პირველად შეხედა თავაზიანი კეთილგანწყობის გარეშე და პოლარდი უცებ მიხვდა კროსის რეპუტაციის მიზეზს: მისი მზერა გამყინავი, გამჭოლი და მომაკვდინებელი იყო.

- შენ იცი, რატომაც ვარ დაინტერესებული. ბენცმა ყველაფერი გითხრა და ჩემი თვალთვალიც დაგავალა. ახლა მითხარი, იცი საიდუმლო თუ ეს მხოლოდ სტუდიამ იცის?

- არავინ იცის, კროს. დამიჯერე, შენთვის ყველაფერს ვაკეთებ, რაც კი შემიძლია.

- სტუდიის ხალხს ძალიან უნდა, გაიგოს, როგორ ვაპირებ ათენას დაბრუნებას. გეტყვი, როგორ: ფილმის მოგების ნახევარს შევთავაზებ. შეგიძლია, ეს მათაც გადასცე. იქნებ დაპირებულზე უფრო მეტიც გადაგიხადონ. ჰო, მართლა, - დაამატა და უჯრიდან ტყავის მრგვალი სქელი საფულე გამოიღო, - აქ ხუთი ათასის ჩიპებია. საქმეზე როცა გიძახებ ხოლმე, მუდამ სინდისი მაწუხებს, ვაითუ, კაზინოში ფული დაგეხარჯოს, - სულ ტყუილად აწუხებდა სინდისი: პოლარდი მისი მოცემული ჩიპებით პირდაპირ სალაროში მიდიოდა და ფულს

ანაღდებდა.

ლეონარდ სოსა ის-ის იყო, „ქსანადუს“ ნომერში დაბინავდა, როცა მას დაცვის სამსახურის თანამშრომლის მოწმობა მოუტანეს. ყველა საჭირო ინსტრუმენტი თან ჰქონდა და რამდენიმე საათი დასჭირდა ასეთივე მოწმობის დასამზადებლად. თავად პოლარდი მას ნამდვილისგან ადვილად გაარჩევდა, მაგრამ პოლარდი ამ საბუთს არასოდეს ნახავდა. როცა სოსა მუშაობას მორჩა, ორმა კაცმა ის მანქანით ნევადის ტყეში, სანადირო კოტეჯში წაიყვანა და იქ დატოვა. სოსას არ ადარდებდა, აქ რატომ მოიყვანეს და კიდევ რის გაკეთებას დაავალებდნენ. მთავარი იყო, რომ თავისუფალი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა და სუფთა ჰაერზე ყოფნით ტკბებოდა. კოტეჯის პარმაღზე იჯდა, ტყის პირას ირემი და დათვი რომ შენიშნა. დროის გასაყვანად ჩანახატების კეთება დაიწყო, რომლებზედაც ეს ცხოველები ურიცხვ ვარიანტში გამოსახა.

ლია ვაზის სასტუმროში სულ სხვაგვარად დახვდნენ. კროსი მას გადაეხვია და სადილზე დაპატიჟა. ვაზი ხშირად ყოფილა მისი ხელქვეითი ოპერაციის ჩატარებისას და, თუმცა ძლიერი და უდრეკი ხასიათი ჰქონდა, უფროსობა არასოდეს უცდია. კროსი ამას უფასებდა და როგორც ტოლსა და სწორს, ისე ეპყრობოდა. კროსი სანადირო კოტეჯში შაბათ-კვირას ჩადიოდა ხოლმე და ვაზის დიდხანს ესაუბრებოდა. ვაზი სიცილიის შესახებ უყვებოდა და იქაურ ცხოვრებას აფრიკას ადარებდა. კროსი მას ოჯახთან ერთად ვეგასში ეპატიჟებოდა, უფასო სერვისსა და კაზინოში ხუთიათასიან კრედიტს

სთავაზობდა, რომლის გადახდაც არასოდეს მოუთხოვია.

სადილის დროს სხვადასხვა საკითხზე საუბრობდნენ. ვაზი ჯერაც ვერ შეჰგუებოდა ამერიკას. მისი ვაჟი კალიფორნიის უნივერსიტეტს ამთავრებდა და მამის კრიმინალურ საქმიანობაზე არაფერი იცოდა, რაც ვაზის საკმაოდ აწუხებდა.

- ზოგჯერ მგონია, ჩემი სისხლი არ აქვს. ყველაფერი სჯერა, რასაც პროფესორები ეუბნებიან. სჯერა, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან, თვლის, რომ გლეხებს მიწა უფასოდ უნდა დაურიგდეთ. უნივერსიტეტში მოცურავეთა გუნდშია. რამდენი წელიწადი მიცხოვრია სიცილიაზე - სიცილია კი კუნძულია, - ერთხელაც კი არ მინახავს, სიცილიელი ზღვაში ბანაობდეს.

- იმ მეთევზეს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ნავიდან წყალში გადააგდეს, - სიცილით უთხრა კროსმა.

- არა, არც მაშინ. ვინც წყალში ვარდება, ყველა იძირება.

როცა სადილობა დაასრულეს, საქმეზე გადავიდნენ. ვაზის ვეგასური საჭმელი არ უყვარდა, ბრენდისა და ჰავანურ სიგარებს კი აფასებდა და კროსი მას დროდადრო ორივეს საჩუქრად უგზავნიდა.

- შენთვის ძალზე რთული საქმე მაქვს. დიდ ჭკუასა და ალღოს მოითხოვს, - უთხრა კროსმა.

- ამგვარი საქმე მუდამ რთულია, - თქვა ვაზიმ.

- ეს სანადირო კოტეჯში უნდა მოხდეს. იქ ერთ კაცს მოვიყვანთ. მინდა, გარკვეული შინაარსის წერილები დააწერინო და მისგანგარკვეული ინფორმაცია მიიღო, - ამის თქმაზე მოაგონდა,

როგორ ხალისობდა ვაზი იმ ამერიკულ ფილმებზე, რომლებშიც დატყვევებული გმირი ანდა ბოროტმოქმედი საიდუმლო ინფორმაციის გამხელაზე უარს ამბობს.

- თუ დამჭირდა, ჩინურადაც ავალაპარაკებ, - იტყოდა ხოლმე ვაზი.

- სირთულე ისაა, რომ სხეულზე დაზიანება არ უნდა ეტყობოდეს და არც წამალი უნდა ჰქონდეს სისხლში. და კიდევ: ძალზე ძლიერი ნებისყოფის პატრონია.

- მოფერებით კაცის ალაპარაკება მხოლოდ ქალებს შეუძლიათ, - წყნარად თქვა ვაზიმ და სიგარა მოქაჩა, - ასე მგონია, ამ საქმეში პირადად ხარ გახვეული.

- იქაური პერსონალი დაიხმარე, ოღონდ მანამდე კოტეჯიდან ქალები და ბავშვები მოაცილე.

- დისნეი-ლენდში გავგზავნი, - სიგარიანი ხელი აიქნია ვაზიმ, - სულ იქ ვუშვებ ხოლმე.

- დისნეი-ლენდში? - გაეცინა კროსს.

- ჰო. ეს ჭირსა და ლხინში საუკეთესო გართობა და ნამდვილი წყალობაა. თვითონ კი არასოდეს ვყოფილვარ. იმედი მაქვს, სიკვდილის შემდეგ მაინც მოვხვდები დისნეი-ლენდში. ეს „ზიარება“ იქნება თუ „ნათლობა“?

- „ნათლობა“, - უპასუხა კროსმა.

მერე დაწვრილებით აუხსნა, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა.

- რას ფიქრობ? - ჰკითხა ბოლოს.

- ამერიკაში კი ხარ დაბადებული, მაგრამ ჩემს შვილზე უფრო მეტად ხარ სიცილიელი, - უთხრა ვაზიმ, - მაგრამ თუ მაინც გაჯიუტდა და უარი თქვა იმაზე, რასაც მისგან ითხოვ?

- მაშინ ეს მისი და ჩემი ბრალი იქნება და საფასურის გადახდაც ჩვენ მოგვიწევს, - უთხრა კროსმა, - ამაში სიცილია და ამერიკა მსგავსია.

- ისევე, როგორც ჩინეთი, რუსეთი თუ აფრიკა. ამ შემთხვევაში, როგორც დონი ამბობს, ყველანი ჯოჯოხეთში ჩავალთ.

პირველი ნაწილის დასასრული

უკანასკნელი დონი
P
SEP
ნაწილი მეორე

მარიო პიუზო

წიგნი V - PSEP PSEPლას-ვეგასი - PSEP PSEPჰოლივუდი - PSEP PSEP ქუოგი - PSEP PSEPთავი 9PSEP

ელი მერიონმა, ბობი ბენცმა, სკიპი დირმა და მილო სტიუარტმა მერიონის სახლში საგანგებო თათბირი მოაწყვეს. პოლარდმა ბენცს კროს დე-ლენას გეგმა გააცნო, რომლითაც ის ათენას დაყოლიებას აპირებდა. ეს ინფორმაცია დაადასტურა ჯიმ ლაუზიმ, თუმცა მისი წყაროს დასახელებაზე სტუდიას უარი უთხრა. PSEP

- მილო, რა ხდება? - ჰკითხა სტიუარტს ბენცმა. - შენ მისი აგენტი ხარ, მასზე და შენს სხვა კლიენტებზეც აგებ პასუხს. ესე იგი, რამდენჯერაც მასშტაბურ ფილმს წამოვიწყებთ, შენი ვარსკვლავი შუა გადაღებაზე გაჯიუტდება და ორმოცდაათპროცენტიან წილს მოგვთხოვს?PSEP

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაბრიყვდებით და გადაუხდით, - უპასუხა სტიუარტმა, - რა გენაღვლება, დე-ლენამ გადაიხადოს. ის ამ ბიზნესში დიდხანს არ გაჩერდება.PSEP

- მილო, შენ სამომავლო სტრატეგიაზე ლაპარაკობ, - ჩაერთო მერიონი, - ჩვენ კი ეს კონკრეტული შემთხვევა გვაღელვებს. თუ ათენა მართლა დაუბრუნდა სამუშაოს, შენ და შენი კლიენტი ბანკის მძარცველებივით გაგვფცქვნით. ამას დაუშვებ?PSEP

ყველა გაოცდა. ასეთი უეცარი და მწვავე რეაქცია მერიონს ახალგაზრდობის შემდეგ არ ჰქონია. სტიუარტი შეშფოთდა.PSEP

- ათენამ ამის შესახებ არაფერი იცის, თორემ მეტყოდა.PSEP

- რომ იცოდეს, დათანხმდებოდა?

- ვურჩევდი, დათანხმებულიყო. მერე კი მისი მოგების ნახევარს სტუდიას ვუწილადებდი.

- ესე იგი, მისი ეს უარზე ყოფნა, შიში - ყველაფერი ტყუილი და მანჭვა-გრეხა ყოფილა, - გამოცრა ბენცმა, - შენც ვიგინდარა ხარ, მილო. გგონია, სტუდია იმის ნახევარს დასჯერდება, რასაც ათენა დე-ლენასგან მიიღებს? მთელი ფული, წესით და კანონით, ჩვენია. ათენას უნდა ესმოდეს: დე-ლენამ შეიძლება გაამდიდროს, მაგრამ ამით კინოში მისი კარიერა დასრულდება, რადგან არც ერთი სტუდია აღარ აიყვანს.

- უცხოელები, - ჩაურთო სკიპიმ, - უცხოური სტუდიები მაინც გარისკავენ.

მერიონმა ტელეფონი აიღო და სტიუარტს გაუწოდა.

- ლაპარაკს აზრი არ აქვს. ათენას დაურეკე. უთხარი, დე-ლენა რასაც აპირებს და ჰკითხე, თუ დათანხმდება.

- ამ შაბათ-კვირას სადღაც გაქრა, - თქვა დირმა.

- უკვე დაბრუნდა. შაბათ-კვირას ხშირად მიდის ხოლმე სადღაც, - სტიუარტმა ნომრის აკრეფა დაიწყო.

ძალზე ხანმოლკე საუბრის შემდეგ მილომ დამსწრეთ ღიმილით ამცნო:

- მსგავსი შემოთავაზება არ მიუღია. და არც დათანხმდება. კარიერა ფეხებზე დაიკიდა, - დადუმდა და მერე აღტაცებით შესძახა: - ამ სკანეტის ნახვა მინდა. მაინც ვინ არის ამისთანა? კაცი, რომელიც

ვარსკვლავს იმდენად შეაშინებს, რომ კარიერაზე ააღებინებს ხელს, უბრალო კაცი არ უნდა იყოს!

- მაშ, ამაზე შევჩერდით. უიმედო სიტუაციიდან კომპენსაცია მივიღეთ და ამით დავკმაყოფილდეთ. არადა, რა დასანანია! ათენა დიდებული მსახიობი იყო...

პოლარდმა ინსტრუქციები მიიღო. პირველი, როგორც ვიცით, ის იყო, ბენცისთვის ეთქვა, დე-ლენა ათენასთან დაკავშირებით რასაც აპირებდა. მეორე, ბაზ სკანეტისთვის თვალთვალის მოხსნა იყო, მესამე - ბაზთან მისვლა და გარკვეული პირობების შეთავაზება.

ბევერლი-ჰილზის სასტუმროს ნომერში სკანეტი უმკლავებო მაისურით დახვდა. ოდეკოლონის მძაფრი სურნელი ასდიოდა.

- ეს-ესაა, პირი გავიპარსე, - უთხრა გაღიმებულმა, - ამ სასტუმროში იმდენი პარფიუმერიაა, არც ერთ ბორდელს არ დაესიზმრება.

- წესით, ამ ქალაქში არ უნდა იმყოფებოდეთ, - უსაყვედურა პოლარდმა.

- ვიცი. ხვალ გავემგზავრები, - სკანეტმა დაცვის უფროსს ზურგზე ხელი დაჰკრა, - რაღაც საქმეები დამრჩა მოსამთავრებელი, - მისი იქედნური კილო და ღონიერი ტორსი პოლარდს წინათ შეაშინებდა, მაგრამ ახლა, როცა იცოდა, რომ საქმეში კროსი ჩაერთო, ამ კაცის მიმართ მხოლოდ სიბრალული იგრძნო. თუმცა, ესმოდა, რომ მაინც ფრთხილად უნდა ყოფილიყო.

- ათენას არ უკვირს, აქამდე რომ არ გამგზავრებულხართ, - უთხრა მან სკანეტს, - ფიქრობს, რომ სტუდია საკმარისად არ გიცნობთ,

თვითონ კი კარგად გიცნობთ. ამიტომაც თქვენთან მოწმეების გარეშე, პირისპირ შეხვედრა სურს. იმედი აქვს, ასე უფრო შეძლებთ შეთანხმებას.

სკანეტის სახეზე იმწამსვე სიხარული რომ ამოიკითხა, მიხვდა, კროსი მართალი იყო: ამ კაცს ათენა ისევ უყვარდა და მისი სიტყვები დაიჯერა.

თუმცა, სკანეტმა ეჭვით უთხრა:

- ათენასგან მიკვირს. ის ვერ მიტანს. არც ვამტყუნებ, - ჩაიცინა მერე, - სურს, ისევ ის შეყვარებული ბრიყვი ვიყო.

- სერიოზული რამ უნდა შემოგთავაზოთ. თავისი შემოსავლიდან სიცოცხლის ბოლომდე, ყოველწლიურ წილს გადაგიხდით. მაგრამ სურს, პირისპირ და სრულიად საიდუმლოდ გესაუბროთ. კიდევ რაღაც აქვს სათქმელი.

- ვიცი, რაც აქვს სათქმელი, - ისეთი გამომეტყველებით თქვა სკანეტმა, როგორიც პოლარდს მანიაკი მოძალადეების სახეებზე უნახავს.

- შვიდ საათზე ჩემი ორი თანამშრომელი გამოგივლით და შეხვედრის ადგილამდე მიგაცილებთ, - უთხრა პოლარდმა, - ისინი მასთან დარჩებიან და დაიცავენ, ასე რომ, თქვენი სულელური აზრები დაივიწყეთ.

- ჩემზე ნუ იდარდებთ, - გაუღიმასკანეტმა.

- ასე იყოს, - თავი დაუკრა პოლარდმა და წავიდა.

კარი რომ მოიხურა, სკანეტმა მკლავი ჰაერში აისროლა. ათენას

პირისპირ ნახავდა, მხოლოდ ორი ქეციანი დეტექტივის თანდასწრებით. თანაც, ამით სასამართლო განჩინებას არ დაარღვევდა, რადგან ინიციატივა ქალისგან მოდიოდა. [P SEP]

საღამომდე ათენასთან შეხვედრაზე ფიქრობდა. ეს თვითონაც აოცებდა. იცოდა, რომ ათენა მიზნის მისაღწევად თავის სხეულს გამოიყენებდა, და იმის წარმოდგენას ცდილობდა, თუ როგორ მოხდებოდა ეს. ცხადად ედგა თვალწინ მისი სხეული: ქათქათა კანი, გლუვი მუცლის სიმრგვალე, ვარდისფერი კერტები, თვალები - ისეთი მწვანე, გეგონებოდათ, ანათებსო, მზის სხივებივით ლივლივა თმა. ძველი სიყვარული წარმოუდგენელი ძალით გაუღვივდა. ამას თვითონაც არ მოელოდა, მაგრამ თექვსმეტი წლის ასაკის შემდეგ პირველად დაიწყო მასტურბაცია. ათენასთან ყოფნა ცხადად წარმოიდგინა. წამით ბედნიერება განიცადა და დაიჯერა, რომ ქალი კვლავაც უყვარდა.[P SEP]

მერე კი გონება აერია. წამიერი სისუსტის გამო ათენას მიმართ ცხარე სიძულვილით აენთო. უეცრად დარწმუნდა, რომ მახეს უგებდნენ. რა იცოდა ამ პოლარდის შესახებ?.. თითქმის არაფერი. სწრაფად ჩაიცვა და პოლარდის მიერ დატოვებულ სავიზიტო ბარათს დახედა. მისი ოფისი სასტუმროდან ოცი წუთის სავალზე იყო. სწრაფად ჩავიდა ჰოლში. მსახურმა მანქანა კართან მიუყენა. [P SEP]

„წყნარი ოკეანის დაცვის სამსახურის“ ოფისში შესული გაოცდა: არ მოელოდა, ასეთი მასშტაბური ორგანიზაცია თუ იყო. მიმღებში თავისი მოთხოვნა განუცხადა და თანამშრომელმა პოლარდის კაბინეტამდე

მიაცილა. გზად დერეფნის კედლებზე უამრავი ჯილდო და სიგელი შენიშნა: ლოს-ანჯელესის პოლიციის განყოფილებისგან, უსახლკაროთა დახმარების ასოციაციისგან, ამერიკის ბოისკაუტების კავშირისგან და სხვა და სხვა. რაღაც კინემატოგრაფიულ ჯილდოსაც მოჰკრა თვალი.

ენდრიუ პოლარდმა გაკვირვებით და ეჭვით შეხედა. სკანეტმა დაამშვიდა:

- მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ შეხვედრაზე ჩემი მანქანით წასვლა მსურს. თქვენი თანამშრომლები მანქანაში ჩამისხდებიან და მიმართულებას მიჩვენებენ.

პოლარდმა მხრები აიჩეჩა. ეს მისი საქმე არც იყო, მან თავისი მოვალეობა შეასრულა და დანაბარები გადასცა.

- კი, ბატონო, მაგრამ შეგეძლოთ, ეს ტელეფონით გეთქვათ.

- თქვენი ოფისის ნახვა მაინტერესებდა. თანაც, ათენასთან საუბარი მინდა, რათა დავრწმუნდე, რომ მართლა სურს ჩემთან შეხვედრა. მინდოდა, თქვენ დაგერეკათ. ჩემს ზარს შეიძლება, არ უპასუხოს.

- კარგი, - პოლარდი ტელეფონისკენ მიბრუნდა. არაფერი იცოდა იმის შესახებ, რაც იგეგმებოდა, დიდი იმედი ჰქონდა, სკანეტი შეხვედრაზე უარს იტყოდა და ამით მისი მისია ამოიწურებოდა. ისიც კარგად იცოდა, რომ ათენა მას ტელეფონით პირადად არ დაელაპარაკებოდა.

ნომერი აკრიფა და ხმამაღლა მოლაპარაკე ჩართო, რათა სკანეტს საუბარი მოესმინა. ათენას მდივანმა ამცნო, რომ ის ადგილზე არ

იმყოფებოდა და ხვალამდე არ დაბრუნდებოდა. პოლარდმა კავშირი გაწყვიტა, წარბები მაღლა აქაჩა და სკანეტს შეხედა. სკანეტი ბედნიერი სახით დაემშვიდობა.

მართლაც ბედნიერი იყო, რადგან დარწმუნდა, რომ ათენა მასთან ერთად ღამის გატარებას აპირებდა, სექსით უნდოდა მისი დაყოლიება. სკანეტს გარუჯული სახე აეჭარხლა, სისხლმა ლამის ტვინში აასხა, როცა ის დრო გაიხსენა, როცა ახალგაზრდები იყვნენ და ერთმანეთი უყვარდათ.

იმ საღამოს, შვიდ საათზე, როცა ლია ვაზიმ ხელქვეითთან ერთად სასტუმროში მიაკითხა, სკანეტი გამზადებული დახვდა და მაშინვე თან გაჰყვა. ახალგაზრდულად ეცვა: მუქი ჯინსი, გახუნებული ჯინსის პერანგი და თეთრი სპორტული ქურთუკი. საგულდაგულოდ გაეპარსა პირი, ქერა თმაც უკან გადაევარცხნა. სახის წითელი კანი ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი ჰქონდა და ეს უხდებოდა. ლია ვაზიმ და მისმა ხელქვეითმა „წყნარი ოკეანის დაცვის სამსახურის“ მოწმობები უჩვენეს.

სკანეტმა ორივეს გულგრილად დახედა. ორი სოფლელი - ერთს მსუბუქი აქცენტი ჰქონდა, შესაძლოა, მექსიკელი ყოფილიყო, - პრობლემას არ შეუქმნიდა. ეს კერძო სააგენტოები საერთოდ, სრულიად უნიათო იყო, ამათ როგორ უნდა დაეცვათ ათენა?..

- მესმის, რომ თქვენი მანქანით გსურთ გამგზავრება, - უთხრა მას ვაზიმ. - მე ჩაგიჯდებით, მაგრამ ჩემი კოლეგა თავისი მანქანით გამოგვყვება. წინააღმდეგი ხომ არ ხართ?

- კარგი, - უთხრა სკანეტმა.

ლიფტიდან რომ გამოვიდნენ და ჰოლი გამოიარეს, ჯიმ ლაუზიმ შეაჩერა. ბუხართან ტახტზე იჯდა და სკანეტს დარაჯობდა. ახლა წამოდგა და სამივეს პოლიციელის მოწმობა უჩვენა.

- რა ჯანდაბა გინდათ? - ჰკითხა სკანეტმა.

- ვინ არის ეს ორი ადამიანი?

- თქვენი საქმე არ არის, - შეუღრინა სკანეტმა. ვაზი და მისი ხელქვეითი ხმას არ იღებდნენ.

- ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ პირისპირ, - უთხრა სკანეტს პოლიციელმა. სკანეტმა ის გვერდზე გასწია, მაგრამ ლაუზიმ მკლავში ხელი ჩაავლო. ორივე ძლიერი, მოსული კაცი იყო. სკანეტმა გაცხარებით გაიბრძოლა და ხმამაღლა უთხრა:

- პირობა დაარღვიეთ. ვალდებული აღარ ვარ, პასუხი გაგცეთ. ხელი გამიშვით, თორემ შავ დღეს დაგაყრით!

ლაუზიმ ხელი გაუშვა.არ დამფრთხალა, მაგრამ ჩაფიქრდა. ეს ორი კაცი საეჭვოდ მოეჩვენა. რაღაც ხდებოდა. განზე გადგა, მაგრამ ჭიშკრამდე უკან გაჰყვა. დაინახა, სკანეტი და ვაზი მანქანაში როგორ ჩასხდნენ. მეორე კაცი სადღაც გაუჩინარდა. ლაუზი დაელოდა, სხვა მანქანით ხომ არ გაჰყვებოდა, მაგრამ არაფერი დაუნახავს.

მათ დადევნებას აზრი არ ჰქონდა. დაფიქრდა, ამ ეპიზოდის შესახებ სკიპი დირისთვის ეთქვა თუ არა, და გადაწყვიტა, რომ თქმად არ ღირდა. ერთი რამ ცხადი იყო: სკანეტი კიდევ თუ დაარღვევდა განჩინებით დადგენილ მანძილს, ლაუზი ამით ისარგებლებდა და

მიწასთან გაასწორებდა.

სკანეტი აღელდა და უკმაყოფილოდ აბუზღუნდა იმის გამო, რომ მგზავრობა მეტისმეტად გაგრძელდა. კიდეც დაიმუქრა, უკან გავბრუნდებიო, მაგრამ ლია ვაზი ამშვიდებდა. სკანეტს აუხსნა, რომ ნევადაში, სანადირო კოტეჯში მიდიან, რომელიც ათენას ეკუთვნის და მასთან ერთად იქ ღამის გატარებას აპირებდა. ათენას სურდა, ეს შეხვედრა ყველასთვის საიდუმლოდ შემდგარიყო და ისეთნაირად აპირებდა პრობლემის გადაჭრას, რომ ყველა კმაყოფილი დარჩენილიყო. სკანეტი ფიქრობდა, - ნუთუ ათ წელიწადს ნაგროვები სიძულვილის გადაფარვას ერთი სასიყვარულო ღამით აპირებსო?!. ასეთი ბრიყვი არ იყო, მაგრამ იქნებ ვარსკვლავობა თავში აუვარდა და ირწმუნა, რომ ფულისა და საკუთარი სხეულის ფასად ყველაფერს მიაღწვდა?.. არადა, სკანეტს მისი სილამაზე მაინც უსაზღვროდ იზიდავდა და სულერთია, რაც უნდა მომხდარიყო, მასთან ღამის გატარებას ხარბად ელოდა.

ლია ვაზის იმის არ ეშინოდა, რომ სკანეტი შეიძლებოდა, უკან გაბრუნებულიყო. იცოდა, მათ კვალში სამი მანქანა მოჰყვებოდა და ასეთი შემთხვევისთვის იქ მსხდომთ სათანადო ინსტრუქციაც ჰქონდათ მიღებული. მაგრამ ისიც ახსოვდა, რომ სკანეტს ეჭვი არ უნდა გასჩენოდა.

ჭიშკარი რომ გაიარეს, ბაზი ეზოსა და შენობის სიდიდემ გააკვირვა. პატარა სასტუმროს უფრო ჰგავდა. მანქანიდან გადმოვიდა და მკლავები გაშალა. ეზოში ხუთი თუ ექვსი მანქანა იდგა, ეს ცოტათი

ეუცნაურა.

ვაზიმ კართან მიაცილა და გაუღო. ამ დროს ჭიშკარში კიდევ სამი მანქანა შემოვიდა. იფიქრა, ათენა მოვიდაო. ნაცვლად ამისა, დაინახა, თითო მანქანიდან ორ-ორი კაცი როგორ გადმოვიდა.

ლია ვაზიმ დიდ, ბუხრიან დარბაზში შეიყვანა, სადაც სავარძელში მჯდომი კაცი დახვდა, რომელსაც მანამდე არასოდეს შეხვედრია. ეს კროს დე-ლენა იყო.

შემდგომ მოვლენები სწრაფად განვითარდა. სკანეტმა მრისხანედ იღრიალა:

- სად არის ათენა?

ორმა კაცმა უკნიდან ხელები გადაუგრიხა, ლია ვაზიმ კი ფეხი კოჭებში მიარტყა და ძირს დასცა. მერე უთხრა:

- თუ ჩემს მითითებებს არ შეასრულებ, ახლავე მოკვდები. გაუნძრევლად იწექი.

მეორე კაცმა ბაზს ფეხებზე ბორკილები დაადო, მერე ორივემ ფეხზე წამოაყენა და ბაზი კროსის პირისპირ აღმოჩნდა. ხელები უშვეს, მაგრამ ბაზმა მისდა გასაოცრად, შებოჭილი ფეხების გამო თავი სრულიად უსუსურად იგრძნო. მკლავები გაიშვირა, უნდოდა, ვაზის სწვდომოდა, მაგრამ იმან უკან დაიხია და ბაზმა დავარდნისგან ძლივს შეიკავა თავი.

- ვიცით, რომ ღონიერი კაცი ხარ, - ზიზღით უთხრა ვაზიმ, - მაგრამ ახლა ღონე ვერ გიშველის, ტვინი უნდა აამუშაო.

სკანეტმა მისი რჩევა გაითვალისწინა. მისი მოკვლა რომ

ნდომოდათ, აქამდეც მოკლავდნენ, ესე იგი, სულიერად უნდოდათ გაეტეხათ და გარკვეულ პირობებზე დაეყოლიებინათ. ასე რომ, მომავალში მეტი სიფრთხილე მართებდა. ერთ რამეში ეჭვი არ ეპარებოდა: ათენა ამ ამბავში გახვეული არ იყო. ვაზისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია და მზერა ტახტზე მჯდომ კაცზე გადაიტანა.

- ვინ ჯანდაბა ხარ?

- შენგან რაღაც მჭირდება, მერე კი შინ გაგიშვებენ, - უთხრა კროსმა.

- თუ უარს ვიტყვი, მაწამებთ, ასეა? - გადაიხარხარა ბაზმა და თავი უგემოვნო ჰოლივუდურ ფილმში წარმოიდგინა.

- არავითარი წამება, თითსაც არ დაგაკარებენ. მინდა, მაგიდასთან დაჯდე და ჩემი თხოვნით, ოთხი წერილი დაწერო. ერთში „ლოდსტოუნის“ მფლობელებს დაჰპირდები, რომ მათი სტუდიის ტერიტორიას არასოდეს გაეკარები. მეორეში ათენა ექვითეინს ბოდიშს მოუხდი შეწუხებისთვის და სიტყვას მისცემ, რომ აღარასოდეს გაეკარები. შემდეგ პოლიციას წერილობით განუცხადებ, რომ ცოლზე მომდევნო თავდასხმისთვის მჟავა გქონდა გამზადებული. დაბოლოს - პირადად მე გამიმხელ იმ საიდუმლოს, რაც შენი ცოლის შესახებ იცი. ხომ მარტივია?

სკანეტმა ბარბაცით წაიწია კროსისკენ, ერთ-ერთმა კაცმა ხელი ჰკრა და მოპირდაპირე ტახტზე დააგდო.

- ხელი არ დააკაროთ, - მკაცრად თქვა კროსმა.

სკანეტი მკლავებს დაეყრდნო და წამოდგომა სცადა.

კროსმა მაგიდაზე მიუთითა, სადაც ქაღალდის ფურცლების დასტა იდო.

- ათენა სად არის? - იკითხა ბაზმა.

- აქ არ არის, - უპასუხა კროსმა, - ყველანი გარეთ, ლიას გარდა.

კაცები გავიდნენ. კროსმა სკანეტს უთხრა:

- მაგიდასთან დაჯექი.

სკანეტი დაჯდა. კროსმა მიმართა:

- ძალზე სერიოზულად უნდა დაგელაპარაკო. მინდა, საკუთარი სიმაგრის დემონსტრირებაზე ხელი აიღო და დაფიქრდე.ხელები თავისუფალი რომ გაქვს, ეს ილუზიას ნუ შეგიქმნის. დაწერე ეს წერილები და თავისუფალი იქნები.

- შენი დედაც!.. - ზიზღით უპასუხა ბაზმა.

კროსი ვაზის მიუბრუნდა:

- დროის კარგვას აზრი არ აქვს, მოკალი, - მის კილოში სკანეტმა იდუმალი და ბედისწერასავით უტყუარი ძალა ამოიკითხა. შეეშინდა, რაც ცხოვრებაში თითქმის არასოდეს მოსვლია. იგრძნო, რომ ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო შემობრუნებული და ვიდრე ლია ვაზი გაინძრეოდა, სწრაფად თქვა:

- კარგი, დავწერ.

ფურცელი აიღო და წერას შეუდგა. შეგნებულად, მარცხენა ხელით წერდა: ათლეტები ორივე ხელს ერთნაირად მარჯვედ იყენებენ. კროსი ზურგს უკან დაუდგა და თვალს ადევნებდა. უეცრად სკანეტმა კალამი

მარჯვენა ხელში გადაისროლა, ელვისუსწრაფესად ზეზე წამოიჭრა და სცადა, კროსისთვის კალამი თვალში გაეყარა. კროსმა მშვიდად დაიხია უკან, სკანეტი კი, ბორკილების მიუხედავად, მაინც ლამობდა, მისწვდომოდა.

- თითო შანსი ყველას ეძლევა, - მშვიდად უთხრა კროსმა, - შენი უკვე გქონდა. მომეცი ეგ ფურცლები.

სკანეტმა ნაწერი გაუწოდა. კროსმა გადახედა და უთხრა:

- შენი საიდუმლო სად არის?

- ამის დაწერას არ ვაპირებ, - უთხრა სკანეტმა, - ეგ ტიპი აქედან მოაცილე და გეტყვი.

კროსმა ვაზის ნაწერები გაუწოდა.

- ამას მიხედე.

ვაზი ოთახიდან გავიდა.

- აბა, ასეთი რა საიდუმლოა? - მიაჩერდა კროსი სკანეტს.

ვაზიმ წერილები ასიოდე იარდის მოშორებით, ლეონარდ სოსას გაუტანა. იმან დახედა და ზიზღით აიმრიზა.

- ეს მარცხენა ხელითაა ნაწერი. ასეთ ნაწერს ვერ გავაყალბებ.

- აბა, კარგად დააკვირდი, - უთხრა ვაზიმ, - მან კროსისთვის მარჯვენა ხელით დარტყმა სცადა.

- მეც ამას ვამბობ. ნამდვილი ცაცია არ არის, გატყუებთ.

ვაზი კოტეჯში დაბრუნდა და კროსს სახეზე როგორც კი შეხედა, მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც ცუდი მოხდა. ბაზი ტახტზე გადაწოლილიყო, ბორკილებიანი ტერფები სამკლავურზე შემოეწყო

და გაბადრული ჭერს ჩაშტერებოდა.

- ეს წერილები უვარგისია, - თქვა ვაზიმ, - მარცხენა ხელით დაწერა, ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ ცაცია არ არის.

კროსმა სკანეტს უთხრა:

- მეტისმეტად მაგარი ყოფილხარ. ვერც გაშინებ და ვერც იმის გაკეთებას გაიძულებ, რაც მინდა. მომიწევს, თავი დაგანებო.

სკანეტი ფეხზე წამოდგა.

- ოღონდ ეგ იცოდე, რაც გითხარი, სიმართლეა. ათენა ყველას უყვარდება, მაგრამ ჩემზე კარგად მას არავინ იცნობს.

- არც შენ იცნობ, - მშვიდად უთხრა კროსმა, - და არც მე მიცნობ, - კართან მივიდა და ხელი აიქნია. ოთხი კაცი შემოვიდა. კროსმა ლიას მიმართა: - ხომ იცი, მისგან რაც მჭირდება. თუ უარზე იქნება, უბრალოდ ჩააძაღლეთ.

კროსი გარეთ გავიდა. ლია ვაზიმ შვებით ამოისუნთქა. კროსს ლამის აღმერთებდა, ხალისით ემსახურებოდა, მაგრამ მეტისმეტად მომთმენად თვლიდა. მართალია, სიცილიაში ყველა დიდი დონი მოთმინებასა და თავშეკავებას ქადაგებდა, მაგრამ - გარკვეულ ზღვრამდე. კროს დე-ლენას კი, მისი აზრით, ამერიკელისთვის ჩვეული სინაზე ახასიათებდა, რომელიც დიდი მწვერვალის დაპყრობაში შეუშლიდა ხელს.

ვაზი სკანეტს მიუბრუნდა და დაშაქრული კილოთი უთხრა:

- ახლა მე და შენ დავრჩით. დავიწყოთ, - მერე ხელქვეითებს უბრძანა: - ხელები შეუკარით, ოღონდ ნურაფერს ავნებთ.

სკანეტი მუხლებზე დააჩოქეს და მკლავები გაუკავეს.

- სპექტაკლი დამთავრებულია. ამ წერილებს ახლავე მარჯვენა ხელით დაწერ. თუმცა შეგიძლია, უარიც თქვა.

ერთ-ერთმა კაცმა ლიას რევოლვერი და ტყვიების კოლოფი მიაწოდა. ლიამ სკანეტის თვალწინ დატენა რევოლვერი, შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და დაცალა. ისევ სკანეტს მიუბრუნდა და რევოლვერში ერთადერთი ტყვია ჩადო. მერე მჭიდი დაატრიალა და ლულა სკანეტს ცხვირთან მიუტანა.

- არც შენ და არც მე არ ვიცით, სად არის ტყვია. თუ წერილების დაწერაზე უარს იტყვი, ჩახმახს გამოვკრავ.

სკანეტმა თვალებში ახედა და არაფერი უპასუხა. ლიამ გამოჰკრა. ცარიელი სავაზნის ჩხაკუნი გაისმა.

- გგულშემატკივრობდი, - უთხრა ვაზიმ სკანეტს.

ლიამ ტყვია პირველ სავაზნეში გადაიტანა, ისევ ფანჯარასთან მივიდა და გაისროლა. მეხის გავარდნასავით ხმამ ოთახი შეაზანზარა. მერე მაგიდიდან კიდევ ერთი ტყვია აიღო და რევოლვერში ჩადო.

- ერთხელაც ვცადოთ, - თქვა და ლულა სკანეტს ნიკაპზე მიადო. ამჯერად მსხვერპლი შეფართხალდა.

- შენს ბოსს დაუძახე, რაღაც კიდევ დამრჩა მისთვის სათქმელი.

- არა, მაგ მაიმუნობის დრო დამთავრდა. ახლა მიპასუხე: ჰო თუ არა?

- კარგი, დავწერ.

მაშინვე წამოაყენეს და მაგიდასთან დასვეს. როცა სკანეტმა წერა

დაამთავრა, წერილები ლიას გაუწოდა.

- ივარგებს? - რამდენიმე წუთის შემდეგ ჰკითხა ლიამ სოსას.

- კარგია, - უპასუხა სოსამ. ლიამ შედეგი კროსს შეატყობინა და სკანეტთან დაბრუნდა.

- ყველაფერი დამთავრდა. როგორც კი გავემზადები,მანქანაში ჩავსხდებით და ლოს-ანჯელესში დაგაბრუნებ.

- ხომ იცი, რაც უნდა გააკეთო, - უთხრა კროსმა ლიას, როცა მან მანქანამდე მიაცილა, - დილამდე მოიცადე, იმ დროისთვის ვეგასში ვიქნები.

- არ იდარდო, - უთხრა ვაზიმ, - აღარ მეგონა, თუ დაწერდა. ნამდვილი მხეცია. რა გითხრა, მე რომ გასული ვიყავი? რაიმე ისეთი, რაც უნდა ვიცოდე?

კროსს სახეზე ისეთი სიმწარე გამოესახა, როგორიც ლიას არასოდეს ენახა. მერე უთხრა:

- ნეტავ, თავიდანვე მომეკლა, ნეტავ, შემთხვევით მესარგებლა. თავი მეზიზღება, ისეთი ჭკუისკოლოფი ვარ.

- არაფერია, მალე ყველაფერი დასრულდება, - დაამშვიდა ლიამ.

მერე კროსის მანქანას თვალი გააყოლა და, როგორც დროდადრო სჩვეოდა, სიცილიის მონატრება მოეძალა. სიცილიაზე ქალის საიდუმლო მამაკაცს ასე ვერ გაანადგურებდა. არც ამდენი მაქინაციის ჩატარება იქნებოდა საჭირო: სკანეტი უკვე კარგა ხანია, ჯოჯოხეთში იქნებოდა.

* * *

გამთენიისას სანადირო კოტეჯს დახურული ფურგონი მიუახლოვდა.

ლია ვაზიმ ლეონარდ სოსას ნახელავი, სკანეტის მიერ ვითომდა თვითმკვლელობის წინ დაწერილი წერილები ჩაიბარა, თვითონ ლეონარდი კი მანქანაში ჩასვა და ტოპანგის კანიონში დააბრუნა. მერე სკანეტის ნამდვილი წერილები დაწვა და კოტეჯი მოასუფთავა. სოსა იქ ყოფნის განმავლობაში არც სკანეტს შეხვედრია, არც კროსს.

შემდეგ ლია ბაზ სკანეტის ეგზეკუციისთვის მოემზადა.

საამისოდ ექვსი კაცი სჭირდებოდა. ბაზს თვალები და პირი აუკრეს და ფურგონში შეათრიეს. ორი კაცი მასთან ერთად ჩაჯდა. სკანეტს ხელ-ფეხი გაკოჭილი ჰქონდა და სრულიად უმწეო იყო. მძღოლის გვერდით კიდევ ერთი შეიარაღებული კაცი იჯდა. კიდევ ერთი სკანეტის მანქანის საჭეს მიუჯდა. ლია ვაზი ერთ კაცთან ერთად მსუბუქ მანქანაში იჯდა, რომელიც ფურგონს წინ მიუძღოდა.

ლია ვაზი მთებს მიღმა ამომავალ მზეს გაჰყურებდა. ქარავანმა სამოცი მილი დაფარა, ვიდრე უდაბნოს პირას ტყისკენ გაუხვევდა.

იქ გაჩერდნენ. ვაზიმ ზუსტად მიუთითა, სად დაეყენებინათ სკანეტის მანქანა. მერე სკანეტი ფურგონიდან გამოათრიეს. წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია, როგორ ჩანს, ბედს შეეგუაო, გაიფიქრა ვაზიმ.

ვაზიმ მანქანიდან გრძელი თოკი გამოიღო. სიგრძე მოსინჯა, ყულფი შეკრა და ყულფიანი ბოლო ხის ტოტზე გადაჰკიდა. სხვებმა სკანეტი წამოაყენეს და ყულფში თავი გააყოფინეს. ვაზიმ სოსას დამზადებული ორი წერილი ქურთუკის ჯიბეში ჩაუდო.

ოთხმა კაცმა სკანეტი ფურგონის სახურავზე აათრია, ვაზიმ მძღოლს ხელით ანიშნა. ფურგონი დაიძრა, სკანეტი თოკზე ჩამოეკიდა. ტყეში მისი კისრის მალების ტკაცანი გაისმა. ვაზიმ ჩამომხრჩვალს ბორკილები მოხსნა, მისმა ხელქვეითებმა - თვალებიდან და პირიდან სახვევები. ვაზიმ გვამი გულდაგულ შეამოწმა. პირის გარშემო მოწითალო ლაქები ემჩნეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩამომხრჩვალი ტყეში რამდენიმე დღეს ამ მდგომარეობაში დარჩებოდა, ისინი გაუქრებოდა. მაჯებსა და მკლავებზეც ბორკილებს ოდნავი კვალი დაეტოვებინა, მაგრამ ესეც აილაგმებოდა.

ვაზი კმაყოფილი იყო. მოტყუვდებოდა თუ არა პოლიცია, ეს არ იცოდა, მაგრამ კროსის ყველა მითითება ზუსტად შეასრულა.

ორი დღის შემდეგ ოლქის შერიფმა მიიღო ანონიმური ცნობა ჩამომხრჩვალის შესახებ და გვამი ტყეში აღმოაჩინა. როცა ადგილზე მივიდა, ცხედარს უკანა თათებზე შემდგარი ვეება დათვი ეპოტინებოდა და ჰაერში აქეთ-იქით აქანავებდა. აყროლებული გვამის ჩამოხსნის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ კანი მწერებს დაეჭამათ.

წიგნი VI - ჰოლივუდური სიკვდილი - თავი 10

კამერის მბჟუტავი თვალის წინაშე კოხტად ჩამწკრივებულიყო ათი ქალის შიშველი უკანალი. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის ბედი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, დიტა ტომი მსახიობ ქალებს შორის

ისეთს ირჩევდა, ვისაც ზუსტად ათენა ექვითეინისნაირი უკანალი ჰქონდა და კადრში მის შეცვლას შეძლებდა.

ათენა შიშველი სცენების გადაღებაზე უარს აცხადებდა, უფრო სწორად, ნებას არ რთავდა, ახლო ხედით გადაეღოთ მისი მკერდი და დუნდულები. ეს კინოვარსკვლავისთვის ფრიად პრობლემური, თუმცა არა საბედისწერო სიმორცხვე გახლდათ. დიტა სხვა მსახიობის სხეულის ნაწილების კადრებს გამოიყენებდა.

ცხადია, დიტამ ამ მსახიობებსაც მისცა ტექსტი და სცენები, პორნოვარსკვლავებივით, მხოლოდ გაშიშვლებით ხომ არ შეურაცხყოფდა, მაგრამ მთავარი აქცენტი საწოლის სცენებზე ჰქონდა გადატანილი, როცა ისინი კამერას შიშველ დუნდულებს მიუშვერდნენ.

საცდელ გადაღებას, აუცილებელი პერსონალის გარდა, ბობი ბენცი და სკიპი დირი ესწრებოდნენ. ტომი სკიპის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ბენცს აქ ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა. გადასაღები მოედნიდან მისი გაძევება დააპირა, მაგრამ მერე იაზრა, რომ თუ „მესალინა“ ჩავარდებოდა, თვითონ ძალზე საეჭვო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ამიტომ ბენცის კეთილგანწყობა არ აწყენდა.

- ბოლოს და ბოლოს, რას ვეძებთ? - მკვახედ დაიღრიალა ბენცმა.

სექსსცენების დამდგმელმა, ლოს-ანჯელესის ქორეოგრაფიული კომპანიის ხელმძღვანელმა, ახალგაზრდა კაცმა, გვარად უილისმა, ღიმილით უპასუხა:

- მსოფლიოში ულამაზეს უკანალს. დაკუნთული უნდა იყოს.

დონდლო არ გვჭირდება.

- ჰო, დინდლო არ ივარგებს, - საქმეში ჩახედული კაცის კილოთი დაეთანხმა ბენცი.

- ძუძუებს არ ვნახავთ? - იკითხა სკიპიმ.

- ძუძუებს ხვალ ავარჩევთ, - განაცხადა დიტამ, - არც ერთ ქალს არ აქვს ერთდროულად ულამაზესი უკანალი და ულამაზესი ძუძუები. შესაძლოა, ათენა გამონაკლისი იყოს, მაგრამ სხეულის ამ ნაწილებს არავის უჩვენებს.

- შენს გამოცდილებას ვენდობი, დიტა, - ეშმაკურად თქვა ბენცმა.

დიტას ერთბაშად დაავიწყდა, რომ ბენცის კეთილგანწყობის მოპოვებას აპირებდა:

- ბობი, შენ სწორედ ის ხარ, რასაც ახლა ვეძებთ: ყველაზე მაგარი ტრაკი! რაკი არ დაგიწვა, მზად ხარ ამტკიცო, რომ ლესბოსელია.

- ჰო, კარგი, მაცადე, - ხელი აუქნია ბენცმა, - ასი სატელეფონო ზარი მაქვს შემოსული, რომელსაც პასუხი უნდა გავცე.

- სხვათა შორის, მეც, - დაუმატა დირმა.

- თქვენი არ მჯერა, ბიჭებო, - უთხრა დიტამ.

- დიტ, გაგვიგე, რა, - მიუბრუნდა დირი, - აბა, მე და ბობის რა დასვენება გვაქვს?.. გოლფის სათამაშოდ არ გვცალია. ფილმების ყურება ჩვენი სამუშაოა. თეატრსა თუ ოპერაში წასვლასაც ხომ დრო უნდა. მაშ, რა უნდა მოვასწროთ იმ ერთ საათში, რაც სამუშაოსა და ოჯახთან ურთიერთობის გარდა გვრჩება? სექსი. სექსი დასვენების ყველაზე სწრაფი და მარტივი საშუალებაა.

- უჰ, შენი!.. სკიპი, ამას შეხედე! ეს მსოფლიოში ულამაზესი უკანალია! - გააწყვეტინა ბენცმა.

- ბობი მართალია, - აღტაცებით გააქნია თავი დირმა, - დიტა, ეს აიყვანე.

- ბიჭებო, თქვენ სულ გაგიჟდით, - ამოიოხრა დიტამ, - ეს ხომ შავკანიანია.

- მერე რა, აიყვანე! - ბავშვური სიჯიუტით შეუტია დირმა.

- ჰო, - მხარი აუბა ბენცმა, - მესალინას ეთიოპიელი მონა ქალის როლი მივცეთ. ისე, თუ შავია, საცდელ გადაღებაზე რატომღა გამოიძახე?

დიტა ტომიმ ორივეს გაკვირვებით გადახედა. მის წინაშე კინობიზნესის ორი უდიდესი ბობოლა იჯდა, რომლებსაც დღეში ასზე მეტ სატელეფონო ზარზე პასუხის გაცემა უწევდა, მაგრამ ახლა ორივე იმ მოზარდი ბიჭივით ცმუკავდა, ვისაც ერთი სული აქვს, პირველი ორგაზმი განიცადოს. დიტამ დამრიგებლური ტონით აუხსნა:

- როცა მსახიობებს საცდელად ვიწვევთ, უფლება არ გვაქვს, ვთქვათ, რომ მხოლოდ თეთრკანიანი უკანალები გვჭირდება.

- ამ გოგოსთან შეხვედრა მინდა, - აღტყინებით წამოიძახა ბენცმა.

- მეც, - თქვა დირმა.

ეს საუბარი უეცრად შემოსულმა მილო სტიუარტმა გააწყვეტინა. გაბრწყინებულმა გამოაცხადა:

- ათენა ფილმს უბრუნდება. მისმა ქმარმა ბაზ სკანეტმა თავი ჩამოიხრჩო. ბაზ სკანეტი კადრიდან სამუდამოდ გადის, - ეს რომ თქვა,

ტაში შემოჰკრა, როგორც გადამღები ჯგუფი აკეთებს, როდესაც ფილმისთვის უკანასკნელ დუბლს გადაიღებენ და მსახიობი სამუშაოს დაასრულებს. დანარჩენებმაც შემოჰკრეს ტაში. დიტამ აღშფოთებით გადახედა.

- ორივენი ახლავე ელთან შემოდით, - უთხრა მილომ ბენცსა და დირს, - შენ არა, დიტა. ეს წმინდა საქმიანი საუბარი იქნება, ფილმის შემოქმედებით მხარეს არ შეეხება.

როცა მამაკაცებმა პავილიონი დატოვეს, დიტამ ლამაზუკანალიანი შავკანიანი გოგონა ტრეილერის გადასაღებად მიიწვია. მომხიბლავი სახე და ცოცხალი მანერები აღმოაჩნდა, რაც, დიტას აზრით, მსახიობური კი არა, უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

- დედოფალ მესალინას ეთიოპიელი მონის როლს გაძლევთ, - უთხრა დიტამ გოგონას, - სულ ერთფრაზიანი ტექსტი გექნებათ, ძირითადადკი კადრში თქვენს უკანალს მოვაქცევთ. სამწუხაროდ, მის ექვითეინის დუბლირებისთვის თეთრკანიანი ქალის უკანალი გვჭირდება, თქვენ კი მეტისმეტად მუქი კანი გაქვთ. ასე რომ არ იყოს, უყოყმანოდ აგიყვანდით, - მეგობრულად გაუღიმა, მერე კი სიას ჩახედა, - ფელინ ფანტი. მშვენიერი გვარ-სახელია მსახიობისთვის.

- გმადლობ კომპლიმენტისა და სამუშაოს მოცემისთვის, - უთხრა გოგონამ.

- კიდევ ერთი რამ. ჩვენი პროდიუსერი სკიპი დირი ფიქრობს, რომ მსოფლიოში ულამაზესი უკანალი გაქვთ. ამავე აზრისაა სტუდიის წარმოების ხელმძღვანელი ბობი ბენცი. ვფიქრობ, ორივე

დაგიკავშირდებათ.

- თქვენ რა აზრის ხართ? - ცბიერი ღიმილით ჰკითხა ფელინ ფანტმა.

- უკანალებში მამაკაცებივით კარგად ვერ ვერკვევი, - მხრები აიჩეჩა დიტამ, - მაგრამ ვფიქრობ, მომხიბლავი გოგონა და კარგი მსახიობი ხართ. იმდენად კარგი, რომ შეიძლება, ფილმში ერთ ფრაზაზე მეტიც კი მოგცეთ. თუ ამ საღამოს შინ მესტუმრებით, თქვენს მომავალ კარიერაზე დავილაპარაკებთ. სავახშმოდ გეპატიჟებით.

იმ საღამოს დიტა ტომიმ და ფელინ ფანტმა ორი საათი საწოლში გაატარეს. შემდეგ დიტამ სადილი მოამზადა და ფელინის კარიერის შესახებ ისაუბრეს.

- კარგი იყო, - უთხრა დიტამ, - მაგრამ ვფიქრობ, ამიერიდან მხოლოდ მეგობრობას უნდა დავჯერდეთ და ეს საღამო საიდუმლოდ შევინახოთ.

- კარგი, - ღიმილით უთხრა ფელინმა, - მაგრამ ისედაც ყველამ იცის, რომ ლესბოსელი ხარ. თუ ჩემი სიშავე გაფრთხობს?

დიტამ მისი დამცინავი კილო არ შეიმჩნია. ამ გამიზნული შეურაცხყოფით ფელინმა იმისთვის გადაუხადა სამაგიერო, რომ დიტამ მომავალ ურთიერთობაზე უარი უთხრა.

- ჩემთვის კანის ფერს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მხოლოდ ჩემს ფილმებში თუ მიიღებ მონაწილეობას, ის გასაქანი არ გექნება, შენს ნიჭს რომ შეეფერება. ორი წლის მანძილზე მხოლოდ თითო ფილმს ვუშვებ, შენ კი ბევრად მეტი უნდა იმუშაო. რეჟისორების უმრავლესობა

მამაკაცია და როცა შენისთანა მსახიობთან მუშაობენ, მუდამ სექსის იმედი აქვთ. თუ ეცოდინებათ, რომ ლესბოსელი ხარ, შეიძლება, არ აგიყვანონ.

- რეჟისორები რაში მჭირდება, თუკი პროდიუსერსა და სტუდიის ხელმძღვანელს გამოვიჭერ?! - თავდაჯერებით უთხრა ფელინმა.

- ძალიანაც გჭირდება. იმათ შეუძლიათ, რეკომენდაცია გაგიწიონ, მაგრამ რეჟისორი წყვეტს, ფილმში იქნები თუ - არა. რეჟისორს შეუძლია, ისეთ რაკურსში გადაგიღოს, რომ კადრში უნიჭო მათხოჯად გამოჩნდე.

ფელინმა შეწუხებული სახით გააქნია თავი.

- ესე იგი, ბობი ბენცსა და სკიპი დირთან დაწოლა მომიწევს. შენთან უკვე ვიწექი. ეს მართლაც აუცილებელია? - მან დაჭყეტილი თვალებით, გულუბრყვილო გამომეტყველებით შეხედა დიტას.

დიტას მისი უშუალობა და გულწრფელობა მოეწონა.

- დღეს შესანიშნავი იყავი, - უთხრა გოგონას ღიმილით.

- საერთოდ, არ მესმის, სექსის გამო ქალებს რატომ ამტყუნებენ. ჩემთვის ეს პრობლემა არ არის. არც ვსვამ, არც ნარკოტიკებს ვიღებ, ცოტა ხომ უნდა გავერთო.

- ძალიანაც კარგი, - უთხრა დიტამ, - ახლა დირსა და ბენცზე გეტყვი. დირი უფრო ნაღდია, იმიტომ, რომ საკუთარ თავზეა შეყვარებული, სექსზე გიჟდება და თავს არაფერში შეიზღუდავს. საკმაოდ ჭკვიანია, რათა შენი ნიჭი დაინახოს და კარგ როლებსაც შეგირჩევს. ბენცი კი ელი მერიონის გარდა არავის სცემს პატივს. თანაც, პროფესიული

ალღო არ გააჩნია, ნიჭის ამოცნობა არ ეხერხება. სტუდიასთან კონტრაქტს გაგაფორმებინებს და დაგამწნილებს. საკუთარ ცოლსაც ასე უშვრება: ფულიან სამუშაოს აძლევს, კარგ როლებს კი - არასოდეს. აი, სკიპი დირს თუ მოაწონე თავი, შენი კარიერისთვის არაფერს დაიშურებს.

- ცოტათი ცინიკურად ჟღერს... - თქვა ფელინმა.

დიტა ხელზე მიეფერა.

- ნუ მასულელებ. ლესბოსელი კი ვარ, მაგრამ მეც ქალი ვარ. მსახიობებსაც კარგად ვიცნობ. კარიერის გულისთვის მზად ხართ, კაცთანაც და ქალთანაც დაწვეთ. აქ ყველანი დიდ ფსონებს ჩამოვდივართ. ოკლაჰომაში დაბრუნება გირჩევნია თუ ვარსკვლავობა და მალიბუში ცხოვრება? საბუთების მიხედვით, ოცდასამი წლის ხარ. რამდენთან დაწოლილხარ?

- შენც რომ ჩაგთვალო, ორმოცდაათამდე გამოვა, მაგრამ ამას სულ სიამოვნებისთვის ვაკეთებდი, - ისევ ისე უშუალოდ უპასუხა ფელინმა.

- მაშ, კიდევ ერთი-ორი არაფერს გავნებს და შეიძლება, სასიამოვნოც კი აღმოჩნდეს.

- ხომ იცი, რომ არ მჯეროდეს, ვარსკვლავი გავხდები, ამაზე არ წავიდოდი.

- რა თქმა უნდა, არა. ყველა ასე არ აკეთებს?

- შენც ასე იქცეოდი? - სიცილით ჰკითხა ფელინმა.

- მე შანსი არ მომეცა. მხოლოდ ჩემი თავბრუდამხვევი ნიჭით გავიკვალე გზა, - უპასუხა დიტამ.

- შე საწყალო, - ჩაიხითხითა ფელინმა.

სტუდიაში, ელი მერიონის კაბინეტში, ელი, ბობი ბენცი, სკიპი დირი და მილო სტიუარტი სათათბიროდ შეიკრიბნენ. ბენცს ბოღმა ახრჩობდა:

- ეგ გადარეული! ჯერ ყველას აშინებს, მერე მიდის და თავს იხრჩობს!

- მილო, როგორც ვხედავ, შენიკლიენტი გადაღებას უბრუნდება, - თქვა მერიონმა.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა მილომ.

- არავითარი მოთხოვნა, არავითარი პრეტენზია არ აქვს? - ჩუმი და ამასთანავე გამყინავი ხმით იკითხა მერიონმა და მილო მიხვდა, რომ ისიც განრისხებული იყო.

- არა, ხვალვე დაუბრუნდება სამუშაოს.

- მაგარია, - თქვა დირმა, - ჯერ კიდევ შეიძლება, ბიუჯეტში ჩავეტიოთ.

- ახლა ყველამ მოკეტეთ და მე მომისმინეთ, - განაცხადა მერიონმა. მისმა უჩვეულო სიხისტემ ყველანი დაადუმა.

მერიონი ჩვეულებისამებრ ხმადაბლა და მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ განრისხებული იყო.

- სკიპი, რაღას განაღვლებს, ბიუჯეტში ჩავეტევით თუ არა? ფილმი ჩვენ აღარ გვეკუთვნის. შევშინდით და ბრიყვული შეცდომა დავუშვით. ყველანი დამნაშავეები ვართ. ფილმის მფლობელი ახლა სრულიად უცხო პიროვნებაა.

- „ლოდსტოუნს“ ფილმის გავრცელებაც გაამდიდრებს. თანაც, მოგებიდანაც გეკუთვნით პროცენტი. მაინც საკმაოდ ბევრი გამოდის, - შეეცადა შეკამათება სკიპიმ.

- მაგრამ დე-ლენას მაინც ჩვენზე მეტი დარჩება, ეს კი უსამართლობაა, - მიუგო ბენცმა.

- მთავარი აქ ისაა, რომ დე-ლენას არაფერი უღონია პრობლემის მოსაგვარებლად, - განაგრძო მერიონმა, - დარწმუნებული ვარ, რაიმე კანონიერი გზა არსებობს საიმისოდ, რათა ჩვენმა სტუდიამ ფილმი მთლიანად დაიბრუნოს.

- მართალია, დედა უნდა ვუტიროთ, - დაეთანხმა ბენცი, - სასამართლოში ვუჩივლოთ.

- სასამართლოთი დავემუქროთ და მისივე ფული უკან დავუბრუნოთ, - თქვა მერიონმა.

- ელი, - გაეცინა დირის, - მოლი ფლენდერსი ამას არ დაუშვებს.

- პირდაპირ დე-ლენას დაველაპარაკოთ, - თქვა მერიონმა, - ვფიქრობ, მის დარწმუნებას შევძლებ. როგორც კი ახალი ამბავი შევიტყვე, მაშინვე მას დავურეკე. სულ მალე შემოგვიერთდება. ეს თვითმკვლელობა იმდენად ხელსაყრელია მისთვის, რომ, ჩემი ვარაუდით, ამ ყველაფრის მიღმა რაღაც იმალება. არა მგონია, მას სასამართლო და დეტალების გახმაურება აძლევდეს ხელს.

კროს დე-ლენამ სკანეტის სიკვდილის ამბავი თავის პენტჰაუსში გაზეთის ფურცლებიდან შეიტყო. ყველაფერი უნაკლოდ ჩატარდა: აშკარა თვითმკვლელობა იყო, რასაც გვამთან ნაპოვნი ორი წერილი

ადასტურებდა. ექსპერტიზა ნაწერის გაყალბებას ვერ დაადგენდა, რადგან ბაზ სკანეტს თითქმის არანაირი კორესპონდენცია არ დაუტოვებია, ლეონარდ სოსა კი თავისი საქმის ოსტატი გახლდათ. ლია ვაზიმ კი იმაზე იზრუნა, რომ მოკლულის სხეულზე ბორკილის კვალი არ დარჩენილიყო.

იმ დღეს პირველი სატელეფონო ზარი კროსისთვის მოულოდნელი არ ყოფილა: ჯორჯო კლერიკუციო ქუოგში ოჯახურ თათბირზე იწვევდა. კროსს წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ მისი ქმედებები კლერიკუციოს ოჯახისთვის საიდუმლოდ არ დარჩებოდა.

შემდეგ ელი მერიონმა დაურეკა და ლოს-ანჯელესში ადვოკატის გარეშე ჩასვლა სთხოვა. კროსი დათანხმდა, მაგრამ ვიდრე გაემგზავრებოდა, მოლი ფლენდერსს ტელეფონით შეატყობინა მერიონის თხოვნის შესახებ.

- ეგ ვირეშმაკები! - შეჰყვირა მოლიმ. - აეროპორტში დაგხვდები და ერთად მივიდეთ. თუ ადვოკატი თან არ გახლავს, სტუდიის მფლობელს გამარჯობაც კი არ უნდა უთხრა.

როგორც კი მერიონის კაბინეტში შეაბიჯეს, მაშინვე იყნოსეს, რომ საქმე სერიოზულადაა. იქ მყოფ ოთხ კაცს აშკარად ეტყობოდა, რომ საბრძოლველად იყვნენ შემართული.

- გადავწყვიტე, ადვოკატი თან წამომეყვანა, - უთხრა კროსმა, - იმედი მაქვს, წინააღმდეგი არ ხართ.

- კი, ბატონო. უბრალოდ არ გვსურდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვეყენებინეთ, - მიუგო მერიონმა.

- შესანიშნავია, - მრისხანე, გაქვავებული სახით წარმოთქვა მოლიმ. - მესმის, რომ გინდათ, ფილმი უკან დაიბრუნოთ, მაგრამ ჩვენს კონტრაქტს წყალი არ გაუვა.

- მართალია, - უპასუხა მერიონმა, - მაგრამ გვსურს, კროსს, როგორც პატიოსან ადამიანს, ისე დაველაპარაკოთ. მას პრობლემის მოსაგვარებლად არაფერი გაუკეთებია, ხოლო ჩვენმა სტუდიამ ამ ფილმის მომზადებაში დიდძალი დრო, შემოქმედებითი პოტენციალი და ფინანსები ჩადო. ჩვენ რომ არა, ფილმის პროექტი არ იარსებებდა. კროსს მის ფულს დავუბრუნებთ, უფრო მეტიც - ამ თანხის ათ პროცენტსაც დავუმატებთ.

- თქვენი შემოთავაზება შეურაცხმყოფელია, - უპასუხა მოლიმ.

- მაშინ მოგვიწევს, საქმე სასამართლოს გადავცეთ, - მერიონი კროსს მიუბრუნდა და თავისი კეთილი ღიმილი შეანათა, რომელიც მის გორილასებრ სახეს ანგელოზურ სისპეტაკეს ანიჭებდა. - ვფიქრობ, ეს თქვენთვისაც ისევე უსიამოვნო იქნება, როგორც ჩვენთვის.

- ელი, შენ წელიწადში ოცჯერ გიწევს სასამართლოში მისვლა და კომპენსაციის გადახდა, იმიტომ, რომ სულ ამგვარ ინტრიგებს ხლართავ, - შეუტია მოლიმ, - მორჩა, აქედან მივდივართ.

მაგრამ კროსმა იმწამსვე გათვალა, რომ გაჭიანურებული სასამართლო პროცესი ხელს არ აძლევდა: მის მიერ ფილმის ყიდვა და სულ ცოტა ხნის შემდეგ სკანეტის სიკვდილი უცილობლად, გამოიწვევდა ეჭვებს, რასაც საფუძვლიანი სასამართლო გამოძიება მოჰყვებოდა. მისი ცხოვრებისა და წარსულის შესახებ ბევრ რამეს

გამოამზეურებდნენ, ეს კი სწორედ ის გახლდათ, რაც მოხუც დონსყველაზე მეტად სძაგდა. მერიონს ეს ყველაფერი კარგად მოეხსენებოდა.

- ერთი წუთიც შევყოვნდეთ, - უთხრა მან მოლის და სტუდიის მესვეურთ მიუბრუნდა. - როცა მოთამაშე ჩემს კაზინოში დიდ თანხას იგებს, მას მთელ მოგებას ვუნაზღაურებ, მხოლოდ დახარჯულ თანხას კი არ ვუბრუნებ. თქვენ კი სწორედ ასე მექცევით.

- ეს ბიზნესია და არა „რულეტი“, - ზიზღით გამოცრა ბენცმა.

მილო სტიუარტმა კროსი ანუგეშა:

- თქვენი ინვესტიციით სავარაუდოდ, ათ მილიონ დოლარს შეიმატებთ. ეს სამართლიანი იქნება.

- მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ თითი თითზე არ დაგიკრავთ, - დაუმატა ბენცმა.

სკიპი დირი თითქოს უფრო კროსს ემხრობოდა.

- კროს, მეტს იმსახურებთ. მაგრამ ის, რასაც ესენი გთავაზობენ, სასამართლო პროცესსა და წაგების რისკს ბევრად სჯობია. ამჯერად დაუთმეთ და გპირდებით, მე და თქვენ მომავალში სტუდიისგან დამოუკიდებლად ვითანამშრომლებთ და კარგ მოგებასაც ნახავთ.

კროსმა იცოდა, რომ ამ ადამიანებისთვის თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, თითქოს სრულიად უწყინარი ყოფილიყო. ღიმილით უპასუხა:

- იქნებ მართალიც იყოთ. კინობიზნესში მსურს დარჩენა და ათი მილიონი დასაწყისისთვის ურიგო სულაც არ არის. მოლი, მოაგვარე

საქმიანი მხარე, მე კი ბოდიშს მოგიხდით, თვითმფრინავზე მაგვიანდება, - კროსი ოთახიდან გავიდა, მოლიც უკან გაჰყვა.

- სასამართლოს მოვიგებდით, - უთხრა მოლიმ.

- არ მინდა, საქმე სასამართლომდე მივიდეს, მოურიგდი, - მიუგო კროსმა.

- კარგი, მაგრამ ათ პროცენტზე მეტს გამოვძალავ, - დაჰპირდა მოლი.

მეორე დღეს კროსი ქუოგში დონ დომენიკოს რეზიდენციაში ჩავიდა. დონი, მისი ვაჟები და დანტე ელოდებოდნენ. ბაღში ცივი საუზმე მიირთვეს: სუფრაზე იტალიური ლორისა და ყველის სხვადასხვა სახეობა, სალათა და თხლად დაჭრილი მოგრძო პური ეწყო. დონს, როგორც ყოველთვის, გახეხილი ყველით სავსე ჯამი ედგა წინ.

- კროჩიფიციო, გავიგე, კინობიზნესში ჩაერთე, - თითქოს სასხვათაშორისოდ უთხრა დონმა და წითელი ღვინო მოსვა, ზედაც ერთი კოვზი გახეხილი პარმეზანი დააყოლა.

- დიახ, - უპასუხა კროსმა.

- მართალია, რომ სასტუმროს შენი წილი თითქმის მთლიანად ფილმის დაფინანსებაში ჩადე? - ჰკითხა ჯორჯომ.

- ამის უფლება მქონდა, - უპასუხა კროსმა, - მე ხომ დასავლეთში თქვენი ბარონი ვარ.

- ჰმ, ბარონი! - ჩაიცინა დანტემ.

დონმა შვილიშვილს მკაცრად შეხედა, მერე კროსს მიმართა:

- ოჯახის ნებართვის გარეშე მეტისმეტად დიდი საქმე წამოიწყე. ჩვენი გამოცდილება არ გაითვალისწინე. რაც ყველაზე უფრო უარესია, ისეთი ძალადობა ჩაიდინე, რასაც შეიძლება, მძიმე შედეგი მოჰყვეს. წესის თანახმად, ან ჩვენგან უნდა მიიღო თანხმობა, ან შენს გზას დაადგე და ყველა შედეგზე პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე აიღო.

- თანაც, ოჯახის საკუთრება გამოიყენე, - მკაცრად თქვა ჯორჯომ, - სანადირო კოტეჯს ვგულისხმობ. ასევე - ჩვენი ხელქვეითები: ლია ვაზი, ლეონარდ სოსა და პოლარდის დაცვის სააგენტო. რა თქმა უნდა, ისინი დასავლეთში შენს დაქვემდებარებაში არიან, მაგრამ ამავე დროს, ჩვენი ხალხია. საბედნიეროდ, ყველაფერი უხარვეზოდ წარიმართა, მაგრამ სხვა შემთხვევაში, ყველანი დიდ ხიფათს გადავეყრებოდით.

- ეს ყველაფერი ისედაც იცის, - მოუთმენლად გააწყვეტინა დონმა, - მე ის მაინტერესებს, ასე რატომ მოიქცა. რამდენიმე წლის წინ თვითონ გვთხოვე, ამგვარი ოპერაციებისგან გაგვეთავისუფლებინე. ჩვენ დაგითმეთ, მიუხედავად იმისა, რომ შენი დახმარება ძალიან გვჭირებოდა. ახლა კი საკუთარი მიზნებისთვის სჩადიხარ იმას, რაზეც ჩვენ უარი გვითხარი. გულით მიყვარხარ და შენგან ამას არ მოველოდი.

კროსმა იცოდა, რომ დონი მისდამი გულწრფელი სიმპათიით იყო განწყობილი. თავისი საქციელის ნამდვილ მიზეზს ვერ გაუმხელდა. თუ იტყოდა, რომ ათენას სილამაზემ აცდუნა, ამას არ აპატიებდნენ:

როგორ შეიძლებოდა, უცხო ქალის გამო კლერიკუციოს კლანის ნდობა ეჭვქვეშ დაეყენებინა?!

- დიდი ფულის შოვნის ახალი შესაძლებლობა დავინახე, - თქვა კროსმა, - ეს დიდი მოგების შანსია ჩემთვისაც და ოჯახისთვისაც. ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალებაცაა. ოღონდ სწრაფად უნდა მემოქმედა. ცხადია, არ ვაპირებდი თქვენთვის ამ საქმიანობის დამალვას: ამიტომაც დავიხმარე თქვენი ხალხი. ადრე თუ გვიან, მათგან მაინც შეიტყობით მომხდარის შესახებ. მინდოდა, თქვენთან უკვე მიღებული შედეგით მოვსულიყავი.

- გაქვს კი შედეგი? - ჰკითხა დონმა.

კროსი მაშინვე მიხვდა, რომ დონმა ყველაფერი იცოდა. ამიტომ მერიონთან ახალი შეთანხმების შესახებაც უამბო. მისდა გასაოცრად, დონმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

- სწორად მოქცეულხარ, - უთხრა მერე, - სასამართლო დამღუპველი იქნებოდა. დაე, გამარჯვება იზეიმონ. მაინც რა ვიგინდარები ყოფილან. კარგი ვქენით, რომ აქამდე ამ ბიზნესს არ მივკარებივართ. ასეა თუ ისე, ათი მილიონი მაინც მოიგე. ურიგო თანხა ნამდვილად არ არის.

- არა, - უთხრა კროსმა, - ხუთი- მე, ხუთი ოჯახს. მე მგონი, ასე უცებ არ ღირს ფარ-ხმლის დაყრა. რაღაც გეგმები მაქვს, ოღონდ ოჯახის დახმარება დამჭირდება.

- მაშინ უფრო დიდ წილზე უნდა მოვილაპარაკოთ, - უთხრა ჯორჯომ. ბენცივით სულ გამორჩენაზე ფიქრობსო, გაუელვა კროსს.

- კურდღელს როცა დაიჭერთ, მერე გაიყავით, - გააწყვეტინა დონმა, - კურთხევას გაძლევთ. ოღონდ - ერთი პირობით: ყველა ნაბიჯს წინასწარ შეგვითანხმებ. გასაგებია?

- დიახ, - უპასუხა კროსმა.

ქუოგს გულდამშვიდებული ტოვებდა. დონმა წყალობაზე უარი არ უთხრა.

დონ დომენიკო კლერიკუციო ოთხმოც წელს გადაცილებულიყო, მაგრამ უწინდებურად განაგებდა თავის იმპერიას, რომლის შექმნაც უდიდესი ძალისხმევის ფასად დაუჯდა.

უკვე იმ ასაკის კაცი, როცა ადამიანთა უმრავლესობა აუხდენელ ოცნებებს მისტირის, ჩადენილ ცოდვებს ინანიებს და ხშირად საკუთარი თავის რწმენასაც კარგავს, დონი ისეთივე მტკიცე და ურყევი იყო, როგორიც თოთხმეტი წლისა.

თავისი მრწამსი არ შეუცვლია: ღმერთმა ფათერაკებით სავსე სამყარო შექმნა, რომელსაც ადამიანმა კიდევ უფრო მეტი ხიფათი დაუმატა. წუთისოფელი სატუსაღოდ ესახებოდა, სადაც ადამიანს ლუკმაპურის შოვნა ჰქონდა მისჯილი, მოყვასი კი ხარბ მტარვალად და ვერაგ მტაცებლად წარმოედგინა. დონი იმით ამაყობდა, რომ ახლობლებისთვის დაცული და მაძღარი ცხოვრების შექმნა მოახერხა.

კმაყოფილი იყო იმით, რომ შეეძლო, მტრებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა. ცხადია, მათ მუდამ მიუტევებდა: განა ქრისტიანი არ იყო და საკუთარ სახლში არ მოიწყო სამლოცველო?! მაგრამ მათ,

უფალივით, ჯოჯოხეთში ტანჯვა-წამებისთვის სწირავდა.

დონს მისი იმპერიის ყველა მცხოვრები აღმერთებდა: ოჯახის წევრები, ბრონქსის დასახლების ათასობით ბინადარი, ტერიტორიების მაკონტროლებელი ფეოდალები. ყველამ იცოდა დონის სამართლიანობის ამბავი. გაჭირვებისა თუ სნეულების ჟამს მასთან მისვლა შეეძლოთ და წყალობას არ მოაკლებდა. ამიტომაც უყვარდათ.

მაგრამ დონზე უკეთ არავინ იცოდა, რომ ამ რთულ სამყაროში სიყვარული სანდო არ არის, არც ერთგულების გარანტიაა და არც მორჩილების. ჭეშმარიტი სიყვარული შეუძლებელია შიშის გარეშე. ისეთი სიყვარული არას არგებდა, რომელიც მის ძალაუფლებას არ ცნობდა.

რადგან თავისი ქვეშევრდომების სიცოცხლესა და კეთილდღეობაზე აგებდა პასუხს და შეცდომის დაშვების უფლება არ ჰქონდა, მართლმსაჯულება უნდა აღესრულებინა. თუ რომელიმე ადამიანი უღალატებდა და მისი სამყაროს მთლიანობას დაარღვევდა, ის უნდა დაესაჯა, თუნდაც მოეკლა. მუდარა ამაო იყო, პატიება - გამორიცხული. ჯორჯომ მამას ერთხელ „არქაული“ უწოდა. ის არ შეჰკამათებია: სხვანაირად ვერც იქნებოდა.

ახლა ბევრი რამ ჰქონდა მოსაფიქრებელი. იმ ოცდახუთი წლის მანძილზე, რაც სანტადიოსთან ომში გაიმარჯვა, მომავალს წინდახედულად გეგმავდა, საჭიროებისამებრ მოწყალეც იყო და სასტიკიც. კლერიკუციოს ოჯახმა თითქოს უმაღლეს მწვერვალს

მიაღწია და ყოველგვარი თავდასხმისგან საიმედოდ იყო დაცული. სულ მალე კანონიერი საზოგადოების მასას შეერეოდა და ამოუცნობი გახდებოდა. P SEP

მაგრამ დონ დომენიკო წინდაუხედავი ოპტიმისტი რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს ვერ გადარჩებოდა ხიფათს. სარეველას მანამ ცნობდა, ვიდრე ის პირველ ყლორტს ამოიყრიდა. ამჯერად შიდა ხიფათი იყო საყურადღებო: დანტეს დაკაცება და მომძლავრება მთლად ისეთნაირად არ ხდებოდა, როგორც ეს დონს მიაჩნდა მიზანშეწონილად. P SEP

იქით, გრონეველტის ნოყიერ ნიადაგზე წამოზრდილი კროსიც, შეიძლება ითქვას, კონტროლიდან გამოვიდა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ოჯახის უნებართვოდ მიიღო. ახალგაზრდა კაცმა კარგად დაიწყო, თითქმის ისევე გაიწაფა, როგორც მამამისი პიპი, მაგრამ ვირჯინიო ბალაცოს საქმის გამო გაჭირვეულდა, ხოლო მას მერე, რაც გულჩვილობის მიზეზით, მისიის შესრულებისგან გაათავისუფლეს, საკუთარ ტერიტორიაზე, საკუთარი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, სკანეტი მოკლა. დონ კლერიკუციოს ესმოდა, რომ კროსს თავისი სამყაროს ფარგლებს გარეთ სურდა გაღწევა და არ ჯავრობდა, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ პიპი და კროსი ერთად, კლერიკუციოს ოჯახს სერიზულ საფრთხეს შეუქმნიდნენ. ისიც იცოდა, რომ დანტეს მამა-შვილი დე-ლენა სძულდა. თუმცა ამჟამად, პირველ რიგში, მაინც თვით დანტე აწუხებდა. P SEP

დონის საყვარელ შვილიშვილს ათი წლის ასაკამდე პაპასთან

ძალზე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და დედასთანაც უყვარდა დიდხანს განდობილად საუბარი. ცოცხალი, ეშმაკი და ოხუნჯი ბავშვი იყო. მაგრამ ათი წელი რომ შეუსრულდა, შეიცვალა: უხეში და აგრესიული გახდა, თანატოლ ბიჭებს გაცხარებით ეჩხუბებოდა, გოგონების წვალება უყვარდა. პატარა ცხოველებს რომ აწამებდა, ეს იმდენად საგანგაშო არ იყო: ბიჭებს სჩვევიათ გარკვეულ ასაკში ამგვარი სისასტიკე, მაგრამ ერთხელ სკოლის საცურაო აუზში თავისზე უმცროსი ბიჭის დახრჩობა სცადა.

მისი საქციელი დონს მაინცდამაინც არ აღელვებდა: ბოლოს და ბოლოს, ბავშვები პატარა მხეცები იყვნენ, რომლებსაც ცივილიზაცია ძალით უნდა ჩაუნერგო. დანტესნაირი ბავშვებიდან უფრო ხშირად წმინდანები იზრდებიან. მაგრამ ბიჭი უცნაურად ბევრს ლაპარაკობდა და დედასთანაც სულ უფრო მეტ დროს ატარებდა, ყველასგან განცალკევებით. რამდენჯერმე, უცნაური ფორმით, დონის მიმართ დაუმორჩილებლობაც გამოხატა.

პაპას იქნებ ყველაზე დიდ სადარდებლად ის გადაექცა, რომ ბიჭმა თხუთმეტი წლის ასაკში ზრდა შეწყვიტა და ხუთიფუტისა და სამი დუიმის სიმაღლეზე გაჩერდა. ექიმების თქმით, საუკეთესო შემთხვევაში, კიდევ სამ დუიმს თუ მოიმატებდა, რაც კლერიკუციოს გვარისთვის არანორმალური იყო. დანტეს ტანმორჩილობა დონს ცუდად ენიშნა. ცრუმორწმუნე იყო და საბედისწერო ნიშნად მიაჩნდა ოჯახში ტყუპის გაჩენა. ასევე ეჭვის თვალით უყურებდა ცაციებსა და ენაბლუებსაც. როცა ბრონქსის დაჯგუფების ერთ-ერთ წევრს სამი

ტყუპი გაუჩნდა, დონმა ის ოჯახით სასწრაფოდ გადაიყვანა ორეგონის შტატში, პორტლენდში, და იქ ბოსტნეულის მაღაზია უყიდა.

თუმცა, ვერც ეს ყველაფერი გაუქრობდა შვილიშვილის სიყვარულს. უბედურება ის იყო, რომ დანტე ადრევე განუდგა დონსა და მის სამომავლო გეგმებს.

სკოლა თექვსმეტი წლისამ დაამთავრა და მაშინვე დაიწყო ოჯახის საქმეებში ჩარევა. ვინსენტის ერთ-ერთ რესტორანში მუშაობდა მიმტანად და ძალზე პოპულარულიც გახდა, რადგან მკვირცხლი და ხუმარა იყო. ეს რომ მოჰბეზრდა, ორი თვე უოლ-სტრიტზე ჯორჯოს ოფისში იმუშავა, მაგრამ ფასიან ქაღალდებზე მუშაობა შეიძულა, ვერც შესაბამისი უნარები გამოავლინა, თუმცა, ჯორჯო სერიოზულად ეცადა, მისთვის ფინანსური საქმე ესწავლებინა. საბოლოოდ, პიტის სამშენებლო კომპანიას მოერგო, ბრონქსის ბიჭებთან ერთად მუშაობა ეხალისებოდა და საკუთარი დაკუნთული სხეულითაც დიდად ამაყობდა. კმაყოფილი დონი ამჩნევდა, რომ დანტემ სამივე ბიძის თვისებები გამოავლინა: ვინსენტივით პირდაპირი იყო, ჯორჯოსავით ცივსისხლიანი და პიტივით მრისხანე. ამავე პერიოდში საკუთარი თვისებებიც ჩამოუყალიბდა: ცბიერი, ეშმაკი, გულჩათხრობილი გახდა, ამასთანავე, თავისებური ხიბლიც და იუმორის გრძნობაც არ აკლდა. აღორძინების ხანის სტილის ქუდებსაც ამ დროიდან მოყოლებული ატარებდა.

არავინ იცოდა, ამ ქუდებს სად შოულობდა. ფერადი ძაფისგან იყო ნაქსოვი, ზოგი - მრგვალი, ზოგიც - კვადრატული. ეს ჯამბაზური ქუდები

კლერიკუციოს გვარისთვის დამახასიათებელ ყორნისფერ, სწორ თმას უფარავდა, სიმაღლეს მატებდა და უფრო სიმპათიურსაც ხდიდა.

იმ დროს, როცა დონს ოთახში ჯერ კიდევ საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩენილი თავისი ვაჟის, სილვიოს ფოტოსურათისთვის, ერთხელ დანტემ ჰკითხა:

- როგორ მოკვდა?

- უბედური შემთხვევის შედეგად, - მოკლედ მოჭრა დონმა.

- შენი უსაყვარლესი შვილი იყო, არა?

- ეს რამ გაფიქრებინა? - გაოცდა დონი. ბიჭი ჯერ მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო.

- იმან, რომ მკვდარია, - ეშმაკურად გაუღიმა დანტემ და დონს რამდენიმე წამი დასჭირდა, ვიდრე გაიაზრებდა, შვილიშვილმა ამგვარი ხუმრობა როგორ გამიბედაო?!

დონმა ისიც იცოდა, რომ ვიდრე სადილობდა, დანტეს მის ოთახში ქექვა სჩვეოდა. არც ამას შეუშფოთებია: ბავშვები ხშირად იჩენენ ცნობისმოყვარეობას უფროსების საიდუმლოებებისადმი, ის კი მნიშვნელოვან საბუთებს არასოდეს ინახავდა, საჭირო ცნობებს გონებაში იმახსოვრებდა.

სიფრთხილესთან ერთად დონმა შვილიშვილის მოფერებასაც უმატა, ხშირად უმეორებდა, რომ თავისი იმპერიის ერთ-ერთ მემკვიდრედ აქცევდა. ბოლოს და ბოლოს, იმის იმედი დაკარგა, რომ დანტე კანონმორჩილ საზოგადოებას შეერწყმოდა და განკარგულება გასცა, „ულოდ“ გამოეწვრთნათ.

ქალიშვილმა, როუზ-მერიმ დონს სადილად უხმო. როცა მხოლოდ ორნი იყვნენ, სამზარეულოში სხდებოდნენ. მან დონს დიდი მათლაფით დაუდგა წვრილი სპაგეტი პომიდვრის საწებლითა და ბოსტანში ახალდაკრეფილი მწვანილით. ვერცხლის ჯამით, როგორც ყოველთვის, გახეხილი ყველი მოუმზადა. როუზ-მერი მამის პირისპირ დაჯდა. დონმა სიხარულით შენიშნა, რომ ქალი ისეთივე მშვიდი და ხალისიანი იყო, როგორიც სანტადიოსთან ომამდე. უკვე აშკარა იყო, რომ ამაღამ ისტერიკა არ დაემართებოდა.

დონი ხედავდა, რა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ამ ომის გაჩაღების გადაწყვეტილება მიიღო. მტრის განადგურება მუდამ გამარჯვებას როდი ნიშნავს. იმასაც ვინ იფიქრებდა, რომ როუზ-მერი სამუდამოდ ქვრივად დარჩებოდა? ეგონა, ყველა ადამიანს შეეძლო სატრფოს დაკარგვის შემდეგ ხელმეორედ შეყვარება. ამ წუთებში ქალიშვილისადმი უდიდესი სიყვარული იგრძნო. როუზ-მერი დაიხარა და მამას ჭაღარა თავზე მიეფერა.

დონმა ყველით სავსე კოვზი ჩაიდო პირში და მისი მძაფრი სიმლაშე დააგემოვნა. როუზ-მერიმ ლორის ნაჭერი ჩამოჭრა და მამას მთელ-მთელი, ცხიმით გაჟღენთილი, დაბრაწული კარტოფილები გადაუღო. დონს არაჩვეულებრივი სიმშვიდისა და ბედნიერების გრძნობა დაეუფლა. იმდენად, რომ როუზ-მერისთან ერთად ტელევიზორის ყურებასაც დათანხმდა.

ოთხ საათს გაბმით უცქირა საშინელ კადრებს, მერე კი ქალიშვილს მიუბუნდა:

- არ მესმის, როგორ შეიძლება ისეთ მსოფლიოში ცხოვრება, სადაც სრული განუკითხაობა სუფევს და სასარგებლო საქმის კეთებას არავინ ცდილობს? რატომაა, ქალები ყველაფერს რომ კადრულობენ, მამაკაცები მცირედ ჟინსა და ვნებასაც კი ვერ უმკლავდებიან? სად გადაიკარგნენ ძლიერი, ერთგული ქმრები, შვილების კეთილდღეობისთვის თავდაუზოგავად რომ შრომობენ? რატომ დაავიწყდათ ადამიანებს, რომ თბილი სახლი, ყველის ნაჭერი და ღვინის ერთი ყლუპიც კი საკმარისი ფუფუნებაა? ყველა რატომ ესწრაფვის რაღაც ბუნდოვან, მიუწვდომელ ბედნიერებას? სრულიად უმიზეზოდ შფოთავენ, არაფრისგან ქმნიან ტრაგედიებს. ჯანდაბამდეც გზა ჰქონია ყველას! - მერე ქალიშვილს თავზე ხელი გადაუსვა და ბრძნულად დასძინა: - ყოველი ადამიანი საკუთარ საქციელზე აგებს პასუხს.

გვიან ღამით დონი თავისი საძინებლის აივანზე გავიდა.სახლები განათებული იყო, კორტიდან ჩოგბურთის ბურთების ხმა ისმოდა. ბავშვებს მშვიდად ეძინათ. ჭიშკართან და ღობის გასწვრივ დაცვა იდგა.

გამუდმებით იმაზე ფიქრებდა, როგორ აეცილებინა თავიდან ტრაგედია. მთელ მის არსებას ქალიშვილისა და შვილიშვილისადმი სიყვარული მოეცვა. მერე კი ბრაზით გაიფიქრა, - ნეტავ მუდამ ცუდს რატომ მოველი? ცხოვრებაში ყველა სირთულე დავძლიე და ამასაც დავძლევო.

მაინც ვერ ისვენებდა, გონებაში ახალ-ახალი გეგმები უტრიალებდა.

სენატორ უევენზე ფიქრობდა, რომელსაც მილიონები დაახარჯა, მაგრამ აზარტული თამაშების ლეგალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას ჯერჯერობით კარგი პირი არ უჩანდა. გრონეველტი ინატრა. ჯორჯოსა და კროსს მისნაირი ნიჭი და ალღო არ გააჩნდათ. იქნებ საბოლოოდ მაინც მოუწევდა აზარტის იმპერიის დათმობა?

მერე ძველი მეგობარი, დევიდ რედფელო მოაგონდა, რომელიც ახლა რომში მშვიდად ცხოვრობდა. იქნებ ოჯახში მისი დაბრუნების დრო დამდგარიყო? კროსი ახალგაზრდა იყო და ამიტომაც გამოიჩინა ასეთი მიმტევებლობა პარტნიორ კინემატოგრაფისტებთან ურთიერთობისას, ის კი არ იცოდა, რომ ერთხელ გამოვლენილი სისუსტე შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს. საბოლოოდ გადაწყვიტა, კინობიზნესთან დაკავშირებით საქმეების მოსაგვარებლად რომიდან დევიდ რედფელო გამოეძახა.

თავი 11

ბაზ სკანეტის სიკვდილიდან ერთი კვირის თავზე კლოდიამ კროსს ათენასგან სადილად მალიბუში მიპატიჟება გადასცა.

კროსი ვეგასიდან ლოს-ანჯელესში გაფრინდა, მანქანა იქირავა და მზის ჩასვლისას მალიბუს კოლონიას მიადგა. ჭიშკართან საგანგებო დაცვა აღარ იდგა, თუმცა დასახლების ადმინისტრაციამ მისი ვინაობა ჩაიწერა და საბუთები შეუმოწმა. კროსი ბაღის გავლით სახლთან მივიდა, სამხრეთამერიკელმა მოსამსახურემ ის კვლავ ვერანდამდე მიაცილა, რომელიც ოკეანეს გაჰყურებდა.

ათენა ელოდებოდა. უწინდელზე უფრო ლამაზიც კი ეჩვენა. მწვანე ბლუზა და შლაქსი ეცვა და თითქოს სადაცაა, წყლის ზედაპირზე დამდგარ ნისლში ჩაიძირებოდა. ჰოლივუდური ჩვეულების - ლოყებზე კოცნის ნაცვლად, ხელი ჩამოართვა და გამზადებული სასმელი, ლიმონიანი წყალი გაუწოდა. შაბიამნისფერ სავარძლებში ჩასხდნენ და ოკეანეს მიაპყრეს მზერა. ჩამავალი მზე ჰაერს „ოქროს შხეფებით“ ავსებდა.

კროსი იმდენად გაოგნებული იყო ქალის სილამაზით, რომ თვალს არიდებდა. მისი ოქროს გვირგვინივით თმა, კრემისფერი კანი, გრძელი კიდურების სინატიფე და მწვანე თვალებში მოციმციმე მზის სხივები თავბრუს ახვევდა. ამ ქალთან შეხების, მასთან სიახლოვის დაუოკებელი სურვილი მოეძალა.

ათენა თითქოს ვერც ამჩნევდა იმ ემოციას, რომელსაც მამაკაცში აღძრავდა. სასმელი მოსვა და მშვიდი ხმით წარმოთქვა:

- მინდოდა, თქვენთვის იმისთვის მეთქვა მადლობა, რომ კინობიზნესში დარჩენის საშუალება მომეცით.

კროსი მისმა ხმამაც მოაჯადოვა: არც მაცდური იყო, არც შემპარავი, მაგრამ ისე ხავერდოვნად და თბილად ჟღერდა, რომ კროსს ერთდერთი სურვილი გაუჩნდა: ეს ხმა ისევ და ისევ ესმინა. გაიფიქრა, ღმერთო, ეს რა მემართებაო?! ქალით მოჯადოებულმა, დარცხვენილმა და თავდახრილმა ჩაიდუდღუნა:

- მეგონა, თქვენში სიხარბის გაღვივებით დამებრუნებინეთ გადასაღებ მოედანზე.

- სიხარბე ჩემს მრავალ სისუსტეს შორის არ არის, - უთხრა ათენამ და სტუმარს თვალებში ჩახედა, - კლოდიამ მითხრა, რომ, როგორც კი ჩემმა ქმარმა თავი მოიკლა, სტუდიამ კონტრაქტი გაგიუქმათ. თქვენ ფილმი დაუბრუნეთ და პროცენტებს დასჯერდით.

კროსი შეეცადა, უდარდელი გამომეტყველება მიეღო და გრძნობები არ გამოემჟღავნებინა.

- მგონი, მაინცდამაინც კარგი ბიზნესმენი არ ვარ.

- თქვენი კონტრაქტი მოლი ფლენდერსმა შეადგინა, ის კი ამ საქმეში საუკეთესოა. შეგეძლოთ გებრძოლათ და თქვენი გაგეტანათ.

- ტაქტიკურად სწორად ვიმოქმედე, - უპასუხა კროსმა. - სერიოზულად ვაპირებ კინობიზნესში ფეხის მოკიდებას და არავის გადამტერება არ მსურს.

- შემიძლია დაგეხმაროთ, - უთხრა ათენამ, - ფილმში გადაღებაზე უარს ვიტყვი.

კროსი საშინლად აღელდა. ასეთ შემთხვევაში სტუდიას მაინც შეეძლო, სასამართლოში ეჩივლა. ამასთანავე, არ სურდა, ათენას მოვალე ყოფილიყო. ისიც გაიფიქრა, ამ ქალს სილამაზის გარდა, გამორჩეული ჭკუაც აქვსო.

- ისე, საინტერესოა, რაში გჭირდებათ? - ჰკითხა კროსმა.

ათენა ფეხზე წამოდგა და პანორამულ ფანჯარას მიუახლოვდა. მზე ჩასულიყო და ოკეანის ზედაპირს ჩრდილი გადაეფინა. შავად მოლივლივე ტალღებს გახედა და, თავი არ მოუბრუნებია, ისე

უპასუხა:

- რატომ ვაპირებ? იმიტომ, რომ ბაზ სკანეტს ჩემზე უკეთ არავინ იცნობდა და ვიცი - ასი წერილიც რომ დაეტოვებინა, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ თავი მოიკლა.

- სულერთია, ხომ მაინც მკვდარია, - მხრები აიჩეჩა კროსმა.

- მართალია, - თქვა ათენამ და კაცს მიუბრუნდა. - როგორც კი ფილმი შეისყიდეთ, ბაზის სავარაუდო თვითმკვლელობის ამბავიც მოვიდა. ჩემი აზრით, მკვლელიც სწორედ თქვენ უნდა იყოთ.

პირქუში გამომეტყველებაც კი ვერაფერს აკლებდა მის ლამაზ სახეს და კროსი შეეცადა, ხმაში თრთოლა არ შეპარულიყო:

- იქნებ ამაში სტუდიაა ჩარეული? მერიონი ძალზე გავლენიანი კაცია.

- სტუდიის ხალხი, ცხადია, მიხვდა, რასაც ვთხოვდი. თქვენც ხომ მიხვდით. მათ თავი არ შეუწუხებიათ, არ ანაღვლებდათ, ფილმის გადაღების შემდეგ ცოცხალი დავრჩებოდი თუ - არა, თქვენ კი ეს, როგორც ვხედავ, განაღვლებთ. თუმცა თქვით, რომ ვერ დამეხმარებოდით, მაინც მქონდა თქვენი იმედი. როცა შევიტყვე, რომ ფილმი შეისყიდეთ, უკვე ზუსტად ვიცოდი, რას მოიმოქმედებდით, მაგრამ არ მეგონა, ასეთი გამჭრიახი თუ აღმოჩნდებოდით.

უეცრად ათენა მიუახლოვდა. კროსი ფეხზე წამოდგა. ქალმა ორივე ხელი ჩასჭიდა. კროსმა მისი სხეულის სურნელი იგრძნო.

- ეს ერთადერთი ბოროტება იყო, რაც ცხოვრებაში ჩამიდენია. ჩემი გულისთვის სხვას მკვლელობა ჩავადენინე. ჩემი ხელით რომ

ჩამედინა, უკეთესი ადამიანი ვიქნებოდი, მაგრამ ეს ვერ შევძელი.

- რატომ იყავით ასე დარწმუნებული, რომ რაიმეს მოვიმოქმედებდი? - ჰკითხა კროსმა.

- კლოდიამ თქვენ შესახებ ბევრი რამ მიამბო. მაშინვე მივხვდი, ვინც ხართ, ის კი იმდენად გულუბრყვილოა, რომ უბრალოდ უშიშარი და გავლენიანი კაცი ჰგონიხართ.

კროსი ერთიანად დაიძაბა. ქალი დანაშაულის აღიარებას აიძულებდა, რასაც მღვდლის და თვით უფლის წინაშეც კი ვერ გააკეთებდა.

- თანაც, ისე მიცქერდით... - განაგრძო ქალმა. - კადნიერებაში არჩამომართვათ, მაგრამ ბევრისგან მახსოვს ასეთი მზერა. ვიცი, რომ ლამაზი ვარ, ამას ბავშვობიდანვე მეუბნებოდნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გამიგია, რაა ჩემი სილამაზის ძალა. ვერ გეტყვით, რომ დიდად მაბედნიერებს, მაგრამ ჩემდა უნებურად ვიყენებ.

კროსმა ხელები გაუშვა.

- თქვენი მეუღლის ასე რატომ გეშინოდათ? შიშობდით, რომ კარიერას ჩაგიშლიდათ?

- კარიერა აქ არაფერ შუაშია. არც შიში, თუმცა ვიცოდი, რომ მომკლავდა. სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი მქონდა, - თქვა ქალმა და შემდეგ მოულოდნელად თქვა: - შემიძლია, უარი ვუთხრა და ვაიძულო, ფილმი დაგიბრუნონ.

- არა, - უპასუხა კროსმა.

ათენამ დამაბრმავებელი ღიმილი შეანათა.

- მაშინ შეგვიძლია, უბრალოდ ერთად დავწვეთ. ძალზე მიმზიდველი ხართ და ვიცი, ერთად სასიამოვნოდ გავატარებთ დროს.

წამიერად კროსს ბრაზი მოაწვა: ნუთუ ქალი მის მოსყიდვას ცდილობდა? ისევე იყენებდა თავის მიმზიდველობას, როგორც მამაკაცი - ფიზიკურ ძალას? ყველაზე მეტად კი იმან გააღიზიანა, რომ ათენა თითქოს დასცინოდა, მის წრფელ სიყვარულს ტლანქ ცხოველურ ჟინად აღიქვამდა.

ცივად უპასუხა:

- ბაზთან მოლაპარაკება ვცადე. დიდხანს ვესაუბრე. მითხრა, როცა ცოლ-ქმარი იყავით, დღეში ხუთჯერ გხმარობდათ.

ესიამოვნა, როცა შენიშნა, რომ ქალი შეცბა.

- არ ვიცი, არ დამითვლია, თუმცა, ეს მართლაც ხშირად ხდებოდა, - მიუგო ათენამ. - მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი და ბაზი მართლა მიყვარდა. განა უცნაური არ არის, რომ ახლა მისმა სიკვდილმა გამახარა? - მერე წარბები შეკრა და იკითხა: - კიდევ რა გელაპარაკათ?

- შემზარავი საიდუმლო გამანდო, რომელიც თქვენ გარდა არავინ იცოდა. მისი თქმით, როცა მას გაექეცით, თქვენი შვილი უდაბნოში დამარხეთ.

ათენას სახე გაეყინა და ნიღაბს დაემსგავსა, მწვანე თვალებს ბინდი გადაეფარა და ისე გაფითრდა, კროსი მიხვდა, რომ პირველად ამ შეხვედრისას, არ თამაშობდა: ასე ვერც ერთი მსახიობი ვერ

ითვალთმაქცებდა. მერე ჩავარდნილი ხმით იკითხა:

- გჯერათ, რომ ჩემი შვილი მოვკალი?

- ბაზმა მითხრა, რომ ამაში თავად გამოუტყდით.

- მას ეს ვუთხარი, მაგრამ ახლა თქვენ გეკითხებით: გჯერათ, რომ ჩემი შვილი მოვკალი?

მშვენიერი ქალისთვის ბრალის წაყენება ძალზე ძნელია. კროსი მიხვდა, გულწრფელი პასუხი რომ გაეცა, ათენას სამუდამოდ დაკარგავდა. ქალის მშვენიერებას ვერაფერი დაუპირისპირა. უეცრად მკლავები ნაზად შემოხვია და უთხრა:

- მეტისმეტად მშვენიერი ხართ. ასეთი მშვენიერი ადამიანი მსგავს ბოროტებას ვერ ჩაიდენს.

ქალმა უკან დაიხია.

- ბაზის სიკვდილი რომ ჩემს სინდისზეა?! მაინც არ გჯერათ?

- თქვენ არაფერ შუაში ხართ. ბაზმა თავი მოიკლა.

ათენამ გამჭოლი მზერა მიაპყრო. კროსმა კვლავ ჩასჭიდა ხელები.

- გგონიათ, ბაზი მე მოვკალი?

ათენამ შვებით ამოისუნთქა და გაიღიმა: მსახიობი, როგორც იქნა, ჩასწვდა იმას, თუ როგორ უნდა ეთამაშა თავისი როლი.

- ეს ისევე არ მჯერა, როგორც თქვენ არ გჯერათ, რომ ჩემი შვილი მოვკალი.

ორივეს გაეღიმა. ერთურთი უდანაშაულოდ ცნეს.

- ახლა სადილს მოვამზადებ, მერე კი დავწვეთ, - უთხრა ათენამ.

ნეტავ, ეს სცენა ცხოვრებაში რამდენჯერ უთამაშიაო? - ეჭვის მწარე განცდით გაიფიქრა კროსმა: დედოფალი უბრალო ქალივით ასრულებდა დიასახლისის მოვალეობას. კროსი თვალს ადევნებდა მის ფუსფუსს. ათენას წინსაფარი არ ეკეთა, სწრაფად და მარჯვედ მოძრაობდა. ბოსტნეული დაჭრა, ტაფაზე ჩაშუშა, თან სტუმარს ესაუბრებოდა. კროსმა აღფრთოვანებით გადახედა სუფრას, რომელიც ქალმა სულ რაღაც ნახევარ საათში გაშალა.

- ერთ-ერთ პირველ ფილმში შეფმზარეულის როლს ვასრულებდი და პროფესიული უნარების შესაძენად სპეციალურად გავიარე კურსები. ერთმა კრიტიკოსმა დაწერა კიდეც: „როცა ათენა ექვითეინი კინოში თამაშსაც ისევე კარგად ისწავლის, როგორც საჭმლის მომზადებას, ვარსკვლავი გახდება“.

სამზარეულოს მყუდრო კუთხეში დასხდნენ, თან ოკეანეს გაჰყურებდნენ. უგემრიელესი კერძის - ბოსტნეულთან ერთად ჩაშუშული ხორცის წვრილ ნაჭრებს მწვანე სალათა, შემდეგ ყველის ასორტი და ფუმფულა, თბილი ფუნთუშები მიატანეს, დესერტად კი ესპრესო და ლიმონის ჰაეროვანი ტორტი მიირთვეს.

- შენგან არაჩვეულებრივი მზარეული გამოვიდოდა, - უთხრა ქალს კროსმა, - ბიძაჩემი ვინსენტი აუცილებლად აგიყვანდა თავის რესტორანში სამუშაოდ.

- ოჰ, რასაც კი ხელს მოვკიდებ, ყველაფერი გამომდის, - ხუმრობით დაიკვეხნა ათენამ.

სადილობისას ის რამდენჯერმე ძალზე ამაღელვებლად შეეხო

კროსს, თითქოს მასში სურვილის აღძვრას ლამობდა. კროსი ბოლოს უკვე ვერც კი ამჩნევდა, რას ჭამდა. როცა ბოლოს და ბოლოს, სადილი დაასრულეს, ათენამ სტუმარს ხელი ჩასჭიდა და კიბით ორი სართულით მაღლა, თავის საძინებელში აიყვანა. ამ დროს ისე მორცხვად ეჭირა თავი, ლოყები უმწიკვლო პატარძალივით შეეფაკლა. კროსმა ამაშიც მისი მსახიობური ნიჭი ამოიკითხა.

საძინებელი ყველაზე მაღლა იყო. მისი პატარა აივანი ოკეანეს გადაჰყურებდა, კედლები ხასხასა ნახატებით იყოდაფარული.

აივანზე იდგნენ და ოთახში შემომავალი, პლაჟის ქვიშის მოყვითალო ანარეკლით შეზავებული შუქით ტკბებოდნენ, მალიბუზე გადაჭიმულ სახლებს გაჰყურებდნენ და ნაპირზე ტალღებთან მოთამაშე ჩიტებს აკვირდებოდნენ.

ათენამ კროსს ხელი მხარზე შემოხვია, მერე ზურგზე ჩაუცურა, მეორე ხელით თავი მოაბრუნებინა და მისი ტუჩები მოძებნა. დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს, ოკეანის მლაშე ჰაერით გარემოცულნი. მერე ათენამ საძინებლისკენ წაიყვანა.

ქალმა სწრაფად გაიხადა ბლუზა და შარვალი. მთვარის შუქზე მისი სხეული რძისფრად ანათებდა. კროსი დარწმუნდა - მართლაც საოცრად ლამაზი იყო, ისეთი, როგორიც წარმოედგინა: სავსე ძუძუები, ჟოლოსფერი კერტები, გრძელი თლილი ფეხები, თეძოების ნატიფი რკალი, ქერა თმა - მთელი სილუეტი, თითქოს რაღაც ჯადოსნური ძალით, თვით ოკეანის ნისლიან ჰაერს შემოეხაზა.

კროსი ქალის სხეულს შეეხო და მისმა ხავერდოვანმა სინატიფემ

იმდენად დიდი ნეტარება მოჰგვარა, რომ სხვა ვეღარაფერი მოეხერხებინა, მხოლოდ ხელით მის მოფერებას განაგრძობდა. ათენამ ტანისამოსი გახადა, აკოცა და ნელა წაიყოლა საწოლისკენ.

კროსი ისეთი ვნებით დაეუფლა, რაც აქამდე არც კი წარმოედგინა. ქალი დროდადრო სახეზე ხელს უსვამდა და მის დამშვიდებას ცდილობდა. ერთურთს მას მერეც კი ვერ მოსცილდნენ, რაც ვნება დაიცხრეს. ერთხანს ერთმანეთზე გადასკვნილები იწვნენ. მერე ყველაფერი თავიდან დაიწყეს. ბოლოს და ბოლოს, ორივეს ჩაეძინა.

კროსი მზის სხივებმა გააღვიძა. შიშველი გავიდა აივანზე, დაწნულ სავარძელში გადაწვა და მზეს მიეფიცხა.

ათენა საშიში ქალი იყო. საკუთარი შვილი მოკლა და ქვიშაში ჩამარხა. კროსი გრძნობდა, რომ ეს ქალი მისთვის დამღუპველი იქნებოდა და გადაწყვიტა, აღარასოდეს შეხვედროდა. უეცრად მხრებზე ქალის ხელები იგრძნო, მიუბრუნდა და აკოცა. ათენას თეთრი ხალათი ეცვა, თმა ქინძისთავებით ჰქონდა შეკრული.

- ვიდრე შხაპს მიიღებ, საუზმეს გაგიმზადებ, - უთხრა, ორმაგ სააბაზანოში შეაცილა, სადაც ორი აბაზანა და ორი საშხაპე და მამაკაცისთვის საჭირო ყველანაირი ჰიგიენური საშუალება, საპარსი თუ ოდეკოლონი იყო გამზადებული.

კროსი შხაპის შემდეგ ისევ აივანზე გავიდა. ათენამ სინით კრუასანები, ყავა და ფორთოხლის წვენი მოიტანა.

- გინდა, ლორიანი ერბოკვერცხი შეგიწვა? - ჰკითხა მან.

- არა, ესეც საკმარისია.

- კიდევ როდის გნახავ?

- ვეგასში ბევრი საქმე მაქვს. იმ კვირაში დაგირეკავ, - უპასუხა კროსმა.

- ვიცი, ეს სამუდამო დამშვიდობებას ნიშნავს, მე კი წუხანდელი ღამე ძალიან მომეწონა.

- ვალდებულება შეასრულე, - მხრები აიჩეჩა კროსმა.

- თანაც, დიდი სიამოვნებით. სულაც არ მემძიმა.

- ჰო, - გაეცინა კროსს.

ათენა მის აზრებს კითხულობდა. წუხელ ორივე თვალთმაქცობდა, დღის სინათლემ კი ტყუილი სამზეოზე გამოიტანა. კროსი ამ ქალის მხრიდან საფთხეს გრძნობდა. ქალი მდუმარედ შეექცეოდა, მერე უთხრა:

- ვიცი, რომ გეჩქარება, მაგრამ მინდა, რაღაც გიჩვენო. შეგიძლია, დილის ნაცვლად ნაშუადღევს გაფრინდე? ერთგან მინდა წაგიყვანო და ძალზე მნიშვნელოვანი რამ გიჩვენო.

კროსმა უარი ვერ თქვა ათენასთან ერთად კიდევ ერთი დღის გატარებაზე.

ათენას „მერსედესში“ ჩასხდნენ და სან-დიეგოს მიმართულებით გაუყვნენ გზატკეცილს. ქალაქამდე მისული არ იყვნენ, რომ ვიწრო გზაზე გადაუხვიეს და მალე მავთულხლართით შემოღობილ ტერიტორიას მიადგნენ. ტერიტორიაზე წითელი აგურის რამდენიმე შენობა იდგა, მწვანე ბალახის მოედნები და მათ შორის, ცისფრად

შეღებილი ტროტუარები მოეწყოთ. ერთ-ერთ მოედანზე ათიოდე ბავშვი ფეხბურთს თამაშობდა, მეორეზე ასევე რამდენიმე პატარა ფრანებს უშვებდა. სამი-ოთხი მოზრდილი ადამიანი მოშორებით იდგა და თვალყურს ადევნებდა, მაგრამ მთელ სცენას რაღაც უცნაურობა ემჩნეოდა: როცა ბურთი ჰაერში აფრინდა, ბავშვების უმეტესობა მისი დაჭერის ნაცვლად, აქეთ-იქით მირბოდა, ხოლო ფრანები მაღლა-მაღლა ცაში ადიოდა და აღარ ბრუნდებოდა.

- ეს რა ადგილია? - ჰკითხა კროსმა ათენას.

- უბრალოდ წამომყევი, - მუდარის კილოთი უთხრა ქალმა, - შეკითხვები მერე დამისვი.

ათენამ მანქანა ჭიშკარში შეიყვანა. დაცვას ოქროსფერი მოწმობა უჩვენა. მანქანა ყველაზე დიდ შენობასთან მიაყენა.

შენობაში შესვლისას ათენა სამორიგეო მაგიდასთან მივიდა და თანამშრომელს რაღაც ჩუმად უთხრა. კროსი განზე იდგა, მაგრამ პასუხი მაინც გაიგონა:

- უხასიათოდ იყო, ამიტომ თავის ოთახში შევიყვანეთ.

- რა ხდება? - იკითხა კროსმა.

ათენამ არაფერი უპასუხა, ხელი ჩასჭიდა და შემინული დერეფნით მეორე შენობაში წაიყოლა, სადაც საძინებლები იყო განთავსებული. კუთხეში მჯდომმა ექთანმა ვინაობა ჰკითხა. პასუხი რომ მიიღო, თავი დაუკრა. ათენამ კიდევ ერთ დერეფანში შეუხვია და ბოლოს ერთ-ერთი კარი გააღო.

დიდ და ძალზე ნათელ საძინებელში შევიდნენ. ოთახი ისეთივე

უცნაური ნახატებით იყო სავსე, როგორიც ათენას საძინებელში ეკიდა, ოღონდ აქ ისინი იატაკზე იყო მიმოფანტული. კედელზე, პატარა თაროზე ძველებურ გახამებულ კაბებში გამოწყობილი ლამაზი თოჯინები ჩამწკრივებულიყო.

პატარა საწოლს ვარდისფერი მაქმანებიანი გადასაფარებელი ეფინა, ზედ წითელივარდებით მოქარგული ბალიშები ელაგა, მაგრამ საწოლი ცარიელი იყო.

ათენა კუთხეში მდგარ დიდ ყუთთან მივიდა. კოლოფს თავი ახდილი ჰქონდა, შიგნიდან რბილი თეთრი ბალიშები ჰქონდა აკრული. კროსმა შიგნით ჩაიხედა და ბავშვი დაინახა. მან მოსულები ვერ შენიშნა, ყუთის ბალიშების შესაკრავებს ეპოტინებოდა, თითქოს ყუთის დახურვას და საკუთარი თავის შიგ დამწყვდევას ცდილობდა.

გოგონა ათი წლის იქნებოდა. ათენას ასლი იყო, ოღონდ სრულიად უემოციო სახე ჰქონდა, მწვანე თვალებიც - ცარიელი, თითქოს უსინათლო.

ათენა ყუთის თავთან მივიდა და ბავშვი ისე მსუბუქად ამოიყვანა, თითქოს უწონო ყოფილიყო. ჩვილივით ჩაიკრა გულში და კოცნას შეეცადა, მაგრამ ბავშვმა თავი გასწია.

- შენი დედიკო ვარ. არ მაკოცებ? - ისეთი მუდარის კილოთი, საწყალობლად უთხრა ათენამ, რომ კროსს გააჟრჟოლა. ბავშვი მის მკლავებში განწირულივით ფართხალებდა. ბოლოს ათენამ ძირს ჩამოსვა. გოგონამ ჩაიმუხლა, საღებავების ყუთსა და დიდ ფურცელს დასწვდა და სრულიად გარინდული, ხატვას შეუდგა.

კროსი თვალს ადევნებდა იმას, თუ როგორ იყენებდა ათენა მთელ თავის მსახიობურ ნიჭს ბავშვთან კონტაქტის დასამყარებლად. ჯერ თვითონაც ძირს ჩამოჯდა და შეეცადა, ხატვაში დახმარებოდა, მერე ამბების მოყოლა დაუწყო, ბოლოს ნახატები შეუქო. პასუხად ბავშვი მხოლოდ უკან-უკან იწევდა და თავს არიდებდა. როცა ათენამ ფუნჯი აიღო და ხატვას შეუდგა, გოგონამ ფუნჯი გამოართვა. ხმა არ ამოუღია.

ბოლოს ათენამ ფარ-ხმალი დაყარა.

- ხვალ მოვალ, ძვირფასო, მანქანით გაგასეირნებ და ახალ საღებავებსაც გიყიდი. ნახე, წითელი ფერი გაგთავებია, - ამას რომ ამბობდა, თვალებში ცრემლები უბზინავდა. ბავშვის კოცნა უნდოდა, მაგრამ გოგონამ ლამაზი ხელები სახეზე აიფარა.

ათენამ კროსი ოთახიდან გაიყვანა, მანქანის გასაღები მისცა და საჭესთან დაჯდომა სთხოვა. თვითონ, ვიდრე მალიბუში ჩავიდოდნენ, მთელი გზა თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და ტიროდა. კროსი იმდენად თავზარდაცემული იყო, ხმას ვერ იღებდა.

როცა მანქანიდან გადმოვიდნენ, ათენამ თავი ხელში აიყვანა და კროსს მიუბრუნდა:

- ეს ის ბავშვია, რომლის შესახებაც ბაზს ვუთხარი, უდაბნოში დავმარხე-მეთქი. ახლა გჯერა ჩემი? - როცა ეს უთხრა, კროსმა პირველად ირწმუნა, რომ ათენას შეიძლებოდა, ის გულწრფელად შეჰყვარებოდა.

ათენამ ყავა მოადუღა. სამზარეულოში დასხდნენ და, ვიდრე

მიირთმევდნენ, მშვიდი, უემოციო ხმით ალაპარაკდა.

- როცა ბაზს გავექეცი, ბავშვი სან-დიეგოში ნათესავ ცოლ-ქმარს დავუტოვე. მაშინ არ ვიცოდი, აუტიზმით თუ იყო დაავადებული, არაფერი ემჩნეოდა. დავტოვე, რადგან მსურდა, წარმატებული მსახიობი გავმხდარიყავი და ჩემი ნიჭის მწამდა. ფულის დაგროვების შემდეგ, ბავშვის წამოყვანას ვაპირებდი. ლოს-ანჯელესში დავიწყე მუშაობა, როცა კი შემეძლო, ვნახულობდი. მერე თანდათან წინ რომ წავიწიე, ზოგჯერ მხოლოდ თვეში ერთხელ ვნახულობდი. სამი წლის რომ გახდა, საჩუქრებით დატვირთული მივედი, მაგრამ ბეთანი უკვე აღარ მეკუთვნოდა. სხვა სამყაროში ჩაიკეტა. ლამის ჭკუიდან შევიშალე, მეგონა, ტვინის დაზიანება აქვს, რადგან პატარაობაში ბაზმა ძირს დააგდო. რამდენიმე თვე ვატარე ექიმებთან. ყველანაირი გამოკვლევა ჩაუტარეს და ბოლოს, აღარც კი მახსოვს, ბოსტონის თუ ტეხასის კლინიკის ექიმმა მითხრა, აუტიზმი სჭირსო. არც კი ვიცოდი, ეს რას ნიშნავს, გონებრივი ჩამორჩენილობის ერთ-ერთი ფორმა მეგონა. ექიმმა ამიხსნა, რომ ასე არ არის: ბავშვი თავის სამყაროში ცხოვრობს და გარშემო მყოფი ადამიანები და მოვლენები არ აინტერესებს. მერე ამ ინტერნატში მოვათავსე, რადგან მინდოდა, ჩემ სიახლოვეს ყოფილიყო. აქ თავს კარგად გრძნობს, იმ „ჩასახუტებელ მანქანაზე“ რეაგირებს, იმ ყუთზე, რომელიც ნახე.

კროსი ხმას არ იღებდა. ათენამ განაგრძო:

- აუტიზმი იმას ნიშნავს, რომ ის ვერასოდეს შემიყვარებს. სამაგიეროდ, როგორც მითხრეს, აუტისტები ძალზე ნიჭიერები, ზოგჯერ

გენიალურებიც არიან. ვფიქრობ, ბეთანი გენიოსია. ამას მხოლოდ მისი ნახატების გამო არ ვამბობ. მითხრეს, დიდი ძალისხმევის შედეგად, ზოგიერთ ასეთ ადამიანს შეიძლება რაიმეს ან ვინმეს სიყვარული ასწავლო. ზოგიერთი თითქმის ნორმალური ცხოვრებითაც ცხოვრობს. ბეთანი ახლაც ვერ იტანს მუსიკას ან რაიმე ხმაურს, მაგრამ წინათ საერთოდ არ მიკარებდა, ახლა კი თანდათან შემეგუა, ასე რომ, მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. სულ ვფიქრობდი, ასე ძლიერ რომ ვესწრაფოდი წარმატებას, ამისთვის დავისაჯე-მეთქი. ექიმებმა მითხრეს, რომ ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები დღემდე უცნობია. ეს არც იმის გამო მოხდა, რომ ბაზმა ძირს დააგდო და არც ჩემი უყურადღებობის გამო. მარწმუნებენ, რომ ყველაფრისგან დამოუკიდებლად მოხდა, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯერა. როგორც კი ეს აღმოვაჩინე, იმაზე ვიჭყლეტდი თავს, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. უფულოდ მაინც ვერაფერს ვუშველიდი. ახლა კი გავმდიდრდი, რასაც წინათ ვნატრობდი, ყველაფერს მივაღწიე, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარ აქვს. ერთადერთი, რაც მინდა, ბეთანისთან ერთად ყოფნაა. ნებისმიერ შემთხვევაში ვაპირებდი „მესალინაზე“მუშაობის დასრულებისთანავე კინოს დატოვებას.

- კი, მაგრამ რატომ?

- საფრანგეთში ერთი სპეციალური კლინიკაა, სადაც ამ დარგში საუკეთესო სპეციალისტი მუშაობს. ფილმის გადაღების შემდეგ იქ წასვლას ვაპირებდი. ამ დროს ბაზი გამოჩნდა. ამიტომაც დავიხიე უკან:

მე რომ მოვკვდე, ბავშვი სულ მარტო დარჩება. ბაზის მკვლელობასაც ჩემს თავზე ავიღებ. ეს ცოდვაც მეპატიება. - ათენა გაჩუმდა და ნაღვლიანი ღიმილით შეხედა. - საპნის ოპერაზე მძიმე ამბავია, არა? - დასძინა მან და კვლავ ნაღვლიანად გაიღიმა.

კროსი ოკეანეს გაჰყურებდა და პატარა გოგონას იხსენებდა, რომელსაც ნიღაბივით გაყინული სახე ჰქონდა.

- ეს რა ყუთი იყო, რომელშიც იჯდა? - იკითხა მერე.

- ეგ ჩემი ერთადერთი იმედია. ბევრ აუტისტ ბავშვს შველის. მასში თავს ისე გრძნობენ, თითქოს ვინმე გულში იკრავსო და, ამავე დროს, მეორე ადამიანთან კონტაქტი აღარ სჭირდებათ, რაც მათთვის ყოვლად აუტანელია. მე კი ვაპირებ, ადრე თუ გვიან, ამ ყუთის ადგილი დავიკავო. ეს ჩემი ცხოვრების ერთადერთი აზრია. სტუდიის მფლობელები მეუბნებიან, რომ ჩემს სახელზე ყოველდღიურად ათასობით სათაყვანებელი წერილი მოდის, ადამიანები დამინახავენ თუ არა, ჩემთან შეხებას ლამობენ, მამაკაცები სიყვარულს მეფიცებიან, ერთი სიტყვით - ყველანი, ბეთანის გარდა. მე კი ბეთანის გარდა არავინ მჭირდება.

- რასაც კი შევძლებ, ყველაფერში დაგეხმარები, - უთხრა კროსმა.

- მაშინ მომდევნო კვირას დამირეკე. მინდა, ერთად ვიყოთ, ვიდრე „მესალინას“ გადაღება დასრულდება.

- დაგირეკავ, - უთხრა კროსმა, - ჩემს უდანაშაულობას ვერ დაგიმტკიცებ, მაგრამ ცხოვრებაში რაც კი გამაჩნია, ყველაფერზე მეტად მიყვარხარ.

- მართლა უდანაშაულო ხარ? - ჰკითხა ათენამ.

- ჰო, - უპასუხა კროსმა. რაკი ქალი უდანაშაულო აღმოჩნდა, ვეღარც თვითონ გაბედა იმის გამხელა, რომ მკვლელობა ჩაიდინა.

კროსს კვლავაც ბეთანი ედგა თვალწინ: ულამაზესი ნაკვთებითა და დიდრონი, ჩამქრალი თვალებით. იშვიათი, სრულიად უმანკო არსება.

* * *

ათენას რაც შეეხება, ის კროსს ცდიდა. მისი ნაცნობ-მეგობრებიდან კროსი ერთადერთი იყო, ვისაც მან თავისი ქალიშვილი უჩვენა მას მერე, რაც ბავშვს აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს.

ცხოვრებაში უდიდესი შოკი ათენამ მაშინ განიცადა, როცა მიხვდა, რომ სილამაზისა და ნიჭის მიუხედავად, მეგობრებსა და ახლობლებს მისი უიღბლობა ახარებდათ.

როცა ბაზმა პირველად ჩაულურჯა თვალი, ყველა აღშფოთდა, მაგრამ ათენა აშკარად ამჩნევდა, რომ ადამიანები გულის სიღრმეში კმაყოფილებას განიცდიდნენ. ეგონა, მეჩვენებაო, მაგრამ მეორედაც იგივე ფარული კმაყოფილება რომ იგრძნო, ყველაფერს მიხვდა.

რა თქმა უნდა, მეგობრებს უყვარდათ, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ მისი გამორჩეულობა უცილობლად წარმოშობდა შურს...

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ უყვარდა გამორჩეულად კლოდია, ის იყო, რომ კლოდიას მხრიდან ამგვარი რამ არასოდეს უგრძნია.

იმიტომაც იყო, ბეთანის რომ არიდებდა იმ ადამიანებს, ვისთანაც

ყოველდღე ჰქონდა შეხება: მისთვის ძალზე მტკივნეული იქნებოდა მათ სახეებზე კმაყოფილების დანახვა, როცა შეიტყობდნენ, თუ რა სასჯელი არგუნა ბედმა შესაშური სილამაზის სანაცვლოდ.

ამ სილამაზის ძალას კარგად იცნობდა, მაგრამ სძულდა კიდეც. იმ დროს ნატრობდა, როცა სახეს ნაოჭები დაუღარავდა, ტანი ფაშფაშა გაუხდებოდა, რათა შესძლებოდა, ძვირფასი ადამიანები თბილად ჩაეკრა გულში, თვალები კი იმ ცრემლებით დანამებოდა, რომელსაც ახლა იკავებდა და გულში იგუბებდა. რა შვებით ამოისუნთქავდა, როგორ დააგემოვნებდა თავისუფლებას, როცა დარწმუნებული იქნებოდა, რომ აღარავინ ეხარბებოდა მისი სილამაზით ვაჭრობას და მის ხარჯზე საკუთარი ანგარების დაკმაყოფილებას!

ამიტომაც აკვირდებოდა კროს დე-ლენას, როცა ბეთანისთან იყვნენ. კაცი თავიდან შეცბა, მერე კი ათენა ამაოდ ცდილობდა მის სახეზე იმ კმაყოფილების ამოკითხვას, რომელსაც სხვებს ატყობდა. ხედავდა, რომ კროსს მწარედ შეუყვარდა, მაგრამ მისთვის მოვლენილი განსაცდელით კმაყოფილება მის სახეზე ვერაფრით ამოიკითხა.

თავი 12

კლოდიამ გადაწყვიტა, ელი მერიონის იმ პირობით ესარგებლა, რომელიც მოხუცმა ერთად გატარებული ღამის შემდეგ მისცა, და ერნესტ ვეილის რომანის ეკრანიზაციისთვის უფრო მეტი პროცენტი მოეთხოვა. იცოდა, ბობი ბენცს ვერაფრით დაითანხმებდა, მერიონი კი

უფრო სენტიმენტალური იყო, თანაც, კინოსამყაროს დაუწერელი კანონის თანახმად, სექსუალური კავშირი გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებას მოითხოვდა.

ამ შეხვედრის საბაბი ერნესტ ვეილის მუქარა გახდა: თვითმკვლელობის შემთხვევაში, მის რომანზე საავტორო უფლებები ყოფილ ცოლსა და შვილებს გადაეცემოდა, ხოლო მოლი ფლენდერსი კონტრაქტს მაქსიმალურად გამოიყენებდა. ამ მუქარის არავის სჯეროდა, კლოდიასაც კი, მაგრამ მერიონი და ბენცი სხვის ქცევასაც იქიდან გამომდინარე აფასებდნენ, რაზედაც ფულის გულისთვის თვითონ იყვნენ წამსვლელები, ამიტომ მაინც ფრთხილობდნენ.

კლოდიას, მოლისა და ერნესტს სტუდიის სამუშაო განყოფილებაში მხოლოდ ბენცი დახვდათ. უხერხულობას ფარავდა, ყველას ომახიანად მიესალმა, ვეილს კი გადაეხვია და შესძახა:

- ჩვენი ეროვნული საუნჯე ხართ!

- სად არის ელი? - მაშინვე გაფაციცებით მიმოიხედა მოლიმ. - საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მის გარდა არავის შეუძლია.

- ელი საავადმყოფოშია, - უპასუხა ბენცმა, - სერიოზული არაფერია, გამოკვლევას იტარებს. გთხოვთ, ეს ჩვენ შორის დარჩეს. სტუდიის კეთილდღეობა მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

- ოთხმოცი წლის ასაკისთვის ყოველი წვრილმანი სერიოზულია, - ცივად შენიშნა კლოდიამ.

- არა, ასე არ არის, - შეეკამათა ბენცი, - საავადმყოფოში ყოველდღე ვაკითხავ და საქმეზე ვლაპარაკობთ. სრულიად საღ

გონებაზეა. ასე რომ, თქვენი საქმე მე მომახსენეთ და, როგორც კი მივალ, გადავცემ.

- არა, - თავაზიანი ღიმილით უპასუხა მოლიმ.

მაგრამ ვეილი არ დაეთანხმა:

- მოდი, ბობის დაველაპარაკოთ.

მათი მოსმენის შემდეგ ბენცს გუნებაში გაეცინა, მაგრამ ეს არ გაუმჟღავნებია:

- არ მეგონა, ამქვეყნად კიდევ რაიმე თუ გამაოცებდა, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია. ჩვენს იურისტებს მოვეთათბირე და მითხრეს, რომ ერნესტის გარდაცვალების შემთხვევაში სტუდიას მაინც არ დაეკისრება არავითარი ვალდებულება.

- თუ ერნესტი თავს მოიკლავს, თქვენი სტუდია საზოგადოების თვალში ძალიან არასახარბიელოდ გამოჩნდება, - უთხრა კლოდიამ, - ელი ამას არ დაუშვებს. მას ზნეობის საკითხებში არ ეშლება.

- ჩემზე მეტად, არა? - გადაიხარხარა ბენცმა, თუმცა ბრაზს ძლივს მალავდა. როგორ არ ესმოდა ამ ხალხს, რომ ელიმ ყველა გადაწყვეტილება მას მიანდო? ბენცი ვეილს მიუბრუნდა და დამცინავად ჰკითხა: - მაინც როგორ აპირებთ თავის მოკვლას, ერნესტ? დანით, თოკით თუ იქნებ ფანჯრიდან გადახტებით?

- თქვენს სამუშაო მაგიდაზე ჰარაკირის გავიკეთებ, - ღიმილით უპასუხა ვეილმა.

- ამ ლაპარაკით ვერაფერს მივაღწევთ, - თქვა მოლიმ, - ჯობს, ყველანი საავადმყოფოში წავიდეთ და ელის დაველაპარაკოთ.

- ავადმყოფს ფულს ვერ გამოვძალავ, - უეცრად განაცხადა ვეილმა.

ყველამ თანაგრძნობით შეხედა. ტრადიციული ზნეობის გადასახედიდან ეს მართლაც დაუშვებელი იყო, მაგრამ საზოგადოებას მოეხსენება იმის მაგალითები, თუ როგორ დაუგეგმავთ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ადამიანებს მკვლელობა, გადატრიალება, ღალატი და ფინანსური მაქინაციები. აქ დამსწრეთ კარგად ესმოდათ, რომ ვეილის ეს პროტესტი მხოლოდ რომანტიკული ტრადიციისთვის გადახდილი ხარკი იყო.

- ერნესტ, თუ გინდა, ჩემს კლიენტად დარჩე, კრინტი აღარ დაძრა. საავადმყოფოში წოლის პერიოდში ელის არაერთი ადამიანი გაუკოტრებია. ბობი, მოდი, გონივრულად მივუდგეთ საქმეს. არაფერი დაგაკლდება, თუკი ერნესტს მისი ეკრანიზაციიდან მეტ პროცენტს დაუთმობ.

- არასოდეს, - იუარა ბენცმა.

- კარგი, ქსელიდან ხუთ პროცენტზე რას იტყვი? - არ დაიბნა მოლი.

- ესეც შეუძლებელია. თანაც, ყველამ კარგად ვიცით, რომ ერნესტი თავს არ მოიკლავს. ეს მეტისმეტად სულელური საქციელი იქნებოდა, ის კი საკმაოდ ჭკვიანია, - ისეთი კილოთი თქვა ბენცმა, ცხადი იყო, იმას გულისხმობდა, რომ ვეილს საამისოდ გამბედაობა არ ეყოფოდა.

- რა საჭიროა ვაჭრობა? - განაგრძო მოლიმ. - ყველაფერი

დავიანგარიშე. ფილმის, სულ ცოტა, სამ გაგრძელებას მაინც გეგმავთ. ეს ნახევარ მილიარდს მაინც უდრის, უცხოური გაქირავების ჩათვლით. ვიდეოსა და ტელევიზიას არ ვთვლი და კიდევ, კაცმა არ იცის, ვიდეოთი რამდენს მოიგებთ. თავისუფლად შეგიძლიათ, ერნესტს სულ რაღაც ოცი მილიონი დაუთმოთ. ნებისმიერ ქეციან ვარსკვლავს ხომ ამდენს მისცემდით.

ბენცმა ბოლომდე მოუსმინა, მერე კი საკუთარი დიპლომატიური ნიჭის გამოყენება სცადა.

- ერნესტ, როგორც მწერალი, უდავოდ, ჩვენი ეროვნული საუნჯე ხართ, დიდად გაფასებთ. ელის თქვენი ყველა წიგნი აქვს წაკითხული და აღფრთოვანებულია. ნამდვილად გვსურს, ყველასათვის მისაღებ შეთანხმებას მივაღწიოთ.

- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, - სთხოვა ვეილმა, რომელსაც შექება ძალზე ესიამოვნა.

- რას იტყვით, - მიუბრუნდა ბენცი მოლის, - თუკი ერნესტს ხუთწლიან კონტრაქტს გავუფორმებთ და კვირაში ათი ათასს გადავუხდით? ის ორიგინალურ სცენარებს დაგვიწერს და არსებულისცენარების გადაკეთებისთვის დამატებით, ორმოცდაათი ათასს გადავუხდით. ხუთ წელიწადში ათ მილიონს გააკეთებს.

- თანხა გააორმაგეთ, მაშინ ვილაპარაოთ, - არ დაიბნა მოლი.

ვეილს, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აევსო.

- არც ერთი თქვენგანი სერიოზულად არ მიყურებს, - შეჰყვირა მან, - ანგარიში მეც შემიძლია. ბობი, თქვენი შემოთავაზება ორ-ნახევარ

მილიონზე მეტი არ ღირს. მეც და თქვენც მშვენივრად ვიცით, რომ ჩემს დაწერილ სცენარს არასოდეს იყიდით, რომც დავწერო, და არც გადასაკეთებლად მომცემთ სცენარებს. ხოლო ჩემი რომანის ეკრანიზაციის ექვს გაგრძელებას თუ გადაიღებთ, უკვე მილიარდი გექნებათ. ამ ფონზე ორ-ნახევარი მილიონი დოლარი არაფერია, - ეს რომ თქვა, გიჟივით გადაიხარხარა.

- რა ჯანდაბა გაცინებს? - გაღიზიანდა ბენცი.

- ის მაცინებს, რომ ცხოვრებაში ერთი მილიონიც კი თვალით არ მინახავს, ახლა კი ორ-ნახევარსაც ვწუნობ.

- მერედა, რატომ წუნობ? - ჰკითხა კლოდიამ.

- იმიტომ, რომ ამაზე თუ დავთანხმდი, ცოცხალი უნდა დავრჩე. ჩემს ოჯახს კი მაღალი პროცენტები სჭირდება. დავპირდი და ვერ ვუღალატებ, - მედიდურად განაცხადა ვეილმა. ეს ასე ყალბად რომ არ ეთქვა, ყველანი ალბათ მისდამი თანაგრძნობით განიმსჭვალებოდნენ.

- წავიდეთ, ელის დაველაპარაკოთ, - თქვა მოლი ფლენდერსმა.

ვეილი მოთმინებიდან გამოვიდა და ოთახიდან გავარდა ღრიალით:

- თქვენთან საქმეს ვერ დავიჭერ! ვერ ხვდებით, რომ ავადმყოფ კაცს ფულს ვერ მოვთხოვ?!

- გამაგებინეთ, აი, ამ ბრიყვს მხარს რატომ უჭერთ? - ჰკითხა ქალებს ბენცმა, როცა ერნესტი ოთახიდან გავარდა.

- რატომაც არა?! - მიუგო მოლიმ. - სასამართლოში ვიცავდი კაცის

ინტერესებს, რომელმაც ცოლი და სამი შვილი დანით დახოცა. ვეილი მას ნამდვილად სჯობია.

- შენ რით იმართლებ თავს? - მიუბრუნდა ბენცი კლოდიას.

- მწერლებმა ერთმანეთს მხარი უნდა დავუჭიროთ, - დაიჭყანა კლოდია. სამივეს გაეცინა.

- თქვენთვის რაც შემეძლო, გავაკეთე, - ხელები გაშალა ბენცმა.

- ბობი, რატომ არ გინდა, ცოტათი მოუმატო პროცენტი? ეს ხომ სამართლიანი იქნება? - შეუტია კლოდიამ.

- იმიტომ, რომ უკვე მრავალი წელია, ასე წველის მწერლებსაც, მსახიობებსაც და რეჟისორებსაც. ეს მისთვის პრინციპის საკითხია, - შენიშნა მოლიმ.

- მართალია, - კვერი დაუკრა ბენცმა, - როცა იმათ აქვთ შნო, მე მწველიან. ესაა ბიზნესი.

- ელი კარგადაა? - ყალბი წუხილით ჰკითხა მოლიმ ბენცს. - სერიოზული ხომ არაფერი სჭირს?

- შესანიშნავადაა.

- მაშ, მის ნახვას შევძლებთ.

- მე ისედაც მინდა მისი მონახულება, - თქვა კლოდიამ, - ელი გულით მიყვარს. ჩემს საქმეში პირველად სწორედ მან შემიწყო ხელი.

ბენცმა მხრები აიჩეჩა.

- ვეილმა თავს რაიმე თუ დააწია, თქვენს სტუდიას მართლა გაუფუჭდება სახელი, - არ ნებდებოდა მოლი, - ფილმის გაგრძელება

იმაზე ბევრად მეტ მოგებას მოგიტანთ, ვიდრე წეღან ვთქვი: ვეილის თანდასწრებით ვითარება უფრო შევარბილე.

- ეგ დოყლაპია თავს არ მოიკლავს. სად აქვს მაგის შნო?! - უთხრა ბენცმა.

- ჯერ „ეროვნული საუნჯეო“, ახლა - „დოყლაპიაო“... - ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა კლოდიამ.

- ტიპი მართლაც, ცოტა ვერ არის, - შენიშნა მოლიმ, - საკუთარი სიცოცხლე არაფრად უღირს.

- ნარკოტიკებს იღებს? - ოდნავ დამფრთხალი ხმით იკითხა ბენცმა.

- არა, - უპასუხა კლოდიამ, - მაგრამ ერნესტი სიურპრიზებითაა სავსე. ნამდვილი ექსცენტრიკოსია, თუმცა ეს თვითონაც კი არ მოსდის თავში.

ბენცი დაფიქრდა. არავის გადამტერება არ სურდა, მით უმეტეს, ისეთი ქალის, როგორიც მოლი ფლენდერსი იყო.

- ელის დავურეკავ, - უთხრა ქალებს, - თუ დამთანხმდება, საავადმყოფოში წაგიყვანთ, - დარწმუნებული იყო, რომ ელი უარს ეტყოდა.

მისდა გასაოცრად, ელმა უპასუხა, მოვიდნენ და მნახონო.

ყველანი ბენცის ლიმუზინით გაემგზავრნენ. მანქანა არნახული ფუფუნებით იყო გაწყობილი: შიგნით ფაქსი, ფიჯური ტელეფონი და კომპიუტერი იყო დამონტაჟებული, მძღოლს გვერდით „წყნარი ოკეანის დაცვის სააგენტოს“ თანამშრომელი ეჯდა, უკან დაცვის

მანქანა მიჰყვებოდა.

დაბინდულ მინებს მიღმა ქალაქი კოვბოების შავ-თეთრი ფილმის კადრებივით მოჩანდა. რაც უფრო შორს მიდიოდნენ, შენობები სულ უფრო მაღლდებოდა და ბოლოს, ნამდვილი ქვის ჯუნგლების პეიზაჟს დაემსგავსა. კლოდიას მუდამ აოცებდა, რომ სულ რაღაც ათწუთიანი მგზავრობის შემდეგ, გამწვანებული საკურორტო ზონიდან ბეტონისა და მინის მეტროპოლისში ხვდებოდა.

საავადმყოფოში „კედარიანი სინა“ ლამის აეროპორტის დარბაზებისხელა ფართო დერეფნები დახვდათ. კოორდინატორმა - დახვეწილ, მკაცრ კოსტიუმში გამოწყობილმა ქალმა, რომელმაც კლოდიას ვეგასის სასტუმროს მეტრდოტელები მოაგონა, სტუმრები საგანგებო ლიფტით ზედა სართულზე განლაგებულ პენტჰაუზამდე აიყვანა.

აქ ყველა კარი მასიური მუხისგან იყო დამზადებული და ჭერამდე აღწევდა. პალატაში - დიდ ოთახში - საწოლი, სასადილო მაგიდა, დივანი და სავარძლებიიდგა, ხოლო საგანგებო ნიშაში კომპიუტერი და ფაქსი მოეთავსებინათ. ცალკე იყო სამზარეულო და პაციენტის სააბაზანოსგან გამოყოფილი მეორე სააბაზანო - სტუმრებისთვის. ძალზე მაღალი ჭერი და ერთიანი ღია სივრცე, რომელშიც სამზარეულო და კაბინეტი ნიშებად იყო გამოყოფილი, მთელ ამ ფართს კინოს გადასაღები მოედნის იერს ანიჭებდა.

ელი მერიონი ფართო საწოლში ფუმფულა ბალიშებზე იწვა და სცენარს კითხულობდა. გვერდით მაგიდაზე ფილმების საბუღალტრო

საბუთებით სავსე საქაღალდეები ეწყო. საწოლის კიდეზე ლამაზი მდივანი გოგონა ჩამომჯდარიყო და მის მითითებებს ინიშნავდა. მერიონს თავის გვერდით მუდამ ლამაზი ქალები ჰყავდა.

ბობი ბენცმა მერიონი გადაკოცნა და უთხრა, არაჩვეულებრივად გამოიყურებიო. მოლი და კლოდიაც ასევე მოიქცნენ. კლოდიამ საწოლზე ყვავილები დაუწყო - ამგვარი ფამილარობები ახლა დაიშვებოდა, რაკი დიდი ელი მერიონი ავად იყო.

კლოდია ინტერიერის დეტალებს პრიფესიული ინტერესით აკვირდებოდა: სამედიცინო დრამები კინოს სფეროში თითქმის ასპროცენტიანად წარმატებული იყო.

სიმართლე რომ ვთქვათ, ელი მთლად შესანიშნავად არ გამოიყურებოდა. ტუჩების გარშემო მელნისფერი ზოლები ემჩნეოდა, საუბრისას პირით ჰაერს ხაპავდა, ნესტოებში მწვანე მილაკები ჰქონდა გაჩრილი, რომლებიც კედელზე დამაგრებული, ბუშტუკებიანი წყლით სავსე ბოთლს უერთდებოდა, ის კი კედელში ჩადგმულ ჟანგბადის კონტეინერს უკავშირდებოდა.

- ეს ჟანგბადია, - აუხსნა ელიმ კლოდიას, როცა მისი მზერა შენიშნა.

- მხოლოდ დროებითია, - დაუმატა ბენცმა, - სუნთქვას უადვილებს.

მოლი ფლენდერსს ყურადღება არაფრისთვის მიუქცევია, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

- ელი, ბობის ვითარება ავუხსენი. მხოლოდ შენი თანხმობაა

საჭირო.

- მოლი, - ხალისიანად მიმართა ელიმ, - შენ ამ ქალაქში საუკეთესო იურისტი ხარ. ნუთუ სიკვდილის პირას მყოფ კაცს ფულის გამოძალვას დაუწყებ?

კლოდია შეწუხდა.

- ბობიმ გვითხრა, რომ თავს კარგად გრძნობ. შენი მონახულება გულწრფელად გვინდოდა.

მერიონმა უხერხულობა შეატყო და მის დასამშვიდებლად ხელი ასწია.

- თქვენი არგუმენტები ჩემთვის გასაგებია, - თქვა მერე და მდივანი დაითხოვა. ექთანი - სასიამოვნო შესახედაობის მოსული ქალი, სასადილო მაგიდასთან წიგნს კითხულობდა. მერიონმა მასაც ხელით ანიშნა, გასულიყო, მაგრამ ექთანმა თავი გააქნია და კითხვა განაგრძო. მერიონმა უხმოდ გაიცინა და სტუმრებს აუხსნა:

- ეს პრისცილაა, მთელ კალიფორნიაში საუკეთესო ექთანი. ექიმმა საგანგებოდ შემირჩია და მისი სიტყვა აქ კანონია.

ექთანმა სტუმრებს თავი დაუკრა და ისევ წიგნს მიუბრუნდა.

- მინდა, ვეილის პროცენტი ოცი მილიონით განვსაზღვროთ. ნაკლები უსამართლობაა, - ჩამოარაკრაკა მოლიმ.

- რატომაა უსამართლობა? მან კონტრაქტს მოაწერა ხელი, - ჩაერია ბენცი.

- ბობი, მოკეტე, - მიუგდო მოლიმ.

- კლოდია, რას ფიქრობ? - ჰკითხა ელიმ ახალგაზრდა ქალს.

კლოდია ხედავდა, რომ მერიონი იმაზე უფრო მძიმედ იყო ავად, ვიდრე ამას ბენცი წარმოაჩენდა. ნაძირალობად მიაჩნდა, იმ ადამიანზე ზეწოლა, ვისაც სუნთქვაც კი უჭირდა. ლამის წასვლა დააპირა, მაგრამ ერთბაშად მიხვდა, რომ ელი მათ არაფრის დიდებით არ მოუშვებდა, ეს საკუთარი მიზნებისთვის რომ არ დასჭირვებოდა.

- ერნესტი უცნაური კაცია, - უთხრა კლოდიამ ელის, - ოჯახზე ზრუნვა აქვს გადაწყვეტილი. ელი, შენ მწერლები მუდამ გიყვარდა. ესეც ხალოვნების დარგში ერთგვარ ქველმოქმედებად მიიღე. ბოლოს და ბოლოს, „მეტროპოლიტენ მუზეუმს“ ოცი მილიონი აჩუქე და რა იქნება, ერნესტსაც იგივე რომ გაუკეთო?

- და ყველა აგენტი გადავიმტეროთ, არა? - ჩაერია ბენცი.

ელიმ ჰაერი შეისუნთქა, ამ დროს მილაკები უფრო ღრმად ჩაუვიდა ნესტოებში.

- მოლი, კლოდია, გთხოვთ, ეს ჩვენს პატარა საიდუმლოდ დარჩეს. ვეილს ყველა სურათიდან მაღალ პროცენტს - მაქსიმუმ ოც მილიონს გამოვუყოფ. წინასწარ ერთ მილიონს მივცემ. ეს დაგაკმაყოფილებთ?

მოლიმ მისი ნათქვამი უსწრაფესად გადახარშა, მიხვდა, რომ ამაზე კარგ შედეგს მაინც ვერ მიაღწევდა და ვიდრე ელი გადაიფიქრებდა, სასწრაფოდ დათანხმდა.

- შესანიშნავია, ელი, დიდი მადლობა, - მოლი დაიხარა და ლოყაზე აკოცა, - დოკუმენტაციას ხვალ ოფისში გამოვგზავნი. გულწრფელად გისურვებ გამოჯანმრთელებას.

კლოდია აღტაცებას ვერ ფარავდა. მოხუცს ხელი ჩასჭიდა და მოახლოებული სიკვდილის სიცივე იგრძნო. კანზე ყავისფერი ლაქებიც შეამჩნია.

- შენ ერნესტის სიცოცხლე იხსენი.

ამ დროს ელი მერიონის ქალიშვილი შემოვიდა ორ ბავშვთან ერთად. ექთანი პრისცილა კატასავით წამოხტა და ბავშვებსა და საწოლს შუა ჩადგა. ქალიშვილი ორჯერ იყო გათხოვილი და გაყრილი, მამასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ელიმ მას, საყვარელი შვილიშვილების ხათრით, „ლოდსტოუნის“ ბაზაზე საპროდუქციო კომპანია აჩუქა.

კლოდია და მოლი დაემშვიდობნენ და მოლის ოფისიდან ერნესტს ტელეფონით ახარეს ახალი ამბავი. მან გამარჯვების აღსანიშნავად, ორივე სადილად დაპატიჟა.

მერიონის ქალიშვილი მამას სულ ცოტა ხანს ელაპარაკა, თუმცა მაინც მოახერხა, დაეთანხმებინა, მისი მომდევნო ფილმისთვის ძალზე ძვირად ღირებული რომანი შეესყიდა. როცაკვლავ პირისპირ აღმოჩნდნენ, ბენცმა უთხრა:

- დღეს რაღაც, ძალზე დამყოლი ხარ.

ელიმ აუწერელი დაღლილობა იგრძნო, თუმცა სხეულს ხელოვნურად მიეწოდებოდა ჟანგბადი. ბობისთან შეეძლო, მოდუნებულიყო, თვალთმაქცობა აღარ სჭირდებოდა, რადგან არაერთი ომი ჰქონდათ მოგებული ერთად, დაუსახავთ და განუხორციელებიათ გრანდიოზული გეგმები, ძალაუფლებაც ერთად

მოიპოვეს და ერთურთს უსიტყვოდ უგებდნენ.

- როგორი ფილმი გამოვა ამ რომანისგან, ჩემი ქალიშვილისთვის რომ ვიყიდე? - ჰკითხა ბენცს ელიმ.

- დაბალბიუჯეტიანი, - მშვიდად უპასუხა ბენცმა, - შენი ქალიშვილი სულ „სერიოზულ“ ფილმებს იღებს.

- სხვისი კარგი გეგმების განხორციელება სულ მე და შენ რატომ უნდა დავაფინანსოთ? - დაღლილი ჟესტით აიქნია ხელი მერიონმა. - წესიერი სცენარისტი შეურჩიე, მაგრამ ვარსკვლავებს ნუ მოიწვევ. ჩემი შვილიც კმაყოფილი დარჩება და არც ჩვენ ვიზარალებთ დიდად.

- ვეილს მართლა აძლევ მაღალ პროცენტებს? - ჰკითხა ბენცმა. - ჩვენი ადვოკატი ამბობს, რომც მოკვდეს, სასამართლოს მაინც მოვიგებთო.

- თუ უკეთ გავხდი, კი, - თავისი ნატიფი ღიმილით უპასუხა ელიმ, - თუ არა და, შენზეა. მალე ყველაფერს შენ წარმართავ.

- ელი, რას ამბობ? რა თქმა უნდა, უკეთ გახდები! - გულწრფელად შეძრწუნდა ბენცი. სულაც არ ეჩქარებოდა მერიონის მემკვიდრეობის გადმობარება, უფრო მეტიც - ძრწოლა აიტანდა ხოლმე, როცა ფიქრობდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს დღე მაინც დადგებოდა. რაგინდარა საქმეს შეასრულებდა, ოღონდაც მერიონის მხარდაჭერით ზურგი ჰქონოდა გამაგრებული.

- არა, ბობი, შენი ჯერი დგება, - გაუმეორა ელიმ, - მეტს ვეღარ გავქაჩავ. ექიმების თქმით, აუცილებელია გულის ტრანსპლანტაცია, მე კი გადავწყვიტე, ამაზე უარი ვთქვა. მირჩევნია, ერთი წელი, ექვსი თვე

თუ უფრო ნაკლები ამ ჩემი ბებერი გულით ვიცხოვრო. ტრანსპლანტანტის მოსაპოვებლად მეტისმეტად მოხუცი ვარ.

- შუნტირება საქმეს არ უშველის? - ჰკითხა შემცბარმა ბენცმა. - სისულელეს ნუ ამბობ, რასაკვირველია, ტრანსპლანტანტს მიიღებ, ელი. ნახევარი საავადმყოფო შენი აშენებულია და ვალდებული არიან, ახალი გული გიშოვონ. მერე ათ საუცხოო წელიწადს გაატარებ! - ხანმოკლე პაუზა გააკეთა. - ახლა დაღლილი ხარ, ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ, - ეს რომ თქვა, დაინახა, რომ ელის ჩასთვლემია. ბენცი ექიმების სანახავად წავიდა და უთხრა, ელისთვის სატრანსპლანტაციოდ გულის ძებნა დაეწყოთ.

ერნესტ ვეილი, მოლი ფლენდერსი და კლოდია დე-ლენა გამარჯვებას სანტა-მონიკაში, რესტორან „ლა დოლჩე ვიტაში“ ზეიმობდნენ. ეს კლოდიას საყვარელი რესტორანი იყო. ახსოვდა, ბავშვობაში მამას იქ როგორ დაჰყავდა და პერსონალი მეფის საკადრისი მოწიწებით როგორ ეპყრობოდა.

ერნესტ ვეილი არაჩვეულებრივ ხასიათზე იყო, სიამაყით გაბღენძილიყო, რაკი მისმა მუქარამ გაჭრა. კლოდია უკვე მერამდენედ ფიქრობდა, ნეტავ, ვინმემ როგორ დაიჯერა, რომ ამ კაცს თავის მოკვლა შეუძლიაო?! სამივე კარგ გუნებაზე იყო: იტალიური საჭმელი და კარგი ღვინო ენერგიას მატებდათ.

- ახლა ის გვაქვს საფიქრალი, ამას დავჯერდეთ თუ მეტი პროცენტი მოვითხოვოთ, - თავხედურად განაცხადა ვეილმა.

- მეტისმეტსაც ნუ მოინდომებ, გარიგება უკვე შედგა, - უთხრა

მოლიმ.

ვეილმა კინოვარსკვლავის ჟესტით აკოცა ხელზე და აღტაცებით უთხრა:

- მოლი, გენიოსი ხარ! თუმცა - უმოწყალო გენიოსი. მაინც როგორ გეყოთ სიმტკიცე, მომაკვდავ კაცზე ასეთი ზეწოლა მოგეხდინათ?

- ერნესტ, - რბილად უთხრა მოლიმ და პურის ნაჭერი საწებელაში ამოაწო, - შენ ამ ქალაქს ვერასოდეს ვერაფერს გაუგებ. აქ ადამიანობა და მოწყალება არ არსებობს. აქ არც მთვრალებს უწევენ ანგარიშს, არც ნარკომანებს, არც შეყვარებულებს, არც დეპრესიაში ჩავარდნილებს. მაშ, ავადმყოფებისთვის რატომ უნდა დავუშვათ გამონაკლისი?

- ერთხელ სკიპი დირმა მითხრა, - ჩაურთო კლოდიამ, - როცა რაიმეს ყიდულობ, პარტნიორი ჩინურ რესტორანში უნდა წაიყვანო, ხოლო როცა ყიდი - იტალიურშიო. ნეტავ, რატომ?

- ის ხომ პროდიუსერია, - შენიშნა მოლიმ, - სადმე ამოიკითხავდა. კონტექსტის გარეშე ეს არაფერს ნიშნავს.

ვეილი ისე შეექცეოდა საჭმელს, გეგონებოდათ, ციხიდან ახლახან გამოვიდა. სპაგეტის სამი სხვადასხვა სახეობა შეუკვეთა და ქალებსაც ცოტ-ცოტა გადაუღო გასასინჯად.

- ამ რესტორანში, რომის გარდა, მსოფლიოში საუკეთესო იტალიური კერძებია, - თქვა მან, - სკიპის რაც შეეხება, აი, რას ნიშნავს: ჩინური საჭმელი იაფია და ფასს აგდებს, იტალიური მსუყეა და გაძინებს, გადუნებს, დამყოლს გხდის. მომწონს, რომ სკიპი

ყველაფერში ასეთი პრაგმატულია.

ვეილი მუდამ სამ დესერტს უკვეთდა. ყველაფერს როდი ითვისებდა, მაგრამ ნაირ-ნაირი კერძის დაგემოვნება უყვარდა. ეს მისი მხრიდან ახირებად არც კი ჩანდა, რადგან ყველაფერში ასეთი იყო: დაუდევრად იცვამდა, დაუდევრად იპარსავდა და ამ ფონზე მისი თვითმკვლელობის მუქარაც როდი გამოიყურებოდა არარეალურად. ბავშვურად უშუალო და პირდაპირი იყო და ამის გამო ბევრისთვის კიდეც უტკენია გული. კლოდიას ექსცენტრიკულიადამიანები არ აკვირვებდნენ: ჰოლივუდი ასეთებით სავსე იყო.

- იცი, ერნესტ, იმდენად ექსცენტრიკული ხარ, ჰოლივუდს ზუსტად მოერგები.

- არც ექსცენტრიკული ვარ და არც დახვეწილი, - მიუგო ვეილმა.

- ფულის გულისთვის თავის მოკვლას ექსცენტრიკულს არ ეძახი? - ჰკითხა კლოდიამ.

- ეს ჩვენი კულტურისადმი საკადრისი და სრულიად გულგრილი პასუხი იყო, - თავი გააქნია ვეილმა, - რასაც ვიმსახურებ, იმას ვერასოდეს ვიღებ. ამან დამღალა.

- ვერ გამიგია, რაღა გინდა? ათი წიგნი გამოეცი, პულიცერის პრემია მიიღე. მსოფლიოში ცნობილი მწერალი ხარ, - გაიკვირვა კლოდიამ.

ვეილმა სამივე თეფში სპაგეტი მოასუფთავა და ახლა ხბოს ხორცის დასაჭაშნიკებლად მოემარჯვა დანა-ჩანგალი.

- ეს ყველაფერი სისულელეა. რაც მთავარია, ფული არ მაქვს.

ორმოცდათხუთმეტი წელი დამჭირდა იმის გასარკვევად, რომ თუ ფული არ გაქვს, ნაგავი ხარ.

- ექსცენტრიკოსი კი არა, გიჟი ყოფილხარ, - მკაცრად უთხრა მოლიმ, - მორჩი წუწუნს. მდიდარი თუ არ ხარ, არც ღარიბი ხარ, თორემ აქ არ ვისხდებოდით. თავს ისე ნუ მოგვაჩვენებ, თითქოს შენი ხელოვნებისთვის მეტისმეტად დიდ მსხვერპლზე წასვლა გიწევდეს.

ვეილმა დანა-ჩანგალი გადადო და მოლის მკლავზე ხელი გადაუსვა.

- მართალი ხარ. ცხოვრებით ვტკბები. ეგ არის, ბედისწერამ ზურგი მაქცია, - ვეილმა ღვინო მოსვა და დრამატულად განაგრძო: - რომანებს აღარასოდეს დავწერ. ამას აზრი არ აქვს. დღეს ყველაფერს კინო და ტელევიზია წყვეტს.

- რა სისულელეა! - წამოიძახა კლოდიამ. - ხალხი წიგნების კითხვას არასოდეს შეწყვეტს.

- უბრალოდ გაზარმაცდი და მიზეზს ეძებ, რომ აღარ დაწერო, - უთხრა მოლიმ, - თავის მოკვლაც ამიტომ გინდოდა, - სამივეს გაეცინა. ვეილმა ქალებს თავისი თეფშიდან გაასინჯა ხბოს ხორცი. სუფრა ერთადერთი ადგილი იყო, სადაც გალანტურად იქცეოდა: ადამიანების ჭმევა უხაროდა.

- მართალია, მაგრამ დღეს პროზაიკოსი მაინც აღარავის სჭირდება. რაგინდ პრიმიტიულად წერო, კინოზე პრიმიტიული მაინც ვერ იქნები, - თქვა ვეილმა.

- კინოს ასე რატომ აკნინებ? - გაცხარდა კლოდია. - ჩემი თვალით

მინახავს, კარგ ფილმს აცრემლებული რომ უყურებდი. კინოც ხელოვნებაა.

ვეილი მართლაც ტკბებოდა ცხოვრებით. სტუდიასთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვა და ახლა აღარაფერი ენაღვლებოდა.

- გეთანხმები, - დიდსულოვნად თქვა მან, - კინო ხელოვნებაა. ამას შური მალაპარაკებს. კინო ლიტერატურას აუფასურებს. წარმოიდგინე, რა აზრი აქვს უმშვენიერესი პეიზაჟის, მზის ჩასვლის, დათოვლილი მთების თუ ოკეანის დიდებული ზვირთების აღწერას, - ამას რომ ამბობდა, მკლავებს პათეტიკურად შლიდა, - ან რა აზრი აქვს ქალის მშვენიერების აღწერას, თუკი ამ ყველაფერს ეკრანზე ფერებში ნახავ? კინოში ისეთ იდუმალ და მომნუსხველ ლამაზმანებს იხილავ, ცოცხალს ბევრად რომ სჯობიან, წიგნში აღწერილზე აღარაფერს ვლაპარაკობ. ან რა აზრი აქვს ვაჟკაცთა საბრძოლო გმირობების აღწერას, თუკი ეს ყველაფერიც ეკრანზე ბუნებრივად და სისხლსავსედ აისახება. დღეს სლაი სტალონეს შეუძლია, „ილიადაში“ აქილევსის როლი შეასრულოს. თუმცა, ერთადერთი, რასაც კინო ვერ გადმოსცემს, პერსონაჟების ფიქრები, მათი შინაგანი სამყარო და განცდებია. მაგრამ ყველაზე უარესი იცი, რა არის? მე სნობი ვარ და გამორჩეულობას ვესწრაფვი. მაღიზიანებს კინოხელოვნების დემოკრატიულობა. ფილმის გადაღება ხომ ნებისმიერს შეუძლია. მართალი ხარ, კლოდია, ბევრჯერ ავუტირებივარ ფილმს, არადა, ვიცი, რომ ეს ფილმები ხეპრე, უნიჭო და გაუნათლებელმა ადამიანებმა გადაიღეს. მიუხედავად ამისა, მაყურებელზე მაინც მოქმედებს. რატომ?

იმიტომ, რომ კინო შთაბეჭდილების მოსახდენად იყენებს ხელოვნების სხვადასხვა დარგს - სკულპტურას, მხატვრობას, მუსიკას, უახლეს ტექნოლოგიებს და ადამიანის სხეულსაც. მწერალს კი, სიტყვის გარდა, სხვა იარაღი არ გააჩნია. თუ დავფიქრებით, ეს არცაა ცუდი. ეს ახალი ხელოვნებაა. ახალი, დემოკრატიული, უმტკივნეულო ხელოვნება. საკმარისია, ხარისხიანი კამერა შეიძინო და მეგობრებს შეუთანხმდე და ფილმი მზად გაქვს.

ვეილმა გაბრწყინებული სახით გადახედა ქალებს.

- განა ეს შესანიშნავი არ არის? ხელოვნება, რომელიც ჭეშმარიტ ნიჭს არ მოითხოვს. მალე ყველა შეძლებს საკუთარი ფილმის შექმნას. ეს კათარზისი იქნება, ეს სექსსაც კი შეცვლის. მე შენი ფილმის სანახავად მოვალ, შენ კი ჩემსას ნახავ. ამგვარი ხელოვნება სამყაროს გარდაქმნის და გააუმჯობესებს. კლოდია, გიხაროდეს, იმ ხელოვნებას რომ ემსახურები, რომელსაც მომავალი ეკუთვნის.

- მაინც რა ავყია და მეტიჩარა ვინმე ხარ, - აღშფოთდა მოლი, - კლოდია შენს ინტერესებს კბილებით იცავდა, მეც, ყველა იმ ბოროტმოქმედზე უფრო ფაქიზად გეპყრობოდი, ვისაც სასამართლოში ვიცავდი, შენ კი ამის საპასუხოდ სადილად იმისთვის დაგვპატიჟე, რომ შეურაცხყოფა მოგვაყენო.

- რას ამბობ? არც ერთს არ გაყენებთ შეურაცხყოფას, - გულწრფელად გაიოცა ვეილმა, - რაც არის, იმას ვამბობ. ორივეს ძალიან გემადლიერებით, - წამით დადუმდა, მერე კი მოკრძალებით წარმოთქვა: - არვამბობ, რომ თქვენზე უკეთესი ვარ.

- ერნესტ, - გაეცინა კლოდიას, - რას მიედ-მოედები?

- მოდით, ახლა რეალურ საქმეზე ვილაპარაკოთ. დარწმუნებული ვარ, თავი რომ მოვიკლა, სტუდია ჩემს ოჯახს ორჯერ მეტ პროცენტს გამოუყოფს.

- ასეა, - უთხრა მოლიმ, - მაგრამ იცოდე, თუ ზედმეტი პროცენტების გულისთვის დააპირებ თავის მოკვლას, ჩემი დახმარების იმედი ნუღარ გექნება.

კლოდია გაოცებული შესცქეროდა მწერალს.

- ერნესტ, მაინც უკმაყოფილო ხარ? შესანიშნავი პირობები შეგიქმენით. ამის იმედიც მქონდა. როცა ელი დაგვთანხმდა, ისე გამიხარდა...

- კლოდია, შენ სულ არ იცნობ ცხოვრებას და ამიტომაც ხარ იდეალური სცენარისტი, - გულითადად უთხრა ვეილმა, - რა განსხვავებაა, კმაყოფილი ვარ თუ - არა? ადამიანი დღეს კმაყოფილია, ხვალ კი შეიძლება, უდიდესი უბედურება დაატყდეს თავს. დღეს გამარჯვებას ვზეიმობ, თავის მოკვლა აღარ მჭირდება, საუცხოო სადილს მივირთმევ მშვენიერ და ჭკვიან ქალბატონებთან ერთად. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს ცოლ-შვილს მატერიალური პრობლემები აღარ შეექმნება.

- ჰოდა, რა ჯანდაბა გაწუწუნებს?! - ვეღარ მოითმინა მოლიმ. - ან შენს თავს და ან ჩვენ რას გვიშხამავ დღესასწაულს?

- იმიტომ, რომ წერა აღარ შემიძლია. ეს არავისთვისაა ტრაგედია, უბრალოდ, ამის გარდა სხვა არაფერი მეხერხება, - ამას რომ

ამბობდა, ისე მადიანად შეექცეოდა ერთდროულად სამივე დესერტს, რომ ქალებმა გადაიხარხარეს. ვეილმა გაუღიმა. - ბებერი ელი კარგად გავაცურეთ. მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, მოლი: რანაირად შეიძლება, ფილმის შემოსავლიდან ათი პროცენტი მეკუთვნოდეს, ფილმი სულ რაღაც თხუთმეტი მილიონი დაჯდეს, მოგება ასი მილიონი ჰქონდეს, ჩემამდე კი ერთმა ცენტმაც კი ვერ მოაღწიოს? ეს საიდუმლო ამიხსენი და მერე, თუ გინდა, მომკალი. P SEP

მოლი გამოცოცხლდა, ჩანთიდან ბლოკნოტი ამოაძვრინა, რაღაც გამოთვალა. P SEP

- ეს სავსებით კანონიერად გამოდის და იმ კონტრაქტს შეესაბამება, რომლისთვისაც თავიდან ხელი არ უნდა მოგეწერა. მაგალითისთვის ავიღოთ ასმილიონიანი შემოსავალი. კინოთეატრებსა და გამქირავებლებს ნახევარი ეკუთვნით, მაშასადამე, სტუდია მხოლოდ ორმოცდაათ მილიონს იღებს. ამას გაქირავების შემოსავალი ეწოდება. სტუდია ამ ორმოცდაათ მილიონს ფილმის ხარჯებს აკლებს. რჩება ოცდათხუთმეტი მილიონი. მაგრამ შენი კონტრაქტისა და სტუდიის სხვა კონტრაქტების უმეტესობის თანახმად, სტუდია გაქირავების ოცდაათ პროცენტს ფილმის გავრცელებისთვის იღებს. ეს კიდევ თხუთმეტი მილიონის ტოლფასია. ესე იგი, შენ ოცი მილიონი გრჩება. აქედან გიქვითავენ ფილმის რეკლამირების, აფიშების ბეჭდვისა და სხვა ხარჯებს, რამაც შეიძლება, ხუთი მილიონი შეადგინოს. რჩება თხუთმეტი მილიონი. მაგრამ ყველაზე მთავარი ახლა იწყება. კონტრაქტის თანახმად, სტუდია ოცდახუთ პროცენტს

თავისი ხარჯების - ტელეფონის, დენის, აპარატურის საფასურის დასაფარავად იღებს. ესეც შენი თერთმეტი მილიონი. ამბობ, ძალიან კარგი, თერთმეტ მილიონს დავჯერდებიო. მაგრამ წამყვან ვარსკვლავს გაქირავებიდან, სულ ცოტა, ხუთი პროცენტი მაინც ეკუთვნის, რეჟისორსა და პროდიუსერსაც - ხუთ-ხუთი. ეს ხუთ მილიონამდე ადის. შენ ექვსი მილიონი გრჩება. ეს მაინც რომ გერგებოდეს, კიდევ რა გიჭირს? მაგრამ აქედან კიდევ ათას რამეს გიქვითავენ, მაგალითად - საფრანგეთსა თუ გერმანიაში ნაბეჭდი პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯებს. საბოლოოდ, არაფერი გრჩება. აი, ეს ხდება, როცა კონტრაქტს უჩემოდ აწერ ხელს. მე თუ ამიყვან ადვოკატად, კონტრაქტს ისე შეგიდგენ, რომ რეალურ მოგებას მიიღებ. ისეთს არა, როგორსაც ნატრობ, მაგრამ მაინც სოლიდურ, რეალურ წილს. გასაგებია?

- ბოლომდე მაინც ვერ ჩავწვდი, - გაეცინა ვეილს, - ტელევიზიისა და ვიდეოგაქირავების ფული სადღა მიდის?

- არავინ იცის, ტელე და ვიდეოგაქირავებით რამდენი ფული შემოდის, - უპასუხა მოლიმ.

- მერიონთან ახლანდელი შეთანხმება რეალურია? ისევ ხომ არ მომატყუებენ?

- მე ისე შევადგენ კონტრაქტს, რომ რაც გეკუთვნის, იმას უეჭველად მიიღებ.

- მაშ, სადარდებელი აღარაფერი მექნება და ვეღარც იმის საპატიო მიზეზი მომეცემა, რომ წერა შევწყვიტო, - იხუმრა ვეილმა.

- მართლაც ექსცენტრიკული ხარ, - უთხრა კლოდიამ.

- არა, უბრალოდ, ყველაფერი ფეხებზე მკიდია. ექსცენტრიკოსები განგებ სჩადიან უცნაურობებს, რათა ადამიანები მათ ნამდვილ არსს ვერ ჩასვწდნენ, იმიტომ, რომ ამ არსის გამოვლენის რცხვენიათ. მსახიობებიც ამიტომ არიან ასეთი ექსცენტრიკულები.

ვინ იფიქრებდა, რომ სიკვდილი ასეთი შვების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მშვიდად და სრულიად უშფოთველად შეჰგებებოდა? რაც მთავარია, ასეთი სიკვდილით ის ყველაზე იდუმალ და საყოველთაოდ გავრცელებულ მითს დაამსხვრევდა!..

ელი მერიონი გრძელ, უძილო ღამეს თავის პალატაში იწვა, მილაკებიდან ჟანგბადს ისრუტავდა და საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრობდა. ექთანი პრისცილა ღამითაც მის გვერდით იყო, წიგნს კითხულობდა და ლამის თითოეული სტრიქონის შემდეგ ავადმყოფს ყურადღებით აკვირდებოდა.

მერიონმა წარმოიდგინა, იმავე სცენას კინოში სულ სხვაგვარად დადგამდნენ: ვითარება უკიდურესად დაძაბულად წარმოჩინდებოდა, რადგან ავადმყოფი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა,ექთანი მის გარშემო იფუსფუსებდა, ექიმები წამდაუწუმ წინ და უკან ირბენდნენ. ხმაური, დაძაბულობა, ალიაქოთი. სინამდვილეში კი მშვიდად იწვა, თავისუფლად სუნთქავდა.

იცოდა, ამ პენტჰაუსში არაერთმა ცნობილმა ადამიანმა დალია სული. ვარსკვლავებმა, გავლენიანმა პოლიტიკოსებმა, უძრავი ქონების მილიარდერმა მფლობელებმა. ამქვეყნად ყველაფერი ამ

ადამიანებს ემორჩილებოდა, ბოლოს კი თვითონ მოუწიათ უკან დახევამ - სიკვდილს დაუხარეს თავი.

ცხადად ხედავდა თავის მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივას. გულის ტრანსპლანტაციაზე პირველ რიგში, იმიტომ თქვა უარი, რომ უკვე ოთხმოცის იყო, ასეთი მძიმე ოპერაცია კი, სულ ცოტა, ერთი წლით მაინც მოსწყვეტდა საქმიანობას. სტუდიას მაინც ვეღარასოდეს უხელმძღვანელებდა. მაშასადამე, ძალაუფლებას ანუ მთავარს დაჰკარგავდა.

აქედან გამომდინარე, მეორე: ძალაუფლების გარეშე ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. მისნაირი მოხუცი, აბა, სხვა რით უნდა დამტკბარიყო? სპორტით ვერ დაკავდებოდა, ვერც ქალებითა და საჭმელ-სასმლით დატკბებოდა. არა, ძალაუფლება სიბერის ერთადერთი სიამეა და ეს სულაც არაა ცუდი. ძალაუფლება ხომ სიკეთისთვისაც შეიძლება გამოიყენო. განა ერნესტ ვეილს ყველა გონივრული მოსაზრების საწინააღმდეგოდ არ გაუკეთა სიკეთე? განა იმიტომ არ თქვა ტრანსპლანტაციაზე უარი, რომ არ სურდა, რომელიმე ბავშვის ან ახალგაზრდისთვის გული წაერთმია? განა ესეც სიკეთე არ იყო?

თუმცა მერიონს ცხოვრებაში იმდენჯერ უნახავს თვალთმაქცობა, რომ არც საკუთარ თავში უჭირდა მისი ამოცნობა. კარგად იცოდა, თუ რატომ თქვა ოპერაციაზე უარი: ეს მოგებიანი გარიგება არ იქნებოდა. ერნესტ ვეილს კი სიკეთე იმიტომ გაუკეთა, რომ სენტიმენტალობა მოეძალა და მოინდომა, კლოდიასა და მოლის კეთილგანწყობა

დაემსახურებინა. და განა ის ცუდი იყო, რომ სურდა, კეთილი კაცის შთაბეჭდილება დაეტოვებინა?

განვლილი ცხოვრებით კმაყოფილი იყო. გაჭირვებიდან ბრძოლით გამოაღწია, ადამიანების მართვა ისწავლა. არც ლამაზი ქალები აკლდა, არც მდიდრული სახლები და ფუფუნება. წვლილი შეიტანა ხელოვნების შექმნაში. ქველმოქმედებასაც ეწეოდა: ამ საავადმყოფოს რამდენიმე ათეული მილიონი შესწირა. ცხოვრებაში ყველაზე მეტად კი მაინც ბრძოლა უყვარდა. საკუთარი მატერიალური კეთილდღეობისთვის ბრძოლა. მაგრამ ამაშიც რა იყო ცუდი? უბრძოლველად სიმდიდრესა და ძალაუფლებას ვერ მოიპოვებ და ვერც სიკეთეს გააკეთებ. დიდად არ ნანობდა ისეთ მცირე სისუსტეებს, როგორიც თუმდაც ერნესტ ვეილისადმი გაღებული სიკეთე იყო. ბობი ყველაფერს მოუვლიდა, თითოეულ პროცენტს ხელს მოუჭერდა, მერიონის ქალიშვილის კომპანიასაც დახურავდა, რომელსაც „ლოდსტოუნისთვის“ ზარალის გარდა არაფერი მოჰქონდა.

ნიშიდან ფაქსის ჩუმი წკრიალი მოისმა. მას მერიონის უძლურად მოფართხალე გულისცემა აჰყვა.

დაბოლოს - მხოლოდ სიმართლე. სიცოცხლით საკმარისად დამტკბარა. ახლა არა სხეულმა, არამედ გონებამ უმტყუნა.

სიმართლე კი ის იყო, რომ ადამიანებმა იმედი გაუცრუეს. ფულისა და სახელის გულისთვის იმდენი ღალატის, სიმდაბლისა და ბოროტების მომსწრე გამხდარა, იმდენჯერ უგემია სატრფოს, ცოლის, შვილის ორგულობა. ბედს ემადლიერებოდა, რომ ისეთი ფილმების

შექმნა მოახერხა, რომლებიც ადამიანებს იმედს უნერგავდა; იმისთვის, რომ შვილიშვილებს ეღირსა და იმისთვისაც, რომ მათ ზრდასრულობასა და საზოგადოებაში გარევას ვერ შეესწრებოდა. ¶

ფაქსის მანქანა დადუმდა. მერიონი გრძნობდა, გული ხან აუფართხალდებოდა, ხანაც გაყუჩდებოდა. ოთახში რიჟრაჟის შუქმა შემოაღწია. ექთანმა წიგნი დახურა და მაგიდის ნათურა გამორთო. მაინც რა საცოდაობაა, უცხო ადამიანის გვერდით ასე მარტოდ სიკვდილი, როცა სიცოცხლეში ამდენ გავლენიან ადამიანს უყვარდი. ექთანმა ქუთუთოები აუწია და მკერდზე სტეტოსკოპი მიადო. პალატის კარი ტაძრის კარივით ფართოდ გაიღო და ავადმყოფს საუზმის ჭურჭლის ჟღარუნი მოესმა...¶

მერე ოთახი კაშკაშა სინათლემ გაანათა. მერიონმა იგრძნო, მკერდში მუშტებს როგორ ურტყამდნენ და დაბინდულ გონებაში გაუელვა, - ნეტავ, ამას რისთვის სჩადიანო? იგრძნო გულის მასაჟი და ელექტროშოკი. „ნუთუ ასე კვდებიან ღმერთები?“ ¶

იცოდა, მთელი ჰოლივუდი იგლოვებდა, მაგრამ ყველაზე მეტად ექთანი პრისცილა იდარდებდა. ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა მისახედი, მერიონის გულისთვის ღამის ცვლაშიც დარჩა და ახლა ნამდვილად არ ესიამოვნებოდა, მერიონი მის ხელში რომ დალევდა სულს. მას ხომ კალიფორნიაში საუკეთესო ექთანის სახელი ჰქონდა განთქმული. თანაც, სიკვდილი სძაგდა. იმ წიგნმა, მთელი ღამე რომ კითხულობდა, ისე გაიტაცა, რომ გადაწყვიტა, მერიონისთვის საეკრანიზაციოდ შეეთავაზებინა. სამუდამოდ ექთანად დარჩენას

როდი აპირებდა: სცენარისტობაზე ფიქრობდა. მის ხელში არაერთმა გავლენიანმა ადამიანმა გამოიარა და პრისცილა იმედს არ კარგავდა, რომ სიკვდილისგან მათი გამოხსნით, საკუთარ ბედს შეცვლიდა.

ამ ყველაფერმა სიკვდილის წინ გაუელვა მერიონს გონებაში. ამდენ ფილმზე მუშაობით გაწაფული მისი ფანტაზია არც ახლა ისვენებდა.

სინამდვილეში, მან ისე მშვიდად და უხმოდ დალია სული, ექთანი მის საწოლთან რომ მივიდა, უკვე თხუთმეტი წუთის გარდაცვლილი იყო. ოცდაათიოდე წამის განმავლობაში ორჭოფობდა, მოეხმო თუ არა ვინმე დახმარებისთვის. სიკვდილს კარგა ხანია, ახლოს იცნობდა. რისთვის გაეწამებინა მომაკვდავი? რისთვის გაეგრძელებინა მისი ტანჯვა?.. პრისცილა მერიონის ბედის უკანასკნელი და ყველაზე მოწყალემსაჯული აღმოჩნდა.

თავი 13

სენატორ უევენს ფრიად მნიშვნელოვანი სიახლე ჰქონდა სათქმელი, რომელიც კლერიკუციოს ოჯახისთვის ხუთი მილიონი დოლარის ხარჯის გაწევას მოასწავებდა. ეს ამბავი ჯორჯოს კურიერმა აცნობა. ეს ვრცელი ყალბი დოკუმენტაციის შექმნას მოითხოვდა: კროსს კაზინოს სალაროდან ხუთი მილიონი უნდა გამოეტანა და ამ თანხის გაქრობა საბუთებით განემტკიცებინა. ამავე დროს კროსმა კლოდიასა და ვეილისგანაც მიიღო შეტყობინება. სასტუმროში იმყოფებოდნენ, ერთ ნომერში იყვნენ გაჩერებული და სასწრაფო საქმეზე სალაპარაკოდ მასთან შეხვედრა უნდოდათ.

ლია ვაზიმაც დაურეკა სანადირო კოტეჯიდან და ამცნო, რომ სალაპარაკო ჰქონდა და უკვე გზაში იმყოფებოდა. საჩქაროაო, არ უთქვამს, ამას აზრიც არ ჰქონდა, რადგან თვით ფაქტი, რომ ის კროსს შეეხმიანა, უკვე მნიშვნელოვან საქმეზე მიუთითებდა.

კროსმა სენატორისთვის გადასაცემ ფულთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება დაიწყო. თანხა იმდენად დიდი იყო, რომ ნაღდ ფულს ერთი პორტფელი ვერ დაიტევდა. კროსმა სასტუმროს სუვენირების მაღაზიაში დარეკა: ახსოვდა, იქ გასაყიდად ურჩხულებით მოხატული და ყალბი თვლებით მოოჭვილი ანტიკვარული ჩინური ჩემოდანი რომ ჰქონდათ, ზომით ახლა სწორედაც რომ გამოადგებოდა და საკეტიც საკმაოდ მაგარი ჰქონდა.

გრონეველტმა ასწავლა, ამოღებული თანხა საბუთებით როგორ უნდა განემტკიცებინა: საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო, საკვებისა და სასმლის სხვადასხვა არარსებული მომწოდებლისთვის და ასევე არარსებული კლიენტებისთვის წვრილ-წვრილი თანხების გადარიცხვა უნდა გაეფორმებინა.

კროსმა ამ საქმეს ერთი საათი მოანდომა. სენატორი უევენი ხვალამდე ან კვირა დღემდე არ ჩამოვიდოდა და წასვლამდე ანუ ორშაბათ დილამდე უნდა მიეღო ფული. კროსი გადაიღალა, გონებას ვეღარ იკრებდა და დასვენება გადაწყვიტა.

კლოდიას დაურეკა.

- ერნესტს საშინელი პრობლემები აქვს, უნდა დაგელაპარაკოთ, -

უთხრა კლოდიამ.

- კარგი. იქნებ კაზინოში ჩახვიდეთ, ცოტა ხანს თამაშით შეიქციოთ თავი და ერთ საათში ზარის მაგიდასთან დამელოდოთ? მერე ერთად ვისადილოთ და თქვენს პრობლემებს გამიზიარებთ.

- არა, ვერ ვითამაშებთ, - შეწუხებული ხმით იუარა კლოდიამ, - ერნესტმა სასტუმროს კრედიტს გადააჭარბა.

კროსმა ამოიოხრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერნესტ ვეილს სასტუმროსი ასი ათასი მართებდა, ხოლო მისი ვექსელები ფაქტობრივად, ტუალეტის ქაღალდს უტოლდებოდა.

- მაშინ ერთი საათი მაცალეთ და მერე ჩემთან ამოდით. აქ ვისადილოთ.

კროსმა ჯორჯოს დაურეკა და დაუდასტურა, რომ სენატორისთვის გადასაცემი თანხა მზადაა. ასე იმიტომ არ მოქცეულა, რომ კურიერს არ ენდობოდა, არამედ თავიდანვე ასეთი წესი ჩამოუყალიბდათ. სენატორის გვარი და თანხა წინასწარ შეთანხმებული ასოებისა და რიცხვებისგან შემდგარი კოდით ამცნო.

კროსმა საბუთებზე მუშაობის გაგრძელება სცადა, მაგრამ აზრები ვერ მოიკრიბა. თუკი სენატორი ხუთ მილიონს ითხოვდა, ჩანდა, ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა. ასევე უნდა ყოფილიყო ლია ვაზის შემთხვევაში, თუკი ასე საჩქაროდ მოდიოდა მასთან შესახვედრად.

კარზე ზარი დარეკეს. დაცვამ კლოდია და ვეილი შემოაცილა. კროსმა და თბილად ჩაიკრა გულში, რათა არ ეფიქრა, რომ კაზინოში

წაგების გამო უბრაზდებოდა. სტუმრები დასვა, ოთახის სერვისის მენიუ მიაწოდა და შემდეგ მათი შეკვეთები შესაბამის სამსახურს ტელეფონით გადასცა. კლოდია დაძაბული იჯდა ტახტზე, ვეილი კი სავარძლის საზურგეზე მოდუნებულად გადაწოლილიყო ისეთი იერით, თითქოს არაფერი ედარდებოდა.

- კროს, - დაიწყო კლოდიამ, - ვეილი საშინელ მდგომარეობაშია. მისთვის რაღაც უნდა ვიღონოთ.

ვეილი სულაც არ გამოიყურებოდა ცუდად: თვალები მიელულა, ტუჩებზე კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა. კროსი ამან გააღიზიანა.

- ვიღონებ კიდეც. პირველ რიგში, კრედიტს მოვუხსნი და ამით ფულს დავზოგავ. ვეილზე ცუდი მოთამაშე მეორე არ მინახავს.

- ახლა თამაშს არ ვგულისხმობ, - უთხრა კლოდიამ და ვეილისთვის მერიონის მიერ მიცემული პირობის შესახებ ყველაფერი უამბო.

- მერე რა? - ჰკითხა კროსმა.

- ახლა, როცა ელი ამქვეყნად აღარაა, ბობი ამ პირობას არ შეასრულებს. ის ძალაუფლებით დათვრა, ცდილობს, მერიონის პოლიტიკა განაგრძოს, მაგრამ საამისოდ არც ინტელექტი ჰყოფნის, არც პიროვნული ხიბლი. ასე რომ, ერნესტი ისევ მოტყუებული დარჩა.

- მერე მე რა ჯანდაბა უნდა ვქნა? - ჰკითხა კროსმა.

- შენ „ლოდსტოუნის“ პარტნიორი ხარ „მესალინაში“, რამენაირად ჩააგონე ბობის, რომ ელის მოცემული პირობა შეასრულოს.

მსგავს შემთხვევებში კროსს კლოდიას გულუბრყვილობა საშინლად აღიზიანებდა. იცოდა, რომ ბენცი არაფრით დაუთმობდა.

- არა, - გადაჭრით უთხრა კროსმა, - ერთხელ უკვე აგიხსენი: საქმეს ისე ვერ წამოვიწყებ, თუ მის შედეგში დარწმუნებული არ ვიქნები, აქ კი ვიცი, რომ ამაოდ გავირჯები.

- ეს ლოგიკა არასოდეს მესმოდა, - თქვა კლოდიამ და ამოიოხრა, - ერნესტი სერიოზულად აპირებს თავის მოკვლას. ამ შემთხვევაში მისი ოჯახი მაღალ პროცენტს მიიღებს.

ვეილი პირველად ჩაერია საუბარში.

- კლოდია, რით ვერ გაიგე შენი ძმის ამბავი? თუკი ვიღაც თხოვნაზეუარს ეტყვის, ის იძულებული გახდება, ეს ვიღაც მოკლას, - ამ სიტყვებით მან კროსს ფართოდ გაუღიმა.

კროსი განრისხდა იმის გამო, რომ ვეილმა კლოდიას თანდასწრებით ასეთი ლაპარაკი გაუბედა, მაგრამ სწორედ ამ დროს ბორბლიანი მაგიდებით ნომრის სერვისის შეკვეთა შემოაგორეს და სამივემ სასადილო ოთახში მაგიდასთან გადაინაცვლა. როცა საჭმელად დასხდნენ, კროსმა მაინც ვერ მოითმინა და ერნესტს უთხრა:

- ერნესტ, თავს თუ მოიკლავ, ამით მართლაც ყველა პრობლემას ერთბაშად გადაჭრი. მე მხოლოდ იმით შემიძლია დაგეხმარო, რომ სულ ზედა სართულზე მოგცე ნომერი. მაშინ ისღა დაგრჩება, ფანჯრიდან გადააბიჯო.

ახლა უკვე კლოდია გაცხარდა:

- კროს, ეს სახუმარო არ არის. ერნესტი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია, შენ კი ჩემი ძმა ხარ და კაცმა რომ გკითხოს, ჩემთვის ყველაფერს გაიღებ.

კროსი ფეხზე ადგა და კლოდიას ისევ გადაეხვია.

- მე არაფერი შემიძლია. ჯადოქარი ხომ არ ვარ.

ერნესტ ვეილი გემრიელად ილუკმებოდა და სულ არ ეტყობოდა, რომ თავის მოკვლას აპირებდა.

- თავს ნუ იკატუნებ, კროს. საქმე ისაა, რომ ფანჯრიდან გადახტომას ვერ გავბედავ. წარმოსახვის ძალზე ძლიერი უნარი მაქვს და, ვიდრე ქვემოთ ჩავაღწევ, ათასჯერ მოვკვდები იმის დარდით, ვაითუ, ვინმე უდანაშაულოს ზედ დავეცე. იმდენად ლაჩარი ვარ, ვერც ვენებს გადავიჭრი: სისხლის დანახვას ვერ ვიტან. ვერც ცეცხლსასროლ და ვერც ცივ იარაღს ვიტან. ავტოავარიაც მაშინებს: ხომ შეიძლება, გადავრჩე და სიცოცხლის ბოლომდე ხეიბრად დავრჩე?! არ მინდა, ბენცმა და დირმა დამცინონ და ფული ცხვირწინ ამაცალონ. მაგრამ შენ შეგიძლია, ერთი რამე გააკეთო: მკვლელი მომიგზავნო. წინასწარ ნუ მეტყვი, ეს როდის მოხდება, უბრალოდ გააკეთე.

კროსმა გულიანად გადაიხარხარა. მერე კლოდიას თავზე ხელი გადაუსვა და ისევ თავის სკამს დაუბრუნდა.

- შენ რა, ფიქრობ, ეს რაღაც იაფფასიანი ფილმია? ადამიანის მოკვლა ხუმრობა ხომ არ გგონია?

მერე საწერ მაგიდასთან მივიდა, უჯრა გამოაღო და შავი ჩიპებით სავსე ქისა ამოიღო.

- აი, ათი ათასი. ერთხელაც სცადე ბედი სათამაშო მაგიდასთან. ოღონდ შემეშვი და ჩემი დის თანდასწრებით ნულარ შეურაცხმყოფ.

- წამოდი, კლოდია, - ხალისიანი კილოთი თქვა ვეილმა და ქისა ჯიბეში ჩაიდო, - შენი ძმა არ აპირებს დამეხმაროს.

ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, თამაში დაეწყო.

კლოდია თავგზაარეული იდგა, ფიქრობდა და დასკვნის გამოტანას ვერ ახერხებდა: ვერაფრით იჯერებდა, რომ მისი ძმა მართლაც ის იყო, რადაც მას ვეილი წარმოაჩენდა. მერე კროსს ლოყაზე აკოცა და ჩუმად უთხრა:

- ერნესტის გამო ძალიან ვნერვიულობ.

- მშვენივრად იქნება. თამაში ისე უყვარს, თავის მოკვლა სულ გადაავიწყდება. თანაც, ის ხომ გენიოსია?

- ჰო, თვითონ ასე ამბობს და მეც მჯერა, - გაეცინა კლოდიას, - თანაც ლაჩარია, - დაუმატა, მაგრამ ვეილისკენ ხელი გაიწვდინა და თბილად მიეფერა.

- რა საქმე გაქვს ამ კაცთან? ერთ ნომერში რატომ ცხოვრობთ? - ვეღარ მოითმინა კროსმა.

- იმიტომ, რომ ჩემი ახლო მეგობარია და იმიტომ, რომ მისი წიგნები მიყვარს, - გაბრაზდა კლოდია.

როცა ისინი წავიდნენ, კროსი იმაზე დაფიქრდა, სენატორისთვის ფული როგორ მიეწოდებინა. კაზინოს მენეჯერს, კლერიკუციოს ერთგულ კაცს დაურეკა და სთხოვა, თანხა მასთან პენტჰაუსში ამოეტანა.

მენეჯერმა ორი ხელქვეითის (ასევე კლერიკუციოს ხალხის) დახმარებით, ფულით სავსე ორი ტომარა ამოიტანა და კროსს ჩემოდანში მის ჩაწყობაში მიეხმარა. თან შენიშნა, ლამაზი ჩემოდანიაო.

მათი წასვლის შემდეგ კროსმა საწოლს ფართო პლედი მოხსნა და ჩემოდანს შემოახვია. მერე ნომრის სერვისს ორ პერსონაზე საუზმე შეუკვეთა. ცოტა ხანში შეატყობინეს, რომ ლია ვაზი ელოდებოდა.

კროსი ლიას გადაეხვია. მისი ნახვა მუდამ ახარებდა. როცა საუზმის შემოტანის შემდეგ მარტონი დარჩნენ, კროსმა ჰკითხა:

- კარგი ამბავია თუ ცუდი?

- ცუდი. ის დეტექტივი, ბევერლი-ჰილზის სასტუმროში რომ გადაგვეყარა, როცა სკანეტთან ერთად მოვდიოდი, ჯიმ ლაუზი, სანადირო კოტეჯში მომადგა და სკანეტთან ურთიერთობის შესახებ შეკითხვები დამაყარა. ყველაზე საგანგაშო ის არის, საიდან გაიგო, ვინ ვარ, და როგორ მომაგნო?! პოლიციასთან პრობლემები არასოდეს მქონია, ჩემი მონაცემები არ უნდა ჰქონდეთ. ესე იგი, ინფორმატორი ჰყავთ.

კროსი შეშფოთდა. კლერიკუციოს კლანში მოღალატე იშვიათად იყო და მუდამ უმოწყალოდ ისჯებოდა.

- ამას პირადად დონს მოვახსენებ, მაგრამ შენ რა გიყოთ? გინდა, ბრაზილიაში გაგამგზავრებთ დასასვენებლად, ვიდრე ეს ამბავი გაირკვევა?

ლიას თითქმის არაფერი უჭამია, მხოლოდ ბრენდის სვამდა და

ჰავანურ სიგარებს ეწეოდა.

- არა, ჯერჯერობით არ ვღელავ. უბრალოდ, შენი ნებართვა მჭირდება, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ კაცისგან თავი დავიცვა.

- ლია, ეს შეუძლებელია. ამ ქვეყანაში პოლიციის ოფიცერს ვერმოკლავ. ეს სიცილია არ არის. ახლა ისეთ რამეს გეტყვი, რაც წესით, არ უნდა იცოდე: ჯიმ ლაუზის კლერიკუციოს კლანი დიდ ფულს უხდის. შესაძლოა, განგებ გამოგეკიდა, რათა მეტი ფული გამოგვძალოს.

- ასეც რომ იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება: ინფორმატორი ჰყავს.

- ამას მივხედავ. ლაუზის გამო ნუღარ ღელავ.

- საშიში კაცია, ფრთხილად იყავი, - უთხრა ლიამ და სიგარა მოქაჩა.

- კარგი, ოღონდ დამპირდი, რომ დაუკითხავად არაფერს მოიმოქმედებ.

- რა თქმა უნდა, - თქვა ლიამ და თითქოს მოდუნდა. ოთახს თვალი შეავლო და იკითხა: - ამ პლედში რა არის გახვეული?

- მოკრძალებული საჩუქარი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ადამიანისთვის. ამაღამ სასტუმროში დარჩენა გინდა?

- არა. კოტეჯში დავბრუნდები და როგორც კი რამეს გაიგებ, შემატყობინე. მაგრამ ჩემი რჩევაა, ლაუზი დაუყოვნებლივ მოიცილო.

- ამის შესახებ დონს დაველაპარაკები, - მიუგო კროსმა.

სენატრი უოლტერ უევენი სამ თანმხლებ პირთან ერთად, სამ საათზე „ქსანადუს“ ვილაში დაბინავდა. როგორც ყოველთვის, უნომრო

ლიმუზინით იმგზავრა. ხუთ საათზე კროსს შემოუთვალა, ვილაში სწვეოდა.

კროსმა და ორმა მცველმა ჩემოდანი გოლფის თეთრი მანქანის საბარგულში ჩადეს, სადაც ჩვეულებრივ, გოლფის ჯოხები და ყინულიანი წყალი აწყვია. ერთ-ერთი მცველი საჭეს მიუჯდა, კროსი მის გვერდით მოთავსდა. სასტუმროდან ვილების ტერიტორიამდე ხუთი წუთი დასჭირდათ.

კროსს უყვარდა აქაურობა - ეს ტერიტორია ძლევამოსილების თავისებურ სიმბოლოს წარმოადგენდა: ვერსალის დაპატარავებული სასახლესავით შვიდი ვილა, რომელიც რომბის ფორმის ზურმუხტისფერი აუზითაც იყო დამშვენებული და აქაურობის დროებით ბინადართათვის განკუთვნილი, მარგალიტის ფორმის კაზინოთი.

კროსმა თავისი ხელით შეიტანა ჩემოდანი ვილაში. სენატორის ერთ-ერთმა რეფერენტმა სასადილო ოთახამდე მიაცილა, სადაც სენატორი ცივ ვახშამს მიირთმევდა და ლიმონათს აყოლებდა. ალკოჰოლს აღარ ეკარებოდა.

ჩვეულებისამებრ სიმპათიური და გულღია იყო. მაღალი პოლიტიკური პოსტის მიუხედავად, კროსის შესაგებებლად ფეხზე წამოხტა.

კროსმა ჩემოდანს პლედი მოაცილა და იატაკზე დადგა.

- მცირედი ძღვენი სასტუმროსგან, სენატორო. გისურვებთ, ჩვენთან სასიამოვნოდ გაატაროთ დრო.

- საუცხოო საჩუქარია, კროს, უღრმესი მადლობა, - უთხრა

სენატორმა და ხელი ჩამოართვა, - ახლა კი მსურს, ორიოდე სიტყვა განმარტოებით გითხრათ.

კროსმა ხელში ჩემოდნის გასაღები შეუცურა. სენატორმა ის მაშინვე ჯიბეში ჩაიდო.

- ჩემოდანი ჩემს საძინებელში გადაიტანეთ და რომელიმე იქვე დარჩით, - უთხრა სენატორმა თანაშემწეებს, - მე კი ჩემს მეგობართან მარტო დამტოვეთ.

როცა პირისპირ დარჩნენ, სენატორმა გააფრთხილა:

- კარგი ამბავი კი მაქვს, მაგრამ ცუდიც მაქვს.

- ყოველთვის ასეა, - გაუღიმა კროსმა და უმალ გაიფიქრა, - ხუთი მილიონის წყალობით, კარგი ამბავი გაცილებით უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ცუდიო.

- ჯერ კარგ ამბავს მოგახსენებთ: ბოლო წლები აზარტული თამაშების ლეგალიზაციას მოვახმარე და კარგი შედეგიც მაქვს. ვფიქრობ, სენატშიც და წარმომადგენელთა პალატაშიც ხმების საკმარის რაოდენობას მოვაგროვებ. ეს ფულიც კიდევ რამდენიმე ხმას დამიმატებს და გადავწონით. ხომ ხუთია?

- ხუთია და მართლაც კარგ საქმეს მოხმარდება. ახლა ცუდი ამბებიც მაცნობეთ.

- ეს თქვენს მეგობრებს არ მოეწონებათ, განსაკუთრებით - ჯორჯოს, რომელიც ასეთი ფიცხი და სულსწრაფია, - სინანულით გააქნია თავი სენატორმა, - თუმცა არაჩვეულებრივი კაცია, არაჩვეულებრივი.

- ჩემი საყვარელი ბიძაშვილია, - ცივად მიუგო კროსმა.

სინამდვილეში, მასაც და, როგორც ჩანს, სენატორსაც ჯორჯო ოჯახიდან ყველაზე ნაკლებად უყვარდა.

ამის შემდეგ უევენმა „ბომბი ჩამოაგდო“:

- პრეზიენტმა განაცხადა, რომ ამ კანონპროექტს ვეტოს დაადებს. ჩვენ კი საკმარისი ხმები არ გვექნება, რომ ვეტო დავძლიოთ.

კროსი გაოგნდა. ეს კაცი რას მიედ-მოედებოდა?!

- ესე იგი, ეს ხუთი მილიონი პრეზიდენტისთვისაა?

- ოჰ, არა, რას ამბობთ?! მე და ის ერთსა და იმავე პარტიაშიც კი არ ვართ, - შეიცხადა სენატორმა, - თანაც, როცა ის კერძო ცხოვრებას დაუბრუნდება, საკმარისად მდიდარი იქნება.

- ესე იგი, ვიდრე პრეზიდენტი არ მოკვდება, ვერაფერს მივაღწევთ? - როგორც იქნა, გამოერკვა კროსი.

- ასეა. ძალზე პოპულარულია და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მეორე ვადით აირჩევენ. უნდა მოვიცადოთ.

- კიდევ ხუთ წელიწადს მოვიცადოთ, ვიდრე სხვა, უფრო ლოიალური პრეზიდენტი გვეყოლება?

- მთლად მასეც არ არის. უნდა გაგაფრთხილოთ: ხუთ წელიწადში კონგრესის პოზიცია შეიძლება შეიცვალოს და არ გამოვრიცხავ, რომ იმდენ ხმას ვეღარ დავაგროვებ, რამდენსაც ახლა. ეს უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული.

კროსი ჯერ კიდევ ცდილობდა იმაში გარკვევას, თუ რას ეუბნებოდა უევენი.

- ცხადია, თუკი პრეზიდენტს რაიმე დაემართა, ვიცე-პრეზიდენტი

ხელს მოაწერს კანონპროექტს. ასე რომ, იმის იმედადღა ვრჩებით, რომ პრეზიდენტი გულის შეტევამ ანდა ავიაკატასტროფამ იმსხვერპლოს. ადრე თუ გვიან ხომ ყველანი დავიხოცებით.

კროსი, როგორციქნა, მიხვდა, სენატორს საუბარი საით მიჰყავდა და ბრაზი მოაწვა: ეს ნაძირალა კლერიკუციოს ოჯახს ატყობინებდა, ჩემი როლი შევასრულე, ახლა კი თქვენი ჯერია, ადექით და ამერიკის პრეზიდენტი მოკალითო. კროსი დარწმუნებული იყო, რომ დონი ამაზე არ წავიდოდა, ხოლო თუ ასეთი სასწაული მაინც მოხდებოდა, ის დაუყოვნებლივ გაწყვეტდა ოჯახთან ყოველგვარ კავშირს.

- ახლა ყველაფერი უიმედოდ ჩანს, - არ ჩერდებოდა უევენი, - მაგრამ ფორტუნა შეიძლება შემობრუნდეს. ვიცე-პრეზიდენტი ჩემი ახლო მეგობარია, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პარტიაში ვართ. ვიცი, ის ჩემს კანონპროექტს ხელს მოაწერს. უნდა მოვიცადოთ და ვნახოთ. - მას შემდეგ, რაც ამ სიმპათიურმა და თითქოს უწყინარმა კაცმა კროსს პრეზიდენტის მოკვლა შესთავაზა, მშვიდად მიუბრუნდა მაგიდაზე გაშლილ კერძებს და მერე დასძინა: - მხოლოდ ამაღამ დავრჩები. თქვენს შოუში ხომ არ მოიძებნება ისეთი გოგონები, ჩემისთანა გადაყრუებულ ბებერთან ერთად რომ ისურვებდნენ საღამოს გატარებას?

თავის ნომერში დაბრუნებისთანავე კროსმა ჯორჯოს დაურეკა და აცნობა, რომ მეორე დღეს ქუოგში იქნებოდა.

დონი, პიპი, მისი ვაჟები - ჯორჯო, ვინსენტი და პიტი - და კიდევ დანტე - ამჯერად ცისფერი ჩაჩით - უკვე ელოდებოდნენ. დილა იყო და

სადილი ჯერ არ გაეშალათ. როგორც ყოველთვის, დონმა ბუხრის თავზე სილვიოს პორტრეტსა და კროსისა და დანტეს ნათლობის ამსახველ სურათზე მიუთითა და შენიშნა, რა ბედნიერი დღე იყოო!

კროსმა დაწვრილებით მოახსენა, როგორ გადასცა სენატორს ხუთი მილიონი და მერე სიტყვასიტყვით მოუყვა მასთან საუბრის შესახებ.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. დამსწრეთ კროსის ახსნა-კომენტარი არაფერში სჭირდებოდათ. ასეთი საშინელი მისია მათთვისაც კი წარმოუდგენელი იყო.

- ეს წყეული სენატორი გაგიჟდა? - წამოიყვირა ვინსენტმა.

- სწორად თუ გაიგე სენატორის სათქმელი? - ჰკითხა დონმა კროსს. - სენატორი მართლაც გვირჩევს, ჩვენი ქვეყნის მეთაური და მისი პოლიტიკური პარტნიორი მოვკლათ?

- ხომ გაიგე, ერთ პარტიაში არ ყოფილან, - ირონიულად შენიშნა ჯორჯომ.

- სენატორი არასოდეს გაისვრება ამგვარ საქმეში, - უთხრა კროსმა, - მან მხოლოდ ფაქტები მოგვაწოდა. როგორც ჩანს, ვარაუდობს, რომ შესაბამისად ვიმოქმედებთ.

დანტე ამ ახალი იდეით და პერსპექტივით აენთო:

- მთელი თამაშების ბიზნესი ჩვენი იქნება. ეს საქმე ამად მართლაც ღირს.

ამ დროს დონმა პიპის მიმართა:

- რას იტყვი, ჩემო „მარტელო“? - ჰკითხა მოფერებით.

პიპი გაღიზიანებული ჩანდა:

- ეს ვერც გაკეთდება და არც შეიძლება გაკეთდეს.

- შენ თუ არ ხარ ამის გამკეთებელი, მე გავაკეთებ, - ჩვეული გესლიანი ღიმილით უთხრა დანტემ.

- შენ ყასაბი ხარ, - ზიზღით უთხრა პიპიმ, - ასეთ რამეს, ასი წელიც რომ იფიქრო, უსაფრთხოდ ვერ დაგეგმავ, შესრულება თითქმის შეუძლებელია და უეჭველად დაგიჭერენ.

- ბაბუა, - ქედმაღლური იერით მიმართა დანტემ, - დამავალე ეს საქმე და ის შესრულდება.

- დარწმუნებული ვარ, რომ შესრულდება, - პატივისცემით უპასუხა დონმა. - დიდ მოგებასაც მოგვიტანდა. მაგრამ პიპი მართალია. შედეგი შეიძლება, ჩვენი ოჯახისთვის სავალალო იყოს. შეცდომები ყველას მოსდის, მაგრამ უფლება არ გვაქვს, საბედისწერო შეცდომა დავუშვათ. ამ საქმემ წარმატებულად რომც ჩაიაროს და ჩვენს მიზანსაც რომ მივაღწიოთ, ამ უმძიმესი დანაშაულის დაღი არასოდეს მოგვშორდება. ჩვენს არსებობას საფრთხე რომ ემუქრებოდეს, კიდევ გასაგებია, მაგრამ ამ ვითარებაში უბრალოდ, ჩვენი სიმდიდრის გაზრდა გვსურს. ამას კი შეიძლება, მოთმინებითაც მივაღწიოთ. ყველას თქვენ-თქვენი ბიზნესი გაქვთ: ჯორჯო, შენ - ოფისი უოლ-სტრიტზე, ვინსენტ, შენ - რესტორნების ქსელი, პიტის - სამშენებლო კომპანია, კროსს - სასტუმრო, პიპი, შენ კი შეგიძლია, საქმეებისგან დაისვენო. შენ, დანტე, ჩემო შვილიშვილო, მოთმინება გმართებს. ადრე თუ გვიან, აზარტული თამაშების დაკანონებული იმპერია შენი იქნება და არც ის საშინელი დანაშაული დაგამძიმებს. ასე რომ, სენატორი ეშმაკსაც წაუღია.

ოთახში დაძაბულობა მოიხსნა, დონის განსჯამ, დანტეს გარდა, ყველანი დააკმაყოფილა და იმაშიც ყველა შეთანხმდა, რომ სენატორის მხრიდან დიდი მზაკვრობა იყო მათი ოჯახის ასე ცდუნება.

დანტე შეურაცხყოფილი ჩანდა. პიპის უხეშად მიმართა:

- რა უფლება გაქვს, ყასაბს რომ მეძახი?! ვინ ხარ, გამოშტერებული ფლორენს ნაიტინგეილი ხომ არა?

ყველას გაეცინა. დონმა საყვედურით გააქნია თავი და კვლავ ალაპარაკდა:

- კიდევ ერთი რამ. ვფიქრობ, სენატორთან ჩვენი ურთიერთობა უნდა განვაგრძოთ, არც იმ ხუთი მილიონის დარდი მაქვს, მაგრამ მისი მხრიდან შეურაცხყოფა იყო იმის გაფიქრება, რომ ჩვენი ქონების გასაზრდელად ქვეყნის პრეზიდენტს მოვკლავდით. ის ჩვენს მანიპულირებას ცდილობს. მისი განაწყენება არ ღირს, საშიში კაცი ჩანს.

ამის შემდეგ კროსმა კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა წამოჭრა. ლია ვაზის და პოლიციის გამომძიებლის ამბავს მოჰყვა.

- შესაძლოა, ოჯახში ინფორმატორი გვყავდეს.

- ეს შეუძლებელია, - თავი გააქნია დონმა, - ინსპექტორმა რაღაცას შემთხვევით მიაგნო და ახლა გვაშანტაჟებს. ჯორჯო, მიხედე ამ საქმეს.

- მისთვის დამატებით ორმოცდაათი ათასის გადახდა მოგვიწევს, - უკმაყოფილო სახით თქვა ჯორჯომ, - კროს, გადაუხადე სასტუმროს

ბიუჯეტიდან.

დონმა სიგარას მოუკიდა.

- რაკი ყველანი შევიკრიბეთ, ვინმეს კიდევ რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვთ? ვინსენტ, რესტორნების საქმე როგორ მიდის?

- კიდევ სამის გახსნას ვაპირებ, - უპასუხა ვინსენტმა და გაყინული სახე მოულბა, - ერთი ფილიში, ერთი დენვერში, ერთიც ნიუ-იორკში. ყველა - მაღალი კლასის. მამა, დაიჯერებ, ერთ თეფშ სპაგეტიში თექვსმეტ დოლარს რომ ვიღებ? როცა შინ ვამზადებ, დიდი-დიდი, ნახევარი დოლარი მიჯდება, ნიორიც რომ ჩავთვალოთ. ანდა - გუფთა: არ ვიცი, რატომაა ასე, მაგრამ მაღალი კლასის იტალიური რესტორნებიდან მხოლოდ მე მაქვს გუფთა. ერთ ულუფას რვა დოლარად ვყიდი, არადა, ოცი ცენტი მიჯდება.

ვინსენტი კიდევ კარგა ხანს გააგრძელებდა, მაგრამ დონმა შეაწყვეტინა:

- ჯორჯო, უოლ-სტრიტზე რა ხდება?

- ხან ასე, ხან ისე. მაგრამ გადაყიდვებისას ძალზე მაღალ საკომისიოს ვიღებთ. ყველაზე მოგებიანი და სრულიად უსაფრთხო ბიზნესია. თავისუფლად შეგვიძლია, სხვა ყველაფერს თავი დავანებოთ, იქნებ მხოლოდ აზარტული თამაშები დავიტოვოთ და მთლიანად ფინანსური ოპერაციებით გავმდიდრდეთ.

- პიტი, შენი სამშენებლო ბიზნესი? - მიუბრუნდა მესამე ვაჟს დონი. - გავიგე, ცოტა ხნის წინ პრობლემა გქონია.

- საქმეს ვეღარ ავუდივარ. იმდენი შეკვეთაა, რომ ბევრზე უარს

ვამბობ და პირველ რიგში, გზატკეცილების გაყვანაზე ვმუშაობ. მთელი ჩემი ხალხი მშენებლობებზეა დაკავებული. ამას წინათ კი ეს ზანგი მომადგა თავისი ხალხით, ათასგვარი ტრანსპარანტითა და მოთხოვნით. ჩემს კაბინეტში მოვიწვიე, ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ოცი ათასი ვაჩუქე და იმაზე შევთანხმდით, რომ მის შავკანიანებს ჩემს ობიექტებზე ვამუშავებ.

- მაშ, ახალწვეულები გვყავს? - ჩაიცინა დონმა.

- ჰო, რატომ არ უნდა დავასაქმოთ ზანგები?! - უთხრა პიტიმ.

- სწორად მოქცეულხარ. მცირე პრობლემას არ აცადე, დიდ პრობლემაში გადაზრდილიყო, - უთხრა დონმა, - თანაც, რა უფლება გვაქვს ჩვენ, კლერიკუციოს ოჯახს, სხვა ხალხი შევავიწროოთ და მუშაობის საშუალება არ მივცეთ?!

- მე კი მაგ შავ ნაბიჭვარს მოვკლავდი, - გამოცრა დანტემ, - ცოტა ხანში ნახავ, დაბრუნდება და მეტს მოგთხოვს.

- მივცემთ კიდეც, - უთხრა დონმა, - ცხადია, ვიდრე მათი მოთხოვნები გონივრულ ფარგლებში დარჩება. პიპი, შენ რა პრობლემები გაქვს?

- არანაირი, თუ არ ჩავთვლით, რომ ამჟამად ოჯახი თითქმის არ აწარმოებს საბრძოლო ოპერაციებს და საქმე გამომელია.

- ეს კარგია. საკმარისი ხიფათი გამოგივლია. ჰოდა, აწი ცხოვრებით დატკბი.

- მეც ამ დღეში ვარ, - თქვა დანტემ, - ჩემთვის კი პენსიაზე გასვლა ნაადრევია.

- გოლფი ითამაშე, - ურჩია დონმა, - და მოთმინება იქონიე. ვშიშობ, შენი დროც მოვა. ისევე, როგორც ჩემი. ნუ დარდობ, ცხოვრება საქმესა და პრობლემებს არ გამოგილევს.

თავი 14

ელი მერიონის დაკრძალვის დღეს ბობი ბენცი სკიპი დირს ცხვირწინ ნაბეჭდი ფურცლების დასტას უფრიალებდა და უყვიროდა:

- ეს ხომ სიგიჟეა! ასეთი რამ როგორ დაუშვი?!

დირმა ფურცლებს დახედა - ფილმის სამუშაო ჯგუფის რომში მგზავრობის ხარჯთარიცხვა იყო.

- მერედა, რა? - მშვიდად იკითხა დირმა.

- რა და, რომში ყველა პირველი კლასით მიფრინავს! - ბობოქრობდა ბენცი. - გადამღები ჯგუფიც, წამყვანი მსახიობებიც, ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც კი! ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს თუ იცი, ვინ? სტუდიის ფინანსური ოფიცერი, ვინც ხარჯებს აკონტროლებს. ის ეკონომკლასით მიფრინავს.

- ჰე, მერე რა მოხდა? - გაიმეორა დირმა.

- როგორ თუ რა?! - შეშლილივით ღრიალებდა ბენცი. - ბიუჯეტი ითვალისწინებს ფილმში დაკავებული ყველა ადამიანის შვილებისთვის სკოლის ორგანიზებას! გადაღებებისთვის ოცი დღით დაიქირავეს იახტა! მე კი სცენარი ყურადღებით წავიკითხე, სკიპი. იახტაზე გადაღებებს მხოლოდ ორად ორი დღე სჭირდება. ფილმში კი ოცზე მეტი მსახიობია დაკავებული, ვინც ეკრანზე სულ ორი-სამი

წუთით ჩნდება. გამაგებინე, ეს რანაირად დაუშვი?!

- გეტყვი, - ღიმილით უპასუხა სკიპიმ, - ჩვენი რეჟისორი ლორენცო ტალუფო ითხოვს, მისმა ხალხმა პირველი კლასით იფრინოს. ეპიზოდური როლების შემსრულებლები წამყვანი ვარსკვლავების საყვარლები არიან. იახტა კი იმიტომაა ორი კვირით დაქირავებული, რომ ლორენცოს კანის კინოფესტივალზე გამგზავრება სურს.

- შენ ხომ პროდიუსერი ხარ, დაელაპარაკე ლორენცოს, - უთხრა ბენცმა.

- მე რატომ? ლორენცომ ოთხი ასმილიონიანი ფილმი გადაიღო, ორი „ოსკარი“ აქვს მიღებული, იახტაზეც შევსვამ და შეიძლება, უკანალზეც ვემთხვიო. შენ თვითონ დაელაპარაკე.

ამას პასუხი არ მოჰყოლია. ინდუსტრიის იერარქიის მიხედვით, სტუდიის ხელმძღვანელი ყველაზე მაღლა დგას, პროდიუსერი კი ბიუჯეტს აწესრიგებს და გადაღების ორგანიზებას უზრუნველყოფს. მაგრამ რეალურად, გადაღებების დაწყებისთანავე რეჟისორი უზენაეს ძალად იქცევა, მით უმეტეს, თუ მის აქტივში რამდენიმე წარმატებული ფილმია.

- ლორენცოს ვერ დაველაპარაკები. ელიც აღარ მყავს, რომ ზურგი გამიმაგროს. ლორენცო დედას შემაგინებს და შეიძლება, ფილმიც დავკარგოთ.

- მართალიც იქნება, - უთხრა დირმა, - ხომ იცი, ლორენცოც და დანარჩენებიც ფილმის ბიუჯეტიდან მუდამ, სულ ცოტა, ხუთ მილიონს მაინც იპარავენ. დაწყნარდი და დაკრძალვაზე წავიდეთ.

მაგრამ ბენცი ამ დროს სხვა საბუთებს ამოწმებდა.

- შენს ფილმზე მხოლოდ ჩინური რესტორნის ანგარიში ხუთასი ათას დოლარს შეადგენს. ამას ვერავინ მოახერხებდა, ჩემი ცოლიც კი! როგორ უნდა დახარჯო ხუთასი ათასი ჩინურ საჭმელში?! ფრანგულში კიდევ ჰო!

უეცრად დადუმდა და გაახსენდა, ყველა როგორ ჩიოდა სუშის გამო. კონკურენტი სტუდიის ხელმძღვანელმა ერთხელ უთხრა, იაპონელი ინვესტორი სუშის რესტორანში დავპატიჟეო.

- ორი კაცისთვის რაღაც ოცი ქეციანი თევზის თავი შევუკვეთეთ და ათასი დოლარი დაგვიჯდა! - ეს რომ მოისმინა, ბენცი კარგა ხანს შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. ახლაც უცებ ემოცია დაიოკა, მაგრამ დირს მაინც გაუმეორა, ხარჯები ცოტა მაინც შეამცირეო.

ელი მერიონის დაკრძალვა ნებისმიერი ვარსკვლავისაზე უფრო მასშტაბური და სენსაციური გახლდათ. ამ ადამიანს სტუდიის ხელმძღვანელები, პროდიუსერები, აგენტები, ვარსკვლავები და მწერლებიც კი ეთაყვანებოდნენ. ეს მისმა ლმობიერმა და დიპლომატიურმა ხასიათმა განაპირობა. თუმცა, რასაკვირველია, მისი ლმობიერება გონივრულ ფარგლებს არ სცილდებოდა. ცხოვრების უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო მოკრძალებული გახდა, აღარც დამწყები ვარსკვლავებისგან ითხოვდა „სექსის ბეგარას“. დახვეწილი ესთეტი იყო, რისი წყალობითაც „ლოდსტოუნმა“ არაერთი კარგი ფილმი გადაიღო, ხოლო ეს კინოს ჭეშმარიტ მოყვარულთათვის ყველაზე უფრო დასაფასებელია.

ქვეყნის პრეზიდენტმა მერიონის დაკრძალვაზე სიტყვით გამოსასვლელად თავისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოგზავნა. ასევე ჩამოვიდა საფრანგეთის კულტურის მინისტრი, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლივუდის კინოპროდუქცია სძულდა. ვატიკანიდან კარდინალი ჩამოვიდა. დაკრძალვას ასევე ესწრებოდნენ იაპონური, ნიდერლანდური, იტალიური, გერმანული კინოკორპორაციების წარმომადგენლები.

სიტყვით გამოვიდა მსოფლიოში ცნობილი რამდენიმე ვარსკვლავი, შემდეგ - პრეზიდენტის წარმომადგენელი. ორმა კომიკოსმა ელი მერიონის გამჭრიახობისა და ძალაუფლების შესახებ კეთილგანწყობილი ხუმრობებით გაახალისა შეკრება. ბოლოს გარდაცვლილს პატივი მიაგეს მისმა შვილებმა - ვაჟმა კევინმა და ქალიშვილმა დორამ. სულ ბოლოს ბობი ბენცი გამოვიდა.

კევინის თქმით, მერიონი ყველასათვის მოსიყვარულე მამა და კინოხელოვნების მეჩირაღდნე იყო და, მისი რწმენით, ამ ჩირაღდანს მერიონის თანაგუნდელები აიტაცებდნენ.

დორას სიტყვა ყველაზე პოეტური და ემოციური იყო, მას ტექსტი ბენი სლაიმ დაუწერა. ბოლოს ასე დაასრულა:

- მამაჩემი ყველა სხვა მამაკაცზე მეტად მიყვარდა, მაგრამ მოხარული ვარ, რომ მასთან საქმის წარმოება არ მიწევდა. მუდამ ბობი ბენცთან მქონდა საქმე, მას კი გამჭრიახობით ვჯობნი.

მის შემდეგ გამოსულ ბობი ბენცს ეს ხუმრობა გულზე მოხვდა.

- ელი მერიონთან ერთად ოცდაათი წლის განმავლობაში ვაშენე

სტუდია „ლოდსტოუნი“, - განუცხადა მან დამსწრეთ, - მასთან ერთად მუშაობის წლები ჩემთვის უბედნიერესიიყო და ახლა მის საქმეს განვაგრძობ. ელიმ ნდობა გამომიცხადა და სტუდიის ხელმძღვანელობა გადმომაბარა. ვიცი, ელის ვერ გავუტოლდები, მაგრამ მისი ოცნების ხორცშესხმას მაინც ვეცდები. ელი თავის შემოსავალსა და პიროვნულ სითბოს მხოლოდ თავის ოჯახს კი არა, მთელ ამერიკელ ხალხს უნაწილებდა. მართლაც „ლოუდსტოუნი“, ნამდვილი მაგნიტური თილისმა იყო, რომელიც იღბალს იზიდავდა!

არავის შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ ბენცმა ეს სიტყვა თვითონ დაწერა, რადგან ის მნიშვნელოვან მესიჯს შეიცავდა: ბობი ბენცი აცხადებდა, რომ აწი თვითონ გაუძღვებოდა სტუდიას და ყველასგან ისეთივე მორჩილებას ითხოვდა, როგორსაც ელი მერიონის წინაშე იჩენდნენ.

დაკრძალვიდან ორი დღეს შემდეგ ბენცმა სკიპი დირი კაბინეტში დაიბარა და სტუდიის პროდუქციის ხელმძღვანელის თანამდებობა შესთავაზა, რომელიც მანამდე თვითონ ეკავა. თავად თავმჯდომარის სავარძელში გადაინაცვლა. მან სკიპის მაღალი გასამრჯელო დაუნიშნა და თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება აღუთქვა. ასეთმა გულუხვობამ სკიპი გააოცა. მან ეს ბენცის მხრიდან საკუთარი სისუსტის აღიარებად მიიჩნია: ბენცმა თვითონაც იცოდა, რომ შემოქმედებითი სფერო მისი ძლიერი მხარე სულაც არ იყო და დირის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

დირმა წინადადება მიიღო, ხოლო საკუთარი საპროდიუსერო

კომპანიის ხელმძღვანელად კლოდია დე-ლენა მიიწვია: არა მხოლოდ მისი შემოქმედებითი ნიჭის გამო, არამედ იმიტომაც, რომ იცოდა, კლოდია იმდენად პატიოსანი იყო, მის ზურგს უკან არაფერს მოიმოქმედებდა. ხასიათითაც შესანიშნავად ეწყობოდა და სექსის პრობლემაც წლების წინ მშვიდობიანად გადაეჭრათ.

დირს უხაროდა, როცა წარმოიდგენდა, აწი რა სიმდიდრეს მოიპოვებდნენ. მართალია, თვითონ არასოდეს უჭირდა, მაგრამ ხშირად უნახავს, ერთ დროს წამყვანი ვარსკვლავები ცხოვრებას გაჭირვებაში როგორ ასრულებდნენ. იცოდა, რომ სიმდიდრის ათი საფეხური არსებობდა, თვითონ კი ჯერ მხოლოდ პირველზე იმყოფებოდა. ცხადია, თავად სიკვდილამდე არაფერი მოაკლდებოდა, მაგრამ, ვთქვათ, ვერ შეიძენდა პირად თვითმფრინავს, ხუთ სახლს, ვერ იყოლიებდა ჰარამხანას, ვერ აუვიდოდა კიდევ ხუთ ქორწინებასა და განქორწინებას. ყველა სასურველ ფილმსაც ვერ დააფინანსებდა. ვერც მონესა თუ პიკასოს ნამუშევრებს შეიძენდა, რასაც ელი მერიონი იოლად სჩადიოდა.

ბენცის გეგმები რომ მოისმინა, დირი გაოცდა: ბენცი აშკარად, ძლევამოსილ სამყაროში ადგილის დამკვიდრებას ესწრაფვოდა. თავდაპირველად, მილო სტიუარტთან მუდმივი შეთანხმების გაფორმებას აპირებდა, რათა მისი სააგენტოს წამყვანი ვარსკვლავების შერჩევის უპირატესი უფლება ჰქონოდა.

- ამაზე დაველაპარაკები, - დაჰპირდა სკიპი, - ვეტყვი, რომ სანაცვლოდ ყველა მის პროექტს მწვანეს ავუნთებ.

- ახლა ყველაზე მეტად ის მინდა, შემდეგი ფილმისთვის ათენა ექვითეინი დავითანხმოთ.

აჰა, გაიფიქრა დირმა. რაკი ბენცი სტუდიის ხელმძღვანელი გახრა, ახლა მაინც აპირებს ათენა ექვითეინის საწოლში ჩათრევას. დირი თვითონაც იმედოვნებდა „წილში გასვლას“, რადგან სტუდიაში მეორე კაცის ადგილი დაიკავა.

- კლოდიას ვეტყვი, ახლავე დაიწყოს მუშაობა ისეთ პროექტზე, რომელშიც ათენას დავაკავებთ, - თქვა დირმა.

- ახლა მისმინე. ელის ამის გაკეთება მუდამ უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ჩვენ კი უნდა შევძლოთ: კევინისა და დორას საპროდუქციო კომპანიები თავიდან უნდა მოვიცილოთ. ფუჭი ხარჯია და თანაც არ მინდა, ფეხებში გვედებოდნენ, - თქვა ბენცმა.

- ამ საკითხში სიფრთხილე გმართებს, - უთხრა დირმა, - ისინი კომპანიის მნიშვნელოვან წილს ფლობენ.

- ჰო, მაგრამ ელიმ ხუთი წლით სრული კონტროლი მომანდო, - გაიღიმა ბენცმა, - შენ უნდა შეასრულო ცუდი ბიჭის როლი. ყველა პროექტს თუ დაუწუნებ, ბოლოს და ბოლოს, აღშფოთდებიან და თვითონვე წავლენ.

- მგონი, გაგიჭირდება ტერიტორიიდან მათი გაძევება. აქ მათი მეორე სახლია.

- მაინც ვეცდები, - თქვა ბენცმა. - კიდევ ერთი რამ. ერნესტ ვეილმა ელის სიკვდილის წინ მაღალი პროცენტები გამოსძალა. მოლი და კლოდია მხარს უჭერდნენ. ახლა მოლის წერილობით შევატყობინე,

რომ არც მორალურად და არც კანონიერად ვთვლი თავს მოვალედ, ეს სიტყვიერი პირობა შევასრულო. P SEP

- თავს არ მოიკლავს, მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში შეიძლება, ბუნებრივად დაემართოს რამე, - უთხრა დირმა, - ასეთი შემთხვევისგან თავი უნდა დავიზღვიოთ. P SEP

- არა, მე და ელი იურისტებს მოვეთათბირეთ და გვითხრეს, რომ ამჯერად მოლი სასამართლოს წააგებს. P SEP

- მოლიმ რა გიპასუხა? P SEP

- იურისტის სტანდარტული წერილი გამომიგზავნა. P SEP

ბენცი ტელეფონის ყურმილს დასწვდა და თავის ფსიქოანალიტიკოსს დაურეკა. მისი ცოლი უკვე რამდენიმე წელი უჩიჩინებდა, მკურნალობა დაეწყო. P SEP

- მინდა შეგახსენოთ, რომ ოთხ საათზე შეხვედრა გვაქვს დანიშნული. თქვენს სცენარზე კი მომავალ კვირას ვილაპარაკოთ, - თქვა ყურმილში და დირს ეშმაკურად გაუღიმა. დირმა იცოდა, რომ ბენცს ფელინ ფანტთან პაემანი ჰქონდა დანიშნული „ბევერლი ჰილზის“ სასტუდიო ბუნგალოში, ხოლო ფსიქოანალიტიკოსი საკონსპირაციოდ სჭირდებოდა, რადგან სტუდიას ფსიქოანალიტიკოსისგან მიღებული ჰქონდა სცენარი ფსიქიატრისა და იმავდროულად მანიაკი მკვლელის შესახებ.ბენცმა სცენარი უვარგისად ჩათვალა, დირის აზრით კი მისგან არცთუ ურიგო დაბალბიუჯეტიანი ფილმი გამოვიდოდა. დირი ფილმს გადაიღებდა, რაც ძვირი არ დაუჯდებოდა, ბენცი კი იფიქრებდა, რომ დირმა ამით სიკეთე

გაუკეთა.

მერე იმაზე ილაპარაკეს, თუ რით სიამოვნებდათ ფელინ ფანტთან ურთიერთობა. რასაკვირველია, ორივე თვლიდა, რომ სოლიდური მამაკაცების მხრიდან ასეთი ბიჭური გატაცება შეუფერებელი იყო, მაგრამ ფელინთან სექსი ძალზე სასიამოვნოც იყო და იმითაც იზიდავდა, რომ ქალი მათ ზედმეტ მოთხოვნებს არ უყებენდა. ბუნებრივია, ირიბი ვალდებულება იგულისხმებოდა, რისი შესრულებაც მოუწევდათ, მაგრამ ქალი მართლაც ნიჭიერი იყო და ამიტომ, იმსახურებდა კიდეც კარგ როლებს, რომლებიც შეიძლებოდა, მისთვის მიეცათ.

- ერთადერთი იმის მეშინია, ვარსკვლავი რომ გახდება, თავში არ აუვარდეს, - თქვა ბენცმა.

- ჰო, ყველას ასე მოსდის. მაგრამ სამაგიეროდ, მერე გაგვამდიდრებს კიდეც.

მერე „მესალინას“ გადაღებაზე ისაუბრეს, რომელიც ორ თვეში უნდა დასრულებულიყო. ორიოდე კვირაში ვეილის რომანის ეკრანიზაციის გაგრძელებაც გამოდიოდა და ეს ორი ფილმი საშობაო სეზონის ბომბი გახდებოდა. ბენცი ოცმილიონიან მოგებას ელოდებოდა, დირს ალბათ ხუთი ერგებოდა.

- გულზე ვსკდები იმის გამო, რომ „მესალინას“ თხუთმეტი პროცენტი კროსს უნდა გადავუხადოთ. წესით მისი ფული პროცენტებით უნდა დაგვებრუნებინა და თავიდან მოგვეცილებინა. თუ უნდა, სასამართლოში გვიჩივლოს, მაგრამ ვხედავ, სასამართლოში წასვლა

ხელს არ აძლევს, - თქვა დირმა.

- მაფიასთან ხომ არაა დაკავშირებული? - იკითხა ბენცმა. დირმა გაიფიქრა, შე ლაჩაროო, ხმამაღლა კი უთხრა:

- კროსს ვიცნობ. მართლა საშიში რომ ყოფილიყო, მისი და კლოდია მეტყოდა. მოლი ფლენდერსი კი მართლა დედას გვიტირებს: ერთდროულად მის ორ კლიენტს ვატყუებთ.

- ჰო, კარგი. მაგრად ვიყოჩაღეთ: ვეილზე ოცი მილიონი დავზოგეთ, დე-ლენაზე - დაახლოებით ათი. გმირები ვართ, - გაეცინა ბენცს.

- ოთხი საათი ხდება. ფელინთან არ გაგვიანდება? - ჰკითხა დირმა.

სწორედ ამ წამს ვიღაცამ ძლიერი დარტყმით შეაღო კარო. ბენცის კაბინეტში ბრაზისგან აწითლებული და თვალცრემლიანი მოლი ფლენდერსი შემოვარდა.

- თქვე ნაბიჭვრებო! ერნესტ ვეილი მკვდარია. მისი წიგნის მიხედვით გაგრძელების გამოშვება გეკრძალებათ. ახლა მაინც კეთილი ინებეთ, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ.

ერნესტ ვეილს თავის მოკვლა ყველაზე მეტად იმიტომ უჭირდა, რომ ძალადობას ვერ იტანდა. არც სისხლი სურდა, არც მანქანის ქვეშ ჩავარდნა და არც ფილმის ფინალივით, სენტიმენტალური აღსასრული იზიდავდა, მაგალითად - ოკეანეში თავის დახრჩობა. ისეთ მეთოდს ეძებდა, რომელიც სწრაფ და ასპროცენტიან სიკვდილს უქადდა. რომ ვერაფერი მოიფიქრა, ჯერ გამოსათხოვარი წერილების წერას შეუდგა.

პირველ ცოლს თავის ერთადერთ ჭეშმარიტ სიყვარულად თვლიდა. შეეცადა, პირველივე წინადადებით პრაქტიკული მხარეც გამოეკვეთა და საყვედურიც ეთქვა.

„დაუკავშირდი მოლი ფლენდერსს, ჩემს ადვოკატს. ის მნიშვნელოვან ამბავს გაცნობებს. შენი და ბავშვების მადლობელი ვარ. არ გეგონოს, ჩემი საქციელით რაიმეს გსაყვედურობდე, ამ შევიშალე, ანდა უბედურებას ვეღარ გავუძელი. აბსოლუტურად რაციონალური მოსაზრებები მამოძრავებს, როგორც ამას ადვოკატი აგიხსნის. ბავშვებს ჩემი სიყვარული გადაეცი“.

ვეილმა წერილი გვერდზე გადადო. ბევრი ჩასწორება დასჭირდებოდა. აგრეთვე, მეორე და მესამე ცოლებსაც მისწერა, ისე ცივად, რომ თვითონაც კი გაუკვირდა. მათაც არწმუნებდა, რომ არაფერში იყვნენ დამნაშავენი და ხანმოკლე ბედნიერებისთვის მადლობას უხდიდა. სიყვარულის და მადლიერების ხასიათზე ნამდვილად არ იყო, ამიტომაც მომდევნო წერილი ბობი ბენცს მისწერა. სულ ორად ორი სიტყვა: „წადი, შენი!“

მოლი ფლენდერსს მისწერა: „დედა უტირე მაგ ნაბიჭვრებს“. ამით ცოტა გახალისდა.

მერე კროს დე-ლენას მიმართა: „როგორც იქნა, სწორად მოვიქეცი“, რადგან ახსოვდა, კროსი, გაუბედაობის გამო, დამცინავად მოეპყრო.

ბოლოს კლოდიას ვრცლად გადაუშალა გული: „შენ იმდენი ბედნიერება მაჩუქე, არადა, ერთმანეთზე შეყვარებულები არ ვყოფილვართ. როგორ მოხდა ეს? ან როგორ მოხდა, რომ

ყველაფერი, რასაც ცხოვრებაში აკეთებ, მართებულია, მე კი სულ შეცდომებს ვუშვებ? დღემდე - სულ შეცდომები. გთხოვ, დაივიწყე ყველაფერი, რაც შენი შემოქმედების შესახებ გითხარი და გმადლობ მხარდაჭერისთვის“.

P SEP

წერილები უკმაყოფილო სახით გვერდით გადადო და თავი იმით დაიმშვიდა, რომ ყველაფერს გადაწერდა და ჩაასწორებდა, მაგრამ წერისას მისი ქვეცნობიერი ამუშავდა და უეცრად, თვითმკვლელობის შესანიშნავ მეთოდს მიაგნო.

P SEP

კენეტ კელდოუნი ჰოლივუდის საუკეთესო დანტისტი იყო, თავის ვიწრო წრეში ნებისმიერ ვარსკვლავზე უფრო პოპულარული. მუდამ ხალისიანი, იუმორით სავსე, მოლაპარაკე, ცნობილ პაციენტებს უნაკლოდ მოწყობილ სალონში იღებდა, სადაც კედლებზე საუკეთესო თანამედროვე ხელოვანთა ნამუშევრები ეკიდა, მაგიდაზე კი ყველა ენაზე დაბეჭდილი საუკეთესო ჟურნალები ეწყო.

P SEP

ერთადერთი ხელოვნება, რომლისაც კენეტს სწამდა, სტომატოლოგია იყო. თავს ნამდვილ შემოქმედად თვლიდა და იყო კიდეც. თავის კლიენტებს მხოლოდ ფოლადის იმპლანტებიან პროთეზს უსვამდა, რომელიც ყოველთვის გამოდგებოდა ხელოვნური კბილის ჩასასმელად. დანტისტთა სიმპოზიუმებზე ლექციებს კითხულობდა დაიმდენად დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა, რომ ერთხელ, მონაკოს სამეფო ოჯახის წევრის სამკურნალოდაც მიიწვიეს.

P SEP

მისმა კლიენტებმა არ იცოდნენ, რას ნიშნავს ტკივილი. ერნესტი მას

ჰოლივუდში ოციოდე წლის წინ დაუახლოვდა. პროდიუსერთან სადილის დროს კბილი ასტკივდა, პროდიუსერმა კენეტს დაურეკა, ის მაშინვე მოქანდა და ერნესტი თავის სალონში სამკურნალოდ წაიყვანა.

მას მერე დამეგობრდნენ. კენეტმა კბილები მთლიანად გამოუცვალა. ერნესტი ფიქრობდა, რომ კენეტი ისეთი კოლორიტული პიროვნება იყო, აუცილებლად რომელიმე რომანში უნდა გამოეყვანა. უყვარდა მასთან მკურნალობა და განსაკუთრებით, გამაყუჩებელი აირის მოტკბო სურნელი სიამოვნებდა, რომლის ყნოსვა საამოდ აბრუებდა.

ერთხელ მკურნალობისას კენეტი საუბრით ართობდა და უთხრა, რომ მის ექთანსა და საყვარელს თავის ძაღლთან, დიდ გერმანულ ნაგაზთან ჰქონდა სექსი. ვეილი აირისგან ნახევრად გაბრუებული იყო, მაგრამ სახიდან ნიღაბი მოიცილა და ჰკითხა:

- რაო? ისეთ ქალთან წევხარ, რომელსაც ძაღლთან აქვს სექსი? მერე ეს არ გაწუხებს? - ჰიგიენურ მოსაზრებას გულისხმობდა.

- მერე რა მოხდა? - უთხრა კენეტმა. - ძაღლი კონკურენციას ვერ გამიწევს.

ვეილს თავიდან ეგონა, ხუმრობსო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ სერიოზულად ამბობდა. აირი ღრმად შეისუნთქა, მოდუნდა და ნახევრად ძილში წასულმა, დანტისტის ხასიათზე ფიქრს მიჰყო ხელი.

კენეტი თვლიდა, რომ სიყვარული სულიერი განცდაა, სიამოვნება

კი - მისგან დამოუკიდებელი ხორციელი პროცესი, რომელიც, ტკივილგამაყუჩებლის მსგავსად, შეგიძლია გამოიყენო, მაგრამ აუცილებლად უნდა გააკონტროლო.

- სექსი აზოტის აირზე უკეთესია, - უთხრა კენეტმა, როცა მოგვიანებით ერთად სადილობდნენ, - მაგრამ როგორც აზოტში, სექსშიც, სულ ცოტა, ოცდაათი პროცენტი ჟანგბადი უნდა შეურიო. ერნესტ, შევნიშნე, რომ აირი გსიამოვნებს. მე მაქსიმუმს გასუნთქებ ხოლმე - სამოცდაათ პროცენტს, და შენ ამას კარგად იტან.

- ეს სახიფათოა? - ჰკითხა ვეილმა.

- არა - თუ ნიღაბს სამი დღის განმავლობაში მოუხსნელად არ იჩერებ. თუმცა იქნებ არც მაშინ დაგიშავოს რამე. ცხადია, სუფთა აზოტი თხუტმეტ-ოც წუთში გაგაფრთხობინებს სულს. სიმართლე გითხრა, თვეში ერთხელ ჩემს თანამშრომლებს წვეულებას ვუმართავ და შესანიშნავ დროს ვატარებთ. სხვათა შორის, აზოტი სექსუალურ სურვილს ამძაფრებს. არ გიგრძნია?

- შენი ექთანი გვერდზე როცა ჩამივლის ხოლმე, ზოგჯერ მინდა, ტრაკზე ხელი მოვავლო, - გაეცინა ერნესტს.

- ვფიქრობ, ამის გამო დიდად არ გაგინაწყენდება, - მიუგო კენეტმა. - თუ გინდა, ხვალ ღამით ოფისში გვესტუმრე. აზოტი კოკაინი არ გეგონოს. კოკაინი ქალს ადუნებს, აზოტი კი - აღაგზნებს. ისე მოდი, თითქოს კოქტეილფართიზე მიემართები. ყველაფერში მიგაღებინებთ მონაწილეობას.

ვეილმა თავი შეიკავა იქედნური შეკითხვისგან, - ფართიზე ძაღლები

თუ დაიშვებიანო? და დათანხმდა იმ განზრახვით, რომ იქ ნანახს მორიგ რომანზე მუშაობისას გამოიყენებდა.

იმ საღამოს არც დიდად უხალისია და არც მონაწილეობა მიუღია. ეს ნარკოტიკი მას, სქესობრივი ჟინის ნაცვლად, სულიერ განცდას აღუძრავდა. მისი ვარაუდით, მსგავს რამეს ძველ დროში ქურუმები ღვთაებასთან საურთიერთობოდ იყენებდნენ. სტუმრები იმდენად პირუტყვულ სქესობრივ თამაშს ეძლეოდნენ, რომ ახლა ვეილს აღარ აკვირვებდა ის სიმშვიდე, რომლითაც კენეტი ძაღლთან მისი საყვარლის ურთიერთობაზე ლაპარაკობდა. მონაწილეობა არც თვით კენეტს მიუღია: ის აზოტის დოზების შემოწმებით იყო დაკავებული.

სამაგიეროდ ახლა, იმ დროიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ვეილი მიხვდა, რომ ეს თვითმკვლელობის ყველაზე სასიამოვნო საშუალება იყო. პრობლემა მხოლოდ ის იყო, როგორ შეეღწია ღამით კენეტის სალონში და აირის ზუსტი დოზა როგორ მიეღო.

ის კენეტთან შემოწმებაზე ჩაეწერა და, ვიდრე ექიმი რენტგენის აპარატს ამზადებდა, უთხრა, - რომანის პერსონაჟად დანტისტი გამომყავსო, და სთხოვა, ეჩვენებინა, გამაყუჩებლის დოზებს როგორ ადგენდა.

კენეტი ბუნებით პედაგოგი იყო და ნამდვილი ლექცია ჩაუტარა იმის შესახებ, თუ როგორ იტუმბება კონტეინერიდან აზოტი და ჟანგბადთან ერთად როგორ შედის ნიღბის მილში.

- საშიში არ არის? - დააზუსტა ვეილმა. - ნასვამი რომ იყო, ხომ შეიძლება, დოზები აგერიოს და მომკლა?

- არა, ავტომატურად ისე რეგულირდება, რომ ჟანგბადის მინიმალურ რაოდენობას მაინც იღებ.

ერნესტი წუთით შეყოვნდა, თითქოს რაღაცის თქმა ეუხერხულებაო.

- იცი, მაშინ, რამდენიმე წლის წინ, იმ ფართიზე ძალიან ვიხალისე. ერთი მეგობარი გოგონა მყავს, ძალიან მორცხვი. მინდა, ცოტათი გავათამამო. ხომ არ შეგიძლია, სალონის გასაღები მათხოვო, ერთ საღამოს აქ რომ მოვიყვანო?

კენეტი გადაღებულ რენტგენის ფირებს გულდაგულ აკვირდებოდა.

- შენი პირი საოცარ მდგომარეობაშია, - თქვა მერე, - ნამდვილად გამოჩენილი დანტისტი ვარ.

- რას იტყვი, გასაღებს მომცემ?

- ლამაზი გოგონაა? მითხარი, რომელ საღამოს აპირებ მოსვლას, მოვალ და მე თვითონ დავარეგულირებ დოზას.

- არა, რას ამბობ?! შენი თანდასწრებითდაიმორცხვებს. წესიერი გოგოა.

- არ გადამრიო! - კენეტი წუთით დააცქერდა ვეილს, მერე თქვა, ახლავე მოვალო და გავიდა. ერთი წუთის შემდეგ გასაღებით ხელში დაბრუნდა: - ეს ხელოსანს მიუტანე და დუბლიკატი გააკეთებინე. გასაღები მაშინვე დამიბრუნე.

- არა, ახლავე კი არ მჭირდება, - უცებ შეშფოთდა ვეილი. მაშინ კენეტი გატრიალდა და ფირების ალაგებას შეუდგა. ვეილი პირველად

ხედავდა მის სახეზე შეწუხებულ გამომეტყველებას.

- ჩემს სავარძელში მკვდარს რომ გიპოვიან, არ მინდა, პოლიციამ გამრიოს და კარიერაც გამიფუჭოს. თუ დუბლიკატს იპოვიან, იფიქრებენ, რომ ეს ჩემს ზურგს უკან მოიმოქმედე. წერილს ხომ დატოვებ?

ერნესტი შეცბა, მერე დაიმორცხვა. არ უფიქრია, რომ თავისი ჩანაფიქრით კენეტს დააზარალებდა. გასაღები გამოართვა და აღელვებით უთხრა:

- ესე იგი, გესმის ჩემი? ამას სრულიად ფხიზელი გონებით ვაკეთებ.

- მესმის, როგორ არ მესმის. თვითონაც მიფიქრია ამაზე, თუ სიბერეში გამიჭირდება ან მანამდე საქმე ცუდად დატრიალდება.

- იცი, რა მიზეზიც მაქვს?

- ეგ მთელმა ჰოლივუდმა იცის, - უთხრა კენეტმა, - ამას წინათ წვეულებაზე ყური მოვკარი, სკიპი დირს როგორ ჰკითხეს, ფილმის გადაღებას ნამდვილად თუ აპირებო? მან უპასუხა, - გადავიღებ, თუ ჯოჯოხეთი არ გაიყინა ანდა ერნესტ ვეილმა თავი არ მოიკლაო.

- გიჟი არ ვგონივარ, ამას ფულის გამო რომ ვაკეთებ, რომელსაც თვითონ ვერ დავხარჯავ?

- სულაც არა. ეს სიყვარულის გამო თავის მოკვლაზე უფრო ჭკვიანურია. მაგრამ იცოდე, მექანიზმი არც ისე მარტივია. აი, აქ რეგულატორი უნდა გამორთო, რათა ჟანგბადის მიწოდება შეწყდეს. ჯობს, ეს პარასკევ საღამოს, დამლაგებლის წასვლის შემდეგ გააკეთო:

მაშინ ორშაბათამდე ვერ აღმოგაჩენენ. მუდამ არის შანსი, რომ მოგასულიერონ. თუმცა, თუ ასპროცენტიან აზოტს შეისუნთქავ, თხუთმეტ წუთში მკვდარი იქნები, - ეს რომ თქვა, ნაღვლიანად გაიღიმა: - შენს კბილებში ამდენი შრომა ჩავდე და ყველაფერი წყალში ჩამეყარა.

ორი დღის შემდეგ, შაბათს დილით ერნესტს თავის „ბევერლი-ჰილზის“ ნომერში გაეღვიძა. მზე ამოდიოდა. ერნესტმა პირი გაიპარსა, შხაპი მიიღო, ჯინსი და მაისური ჩაიცვა. ლოს-ანჯელესის ქუჩები ცარიელი იყო, მის გარდა ფეხით მოსიარულე არავინ ჩანდა. კენეტის ოფისი სასტუმროდან ნახევარი საათის სავალზე იყო.

ვეილს შიოდა, მაგრამ ჭამას მოერიდა, რადგან იფიქრა, აზოტის დიდი დოზისგან გული არ ამერიოსო.

დანტისტის კაბინეტი თექვსმეტსართულიანი შენობის მეთხუთმეტე სართულზე იყო. დერეფანში მხოლოდ ერთი დარაჯი შეხვდა, ლიფტში - არავინ. კარი გააღო და კინოვარსკვლავების სურათებით დამშვენებულ დერეფანში შევიდა. აქ ექვსი სტომატოლოგიური კაბინეტი იყო. დერეფნის ბოლოს - კენეტის სამუშაო ოთახი და საკონფერენციო დარბაზი. ერნესტი იმ კაბინეტში შევიდა, სადაც კენეტი მის გარდა, ყველაზე ცნობილ პიროვნებებს მკურნალობდა. მყუდრო ჰიდრავლიკური სავარძლის გვერდით მოძრავ მაგიდაზე აირის ნიღაბი იდო. ვეილმა აირის მიწოდება ისეთნაირად დაარეგულირა, რომ აზოტი და ჟანგბადი თანაბარი რაოდენობით შეესუნთქა. მერე სავარძელში ჩაჯდა, ნიღაბი გაიკეთა და მოდუნდა. რა

კარგია, რომ კენეტი ღრძილებში ნემსებსა და ლანცეტებს აღარ ჩაასობდა. ტკივილი და შფოთი სამუდამოდ უკან მოიტოვა. ფრენის შეგრძნება დაეუფლა. სიკვდილზე ფიქრი ახალისებდა.

თავში მომავალი რომანების იდეები უტრიალებდა. ყოველი ადამიანის, ნაცნობ-უცნობის გონებაში ჩახედვა შეეძლო და ყველანი უყვარდა. ეს სწორედ აზოტის საოცარი თვისება გახლდათ. უეცრად მოაგონდა, რომ გამოსათხოვარი ბარათების გადაწერა დაავიწყდა და ინანა, ბევრი საწყენი და შეურაცხმყოფელი რამ რომ დაწერა.

ახლა ვეება აირბურთში იჯდა და ნაცნობი სამყაროს თავზე დაფარფატებდა. ელი მერიონი მოაგონდა, ასეთი პატივცემული და გავლენიანი კაცი, რომელმაც არ ითაკილა და, როცა სტუდიამ ვეილის საუკეთესო რომანი საეკრანიზაციოდ შეისყიდა, გამომცემლების მიერ მოწყობილ წვეულებაზე მოვიდა, რამაც ჰოლივუდში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

- თქვენ შესანიშნავი მწერალი ბრძანდებით, - უთხრა მან ვეილს და ხელი ჩამოართვა.

არც ბენცი იყო ცუდი ადამიანი. მისი ანგარება იმ სამყაროში ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარეობდა, სადაც ფული ყველაფერი იყო. გარკვეულწილად, სკიპი დირი უარესი გახლდათ, რადგან ბენცზე უფრო დახვეწილი და განათლებული იყო, სამაგიეროდ, პირადი ურთიერთობების დონეზე ძალზე იოლად უღალატებდა ადამიანს.

ერნესტს გონება გაუნათდა. ჰოლივუდსა და კინოხელოვნებას

მუდამ ასე დამცინავად იმიტომ ახსენებდა, რომ შური ახრჩობდა, რადგან კინო თვითონაც უყვარდა, ცხოვრებასა და შემოქმედებაში კი სიმარტოვისთვის იყო განწირული, მაშინ, როცა ფილმზე მომუშავე ადამიანები ერთ დიდ და მოსიყვარულე ოჯახად წარმოედგინა. გარეგნულად მაინც ასე იყო: ერთმანეთს ლოყაზე კოცნით ესალმებოდნენ, საჩუქრებს უძღვნიდნენ, ვიდრე გადაღებები დასრულდებოდა, თითქმის მთელ დროს ერთად ატარებდნენ. როცა ერნესტს პირველად მოუწია კლოდიასთან ერთად სცენარზე მუშაობამ, მაშინ პირველად გაუჩნდა იმედი, რომ ამ დიდ ოჯახში მასაც მიიღებდნენ.

მაგრამ მისი ხასიათის, მისი მწარეირონიისა და მუდმივი ბუზღუნის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა ახლა, აირით გამტკნარებული, მკაცრად ვერც საკუთარ თავს აფასებდა: ის მწერალი იყო და განსხვავებულ მიდგომას იმსახურებდა. დაწერა წიგნები, რომლებიც თვითონაც უყვარდა, რაც მწერლებში იშვიათობაა.

უეცრად სიკვდილი აღარ მოუნდა. ფული ამად არ ღირდა. ბენცი დათმობაზე წავიდოდა ან მოლი და კლოდია გამოძებნიდნენ რაიმე გზას.

მერე კი მთელი ის დამცირება მოაგონდა, რაც ცხოვრებაში განუცდია. სინამდვილეში, არც ერთ ცოლს არ უყვარდა, ვერასოდეს დამტკბარა მშვიდი ოჯახური ბედნიერებით. მისმა წიგნებმა სიმდიდრე ვერ მოუტანა. კრიტიკოსები ხშირად მიწასთან ასწორებდნენ. ცდილობდა, წყენა არ გამოემჟღავნებინა, რადგან კრიტიკოსების საქმე

სწორედ ესაა, მაგრამ მათ სიტყვებს ვერ ივიწყებდა. მეგობრები ზიზღით უცქერდნენ, როგორც ლაჩარსა და არაფრის მაქნისს. კლოდიას, შესაძლოა, გულწრფელად უყვარდა, მოლისა და კენეტს კი ეცოდებოდათ.

ერნესტმა ხელი გაიწვდინა და აირის მიწოდების წყარო გამორთო. სულ რამდენიმე წუთში გონს მოვიდა, მერე კენეტის კაბინეტში გავიდა და საწერ მაგიდასთან მბრუნავ სავარძელში ჩაჯდა.

ძველი დეპრესია დაუბრუნდა. ფული კი არ ანაღვლებდა, არამედ - ბოღმა იმის გამო, რომ სტუდიამ თაღლითურად მოატყუა. ეს ცხოვრებას უწამლავდა, ვეღარაფერს უდებდა გულს, ღამით ძილის წამალს იღებდა, რათა რაც შეიძლება დიდხანს სძინებოდა... ნატიფი პროზის ავტორი, ნიჭიერი, საქვეყნოდ ცნობილი მწერალი ვიგინდარა საქმოსნებმა დაამცირეს. აღარც საკუთარი ნაწარმოებების სწამდა, ისინიც ყალბი და თვალთმაქცური ეჩვენებოდა.

რამდენი ხანია, დილას იმდენად უხალისო და ქანცგამოცლილი იღვიძებდა, რომ შხაპის მიღება და გაპარსვაც კი ეზარებოდა. აღარაფერი ახარებდა. თავის დროზე მილიონები დაუხარჯავს ან გაუჩუქებია. ფულს მისთვის დღემდე მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ბოლო ორი თვის მანძილზე ვერც შვილებს ურიცხავდა ფულს, ვერც ცოლებს - ალიმენტს. არადა, სხვა მამაკაცებისგან განსხვავებით, ამას სიხარულით აკეთებდა. ხუთი წელიწადია, წიგნი აღარ გამოუქვეყნებია და საკუთარი თავი თვითონაც კი შეზიზღდა. საზოგადოების ყბაში გაჩრილ დამპალ კბილს ჰგავდა. უმაქნისს, უღონოს, შემაწუხებელს.

ფეხზე წამოხტა და სამკურნალო ოთახში გაიქცა. კენეტისგან იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. ნიღბიდან ორივე სადენი ამოაძრო - აზოტისა და ჟანგბადის - და მერე მხოლოდ აზოტის შეაერთა. სავარძელში ჩაჯდა, ჩამრთველს მისწვდა და გადააატრიალა. ნიღაბი სახეზე მიიფარა. სუფთა აზოტმა მის სხეულში რომ შეაღწია, წამიერი ნეტარება, ყველა ტკივილისგან გათავისუფლება და სიმშვიდე განიცადა. მერე გონება სრულიად წაეშალა. ვიდრე არსებობას შეწყვეტდა, კიდევ ერთი სანეტარო წამი იგრძნო და იმწამსვე ირწმუნა ღმერთიც და სასუფეველიც.

მოლი ფლენდერსი სკიპისა და ბობის ქორივით დააცხრა. ელი მერიონი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ უფრო თავშეკავებულად მოიქცეოდა.

- ვეილის რომანის გაგრძელება უკვე მზად გაქვთ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მის გამოშვებას გიკრძალავთ, რადგან ის ახლა მემკვიდრეთა საკუთრებაა. თუ ჩემი აკრძალვის მიუხედავად, ფილმს მაინც გამოუშვებთ, საჩივარს შევიტან. თუ გავიმარჯვე, ერნესტის ოჯახი ამ ფილმსაც დაეპატრონება და მისგან მიღებულ მთელ მოგებასაც. ასევე დაკარგავთ უფლებას, მისი პერსონაჟები რომელიმე ფილმში გამოიყენოთ. ჯობს, სასამართლო თავიდან აიცილოთ და წინასწარ ხუთი მილიონი გადაიხადოთ, ყოველი ფილმის მოგების ათი პროცენტიც მემკვიდრეებს არგუნოთ. გარდა ამისა, ვიდეოპროდუქციიდან მიღებული შემოსავლის ამსახველი რეალური დოკუმენტაცია უნდა გამაცნოთ.

დირი შეცბა, ბენცი განრისხდა. ერნესტ ვეილის, მწერლის წილად იმაზე მეტი პროცენტი გამოვიდოდა, ვიდრე ფილმიდან ოდესმე ყველაზე უფრო ცნობილ ვარსკვლავს აუღია. განა ეს აღმაშფოთებელი არ იყო?!

ბენცმა მაშინვე დაიბარა მილო სტიუარტი და სტუდიის მთავარი ადვოკატი. ნახევარ საათში ორივე მის კაბინეტში იჯდა. ადვოკატმა დაიწყო:

- ჩვენ ეს საქმე მაშინვე შევისწავლეთ, როცა მისტერ ვეილი სტუდიას პირველად დაემუქრა.

- თავის მოკვლას თქვენ მუქარას უწოდებთ? - შეუტია მოლი ფლენდერსმა.

- დიახ, მუქარას და შანტაჟს, - რბილად უპასუხა ადვოკატმა, - ჩვენ შევისწავლეთ ასეთი შემთხვევებისთვის დაწესებული კანონი და, მიუხედავად იმისა, რომ ვითარება ძალზე რთულია, მე მაინც ვურჩიე სტუდიას სასამართლოში ბრძოლა. გამარჯვების რეალური შანსი გვაქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საავტორო უფლება მემკვიდრეებზე არ გადადის.

- მერე, როგორ შეაფასებთ თქვენს შანსს? - იკითხა მოლიმ. - შეგიძლიათ, ოთხმოცდათხუთმეტპროცენტიანი გარანტიის მოცემა?

- არა, იურისპრუდენცია ასეთ ზუსტ გარანტიას ვერ იძლევა, - გაეღიმა ადვოკატს.

მოლი პასუხით კმაყოფილი დარჩა. დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა.

- მაშინ კარგად იყავით. სასამართლოში შევხვდებით! - განაცხადა, ფეხზე წამოდგა და გასვლა დააპირა.

ბენცი და დირი თავზარდაცემულნი ისხდნენ და ხმას ვერ იღებდნენ. ბენცი გულწრფელად ნატრობდა, ელი მერიონი ცოცხალი ყოფილიყო.

ვითარება მილო სტუარტმა განმუხტა. ის მოლისთან მივიდა, თბილად გადაეხვია და უთხრა:

- დამშვიდდი. მოდი, ვიმსჯელოთ, - მოლი მის სკამამდე მიაცილა და განაგრძო: - მინდა,შევთანხმდეთ. მე ჩემი წილი პროცენტები მაქვს, როგორც ვარსკვლავის აგენტს, და ნაწილს დაგითმობთ.

მოლიმ დამშვიდებული ხმით მიმართა ბენცს:

- რად გინდათ რისკი? შეიძლება, ყველაფერი დაკარგოთ. თქვენი ადვოკატი პროცესის მოგების გარანტიას ვერ გაძლევთ. ბიზნესმენი ხარ თუ ახირებული მოთამაშე? რაღაც ქეციანი ოცი მილიონის გულისთვის მილიარდს დაკარგავთ.

საბოლოოდ, კომპრომისულ შეთანხმებამდე მივიდნენ: ვეილის მემკვიდრეები წინასწარ ოთხ მილიონს მიიღებდნენ, ფილმის გამოშვების შემდეგ კი - მოგების რვა პროცენტს. ყოველი გაგრძელება დამატებით ორ მილიონსა და ათ პროცენტს მოუტანდათ, რაც გვარიან ქონებას უდრიდა.

დამშვიდობებისას მოლიმ უთხრა:

- თუ გგონიათ, რომ მკაცრად მოგექეცით, ჯერ ნახეთ, კროს დე-ლენა რას იზამს, როცა გაიგებს, რომ ატყუებთ.

მოლი გამარჯვებით ტკბებოდა. მოაგონდა, ერთი წვეულების შემდეგ ერნესტი მანქანით როგორ მიაცილა. მოლი გვარიანად შემთვრალიყო და თავს ძალზე მარტოდ გრძნობდა, ვეილი კი ჩვეულებისამებრ ენამოსწრებულად და ჭკვიანურად საუბრობდა და მოლის მასთან ერთად ღამის გატარება მოუნდა. საჭესთან ჯდომამ მოლი გამოაფხიზლა. როცა საძინებელში შევიდნენ, თავი საშინლად უხერხულად იგრძნო და დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით. შიშველი ერნესტი ძალზე შეუხედავი და თანაც, საშინლად მორცხვი აღმოჩნდა. ენაც კი ჩაუვარდა.

მაგრამ მოლი სამართლიანი ქალი იყო და იმედგაცრუება არ აგრძნობინა. კიდევ დალია, დათვრა და საწოლში ჩაიწვინა. სიბნელეში ერთმანეთს უკეთ გაუგეს და ერთად გატარებული ღამით ისეთი კმაყოფილებიც კი დარჩნენ, რომ მოლიმ კაცს დილით საუზმე საწოლში მიართვა.

- გმადლობ, - ეშმაკური ღიმილით უთხრა ერნესტმა, - და კიდევ ერთხელ გმადლობ.

მოლი მიხვდა, რომ კაცმა მისი წუხანდელი გრძნობები ამოიკითხა და ახლა მხოლოდ საუზმისთვის კი არა, დიდსულოვნებისთვისაც ემადლიერებოდა. მოლი მუდამ იმას წუხდა, მსახიობობა რატომ არ შემიძლიაო, მაგრამ რა ექნა, იურისტი იყო. ახლა კი ერნესტს სიყვარულის უკანასკნელი ვალი გადაუხადა.

დოტორე დევიდ რედფელოს დონ კლერიკუციოს გამოძახება მაშინ მოუვიდა, როცა რომში მნიშვნელოვან შეხვედრაზე იმყოფებოდა.

იტალიის პრემიერ-მინისტრს ახალი საბანკო განაწესის დეტალებს უხსნიდა, რაც ბანკის კორუმპირებული თანამშრომლების გამოვლენას აიოლებდა და, რასაკვირველია, პრემიერს ურჩევდა, ეს განაწესი არაეფექტურია და ჯობს, არ გამოვიყენოთო. რედფელომ დაუყოვნებლივ გადადო ყველა საქმე და ამერიკაში გაფრინდა.

უკვე ოცდახუთი წელი იყო, რაც დონ კლერიკუციომ რედფელო რომში გაგზავნა და იქ მცირე ბანკი უყიდა. მას მერე რედფელო გამდიდრდა, ნარკობიზნესით მოპოვებული ფული შვეიცარიულ საბანკო ოპერაციებში გაათეთრა და რამდენიმე ბანკის გარდა, სატელევიზიო სადგურებიც შეიძინა. დონის იტალიელი მეგობრები დაეხმარნენ ჟურნალების, ტელევიზიისა და ბანკების ნამდვილი იმპერიის შექმნაში.

თუმცა, რედფელო იმითაც იყო კმაყოფილი, რასაც დამოუკიდებლად მიაღწია: ხასიათი და ზნე სრულიად შეეცვალა, გაიტალიელდა. იტალიის მოქალაქე გახდა, იტალიელი ცოლ-შვილი ჰყავდა, იტალიელი საყვარელი და იტალიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული დოტორეს (დოქტორის) საპატიო ხარისხიც მიეღო (რომელიც ორი მილიონი დაუჯდა). „არმანის“ კოსტიუმებს იცვამდა, კვირაში თითო საათს დალაქთან ატარებდა, საკუთარ კაფეში მამაკაცთა კლუბი დააფუძნა და პოლიტიკაშიც კი შეაღწია: პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გახდა. წელიწადში ერთხელ ქუოგში „მოსალოცად“ ჩადიოდა და დონს თავის პატივისცემას უდასტურებდა. ამიტომაც ახლანდელმა სასწრაფო გამოძახებამ

შეაშფოთა.

რეზიდენციაში სადილი ელოდა, რომელიც როუზ-მერიმ განსაკუთრებული გულმოდგინებით მოამზადა, რადგან რედფელო მუდამ რომის რესტორნებს აქებდა. მთელი ოჯახი შეკრებილიყო: დონი, მის ვაჟები, დანტე, პიპი და კროს დე-ლენა.

რედფელოს გმირის საკადრისი პატივით შეხვდნენ. ვიდრე ამერიკიდან წავიდოდა, საყურიანი ქუჩის ბიჭი, ნარკომანი და მექალთანე იყო, ახლა კი საზოგადოების ბურჯად გადაქცეულიყო. მისით ამაყობდნენ, დონი კი წარსულისთვისაც ემადლიერებოდა, რადგან სწორედ რედფელომ ჩაუტარა ოდესღაც ზნეობის დიდი გაკვეთილი.

ახალგაზრდობაში დონს გულუბრყვილოდ სწამდა, რომ კანონდამცავი ძალების მოსყიდვა ნარკოტიკების სფეროში შეუძლებელი იყო. რედფელო მაშინ ოცი წლის, კოლეჯის სტუდენტი იყო. ადრევე დაეწყო ნარკოტიკებით ვაჭრობა არა ფულისთვის, არამედ იმ მიზნით, რომ თვითონ და მეგობრებს მუდამ ჰქონოდათ იაფი ულუფა. თანდათან ვაჭრობა გააფართოვა და პარტნიორებთან ერთად, დიდ ფულს შოულობდა. ცხადია, ბოლოს და ბოლოს, კანონს შეეჯახა. რედფელოს ნიჭიც სწორედ მაშინ გამოვლინდა. მან მოქრთამვის მთელი სისტემა შექმნა, მთელი აღმოსავლეთი სანაპიროს გასწვრივ შერიფების, პოლიციის უფროსების, მოსამართლეთა დიდი რაოდენობა მოისყიდა. ამტკიცებდა, ეს უმარტივესიაო: მოხელის წლიური ხელფასის რაოდენობას გაიგებდა

და ხუთჯერ უფრო დიდ თანხას სთავაზობდა.

მაგრამ მოულოდნელად, სცენაზე კოლუმბიელი ნარკოდილერების ბანდა გამოჩნდა, გაცილებით სასტიკი, ვიდრე კინოვესტერნებში გამოყვანილი ველური ინდიელები: მისი წევრები მტერს, სკალპების ნაცვლად, თავებს აცლიდნენ. რედფელოს ოთხი პარტნიორი დაუხოცეს. ამის შემდეგ მან კლერიკუციოს ოჯახს სთხოვა მფარველობა, სანაცვლოდ კი თავისი შემოსავლის 50 პროცენტი შესთავაზა.

პიტი კლერიკუციო ბრონქსის ნარჩევ რაზმთან ერთად, პირადად დაუდგა დაცვად. მათი თანამშრომლობა 1965 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე დონმაის რომში მიავლინა, რადგან ამერიკაში ნარკობიზნესი მეტისმეტად საშიში გახდა.

ახლა ყველანი სადილად შეკრებილიყვნენ და უკვე მერამდენედ ასხამდნენ ხოტბას დონის სიბრძნესა და წინდახედულობას. დანტემ რედფელოს ამბავი ამ დღეს პირველად მოისმინა. რედფელომ ცამდე აიყვანა პიტი.

- მსგავსი მებრძოლი მეორე არ არსებობს! ის რომ არა, ახლა ცოცხალი არ ვიქნებოდი, ვერც სიცილიას ვნახავდი! - დანტესა და კროსს მიუბრუნდა. - თქვენი ნათლობის დღე გუშინდელივით მახსოვს. როცა ნაკურთხ წყალში ჩაგაყურყუმელავეს, არც ერთს ხმა არ ამოგიღიათ. ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ოდესმე მე და თქვენ ერთად ვიმუშავებდით.

- მათთან არ მოგიწევს, - ცივად უთხრა დონმა, - მხოლოდ ჩემთან

და ჯორჯოსთან ერთად. შეგიძლია, პიპის სთხოვო დახმარება. გადავწყვიტე, ის საქმე განვაგრძო, რომლის შესახებაც გეუბნებოდი. ამის მიზეზს ჯორჯო აგიხსნის.

ჯორჯომ უამბო უკანასკნელი მოვლენები: ელი მერიონის სიკვდილი, ბობი ბენცის მიერ სტუდიაში ძალაუფლების აღება და ის, რომ ბენცმა კროსს „მესალინას“ კონტრაქტი გაუუქმა, პროცენტები წაართვა და თავდაპირველი შენატანი დაუბრუნა.

- ჭკვიანი კაცია, - შენიშნა რედფელომ, - მშვენივრად იცის, რომ სასამართლო ხელს არ გაძლევს.

დანტე ყავას სვამდა. რედფელოს ზიზღით მიაშტერდა. შვილის გვერდით მჯდომმა როუზ-მერიმ მკლავზე ხელი დაადო.

- გგონია, ეგ სასაცილოა? - ჰკითხა დანტემ რედფელოს.

- ასე მხოლოდ იმიტომ მგონია, რომ მოცემულ ვითარებაში ვაი ჭკუისაგან დაემართება, - მშვიდად უპასუხა რედფელომ.

დონს ამ მოკლე პოლემიკამ ხალისი მოჰგვარა. მის შვილებს სწორედ ეს მოსწონდათ მასში: ნებისმიერ ვითარებაში სეირს უყურებდა და სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

- დანტე, შენ როგორ მოაგვარებდი ამ პრობლემას? - ჰკითხა მან შვილიშვილს.

- ჯოჯოხეთში გავუშვებდი, - ღიმილით მიუგო დანტემ.

- შენ, კროჩიფიციო?

- ყველაფერს უცვლელად დავტოვებდი, - უპასუხა კროსმა, - და სამომავლოდ ვისწავლიდი ჭკუას.

- ვინსენტ და პიტი, თქვენ?

მათ არაფერი უპასუხეს, დონი კი ისევ კროსს მიუბრუნდა.

- ამას უპასუხოდ ვერ დატოვებ: ხალხი შენდამი პატივისცემას დაკარგავს.

- მაშინ ელი მერიონის სახლიდან სურათები გავიტაცოთ, რომლებიც ჯამში ოც-ოცდაათ მილიონამდე „ქაჩავს“, და გამოსასყიდი მოვითხოვოთ, - სრულიად სერიოზულად შესთავაზა კროსმა.

- არა, ეს ყველას შენს ნამდვილ ძალას დაანახვებდა და გაგაშიშვლებდა. საშიშია. დევიდ, შენ რას მოიმოქმედებდი?

- სტუდიას ვიყიდდი. კანონიერი, ცივილიზებული საქციელი იქნებოდა. ჩვენს ბანკებს და სამაუწყებლო კომპანიებს „ლოდსტოუნიც“ შეემატებოდა.

- „ლოდსტოუნი“ უძველესი და უმდიდრესი კინოსტუდიაა, - გაოცდა კროსი, - ათი მილიარდიც რომ შესთავაზო, არ გაყიდიან.

პიტიმ რედფელოს მხარზე ხელი გადახვია და სიცილით უთხრა:

- დევიდ, ჩემო მეგობარო, ნუთუ ათი მილიარდის მოგროვება შეგიძლია? სიკვდილისგან რომ გიხსენი, მაშინ მითხარი, ამას ვერასოდეს გადაგიხდიო!

- დიდი ფულის ძალა ჯერ არ გცოდნია, - მიუგო რედფელომ, - ფული ათქვეფილი ნაღებივითაა: სულ ცოტას იღებ, თქვეფ, აფუებ და ამრავლებ კრედიტებისა და აქციების მეშვეობით. ფული პრობლემა არ არის.

- პრობლემა ბენცის დაყოლიებაა, - თქვა კროსმა, - ის მერიონის

ერთგულია და სტუდიას არ გაყიდის.

- მაშინ მე მივალ და კარგად ჩავკოცნი, - ჩაიცინა პიტიმ.

ბოლოს დონმა საკუთარი გადაწყვეტილება გამოაცხადა.

- დევიდ, სცადე შენი გეგმის განხორციელება. ოღონდ ფრთხილად. პიპი და კროჩიფიციო დაგეხმარებიან.

- კიდევ ერთი რამ, - უთხრა რედფელოს ჯორჯომ, - ელი მერიონის ანდერძის თანახმად, ბენცი სტუდიას სრულად აკონტროლებს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ მერიონის შვილებს მასზე მეტი წილი ეკუთვნით. თუ სტუდია გაიყიდა, ახალ მფლობელს მისი გაგდების უფლება არ ექნება, მაგრამ შესაძლებელია, გადავუხადოთ და მოვიშოროთ. ეს შენი გადასაჭრელი პრობლემა იქნება.

- მუდამ ასე იყო, - თქვა რედფელომ და სიგარის კვამლი ამოუშვა, - დონ კლერიკუციო, მე მხოლოდ თქვენი მხარდაჭერა დამჭირდება. ზოგიერთი იტალიური ბანკი შეიძლება, ასეთ პირობას არ დათანხმდეს: სტუდიის რეალურ ღირებულებაზე ბევრად მეტის გადახდა მოგვიწევს.

- დარდი ნუ გაქვს, - მიუგო დონმა. - ამ ბანკებში საკმარისი ფული მაქვს.

პიპი დე-ლენა საუბარს ფხიზლად უგდებდა ყურს. იმან შეაშფოთა, რომ საკითხი ოჯახის საყოველთაო კრებაზე იქნა გამოტანილი, თუმცა საკმარისი იქნებოდა დონის, ჯორჯოსა და რედფელოს მონაწილეობა. პიპისა და კროსს მოგვიანებითაც მისცემდნენ დავალებას,

რედფელოსთვის დახმარება გაეწიათ. რატომ ჩაახედეს მათ ყველა საიდუმლოში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საუბარს დანტე, პიტი და ვინსენტიც რატომ ესწრებოდნენ? დონი ჩვეულებრივ, ყველაფერს მაქსიმალურად ასაიდუმლოებდა.

ვინსენტი და როუზ-მერი დონს სავარძლიდან ადგომაში დაეხმარნენ. მოხუცი ჯიუტად უარობდა მეორე სართულზე ასასვლელი მექანიკური სავარძლით სარგებლობას.

როცა საძინებელში აიყვანეს, დანტე ჯორჯოს მიუბრუნდა და გაცხარებით მიახალა:

- მერე, სტუდიას როცა ვიყიდით,მფლობელი ვინ იქნება? კროსი?

რედფელომ ცივად გააწყვეტინა:

- სტუდია ჩემი იქნება. პაპაშენს პროცენტი ექნება. ეს ოფიციალურად, საბუთებში იქნება ასახული.

ჯორჯომ თავი დაუკრა.

- დანტე, ვერც შენ და ვერც მე კინოსტუდიას ვერ მოვუვლით, - სიცილით უთხრა კროსმა, - საამისოდ ძალიან მაგარი უნდა იყო.

პიპი კვლავ დაძაბული იჯდა. საფრთხეს მუდამ წინასწარ გრძნობდა, მაგრამ ახლა გაოგნებული იყო. შესაძლოა, დონი უბრალოდ დაბერდა...

პიტიმ რედფელო კენედის სახელობის აეროპორტში წაიყვანა, სადაც მას პირადი თვითმფრინავი ელოდა. პიპი და კროსი ვეგასიდან ჩარტერული რეისით ჩამოფრინდნენ. დონი სასტიკი წინააღმდეგი იყო, „ქსანადუს“ ან ოჯახის სხვა რომელიმე კომპანიას საკუთარი

თვითმფრინავი ჰქონოდა.

კროსი ნაქირავები მანქანის საჭესთან იჯდა. გზად პიპიმ უთხრა:

- ნიუ-იორკში ცოტა ხნით დარჩენა მინდა. აეროპორტში რომ მივალთ, მანქანას დავიტოვებ.

- შეხვედრაზე დიდად ვერ ვიყოჩაღე, - წუხდა კროსი.

- არა, სწორად იქცეოდი, - დაამშვიდა მამამ, - მაგრამ დონი მართალია: თავს ნურავის მოატყუებინებ, თორემ მეორედაც გაგაცურებენ.

როცა გაჩერდნენ, კროსი მანქანიდან გადავიდა, პიპი კი საჭესთან გადაჯდა. ერთბაშად შვილის სიყვარული მოეძალა, მის მოსაფერებლად ხელი გაიწვდინა და უთხრა:

- თავს გაუფრთხილდი.

- რას ვუფრთხილდე? - გაეღიმა კროსს.

- ყველაფერს, - უთხრა პიპიმ და დასძინა: - იქნებ შევცდი და დედაშენთან უნდა გამეშვი, მაგრამ ეგოისტი ვიყავი, მინდოდა, ჩემთან ყოფილიყავი.

კროსმა მანქანას თვალი გააყოლა და ახლაღა იგრძნო, თუ როგორ ღელავდა მამა მის გამო და რა ძლიერ უყვარდა.

თავი 15

პიპი დე-ლენამ თავისდა უნებურად, ცოლის შერთვა გადაწყვიტა - არა სიყვარულის, არამედ უფრო, საოჯახო სიმყუდროვის სურვილით. მართალია, მის გვერდით კროსი იყო, „ქსანადუში“ მეგობრები ჰყავდა,

არც ნათესავები აკლდა და არც საყვარლები. უყვარდა გულიანად ჭამა, გოლფის თამაში და ცეკვის ძველ გატაცებასაც არ ღალატობდა, მაგრამ მაინც რაღაც აკლდა.

ამგვარად, სამოცს მიტანებულმა, ჯერაც ჯან-ღონითა და შემართებით სავსე, მდიდარმა და მოცლილმა პიპიმ ოჯახური სიმყუდროვე და იქნებ ახალი შვილებიც კი ინატრა. რატომაც არა? ამაზე სულ უფრო მეტს ფიქრობდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ისევ მამობა უნდოდა. კარგი იქნებოდა ქალიშვილის აღზრდა. კლოდია პატარაობაში ძალიან უყვარდა, თუმცა ახლა აღარ ურთიერთობდნენ. ჭკვიანი და სამართლიანი იყო და დამოუკიდებლად გაიკვლია გზა, როგორც სცენარისტმა. კროსი ამაყობდა იმით, რომ კლოდია მასავით ჯიუტი და მიზანდასახული იყო. იქნებ მომავალში ისევ აეწყოთ ურთიერთობა, ვინ იცის...

კროსმა კინობიზნესში მარცხი განიცადა, მაგრამ მისი მომავალი, ასე თუ ისე, მაინც გარანტირებული იყო. „ქსანადუც“ ჰქონდა და დონის მფარველობაც არ აკლდა. კარგი ბიჭი იყო, უბრალოდ, ახალგაზრდას მუდამ რისკის მოთხოვნილება აქვს. ცხოვრებაც ხომ სწორედ ესაა.

პიპიმ კროსი აეროპორტში რომ მიიყვანა, ნიუ-იორკში თავის ერთ-ერთ საყვარელთან გაემგზავრა. მასთან რამდენიმე დღის გატარებას აპირებდა. ლამაზი შავგვრემანი ქალი იყო, იურისტის მდივნად მუშაობდა, ჭკვიანიც იყო და თანაც, ცეკვა უყვარდა. მართალია, გრძელი ენა ჰქონდა და ფულის ფლანგვა უყვარდა, ახალგზარდაც აღარ იყო - ორმოცდახუთის, თანაც, ძალზე დამოუკიდებელი, რაც

საყვარლისთვის კარგი თვისება გახლავთ, მაგრამ ისეთი ქორწინებისთვის არ გამოდგებოდა, როგორსაც პიპი ნატრობდა.

სასიამოვნო შაბათ-კვირა გაატარეს, მიუხედავად იმისა, რომ ქალმა კვირა დღის ნახევარი „თაიმსის“ კითხვაში გაატარა. საუკეთესო რესტორნებში დადიოდნენ, ღამის კლუბებში ცეკვავდნენ და ქალის ბინაში შესანიშნავი სექსიც ჰქონდათ, მაგრამ პიპის რაღაც უფრო მშვიდი და შინაურული უნდოდა.

ამის შემდეგ პიპი ჩიკაგოში გაფრინდა. მისი იქაური საყვარელი სწორედ ამ თავზე ხელაღებულ ქალაქს ჰგავდა: ცოტათი ზედმეტს სვამდა, დარდიმანდი და ხუმარა იყო, მასთან ერთად არასოდეს მოიწყენდი, ცოტა ხმაურიანი და ემოციური იყო, შინ - ერთობ დაუდევარი, პიპის კი სისუფთავე და წესრიგი უყვარდა. ესეც ახალი ოჯახისთვის ასაკოვანი იყო, - სულ ცოტა, ორმოცის, - როგორც თვითონ ამბობდა. მართალია, პიპი მთლად ახალგაზრდა გოგოსთან საქმის დაჭერას არ აპირებდა, მაგრამ მასთან გატარებული ორი დღის შემდეგ ისიც კანდიდატების სიიდან ამოშალა.

ამ ქალებიდან პიპი ვერც ერთს ვერ დაასახლებდა ვეგასში. ორივე დიდ ქალაქს იყო შეჩვეული, ვეგასი კი დღემდე კოვბოების დაბად რჩებოდა, ოღონდ ძროხების მაგივრობას ახლა კაზინოები სწევდა. პიპიმ კი იცოდა, რომ ვეგასის გარდა სხვაგან ვერსად გაჩერდებოდა: მისი ნეონის ლამპიონები ყველა აჩრდილს აფრთხობდა, ღამის ქალაქი შუა უდაბნოში ვარდისფერი ბრილიანტივით ენთო, შუადღის მზე კი სიხალისესა და სიკაშკაშეს მატებდა.

ლოს-ანჯელესში მაინც ყველაზე კარგი საყვარელი ჰყავდა. პიპი საერთოდ, კმაყოფილი იყო, თავისი ქალები გეოგრაფიულად ასე მოსახერხებლად რომ განათავსა: ერთურთს შემთხვევით ვერ გადაეყრებოდნენ და ვერც მის დროებით სასიყვარულო ურთიერთობებს შეუშლიდნენ ხელს. კმაყოფილი იყო საერთოდ, თავისი ცხოვრებითაც: მუდამ გაბედული იყო, მაგრამ - ფრთხილიც. კლერიკუციოს ოჯახისთვის არაფერი დაუშურებია და დამსახურებულ ჯილდოსაც მუდამ იღებდა. ერთადერთ შეცდომად ნელინისთანა ქალის ცოლად შერთვას თვლიდა, თუმცა სხვა რომელი ქალი მიანიჭებდა თერთმეტწლიან ბედნიერებას?.. ანდა რომელი მამაკაცი დაიკვეხნიდა, ცხოვრებაში ერთადერთი შეცდომა დავუშვიო? როგორც დონი იტყოდა ხოლმე, შეცდომები ყველას მოგვდის, მთავარია, საბედისწერო შეცდომა არ დავუშვათო.

გადაწყვიტა, ვეგასის ნაცვლად პირდაპირ ლოს-ანჯელესში გამგზავრებულიყო. მიშელს შეატყობინა, მოვდივარო, და როცა ის აეროპორტში დახვედრას შეჰპირდა, პიპიმ იუარა:

- მზად იყავი, მოვალ. მომენატრე. შენთვის რაღაც მნიშვნელოვანი მაქვს სათქმელი.

მიშელი სხვებზე ახალგაზრდა იყო, ოცდათორმეტი წლის გახლდათ, სხვებზე უფრო დამყოლი, მშვიდი, თვინიერი, იქნებ იმიტომ, რომ კალიფორნიაში გაიზარდა. საწოლშიც კარგი იყო, თუმცა ამ გაგებით, არც პიპის სხვა ქალები დაიწუნებოდნენ, რადგან მისთვის ეს გადამწყვეტი კრიტერიუმი იყო. მსუბუქი უცნაურობები კი სჭირდა:

პარაფსიქოლოგიით იყო გატაცებული, იოგას მისდევდა, სულების სწამდა და საკუთარ რეინკარნაციაზე ლაპარაკი უყვარდა. სხვა კალიფორნიელი ლამაზმანების მსგავსად, ისიც ოდესღაც მსახიობობაზე ოცნებობდა, მაგრამ გადაათქმევინეს. პიპის ხშირად ეუბნებოდა, კარგი კარმა გაქვსო. ცხადია, არც ერთმა ქალმა არ იცოდა მისი ნამდვილი საქმიანობის შესახებ: პიპი მათთვის ვეგასის სასტუმროს ადმინისტრაციის თანამშრომელი იყო.

მიშელთან ერთად ვეგასში ცხოვრება სრულიად რეალური იყო. ლოს-ანჯელესშიც ექნებოდათ ბინა და, როცა მოიწყენდნენ, ორმოც წუთში იქ ჩაფრინდებოდნენ ხოლმე. პიპი მას დაასაქმებდა კიდეც: „ქსანადუში“ საჩუქრების მაღაზიას უყიდდა. მთავარი იყო, ქალს უარი არ ეთქვა...

პიპის მეხსიერებიდან ძველისძველი სურათი ამოუტივტივდა:ნელინი ბავშვებს „ოქროსკულულასა და სამი დათვის ზღაპარს“ უკითხავს. მიშელიც ოქროსკულულას ჰგავდა. ნიუიორკელი ქალი მეტისმეტად ცივი იყო, ჩიკაგოელი - მეტისმეტად ავარდნილი, ლოსანჯელესელი ქალი კი - სწორედ ისეთი, როგორიც მას სჭირდებოდა. ეს ფიქრი სიამოვნებდა. ცხადია, იცოდა, რომ რეალურ ცხოვრებაში არაფერი იყო „ისეთი, როგორიც საჭიროა“.

თვითმფრინავიდან როგორც კი გადმოვიდა, კვამლის მიუხედავად, სიამოვნებით შეისრუტა კალიფორნიის ჰაერი. როდეო-დრაივზე გაიარა. უყვარდა ქალებისთვის ძვირფასი საჩუქრების მირთმევა. „გუჩის“ მაღაზიაში მაჯის საათი იყიდა, „ფენდიში“ - ხელჩანთა, თუმცა,

მისი აზრით, უშნო იყო, ასევე „ჰერმესის“ შარფი და სუნამო, რომლის ბოთლიც უძვირფასეს ქანდაკებას ჰგავდა. როცა ძვირფასი საცვლის კომპლექტს ყიდულობდა, ისეთ კარგ გუნებაზე დადგა, გამყიდველ ქალს გაეხუმრა, ჩემთვის მინდაო.

ყველაფერი „გუჩის“ ჭრელ სასაჩუქრე ჩანთაში ჩააწყო და წინა სავარძელზე დაიდო. გეზი სანტა-მონიკასკენ აიღო. ბრენტვუდის სავაჭრო ცენტრთან გააჩერა, იქ უყვარდა პროდუქტების ყიდვა. თვითმფრინავში საშინელი საჭმელი მოუტანეს. მშიერი იყო, მიშელს კი მაცივარი მუდამ ცარიელი ჰქონდა, რადგან სულ დიეტაზე იჯდა.

ორი შემწვარი წიწილა იყიდა, შემწვარი კარტოფილი, ოთხი ჰოთდოგი, ახალგამომცხვარი თეთრი პური და დიდი ჭიქით „კოკა-კოლა“. ღია ცის ქვეშ მდგარ ბარბექიუს ერთ-ერთ მაგიდასთან დაჯდა. ასე გემრიელად კარგა ხანია, არაფერი უჭამია. კალიფორნიის მზე სახეს სასიამოვნოდ სწვავდა, სუფთა ჰაერიც სიამოვნებდა. უნდა ეჩქარა, რადგან მიშელი უკვე ელოდებოდა: სუფთა, სუნამონაპკურები დახვდებოდა პიპის და კბილებს გახეხვასაც არ აცლიდა, ისე ჩაიწვენდა საწოლში. პიპი მანამ აპირებდა მისთვის ხელის თხოვნას, ვიდრე დაწვებოდნენ.

დარჩენილი საჭმელი ქაღალდის პარკში ჩააწყო და მანქანაში ჩაჯდა. სულ მალე სანტა-მონიკაში, მიშელის ბუნგალოსთან იყო. მანქანიდან რომ გადმოვიდა, ორივე ჩანთა ჩვევისამებრ, მარცხენა ხელში დაიჭირა, მარჯვენა თავისუფალი ჰქონდა. ასევე ინსტინქტურად შეავლო თვალი ქუჩას. არავინ ჩანდა. რა სიმყუდროვე იყო! ლამაზი

პარმაღები ყვავილებით იყო მორთული. პიპი ფეხით გაუყვა ხეივანს, რომლის ორივე მხარეს ხვიარა ვარდებით დახუნძლული გისოსის ღობე იდგა. ხეივნის ბოლოს თეთრი მერხებით გარშემორტყმული აუზი მოჩანდა. აუზის მხრიდან პიპის მანქანის ძრავის ხმა მოესმა. მუდამ ფრთხილმა, ხმას გაფაციცებით მიაყურადა. იმავე წამს ერთ-ერთი მერხიდან წამომდგარი კაცი დაინახა.

- აქ რა ჯანდაბას აკეთებ? - გაოცება ვეღარ დაფარა პიპიმ. თუმცა უკვე ზუსტად იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო. მკვლელის დაძაბული სახე და მის ხელში იარაღი დაინახა და ერთბაშად წარმოესახა გაოგნება, რომელიც მის მიერ დახოცილთა სახეებზე აღიბეჭდებოდა: თურმე ასე მთავრდება სიცოცხლე. მიხვდა, რომ ახლა თვითონ მოუწევდა სხვათა წართმეული სიცოცხლის ფასის გადახდა. იმის გაფიქრებაც კი მოასწრო, რომ მკვლელმა ოპერაცია ცუდად დაგეგმა, თვითონ ყველაფერს სულ სხვანაირად განახორციელებდა.

იცოდა, რომ არაფერი ეშველებოდა, მაგრამ მაინც ყველაფერი სცადა, რაც შეიძლებოდა. ჩანთები დაყარა და მკვლელისკენ წაიწია, მაგრამ თითქმის ერთდროულად გასროლილმა ექვსმა ტყვიამ მისი სხეული ჰაერში აისროლა და ღობის ძირას ყვავილებზე დაანარცხა. პიპიმ მათი სურნელი იგრძნო, თავს წამომდგარ კაცს ახედა და ძლივძლივობით ამოთქვა:

- სანტადიო, შენი დედაც!

ბოლო ტყვიამ თავის ქალა გაუხვრიტა. პიპი დე-ლენას სიცოცხლე დასრულდა.

თავი 16

პიპი დე-ლენას სიცოცხლის უკანასკნელ დღეს, დილით ადრე კროსმა ათენას გაუარა და მისი ქალიშვილის, ბეთანის სანახავად გაემგზავრნენ.

ძიძებს ბეთანი გამოსასვლელად გამოეწყოთ. კროსმა კვლავ შენიშნა, თუ რა ძლიერ ჰგავდა გოგონა დედას. თავისი ასაკისთვის მაღალი იყო, თუმცა - გამხდარი. ნაკვთები უცნურად ჰქონდა ფორმადაკარგული, საპნის გალეულ ნაჭერს ჰგავდა. სახე სრულიად უემოციო ჰქონდა. ახლაც ეკეთა მუშამბის წითელი წინსაფარი, რომლითაც ხატავდა. ადრიან დილიდან დაეწყო კედელზე ხატვა. მათ შემოსვლას ყურადღება არ მიაქცია, დედამ კოცნა და ალერსი რომ დაუპირა, უკან დაიხია და სახე გვერდზე გასწია.

კროსი გოგონას უყურებდა და იმაზე ფიქრობდა, დღის ბოლოს ის და ათენა მალიბუში რომ დაბრუნდებოდნენ და საწოლში ჩაწვებოდნენ. ქალის შიშველი სხეული თვალწინ ედგა.

უეცრად ბეთანიმ ხმა ამოიღო. კროსისთვის ყურადღება მანამდე არც ერთხელ არ მიუქცევია, ახლა კი სწორედ მას მიმართა:

- ვინ ხარ?

ათენამ ისეთი მშვიდი, ბუნებრივი კილოთი უპასუხა, თითქოს ბეთანის ლაპარაკი სულაც არ გაჰკვირვებია:

- კროსი ჰქვია, ჩემი საუკეთესო მეგობარია.

ბეთანიმ ყურადღება აღარ მიაქცია და კვლავ თავის სამყაროში ჩაიკეტა.

ათენამ მწვანე მდელოზე კრიალა ტბორის პირას გააჩერა მანქანა და ბალახზე წითელი სუფრა გაშალა. კროსმა საჭმლით სავსე კალათა გადმოიღო. ბეთანი სუფრაზე ამოქარგული მუსიკალური ინსტრუმენტებით დაინტერესდა. ათენამ კალათიდან სხვადასხვანაირი სენდვიჩი, მინის ჭამებით სალათა და დაჭრილი ხილი გადმოალაგა. შემწვარი წიწილა და კრემიანი ნამცხვრებიც წამოეღო. ბეთანის ჭამა უყვარდა. P SEP

კროსმა მანქანიდან წყლის ბოთლი მოიტანა. ათენამ ბეთანის წყლის სავსე ჭიქა მიაწოდა, მაგრამ გოგონამ მისი ხელი გვერდზე გასწია. კროსს მიშტერებოდა. კროსმა ბავშვს თვალი გაუსწორა. სახე კვლავაც გაყინულ ნიღაბს მიუგავდა, მაგრამ თვალები გამოუცოცხლდა. ბავშვი იმ ადამიანს ჰგავდა, რაღაც ღრმა ორმოდან რომ იცქირება, დამწყვდეულია და საშველად ვერავის უხმობს, სხეული კი იარებით აქვს დაფარული და შეხებას ვერ იტანს. P SEP

საჭმელად დასხდნენ. ათენა ლაქლაქს მოჰყვა, ხუმრობდა, ბეთანის ისე ეჭორავებოდა, როგორც თავის დაქალს და დუმილსა და ურეაქციობასაც სრულიად ბუნებრივად იღებდა. კროსი ამ ოსტატურად ნათამაშებ სპექტაკლს გაოცებული უცქერდა. P SEP

დესეტრის დრო რომ დადგა, ათენამ ბეთანის ნამცხვარი შესთავაზა. გოგონამ თავი გააქნია. ქალმა ნამცხვრის თეფში ახლა კროსს გაუწოდა, მაგრამ მანაც უარი უთხრა. უკვე ნერვები ღალატობდა, რადგან ხედავდა, რომ ბეთანიმ, მართალია, ბევრი ჭამა, მაგრამ დედას სულ უფრო მეტად ებუტებოდა. ათენას ეს არ გამოჰპარვია P SEP

ქალმა ნამცხვარი პირში ჩაიდო და მის ქებას მოჰყვა. ბავშვსაც წინ დაუდო ორი ნამცხვარი. ბეთანიმ ნამცხვრებს ქაღალდი შემოხსნა და ბალახზე დააწყო. ორივე ნაჭერს იმწამსვე ჭიაღუები შემოეხვივნენ. ბეთანიმ ნამცხვრები აიღო, ერთი პირში ჩაიდო, მეორე კროსს გაუწოდა. კროსმა ის უყოყმანოდ ჩაიდო პირში, თუმცა სასასა და ღრძილებზე ცოცხალი მწერების ღიტინი იგრძნო. სასწრაფოდ წყალი დააყოლა და ეს უსიამოვნო ულუფა გადაყლაპა.

ათენამ ორივეს შეხედა და გავარჯიშებული სასცენო სიცილით გადაიხარხარა:

- ხომ გითხარი, გემრიელია-მეთქი.

უკანა გზაზე, როცა კლინიკაში ბრუნდებოდნენ, ათენა კროსსაც ისეთი ნაძალადევი სიხალისით ელაპარაკებოდა, თითქოს ისიც აუტისტი ყოფილიყო.

დამშვიდობებისას ბეთანიმ კროსს წამით ჩასჭიდა ხელი და უთხრა:

- ლამაზი ხარ.

კაცმა კოცნა დაუპირა, მაგრამ გოგონამ თავი მოარიდა და გაიქცა.

როცა მალიბუში მიემგზავრებოდნენ, ათენა აღტყინებული იმეორებდა:

- შენზე რეაგირებს. ეს ძალიან კარგი ნიშანია.

- იმიტომ, რომ ლამაზი ვარ, - ცივად უპასუხა კროსმა.

- არა, - უთხრა ათენამ, - იმიტომ, რომ მწერების ჭამა შეგიძლია.

შენზე არანაკლებ ლამაზი ვარ, მაგრამ მაინც ვძულვარ... - ათენა იღიმოდა და მისმა სილამაზემ კროსი, როგორც ყოველთვის, გააბრუა და ამასთანავე, შეაშფოთა.

- თავისნაირი ჰგონიხარ, გაიგე? ჰგონია, შენც აუტისტი ხარ.

- იქნებ მართალიცაა, - გაეცინა კროსს, - იქნებ მეც ჰოსპიტალში ვარ მოსათავსებელი.

- არა, მაშინ ხომ შენი სხეული ჩემს სიახლოვეს ვეღარ იქნება, - უთხრა ათენამ, - თანაც, როგოც კი „მესალინას“ დავასრულებთ, უნდა წამოვიყვანო.

კროსი ათენას სახლში შეჰყვა. იმ ღამით მასთან დარჩენას აპირებდა. ეს ქალი უკვე საკმარისად გაიცნო და იცოდა, რაც უფრო გამოცოცხლებული ჩანდა, მით უფრო ცუდად გრძნობდა თავს შინაგანად.

- თუ ხასიათზე არ ხარ, ვეგასში დავბრუნდები, - უთხრა ათენას.

ქალი ერთბაშად დაღონდა. კროსმა გაიფიქრა, ნეტავ, როგორი უფრო მომწონს: ხალისიანი, სერიოზული თუ ნაღვლიანიო?..

ათენამ ალერსიანად უთხრა:

- საშინელი დღე გქონდა და სამაგიეროდ, ჯილდო გეკუთვნის, - ბოლოს ჩაიცინა და კროსი მიხვდა, რომ საკუთარ სილამაზეს, მის ყალბ ბრწყინვალებას დასცინოდა.

- ეს დღე სულაც არ ყოფილა საშინელი, - გულწრფელად თქვა კროსმა, რადგან იმპიკნიკის სიმშვიდემ ბავშვობა გაახსენა.

- ესე იგი, მწერებიანი ნამცხვარი გიყვარს, - ნაღვლიანად გაეღიმა

ათენას.

- უგემური სულაც არ იყო. შესაძლებელია, ბეთანი განიკურნოს?

- არ ვიცი, მაგრამ ცდას არ დავაკლებ, - უპასუხა ათენამ. - წინ გადაღებებისგან თავისუფალი შაბათ-კვირა მაქვს. ბეთანის საფრანგეთში წავიყვან - იქ ერთი ცნობილი ექიმია.

- იმედი რომ გადაგიწუროს, რას იზამ?

- არ ვიცი. ალბათ არ დავუჯერებ. რა მნიშვნელობა აქვს? მიყვარს და ჩემთან მეყოლება.

- სამუდამოდ?

- სამუდამოდ, - უეცრად ათენამ ტაში შემოჰკრა და შესძახა: - ახლა კი ჩვენს თავს მივხედოთ. შხაპი მივიღოთ და საწოლში ჩავწვეთ. რამდენიმე საათს დავტკბეთ ერთმანეთით, მერე კი შუაღამის ვახშამს მოვამზადებ.

კროსს ერთბაშად, ბავშვობისდროინდელი ლაღი და ხალისიანი განცდა დაეუფლა, როცა დედა საჭმელს უმზადებდა, მამასა და კლოდიასთან ერთად სეირნობდა, სადილის შემდეგ კი ბანქოს ეთამაშებოდა. ათენასთან ერთად საწოლში ყოფნაც უმანკო და თბილ ნეტარებად ექცა, მისი აბრეშუმის კანი და ტუჩები უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა.

საძინებელში ტელეფონმა დარეკა. ათენამ სასწრაფოდ აიღო ყურმილი, მერე გაოგნებული სახით მიკროფონს ხელი მიაფარა და კროსს უთხრა:

- შენ გკითხულობენ. ჯორჯო ვარო.

კროსისთვის ათენას სახლში მანამდე არავის დაურეკავს.

მაშინვე მიხვდა, რომ ეს უეჭველად ცუდ ამბავს ნიშნავდა. კროსმა ის გააკეთა, რაც მანამდე არასოდეს ჩაუდენია: ათენას შეხედა და უარის ნიშნად თავი გააქნია. ათენამ ყურმილში თქვა:

- აქ არ არის. დიახ, როცა მოვა, ვეტყვი, დაგირეკოთ. - ყურმილი რომ დაკიდა, კროსს მიუბრუნდა: - ჯორჯო ვინ არის?

- ნათესავი, - უპასუხა კროსმა. საკუთარმა საქციელმა თავზარი დასცა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ ათენასთან ერთად ღამის გატარებაზე უარი ვერ თქვა. ეს უმძიმესი დანაშაული იყო. მერე ჩაფიქრდა, ნეტავ, ჯორჯომ საიდან იცოდა, რომ აქ ვარ და რა უნდოდაო?.. უსათუოდ რაღაც მნიშვნელოვანი იქნებაო, გაიფიქრა, მაგრამ მაინც დილამდე მოიცდიდა. ამ წამს მთელი კვირა და მთელი დღე ელოდებოდა. ერთმანეთს ტანზე გახდაში მიეხმარნენ და მერე ათენამ კროსს ხელი ჩასჭიდა და საშხაპეში შეიყვანა. ერთმანეთი დიდი ნარინჯისფერი პირსახოცებით გაამშრალეს, მერე პირსახოცებშემოხვეულნი აივანზე იდგნენ და ჩამავალ მზეს გაჰყურებდნენ.

საწოლში კროსს გონება სრულიად დაებინდა, ათენას ალერსმა ცხელებიან ძილბურანში ჩაძირა, საკუთარ სხეულს ვეღარ გრძნობდა და აჩრდილივით მოძრაობდა. აღარაფერზე ფიქრობდა, იმის გარკვევასაც კი აღარ ცდილობდა, ათენა გულწრფელად ეალერსებოდა თუ როლს თამაშობდა. ბოლოს ერთურთში ჩახვეულებს ჩაეძინათ.

ისევ ისე გადახვეულებს გაეღვიძათ. მთვარის შუქი მათ სხეულებს

ეალერსებოდა. ათენამ აკოცა და ჰკითხა:

- ბეთანი მართლა მოგეწონა?

- ჰო. ის შენი ნაწილია, - მიუგო კროსმა.

- როგორ ფიქრობ - რამე გამომივა? უკეთ იქნება?

იმ წამს კროსმა იგრძნო, რომ ბავშვის გამოჯანმრთელებისთვის სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა. საყვარელი ქალისთვის თავგანწირვისკენ სწრაფვა განიცადა, რაც ბევრ მამაკაცს აქვს, მას კი მანამდე არასოდეს უგრძნია.

- ორივენი ვეცადოთ, - უთხრა ქალს კროსმა.

- არა, ეს მარტომ უნდა გავაკეთო, - თქვა ათენამ.

ისევ ჩაეძინათ. ტელეფონმა ისევ რომ დარეკა, რიჟრაჟის ნისლიანი სინათლე იდგა.

- დაცვა რეკავს. ოთხი კაცია მანქანით მოსული და შენი ნახვა უნდათ, - უთხრა ათენამ.

- ერთ-ერთს დამალაპარაკონ, - სთხოვა კროსმა.

ყურმილში ვინსენტის ხმა გაიგონა:

- კროს, მე და პიტი ვართ. ძალიან ცუდი ამბავი გვაქვს.

- კარგი, დაცვას დამალაპარაკე, - უთხრა კროსმა და უთხრა, სტუმრები გამოატარეთო.

ჯორჯოს ზარი სულ გადაავიწყდა. ტანთ რომ იცვამდა, გაიფიქრა: აი, სიყვარული რას შვრება: ასე თუ განვაგრძე, ერთ წელიწადსაც კი არ ვიცოცხლებო. ეზოში რომ ჩაირბინა, მანქანა ის-ის იყო, ჭიშკარში შემოსულიყო. კროსმა ვინსენტი და პიტი პარმაღზე ამოაცილა. უეცრად

თავის გვერდით ათენა შენიშნა, მხოლოდ პულოვერი და შლაქსი ეცვა, შიგნიდან კი - არაფერი. კროსის ბიძები ქალს მიაშტერდნენ. ასეთი ლამაზი არასოდეს ყოფილა.

ათენამ ყველანი სამზარეულოში შეიპატიჟა და ყავის მოდუღებას შეუდგა.

- აქ როგორ მოხვდით? წუხელ ნიუ-იორკში იყავით, - უთხრა კროსმა პიტისა და ვინსენტს.

- ჯორჯომ თვითმფრინავი დაგვიქირავა, - უპასუხა პიტიმ.

ათენა სტუმრებს აკვირდებოდა. გარეგნული მსგავსებით, ძმები უნდა ყოფილიყვნენ. ორივეს უემოციო, გაყინული სახე ჰქონდა, ოღონდ ვინსენტს - ფერმკრთალი, პიტის კი - სასმლისგან შეწითლებული.

- რა მოხდა? - ჰკითხა მათ კროსმა. ან დონის გარდაცვალების ამბავს მოელოდა, ან ცნობას როუზ-მერის გაგიჟების თაობაზე, ანდა ისეთ ხიფათს, რომელიც კლერიკუციოს მთელ ოჯახს დაემუქრა.

- განმარტოებით უნდა დაგელაპარაკოთ, - უთხრა ვინსენტმა.

ათენამ სამივეს ყავა დაუსხა და კროსს მიმართა:

- ყველა ჩემი პრობლემა გაგიზიარე და მინდა, შენიც ვიცოდე.

- ჯობს, მათთან ერთად წავიდე, - უთხრა კროსმა.

- რატომ ხარ ასეთი დამთმობი? - გაცხარდა ათენა. - არ გაგიშვებ.

ვინსენტს გაქვავებულ სახეზე აღშფოთება აღებეჭდა, პიტი ათენას ღიმილით დააკვირდა, თთქოს სურდა ეთქვა, ეს ვინ ყოფილაო?! კროსს გაეცინა და თქვა:

- კარგი, მითხარით.

- მამაშენს რაღაც შეემთხვა, - დარტყმა შეარბილა პიტიმ. ვინსენტმა კი პირდაპირ მიაყოლა:

- პიპის ვიღაც გიჟმა ზანგმა ესროლა. ისიც მკვდარია და მკვლელიც. მკვლელს დეტექტივი ჯიმ ლაუზი გამოეკიდა და მოკლა. ლოს-ანჯელესში გელოდებიან გვამის ამოსაცნობად და დოკუმენტაციის შესადგენად. მოხუცს უნდა, რომ ქუოგში დავკრძალოთ.

კრისს სუნთქვა შეეკრა. ერთხანს გაბრუებული იჯდა, მერე იგრძნო, ათენამ ორივე ხელი მკლავში როგორ ჩასჭიდა.

- როდის? - იკითხა კროსმა.

- საღამოს რვა საათზე. ჯორჯომ დაგირეკა, - უთხრა პიტიმ.

როცა მე ათენასთან ერთად საწოლში ვიყავი, მამაჩემი მორგში იწვაო, - გაიფიქრა კროსმა და ისე შესძულდა თავი ამ სისუსტის გამო, რომ ლამის სირცხვილისგან დაიწვა.

- უნდა წავიდე, - მიმართა ათენას.

- ძალიან ვწუხვარ. დამირეკე, - უთხრა ქალმა.

ლიმუზინის უკანა სავარძელზე კროსი ცოტათი გონს მოვიდა. ოკეანისპირა გზატკეცილს მიუყვებოდნენ. მანქანა, რომელშიც ისხდნენ, დაჯავშნილი იყო.

ხუთი დღის შემდეგ პიპი დე-ლენა ქუოგში, საგვარეულო აკლდამაში დაკრძალეს. დონმა მისდამი დიდი პატივისცემა გამოხატა, როცა სილვიოს გვერდით მიუჩინა ადგილი.

დაკრძალვას მხოლოდ ოჯახის წევრები და ბრონქსის რჩეული

მებრძოლები ესწრებოდნენ. საგანგებოდ ჩამოვიდა ლია ვაზი. პიპის სიკვდილის ამბის გაგონებისთანავე როუზ-მერის შეტევა დაეწყო და ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანეს.

სამაგიეროდ, კლოდია დე-ლენა ჩამოფრინდა. გრძნობდა, რაც პიპის სიცოცხლეში ვერ გააკეთა, ახლა მართებდა. სურდა, კლერიკუციოს ოჯახისთვის ეჩვენებინა, რომ ისევე იყო მამამისის შვილი, როგორც მამა თვლიდა თავს მათ წევრად.

სახლის წინ მოლზე უზარმაზარი ყვავილების გვირგვინი დაემონტაჟებინათ, იქვე ხემსის მაგიდები იდგა. გლოვის ამ დღეს საქმეზე არ ლაპარაკობდნენ. სტუმრები ჭირისუფლებს სამძიმარს უცხადებდნენ. კლოდიამ მწარედ გამოიტირა მთელი ის წლები, რომელიც მამისგან შორს გაატარა. კროსი უძრავად იდგა და სამძიმარს მშვიდად იღებდა.

მომდევნო საღამოს კროსი სასტუმრო „ქსანადუში“ თავისი აივნიდან გადაჰყურებდა ნეონის ფერად მანათობლებს. კაზინოს მუსიკა აქამდეც კი აღწევდა, თუმცა შორი გუგუნი მაინც არ უშლიდა ხელს უკანასკნელ მოვლენებზე, პირველ რიგში, მამამისის მკვლელობაზე ფიქრში.

შეუძლებელი იყო, პიპი დე-ლენასნაირი კაცი ქუჩის მძარცველს მოეკლა. კროსმა ფაქტებს გადაავლო თვალი. მკვლელს ჰიუ მერლო ერქვა, ოცდასამი წლის იყო და ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო შემჩნეული. მერლო ჯიმ ლაუზიმ მოკლა, რომელიც მას ნარკოტიკების საქმის გამო მისდევდა. ტყვია უზუსტესად მოხვდა ცხვირის ძგიდეში. როცა დაადგინა, რომ მოკლული პიპი დე-ლენა იყო, ლაუზიმ

მომხდარი პოლიციაზე უფრო ადრე დანტე კლერიკუციოს შეატყობინა. რატომ უნდა მოქცეულიყო ასე, თუნდაც ოჯახის დაფინანსებაზე ყოფილიყო? რა მწარე ირონიაა: პიპი დე-ლენა, მკვლელობის დიდოსტატი, ოცდაათი წლის განმავლობაში კლერიკუციოს ოჯახის ნომერ პირველი დამრტყმელი ძალა ვიღაც ქუჩის მაწანწალამ მოკლა!

ან დონმა რატომ წამოაყვანინა კროსი დაჯავშნილი მანქანით? ამის შესახებ კროსმა დონს დაკრძალვის დღეს ჰკითხა. მოხუცმა მხოლოდ ის უპასუხა, - ვიდრე ყველა ფაქტი ზუსტად არ ვიცით, ჯობს, სიფრთხილე გამოვიჩინოთო. მკვლელობის ყველა დეტალი გამოიძიეს და ერთადერთი ახსნა ის იყო, რომ ბანდიტმა შეცდომა დაუშვა. ნუთუ შესაძლებელი იყო, ტრაგედია ასე სულელურად გათამაშებულიყო? თუმცა, დონის თქმით, ყველა ტრაგედია სულელურია.

ეჭვი არ იყო, რომ დონი პიპის დაღუპვას დარდობდა. მუდამ განსაკუთრებულ სიმპათიას უმჟღავნებდა და კროსსაც გამოუცხადა, ოჯახში მამაშენის ადგილს დაიკავებო.

დონს დამთხვევის არ სწამდა, ეს მკვლელობა კი დამთხვევათა ნამდვილი კასკადი გახლდათ. გამომძიებელი ჯიმ ლაუზი კლერიკუციოს კაცი იყო და ათასი პოლიციელიდან მაინცდამაინც ის აღმოჩნდა მკვლელობის ადგილას. მას რომ თავი დავანებოთ, უბრალო მძარცველი პიპი დე-ლენას ასე ახლოს ვერ მიუდგებოდა, თანაც, რომელი მძარცველი ესვრის მსხვერპლს ექვს ტყვიას? შეუძლებელი იყო, დონს ეს ყველაფერი ერწმუნა.

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: ნუთუ კლერიკუციოს ოჯახმა ჩათვალა, რომ მათი ნომერ პირველი მებრძოლი მათთვის საფრთხეს წარმოადგენდა? ნუთუ მის ერთგულებაში ეჭვი შეიტანეს და მისდამი კეთილგანწყობაც დაკარგეს? შეუძლებელია. ოჯახის უდანაშაულობაზე ის მოწმობდა, რომ თვით კროსი ჯერაც ცოცხალი იყო. დონს მამამისი რომ მოეკლა, არც მას დაინდობდა. თუმცა კროსი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ თვითონაც საფრთხეში იყო.

კროსი იმაზე ფიქრობდა, რომ კლოდია მამას სიცოცხლეში არ ელაპარაკებოდა, დაკრძალვაზე კი მაინც მოვიდა. რატომ? მოაგონდა, რომ მამა ბავშვობაში კარგად ექცეოდა? თვითონ კი ის შემზარავი დღე გაიხსენა, როცაარჩევნის წინაშე აღმოჩნდა და მამასთან დარჩა, რადგან მიხვდა - ნელინს ორივე შვილი რომ წაეყვანა, პიპი მას მოკლავდა. სიყვარულის გამო კი არ დარჩა მამასთან, არამედ იმ შიშის გამო, კლოდიას თვალებში რომ დაინახა.

კროსს მამა მუდამ დამცველად და საყრდენად ეგულებოდა, სჯეროდა, რომ პიპის ვერავინ ავნებდა რამეს, სიკვდილის მთესავს თავად სიკვდილი ვერ მიეკარებოდა. ახლა კი თვითონ მოუწევდა საკუთარი თავის დაცვა, თანაც, შესაძლოა, თვით კლერიკუციოს ოჯახისგანაც! პიპიმ თითქოს კარგი ცხოვრება გამოიარა, მაგრამ კროსს დღევანდელი გადასახედიდან მოეჩვენა, რომ ეს ცარიელი და უაზრო არსებობა იყო. პიპი არასოდეს დამტკბარა ათენასნაირი ქალის სიყვარულით.

კროსი სულ რაღაც ოცდაექვსი წლის იყო; ჯერ კიდევ შეეძლო

ახალი ცხოვრების დაწყება. ხვალ პირველად ნახავდა ათენას გადასაღებ მოედანზე, ნახავდა, როგორ ირგებს ეს საოცარი ქალი სხვის ნიღაბს. პიპის ლამაზი ქალები უყვარდა და უსათუოდ, ათენაც მოეწონებოდა. თუმცა კროსს ვირჯინიო ბალაცოს ცოლი გაახსენდა. პიპი მის სახლში სტუმრობდა, დიასახლისს თბილად იკრავდა გულში, მის სადილებს აქებდა, მერე კი ცივსისხლიანად დაგეგმა მისი და მისი ქმრის მკვლელობა.

კროსმა ამოიოხრა. თენდებოდა. გახედა საცურაო აუზსა და ვილების თავზე ნეონის შუქში მოფრიალე დროშებს. რა ლამაზ სიზმარში ცხოვრობდა აქამდე! ახლა კი ეს სიზმარი თანდათან იფანტებოდა. გრონეველტი დიდი ხნის მკვდარი იყო, მამამისი - მოკლული.

ნომერში დაბრუნდა და ლია ვაზის დაურეკა, რათა ამოსულიყო და ერთად ესაუზმათ. დაკრძალვის შემდეგ ქუოგიდან ერთად წამოვიდნენ. საუზმე ტელეფონით შეუკვეთა. იცოდა - ვაზის, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც ამერიკაში ცხოვრობდა, დღემდე ბლინები უყვარდა. დაცვამ ვაზი ამოაცილა და საუზმეც სწორედ ამ დროს მოიტანეს. ისინი ნომრის სამზარეულოში დასხდნენ.

- რას ფიქრობ? - ჰკითხა ლიას კროსმა.

- მე მგონი, ლაუზი უნდა მოვკლათ. ეს დიდი ხნის წინ გითხარით.

- ესე იგი, მისი ნაამბობის არ გჯერა?

- სამარცხვინოა. მამაშენისნაირი კაცი ვიღაც მაწანწალას ასე ახლოს არ მიუშვებდა.

- დონმა საქმე გამოიძია და სწორედ ამ ვერსიას ემხრობა, - უთხრა კროსმა.

- დონს არასოდეს გავუბედავ შეკამათებას, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, მაინც დამრთე ნება, ლაუზი მოვკლა, - უთხრა ლიამ და მის საყვარელ ჰავანურ სიგარას დასწვდა.

- ამის უკან კლერიკუციოს ოჯახი რომ იდგეს?

- დონი ძველი ყაიდის ღირსეული კაცია. პიპი მას რომ მოეკლა, შენც მოგკლავდა. დონი გიცნობს და იცის, რომ მამისთვის შურს იძიებ.

- ვისთან არჩევ ყოფნას, ჩემთან თუ ოჯახთან? - ჰკითხა კროსმა.

- არჩევანი არ მაქვს. მამაშენთან მეტისმეტად ახლოს ვიყავი და შენთანაც ახლოს ვარ. შენ თუ დამარცხდი, არც მე მაცოცხლებენ.

კროსმა პირველად დაისხა ბრენდი. მერე ჩაილაპარაკა:

- იქნებ ეს მაინც უაზრო შემთხვევითობის ამბავია?..

- არა, - მიუგო ლიამ. - ლაუზის ნამოქმედარია.

- კი, მაგრამ რაში დასჭირდებოდა? ყველაფერი უნდა გამოვარკვიოთ. შეარჩიე ექვსკაციანი ჯგუფი, ყველაზე ერთგულები, ბრონქსის ხალხი არ მინდა. მზად გყავდეს და ჩემს განკარგულებას დაელოდე.

- მაპატიე, - უთხრა ლიამ, - შენთვის არასოდეს დამისვამს ზედმეტი შეკითხვები, მაგრამ ახლა გთხოვ, შენი გეგმა მთლიანად გამაცნო.

- კარგი, - მიუგო კროსმა, - შემდეგ შაბათ-კვირას საფრანგეთში გავფრინდები ორი დღით. ამასობაში მინდა, ლაუზის შესახებ

ყველაფერი გამიგო.

- შენს საცოლესთან ერთად მიფრინავ? - ჰკითხა ლაუზიმ.

კროსს ამ თავაზიანობის გამო გაეღიმა.

- ჰო. და მის ქალიშვილთან ერთად.

- ტვინის მეოთხედი რომ აკლია? - ლიას ეს შეურაცხყოფად სულაც არ მიაჩნდა: იტალიაში ამ გამოთქმას უნიჭიერესი, მაგრამ გონებაგაფანტული ადამიანების მიმართ იყენებდნენ.

- ჰო, იქაურმა ექიმმა შეიძლება, რამე უშველოს, - უთხრა კროსმა.

- შესანიშნავია. წარმატებას გისურვებთ! - უთხრა ლიამ. - ამ ქალმა ოჯახის ამბების შესახებ თუ იცის?

- ღმერთმა დაიფაროს! - უპასუხა კროსმა, რაზეც ორივეს გაეცინა. კროსი კი იმაზე დაფიქრდა, საიდან იცოდა ლიამ ამდენი რამ მისი პირადი ცხოვრების შესახებ.

თავი 17

კროსს პირველად უნდა ენახა ათენა გადასაღებ მოედანზე და იმის მომსწრე გამხდარიყო, როგორ გადმოსცემდა ყალბ გრძნობებს და სხვა პიროვნებად როგორ გარდაისახებოდა.

კლოდიას „ლოდსტოუნში“, მის კაბინეტში შეხვდა. ერთად უნდა ეცქირათ ათენას გადაღებისთვის. კაბინეტში კიდევ ორი ქალი დახვდა, რომლებიც კლოდიამ გააცნო:

- ეს ჩემი ძმაა. ეს რეჟისორი დიტა ტომია, ეს კი - ფელინ ფანტი, რომელიც დღევანდელ გადაღებაში მონაწილეობს.

ტომიმ კროსი ყურადღებით შეათვალიერა და გაიფიქრა, რომ ის საკმარისად ლამაზი იყო, რომ კინოში გადაეღოთ, მაგრამ მის ნაკვთებს სიცოცხლე და ცეცხლი აკლდა, ამიტომ ეკრანზე ცივი და გაქვავებული სახე ექნებოდა. ამ განაჩენის გამოტანის შემდეგ ქალმა კროსის მიმართ ინტერესი დაკარგა.

- წავედი, - თქვა დიტამ და კროსს ხელი ჩამოართვა, - ვწუხვარ მამათქვენის გამო. გადაღებაზე გეპატიჟებით. მოედანზე თქვენი დაშვება კლოდიამ და ათენამ მთხოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი პროდიუსერი ხართ.

ახლა კროსმა ყურადღება მეორე ქალზე გადაიტანა. ის შოკოლადისფერი იყო, სახის თავხედური გამომეტყველებითა და საუცხოო ტან-ფეხით გამოირჩეოდა, რასაც მისი სამოსი გამოკვეთდა. ტომისავით ოფიციალურად როდი ეჭირა თავი.

- არ ვიცოდი, კლოდიას ასეთი ლამაზი ძმა თუ ჰყავდა, თან - მდიდარიც. თუ ოდესმე მარტო სადილობა მოგწყინდებათ, დამირეკეთ, - თქვა ფელინმა.

- უეჭველად, - მიუგო კროსმა. ქალის მიპატიჟება არ გაჰკვირებია. „ქსანადუს“ ბევრი მიმტანი თუ მოცეკვავეც ასევე მოურიდებლად იქცეოდა. ეს ქალი ბუნებრივად კეკლუცი იყო და არ სურდა, საზოგადოებაში მიღებული პირობითობის გამო ისეთი მამაკაცი გაეშვა ხელიდან, ვისი გარეგნობაც მოეწონა.

- ახლა სწორედ ფელინის როლის გავრცობაზე ვმუშაობდით, - აუხსნა კლოდიამ კროსს, - დიტა თვლის, რომ ის ძალიან ნიჭიერია. მეც

ასე ვფიქრობ.

ფელინმა კროსს ფართოდ გაუღიმა.

- ჰო, ახლა, ექვსის ნაცვლად, ათჯერ ვიქნევ უკანალს და მესალინას ვეუბნები: „რომის ყველა ქალს უყვარხარ და გამარჯვებას გისურვებ, დედოფალო!“ ჰო, მართლა, თქვენ ხომ ერთ-ერთი პროდიუსერი ხართ? იქნებ მომიხერხოთ, რომ ოცჯერ გამაქნევინონ უკანალი!..

კროსმა იგრძნო, რომ ხალისიანი კილოს მიღმა ეს ქალი რაღაცას მალავდა.

- მე მხოლოდ დაფინანსება მეხება, - მომაჯადოებელი უშუალობით გაუღიმა კროსმა, - ასეა თუ ისე, წარმატებას გისურვებთ.

ფელინი მისკენ გადმოიხარა და ლოყაზე აკოცა. კროსმა მისი მძიმე, აღმგზნები სუნამო შეისუნთქა. ფელინი გაეცალა და მოულოდნელად თქვა:

- თქვენ და კლოდიას რაღაც მინდა გითხრათ, ოღონდ - საიდუმლოდ. არ მინდა პრობლემები შემექმნას, განსაკუთრებით ახლა.

ამის გამგონე კლოდიამ მონიტორს თვალი მოსწყვიტა და წარბები შეკრა. კროსიც შეცბა და ნაბიჯი უკან გადადგა. სიურპრიზები არ უყვარდა.

ფელინმა ეს შენიშნა და ხმა ოდნავ აუკანკალდა.

- მამათქვენის გამო ვწუხვარ, მაგრამ ერთი რაღაც უნდა იცოდეთ. ის მერლო, რომელმაც ვითომ მოკლა, ჩემი ძალიან ახლო ნაცნობი იყო, ერთად გავიზარდეთ. დანამდვილებით ვიცი, რომ რევოლვერი

არასოდეს ჰქონია და ისე ეშინოდა ყველანაირი იარაღის, რომ მის დანახვაზე იფსამდა. წვრილ-წვრილი ნარკოტიკით ვაჭრობდა და კლარნეტზე უკრავდა. ლაჩარი, მაგრამ საყვარელი ბიჭი იყო. ჯიმ ლაუზი და მისი პარტნიორი ფილ შარკი თან დაათრევდნენ ხოლმე და მსხვილი დილერების ამოცნობას აძალებდნენ. პოლიციის ეშინოდა და ამიტომ იყო ჩამშვები. ახლა კი ერთბაშად ბანდიტი და მკვლელი გახადეს. მერლოს კარგად ვიცნობდი, ვერავის მოკლავდა.

კლოდია ხმას არ იღებდა. ფელინმა ხელი დაუქნია, კარისკენ წავიდა, მაგრამ ისევ მობრუნდა და თქვა:

- ნუ დაგავიწყდებათ, ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

- ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა და ვეღარც თქვენი მონათხრობი შეცვლის რამეს, - ღიმილით გაამხნევა კროსმა.

- გულზე მაწვა და არ შემეძლო, არ მეთქვა. მერლო ისეთი კარგი ბიჭი იყო!.. - თქვა ფელინმა და გავიდა.

- როგორ ფიქრობ, ეს რას ნიშნავს? - ჰკითხა ძმას კლოდიამ.

- ნარკომანებს მოულოდნელ ქცევა სჩვევიათ. შეიძლება, უცებ წამლის ფული შემოაკლდა, რისკზე წავიდა და არ გაუმართლა, - აუხსნა კროსმა.

- ჰო, ალბათ. მაინც რა ირონიაა, მამაჩვენი ასე რომ დაიღუპა?

- ნებისმიერი შეიძლება, უიღბლობის მსხვერპლი გახდეს, - გაყინული სახით უპასუხა კროსმა.

დღის მეორე ნახევარი კროსმა ფილმის გადაღების ცქერაში გაატარა. ერთ-ერთ სცენაში მთავარი გმირი უიარაღოდ ებრძოდა სამ

შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს. კროსმა ეს სცენა თავიდან ბოლომდე ყალბად, მამაკაცისთვის შეურაცხმყოფლად და სასაცილოდ ჩათვალა. ნამდვილი მამაკაცი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არასოდეს ჩავარდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გმირის წოდებას არ იმსახურებდა. მერე ათენამ გაითამაშა სიყვარულისა და ჩხუბის სცენები. კროსი იმედგაცრუებული დარჩა: მოეჩვენა, რომ ათენა თითქმის სრულებით არ იხარჯებოდა, თავის მსახიობურ ნიჭს სათანადოდ არ ავლენდა, სხვები ჩრდილავდნენ. გამოუცდელობის გამოარ იცოდა, რომ ეკრანზე ყველაფერი უფრო ეფექტურად გამოჩნდებოდა, ათენას ღირსებებსაც კამერა გამოავლენდა და გააასმაგებდა კიდეც.

ამდენად, ნამდვილი ათენა ვერ დაინახა. კამერის წინ მისი სატრფო თითქოს ნაკლებად ლამაზიც იყო, ვიდრე ცხოვრებაში. თუმცა არაფერი უთქვამს. იმ საღამოს მალიბუში კარგა ხანს ეალერსებოდნენ ერთმანეთს, მერე კი გვიან ღამით ათენამ ვახშამი მოამზადა. უეცრად თავისი კატისებრი ღიმილი შეაფრქვია, რომელიც კროსს მუდამ ნეტარების ჟრუანტელს ჰგვრიდა, და უთხრა:

- დღეს მაინცდამაინც კარგად ვერ ვთამაშობდი, არა? არ მინდოდა, შენთვის ჩემი საუკეთესო სვლები მეჩვენებინა. ვიცოდი, ჩემს შესწავლას რომ შეეცდებოდი.

კროსს გაეცინა. სიამოვნებდა, ათენა ასე ზუსტად რომ ცნობდა მის ხასიათს.

- მართალია, დიდი არაფერი იყო. გინდა, პარასკევს შენთან ერთად

გავფრინდე საფრანგეთში?

ათენამ გაიოცა. კროსმა ეს მის თვალებში ამოიკითხა, თუმცა ქალი სახის გამომეტყველებას აკონტროლებდა.

- ძალიან დამეხმარებოდი. თანაც, პარიზს ერთად ვნახავდით.

- ორშაბათს დავბრუნდებით? - ჰკითხა კროსმა.

- ჰო, სამშაბათს ისევ გადაღებაზე უნდა ვიყო. ფილმის დასრულებამდე სულ ორიოდე კვირა დაგვრჩა.

- მერე რას აპირებ?

- მერე შინ დავჯდები და ბავშვს მივხედავ. აღარ მსურს, მისი არსებობა ყველასთვის საიდუმლოდ დარჩეს.

- ეს ფრანგი ექიმი საბოლოო სიტყვას იტყვის?

- ამ საკითხში საბოლოო სიტყვას ვერავინ იტყვის. მაგრამ უდიდეს ავტორიტეტად ითვლება.

პარასკევ საღამოს წინასწარ შეკვეთილი ჩარტერული რეისით გაფრინდნენ პარიზში. ათენამ პარიკი გაიკეთა და მაკიაჟით არა მხოლოდ თავი შეინიღბა, არამედ დაიუშნოვა კიდეც. ფართო ტანისამოსიც ჩაიცვა, რომელიც სხეულის ფორმებს უფარავდა და შუახნის ქალის იერს აძლევდა. კროსს ეცინებოდა. ათენამ სიარულის მანერაც კი შეიცვალა.

ფრენისას ბეთანი გატაცებით აკვირდებოდა მიწას ილუმინატორიდან. მთელი თვითმფრინავი შემოიარა და ყველა ფანჯარაში გაიხედა. სახეზე თითქმის ნორმალური, გაფაციცებული გამომეტყველება ჰქონდა.

სასტუმროში ორი ნომერი დაიკავეს: ერთში კროსი დაბინავდა, მეორეში - ათენა და ბეთანი. დილის ათი საათი იყო. ათენამ პარიკი და მაკიაჟი მოიშორა: პარიზში შეუხედავად ყოფნას ვერ აიტანდა. შუადღისთვის ექიმის ოფისში იყვნენ დაბარებული, რომელიც მცირე ზომის შატოს წარმოადგენდა და რკინის გისოსით იყო შემოღობილი. ჭიშკართან მდგარმა დაცვის თანამშრომელმა მათი სახელები შეამოწმა და გაატარა.

კართან მოახლე ქალი დახვდათ და ვრცელ სასტუმრო ოთახამდე მიაცილა, სადაც ექიმი უკვე ელოდებოდა.

ექიმი ოსელ ჟერარი მაღალი, მოსული კაცი იყო, უნაკლოდ შეკერილი კოსტიუმი ეცვა და მასთან ფერში შეხამებული ჰალსტუხი ეკეთა. მრგვალსახიანი გახლდათ და ჩამოყრილი ლოყების დასაფარად წვერის მოშვება არ აწყენდა. მუქი წითელი ფერის სქელი ტუჩები ჰქონდა. შეხვედრისას ათენასა და კროსს წარუდგინა თავი, ხოლო გოგონა თითქოს არც შეუმჩნევია. ორივენი ერთბაშად, ამ კაცის მიმართ ანტიპათიურად განეწყვნენ. თავისი პროფესიის წარმომადგენელს არ ჰგავდა.

სუფრასთან ისხდნენ, მსახურმა ჩაი და ნამცხვრები მიართვა. ამ დროს დამსწრეთ პროფესიულ სამოსში გამოწყობილი ორი მოწყალების და შეუერთდათ. მთელი ტრაპეზის განმავლობაში ისინი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ბეთანის.

ექიმმა ჟერარმა ათენას მიმართა:

- მადამ, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ უხვი

შემოწირულობისთვის, რომელიც აუტისტი ბავშვებისთვის განკუთვნილი ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტისთვის გაიღეთ. რაკი მთხოვეთ, ჩვენი შეხვედრა კონფიდენციალური ყოფილიყო, ამიტომაც მიგიღეთ ჩემს კერძო ცენტრში. ახლა მინდა ზუსტად მითხრათ, თუ რას ელოდებით ჩემგან? - ხავერდოვანი ბოხი ხმით საუბრობდა. ამ ხმამ ბეთანის ყურადღება მიიპყრო და გოგონა მიაცქერდა, ექიმი კი კვლავაც არ აქცევდა ყურადღებას.

- მინდა, მისი მდგომარეობა შეაფასოთ. მინდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ნორმალური ცხოვრებით იცხოვროს. მინდა, თქვენს ინსტიტუტში მოათავსოთ. მეც აქვე დავრჩები და მკურნალობასა და სწავლაში დავეხმარები.

ეს უსაზღვრო სევდითა და განწირული კილოთი წარმოთქვა. მოწყალების დები აღტაცებით შეაცქერდნენ. კროსი ხედავდა, რომ ათენა მთელ თავის ნიჭს იყენებდა, რათა ექიმზე შთაბეჭდილება მოეხდინა და დაეთანხმებინა, თუმცა ის სრულიად გულგრილი დარჩა.

- თავს ნუ მოიტყუებთ. ამ ბავშვს სიყვარულითა და მზრუნველობით ვერ დაეხმარებით, - უთხრა ექიმმა ისე, რომ ბეთანისთვის ისევ არ შეუხედავს. - მისი ავადმყოფობის ისტორია შევისწავლე და ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ის აუტისტია. ის სიყვარულით ვერასოდეს გიპასუხებთ. ჩვენს სამყაროში არ ცხოვრობს. ცხოველთა სამყაროშიც კი არ ცხოვრობს. სხვა პლანეტაზე იმყოფება, სრულიად მარტო. ამაში არც თქვენ ხართ დამნაშავე, არც ბავშვის მამა. ეს ადამიანური არსის

ერთ-ერთი საიდუმლოებაა. აი, რისი გაკეთება შემიძლია: საფუძვლიანად გამოვიკვლევ და გეტყვით, რამდენად შეძლებს ჩვენი ინსტიტუტი მის დახმარებას. ამის შესაბამისად, ან შინ წაიყვანთ, ან ხუთი წლით საფრანგეთში დატოვებთ.

ექიმმა ერთ-ერთ ექთანს რაღაც უთხრა ფრანგულად. ქალი გავიდა და ბეთანის მსოფლიოს ცნობილი მხატვრების ნაწარმოებთა ალბომიმოუტანა, მაგრამ ის მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა, კალთაში მოსათავსებლად. და ამ დროს ექიმმა პირველად მიმართა ბეთანის. ფრანგულად დაელაპარაკა. ბავშვმა ალბომი მაშინვე მაგიდაზე დადო და მალე მთელი არსებით გადაეშვა სურათების თვალიერებაში.

- მეუხერხულება, მაგრამ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გკითხოთ, - მიმართა ექიმმა ათენას. - მესმის, რომ მისტერ დე-ლენა თქვენი მეუღლე არ არის, მაგრამ იქნებ ბავშვის მამაა? ამ შემთხვევაში ისიც უნდა შევამოწმო.

- ბავშვი როცა მეყოლა, მას არ ვიცნობდი.

- კარგი, - მხრები აიჩეჩა ექიმმა, - ეს უნდა დამეზუსტებინა.

- იქნებ ექიმმა მეც აღმომიჩინოს ზოგიერთი სიმპტომი? - იხუმრა კროსმა.

- თქვენ ისევე გაქვთ გარკვეული რაოდენობის სიმპტომი, როგორც ყველა ჩვენგანს, - გაეღიმა ექიმს, - სულ მცირე გადახრა და, ვინ იცის, ნებისმიერი შეიძლებოდა, აუტისტი ყოფილიყო. ახლა კი ბავშვი უნდა გამოვიკვლიო. ეს სულ მცირე, ოთხ საათს მაინც დაიკავებს. იქნებ ამ ხნის მანძილზე პარიზი დაათვალიეროთ? მისტერ დე-ლენა, აქ

პირველად ბრძანდებით?

- დიახ.

- ჩემს შვილთან დარჩენა მინდა, - თქვა ათენამ.

- როგორც გენებოთ, მადამ, - ექიმი კროსს მიუბრუნდა, - თქვენ კი სასიამოვნო გასეირნებას გისურვებთ. მე თვითონ კი მძულს პარიზი. თუკი ქალაქი შეიძლება აუტისტი იყოს, პარიზი სწორედ ასეთია.

კროსმა ტაქსი გამოიძახა და სასტუმროში დაბრუნდა. ათენას გარეშე ქალაქში გასეირნება არ სურდა, თანაც პარიზში გონების მოსაკრებად და დასასვენებლად ჩამოვიდა.

ფელინ ფანტის ნათქვამის გაანალიზება სცადა. მოაგონდა, რომ ლაუზი ერთხელ მალიბუში მარტო მოვიდა, მაშინ, როცა გამომძიებლები, როგორც წესი, წყვილად მუშაობენ. გადაწყვიტა, პარიზიდან გამგზავრებამდე ვაზისთვის ეთხოვა, ამის თაობაზე რაიმე გაერკვია.

ოთხ საათზე ისევ ექიმის მისაღებში დაბრუნდა. იქ უკვე ელოდებოდნენ. ბეთანი ისევ მხატვრობის ალბომს ათვალიერებდა. ათენა ფერმკრთალი იყო. კროსმა გაიფიქრა, ეს ერთადერთი ნიშანია, რაც მსახიობობას არ ექვემდებარებაო. ბეთანის წინ დიდი თეფშით ნამცხვრები ელაგა და დროდადრო ჭამდა. ექიმმა თეფში ააცალა და ფრანგულად რაღაც უთხრა. გოგონას წინააღმდეგობა არ გაუწევია. შემდეგ ექთანი შემოვიდა და ბავშვი სათამაშო ოთახში გაიყვანა.

- მომიტევეთ, მაგრამ რამდენიმე შეკითხვა უნდა დაგისვათ, - უთხრა ექიმმა კროსს.

- რამდენიც გენებოთ, - უპასუხა კროსმა.

ექიმი ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

- იმავეს გაგიმეორებთ, რაც მადამს ვუთხარი. ასეთ შემთხვევებში სასწაულები არ ხდება. წარმატება ძალზე იშვიათად მიიღწევა, ისიც - უდიდესი ძალისხმევის შედეგად. მადმუაზელის შემთხვევაში გარკვეული ზღვარი არსებობს. ის, სულ მცირე, ხუთი წლით უნდა მოვათავსოთ ჩვენს ინსტიტუტში, ნიცაში. იქ მაღალკვალიფიციური მასწავლებლები გყვავს, რომლებიც ყველა შესაძლებლობას გამოცდიან. იმ დროისთვის დავადგენთ, შეძლებს ბავშვი ნორმალური ცხოვრებით ცხოვრებას თუ სამუდამოდ კლინიკაში უნდა დარჩეს.

ათენა ტიროდა და თვალებს პატარა ცისფერი ცხვირსახოცით იწმენდდა, რომლის სუნამოს სურნელს კროსი შეიგრძნობდა.

- მადამი უკვე დაგვთანხმდა. ის ჩვენს ინსტიტუტში მასწავლებლად მოეწყობა... ვნახოთ.

ექიმი კროსის პირისპირ ჩამოჯდა.

- ძალზე კარგი ნიშნებია ის, რომ ნამდვილად მხატვრობის ნიჭი აქვს, არის გრძნობები, რომლებიც მასში ჯერჯერობით არ ჩამქრალა. ფრანგულად რომ დაველაპარაკე, დაინტერესდა, თუმცა ეს ენა არ ესმის. კიდევ ერთი კარგი ნიშანი ისაა, რომ როდესაც წახვედით, მოგისაკლისათ, ესე იგი, შეუძლია ჰქონდეს სხვა ადამიანის მიმართ გრძნობები. ამის განვითარება შეიძლება. ეს ძალზე უჩვეულოა, თუმცა შეიძლება, სრულიად მარტივადაც აიხსნას. როცა თქვენ შესახებ ვკითხე, მიპასუხა, რომ ლამაზი ხართ. მისტერ დე-ლენა, რასაც ახლა

გკითხავთ, შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ, ეს ბავშვის ჯანმრთელობას სჭირდება და არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ბრალდებად: ამა თუ იმ სახით მასზე სექსუალური გავლენა ხომ არ მოგიხდენიათ, ცხადია - უნებლიეთ?

კროსმა გაოგნებისგან გადაიხარხარა.

- არც კი ვიცოდი, რომ ჩემზე რეაგირებს. მისთვის ამის არანაირი საბაბი არ მიმიცია.

- ეს სასაცილოა! - შეჰყვირა აღშფოთებისგან აწითლებულმა ათენამ. - კროსი ბავშვთან მარტო არასოდეს დარჩენილა.

- ოდესმე თუ მიფერებიხართ? - განაგრძო ექიმმა. - ლოყაზე კოცნას არ ვგულისხმობ. გოგონა საკმაოდ ზრდასრულია და შეიძლება, წმინდა ფიზიოლოგიურ სტიმულირებაზე ჰქონდეს რეაქცია. მსგავს უმანკოებას არაერთი მამაკაცი უცდუნებია.

- შესაძლოა, ხვდება, დედამისთან რა ურთიერთობაც მაქვს, - უთხრა კროსმა.

- დედა სრულებით არ ადარდებს. მომიტევეთ, მადამ, მაგრამ ასეა. მისთვის არც დედის სილამაზე ნიშნავს რამეს და არც ის, რომ დედა ცნობილი მსახიობია. მხოლოდ თქვენ აღელვებთ. გაიხსენეთ, იქნებ ეს სრულიად უცოდველი სინაზით გამოიწვიეთ.

- ასე რომ ყოფილიყო, გეტყოდით. მისი გულისთვის გეტყოდით, - უპასუხა კროსმა.

- ბავშვი გიყვართ? - ჰკითხა ექიმმა.

- დიახ, - წუთიერი ფიქრის შემდეგ მიუგო კროსმა.

- თქვენიმჯერა, - უთხრა ექიმმა და სავარძლის საზურგეზე გადაწვა, - ეს მაიმედებს: თუკი თქვენდამი აქვს სიმპათია, ესე იგი, სხვის მიმართაც შეიძლება განუვითარდეს. ადრე თუ გვიან, დედასთანაც შეიძლება დაამყაროს კონტაქტი.

- კროს, ხომ არ ბრაზობ? - ჰკითხა ათენამ.

- არა, ყველაფერი რიგზეა, - უთხრა კროსმა.

- ბევრი მამაკაცი ამგვარ შეკითხვებს მტკივნეულად აღიქვამს, - შენიშნა ექიმმა, - ერთ-ერთი პაციენტის მამამ ხელიც კი გამარტყა. შეგიძლიათ ამიხსნათ, რატომ არ ბრაზობთ?

კროსი დაფიქრდა. ექიმს ვერანაირი სიტყვებით ვერ გადასცემდა იმ თავზარდამცემ განცდას, რომელიც რბილ ყუთში შეყუჟული ბეთანის დანახვისას დაეუფლა; როგორ მოაგონდა ტიფანი და შოუს მსახიობი გოგონები, რომლებთან ურთიერთობაც აუწერელ სიცარიელეს უტოვებდა. კლერიკუციოს ოჯახსა და საკუთარ მამასთან ურთიერთობაც კი სასოწარკვეთილებაში აგდებდა, მარტოსულობისა და თვითიზოლაციის გრძნობას უასმაგებდა. თავის ყველა მსხვერპლს კი რაღაც მოგონილი სამყაროს მსხვერპლად აღიქვამდა, რომელსაც რეალური სახე მხოლოდ მის სიზმრებში უბრუნდებოდა.

- იქნებ იმიტომ, რომ მეც აუტისტი ვარ, - უთხრა ექიმს და თვალი გაუსწორა, - ან იქნებ იმიტომ, რომ უარესი ცოდვები მაწევს გულზე.

- გასაგებია, - კმაყოფილი სახით უთხრა ექიმმა და მერე ეშმაკურად გაუღიმა: - არ გსურთ, რამდენიმე ტესტი ჩაიტაროთ?

ორივეს გაეცინა.

- მადამ, - მიმართა ექიმმა ათენას, - როგორც მივხვდი, ხვალ ამერიკაში უნდა გაფრინდეთ. იქნებ თქვენი ქალიშვილი ახლავე აქ დატოვოთ? ძალზე კარგი ექთანები მყავს. გარწმუნებთ, გოგონა თქვენთან განშორებას ვერც კი შეამჩნევს.

- მე კი მომენატრება, - თქვა ათენამ, - თუ შეიძლება, ამაღამ ჩემთან მეყოლება და ხვალ დილით მოგიყვანთ.

- რა თქმა უნდა. ჩემი ექთანები ნიცაში წაიყვანენ. ინსტიტუტის ტელეფონის ნომერს მოგცემთ და როცა გენებოთ, მაშინ დამირეკეთ.

დამშვიდობებისას ათენამ ექიმს თბილად აკოცა ლოყაზე. კაცს სახეზე ალმური მოედო: შეუვალი გარეგნობის მიუხედავად, ქალის სილამაზისა და სახელისადმი უგრძნობი სულაც არ იყო.

ათენა, ბეთანი და კროსი დღის ბოლომდე პარიზის ქუჩებში სეირნობდნენ. ათენამ ბავშვს უზარმაზარი შეკვრა ტანისამოსი და სახატავები უყიდა. ეს ყველაფერი სასტუმროში გაგზავნეს.

ელისეს მინდვრებზე რესტორანში ისადილეს. ბეთანი ხარბად ჭამდა, განსაკუთრებით ნამცხვრებს ეტანებოდა. მთელი დღის განმავლობაში არც ხმა ამოუღია და არც ათენას ალერსსა და მზრუნველობაზე გამოუჩენია რაიმე რეაქცია.

ათენა ბავშვს ისე ევლებოდა თავს, კროსს ნელინი გაახსენდა, კლოდიას შუბლიდან ფაქიზად რომ უწევდა თმას.

სადილობისას ათენა ბეთანის ხელსახოცით წმენდდა პირს, მხარზე ხელს უსვამდა და უხსნიდა, ერთ თვეში დავბრუნდები და სულ ერთად ვიქნებითო. გოგონა ყურადღებას არ აქცევდა.

ათენა ბავშვს აღტაცებით ეუბნებოდა, ერთად როგორ ისწავლიდნენ ფრანგულს, ივლიდნენ მუზეუმებში, იმოგზაურებდნენ ესპანეთში, იტალიაში, მთელ ევროპაში. ბოლოს ბეთანიმ ამ დღეს პირველად ამოიღო ხმა.

- ჩემი ყუთი მინდა.

კროსმა კვლავაც ლამის რელიგიური ძრწოლა განიცადა ამ ბავშვზე ფიქრისას, რომლის სილამაზეც ხელოვნების ნიმუშის ასლს მოგაგონებდათ, ოღონდ - სულიერებისგან დაცლილს, თითქოს ამ სიცარიელეში ღმერთი უნდა დავანებულიყო.

უკვე შებინდებისას ფეხით იარეს სასტუმრომდე. ბეთანი მათ შორის მოაბიჯებდა, კროსსა და ათენას მისთვის აქეთ-იქიდან ჩაეჭიდათ ხელები, დროდადრო ჰაერში იტაცებდნენ და აქანავებდნენ. გოგონა ამ თამაშს აჰყვა, აშკარად მოეწონა, ამიტომ სასტუმროს გვერდზე ჩაუარეს და სეირნობა განაგრძეს.

კროსმა დიდი და აუხსნელი ბედნიერება იგრძნო ამ წუთებში, როცა სამივენი ერთურთთან ასე გადაბმულნი მიაბიჯებდნენ.

როცა ნომერში დაბრუნდნენ, ათენამ ბეთანი საწოლში ჩააწვინა. მერე სასტუმრო ოთახში კროსთან ერთად ტახტზე იჯდა. ერთმანეთისთვის ხელები ჰქონდათ ჩაკიდებული.

- პარიზი შეყვარებულთა ქალაქია, - თქვა ათენამ, - მე და შენ კი აქ ერთ საწოლში წოლამ არ მოგვიწია.

- ნერვიულობ, ბეთანის დატოვება რომ გიწევს? - ჰკითხა კროსმა.

- არა. ის უჩვენობას ვერც კი შენიშნავს.

- ხუთი წელიწადი ბევრი დროა. მზად ხარ, ეს დრო შენს კარიერას მოაკლო?

ათენა ფეხზე წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. აღელვებული ალაპარაკდა:

- სიხარულით ველოდები იმ დღეს, როცა გადაღებაზე წასვლა აღარ მომიწევს. პატარაობაში ვოცნებობდი გმირობაზე: მარია ანტუანეტასავით გილიოტინაზე ასვლას ვნატრობდი, ჟანა დ'არკივით კოცონზე დაწვას ანდა მარი კიურისავით, რაიმე დაავადებისგან კაცობრიობის გადარჩენას. მწამდა, გმირულ ცხოვრებას შევძლებდი, სულითა და ხორცით სუფთა ვიქნებოდი და არასოდეს წავიდოდი სინდისთან კომპრომისზე. ვიცოდი, რომ ჭკვიანი, ნიჭიერი და ლამაზი ვიყავი და მჯეროდა, რომ ყველას ვეყვარებოდი, ჩემი თავის ჩათვლით. მაგრამ რა გამოვიდა? ბაზ სკანეტს გავყევი ცოლად. მერე სხვადასხვა მამაკაცთან კარიერის გულისთვის მეძინა. ისეთი არსება მოვავლინე ამქვეყნად, რომელმაც შეიძლება, არასოდეს შეიყვაროს ვინმე. ბოლოს ვერაგულად დავგეგმე ჩემი ქმრის მკვლელობა. თუმცა, ამისათვის გმადლობ, -უთხრა კროსს და ხელი მაგრად ჩასჭიდა.

- შენ არაფერი დაგიშავებია, - მიუგო კროსმა. - როგორც ჩემს ოჯახში იტყვიან ხოლმე, ეს შენი ბედისწერა იყო. სკანეტი კი ყველანაირად გიშლიდა ხელს. რატომ არ უნდა მოგეშორებინა?

- ჰოდა, მოვიშორე კიდეც, - უთხრა ათენამ და მსუბუქად აკოცა ტუჩებში, - მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემო ერთგულო რაინდო, ურჩხულების მკვლელი მაინც მკვლელია.

- თუ ექიმმა ხუთი წლის შემდეგ იმედი გადაგიწურა, რას იზამ?

- ვინ რას მეტყვის, ეგ აღარ მადარდებს. მაინც ბოლომდე მასთან ერთად ვიქნები.

- შენი სამუშაოს გამო გული არ დაგწყდება?

- რა თქმა უნდა. შენც მომენატრები. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ფილმის გმირი კი აღარ ვიქნები, იმას გავაკეთებ, რაც მართებულად მიმაჩნია. მხოლოდ ისღა მინდა, ჩემს შვილს ვუყვარდე.

ძილის წინ ერთმანეთს აკოცეს და თავ-თავიანთ საძინებლებს მიაშურეს.

მეორე დილით ბავშვი ექიმის ოფისში მიიყვანეს. ათენას შვილთან განშორება გაუჭირდა, გულში იკრავდა და ტიროდა, ბეთანიმ კი თავი აარიდა და კროსს მიუბრუნდა, მაგრამ კროსი ბავშვს არ გადაეხვია.

ბრაზი მოსდიოდა ათენაზე, რადგან ის ბავშვთან ემოციებს ვერ იკავებდა. ექიმმა ეს შენიშნა და ქალს უთხრა:

- როცა დაბრუნდებით, ამ ბავშვთან სწორი მოპყრობის სწავლა მოგიწევთ.

- როგორც კი შევძლებ, მაშინვე ჩამოვალ, - უპასუხა ათენამ.

- აჩქარება საჭირო არ არის, - უთხრა ექიმმა, - ის ისეთ სამყაროში ცხოვრობს, სადაც დრო არ არსებობს.

როცა ლოს-ანჯელესში მიფრინავდნენ, შეთანხმდნენ, რომ კროსი მალიბუში აღარ გაჰყვებოდა და პირდაპირ ვეგასში გაფრინდებოდა. გზაში ათენა ნახევარი საათის განმავლობაში ცრემლებს ვერაფრით მოერია. დამშვიდობებისას კროსს უთხრა, გული მწყდება, რომ

პარიზში ერთად არ ვწოლილვართო, მაგრამ კროსი მიხვდა, რომ ამას კეთილი გულის გამო ამბობდა, სინამდვილეში ქალს ამ მდგომარეობაში სექსზე გაფიქრებაც კი ზარავდა. ის ახლა, თავისი შვილის მსგავსად, ყველასგან გამიჯნულ სამყაროში ცხოვრობდა.

კროსს დიდი ლიმუზინი დახვდა, რომლის საჭესთან სანადირო კოტეჯის ერთ-ერთი მცველი იჯდა. მანქანაში ლია ვაზიც იყო. როცა კროსი ჩაჯდა, მან სალონის გამყოფი ტიხარი ჩამოსწია, რათა მძღოლს მათი საუბარი არ მოესმინა.

- დეტექტივი ლაუზი ისევ მომადგა. მისი შემდეგი ვიზიტი უკანასკნელი იქნება, - უთხრა ლიამ.

- მოთმინება იქონიე, - უთხრა კროსმა.

- საბედისწერო ნიშნებს ვცნობ, არ შემეშლება, - უთხრა ლიამ, - ბრონქსის მებრძოლთა ერთ-ერთი დანაყოფი ლოს-ანჯელესში დაბანაკდა. არ ვიცი, ვისი ბრძანებით მოხდა ეს. ჩემი აზრით, პირადი დაცვა გჭირდება.

- ჯერჯერობით არა, - უპასუხა კროსმა, - ექვსკაციანი ჯგუფი მზად გყავს?

- კი, მაგრამ ეს ადამიანები არ დათანხმდებიან, კლერიკუციოს ოჯახს ღიად დაუპირისპირდნენ.

სასტუმროს ნომერში კროსს ენდრიუ პოლარდის წერილი დახვდა, ჯიმ ლაუზის სრული დოსიე, რომელშიც ფრიად საყურადღებო ფაქტები ამოიკითხა და, გარდა ამისა, ისეთი ინფორმაციაც, რომლის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ამოქმედება შეიძლებოდა.

კროსმა კაზინოდან ასი ათასი გამოიტანა და ლია ვაზის უთხრა, ახლავე ლოს-ანჯელესში მივემგზავრებითო. ლია საჭესთან უნდა დამჯდარიყო, მეტი არავის წამოყვანას არ აპირებდა. ლოს-ანჯელესში გაფრინდნენ და მეორე დღეს, დაქირავებული მანქანით, სანტა-მონიკისკენ აიღეს გეზი.

ფილ შარკი თავისი სახლის წინ მოლს კრეჭდა. კროსი მანქანიდან გადმოვიდა და თავი პოლარდის მეგობრად წარუდგინა. უთხრა, ინფორმაცია მჭირდებაო. ვაზი მასთან ერთად გადმოვიდა, ყურადღებით დააკვირდა შარკის სახეს და მანქანაში დაბრუნდა.

შარკი თავისი მეწყვილე ლაუზისნაირი შთამბეჭდავი გარეგნობის არ იყო, თუმცა ისიც ღონიერი კაცი ჩანდა. მუდამ სერიოზულ და ფრთხილ სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ პოლიციაში მუშაობის წლებმა ადამიანების ნდობა მთლიანად დააკარგვინა.

შარკიმ კროსი თავის ბუნგალოში შეიყვანა, რომელიც უღიმღამო და მოუვლელი იყო. ჩანდა, აქ არც ქალი ცხოვრობდა, არც ბავშვი. მასპინძელმა პირველ რიგში, პოლარდს დაურეკა და სტუმრის ვინაობა გადაამოწმა, მერე კი, ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრა, რაც გინდათ, მკითხეთო.

კროსმა საფულე ამოიღო და ასდოლარიანების დასტა გაუწოდა.

- აქ ათი ათასია. ეს უბრალოდ, თქვენთან საუბრის საფასურია. მაგრამ ცოტა დრო დამჭირდება. დაჯდომას და ერთ ქილა ლუდს ხომ არ შემომთავაზებთ?

შარკიმ გაიღიმა და კროსს გონებაში გაუელვა, ასეთ პოლიციელთან

საქმიანი ურთიერთობა სასიამოვნო უნდა იყოსო.

- მომწონხართ, - უთხრა შარკიმ და ფული ჯიბეში ჩაიდო, - მართალი ხართ, საუბარი ფულის გარეშე არ გამოდის.

სანაპირო გზატკეცილზე გასასვლელ უკანა ვერანდაზე ისხდნენ და ლუდს ბოთლებიდან სვამდნენ. შარკი დროდადრო ჯიბეზე ისვამდა ხელს, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ ფული არსად გამქრალა.

- თუკი თქვენგან სასურველ პასუხებს მივიღებ, დაუყოვნებლივ გადაგიხდით კიდევ ოც ათასს, ხოლო თუ ჩემისტუმრობის შესახებ კრინტს არავისთან დაძრავთ, ერთ თვეში ისევ შემოგივლით, ორმოცდაათი ათასით.

შარკის ისევ გაეღიმა, მაგრამ მეორე წუთს სახეზე შეშფოთება გამოესახა.

- ესე იგი, ორი თვის შემდეგ მნიშვნელობა აღარ ექნება, ვის რას ვეტყვი?

- არა, - უპასუხა კროსმა.

- ისეთს არაფერს გეტყვით, რის საფუძველზეც ვინმეს ცილს დასწამებთ, - სერიოზულად უთხრა შარკიმ.

- მაშ, არ გცოდნიათ, ვინ ვარ. იქნებ პოლარდს ხელმეორედ დაურეკოთ? - უთხრა კროსმა.

- ვიცი, ვინც ხართ, ჯიმ ლაუზიმ მითხრა, რომ მუდამ თავაზიანად უნდა მოგპყრობოდით, - უთხრა შარკიმ და თავაზიანი გამომეტყველებით მოსასმენად გაემზადა.

- თქვენ და ჯიმ ლაუზი ათი წლის განმავლობაში პარტნიორები იყავით და ერთად კარგ მაყუთსაც აკეთებდით. მერე კი თქვენ პენსიაზე გახვედით. რატომ?

- აჰ, მაშ, ჯიმი გაინტერესებთ? ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. მასზე ჭკვიანი და მამაცი პოლიციელი არ მეგულება.

- მის პატიოსნებაზე რაღას იტყვით?

- პოლიციელები ვიყავით, თანაც - ლოს-ანჯელესში. ამას ეხუმრებით?! ყველა ლათინოსისა და ზანგისთვის დედა რომ გვეტირებინა, სამსახურსაც დავკარგავდით და ციხეშიც გამოგვამწყვდევდნენ. ერთადერთი, ვისი უმტკივნეულოდ დაპატიმრებაც შეგვეძლო, თეთრკანიანი მდიდარი ჩმორები იყვნენ. რასისტი არ ვარ, მაგრამ რატომ უნდა დამეკავებინა მხოლოდ თეთრები, შავები კი დაუსჯელად გამეშვა? ეს უსამართლობაა.

- მიუხედავად ამისა, როგორც ვიცი, ლაუზის მკერდი მედლებით აქვს სავსე, ასე არ არის? - იკითხა კროსმა. - ერთი-ორი თქვენც ხომ მოგეპოვებათ?

შარკიმ მიმტევებლურად გაიღიმა.

- ასეთ ქალაქში ძალაუნებურად ხდები გმირი პოლიციელი. ეს ხალხი ვერ ხვდება, რომ ზრდილობიანი ლაპარაკითაც შეიძლება საქმის კეთება, პირდაპირ ჩხუბზე გადადიან და ჩვენც, სხვა რა გვექნა, თავს ვიცავდით, მაგრამ თვითონ არასოდეს წამოგვიწყია ბრძოლა.

კროსს მის ნათქვამში ეჭვი შეეპარა: ჯიმ ლაუზი, კოპწია ჩაცმულობის მიუხედავად, ბუნებით მოძალადე იყო.

- ყველაფერში პარტნიორები იყავით? ერთმანეთს ყველა საქმეში ახედებდით? - ჰკითხა კროსმა.

- რას ამბობთ! - გაეცინა შარკის. - ლაუზი ყველაფერში უფროსობდა, ზოგჯერ არც კი ვიცოდი, რას ვაკეთებდით და რამდენს გვიხდიდნენ. საკუთარი წესები ჰქონდა. რასაც მაძლევდა, იმას უნდა დავჯერებოდი და მეუბნებოდა, ფულს პატიოსნად გინაწილებო.

- როგორ შოულოდბით ფულს?

- აზარტული თამაშების რომელიღაც დიდ სინდიკატებს ვეხმარებოდით, მერე - ნარკოტიკებით მოვაჭრეებსაც. იყო დრო, როცა ჯიმი ნარკოტიკებზე ფულის კეთებას თაკილობდა, მაგრამ მას მერე, რაც ამის კეთება ყველა პოლიციელმა დაიწყო, მანაც პრინციპს უღალატა.

- თქვენ და ლაუზი თუ იყენებდით შავკანიან ბიჭს, გვარად მერლოს, მასზე უფრო ბობოლა ნარკოდილერების სათვალთვალოდ?

- მერლო? კი, როგორ არა. კარგი ბიჭი იყო, საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინოდა. ხშირად ვიყენებდით.

- ესე იგი, როცა გაიგეთ, რომ ლაუზიმ ის მოკლა, არ გაგკვირვებიათ? - ჰკითხა კროსმა.

- ცხადია, არა! ნარკომანები სულ უარესისკენ მიდიან და ბოლოს რაღაც ძალზე ცუდში ეხვევიან. ჯიმი კი ასეთ შემთხვევებში არასოდეს იძლევა გაფრთხილებას, როგორც გვასწავლიდნენ, პირდაპირ ისვრის.

- მაინც უცნაურ დამთხვევად არ გეჩვენებათ, მათი გზები ასე რომ

გადაიკვეთა? - ჩაეკითხა კროსი.

შარკის სახე შეეცვალა. ნაღვლიანი ჩანდა.

- ჰო, საეჭვი საქმეა. აი, რა უნდა გითხრათ. ჯიმ ლაუზი მაგარი კაცი იყო, ქალები აღმერთებდნენ, მამაკაცები ვაჟკაცად თვლიდნენ. არც მე ვყოფილვარ სხვა აზრის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის თავიდანვე ძალზე საეჭვო პიროვნება იყო.

- ესე იგი, უშვებთ იმ აზრს, რომ ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი იყო?

- არა, არა, ვერ გამიგეთ. ჩვენს პროფესიაში ძალაუნებურად ხდები მექრთამე, მაგრამ - არა მკვლელი. არა, ჯიმი ამას არ იზამდა. ვერ დავიჯერებ.

- მაშ, ამ შემთხვევის შემდეგ სამსახურს თავი რატომ დაანებეთ?

- უბრალოდ, ბოლო დროს ლაუზი მაღიზიანებდა.

- ცოტა ხნის წინ ის მალიბუში მარტო შემხვდა. ხშირად მუშაობდა უთქვენოდ?

- ზოგჯერ კი, - ჩაიცინა შარკიმ. - იმ დღეს მსახიობი ქალის შებმა უნდოდა. ხშირად ისეთ პიროვნებებს ხვდება, რომ ჩემი იქ ყოფნა სასურველი არ იყო.

- კიდევ ერთი რამ: ჯიმ ლაუზი რასისტი ხომ არ იყო? შავები სძულდა?

შარკიმ გაოცებით შეხედა.

- რა თქმა უნდა, სძულდა! თქვენც იმ ცალტვინა ლიბერალების წრიდან ხართ? თვლით, რომ ეს არაჰუმანურია? აბა, ჩემს ადგილას

იმუშავეთ ერთი წელიწადი და ვნახავ მერე, თვითონვე როგორ მოითხოვთ, ყველა შავკანიანი ზოოპარკში მოათავსონ.

- კიდევ ერთი კითხვა, - განაგრძობდა კროსი, - არასოდეს გინახავთ მასთან ერთად დაბალი ახალგზარდა კაცი სასაცილო ქუდით?

- იტალიელი, - თავი დაუქნია შარკიმ, - სამივემ ერთად ვისადილეთ, მერე კი ლაუზიმ მითხრა,აქედან დაიკარგეო. საზიზღარი ტიპია.

კროსმა საფულიდან კიდევ ორი დასტა ამოიღო.

- აი, ოცი ათასი. გახსოვდეთ, ხმა არ ამოიღოთ და ერთ თვეში კიდევ ორმოცდაათს მიიღებთ. გასაგებია?

- ვიცი, ვინც ხართ, - გაუმეორა შარკიმ.

- გეცოდინებათ. პოლარდს ვუთხარი, თქვენთვის ჩემი ვინაობა გაემხილა.

- არა. ვიცი, სინამდვილეში ვინც ხართ, - ირონიულად უთხრა შარკიმ, - ამიტომაც არ გართმევთ მთელ საფულეს და ამიტომაც, ორი თვით გავჩუმდები. არ ვიცი, რომელი უფრო ადრე მომკლავს - ლაუზი თუ თქვენ.

კროს დე-ლენა მიხვდა, რომ უდიდესი პრობლემების წინაშე იდგა. ისედაც იცოდა, რომ ლაუზი კლერიკუციოს ოჯახისგან წლიური გასამრჯელოს სახით ორმოცდაათ ათასს იღებდა, საგანგებო ოპერაციებისთვის კი - დამატებით თანხებსაც, მაგრამ მის მოვალეობაში მკვლელობა არ შედიოდა. აქედან საბოლოო დასკვნა გამოიტანა: მამამისი დანტემ და ლაუზიმ მოკლეს. კარგად იცნობდა დანტეს ხასიათსა და ოჯახის საქმეში მის ფუნქციებს. ისიც იცოდა, რომ

დანტეს მამამისი სძულდა.

მთავარი კითხვა ახლა ეს იყო: დანტე დამოუკიდებლად მოქმედებდა თუ - დონის მითითებით? ოჯახს ამის მიზეზი არ უნდა ჰქონოდა, კროსის მამას პატივს სცემდნენ, ის მათი დიდი გენერალი იყო სანტადიოსთან ომის დროს. კროსს ხშირად გაჰკვირვებია და ახლაც გაკვირვებით გაიფიქრა, რატომ არავის მოუყოლია მისთვის ამ ომის მოვლენების შესახებ - არც მამამისს, არც გრონეველტს, არც ჯორჯოს, არც პიტის, არც ვინსენტს.

კროსი დარწმუნდა, რომ დონს მამამისის მკვლელობაში ხელი არ ერია. ის კონსერვატიული კაცი იყო, ზნეობის წესებს არ ღალატობდა, ერთგულებისთვის კი არ სჯიდა, არამედ აჯილდოებდა. მაგრამ გადამწყვეტი არგუმენტი მაინც ერთი იყო: მას რომ პიპი მოეკლა, კროსს წუთითაც არ დატოვებდა ცოცხალს.

დონ დომენიკოს სწამდა ღმერთი, სწამდა ბედისწერაც. მაგრამ დამთხვევის არ სწამდა. უსათუოდ, თვითონაც გამოიძიებდა პიპის მკვლელობას და დანტეს დანაშაულსაც დაადგენდა. დონს არა მხოლოდ ფაქტები, არამედ ის მოტივებიც ეცოდინებოდა, რომლებიც დანტეს ამოძრავებდა.

ნეტავ როუზ-მერიმ, დანტეს დედამ რაღა იცოდა? როცა პიპის სიკვდილის ამბავი შეიტყო, ისტერიკა დაემართა, კიოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. დონმა ის თავის მიერ დაფუძნებულ ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსებინა. ქალი იქ სულ ცოტა, ერთ თვეს მაინც დარჩებოდა.

როცა როუზ-მერი კლინიკაში იყო, დონი მის მონახულებას ყველას უკრძალავდა, დანტეს, ჯორჯოს, ვინსენტისა და პიტის გარდა. მაგრამ კროსი ხშირად უგზავნიდა ყვავილებსა და ხილით სავსე კალათებს. ასე ძალიან რამ ააღელვა როუზ-მერი? ნუთუ მანაც გაიგო დანტეს დანაშაულის შესახებ? კროსს გაახსენდა, ბოლო შეხვედრისას დონმა დანტეს რომ უთხრა, ჩემი მემკვიდრე იქნებიო. ეს საბედისწეროდ ჟღერდა. კროსმა გადაწყვიტა, როუზ-მერი კლინიკაში მოენახულებინა, მიეტანა უხვი ძღვენი - ყვავილები, შოკოლადი, ხილი, სხვადასხვა სახეობის ყველი - და გულწრფელი ნათესაური სიყვარული გამოემჟღავნებინა, სამაგიეროდ, შვილის გაცემაზე დაეყოლიებინა.

* * *

ორი დღის შემდეგ კროსი ისტ-ჰემპტონის ფსიქიატრიული კლინიკის ჰოლში შევიდა. შესასვლელთან დაცვის ორი წევრი იდგა, ერთ-ერთმა მიმღებ მაგიდასთან მიაცილა.

მაგიდასთან მჯდომმა, კარგად ჩაცმულმა შუა ხნის ქალმა მის თხოვნას მოუსმინა და უთხრა, ნახევარი საათის დაცდა მოგიწევთო. როუზ-მერი სამედიცინო პროცედურაზე იმყოფებოდა და, როგორც კი გათავისუფლდებოდა, კროსს მასთან შეახვედრებდნენ.

კროსი მოსაცდელ დარბაზში სავარძელში ჩაჯდა და ჟურნალ „ჰოლივუდის“ თვალიერება დაიწყო. იქ წააწყდა წერილს ჯიმ ლაუზის, ლოს-ანჯელესის გმირი პოლიციელის შესახებ, რომელიც ვაჟკაცურად გაუსწორდა მკვლელ მერლოს. კროსს გაეცინა, როცა წაიკითხა, რომ მამამისი მძარცველის ტიპურ მსხვერპლად, ფინანსური სერვისის

სააგენტოს კანონმორჩილ და დაუცველ მფლობელად იქნა გამოყვანილი, წერილის ბოლოს კი ასეთი ფრაზა წაიკითხა: „თუკი ჯიმ ლაუზისნაირი პოლიციელი მეტი გვეყოლება, მალე ქუჩის ბანდიტიზმს სრულიად ამოვძირკვავთ“.

მხარზე ექთანის ხელის შეხება იგრძნო. ზორბა ქალი იყო, მაგრამ ნაზი ხმით უთხრა:

- წამომყევით, მის პალატაში აგიყვანთ.

კროსმა საჩუქრად მოტანილი ყვავილები და შოკოლადის კოლოფი აიღო და ექთანს გრძელ დერეფანში გაჰყვა, რომლის ბოლო კარიც ქალმა გასაღებით გააღო და სტუმარი შიგნით შეუშვა. კროსი რომ შევიდა, კარი ისევ დახურა.

რუხხალათიანი, სათუთად დავარცხნილი როუზ-მერი სავარძელში იჯდა და მომცრო ტელევიზორს უყურებდა. კროსი რომ დაინახა, ფეხზე წამოიჭრა, გადაეხვია და ატირდა. კროსი მიეფერა და ძღვენი გაუწოდა.

- ჩემ მოსანახულებლად მოხვედი, მე კი მეგონა, იმის გამო გძულდი, რაც მამაშენს დავუშავე, - ტიროდა ქალი.

- შენ მამაჩემისთვის არაფერი დაგიშავებია, - უთხრა კროსმა და როუზ-მერი ისევ სავარძელთან მიიყვანა, მერე ტელევიზორი გამორთო და ქალის წინ ჩაიმუხლა. - შენზე ვდარდობდი.

- ყოველთვის ლამაზი იყავი, - თმაზე ხელი გადაუსვა ქალმა, - მძაგდა იმაზე ფიქრი, რომ მამაშენის შვილი ხარ. გამეხარდა, მისი სიკვდილის ამბავი რომშევიტყვე. მაგრამ მუდამ ვიცოდი, რომ

საშინელი ამბები დატრიალდებოდა. მისი სიძულვილით მთელი ქვეყანა შხამით ავავსე. გგონია, მამაჩემი ამას ასე დატოვებს?

- დონიც ადამიანია, ის არასოდეს დაგდებს ბრალს, - დაამშვიდა კროსმა.

- შენც ისე მოგატყუა, როგორც ყველას ატყუებს. ნურაფერს დაუჯერებ! საკუთარი ქალიშვილი მოატყუა, საკუთარი შვილიშვილიც, საკუთარი დისწული პიპიც... ახლა შენც მოგატყუებს.

ხმას ისე უწევდა, ბოლოს თითქმის კიოდა და კროსი შეშინდა, შეტევა არ დაეწყოსო.

- მამიდა როუზ, დაწყნარდი. უბრალოდ მომიყევი, ასე რამ აგაღელვა, რომ ისევ აქ მოხვდი? - ქალს თვალებში ჩააცქერდა და გაიფიქრა, ალბათ ახალგაზრდობაში რა ლამაზი იყოო! როუზ-მერიმ ცხარედ ჩასჩურჩულა:

- მოაყოლე სანტადიოსთან ომის ამბავი და ყველაფერს მიხვდები! - უეცრად როუზ-მერიმ კროსის მიღმა მიაპყრო მზერა, მერე ხელები თავზე წაივლო. კროსმა უკან მიიხედა და კარში შემოსული ვინსენტი და პიტი დაინახა. როუზ-მერი ფეხზე წამოხტა, საძინებელში შევარდა და კარი მოიჯახუნა.

ვინსენტს მუდამ გაყინულ სახეზე სიბრალული და დარდი გამოეხატა. ის საძინებლის კართან მივიდა, დააკაკუნა და დას მიმართა:

- ღმერთო, როუზ, კარი გააღე. შენი ძმები ვართ, არაფერს დაგიშავებთ.

- რა დამთხვევაა, - უთხრა კროსმა, - მეც როუზ-მერის მოსანახულებლად მოვედი.

- ჩვენ მოსანახულებლად არ მოვსულვართ, - პირდაპირ საქმეზე გადავიდა ვინსენტი, - დონი ქუოგში გიბარებს.

კროსმა სწრაფად შეაფასა სიტუაცია. აშკარა იყო, მიმღებში მჯდომმა ქალმა ქუოგში დარეკა. აშკარა იყო, დონს არ სურდა, რომ კროსს როუზ-მერისთან ელაპარაკა. პიტი და ვინსენტი პირადად რომ გამოგზავნა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოკვლას არ უპირებდნენ. ასეთ საქმეზე ღიად არ გამოუშვებდა.

მისი ეჭვი დადასტურდა, როცა ვინსენტმა უთხრა:

- კროს, შენთან ერთად შენი მანქანით წამოვალ, პიტი კი მეორე მანქანით გამოგვყვება.

კლერიკუციოს ოჯახში მკვლელი მსხვერპლთან პირისპირ არასოდეს რჩებოდა.

- როუზ-მერის ასე ვერ დავტოვებთ, - უთხრა კროსმა.

- არა უშავს. ექთანი მიხედავს, - უპასუხა პიტიმ.

კროსმა გზაში საუბრის გაბმა სცადა.

- ვინსენტ, რა სწრაფად მოხვედით.

- საჭესთან პიტი იჯდა, მანიაკივით ატარებს, - უთხრა ვინსენტმა, მერე კი შეწუხებული სახით დაუმატა: - კროს, წესები ხომ იცი, რატომ მიხვედი როუზ-მერის სანახავად?

- რა მოხდა? როუზ-მერი ბავშვობაში ჩემი ყველაზე საყვარელი ნათესავი იყო.

- დონი უკმაყოფილოა. ძალიან უკმაყოფილო. ამბობს, კროსს ვერ ვცნობო.

- დაველაპარაკები და შეცდომას გამოვასწორებ. მართლა ვნერვიულობდი შენი დის ჯანმრთელობის გამო. როგორ არის?

- ამჯერად შეიძლება, სამუდამოდ დატოვონ. ხომ იცი, ბავშვობაში პიპიზე იყო შეყვარებული. ვინ იფიქრებდა, რომ მისი სიკვდილი ამ დღეში ჩააგდებდა?! - კროსმა მის კილოში სიყალბე იგრძნო. იფიქრა, რაღაც იცისო, მაგრამ მხოლოდ ეს თქვა.

- მამაჩემს როუზ-მერი მუდამ უყვარდა.

- ბოლო წლებში კი შესძულდა მამაშენი, განსაკუთრებით, როცა შეტევები დაეწყო. ამ დროს მასზე რაებს ამბობდა, ერთი მოგასმენინა.

- სანტადიოსთან ომში შენც ხომ მონაწილეობდი? - უეცრად ჰკითხა კროსმა. - როგორ მოხდა, რომ ამის შესახებ ჩემთვის არასოდეს მოგიყოლიათ?

- იმიტომ, რომ ჩავლილ ოპერაციებს აღარასოდეს ვახსენებთ. მამამ გვასწავლა, რომ ეს ფუჭია. წინ უნდა გაიხედო. აწმყოშიც საკმარისი საფიქრალი და საზრუნავია.

- მამაჩემმა ამ ომში ძალიან იყოჩაღა, ასე არ არის? - ჰკითხა კროსმა.

- მამაშენი გენიოსი იყო, - ვინსენტმა პირველად გაიღიმა. გაქვავებული ნაკვთები თითქმის მოულბა. - ნაპოლეონივით აწყობდა სტრატეგიულ გეგმებს. მისი გეგმა ყოველთვის ამართლებდა,

შესაძლოა, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, და ისიც ბედის ამბავი იყო.

- სანტადიოსთან ომი მან დაგეგმა?

- შეკითხვები დონს დაუსვი. ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

- კარგი. მეც მამაჩემივით გამაგორებთ?

მუდამ თავშეკავებული ვინსენტი საშინლად გაცხარდა, საჭეს დაავლო ხელი და კროსს მანქანა გზის პირას გააჩერებინა.

- გაგიჟდი?! გგონია, ჩვენი ოჯახი ასეთ რამეს იკადრებდა? მამაშენის ძარღვებში კლერიკუციოს სისხლის ჩქეფდა. ის ჩვენი საუკეთესო მებრძოლი იყო, გადაგვარჩინა. დონს შვილივით უყვარდა. რამ გაფიქრებინა ასეთი რამე?

- უბრალოდ, შევშინდი, ასე უცბად რომ გაჩნდით, - თვინიერად უპასუხა კროსმა.

- გზაზე დაბრუნდი, - ზიზღნარევი ხმით თქვა ვინსენტმა, - მე, მამაშენმა და პიტიმ ერთად უმძიმესი განსაცდელი გამოვიარეთ. მამაშენი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ეგ წყეული შავი ნარკომანი!..

ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღიათ. ქუოგში ჭიშკართან, როგორც ყოველთვის, ორკაციანი დაცვა იდგა, არანაირი უჩვეულო მოქმედების ნიშნები არ ჩანდა.

დონ კლერიკუციო, ჯორჯო და პიტი კაბინეტში ელოდებოდნენ. დონი ტყავის ვეება სავარძელში იჯდა. როცა კროსი მასთან მისასალმებლად წამოემართა, გაოცდა, რადგან მოხუცი მისი

ასაკისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით წამოდგა დაკროსი გულში ჩაიკრა. მერე მაგიდაზე მიუთითა, სადაც ხემსი და სასმელები იყო დალაგებული.

კროსმა იგრძნო, რომ დონი ჯერ ლაპარაკის ხასიათზე არ იყო, ამიტომ სუფრას მიუჯდა და მაცარელას სენდვიჩი მოიმზადა. დანარჩენებიც ყველსა და პურს შეექცეოდნენ. ჯორჯო ბარმენის როლს ასრულებდა: დონს ღვინოს უსხამდა, დანარჩენებს - უალკოჰოლო სასმელებს. დონიც მაცარელას მიირთმევდა, პიტიმ დაგრეხილი სიგარა მიაწოდა და მოუკიდა. მაინც რა ჯანმრთელი მოხუციაო! - გაიფიქრა კროსმა.

- კროჩიფიციო, - ალაპარაკდა დონი, - როუზ-მერისგან რისი გაგებაც გსურდა, მე მკითხე. ვიცი, მამაშენის სიკვდილთან დაკავშირებით ეჭვი გაქვს, მაგრამ ცდები. ყველაფერი გულდაგულ გამოვიკვლიე. პიპის უბრალოდ არ გაუმართლა. მინდა, დაგამშვიდო. მამაშენი კლერიკუციოს ოჯახის წევრი, ჩემი დისწული და უძვირფასესი მეგობარი იყო.

- სანტადიოსთან ომის შესახებ მიამბეთ, - სთხოვა კროსმა.

წიგნი VII - ომი სანტადიოს წინააღმდეგ - თავი 18

- ბრიყვებთან ჭკვიანური ლაპარაკი სახიფათოა, - დაიწყო დონმა, ღვინო მოსვა და სიგარა გვერდზე გადადო. - მოემზადე, გრძელი

ამბავია. თანაც, ყველაფერი სულ სხვანაირად მოხდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მას მერე უკვე თითქმის ოცდაათი წელია გასული... - თავის ვაჟებს გადახედა და უთხრა: - თუ რაიმე მნიშვნელოვანი გამომრჩა, დამეხმარეთ, - ვაჟებს იმის გაფიქრებაზე გაეღიმათ, რომ დონს შეიძლებოდა, რაიმე მნიშვნელოვანი გამორჩენოდა.

კაბინეტის ოქროსფერ მქრქალ შუქს სიგარის კვამლი ერეოდა, სუნელებით შეკაზმული საჭმლის მძაფრი სურნელიც სინათლეს თითქოს უფრო ახშობდა.

- ჰო, სანტადიოს შემხედვარე სწორედ ამ აზრზე მოვედი, - განაგრძო დონმა, - ამ ოჯახს ხომ ჩვენზე არანაკლები ძალაუფლება ჰქონდა. მაგრამ ყველა გადაიმტერა, სამართალდამცავების ყურადღებაც მიიპყრო, რადგან ზნეობისა და სამართლიანობის არანაირ ნორმას არ იცავდა. მის იმპერიაში არანაირი ფასეულობა არ არსებობდა, ასეთი ძალაუფლება კი დიდხანს ვერ იარსებებს.

თანამშრომლობის არაერთი ვარიანტი შევთავაზე, მათთან მშვიდობიანი თანაარსებობა მინდოდა. მაგრამ, რაკი ძალა ერჩოდათ, შეუზღუდავ ძალაუფლებას იყვნენ დახარბებულნი. ამან გამოიწვია ჩვენ შორის ომი.

ჯორჯომ შეაწყვეტინა:

- კროსმა რატომ უნდა მოისმინოს ეს ამბავი? ან მას, ან ჩვენ ეს რას გვარგებს?

ვინსენტმა გვერდზე გაიხედა, პიტიმაც თავი ასწია და კროსს შემფასებლური მზერა შეავლო. დონის არც ერთ ვაჟს არ სურდა, რომ

მას ეს ამბავი მოეთხრო.

- იმიტომ, რომ პიპისა და კროჩიფიციოს წინაშე ვალდებულება გვაქვს, - მიუგო დონმა. - ეს ამბავი, როგორც გსურს, ისე შეაფასე, - უთხრა მან კროსს, - მაგრამ იცოდე: მე და ჩემს შვილებს ტყუილად გვადანაშაულებ. პიპი შვილივით მიყვარდა, შენ კი - იგივე შვილიშვილი ხარ ჩემთვის. ყველა ჩვენგანის ძარღვებში კლერიკუციოს სისხლი ჩქეფს.

- ეს კარგს არაფერს მოგვიტანს, - ისევ ჩაერია ჯორჯო.

დონმა ხელი აუქნია, მერე შვილებს გადახედა და იკითხა:

- აქამდე რაც ვთქვი, სიმართლეა?

მათ თავი დაუკრეს, ხოლო პიტიმ შენიშნა:

- თავიდანვე ყველანი უნდა ამოგვეხოცა.

- მამაშენიც და ჩემი შვილებიც ახალგაზრდები იყვნენ, - მიუბრუნდა დონი კროსს, - ოცდაათის არ იყვნენ. არ მსურდა, დიდ ომში დახოცილიყვნენ. დონ სანტადიოს, უფალმა შეიწყალოს მისი სული, ექვსი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ მათ როგორც შვილებს კი არა, როგორც ჯარისკაცებს, ისე უყურებდა. მისი უფროსი ვაჟი, ჯიმი სანტადიო, გრონეველტთან მუშაობდა, უფალმა აცხონოს მისი სული. მაშინ სანტადიოს ოჯახი სასტუმროს ნახევარს ფლობდა. ჯიმი ყველა თავისიანს სჯობდა, ესმოდა, რომ მშვიდობა ყველაფერზე უფრო ძვირფასია, მოხუცსა და დანარჩენებს კი სისხლი სწყუროდათ.

მე სისხლის ღვრის წინააღმდეგი ვიყავი. დროს ვჭიმავდი, ვფიქრობდი. ვაპირებდი, ნარკობიზნესი მთლიანად მათთვის

დამეთმო, რადგან ეს ბინძური საქმეა და სისასტიკესა და ძალადობას მოითხოვს. სანაცვლოდ, სათამაშო ბიზნესს დავეპატრონებოდი და „ქსანადუს“ სრული მფლობელი გავხდებოდი. ეს შევთავაზე. მათთვის ეს საშური იქნებოდა, რადგან ნარკოტიკებს გაცილებით მეტი ფული მოაქვს და არც წინასწარ ხანგრძლივ დაგეგმვას მოითხოვს. ბინძური ბიზნესია, საბრძოლო ოპერაციებთან, მკვლელობასთან დაკავშირებული, რაც სანტადიოს ხასიათს შეეფერებოდა. ჩვენი ოჯახისთვის, ნაკლებმოგებიანი, მაგრამ მშვიდი და გონივრული სათამაშო ბიზნესი ვარჩიე.

მაგრამ, საუბედუროდ, სანტადიოს ყველაფრის ხელში ჩაგდება სურდა, სულ ყველაფრის. ეს ჩვენთვის ძალზე საშიში დრო იყო, „ეფბიაიმ“ უკვე დაადგინა ჩვენი ოჯახების არსებობა და საქმიანობა, ხელისუფლებამ არაერთი ოჯახი ჩაძირა, „ომერტის“ კედელიც კი ვეღარ გვიცავდა.

ამერიკაში დაბადებული ახალგაზრდები საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, უკვე აღარ თაკილობდნენ სამართალდამცავებთან თანამშრომლობას. კიდევ კარგი, რომ ბრონქსის დაჯგუფება ჩამოვაყალიბე და სიცილიიდან ახალ-ახალი ჯარისკაცები ჩამომყავდა.

ერთადერთი რამ ვერ გამიგია: რატომაა, ქალები ამდენ პრობლემას რომ ქმნიან? ჩემი ქალიშვილი, როუზ-მერი, მაშინ თვრამეტი წლის იყო. ჯიმი სანტადიომ ასე ძალიან როგორ გადარია?! შეუყვარდა, ამბობდა, რომეო და ჯულიეტასავით ვართო. ვინ იყვნენ ეს

რომეო და ჯულიეტა, გამაგებინე?! იტალიელებს ნამდვილად არ ჰგვანან. ეს რომ შევიტყე, უკან დავიხიე, მოლაპარაკებები განვაახლე, მოთხოვნები შევამცირე ისე, რომ ორივე ოჯახს მშვიდობიანი თანაარსებობა შესძლებოდა. ამ ბრიყვებმა ეს ჩემი სისუსტის ნიშნად ჩათვალეს. მთელი უბედურებაც აქედან დაიწყო.

დონი დადუმდა. ჯორჯომ ღვინო გადაკრა, პურის ნაჭერზე ყველი დაიდო და დონის ზურგს უკან დადგა.

- რატომ მაინცდამაინც დღეს? - ჰკითხა მან დონს.

- იმიტომ, რომ კროსს მამის დაღუპვის ამბავი ადარდებს და ყველანაირი ეჭვი უნდა გავუფანტოთ.

- თქვენზე არანაირი ეჭვი არ მაქვს დონ დომენიკო, - უთხრა კროსმა.

- ეჭვი ადამიანური გრძნობაა, - უპასუხა დონმა, - ყველას ყველაფერსა და ყველაში შეაქვს ეჭვი. მაგრამ მაცადეთ მოყოლა. როუზ-მერი ახალგაზრდა იყო, ცხოვრებას სრულებით არ იცნობდა. როცა ჩვენს ოჯახებს შორის შეხლა-შემოხლა დაიწყო, თავზარიდაეცა. როგორც მოგვიანებით ამიხსნა, ჩვენი შერიგება სურდა, სწამდა, რომ სიყვარული მტრობას დაამარცხებდა. მასზე მზე და მთვარე ამომდიოდა. ადრე დავქვრივდი, მაგრამ ცოლი აღარ შემირთავს, რადგან არ მსურდა, ოჯახში როუზ-მერის გვერდით უცხო ქალი ყოფილიყო. მას დიდ მომავალს ვუმზადებდი. ვერ ავიტანდი, სანტადიოს რომ გაჰყოლოდა ცოლად. ავუკრძალე. მაშინ თვითონაც ახალგაზრდა ვიყავი. მეგონა, შვილები ყველაფერში დამიჯერებდნენ.

მინდოდა, კოლეჯში ესწავლა და ისეთ ვინმეს გაჰყოლოდა ცოლად, ვინც მაფიის სამყაროს არ მიეკუთვნებოდა. ჯორჯოს, ვინსენტისა და პიტის მხარდაჭერის გარეშე საქმეს ვერ გავაკეთებდი, მაგრამ მათი შვილებისთვისაც უკეთესი ბედი მინდოდა: მსურდა, ჩვენი სამყაროდან გაეღწიათ. იმავეს ვუსურვებდი ჩემს უმცროს ვაჟს, სილვიოსაც, - დონმა ბუხრის თავზე მდგარ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათისკენ გაიხედა.

კროსი ამ ფოტოს არასოდეს დაჰკვირებია. მასთან დაკავშირებული ამბავი არ იცოდა. სურათზე ახალგაზრდა ბიჭი იყო აღბეჭდილი, რომელიც ძალიან ჰგავდა როუზ-მერის, მაგრამ უფრო რბილი და ნატიფი ნაკვთები და ისეთი უმანკო, გულკეთილი იერი ჰქონდა, კროსს ეჭვიც კი გაუჩნდა, ფოტო რეტუშირებული ხომ არ არისო?

უფანჯრო ოთახში ჰაერი სულ უფრო ივსებოდა სიგარის კვამლით. ჯორჯომ დიდ ჰავანურ სიგარას მოუკიდა.

- სილვიოზე კიდევ უფრო დიდ იმედებს ვამყარებდი, ვიდრე როუზ-მერიზე. ის ძალზე გულკეთილი იყო, უნივერსიტეტში სტიპენდიით მიიღეს. უსათუოდ ბევრს მიაღწევდა. მაგრამ მეტისმეტად გულუბრყვილო იყო.

- სულ არ იცოდა, სიფრთხილე რა არის, - ჩაერთო ვინსენტი, - არც ერთი ჩვენგანი ასე, დაცვის გარეშე, არ წავიდოდა.

- მოკლედ, როუზ-მერი და ჯიმი ერთ მოტელში იყვნენ გაჩერებული, - თხრობის სადავე ახლა ჯორჯომ აიღო ხელში, - როუზ-მერი რატომღაც დარწმუნებული იყო, თუკი ჯიმი და სილვიო ერთმანეთს შეხვდებოდნენ და ისაუბრებდნენ, ეს ჩვენს ოჯახებს შეარიგებდა. მან

სილვიოს დაურეკა, სთხოვა, მოტელში მისულიყო და სილვიოც ისე წავიდა, არავინ გაუფრთხილებია. სამივენი დასხდნენ და გეგმებზე მოილაპარაკეს. უკანასკნელი სიტყვები, რაც სილვიომ როუზ-მერის უთხრა, იყო: „ყველაფერი კარგად იქნება, რო. მამა უარს არ მეტყვის“.

მაგრამ სილვიოს მამასთან საუბარი აღარ დასცალდა. ორი ძმა, ფონსა და იტალო სანტადიოები, ჯიმის ადგილსამყოფელს დარაჯობდნენ.

ყველა სანტადიოს მწვავე პარანოია სჭირდა. ეგონათ, როუზ-მერი მათ ძმას მახეს უგებდა. ან, სულ მცირე, მასთან ქორწინებით მათი ოჯახის ძალაუფლების დასუსტებას აპირებდა. ეშინოდათ როუზ-მერის შეუპოვრობის: ჯიმის გულისთვის საკუთარ მამას, დონ კლერიკუციოსაც კი დაუპირისპირდა.

ძმებმა მოტელიდან გამოსული სილვიო იცნეს, უკან გაჰყვნენ და ჩაცხრილეს. საფულე ამოაცალეს, რათა მკვლელობისთვის ძარცვის სახე მიეცათ. ეს სანტადიოს ხელწერა გახლდათ.

დონ კლერიკუციოს ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, თუ ვინ მოუკლა შვილი. მაგრამ მოულოდნელად დაკრძალვაზე ჯიმი სანტადიო გამოცხადდა, უიარაღოდ და დაცვის გარეშე, და დონთან პირისპირ საუბარი ინდომა.

- დონ კლერიკუციო, ჩემი წუხილი თითქმის თქვენსას უტოლდება. თუკი თქვენი ვაჟის სიკვდილში ჩემს ოჯახს სდებთ ბრალს, მაშინ სანაცვლოდ ჩემს სიცოცხლეს გწირავთ. მამაჩემს ველაპარაკე. მას

მსგავსი ბრძანება არ გაუცია. მითხრა, რომ ყველა თქვენს შემოთავაზებას განიხილავდა და თქვენი ქალიშვილის ცოლად შერთვის ნება დამრთო.

როუზ-მერი მათ მიუახლოვდა, ჯიმის ხელი ჩასჭიდა და მამას მუდარით შეხედა. დარდი და შიში მის სილამაზეს აასმაგებდა, თვალები ცრემლებისგან უბრწყინავდა. ჯიმი სანტადიოს ისეთი სიყვარულით შეხედა, დონმა იგრძნო, რომ წყალობის გაღების დრო დამდგარიყო, რაც მის ცხოვრებაში უიშვიათესად ხდებოდა.

- ჯიმის ძალიან ეშინოდა, რომ მის ოჯახზე მიიტანდი ეჭვს, - მიმართა როუზ-მერიმ მამას, - ვიცი, ეს მათ არ ჩაუდენიათ. ჯიმი დამპირდა, რომ მისი ოჯახი შეგვირიგდება.

დონ კლერიკუციოს დამამტკიცებელი საბუთი არ სჭირდებოდა. ისედაც იცოდა, რომ მკვლელობა სანტადიოს ოჯახის სინდისზე იყო. მაგრამ შეწყალება ამასთან არაფერ კავშირში არ იყო.

- შენი მჯერა, - უთხრა მან ჯიმის. პირადად მისი უდანაშაულობის მართლაც სჯეროდა, თუმცა ეს არაფერს ცვლიდა. - როუზ-მერი, დაქორწინების ნებას გრთავ, მაგრამ ეს ამ სახლში არ მოხდება და არც ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრი დაესწრება ამ ცერემონიას. ჯიმი, მამას გადაეცი, რომ ქორწილის შემდეგ ერთად დავსხდებით და საქმეზე მოვითათბირებთ.

- გმადლობ, - უთხრა ჯიმიმ, - თქვენი მესმის. ქორწილს პალმ-სპრინგზში გადავიხდით. ერთ თვეში ჩვენი ოჯახი ჩვენს იქაურ სახლში ჩავა. ყველა თქვენიანს ქორწილში მიწვევას გავუგზავნით და, თუკი

გადაწყვეტენ, არ ჩამოვიდნენ, ეს მათი ნება იქნება.

- ასე მალე? - ჰკითხა შეურაცხყოფილმა დონ დომენიკომ და კუბოზე მიუთითა.

უეცრად როუზ-მერი მკლავებში ჩაუვარდა და აცახცახებულმა ჩასჩურჩულა:

- ფეხმძიმედ ვარ.

- ოჰ, - დონმა ჯიმის გაუღიმა.

- სილვიოს დავარქმევ, სულ სილვიოს დაემსგავსება, - ქვითინებდა როუზ-მერი.

დონმა შავ თმაზე გადაუსვა ხელი და ლოყაზე აკოცა.

- კარგი, ასე იყოს. მაგრამ ქორწილს მაინც არ დავესწრები.

როუზ-მერი დამშვიდდა, მამას აკოცა და თქვა:

- მამა, ვიღაც ჩვენიანი ხომ უნდა დაესწროს, ვიღაცამ ხომ უნდა ჩამაბაროს სასიძოს.

- ჩვენი ოჯახის წარმომადგენლად პიპის გამოვგზავნი. ის შენი მამიდაშვილია და ცეკვაც უყვარს, - თქვა დონმა და იქვე მდგარ პიპის მიუბრუნდა. - პიპი, შენს ბიძაშვილს, წესისამებრ, სასიძოს მიჰგვრი, მერე კი შეგიძლია, ცეკვით იჯერო გული და ჯანდაბამდეც გზა გქონიათ ყველას.

პიპი დაიხარა და როუზ-მერის ლოყაზე აკოცა.

- მოვალ და თუ ჯიმიმ დაიგვიანა, მე და შენ ერთად გავიპაროთ.

როუზ-მერიმ მადლიერი მზერა მიაპყრო და გადაეხვია.

ერთი თვის შემდეგ პიპი დე-ლენა ვეგასიდან პალმ-სპრინგზში

საქორწინო ცერემონიაზე ჩაფრინდა. ეს თვე მეტწილად დონ კლერიკუციოსთან ერთად ქუოგის რეზიდენციაში გაატარა, სადაც ხშირ-ხშირად იმართებოდა საოჯახო თათბირი ვინსენტის, ჯორჯოსა და პიტის მონაწილეობით. [P SEP]

დონმა ყველას განუცხადა, რომ ოპერაციის ხელმძღვანელად პიპის ნიშნავდა. მის ბრძანებებს ყველა ისე უნდა დამორჩილებოდა, როგორც დონისას. [P SEP]

მხოლოდ ვინსენტმა გაბედა დონისთვის ამ შეკითხვის დასმა.[P SEP]

- იქნებ სანტადიოს ოჯახი უდანაშაულოა?[P SEP]

- ამას მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა თუ მართლა ასეა, ეს მათ სიბრიყვეზე მიუთითებს, რაც თავისთავად საშიშია. ბოლოს და ბოლოს, მაინც მოგვიწევდა მათთან დაპირისპირება. დამნაშავენი არიან იმიტომ, რომ ბოროტი განზრახვა თავისთავად დანაშაულია. თუ ისინი არა, მაშ, თავად ბედისწერა გადაგვემტერა. შენთვის რომელი უფროა დამაჯერებელი?[P SEP]

პიპი სიცოცხლეში პირველად ხედავდა დონს ასე თავგზააბნეულს. ზოგჯერ შეშლილსაც კი ჰგავდა. განმარტოებით ბევრ დროს ატარებდა სახლის სარდაფში მოწყობილ სამლოცველოში, თითქმის არ ჭამდა, ღვინის სმას უმატა, რაც მისთვის უჩვეულო იყო. თავის საძინებელში ჩარჩოში ჩასმული სილვიოს დიდი ფოტოსურათი ჩამოკიდა. ერთ კვირა დღეს, წირვის შემდეგ, მღვდელს აღსარების მიღება სთხოვა.[P SEP]

უკანასკნელ დღეს კი პიპისთან განმარტოვდა.[P SEP]

- პიპი, ოპერაცია ძალზე სარისკოა. შეიძლება ისეთი სიტუაცია

შეიქმნას, როცა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, უნდა დაინდო თუ არა ჯიმი სანტადიო. ნუ დაინდობ. ოღონდ არავის უთხრა, რომ ეს ჩემი ბრძანებაა. ეს ცოდვა მთლიანად საკუთარ თავზე უნდა აიღო. ეს ნურც მე დამაწვება, ნურც ჯორჯოს, პიტის თუ ვინსენტს. თანახმა ხარ, ეს იტვირთო?

- კი. ვიცი, არ გსურთ, თქვენმა ქალიშვილმა შეგიძულოთ და ბრალი დაგდოთ თქვენ ან თავის ძმებს, - უთხრა პიპიმ.

- შეიძლება, ისეთი ვითარებაც შეიქმნას, როცა როუზ-მერის სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე.

- ჰო, - გაფაციცდა პიპი.

- ყველაფერი იღონე ჩემი შვილების სიცოცხლის გადასარჩენად. საბოლოო გადაწყვეტილებები თვითონ უნდა მიიღო. გახსოვდეს - მე შენთვის ჯიმი სანტადიოს მოკვლა არ მიბრძანებია.

- როუზ-მერიმ ეს მაინც რომ შეიტყოს?

- ის ჩემი შვილი და სილვიოს დაა. არ გვიღალატებს.

სანტადიოს სახლი პალმ-სპრინგზში სამსართულიანი იყო, ორმოცი ოთახით, უდაბნოსგან წითელი აგურის მაღალი გალავნით გამიჯნული. გალავნის შიგნით საცურაო აუზი, კეგლის მოედანი და ჩოგბურთის კორტი იყო.

ქორწილისთვის ეზოში პიკნიკის მაგიდები გაეწყოთ, ფიცრული საცეკვაო მოედანი და სცენა გაემართათ, რომელზეც ორკესტრი განთავსებულიყო.

პიპი დე-ლენა შაბათს დილით ჩამოვიდა საქორწინო ტანსაცმლით

სავსე ჩემოდნით. მას ზედა სართულზე ერთ-ერთი საძინებელი მოუმზადეს.

საეკლესიო ცერემონია შუადღისას, სახლიდან ნახევარი საათის სავალზე გაიმართებოდა, შემდეგ სტუმრები ისევ სახლში დაბრუნდებოდნენ.

კარზე კაკუნი გაისმა. პიპის ოთახში ჯიმი სანტადიო შემოვიდა. სახე ბედნიერებისგან უბრწყინავდა. ის პიპის გულითადად გადაეხვია. საქორწინოდ ჯერ არ იყო გამოწყობილი, თუმცა ძალიან უხდებოდა ფართო თეთრი შლაქსი და მოვერცხლისფრო - რუხი აბრეშუმის პერანგი. გულწრფელი სიმპათიის ნიშნად, პიპის ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა და უთხრა:

- რა კარგია, რომ ჩამოხვედი! როს ისე უხარია, რომ მისიანების მხრიდან ცერემონიას სწორედ შენ ესწრები. ვიდრე დაიწყება, მამაჩემს შენთან საუბარი უნდა.

ასევე ხელჩაკიდებული გაიყვანა პიპი ოთახიდან და დონ სანტადიოსთან მიიყვანა. დონი თავის საძინებელში, ცისფერმაქმანებიან ლოგინში იწვა. დონ კლერიკუციოზე ბევრად უფრო ხნიერი ჩანდა, თუმცა მასავით გამჭოლი მზერა ჰქონდა და ყურადღებით მოსმენის უნარი შერჩენოდა. ბურთივით მრგვალი, სრულიად მელოტი თავი ჰქონდა. მან მკლავები გაშალა და პიპი გულში ჩაიკრა.

- რა მადლი ჰქენით, რომ ჩამოხვედით. დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენი წყალობით ჩვენი ოჯახებიც ისევე გადაეხვევიან ერთიმეორეს,

როგორც მე და თქვენ გადავეხვიეთ. მშვიდობის მტრედის მისია უნდა აღასრულოთ. ღმერთმა დაგლოცოთ! დღეს ძალზე ბედნიერი ვარ.

ოთახში ექთანი იმყოფებოდა - ჯანიანი, მაღალი ქალი, რომელიც ჯიმიმ პიპის ოჯახის ნათესავად გააცნო. ქალმა ახალგაზრდებს ჩასჩურჩულა, - ჯობს, ახლა წახვიდეთ, რათა დონმა ძალები მოიკრიბოსდა ცერემონიაზე დასწრება შეძლოსო.

წამით პიპი დაეჭვდა ჩანაფიქრის სისწორეში. აშკარა იყო, დონ სანტადიოს დღეები დათვლილი იყო, მის შემდეგ კი ოჯახს ჯიმი ჩაუდგებოდა სათავეში. იქნებ ყველაფერი მშვიდობიანად გადაწყვეტილიყო? მაგრამ დონ კლერიკუციო თავისი ვაჟის მკვლელობას ვერასოდეს შეეგუებოდა. ამ ორ ოჯახს შორის ვერასოდეს დამყარდებოდა ნამდვილი მშვიდობა. მან დონისგან ზუსტი მითითებები მიიღო.

ამასობაში ჯიმის ორი ძმა, იტალო და ფონსა, პიპის ოთახს ჩხრეკდნენ. ის ნაქირავები მანქანაც გაჩხრიკეს, რომლითაც ჩამოვიდა. იარაღს ეძებდნენ.

სანტადიოს ოჯახმა თავისი უფლისწულის ქორწილისთვის არაფერი დაიშურა. ეზო ეგზოტიკური ყვავილებით სავსე კალათებით იყო მორთული, ყველგან ფერადი ქსოვილის ფარდულები იდგა, სადაც ოფიციანტები სტუმრებს შამპანურით უმასპინძლდებოდნენ. ბავშვებს შუა საუკუნეების ჯამბაზის სამოსში გამოწყობილი ილუზიონისტი ართობდა. თითოეულმა სტუმარმა მიიღო ლატარიის ბილეთი, რომლითაც მოგვიანებით ოცი ათასი დოლარი უნდა

გათამაშებულიყო.

ჩოგბურთის კორტის თავზე ლურჯი ფანჩატური იყო გაჭიმული. იქ საქორწილო საჩუქრები ეწყო. პირადად დონ სანტადიოსგან პატარძალმა საჩუქრად ვერცხლისფერი „მერსედესი“ მიიღო, ნეფემ კი - პატარა კერძო თვითმფრინავი.

საეკლესიო ცერემონია სადად და სწრაფად ჩატარდა. ეზოში დაბრუნებულ სტუმრებს ორკესტრის მუსიკა შეეგება. მათ საჭმლის დახლები და სამი განსხვავებული ბარი ელოდებოდათ.

ნეფე-პატარძალმა პირველი ცეკვა მარტოდ იცეკვეს. ისე თავდავიწყებით იყვნენ ერთმანეთზე შეყვარებული, რომ მათი შემხედვარე სტუმრების ოვაცია არ ცხრებოდა. როუზ-მერი არასოდეს ყოფილა ასეთი ლამაზი, არც ჯიმი სანტადიო - ასეთი მხნე და მიმზიდველი.

როცა მუსიკა შეწყდა, ჯიმიმ პიპი ფიცარნაგზე აიყვანა და ხალხს მიმართა:

- ეს პიპი დე-ლენაა, კლერიკუციოს ოჯახის წარმომადგენელი. ის ჩემი გულითადი მეგობარია, მისი მეგობრები ჩემი მეგობრებიც არიან, მისი მტრები - ჩემი მტრები. მისი სადღეგრძელო შევსვათ. პატარძალიც სწორედ მას სჩუქნის პირველ ცეკვას.

- ოჯახებს ხომ შეარიგებ? - ჩასჩურჩულა როუზ-მერიმ პიპის ცეკვისას.

- გადაწყვეტილი ამბავია, - მიუგო პიპიმ.

ქორწილის განმავლობაში პიპი ყველაზე გამორჩეული სტუმარი

იყო. სტუმრებს შორის ყველაზე უფრო ლაღად, მოხდენილად და დაუღალავად ცეკვავდა. ჯიმისაც კი ეცეკვა ვალსი და მის ძმებს - ფონსას, იტალოს, ბენედიქტს, ჯინოსა და ლუის, ბავშვებსა და გათხოვილ ქალებს, ორკესტრის ხელმძღვანელსაც კი. კეგლის ისეთი ხალისით თამაშობდა, რომ მოედანი ერთი საათით მთელი წვეულების ცენტრად იქცა.

კეგლის თამაშის შემდეგ ჯიმიმ პიპი გვერდზე გაიყვანა და უთხრა:

- შენი იმედი მაქვს. მე და შენ უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ოჯახები. ვერავინ დაგვამარცხებს.

- ჰო, ამას შევძლებთ, - პიპი შეეცადა, ხმაში მთელი თავისი გულწრფელობა ჩაექსოვა. გაიფიქრა, ნეტავ თვით ჯიმის თუ სჯერა საკუთარი გულწრფელობის? შეუძლებელი იყო, აქამდე არ გაეგო, რომ სილვიო მისი ძმების მოკლულია. ჯიმიმ თითქოს მისი აზრები ამოიკითხა, რადგან ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

- გეფიცები, სილვიოს სიკვდილში ხელი არ მირევია. არც მე, არც ჩემიანებს. მამაჩემის სიცოცხლეს გეფიცები.

- მჯერა შენი, - უთხრა პიპიმ და ხელზე ხელი მოუჭირა. წამით გაუელვა აზრმა, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ყველაფრის შეცვლა, თუმცა მეორე წამს საკუთარ თავს უთხრა, რომ უკვე გვიანი იყო.

წითელი მზე უდაბნოს მიღმა ჩაესვენა და ეზოს ბინდი ჩამოეფარა. ელექტრონათურები აინთო, რაც იმის ნიშანი იყო, რომ დადგა დრო, ყველანი ეზოში გაშლილ სუფრებს მისხდომოდნენ. გაისმა

ნეფე-პატარძლისა და ოჯახის სადღეგრძელოები. დონ სანტადიო თავს შეუძლოდ გრძნობდა და სუფრას ვერ შეუერთდა, თუმცა ახალშეუღლებულებს გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები შემოუთვალა. საჯაროდ ჩამოთვალეს დონის მიერ მათთვის მომზადებული საჩუქრებიც, მათ შორის - თვითმფრინავი. სტუმრები ამას ხმაურიანი ოვაციით შეხვდნენ. პატარძალმა საკუთარი ხელით მოჭრა ტორტის დიდი ნაჭერი და დონს საძინებელში აუტანა, მაგრამ ექთანმა უთხრა, ავადმყოფს ჩაეძინა და, როცა გაიღვიძებს, ტორტით მაშინ გავუმასპინძლდებიო.

შუაღამისთვის ზეიმი დასრულდა. ნეფე-პატარძალმა გამოაცხადა, დილას ევროპაში მივფრინავთ საქორწინო მოგზაურობაში და უნდა გამოვიძინოთო. ამას შეზარხოშებული სტუმრების ხორხოცი და პიკანტური ხუმრობები მოჰყვა.

რამდენიმე ასეულმა მანქანამ დატოვა ეზო. კვების სამსახურის პერსონალმა დახლები და კარვები აალაგა, საცეკვაო ფიცარნაგი დაშალა და სახელდახელოდ აკრიფა ნაგავი. დანარჩენს დილით დაალაგებდნენ.

პიპის თხოვნით, სტუმრების წასვლის შემდეგ მას ხუთი ძმა შეხვდა. ამ შეხვედრისას საჩუქრები უნდა გაეცვალათ და ორ ოჯახს შორის მეგობრობის ფაქტი აღენიშნათ.

შუაღამისას ექვსივე დიდ სასადილო ოთახში შეიკრიბა. პიპიმ ყველას „როლექსის“ ორიგინალური მაჯის საათები დაურიგა. ჯიმისთვის გრძელი იაპონური კიმონო ჩამოეტანა, ზედ ხელით

ამოქარგული ეროტიკული სცენებით.

- ახლავე ავუტანოთ ეს საჩუქარი ჯიმის, - შესთავაზა ფონსამ.

- უკვე გვიანია, - მხიარულად წამოიძახა იტალომ, - ჯიმი და როუზ-მერი ახლა უკვე მესამე წრეზე იქნებიან.

ყველამ გაიცინა.

გარეთსავსე მთვარე ანათებდა. ეზოში ჩამოკიდებული ჩინური ფარნები მთვარის თეთრ შუქში წითელ მანათობელ ბურთულებად მოჩანდა. ჭიშკარს უზარმაზარი სატვირთო მიადგა, რომელსაც „საზოგადოებრივი კვება“ ეწერა. ორი გუშაგიდან ერთ-ერთი მანქანას მიუახლოვდა. მძღოლმა გასძახა, გენერატორი დაგვრჩა და ამიტომ დავბრუნდითო.

- ასე გვიან? - გაიკვირვა დაცვამ.

ამ რეპლიკების დროს მძღოლის გვერდით მჯდომი კაცი მანქანიდან გადმოვიდა და მეორე გუშაგს მიუახლოვდა. დაცვის თანამშრომლები სმა-ჭამისაგან გვარიანად იყვნენ გაბრუებულნი. ერთდროულად ორი რამ მოხდა: მძღოლმა მაყუჩიანი იარაღი ამოიღო და ერთ-ერთ გუშაგს სამი ტყვია დაახალა. მისი მეწყვილე მეორეს უკნიდან მიადგა და უსწრაფესი მოძრაობით ყელი გამოსჭრა.

მანქანა ეზოში შევიდა და იქიდან კლერიკუციოს ოცი მებრძოლი გადმოვიდა. სახეზე ყველას შავი ნიღაბი ეკეთა. მათ შორის იყვნენ პიტი, ვინსენტი და ჯორჯო. ერთმა ჯგუფმა ტელეფონის სადენები გადაჭრა, მეორე ეზოში მიმოიფანტა. ათი კაცი ძმების მეთაურობით, სასადილო ოთახში შეიჭრა. მათ ხმის ამოუღებლად დაცხრილეს ძმები

სანტადიოები. პიტიმ თითოეულს ჩამოუარა და თავში საკონტროლო ტყვია ესროლა. იატაკი მინის ნამსხვრევებით ბზინავდა.

ჯორჯომ პიპის შავი სვიტერი, შარვალი და ნიღაბი გაუწოდა. პიპიმ სწრაფად გამოიცვალა და საზეიმო ტანისამოსი ერთ-ერთ ნიღბიანს ჩანთაში ჩაუწყო. პიპიმ, რომელიც ჯერ კიდევ უიარაღოდ იყო, პიტი, ვინსენტი და ჯორჯო დონ სანტადიოს საძინებლისკენ წაიყვანა და კარი გაუღო.

დონი საწოლში წამომჯდარიყო და საქორწინო ტორტს შეექცეოდა. ნიღბიანები რომ დაინახა, პირჯვარი გადაისახა და თავზე ბალიში მიიფარა. თეფში საწოლიდან იატაკზე ჩაცურდა.

ექთანი ოთახის კუთხეში წიგნს კითხულობდა. პიტი კატასაცით დააცხრა, პირი აუკრა და გაკოჭა.

ჯორჯო საწოლთან მივიდა, დონს ფრთხილად მოაშორა ბალიში, წამით შეყოვნდა, მერე ორჯერ ესროლა: ერთხელ თვალში, მეორედ ნიკაპქვეშ.

ვინსენტმა პიპის წვრილი და გრძელი ვერცხლისფერი თოკი გაუწოდა.

პიპი ისევ გაუძღვა თავდამსხმელებს მესამე სართულზე, სადაც ნეფე-დედოფლის საძინებელი იყო. მთელი დერეფანი ყვავილებითა და ხილის კალათებით იყო მორთული.

პიპი საძინებლის კარს მიაწვა. ის ჩაკეტილი აღმოჩნდა. პიტიმ მარჯვენა ხელთათმანი მოიძრო, საკეტის გამღები ამოიღო და კარი გააღო.

როუზ-მერი და ჯიმი საწოლზე გართხმულნი, ალერსისგან დამთვრალნი იწვნენ. როუზ-მერის გამჭვირვალე ღამის პერანგის კალთა მუცლამდე ასწეოდა, ბრეტელებიც ჩამოსრიალებოდა და მკერდი გაშიშვლებოდა. ნეტარ ძილში ჯიმის ეხვეოდა. ჯიმი სრულიად შიშველი იყო. ნიღბიანების დანახვისთანავე წამოხტა და ზეცარს დასწვდა, რომ სხეულზე შემოეხვია.

- ოღონდ აქ არა. გარეთ გავიდეთ, - უთხრა და მათკენ წამოვიდა.

როუზ-მერი უფრო გვიან გამოერკვა. ჯიმი კარისკენ რომ წავიდა, ქალი მას ჩამოეკონწიალა, მაგრამ ჯიმიმ მისი ხელები მოიშორა. მაშინ როუზ-მერიმ განწირულად დაიყვირა.

- არა, პიპი, გემუდარები, არა! - სამმა ნიღბიანმა მისკენ მიიხედა დ ქალმა საკუთარი ძმები იცნო - ჯორჯო, პიტი, ვინსენტ, ამას ნუ იზამთ!

ეს პიპისთვის ურთულესი მომენტი იყო. როუზ-მერის მომხდარის შესახებ სადმე რომ ეთქვა, კლერიკუციოს ოჯახი დაიღუპებოდა. მაგრამ დონს მისი მოკვლა არ უბრძანებია, ან კი როგორ ისურვებდა საკუთარი ქალიშვილის სიკვდილს? მაინც როგორ იცნო ისინი? პიპი ჯიმისა და კლერიკუციოებს გაჰყვა და როუზ-მერის კარი წინ მიუხურა.

დონმა არაორაზროვანი განკარგულება გასცა: ჯიმი სანტადიო თოკით უნდა გაეგუდათ. ეს მისი მხრიდან წყალობა გახლდათ - არ ისურვა, ჯიმის სხეული ტყვიებისგან დასახიჩრებულიყო და ახლობლებს მისი დატირების საშუალება არ მისცემოდათ. როგორც ჩანს, ამით არ უღალატა ტრადიციას, რომლის მიხედვითაც

სიკვდილმისჯილი ახლობლის სისხლი არ უნდა დაღვრილიყო.

უეცრად ჯიმი პიპის ეცა და ნიღაბი ჩამოჰგლიჯა. პიპიმ და ჯორჯომ მკლავები გადაუგრიხეს, ვინსენტმა კი ჩაიმუხლა და ფეხები გაუკავა. პიპიმ მსხვერპლს ყელზე ყულფი მოუჭირა და დააჩოქა. ჯიმის სახეზე უცნაური ალმაცერი ღიმილი დასთამაშებდა, პიპის თვალებში ჩახედა, თითქოს საკუთარი მკვლელი შეებრალა, რადგან იცოდა, რომ ბედისწერა თუ რომელიღაც იდუმალი ღვთაება ამ საზარელი ცოდვისთვის აუცილებლად მოჰკითხავდა.

პიპიმ თოკს მოუჭირა. მსხვერპლთან ერთად, ოთხივე ძირს დაეშვა, სადაც ზეწარმა, როგორც სამარემ, ჯიმის ცხედარი მიიღო. საძინებელი ოთახიდან როუზ-მერის მოთქმა გაისმა...

დონმა თხრობა დაასრულა და ახალ სიგარას მოუკიდა.

- ოპერაცია მთლიანად პიპიმ დაგეგმა, - თქვა ჯორჯომ, - მართლმსაჯულებას გადავურჩით, სანტადიოს ოჯახი კი მთლიანად ამოიხოცა.

- ამით ყველა პრობლემა ერთბაშად და სამუდამოდ გადავჭერით, - დაუმატა ვინსენტმა.

- გადაწყვეტილება კი ჩემი იყო, - ამოიოხრა დონმა, - და ის მცდარი აღმოჩნდა. მაგრამ აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, როუზ-მერი თუ გაგიჟდებოდა? მაშინ ჯერ სამოცის არ ვიყავი, მეტისმეტად მჯეროდა ჩემი სიბრძნისა და ძალაუფლების. ცხადია, ვიცოდი, რომ ეს ჩემი ქალიშვილისთვის ტრაგედია იქნებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სამუდამოდ არ იგლოვებდა. ისევ შეიყვარებდა ვინმეს.

ჩემთვის მთავარი ისიყო, რომ შვილი მომიკლეს. ამას ვერ შევარჩენდი, თუნდაც ქალიშვილის ხათრით. ამიტომაც ვამბობ: როცა საქმე ბრიყვებთან გაქვს, გონივრულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებ. სულ თავიდან უნდა ამომეხოცა, ვიდრე შეყვარებულები ერთმანეთს შეხვდებოდნენ. მაშინ ვაჟიც გადამირჩებოდა და ქალიშვილიც.

- ასე რომ, - განაგრძო მან ხანმოკლე დუმილის შემდეგ, - დანტე ჯიმი სანტადიოს შვილია, შენ კი მასთან ერთ ეტლში იწექი. ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რათა როუზ-მერის თავისი უბედურება დაევიწყებინა, დანტეს კი უმამობა არ ეგრძნო. დანტე ისე გავზარდე, როგორც ჭეშმარიტ კლერიკუციოს ეკადრება და ის ჩემს ვაჟებთან ერთად ჩემი სრულუფლებიანი მემკვიდრეა.

კროსი გონს მოსვლას ცდილობდა, მაგრამ გონება აერია. მთელი არსებით განიცდიდა კლერიკუციოს ოჯახის მიმართ ზიზღსა და სიძულვილს. მის ღვიძლ მამას მოუწია, მაცდური სატანის როლი ეთამაშა და სანტადიოს ოჯახი მოტყუებით ამოეხოცა. მისი საყვარელი მამიდა როუზ-მერი კი მთელი ამ წლების მანძილზე დაფლეთილი გულითა და დაბინდული გონებით ცხოვრობდა, იცოდა, რომ მამამ და ძმებმა მოუკლეს ქმარი, რომ საკუთარმა ოჯახმა უღალატა. კროსმა დანტეს მიმართაც კი განიცადა სიბრალული, მიუხედავად იმისა, რომ ახლა დანამდვილებით იცოდა - სწორედ ის იყო მამამისის მკვლელი. და კიდევ, მოსვენებას არ აძლევდა დონზე ფიქრი: ხომ აშკარა იყო, რომ დონი ვერ დაიჭერებდა, თითქოს პიპი მძარცველმა მოკლა? მაშ, რატომ მიიღო ეს ვერსია? კაცმა, რომელსაც არასდროს სჯეროდა

დამთხვევების! იქნებ ეს შემთხვევითობა არ იყო?

კროსი ვერასოდეს უგებდა ჯორჯოს. ნუთუ ჯორჯოს სჯეროდა ბანდიტის ამბავი? პიტისა და ვინსენტს კი, როგორც ჩანს, სჯეროდათ. თუმცა ახლა უკვეთ ჩასწვდა პიპისთან დონისა და მისი შვილების კავშირს: ისინი ერთად მონაწილეობდნენ სანტადიოს ოჯახის ამოწყვეტაში და პიპის ყველანი იმისთვის ემადლიერებოდნენ, რომ როუზ-მერი დაინდო.

- როუზ-მერის არსად არასოდეს არაფერი უთქვამს? - იკითხა კროსმა.

- არა, - მწარედ წარმოთქვა დონმა, - უკეთესადაც კი მოიქცა: გონება დაკარგა. სიცილიაზე გავგზავნე და როცა დანტეს გაჩენის დრო დადგა, ისევ ჩამოვიყვანე, რათა ბავშვი ამერიკის მიწაზე დაბადებულიყო. ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდეს. ამ ბიჭს დიდებულ მომავალს ვუმზადებდი, მაგრამ სანტადიოსა და კლერიკუციოს სისხლი მეტისმეტად მძიმე ნაზავი აღმოჩნდა... იცი, ყველაზე დიდი საშინელება რა არის? მამაშენს, პიპის, როუზ-მერი არ უნდა დაენდო. ეს შეცდომა იყო, თუმცა ამის გულისთვის შვილივით შევიყვარე, - დონმა მძიმედ ამოიხვნეშა და ღვინის ჭიქა მიიყუდა. მერე კროსს თვალი გაუსწორა: - ასეა. სიმართლეს თვალებში უნდა შეხედო. ცხოვრება ასეთია. ჩვენც, რაც ვართ, ის ვართ და ვერ შევიცვლებით.

ვეგასში რომ ბრუნდებოდა, კროსი გაფაციცებით ფიქრობდა. რატომ უამბო დონმა ეს ყველაფერი? იქნებ როუზ-მერის დაასწრო მისი

ვერსიის მოყოლა? ან იქნებ აფრთხილებდა, მიანიშნებდა, რომ არ დაუშვებდა, კროსს მამის მკვლელზე ეძია შური, რადგან ეს მკვლელი დანტე იყო? დონის საიდუმლო ამოუხსნელი რჩებოდა, მაგრამ კროსს ერთ რამეში ეჭვი არ ეპარებოდა: თუკი დანტემ მამამისი მოკლა, ის ადრე თუ გვიან, მასაც მოკლავდა. და ეს უსათუოდ დონსაც უნდა სცოდნოდა.

თავი 19

დანტე კლერიკუციოს ამ ამბის მოსმენა არ სჭირდებოდა: დედამ, როუზ-მერიმ, ის არაერთხელ ჩასჩურჩულა ყურში მას მერე, რაც ბიჭი ორი წლის შესრულდა. როცა შეშლილობის მორიგი შეტევა ეწყებოდა, როცა საყვარელი ქმრისა და მოკლული ძმის მონატრება და პიპისა და თავისი ძმების წინაშე ძრწოლა მოეძალებოდა, უნებლიედ იხსენებდა იმ საშინელებას და ბუტბუტებდა.

მხოლოდ უმძიმესი შეტევების წუთებში ადანაშაულებდა მამას. დონი მუდამ უარყოფდა იმას, რომ ბრძანება გასცა, მისი ქმრის ოჯახი ამოეწყვიტათ. მაგრამ რამდენჯერაც ქალიშვილმა ის ღიად დაადანაშაულა, დონმა ყოველთვის თითო თვით ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსა.

დანტეს კი დედის ჩურჩული არ ავიწყდებოდა. ბავშვობაში პაპა უყვარდა და მისი უდანაშაულობის სწამდა, მაგრამ ბიძების სიძულვილი ჩაიხვია გულში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუდამ თბილად ექცეოდნენ. განსაკუთრებით, პიპიზე შურისძიების ოცნებით

ტკბებოდა.

როუზ-მერი მისთვის მშვიდ პერიოდებში მამაზე სათუთად ზრუნავდა, თავის სამ ძმას სიყვარულით ეპყრობოდა, პიპისთან კი დისტანციას ინარჩუნებდა. ისეთი სახის ნაკვთები ჰქონდა, ბუნებრივად რომ უხდებოდა ღიმილი, სიძულვილს კი თითქოს ისხლეტდა. დანტე თავდავიწყებით უყვარდა. ვერც ერთ მამაკაცს ვეღარ შეიყვარებდა და სიყვარულის მთელი მარაგი შვილს გადააფრქვია. საჩუქრებით ანებივრებდა. არც ბიძები აკლებდნენ, თუმცა დისშვილისადმი მათი სიყვარული დანაშაულის განცდით იყო დამძიმებული. ნორმალურ მდგომარეობაში დედა არასოდეს უყვებოდა დანტეს მკვლელობის ამბავს.

ისტერიკაში ჩავარდნილი კი ბილწსიტყვაობდა, შემზარავად იწყევლებოდა, სახე სიძულვილის გონჯ ნიღაბს მიუგავდა. დანტე მუდამ თავზარდაცემული უცქერდა. ერთხელ, როცა შვიდი წლის იყო, დაეჭვდა და დედას ჰკითხა:

- საიდან მიხვდი, რომ ეს პიპი და ჩემი ბიძები იყვნენ?

როუზ-მერის დამცინავად დაემანჭა სახე:

- თავი ძალზე ჭკვიანი ჰგონიათ. გადაიცვეს და იფიქრეს, ვერავინ გვიცნობსო. იცი, რა დაავიწყდათ? პიპის თავისი საცეკვაო ფეხსაცმელი არ გაუხდია, ჯორჯო, პიტი და ვინსენტი კი, როცა ერთად არიან, მუდამ ერთნაირად ჯგუფდებიან: ჯორჯო - შუაში, ვინსენტი ოდნავ უკან დგება, პიტი კი მუდამ მარჯვნივ დგას. უნდა გენახა, სამივემ პიპის როგორ შეხედა: ჩემი მოკვლის ბრძანებას ელოდებოდნენ. პიპის რომ ებრძანა,

მომკლავდნენ. ჰო, ჩემი ღვიძლი ძმები მომკლავდნენ! - ქალი ისე მწარედ ატირდა, რომ ბავშვი შეშინდა.

თუმცა, პატარაობიდანვე ანუგეშებდა დედას. ეუბნებოდა:

- ბიძია პიტი არაფერს დაგიშავებდა, პაპა კი ყველას დახოცავდა, ასეთი რამ რომ ჩაედინათ, - ვინსენტსა და ჯორჯოზე თავს ვერ დებდა, თუმცა, ბავშვური გულით ყველაზე მეტად მაინც პიპი სძულდა.

ათი წლის ასაკისთვის დანტემ დედის შეტევების წინასწარ ამოცნობა ისწავლა და, როგორც კი როუზ-მერი ეძახდა, - მოდი, სანტადიოს ამბავს უნდა მოგიყვეო, - მაშინვე საძინებელში აპყავდა, რათა პაპასა და ბიძებს არაფერი გაეგონათ.

კაცობაში როცა შევიდა, კლერიკუციოს ყველა ნიღაბს მიღმა ჩაიხედა და ოჯახის ჭეშმარიტ არსს მთლიანად ჩასწვდა. ცბიერი, გამჭრიახი და დამცინავი იყო და იმასაც მიხვდა, რომ ბიძები თვალთმაქცობდნენ, სინამდვილეში კი არ უყვარდათ. დანტეს კანონიერი საქმიანობისთვის ამზადებდნენ, ჯორჯოს სურდა, მასთან ერთად ფინანსურ სფეროს გასძღოლოდა და მომავალში მისი ფირმა გადმოებარებინა, მაგრამ დანტე ამით არ დაინტერესდა. მერე პიტის სამშენებლო კომპანიაში დაიწყო მუშაობა, ბრონქსის მებრძოლების გვერდიგვერდ. ფიზიკური შრომა შეუყვარდა, კუნთებიც განუვითარდა და საბოლოოდ დონმა გადაწყვიტა, ბიჭი პიტის ერთ-ერთ მებრძოლად გამოეწვრთნათ.

ასეთ გადაწყვეტილებამდე მხოლოდ მას მერე მივიდა, რაც ჯორჯომ მას დანტე დაუხასიათა. თვით დანტეს ზოგიერთმა ქმედებამაც იქონია

გავლენა. სკოლაში დანტეს თანაკლასელი გოგონას გაუპატიურება დაჰბრალდა, კლასელ ბიჭს კი დანით დაემუქრა. დანტე ბიძებს შეევედრა, ამის შესახებ პაპასთვის არაფერი ეთქვათ. მათ პირობა მისცეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, დონს ყველაფერი მოახსენეს. ორივე დანაშაულის ჩაფარცხვა იჯახს დიდი თანხა დაუჯდა.

ჭაბუკობის პერიოდში დანტე კროს დე-ლენას მიმართ შურით აივსო. კროსი ტანად და ლამაზ ახალგაზრდად ჩამოყალიბდა, მთელი სანათესავოს ქალები მას შენატროდნენ, ნათესავი გოგონები ეპრანჭებოდნენ. დანტეს კი ასე არავინ ეპყრობოდა. ის, თავისი ძველმოდური ქუდებით, ჯმუხი აღნაგობით, დაბერილი კუნთებით გოგონებს აფრთხობდა. საკმარისად ჭკვიანი იყო საიმისოდ, რომ ეს არ გამოჰპარვოდა.

როცა სანადირო კოტეჯში სიარული დაიწყო, თოფით ნადირობაზე მეტად, ნადირისთვის მახის დაგება უყვარდა. როცა ერთ-ერთი ნათესავი გოგონა შეუყვარდა, რაც კლერიკუციოს დახშულ კლანში მიღებული და მისასალმებელიც კი იყო, თავისი ჟინი არ დაუმალავს და მეტისმეტად ღიად ცდილობდა საწადელის მიღწევას. ბრონქსის დასახლებაში მცხოვრები მებრძოლების ქალიშვილებსაც თამამად და მოურიდებლად ექცეოდა. ბოლოს და ბოლოს, ჯორჯომ, რომელსაც დანტეს მიმართ ერთგვარად მამის ფუნქცია ჰქონდა აღებული, ის ნიუ-იორკის მაღალი კლასის საროსკიპოს მფლობელს გააცნო, რათა ამგვარად დაეცხრო ახალგაზრდის ჟინი.

უსაზღვრო ცნობისმოყვარეობისა და გამჭრიახობის წყალობით

დანტემ ყველაფერი გაიგო ოჯახის საქმიანობის შესახებ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ დანტესაბრძოლო ოპერაციებისთვის გაეწვრთნათ.

დროთა განმავლობაში დანტე ნათესავებს სულ უფრო შორდებოდა. ხედავდა, რომ აღარც მათ უყვარდათ ისე ძლიერ, როგორც ბავშვობაში, თითქოს უფრთხოდნენ და როგორც უფლისწულს, ისე ეპყრობოდნენ. დონი ძველებურად თბილად ესაუბრებოდა, მაგრამ საკუთარ მოსაზრებებსა და გეგმებს აღარ ანდობდა.

დანტე ფიქრობდა, იქნებ რაღაცით ვაგრძნობინე, რომ სანტადიოს ოჯახის ამოხოცვის ამბავი ვიცი? როცა პიტის ჯიმი სანტადიოს შესახებ კითხვებს უსვამდა, პიტი მუდამ არწმუნებდა, მამაშენს დიდ პატივს ვცემდით და მისი სიკვდილი დიდ დანაკლისად აღვიქვითო. ამას ხმამაღლა არავინ ამბობდა, მაგრამ დონმაც და მისმა ვაჟებმაც იცოდნენ, რომ როუზ-მერიმ შეტევის დროს დანტეს მკვლელობის ამბავი გაანდო.

ახალგაზრდის ხასიათის ჩამოყალიბებაზე დედამ უდიდესი გავლენა იქონია. მისი ავადმყოფობა ბიჭს აუტანელი სიბრალულით ავსებდა და პიპი დე-ლენას მიმართ სიძულვილს უღვივებდა.

ამ ყოველივემ დონს საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა: დანტე კანონიერ საზოგადოებას ვერ შეერწყმებოდა, ამიტომ ოჯახის უკანასკნელი ბრძოლებისას, ჯორჯოს, პიტის, ვინსენტისა და პიპი დე-ლენასთვის უნდა მიეცა მხარი.

დანტე კარგ მებრძოლად ჩამოყალიბდა, ოღონდ დაუმორჩილებელი აღმოჩნდა, ხშირად არღვევდა ოჯახის წესებს და

სიჯიუტეს ამჟღავნებდა. დედის ბედი აღელვებდა: მისი ავადმყოფობა რაც უფრო მძაფრდებოდა, დონი მით უფრო კარგავდა მოთმინებას, სულ უფრო ხშირად ამწესებდა ფსიქიატრიულ კლინიკაში. დანტე ყველანაირად ცდილობდა როუზ-მერის დამშვიდებას, მაგრამ გრძნობდა, რომ დიდხანს ვეღარ დაიცავდა. საამისოდ მასაც ისეთი ძალაუფლება უნდა მოეპოვებინა, როგორიც დონს ჰქონდა.

ერთადერთი პიროვნება, ვისი რიდიც დანტეს ჰქონდა, დონ დომენიკი იყო. ეს ბავშვობაში პაპასა და შვილიშვილის სიახლოვიდან გამომდინარეობდა და იქიდანაც, რომ დანტე, თავისდა გასაოცრად, ამჩნევდა, დონის ვაჟებსაც ეშინოდათ მამის. ამის მიზეზის გამორკვევას დანტე ამაოდ ცდილობდა. დონი ოთხმოც წელს იყო გადაცილებული, აღარც ფიზიკური ღონე შერჩა, სახლიდან თითქმის აღარ გამოდიოდა. მაშ, რატომღა ეშინოდათ მისი?

მართალია, მოხუცი ჯანსაღი საკვებით იკვებებოდა, თუმცა კბილები აღარ უვარგოდა და მხოლოდ რბილ კერძებს მიირთმევდა: სპაგეტის, გახეხილ ყველს, პომიდვრის წვენში დამბალ, დაკეპილ ბოსტნეულს. მაგრამ ასე თუ ისე, დიდი დღე აღარ ეწერა. ესე იგი, მალე ძალაუფლების გადანაწილება მოხდებოდა. პიპი, შეიძლებოდა, ჯორჯოს მარჯვენა ხელი გამხდარიყო ანდა ძალითაც ჩაეგდო ხელში გავლენა. ეს თუ მოხდებოდა, მაშინ კროსიც წამოსწევდა თავს, მით უმეტეს, რომ „ქსანადუს“ წყალობით დიდი სიმდიდრე დაეგროვებინა.

ასე რომ, დანტე საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ პიპისადმი ბრმა სიძულვილი კი არა, პრაქტიკული მიზანი ამოძრავებდა.

დანტე ჯიმ ლაუზის მაშინ დაუკავშირდა, როცა ჯორჯომ გადაწყვიტა, ის ოჯახის ზოგიერთ საიდუმლო საქმეში ჩაეხედებინა და ლაუზისთვის გასამრჯელოს გადაცემა დაავალა. P SEP

ცხადია, ლაუზის მხრიდან ღალატის შესაძლებლობაც გაითვალისწინეს და უსაფრთხოების ზომებიც მიიღეს. გაფორმდა კონტრაქტი, რომლის თანახმად, ლაუზი, როგორც კონსულტანტი, ოჯახის დაქვემდებარებაში მოქმედ დაცვის კორპორაციასთან თანამშრომლობდა. თუმცა კორპორაციის დოკუმენტაციაში ლაუზის ნაცვლად, სხვა გვარი იყო ჩაწერილი, ხოლო გასამრჯელოს მხოლოდ ნაღდი ფულით იღებდა. P SEP

ვიდრე დაუახლოვდებოდა, რამდენიმე წლის განმავლობაში გადასცემდა ფულს. დანტემ გაიგო, რომ ლაუზი ოჯახის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში იყო ჩაბმული - ნარკოდილერებსაც აკონტროლებდა, კლერიკუციოს აზარტული თამაშების ბიზნესსაც მფარველობდა და უძრავი ქონებით მოვაჭრე ბობოლებსაც აიძულებდა, ბიზნესის უსაფრთხოებისთვის დამატებითი თანხები გაეღოთ. P SEP

დანტემ მთელი ხიბლი და ცბიერება გამოიყენა, რათა ლაუზიზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა. ინტერესით უგდებდა ყურს, როცა შავკანიანებთან თავისი მარადიული ომის თაობაზე ჰყვებოდა. თვითონ დანტეს რასისტული სიძულვილი არ აწუხებდა: შავკანიანებთან შეხება არ ჰქონია და მისთვის პრობლემა რომ შეექმნათ, ცუდ დღეში ჩაცვივდებოდნენ. P SEP

დანტესა და ლაუზის ორი საერთო გატაცება აღმოაჩნდათ. ორივეს კოპწიად ჩაცმა და სექსის დროს ქალების დამცირება უყვარდა. ეს არა იმდენად სქესობრივი მოთხოვნილება, რამდენადაც ძალაუფლებით ტკბობა იყო. როცა დანტე დასავლეთში ჩადიოდა, ხშირად ერთად სადილობდნენ და ღამის კლუბებში დადიოდნენ. დანტე სიფრთხილეს იჩენდა, ლაუზისთან ერთად არასოდეს ჩადიოდა ვეგასში, არ გამოჩენილა „ქსანადუში“.

დანტეს უყვარდა კვეხნა, თუ როგორ იმორჩილებდა და ამცირებდა ისეთ ამპარტავან ქალებს, საკუთარი სილამაზის ძალით მამაკაცზე გავლენის მოხდენას რომ ცდილობდნენ. ეს სასტიკი თამაში ლაუზისაც მოსწონდა, თუმცა ორივე აღიარებდა, რომ თუ ქალს მისი სიახლოვე არ სიამოვნებდა, მის დაუფლებას ძალით არ შეეცდებოდა. იმაშიც ერთნაირი აზრის იყვნენ, რომ ათენა ექვითეინი მათთვის საუკეთესო ჯილდო იქნებოდა, თუკი, რა თქმა უნდა, თვითონ დათანხმდებოდა.

ლოს-ანჯელესის კლუბებში ერთად ნადირობდნენ ქალებზე, შემდეგ კი ერთურთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. ლაუზიმ დანტეს მეძავების იერარქია ჩამოუყალიბა. მისი თქმით, პირველ კატეგორიას პროფესიონალი მეძავები მიეკუთვნებიან, ერთი ხელით ფულს რომ გართმევენ, მეორეს კი ასოზე გავლებენ. მეორე კატეგორიაში მსუბუქი ყოფაქცევის ის ქალები შედიან, რომლებსაც თითქოს მოსწონხარ, შენთან ღამეს ატარებენ, დილით კი, ვითომ სასხვათაშორისოდგთხოვენ ბინის ქირის ფულს. მესამე კატეგორიას მოსწონხარ, მაგრამ სხვებიც შენზე არანაკლებ მოსწონს, შენთან

ხანგრძლივ ურთიერთობას ამყარებს და ყოველ დღესასწაულზე საჩუქრად ძვირფას სამკაულს ითხოვს. დაბოლოს, არიან დამოუკიდებლად მომუშავე მდივნები, სტიუარდესები, ფეშენებელური ბუტიკების გამყიდველები, რომლებიც ძვირად ღირებული სადილის შემდეგ შინ ყავაზე გეპატიჟებიან, ბოლოს კი გარეთ გაგდებენ და კარს გიჯახუნებენ. აი, ესენი ლაუზის უგემრიელეს ლუკმად ეგულებოდა. მათი დამორჩილება ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებდა, რადგან ეს სიყვარულსაც კი სჯობდა, მათთან სექსი დრამატულ სცენებს, ცრემლსა და მუდარას უკავშირდებოდა. P SEP

ერთხელ ჩინურ რესტორანში სადილის შემდეგ დანტემ ლაუზის ბულვარზე გასეირნება შესთავაზა. ბაღში ძელსკამზე ისხდნენ და აკვირდებოდნენ ლამაზმანებს, პროფესიონალებსა და „მსუბუქ“ მეძავებს, მოწყალების ფიალებით მოარულ კრიშნაიდებს, წვერიან და გიტარიან ახალგაზრდებს, ვიდეოკამერებიან ოჯახებსა და წყნარი ოკეანის მუქი ტალღების ფონზე განმარტოებულ წყვილებს, რომლებსაც სწამდათ, რაკი პლაჟზე მოკოტრიალეთ საბანი გადაეფარებინათ, მათ ხვევნა-ლოშნას ვერავინ ამჩნევდა. P SEP

- ნამდვილი ზოოპარკია, - ჩაიცინა ლაუზიმ, - თუ მოვინდომე, ამა თუ იმ მიზეზით, შემიძლია, ნებისმიერი მათგანი დავაპატიმრო. P SEP

- აი, ის ლამაზი გოგონებიც, სკეიტებს რომ დააგრიალებენ? - ჰკითხა დანტემ. P SEP

- ჰო. ბრალად იმას დავდებ, რომ თავიანთი ქორფა სხეულებით მამაკაცებს აღაგზნებენ. P SEP

- აქ ბევრი ზანგი არ ჩანს, - შენიშნა დანტემ.

ლაუზი საზურგეზე გადაწვა, მკლავები ნებიერად გაჭიმა და ხაზგასმული სამხრეთული აქცენტით წარმოთქვა:

- მგონი, ჩვენი შავკანიანი ძმების მიმართ მუდამ მეტისმეტ სისასტიკეს ვიჩენდი. ლიბერალები სულ იმას იმეორებენ, მათში დანაშაულისკენ სწრაფვის მიზეზი იქიდან მოდის, რომ მეტისმეტად ბევრი დრო მონობაში გაატარესო. მონობა ადამიანს ზნეობას ართმევს, ეს იოლი ცხოვრებაა, თავისუფლება კი მძიმე ტვირთად დააწვათ. პლანტაციებში უფასოდ აჭმევდნენ, აცმევდნენ, სამედიცინო მომსახურებაც უფასო ჰქონდათ. წარმოიდგინე, რომ საკუთარ შვილებზე ზრუნვაც კი არ უწევდათ. მემამულეები მათ ქალიშვილებს ჟიმავდნენ, სამაგიეროდ, არც უპატრონოდ ტოვებდნენ. კი, ბატონო, ზანგებს ამუშავებდნენ, მაგრამ სულ მუდამ სიმღერაში იყვნენ და არა მგონია, მაინცდამაინც მძიმე სამუშაო ჰქონოდათ. დაგენაძლევები, ასი ზანგის საქმეს ხუთი თეთრი შეასრულებს.

დანტე დაინტერესდა, ნუთუ ლაუზი ამ ყველაფერს სერიოზულად ამბობდა? თუმცა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს რაციონალური კი არა, ემოციური შეხედულება იყო. აქ ჯდომა ძალზე სასიამოვნო, საღამო კი - თბილი და ხავერდოვანი იყო, არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ, რადგან ლაუზის იარაღის გამო ყველა შორიდანვე ხვდებოდა, რომ ის პოლიციელია. დანტემ საუბრის თემა შეცვალა:

- ერთი მნიშვნელოვანი საქმე უნდა შემოგთავაზო. უფრო მეტად რა გიზიდავს - ფული თუ რისკი?

- მუდამ წინასწარ გადახდას ვითხოვ, - გაიბადრა ლაუზი.

- ავანსად ნაღდი ფულით ორასი ათასს მიიღებ. ერთი წლის შემდეგ „ქსანადუს“ დაცვის უფროსად დაგნიშნავ, დიდი მანქანა გექნება, უფასო ბინა, საჭმელი, ქალები. პლუს მთელი ის მოგება, რაც ახლაც გაქვს. რისკი მინიმალურია, რადგან შენ თვითონ სროლა არ მოგიწევს.

- მიმზიდველად ჟღერს, მაგრამ რაკი ვიღაც უნდა მოიკლას, რისკი მაინც ახლავს.

- ჩემთვის, რადგან მე უნდა მოვკლა. შენ - არა.

- მე რატომ არა? პოლიციელი ვარ და სროლის უფლებაც მაქვს.

- რატომ და, შენ რომ გაისროლო, მერე ექვს თვესაც ვერ იცოცხლებ.

- აბა, მე რაღა მევალება? ბუმბული ავიღო და უკანალში შეგიღიტინო?

დანტემ ოპერაციის გეგმა გააცნო.

- რატომ პიპი დე-ლენა? - იკითხა ლაუზიმ.

- იმიტომ, რომ დანამდვილებით ვიცი, ღალატს გვიპირებს.

ლაუზის ეტყობოდა, ჯერაც ეჭვობდა. ეს პირველი შემთხვევა უნდა ყოფილიყო, როცა ცივსისხლიანი მკვლელობა უნდა ჩაედინა. დანტემ დასაყოლიებლად უთხრა:

- ხომ გახსოვს ბაზ სკანეტის თვითმკვლელობა? ეგ კროსის გაკეთებულია, თუმცა - პირადად არა. შემსრულებელი ვინმე ლია ვაზია.

ლაუზიმ სთხოვა, ვაზის გარეგნობა აღეწერა და მისი

ადგილსამყოფელიც ჰკითხა. ამან დანტე კარგა ხნით დააფიქრა. ახლა ისეთი რამის ჩადენას აპირებდა, რაც დონისა და ოჯახის მთავარ კანონს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ამის წყალობით კროსს თავიდან მოიცილებდა, პიპის სიკვდილის შემდეგ კი კროსი მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა.

- არავის ვეტყვი, საიდან მივიღე ეს ინფორმაცია, - დაარწმუნა ლაუზიმ.

მაშინ დანტემ სანადირო კოტეჯის შესახებ უთხრა, თან გააფრთხილა, ვიდრე პიპის მოკლავდნენ, არაფერი მოემოქმედა.

- აბა, რა, - დაჰპირდა ლაუზი, - ჩემს ორასი ათასს ახლავე მივიღებ?

- ჰო.

- კარგია. ოღონდ ერთ რამეს გეტყვი: კლერიკუციოს ოჯახი თუ მომადგა, გაგყიდი.

- ამაზე არ იდარდო. ეს თუ შევიტყვე, მათზე ადრე მე მოგკლავ. ახლა კი დეტალებზე მოვილაპარაკოთ.

ყველაფერი მათი გეგმისამებრ წარიმართა.

როცა დანტემ პიპი დე-ლენას ექვსი ტყვია დაახალა და იმან სიკვდილის წინ „წყეულისანტადიო“ უწოდა, დანტემ ისეთი აღმაფრენა განიცადა, როგორიც მანამდე არასოდეს უგრძნია.

თავი 20

ლია ვაზიმ პირველად დაარღვია თავისი უფროსის, კროს

დე-ლენას ბრძანება, მაგრამ ეს აუცილებელი იყო. დეტექტივი ლაუზი კიდევ ერთხელ მოვიდა სანადირო კოტეჯში და სკანეტის სიკვდილის შესახებ კითხვები დაუსვა. ვაზიმ უთხრა, რომ სკანეტს არ იცნობდა, სასტუმროს ფოიეში კი იმ დღეს მის გვერდით შემთხვევით აღმოჩნდა. პასუხად ლაუზიმ სახეში მსუბუქად გაულაწუნა და ღიმილით გამოცრა.

- მაშ, კარგი, ნაბიჯვარო, მალე მოგწვდები.

ლიამ გულში ლაუზის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მისთვის სულერთი იყო, ამის შემდეგ რა მოხდებოდა. იცოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა. ძალზე ფრთხილად უნდა ემოქმედა. კლერიკუციოს ოჯახს უმკაცრესი წესი ჰქონდა: პოლიციის თანამშრომლისთვის არასოდეს არაფერი დაეშავებინათ.

კროსისგან განსხვავებით, ლიას არ სჯეროდა, რომ ფილ შარკი ორმოცდაათი ათასის სანაცვლოდ ხმას არ ამოიღებდა. დარწმუნებული იყო, მან უკვე შეატყობინა ლაუზის მისი და კროსის ვიზიტის შესახებ, რაც ორივეს დიდ საფრთხეს უქადდა. ლია დარწმუნებული იყო, რომ პოლიციელები ისევე ერთსულოვანნი არიან, როგორც მაფიოზები და საკუთარი „ომერტის“ წესი აქვთ.

ლიამ ორი მებრძოლი იხმო და სანტა-მონიკაში ფილ შარკის ესტუმრა. დარწმუნებული იყო, რომ მასთან უბრალო საუბრის დროსაც შეატყობდა, უთხრა თუ არა კროსის შესახებ ლაუზის.

ეზოში არავინ იყო, თუმცა გარაჟი ღია დახვდა და შიგნით მანქანაც იდგა. ლია სახლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. ზარი დარეკა, მაგრამ

კარი არავინ გაუღო. გადაწყვეტილება მიიღო, თავისი თითის ანაბეჭდები ზარის ღილაკსა და კარის სახელურზე ჰალსტუხის ბოლოთი წაშალა და შიგნით შევიდა. ოთახები დაიარა, შარკის ხმამაღლა ეძახა. სახლი ცარიელი იყო. სამზარეულოში შევიდა, პატარა კარი დაინახა, რომელიც სარდაფში ჩადიოდა. იქაც ყველაფერი მოათვალიერა, მაგრამ კოხტად დაკიდებული პოლიციელის ფორმისა და თეთრეულით სავსე სკივრის გარდა ვერაფერი ნახა. [P SEP]

ფანჯარაში გაიხედა. ქვიშაში გვამს არავინ დამალავდა. ივარაუდა, იქნებ შარკი წაიყვანესო. მაგრამ მისი მოკვლა საშიში იყო. თუ მკვდარი იყო, მაშინ უეჭველად ამ სახლში უნდა ყოფილიყო. გონება გაუნათდა, სასწრაფოდ დაბრუნდა სარდაფში, სკივრიდან თეთრეული ამოალაგა და მართლაც, ფსკერზე გვამი დახვდა, რომელსაც ტყვია თვალში ჰქონდა მოხვედრილი. გამოცდილი თვალით შეაფასა, რომ ძალზე ახლოდან იყო ნასროლი, რაც იმას ნიშნავდა, რომ შარკი მკვლელს ენდობოდა და თავისთან ახლოს მიუშვა.[P SEP]

გვამს ისევ თეთრეული დააფარა და სახლიდან გავიდა. თითის ანაბეჭდები არსად დაუტოვებია, მაგრამ იცოდა, რომ თეთრეული ტანისამოსზე მოედო. ეს ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც სასწრაფოდ უნდა გაენადგურებინა. [P SEP]

ვეგასში გაფრინდა, „ქსანადუში“ გაჩერდა და კროსს შეხვედრა სთხოვა. მანამდე შხაპი მიიღო და ტანსაცმელი გამოიცვალა.[P SEP]

კროსთან ჩანთით ავიდა, რომელშიც მისი ძველი ტანსაცმელი ეწყო.

შესვლისთანავე უთხრა:

- სულ ახლახან ორმოცდაათი ათასი დაზოგე.

კროსს გაეღიმა. ლია მუდამ სადად იცვამდა, ახლა კი ყვავილებით მოჩითული პერანგი, ბრეზენტის ქსოვილის შარვალი და ცისფერი პიჯაკი ეცვა და კაზინოდან გამოსულ წვრილფეხა ჟიგოლოს ჰგავდა.

ვაზიმ შარკის ამბავს მოუყვა.

- ამ საქმეში ჩემთან ერთად შენც ხარ ჩათრეული. ფრთხილად იყავი, - უთხრა კროსმა, - როგორ ფიქრობ, ეს რას ნიშნავს?

- ყველაფერი მარტივადაა: შარკი ერთადერთი იყო, ვინც ლაუზისა და დანტეს ერთმანეთთან აკავშირებდა. ახლა შენი ცარიელი სიტყვის გარდა, ხელთ აღარაფერი დაგვრჩა. დანტემ ლაუზის თავისი მეწყვილე მოაკვლევინა.

- მაგრამ შარკი რამ გააბრიყვა?

- ალბათ ლაუზისგანაც უნდოდა ფულის აღება. იცოდა, ლაუზი დიდ ფულს რომ ეთამაშებოდა და ვერ წარმოედგინა, საკუთარ პარტნიორს თუ მოკლავდა. რა იცოდა, მის ზურგს უკან დანტე რომ იდგა?! არ მგონია, ლაუზი ამ მკვლელობაზე ასე იოლად წასულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, დანტემ დაიყოლია.

- გამოდის, ახლა დანტე ლაუზის საკუთარ ხუშტურზე ატრიალებს. ლაუზი უფრო ძლიერი მეგონა.

- ისინი განსხვავებული სახეობის მხეცები არიან: ლაუზი საშიში ტიპია, დანტე კი - შეშლილი.

- ესე იგი, დანტემ იცის, რომ მე მისი დანაშაულის შესახებ

შევიტყვე.

- რაც იმას ნიშნავს, რომ უსწრაფესად უნდა ვიმოქმედო, - მიუგო ლიამ.

კროსმა თავი დაუკრა.

- ეს „ზიარება“ უნდა იყოს. ორივე უნდა გააქრო.

- გგონია, დონ კლერიკუციოს მოატყუებ? - გაეღიმა ლიას.

- თუ ყველაფერს სუფთად გავაკეთებთ, ვერავინ შემოგვედავება.

მომდევნო სამი დღე გეგმების დაწყობას მოანდომეს. ლია კროსს არ შორდებოდა. გოლფის მინდორზე დაჰყვებოდა და თვალს ადევნებდა, თუ როგორ თამაშობდა კროსი ამ თამაშს, თვითონ ფრიად მოსაწყენ დროს ტარებად რომ მიაჩნდა.

ერთ საღამოს პენტჰაუსის აივანზე ისხდნენ, სიგარებს აბოლებდნენ და ბრენდის წრუპავდნენ.

- მგონი, ძალიანაც არ გვეჩქარება: რა ჭკვიანურადაც უნდა იმოქმედონ, მამაჩემის შემდეგ მალევე მეც თუ მომკლეს, დონი უსათუოდ დანტეზე აიღებს ეჭვს, - თქვა კროსმა.

- როგორ არ გვეჩქარება?იციან, რომ შარკის ელაპარაკე, - უთხრა ლიამ და სიგარას მოუკიდა.

- ორივე ერთდროულად უნდა მოვკლათ. ნუ დაგავიწყდება, მათი გვამები არ უნდა იპოვონ.

- ჯერ იმაში უნდა დავრწმუნდეთ, რომ მათ მოკვლას შევძლებთ.

- ეს ძალზე რთული იქნება. ლაუზი საშიში კაცია, დანტეც ღონიერია. როგორმე ერთად უნდა გამოვიჭიროთ და მერე ერთურთისგან

გავთიშოთ. ეს ლოს-ანჯელესში მოხერხდება?

- არა, ეგ ლაუზის ტერიტორიაა. ვეგასში უნდა მოვკლათ.

- ოჯახის კანონს დავარღვევთ, - გააფრთხილა კროსმა.

- თუ „ვაზიარებთ“, ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. პოლიციის ოფიცრის მკვლელობა თავისთავად, უკვე წესის დარღვევაა, - უთხრა ლიამ.

- მგონი, ვიცი, ვეგასში ერთსა და იმავე დროს როგორ უნდა ჩამოვიტყუო, - უთხრა ლიას კროსმა და თავისი ჩანაფიქრი გაანდო.

- სატყუარა უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, - შეეკამათა ლია, - დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ სწორედ მაშინ ჩამოვლენ, როცა ჩვენ ეს გვჭირდება.

- ეგრე იყოს, - დათანხმდა კროსი და ახალი იდეა გაუზიარა. ლიამ მოწონებით თავი დაუკრა და კროსმა განაგრძო: - ერთბაშად გავაქრობთ, სიკვდილსაც გადავრჩებით და ყველას მოვატყუებთ.

- ყველას, დონ დომენიკოს გარდა, - მშვიდად შენიშნა ლია ვაზიმ, - ის ერთადერთია, ვისიც უნდა გვეშინოდეს.

წიგნი VIII - „ზიარება“ - თავი 21

მადლობა ღმერთს, სტივ სტოლინგზი გადაღებების დასრულებამდე ცოცხალი დარჩა, თორემ მასალის ხელახლა გადაღება დამატებით მილიონები დაჯდებოდა.

ბოლოს ბრძოლის სცენას იღებდნენ, რომელიც სიუჟეტის მიხედვით, ფილმის შუაში უნდა ყოფილიყო. ვეგასის შორიახლოს, უდაბნოში,

სპარსული ციხე-ქალაქის მაკეტი აშენდა, რომლის ფონზეც რომის იმპერატორ კლაუდიუსს (სტივ სტოლინგზი) სპარსთა ლაშქარი უნდა დაემარცხებინა. მას თან ახლდა დედოფალი მესალინა (ათენა ექვითეინი).

დღის ბოლოს სტივმა კოკაინი მოიმარაგა და ორი ქალის თანხლებით თავის ნომერში ავიდა. არავის ნახვა არ სურდა, დაღლილი და განაწყენებული იყო. პირველ რიგში, იმით, რომ ფილმში როლი შეუკვეცეს: მთავარის ნაცვლად, სახასიათოს დონემდე ჩამოვიდა. კარიერაში უკუსვლას გრძნობდა, რაც ასაკში შესული წამყვანი ვარსკვლავისთვის მუდამ მტკივნეულია. გარდა ამისა, მთელი გადაღების მანძილზე ათენას მისგან თავი შორს ეჭირა. ამ ყველაფერთან ერთად, ფილმის დასრულების აღსანიშნავ წვეულებაზე, რომელიც მეორე დღეს უნდა გამართულიყო, ვარსკვლავის საკადრის მიღებას არ უმზადებდნენ: „ქსანადუს“ ტერიტორიაზე მდებარე ვილა არ გამოუყვეს.

სტოლინგზმა შესანიშნავად იცოდა კინოიერარქიის კანონები. ვიდრე წამყვანი ვარსკვლავი იყო, გადაღებაზე ყველა მას ემორჩილებოდა, თუმცა ფორმალურად, ყველაფერს სტუდიის უფროსი წყვეტდა. მიჩვეული იყო, რომ გადასაღებ მოედანზე უგვირგვინო მეფედ თვლიდნენ.

მართალია, გადაღებას რეჟისორი ხელმძღვანელობდა, მაგრამ უმაღლესი რანგის რეჟისორიც კი იძულებული იყო, ვარსკვლავისთვის დაეხარა თავი, ხოლო თუ ერთ ფილმში ორი მაღალანაზღაურებადი

ვარსკვლავი ჰყავდა დაკავებული, ეს ერთდროულად ორ გაუხედნავ ცხენზე ჯდომას ნიშნავდა და შესაძლებელი იყო, ამ ცხენებს მხედარი ნაკუწებად დაეფლითათ. P SEP

სწორედ ასეთი ვარსკვლავი იყო სტივ სტოლინგზი, ახლა კი მიხვდა, რომ ბრწყინვალება დაკარგა. P SEP

ეს დღე ფიზიკურად დამღლელი აღმოჩნდა. სტოლინგზმა შხაპი მიიღო და გოგონებს კოკაინითა და შამპანურით გაუმასპინძლდა. რაკი გრძნობდა, რომ მისი კარიერა დაისს უახლოვდებოდა, სიფრთხილე მოადუნა და კოკაინის დიდი დოზა მიიღო. გოგონები სტოლინზგის ფანკლუბის წევრები იყვნენ და მაისურებზე ეწერათ: „ჩვენ სტივ სტოლინგზის უკანალს ვკოცნით“. მსოფლიოს ურიცხვი მაყურებელი, სქესის განურჩევლად, სტოლინგზის დუნდულებზე გიჟდებოდა. ორივე გოგონა ვარსკვლავის წინაშე მოკრძალებას განიცდიდა. მხოლოდ კოკაინის გავლენით გათამამდნენ, მაისურები გაიძრეს და სტოლინგზს გვერდით მიუწვნენ. მათი ალერსითა და ნარკოტიკით გაბრუებული მსახიობი ფიქრმა გაიტაცა. P SEP

ხვალინდელ წვეულებაზე მის მიერ დაპყრობილი ყველა ქალის ერთდროულად ხილვით დატკბება: ათენა ექვითეინიც ეწვინა ლოგინში, სცენარისტი კლოდია დე-ლენაც ერთხანს მისი საყვარელი იყო, დიტა ტომიც კი იხმარა დიდი ხნის წინ - ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიტას სექსუალური ორიენტაცია ბოლომდე გამოკვეთილი არ ჰქონდა. ბობი ბენცის ცოლიც დაიმორჩილა და სკიპი დირის ცოლიც, თუმცა ეს უკანასკნელი გარდაიცვალა და სათვალავში ჩასაგდები აღარ იყო.

მუდამ კმაყოფილებას ანიჭებდა წვეულებაზე მეუღლეებისა და საყვარლების გვერდით ამაყად მსხდომი ქალების ცქერა და იმაზე ფიქრი, რომ თითოეულთან ინტიმური კავშირი ჰქონია.

ერთ-ერთმა გოგონამ უკანალში შეუღიტინა. სტოლინგზი ამას ვერ იტანდა, რადგან ბუასილი აწუხებდა. ამან ფიქრიდან გამოარკვია. კოკაინის ახალი ულუფის შესაყნოსად წამოდგა, მაგრამ უეცრად თავბრუ დაეხვა, გონება აერია, ვეღარ ხვდებოდა, სად იმყოფებოდა. ერთ-ერთი გოგონას კივილი გაიგონა და ამ კივილმა საშინლად გააღიზიანა. მერე ჩაიკეცა და უკვე აღარაფერი უგრძნია.

რაც შემდეგ მოხდა, თითქოს სიბრიყვისა და ბოროტი განზრახვის ნაზავს წარმოადგენდა. გოგონა იმიტომ აკივლდა, რომ სტოლინგზმა, საწოლიდან წამოდგომა რომ სცადა, უეცრად დაბარბაცდა და საწოლზე ისე დაეცა, რომ ქვეშ მოიქცია. პირდაღებული და თვალებგაშტერებული, აშკარად მკვდარი ეგდო, ამიტომ ორივე გოგონამ უკვე შიშისგან მორთო კივილი. ხმაურმა პატარა სასტუმროს კაზინოში მოთამაშეების ყურადღება მიიპყრო და მეორე სართულის კიბეს დიდძალი ხალხი მიაწყდა.

ნომრის კარი ახლა ღია იყო და ყველანი საწოლზე გართხმული სტოლინგზის შიშველ სხეულს მიშტერებოდნენ. საიდანღაც ლამის ასობით ადამიანი შეგროვდა, ყველას ნომერში შეღწევა სურდა, ყველას უნდოდა, სტოლინგზს ხელით შეხებოდა.

თავიდან მოკრძალებით ეხებოდნენ იმ მამაკაცს, რომელსაც მსოფლიოში უამრავი ქალი ეთაყვანებოდა. თანდათან ბრბო სულ

უფრო გათამამდა, ზოგი ქალი კოცნიდა, ზოგი მის სასქესო ორგანოსაც შეეხო, ერთმა ქალმა კი ხელჩანთიდან მაკრატელი ამოიღო და სტოლინგზს თმის მოზრდილი დალალი ჩამოაჭრა.

ბოროტი განზრახვა ის იყო, რომ სკიპი დირი შემთხვევის ადგილას პირველი მივიდა, მაგრამ პოლიცია მაშინვე არ გამოუძახებია. მონუსხული უცქერდა ქალების ხროვას, სტოლინგზის გვამს რომ აწყდებოდა. ერთი ქალი მოწიწებით მიუახლოვდა, თვალები დაუხუჭა, ოდნავ გახსნილი პირი დაუხურა და შუბლზე ნაზად აკოცა. მაგრამ დანარჩენები ასევე მოკრძალებით როდი იქცეოდნენ. სკიპის ერთბაშად ბოღმა მოაწვა, მოაგონდა, წლების წინ სტოლინგზმა თავზე რქები როგორ დაადგა და ერთგვარი კმაყოფილებით უმზერდა ახლა უმწეოს, შიშველს. ხედავდა, როგორ უჯიჯგნიდნენ ხორცს ქალები, რომლებსაც ის მკვდარიც კი ვნებას აღუძრავდა. მხოლოდ მას მერე, რაც სტოლინგზს ყურისბიბილო მოგლიჯეს და გვერდზე გადააბრუნეს, რათა მისი სახელგანთქმული დუნდულები ენახათ, სკიპის გულმა ვეღარ გაუძლო. მან პოლიცია გამოიძახა და წესრიგის დამყარება მოითხოვა, თვითონ კი, როგორც პროდიუსერს შეეფერება, აუცილებელი ზომების მიღებას შეუდგა.

გვამს გამოკვლევა ჩაუტარდა, რის შემდეგაც ლოს-ანჯელესში უნდა გადაესვენებინათ და სამი დღის შემდეგ დაეკრძალათ. სიკვდილის მიზეზად ანევრიზმის გასკდომის შედეგად ტვინში სისხლის ჩაქცევა დაასახელეს.

სკიპიმ ის ორი გოგონა მოძებნა, რომლებიც ბოლოს სტოლინგზთან

ერთად იყვნენ და ეპიზოდური როლების შესრულებაზე ორწლიან კონტრაქტს დაჰპირდა, ასევე დაარწმუნა, რომ მათ კოკაინის მოხმარებისთვის პასუხისგებაში არ გადასცემდნენ, - ეს ყველაფერი იმ პირობით, თუკი ისინი სტოლინგზის სიკვდილის დეტალებს არავის უამბობდნენ.

ამის შემდეგ დირმა ლოს-ანჯელესში ბენცს დაურეკა და ყველაფერი წვრილად მოახსენა. დიტა ტომისაც დაურეკა და გააფრთხილა, მომხდარის მიუხედავად, ფილმის სამუშაო ჯგუფიდან უკლებლივ ყველა დასწრებოდა ხვალინდელ წვეულებას. ბოლოს იგრძნო, რომ საშინლად აფორიაქებულა და დაქანცულა. დამამშვიდებლის ორი აბი მიიღო და დასაძინებლად დაწვა.

თავი 22

სტივ სტოლინგზის გარდაცვალებას წვეულების განწყობასა და სტუმრების დასწრებაზე გავლენა არ მოუხდენია. ასეთია კინოს სამყარო. ის ქალებიც კი, ვისთანაც ხორციელი თუ წარმოსახვითი სიყვარული აკავშირებდა, გულის სიღრმეში თავიდანვე გრძნობდნენ, რომ ის მუდამ მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდა. ის ქალებიც კი, ვინც მისი უკანასკნელი პარტნიორები იყვნენ ფილმში - ათენა ექვითეინი, კლოდია დე-ლენა, დიტა ტომი და კიდევ სამი მსახიობი ქალი, - იმაზე ნაკლებად დამწუხრებული ჩანდნენ, ვიდრე ამას რომანტიკოსები წარმოიდგენდნენ. სიტყვიერად ყველა იმაზე შეთანხმდა, რომ სტივ სტოლინგზი თვითონაც ისურვებდა, შოუ მის

გარეშეც გაგრძელებულიყო და იმაზე მეტი არაფერი დაამწუხრებდა, მის გამო წვეულება რომ ჩაშლილიყო.

კინოინდუსტრიაში ადამიანები გადაღებების დასრულების შემდეგ ისევე თავაზიანად ემშვიდობებოდნენ თავიანთ საყვარლებს, როგორც წინათ - პარტნიორებს ცეკვის დასრულების შემდეგ.

სკიპი დირმა წვეულების დროს ფილმის სამუშაო ვარიანტის ჩვენება გადაწყვიტა. იცოდა, ათენა სულ მალე ქვეყნის დატოვებას აპირებდა და სურდა დარწმუნებულიყო, რომ არც ერთი სცენის ხელახლა გადაღება არ დასჭირდებოდათ. თუმცა სინამდვილეში წვეულების „ქსანადუში" გამართვა და ფილმის ჩვენება კროსმა სთხოვა.

- ეს ჩვენი სასტუმროსთვის უდიდესი რეკლამა იქნება, - უთხრა მან სკიპის. - აი, რას გთავაზობთ. ფილმის მთელ პერსონალსა და თქვენს სტუმრებს სასტუმრო უფასოდ მოემსახურება. თქვენ, ბენცსა და ათენას ვილებში დაგაბინავებთ. დაცვაზეც ვიზრუნებ, ასე რომ, თქვენთვის არასასურველი პირები, მათ შორის პრესა, ფილმის სამუშაო ვარიანტს ვერ ნახავენ.

- ამდენი ხარჯი მხოლოდ რეკლამის გულისთვის? - გაეღიმა დირს.

- არა მხოლოდ. თქვენი წყალობით სასტუმროს უამრავი ფულიანი ადამიანი ეწვევა. კაზინო ამით დიდად იხეირებს.

- ბენცი არ თამაშობს, მე კი ვთამაშობ. მთელი ფულის თქვენთან დატოვება მომიწევს.

- ორმოცდაათიათასიან კრედიტს მოგცემთ, - დაჰპირდა კროსი, -

წაგების შემთხვევაში ვალის გადახდას არ დაგაჩქარებთ.

- კარგი, - დათანხმდა დირი, - ოღონდ სტუდიას ეს იდეა ისე უნდა მივაწოდო, თითქოს ჩემგან მოდიოდეს.

- რა თქმა უნდა, - უთხრა კროსმა და ღიმილით დაუმატა: - ოღონდ იცოდეთ, სკიპი, აქამდე ბევრჯერ გვითანამშრომლია და მუდამ წაგებული დავრჩენილვარ. ამჯერად იმედს ნუ გამიცრუებთ.

წამით დირს მის კილოში შეფარული მუქარა მოეჩვენა.

- არ იდარდოთ, - უპასუხა მან, - სამ კვირაში გადაღებას დავამთავრებთ. იმ დროისთვის მოემზადეთ.

კროსს ათენას დაყოლიებაც მოუწევდა, რომ წვეულებასა და ფილმის ჩვენებას დასწრებოდა.

- ეს სასტუმროს ძალიან წაადგება, თანაც, კიდევ ერთხელ მომეცემა შენი ნახვის საშუალება, - უთხრა მან ქალს. ათენა დათანხმდა. კროსს ახლა დანტესა და ლაუზის დაყოლიებაღა რჩებოდა.

დანტე ვეგასში მიიწვია „ლოდსტოუნის“ იმ პროექტზე სალაპარაკოდ, რომელიც პოლიციის დეპარტამენტში მუშაობისას ლაუზის თავს გადახდენილი შემთხვევების საფუძველზე დეტექტიური სერიალის გადაღებას ითვალისწინებდა. ყველასათვის უკვე ცნობილი იყო, რომ დანტე და ლაუზი ძმაბიჭები იყვნენ.

- უნდა გთხოვო, ლაუზისთან სიტყვა შემაწიო, - უთხრა დანტეს კროსმა, - ფილმის თანაპროდიუსერობა მინდა და მზად ვარ, ნახევარი ბიუჯეტი დავაფინანსო.

- სერიოზულად გაინტერესებს კინობიზნესი? რატომ? - გაიოცა

დანტემ.

- დიდი ფულის და ნაშების გამო, - გაუღიმა კროსმა.

- დიდი ფულიც გაქვს და არც ნაშები გაკლია.

- ძალიან დიდი ფული მინდა და ყველაზე მაგარი ნაშები.

- მე რატომ არ მეპატიჟები წვეულებაზე? ვილაც არასოდეს შემოგითავაზებია.

- ლაუზისთან საქმეს თუ ჩამიწყობ, ორივეს მიიღებ. ლაუზიც თან წამოიყვანე. გარდა ამისა, თუკი პაემნის ხასიათზე ხარ, ტიფანის შეგახვედრებ. მისი შოუ ხომ გაქვს ნანახი?

დანტესთვის ტიფანი ვნების განსახიერება იყო: სავსე მკერდი, სქელი ტუჩები, აშოლტილი ტანი, გრძელი ფეხები.

- მაგარია! - გამოცოცხლდა დანტე. - მგონი, ორი ჩემსიმაღლე იქნება. კარგი, შევთანხმდით.

ყველა მაფიოზური ოჯახის წესისამებრ, ვეგასში ყველანაირი ძალადობრივი აქტი იკრძალებოდა, ამიტომაც კროსს იმედი ჰქონდა, რომ დანტეს ეჭვი არ გაუჩნდებოდა. ბოლოს კროსმა, ვითომ სასხვათაშორისოდ დაუმატა:

- ათენაც დაესწრება წვეულებას. ის მთავარი მიზეზია, რის გამოც კინობიზნესში ფეხის მოკიდება მინდა.

ბობი ბენცი, მილო სტიუარტი და კლოდია ვეგასში სტუდიის თვითმფრინავით ჩაფრინდნენ. ათენა, დიტა და დანარჩენები გადაღების ადგილიდან საკუთარი ტრეილერებით ჩავიდნენ.

სენატორი უევენი და ნევადის გუბერნატორი წვეულებაზე ნევადის

შტატის ოფიციალური წარმომადგენლების როლს შეასრულებდნენ.

დანტე და ლაუზი ერთ-ერთი ვილის ორ აპარტამენტს დაიკავებდნენ, დანარჩენ ოთახებში ლია ვაზი და მისი ხელქვეითები უნდა დაბინავებულიყვნენ.

კროსმა კიდევ ერთი ვილა სენატორსა და გუბერნატორს დაუთმო და პირადად მათ პატივსაცემად შოუს ნარჩევი გოგონების მონაწილეობით საგანგებო წვეულება გამართა. იმედი ჰქონდა, რომ მათი აქ ყოფნის წყალობით პოლიცია არ შეუდგებოდა იმ მოვლენების გამოძიებას, რაც უნდა მომხდარიყო. თავიანთ გარშემოაჟიოტაჟი ამ პიროვნებებს ხელს არ აძლევდათ და ისინი თვითონ შეეცდებოდნენ საქმის ჩაფარცხვას.

ამჯერად კროსმა ყველა წესის დარღვევა გადაწყვიტა. ათენას ვილა გამოუყო, მაგრამ ამავე ვილაში კლოდიას, დიტა ტომისა და მოლი ფლენდერსსაც მოუმზადა აპარტამენტები. დანარჩენი ორი აპარტამენტი დაიკავა ლია ვაზის ოთხმა ჯარისკაცმა, რომლებიც ათენას პირად დაცვად მიუჩინეს.

კიდევ ერთ ვილას ბობი ბენცი და სკიპი დირი დაიკავებდნენ. დანარჩენ სამ ვილაში კი განთავსდებოდა ლია ვაზის ოცკაციანი რაზმი, რომელმაც ჩვეულებრივი დაცვა შეცვალა. არც ერთი მათგანი ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებდა, არც ერთმა მათგანმა კროსის გეგმის შესახებ არაფერი იცოდა. შემსრულებლები თავად კროსი და ლია უნდა ყოფილიყვნენ.

იმ ორი დღისთვის, როცა წვეულება იგეგმებოდა, კროსმა ვილების

ტერიტორიაზე განთავსებული კაზინო „მარგალიტი“ დაკეტა. ჰოლივუდელი სტუმრები მის მაღალ ფსონებს მაინც ვერ ჩამოვიდოდნენ, ხოლო იმ მდიდარ სტუმრებს, ვისაც, ჩვეულებრივ, ესა თუ ის ვილა ეკავათ, კროსმა განუცხადა, რომ ვილებს რემონტი უტარდებოდა, ამიტომ მათი მიღება ვერ მოხერხდებოდა.

გადაწყდა, რომ კროსი დანტეს მოკლავდა, ლია კი - ლაუზის. დონს მკვლელობის დეტალები რომ დაედგინა, დანტეს გამო ლიას მთელ ოჯახს ამოწყვეტდა, ხოლო კროსის შემთხვევაში, დონი კლოდიას არაფერს ავნებდა, რადგან მასაც კლერიკუციოს სისხლი ჰქონდა. ლიას ლაუზი, ისევე, როგორც ყველა ძალოვანი, სულით ხორცამდე სძულდა.

მთავარი პრობლემა ორივეს მოკვლა და გვამების გაქრობა იყო. ამერიკის ყველა მაფიოზური ოჯახის კანონის თანახმად, ვეგასში არანაირი დანაშაული არ უნდა მომხდარიყო, რათა საზოგადოებას აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით უარყოფითი ასოციაცია არ დარჩენოდა. დონი ამ წესს დაჟინებით იცავდა.

კროსი იმედოვნებდა, რომ დანტე და ლაუზი ეჯვს არაფერზე აიღებდნენ. მათ არ იცოდნენ, რომ ლიამ შარკის გვამი აღმოაჩინა. კროსი აგრეთვე, დანტეს შესაძლო თავდასხმისთვის მოემზადა და ლიას მის ბანაკში თავისი ჯაშუში შეაგზავნინა.

წვეულების დღეს მოლი ფლენდერსი ვეგასში დილით ადრე ჩაფრინდა, რადგან მასა და კროსს მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი. მას თან ახლდნენ კალიფორნიის უზენაესი

სასამართლოს მოსამართლე და ლოს-ანჯელესის კათოლიკური ეპარქიის მონსენიორი. მათ მოწმეების როლი უნდა შეესრულებინათ, როცა კროსი მოლის მიერ შედგენილ ანდერძს მოაწერდა ხელს. კროსი ხვდებოდა, რომ შესაძლებელი იყო, ამ დღეს ცოცხალი ვერ გადარჩენილიყო, და სურდა, ამ შემთხვევაში მისი ქონება მის ძვირფას ადამიანებს გადასცემოდა. „ქსანადუში“ მისი წილი ხუთას მილიონამდე აღწევდა, ეს კი ნამდვილად არ იყო ხელწამოსაკრავი თანხა.

მან გადაწყვიტა, მნიშვნელოვანი თანხა ლიას ცოლ-შვილისთვის გადაეცა, დანარჩენი თანაბრად გაუყო კლოდიასა და ათენას, იმ მინიშნებით, რომ ათენას წილი მისი ქალიშვილის, ბეთანის უნდა მოხმარებოდა. გაუკვირდა კიდეც, ქვეყნად სხვა არავინ რომ არ აღმოაჩნდა, ვისთვისაც მემკვიდრეობის დატოვებას ისურვებდა.

როცა მოლი და მოწმეები პენტჰაუსში შემოვიდნენ, მოსამართლემ კროსს გონივრული გადაწყვეტილება შეუქო, ასეთ ადრეულ ასაკში ანდერძის შედგენა რომ გადაწყვიტა, მონსენიორმა კი მდუმარედ შეავლო თვალი ნომრის მდიდრულ მორთულობას, თითქოს სურდა, მასპინძლის ცოდვის მასშტაბი შეეფასებინა. ორივე მოლის მეგობარი იყო, ის ორივეს არაერთხელ უსასყიდლოდ დახმარებია. კროსს სწორედ ასეთი მოწმეები სჭირდებოდა, რომლებიც კლერიკუციოს ოჯახის დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდნენ.

კროსმა სტუმრებს სასმელი შესთავაზა. ანდერძს ხელი მოაწერა და მოწმეები მალევე დაემშვიდობნენ. ორივე დაპატიჟებული იყო წვეულებაზე, მაგრამ არც ერთმა არ ისურვა კინოს საზოგადოებასთან

ურთიერთობით საკუთარი რეპუტაციის შებღალვა.

მოლი და კროსი ნომერში მარტონი დარჩნენ. მოლიმ თქვა:

- მართალი გითხრა, გამიკვირდა: არ მეგონა, ათენასთან ასეთი ახლო ურთიერთობა თუ გქონდა. თანაც, ის ისედაც საკმარისად მდიდარია.

- შეიძლება, ბევრად მეტი ფული დასჭირდეს, ვიდრე მოსალოდნელია, - უთხრა კროსმა.

- მის ქალიშვილს გულისხმობ? მის შესახებ ვიცი. მე ხომ ათენას პირადი ადვოკატი ვარ. ჰო, ბეთანის შეიძლება, ბევრი ფული დასჭირდეს. იცი, სულ სხვანაირი წარმომედგინე.

- მართლა? როგორი?

- ვეჭვობ, რომ ბაზ სკანეტის პრობლემა შენ მოაგვარე. ერთი უსულგულო მაფიოზი მეგონე. ის მკვლელი ბიჭი გამახსენდა, სასიკვდილო განაჩენისგან რომ დავიხსენი. შენ ის ერთხელ ახსენე, ვითომდა ნარკოტიკების გამო რომ მოკლეს.

- ახლა კი ხვდები, რომ ცდებოდი, არა? - გაეღიმა კროსს.

- ძალიან გამიკვირდა, როცა ბობი ბენცს „მესალინასთან“ დაკავშირებული ტყუილი შეარჩინე, - გულგრილად უთხრა მოლიმ.

- ეს ხომ წვრილმანი იყო.

- ათენა საფრანგეთში მიემგზავრება. დიდი ხნით. შენც მიჰყვები?

- არა. აქ ბევრი საქმე მაქვს.

- კარგი. ფილმის ჩვენებაზე გნახავ. იქნებ, ამ სამუშაო ვარიანტს რომ ნახავ, მაშინ მაინც მიხვდე, ბენცმა რა ულუფა აგაცალა

პირიდან.

- ეს არ მაღელვებს.

- დიტა ტომიმ ფილმს სტივ სტოლინგზის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვიდეო წაუმძღვარა. ბენცი გაცოფდება.

- რატომ? - ვერმიხვდა კროსი.

- იმიტომ, რომ სტივმა ყველა ის ქალი ჩაიგდო ხელში, ვინც ბენცმა ვერაფრით მოიხელთა, - თქვა მოლიმ. - რა ნაგვები არიან ეს მამაკაცები, - დასძინა და გავიდა.

კროსი აივანზე გავიდა. მის ქვეშ ქუჩის ორივე მხარეს სასტუმროს კაზინოების განათებული აბრები ჩამწკრივებულიყო, მოციმციმე წარწერებით: „კეისარი“, „ქვიშის დიუნები“, „მირაჟი“, „ალადინი“, „ტავერნა უდაბნოში“, „ვარსკვლავთა მტვერი“. ათასფრად განათებული, თვალს გიჭრელებდნენ, ვიდრე მაღლა, შორს, უდაბნოს მიღმა, მთებს გახედავდი. მათ ნათებას შუადღის მზეც კი ვერ ახშობდა.

„მესალინას“ გადამღები ჯგუფის წევრები სამ საათზე ადრე არ გამოჩნდებოდნენ. თუ საქმე ცუდად დატრიალდებოდა, დღეს ათენას უკანასკნელად ნახავდა. კროსმა იმ ვილის ნომერი აკრიფა, სადაც ლია ვაზი მოათავსა, და სთხოვა, მასთან ამოსულიყო, რათა კიდევ ერთხელ გადაეხედათ სამოქმედო გეგმისთვის.

„მესალინას“ გადაღება ზუსტად შუადღეს დასრულდა. დიტას ზენიტში მყოფი მზის სხივებით განათებული, გვამებით მოფენილი ბრძოლის ველის გადაღება ჰქონდა ჩაფიქრებული, რომელსაც

ბორცვიდან ათენა და სტივ სტოლინგზი გადაჰყურებდნენ. სტოლინგზის ნაცვლად შერჩეული დუბლიორის სახე ჩრდილში მოაქცია. სამი საათი ხდებოდა, როცა ვეგასს მოადგა მძიმე ტრეილერები, რომლებიც გადაღების დროს საცხოვრებელი ბინების მაგივრობას სწევდა, სამგზავრო სამზარეულოები, გარდერობითა და ანტიკური ხანის იარაღით სავსე სატვირთოები. კიდევ ბევრი სტუმარი ჩამოვიდა, რადგან კროსმა ეს წვეულება ძველ ვეგასურ სტილში ჩაიფიქრა.

მან „მესალინაში“ დასაქმებული თითოეული ადამიანი, დიდი თუ პატარა, უფასო ნომრითა და კვებით უზრუნველყო. „ლოდსტოუნმა“ დამატებით კიდევ სამასი სტუმარი დაპატიჟა. ცხადია, სასტუმროს მხრიდან ეს დიდსულოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ ეს სამასი კაცი სოლიდურ თანხას დატოვებდა კაზინოში. ტყუილად კი არ ამბობდა გრონეველტი: „როცა ადამიანები თავს კარგად გრძნობენ და გართობა სურთ, აზარტულ თამაშებს ეტანებიან“.

ფილმის ჩვენება საღამოს ათი საათისთვის იყო დაგეგმილი. სტუმრები ფილმს მუსიკისა და სპეცეფექტების გარეშე ნახავდნენ. სასტუმროს დიდი სადღესასწაულო დარბაზი, სადაც დიდი ტიმის პატივსაცემად წვეულება გაიმართა, ახლა ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთში ფილმის ჩვენება გაიმართებოდა, მეორეში - უფრო დიდში - ორკესტრი და ბუფეტი განათავსეს.

ოთხი საათისთვის სასტუმრო და ვილები უკვე სავსე იყო სტუმრებით. ორი დიდი სამყაროს - ლას-ვეგასისა და ჰოლივუდის

შეხვედრა შედგა.

პრესა აღშფოთებული იყო უმკაცრესი დაცვით, რომელიც ვილებსა და სადღესასწაულო დარბაზში არავის უშვებდა. ამ დღეს კაზინოში მოთამაშეებისთვისაც კი აკრძალული იყო ფოტოგადაღება. სტუმრებს შორის ხომ მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავები, სტუდიის მეპატრონეები, სენატორი და გუბერნატორი იმყოფებოდნენ. ჟურნალისტები მშიერი მგლებივით უვლიდნენ სასტუმროს გარს და მოთამაშეებსა და პერსონალის თანამშრომლებს დიდ ქრთამს სთავაზობდნენ მათი პირადობის მოწმობებისთვის, რათა ამ საბუთებით დარბაზში შეეღწიათ. ზოგიერთს ეს გამოუვიდა კიდეც.

სასტუმროს პერსონალის ოთხმა წევრმა, ორმა კასკადიორმა და ორმა მიმტანმა ქალმა, თავიანთი საბუთები რეპორტიორებს ათას-ათას დოლარად მიჰყიდეს.

* * *

დანტე კლერიკუციო და ჯიმ ლაუზი ვილის სიმდიდრით ტკბებონენ. ლაუზიმ გაოცებით გააქნია თავი:

- აქ მარტო აბაზანაში იმდენი ოქროა, რომ მძარცველს ერთ წელიწადს ეყოფოდა თავის სარჩენად.

- ერთ წელიწადს ვერ გაძლებდა, ექვს თვეში მოკლავდნენ, - უთხრა დანტემ.

ოთახის სერვისი არ გამოუძახებიათ, რადგან სამზარეულოს ვეებერთელა მაცივარი სენდვიჩებით, ხიზილალით, იმპორტული ლუდითა და საუკეთესო ღვინით იყო სავსე.

- ავშენდით? - იკითხა ლაუზიმ.

- ჰო, - თქვა დანტემ, - და საქმეს როცა დავასრულებთ, პაპაჩემს ამ სასტუმროს მოვთხოვ. აი, მაშინ სიკვდილამდე აშენებული ვიქნებით.

- მთავარია, აქ მარტო შემოვიტყუოთ, - თქვა ლაუზიმ.

- ამაზე ნუ დარდობ. აქ თუ ვერაფერი გავაწყვეთ, მანქანით უდაბნოში გავიყვანთ.

- რას აპირებ? ვილაში რა საბაბით მოიყვან? - არ ცხრებოდა ლაუზი.

- ვეტყვი, ჯორჯო საიდუმლოდ ჩამოფრინდა და შენი ნახვა უნდა-თქო. მერე საქმეს გავაკეთებ, შენ კი ყველაფერს აალაგებ. შენ უკეთ იცი, მკვლელობის ადგილას პოლიცია სად რას აკვირდება, - დანტე ჩაფიქრდა. - არა, მაინც ყველაფერს სჯობს, უდაბნოში დავაგდოთ. შეიძლება, ვერასოდეს იპოვონ. ხომ იცი, იმ ღამით, პიპი რომ მოკვდა, კროსმა ჯორჯოსთან საუბარს თავი აარიდა. მეორედ ამის გაკეთებას ვეღარ გაბედავს.

- რომ გაბედოს, რა ვქნა? მთელი ღამე აქ ეკლებზე ვიჯდე? - ჰკითხა ლაუზიმ.

- ათენა გვერდით ვილაშია გაჩერებული. კარზე დაუკაკუნე და რა იცი, იქნებ ბედმა გაგიღიმოს, - უთხრა დანტემ.

- ეგ ნამეტანია.

- ან, თუ გინდა, ისიც კროსთან ერთად უდაბნოში გავიყვანოთ, - გაიკრიჭა დანტე.

- გიჟი ხარ, - უთხრა ლაუზიმ და უეცრად მიხვდა, რომ სწორედ გიჟს

ესაუბრებოდა.

- ჰო, რა იყო, ბარემ ცოტათი გავერთობით, - არ ცხრებოდა დანტე, - უდაბნოში ორი გვამისთვისაც მოიძებნებაადგილი.

ლაუზიმ ათენას სხეული, სახე, ღიმილი წარმოიდგინა. ო, ის და დანტე მართლაც მაგრად გაერთობოდნენ. მკვლელი ხომ იყო, ახლა მოძალადეც გახდებოდა. სამგზის მკვლელი იყო: მერლო, პიპი დელენა და თავისი მეწყვილე შარკი დახოცა. მაშ, გაუპატიურების რცხვენოდა?.. რაღა უკლდა, თვითონაც იმ ნაბიჭვრებს დაემსგავსებოდა, ვისაც მთელი ცხოვრება დასდევდა. ეს ქუდიანი ჯუჯაკაცი მართლაც რომ იშვიათი ვინმე იყო.

- ჯერ ბედს ვცდი, - უთხრა მან დანტეს, - სადილად დავპატიჟებ და თუ დამთანხმდა, ესე იგი, თვითონაც უნდა ჩემთან სექსი.

- ჰო, სექსი ყველას გვინდა, - გადაიხარხარა დანტემ.

საქმის დეტალებზე კიდევ ერთხელ მოილაპარაკეს, მერე კი დანტე თავის აპარტამენტებში ავიდა. აბაზანა გაიმზადა, უნდოდა, ვილის ძვირფასი პარფიუმერია გამოეცადა. როცა სურნელოვან თბილ წყალში ჩაწვა და კლერიკუციოსთვის ჩვეული შავი, ცხენის ფაფარივით უხეში თმა აიქაფა, თავის მომავალზე ფიქრმა გაიტაცა. კროსს ვეგასისგან მრავალი მილის მოშორებით უდაბნოში რომ დააგდებდნენ, აი, ამის შემდეგ დაიწყებოდა ურთულესი საქმე. პაპა საკუთარ უდანაშაულობაში უნდა დაერწმუნებინა. უარეს შემთხვევაში, მამის მკვლელზე, პიპიზე შურისძიებასაც მოინანიებდა და იცოდა, დონი აპატიებდა. დონი მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით

ეპყრობოდა.

გარდა ამისა, ახლა დანტე ოჯახის „ურო“ იყო და შეეძლო, დასავლეთის ბარონის წოდება და სასტუმროს ხელმძღვანელობა მოეთხოვა. ჯორჯო შეეწინააღმდეგებოდა, პიტი და ვინსენტი კი არაფერს იტყოდნენ. ისინი თავ-თავიანთი კანონიერი ბიზნესით კმაყოფილი იყვნენ. მოხუცი კი მუდამ ხომ ვერ იცოცხლებდა. ჯორჯო ოფისის ფინია იყო. ის დროც დადგებოდა, როცა სარდალი იმპერატორი გახდებოდა. ის კანონს არასოდეს შეურიგდებოდა და ოჯახს ძველ დიდებას დაუბრუნებდა.

დანტე აბაზანიდან ამოვიდა, შხაპის ქვეშ საპონი ჩამოიბანა და კანში სურნელოვანი კრემი შეიზილა. თმა გელით დაიყენა, ჩემოდნიდან მარგალიტებით მოქარგული ქუდი ამოიღო, ტორტის კრემის ქულას რომ ჰგავდა. ჩემოდანში ეს ქუდი სასაცილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ თავზე რომ დაიხურა, თვითონვე გაოცდა: ზღაპრიდან გადმოსულ უფლისწულს ჰგავდა. ამ საღამოს ათენა სწორედ ამ ქუდით ნახავდა ან, თუკი მასთან არაფერი გამოუვიდოდა, ტიფანის მოხიბლავდა. თუმცა, თუ საქმისთვის აუცილებელი იქნებოდა, ორივეს გვერდზე გასწევდა.

როცა იცვამდა, თავის მომავალ საოცნებო ცხოვრებაზე ფიქრობდა: ნებისმიერ სასახლეზე უფრო დიდებულ ვილაში იცხოვრებდა, ლამაზმანების მთელი ჰარამხანა ეყოლებოდა, მისთვის რომ იცეკვებდნენ და იმღერებდნენ, ექვს რესტორანში ექვსი განსხვავებული სამზარეულოს კერძებს მიირთმევდა. სურვილისამებრ,

მტრის განადგურებისა თუ მეგობრის დაჯილდოების ბრძანებას გასცემდა. ამგვარად, მისი ყოფა იმდენად ახლო იქნებოდა რომის იმპერატორის ცხოვრებასთან, რამდენადაც ამის საშუალებას დღევანდელობა იძლეოდა. ამ ყოველივეს მხოლოდ და მხოლოდ კროსი ეღობებოდა.

თავის აპარტამენტში განმარტოებული ჯიმ ლაუზიც საკუთარი ცხოვრების უცნაურ შემობრუნებაზე ფიქრობდა. კარიერის დასაწყისში მართლაც გმირი პოლიციელი იყო, საზოგადოების დამცველი რაინდი. სძულდა დამნაშავეები, განსაკუთრებით - შავკანიანები. თანდათან შეიცვალა. აღიზიანებდა პრესა, რომელიც პოლიციას სისასტიკეში ადანაშაულებდა. მისი მუნდირიანი უფროსები გვერდით უსხდნენ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხალხს ათასგვარი სისულელით აბოლებდნენ. თურმე ზანგების სიძულვილი არ შეიძლება. ვითომ რატომ? დანაშაულთა უმეტესობას სწორედ ზანგები სჩადიან. განა ამერიკა თავისუფალი ქვეყანა არ არის, სადაც ყველას აქვს უფლება, ვინც უნდა, ის სძულდეს? ესენი ხომ ველურები არიან და მთელ ცივილიზაციას წაბილწავენ. არც მუშაობა უნდათ, არც სწავლა. მოქალაქეებს აყაჩაღებენ, საკუთარ ქალებს მეძავებად აქცევენ, კანონსა და მის დამცველებს დაუმორჩილებლობას უცხადებენ. ლაუზი თავის მოვალეობად თვლიდა, მდიდრები ღარიბთა შემოტევისგან დაეცვა. თვითონაც სურდა, მდიდრებში გარეულიყო: უნდოდა ძვირფასი სამოსი, მანქანები და, რაც მთავარია, ქალები. სწორედ ეს იყო მისთვის ამერიკა.

თავიდან აზარტული თამაშების მფარველობა დაიწყო, მერე ნარკოტიკებზეც გადავიდა და თანდათან დიდ ქრთამს შეეჩვია. ამაყობდა გმირი პოლიციელის სტატუსითა და იმ პატივით, რომლითაც ეპყრობოდნენ, მაგრამ ამას ფულადი ჯილდო როდი მოჰყვებოდა. ისევ ძველებურად იაფფასიანი ტანისამოსი ეცვა და ხელფასიდან ხელფასამდე რომ მიეღწია, მომჭირნეობა უნდა გამოეჩინა. გამოდიოდა, რომ მდიდრებს ღარიბებისგან იცავდა, მაგრამ თვითონ კვლავაც ღარიბად რჩებოდა. არაერთი მისი კოლეგა მოვალეობის შესრულებისას ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა, მერე ზოგმა ციხეში ამოყო თავი, ზოგმა სამსახური დაკარგა. გამოდიოდა, რომ ამ ქვეყანაში მძარცველს, მოძალადეს, რეციდივისტს პოლიციელზე მეტი უფლება ჰქონდა.

ამ ნაბიჭვარი იურისტებისა და ლიბერალებისთვის ვინმეს სულ რაღაც ექვსი თვით რომ დაევალებინა ქალაქის პატრულირება, ლინჩის წესით დამნაშავეთა გასამართლებას დაიწყებდნენ.

ლაუზი დიდი ხანია, რაც შეეჩვია პატიმრებისგან აღიარების ცემით გამოძალვას, ახლა კი მკვლელიც გახდა. მაგრამ საკუთარ თავს ეუბნებოდა, ეს ყველაფერი უკან მოიტოვე და დაივიწყეო. მთავარი იყო, რომ გამდიდრდებოდა. ხელისუფლებას თავის პოლიციელის მოწმობას სახეში ესროდა და სასტუმრო „ქსანადუს“ დაცვის უფროსი გახდებოდა იმაზე ათჯერ მეტი ხელფასით, ვიდრე სახელმწიფო უხდიდა. ამ უდაბნოს სამოთხიდან სიამოვნებით შეხედავდა, თუ როგორ იხრჩობალოს-ანჯელესი სისხლსა და დანაშაულში,

რომელთანაც თვითონ აღარასოდეს მოუწევდა ბრძოლა. ამ საღამოს კი „მესალინას“ უყურებდა და წვეულებას დაესწრებოდა. ვინ იცის, იქნებ ათენას შებმაც მოეხერხებინა? ამის გაფიქრებაზე ლაუზის მთელ სხეულში ვნების ტალღებმა დაუარა. დღესვე მოელაპარაკებოდა სკიპის სერიალის გეგმაზე, რომელშიც მისი კარიერა აისახებოდა. დანტეს თუ დავუჯერებთ, კროსსაც უნდოდა წილში გასვლა. მაშ, რატომ უნდა მოეკლა ლაუზის ის კაცი, მისი ფილმის დაფინანსებას რომ აპირებდა? პასუხი მარტივი იყო: თუ უკან დაიხევდა, იცოდა, დანტე ცოცხალს არ დატოვებდა. დანტეს კი ვერ მოკლავდა, რადგან კლერიკუციოს ოჯახს კარგად იცნობდა. გამოსავალი არ ჰქონდა.

წამით მერლო გაახსენდა, უწყინარი, გულითადი ზანგი, რომელიც მუდამ ხალისით ეხმარებოდა. ამ ამბავში ლაუზი ყველაზე მეტად მერლოს მკვლელობას ნანობდა.

ფილმის ჩვენებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე საათი რჩებოდა. ლაუზიმ წამით იფიქრა, კაზინოში ხომ არ მეთამაშაო, მაგრამ არ სურდა, სხვა ბრიყვებთან ერთად გაეყვლიფათ. გადაწყვიტა, დაესვენა. წინ მძიმე ღამე ელოდა: ფილმის ჩვენება, წვეულება, ღამის სამ საათზე კი დანტეს კროსის მოკვლაში უნდა დახმარებოდა და გვამი უდაბნოში დაემარხათ.

ბობი ბენცმა თავის ვილაში სასმელზე მიიწვია „მესალინას“ სამუშაო ჯგუფის რჩეული წევრები: ათენა, დიტა ტომი, სკიპი დირი; კროს დე-ლენასაც, თავაზიანობის ნიშნად, მიწვევა გაუგზავნა, მაგრამ კროსმა წვეულების წინ მოუცლელობა მოიმიზეზა.

ბენცმა თან წამოიყვანა თავისი ახალი „მონაპოვარი“ - გოგონა, სახელად ჯოანა, რომელიც მომავალ ვარსკვლავთა მაძიებელმა აგენტმა ორეგონის ერთ პატარა ქალაქში აღმოაჩინა. მას ორწლიანი კონტრაქტი დაუდეს კვირაში ხუთასდოლარიანი ხელფასით. ძალზე ლამაზი, მაგრამ სრულიად უნიჭო გოგონა ქალწულებრივი უმანკოების ისეთ სურნელებას აფრქვევდა, რომ ეს თავისთავად ლამის ნიჭის ტოლფასი იყო. თუმცა თავისი იმიჯისა და ასაკისთვის შეუფერებელი პრაქტიკულობა გამოიჩინა და მანამ არ დაწვა ბენცთან, ვიდრე ის ვეგასში „მესალინას“ ჩვენებაზე წაყვანას არ დაჰპირდა.

სკიპი დირი ბენცის მეზობელ აპარტამენტში იმყოფებოდა, მაგრამ ბენცს წუთით არ ტოვებდა, რითაც ჯოანასთან ნანატრი სექსი ჩაუშალა. დირი ახალი ფილმის იდეით იყო შეპყრობილი და სტუდიის ხელმძღვანელს გზნებით უამბობდა ჯიმ ლაუზიზე, მაგარ პოლიციელზე, რომლის თავგადასავალი სწორედ ის „ნამდვილი ამბავი“ იყო, ფილმისთვის იდეალურ საფუძველს რომ წარმოადგენს, რადგან მასში ყველანაირი, თუნდაც დაუჯერებელი ეპიზოდის შეზავება იყო შესაძლებელი. ლაუზი ისეთ ვაჟკაცად აღუწერა, რომელიც, საქმე საქმეზე თუ მიდგა, თვითონვე შეძლებდა საკუთარი თავის ეკრანზე განსახიერებას. ცხადია, დირმაც და ბენცმაც მშვენივრად იცოდნენ, რომ ლაუზისთვის მისსავე ბიოგრაფიაში მთავარი როლის შემოთავაზება უბრალო სატყუარა იქნებოდა, რითაც პოლიციელს დაითანხმებდნენ, იდეა მათთვის იაფად მიეყიდა.

სკიპიმ გატაცებით აღუწერა ბენცს თავისი ჩანაფიქრი. მასზე უკეთ

არავის შეეძლო არარსებული ქონების გაყიდვა. აღტყინებულმა ტელეფონს ხელი სტაცა და ლაუზი ხუთი საათისთვის კოქტეილზე ბენცის ვილაში დაპატიჟა. ლაუზიმ მეგობრის წამოყვანის უფლება ითხოვა. დირი დათანხმდა, დარწმუნებული იყო, რომ პოლიციელი ქალს გულისხმობდა. დირს, როგორც პროდიუსერს, უყვარდა, როცა წვეულებებზე სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენლებს ახვედრებდა ერთმანეთს: ამას ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი სასწაული მოჰყვებოდა.

კროსი და ლია ვაზი პენტჰაუსში სამოქმედო გეგმის დეტალებზე საუბრობდნენ.

- ჩემი ხალხი ყველა თავ-თავის ადგილასაა. ისინი სასტუმროს ტერიტორიას გააკონტროლებენ, მაგრამ არ ეცოდინებათ, რას გავაკეთებთ. ამაღამ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ: როგოც გადმომცეს, დანტეს ბრძანებით, ბრონქსის დაჯგუფების ხალხი უდაბნოში შენთვის განკუთვნილ საფლავს თხრის, - უთხრა ლიამ.

- ის უფრო მაწუხებს, ამ ღამის შემდეგ რა მოხდება. აწი უშუალოდ დონთან მოგვიწევს დაპირისპირება. გგონია, ჩვენს ვერსიას დაიჯერებს?

- არა მგონია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

- ჰო, არჩევანი არ მაქვს: დანტემ მამაჩემი მოკლა და ახლა ჩემს მოკვლას აპირებს, - მხრები აიჩეჩა კროსმა, - იმედი მაქვს, დონი თავიდანვე მის მხარეს არ იყო. თუ ასეა, მაშინ არანაირი შანსი არ გაგვაჩნია.

- შეგვიძლია გეგმა გავაუქმოთ და ჩვენი გასაჭირით დონს მივმართოთ. თვითონვე გადაწყვიტოს ჩვენი ბედი.

- არა, საკუთარი შვილიშვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

- მართალია, - უთხრა ლიამ, - მაგრამ დონი მაინც დასუსტებული მეჩვენება: წინათ არასოდეს შეარჩენდა ჰოლივუდელებს შენს მოტყუებას, ფულის კი არა, ღირსების გამო.

კროსს გაეღიმა. მას ლიასთვის დევიდ რედფელოს ამბავი არ უთქვამს.

- შენი ნომერი როგორ მოგწონს? - ჰკითხა მან ლიას.

- სისულელეა ასეთი ფუფუნება, - უპასუხა სიგარის კვამლში გახვეულმა ლიამ, - ყოვლად გამოუსადეგარი და საშიშიცაა. რა საჭიროა, ვინმემ ასეთ სიმდიდრეში იცხოვროს? ეს ღარიბების შეურაცხყოფაა და ხალხზე გამაღიზიანებლად მოქმედებს. ამის შემდეგ რა გასაკვირია, მდიდრებს ღარიბები თუ ხოცავენ? მამაჩემი სიცილიაზე ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი იყო, მაგრამ ასეთ ფუფუნებაში არ უცხოვრია.

- შენ ამერიკას ვერ გაუგე,ლია, - უთხრა კროსმა, - ღარიბი კაცი ასეთი ვილის ინტერიერს რომ ნახავს, სიხარულით ცას ეწევა, რადგან გულის სიღრმეში ეცოდინება, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც ეღირსება ასეთ ცხოვრებას.

ამ დროს პენტჰაუსის პრივატული ტელეფონი აწკრიალდა. კროსს გული შეუქანდა: ყურმილში ათენას ხმა გაისმა.

- იქნებ წვეულების დაწყებამდე ერთმანეთს შევხვედროდით? - ჰკითხა ქალმა.

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩემთან ამოხვალ. აქაურობას ვერ დავტოვებ, - უთხრა კროსმა.

- რა თავაზიანი ხარ, - ცივი ხმით უთხრა ათენამ, - მაშინ წვეულებიდან ადრე წამოვალ და ჩემს ვილაში მოდი.

- მართლა არ შემიძლია, - უთხრა კროსმა.

- დილით ლოს-ანჯელესში მივფრინავ, ზეგ კი - საფრანგეთში. მარტონი მანამ ვერ დავრჩებით, ვიდრე საფრანგეთში ჩამოხვალ... თუკი ჩამოხვალ.

კროსმა ლიას შეხედა, იმან წარბები შეკრა და თავი გააქნია.

- ძალიან გთხოვ, აქ მოდი, ახლავე. კარგი? - უთხრა მან ათენას.

- კარგი, - ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უპასუხა ქალმა, - ერთი საათი მაცადე.

- მანქანასა და დაცვას გამოგიგზავნი. შენი ვილის შესასვლელთან დაგელოდებიან, - უთხრა კროსმა და როცა ყურმილი დაკიდა, ლიას მიუბრუნდა: - ეს ქალიც საფუძვლიანად უნდა დავიცვათ. დანტე იმდენად შეშლილია, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ბენცის ვილაზე სახელდახელოდ გამართული კოქტეილის წვეულება ლამაზი ქალების გარემოცვაში მიმდინარეობდა.

მილო სტიუარტმა თან ჩამოიყვანა საფუძვლიანი სასცენო რეპუტაციის მქონე ახალგაზრდა მსახობი, რომლისთვისაც მას და დირს ლაუზის ფილმში ქალის მთავარი როლის მიცემა უნდოდათ.

შთამბეჭდავი ეგვიპტური სილამაზით გამოირჩეოდა, მკვეთრი ნაკვთებითა და თავდაჭერებული მიხრა-მოხრით. ბენცს გვერდით ნორჩი ჯოანა ეჯდა, ვისთვისაც ჯერ ფსევდონიმიც არ მოეგონათ. ათენა ამ დღეს განსაკუთრებულად ლამაზი იყო. მას გარს ეხვეოდნენ მეგობრები: კლოდია, დიტა და მოლი ფლენდერსი. ათენა უჩვეულოდ გარინდული იყო, თუმცა ჯოანა და თეატრის მსახიობი ლაიზა რონგეითი მოწიწებითა და შურით შეჰყურებდნენ. თითოეულს იმედი ჰქონდა, ოდესმე ამ დედოფლის ადგილს დაიკავებდა.

კლოდიამ ბობი ბენცს ჰკითხა:

- ჩემი ძმა არ დაპატიჟე?

- როგორ არა, მაგრამ ვერ მოიცალა, - უპასუხა ბენცმა.

- გმადლობ, რომ ერნესტის ოჯახს წილი არგუნე, - მკვახედ გაუღიმა კლოდიამ.

- მოლიმ დამაყაჩაღა, - უპასუხა ბენცმა. კლოდიას გესლიანობა არ აბრაზებდა, კლოდია მოსწონდა, შესაძლოა, იმიტომ, რომ ამ ქალისადმი მერიონიც კარგად იყო განწყობილი, - საფეთქელზე თოფი მომადო.

ბენცს თვალი გაუშტერდა. უეცრად ცრემლი მოადგა. მერიონი მოაგონდა, იგრძნო, რომ თვითონ მისნაირი ვერასოდეს გახდებოდა, და უსაზღვროდ მოენატრა.

ამასობაში სკიპი დირმა ჯოანა კუთხეში მიიმწყვდია და თავის ახალ ფილმზე უამბობდა, სადაც მისთვის არაჩვეულებრივი ეპიზოდური როლი ეგულებოდა: უმანკო გოგონა, რომელსაც ნარკოდილერი

უსასტიკესად აუპატიურებს და კლავს.

- ამ როლისთვის ზედგამოჭრილი გარეგნობა გაქვთ. მართალია, გამოცდილება გაკლიათ, მაგრამ, თუ ნებას დამრთავთ, ბობის დავასწრებ და თავად ჩაგიტარებთ ინსტრუქტაჟს. და კიდევ: გირჩევთ, სახელი შეიცვალოთ. ჯოანა თქვენი მომავალი კარიერისთვის მეტისმეტად ბანალურია.

გოგონას ლოყები შეუფაკლდა. დირმა აღტაცებით გაიფიქრა: „მაინც რა გულისამაჩუყებლად სწამთ გოგონებს თავიანთი სილამაზის, როგორ ესწრაფვიან ვარსკვლავობას! თითქმის ისევე, როგორც აღორძინების ხანის ქალიშვილები ოცნებობდნენ წმინდანობაზე“. ერნესტ ვეილის ირონიული სახე წარმოუდგა, მაგრამ გულში თქვა: „იცინე, რამდენიც გენებოს, ესეც სულიერი სწრაფვაა. ორივე შემთხვევაში ეს გზა მოწამებრივი უფროა, ვიდრე სასიხარულო, მაგრამ რას იზამ: ეს დიდების აუცილებელი საფასურია“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯოანა ბენცთან გაიქცა ამ ახალ შეთავაზებასთან დაკავშირებით მოსათათბირებლად. დირი მილო სტიუარტსა და მის ახალ მეგობარ ლაიზას მიუახლოვდა. სასცენო წარმატების მიუხედავად, დირს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ ეს გოგონა ეკრანზეც მსგავს ეფექტს მოახდენდა: ამგვარი სილამაზისადმი კამერა უმოწყალო იყო. თანაც, ქალი ბევრი კინოროლისთვის მეტისმეტად ჭკვიანი ჩანდა. მაგრამ მილო მისთვის ლაუზის ფილმში მთავარ როლს ითხოვდა, ხოლო მილოს მოთხოვნა ზოგ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო. თანაც, ასეთ ფილმში ქალის მთავარ

როლს დიდი მნიშვნელობა სულაც არ ჰქონდა.

დირმა ლაიზას ორივე ლოყაზე აკოცა.

- ნიუ-იორკში გნახეთ. არაჩვეულებრივად ითამაშეთ. იმედი მაქვს, ჩემს ახალ ფილმში მონაწილეობაზე დაგვთანხმდებით. მილო ფიქრობს, რომ ეს კინოში კარგ რეპუტაციას შეგიქმნით.

- სცენარს უნდა გავეცნო, - ცივად მიუგო ლაიზამ. დირს ბოღმა მოაწვა: ქალს ისეთი შანსი ეძლეოდა, რომელიც მთელ ცხოვრებას შეუცვლიდა, ის კი თავს იფასებდა. მილოს ამ სცენამ ღიმილი მოჰგვარა.

- ცხადია, - თავი დაუკრა დირმა ქალს, - მაგრამ მერწმუნეთ, ისეთ სცენარს არ შემოგთავაზებთ, თქვენს ნიჭს რომ არ შეეფერებოდეს.

მათ საუბარში მილო ჩაერია.

- ლაიზა, ჩვენ მაღალი კლასის ფილმში მთავარ როლს გაძლევთ. სცენარი პიესა არ არის, ისშეიძლება, შენი ინტერესების შესაბამისად შევცვალოთ კიდეც.

- არ დაიჯერო, პიესებსაც ცვლიან, - ღიმილით უთხრა ლაიზამ.

ამ დროს ჯიმ ლაუზი და დანტე კლერიკუციო შემოვიდნენ და დირი მათთან მისასალმებლად და დანარჩენებისთვის წარსადგენად გაეშურა.

ლაუზი და დანტე ძალზე სასაცილო წყვილი იყო: ზორბა ლაუზის ოფიციალური კოსტიუმი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა, მის გვერდით არაბუნებრივად დაბალ დანტეს მოკლემკლავიანი მაისურიდან დაბერილი კუნთები მოუჩანდა, თავზე უცნაური მარგალიტებიანი ქუდი

ეხურა. ჰოლივუდური ზმანებების მწარმოებლებს თვალში ეცათ ამ შეუსაბამობის ბუნებრიობა: ეს წყვილი ზმანებებიდან კი არა, რეალური სამყაროდან იყო მოსული, სახეებიც არაჰოლივუდური, ცივი და პირქუში ჰქონდათ. P SEP

ლაუზი დაუყოვნებლივ ათენასთან მივიდა და უთხრა, რომ „მესალინას“ ჩვენებას მოუთმენლად ელოდა. თავი თამამად ეჭირა: ქალები მიმზიდველ მამაკაცად თვლიდნენ, მაშ, ათენა რატომღა უნდა ყოფილიყო გამონაკლისი? P SEP

დანტემ სასმელი აიღო და ტახტზე დაჯდა. მას კლოდიას გარდა არავინ გაჰკარებია. წლების მანძილზე ნათესავები ერთმანეთს სულ სამჯერ თუ შეხვდნენ, ბავშვობის მოგონებების გარდა, არაფერი ჰქონდათ საერთო. კლოდიამ გადაკოცნა. პატარაობაში დანტე სასტიკად აწვალებდა, მაგრამ კლოდიას მაინც მისდამი თბილი გრძნობა შერჩა. P SEP

- ნამდვილი მზეთუნახავი ხარ, - უთხრა დანტემ და ხელი გადახვია, - ბავშვობაში ასეთი ლამაზი რომ ყოფილიყავი, ასე ხშირად არ გცემდი.P SEP

კლოდიამ ქუდი მოხადა.P SEP

- კროსმა შენი ქუდები აღმიწერა. ძალიან გიხდება. ასეთი ლამაზი ქუდი რომის პაპსაც კი არ აქვს.P SEP

- იცოცხლე, ქუდები იმას აქვს თუ აქვს, - უთხრა დანტემ. - ვინ იფიქრებდა, რომ კინობიზნესში ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდებოდი?!P SEP

- შენ რას შვრები? - ჰკითხა კლოდიამ.

- ხორცპროდუქტების კომპანია მაქვს. სასტუმროებს ვამარაგებთ, - ღიმილით მიუგო დანტემ. - მომისმინე, შეგიძლია, თქვენი მშვენიერი ვარსკვლავი გამაცნო?

კლოდიამ ის ათენასთან მიიყვანა. ლაუზი ჯერ კიდევ არ მორჩენილა ქათინაურებს. დანტეს ქუდის დანახვაზე ათენას გაეღიმა, დანტემ კი მასზე ხალისიანი და ნათელი შთაბეჭდილების მოსახდენად მთელი თავისი ხიბლი გამოიყენა. ლაუზი განაგრძობდა:

- დარწმუნებული ვარ, თქვენს ფილმს დიდი წარმატება ელის. იქნებ წვეულების შემდეგ ნება დამრთოთ, თქვენი პირადი დაცვის როლი შევასრულო და ვილამდე მიგაცილოთ? იქ კი შეგვიძლია, ერთად დავლიოთ.

ათენა ტაქტიანი უარის დიდოსტატი გახლდათ.

- სიამოვნებით, მაგრამ წვეულებაზე მხოლოდ ნახევარ საათს დავრჩები და არ მინდა, ჩემ გამო დროს ტარებას გამოაკლდეთ. ადრიანი დილით საფრანგეთში მივფრინავ და ძალზე ბევრი საქმე მაქვს.

დანტე ამ ქალს აღფრთოვანებით უყურებდა. ცხადად ხედავდა, რომ ათენას ეს კაცი სძაგდა და მისი ეშინოდა, მაგრამ მაინც არ დაუკარგა იმის იმედი, რომ სხვა ვითარებაში შეიძლებოდა, ერთად ყოფილიყვნენ.

- ლოს-ანჯელესში გამოგყვებით, - არ დანებდა ლაუზი, - რა დროს მიფრინავთ?

- გმადლობ ყურადღებისთვის, მაგრამ ეს მცირე ზომის ჩარტერული თვითმფრინავია და ყველა ადგილი დაკავებულია, - უთხრა ათენამ.

ცოტა ხანში საკუთარ ვილაში დაბრუნდა და კროსს ტელეფონით შეატყობინა, რომ მასთან მოდიოდა.

სასტუმროს პენტჰაუსში ათენას დაცვის თანამშრომელთა რაოდენობა ეცა თვალში. ლიფტი საგანგებო გასაღებით იღებოდა, მის ჭერზე კამერები იყო დამონტაჟებული. ლიფტიდან რომ გამოვიდა, დერეფანში დაცვის ხუთი წარმომადგენელი დახვდა. ქალს ყველამ გაოცებითა და აღფრთოვანებით შეხედა. ათენა ამგვარ მზერას შეჩვეული იყო, დიდი ხანია, მიხვდა, რომ განსაკუთრებული სილამაზის პატრონი იყო, მაგრამ სიამაყის ნაცვლად ეს დამოკიდებულება ახლა შიშს ჰგვრიდა.

ერთ-ერთმა გუშაგმა, რომელიც მონიტორიან მაგიდასთან იჯდა, თითი ღილაკს დააჭირა და პენტჰაუსის კარი გაიღო. როგორც კი ათენა შიგნით შევიდა, კარი ისევ დაიკეტა.

კროსი საოფისე განყოფილებაში დახვდა, ტუჩებში აკოცა და საძინებელში შეიყვანა. ორივემ უსიტყვოდ ტანთ გაიხადა. ერთმანეთს გადახვეულები იდგნენ. კროსს ქალთან შეხებამ არნახული შვება მოჰგვარა, მან ამოიოხრა და თქვა:

- შენთან ყოფნაზე მეტად ქვეყნად არაფერი მინდა.

პასუხად ათენამ ალერსითა და კოცნით დაატკბო, ხელი ჩასჭიდა და საწოლისკენ წაიყვანა. დიდი ხნის განმავლობაში პირველად განიცადა ფიზიკურ ნეტარებასთან ერთად, სულიერიც. გრძნობდა, რომ ამ

მამაკაცს ნამდვილად უყვარდა და მისთვის არაფერს დაიშურებდა. თვითონაც მზად იყო, მისი ყველა სურვილი აესრულებინა. და მაინც, ამ კაცის მხრიდან გამუდმებით რაღაც იდუმალ საფრთხეს გრძნობდა.

ერთი საათის შემდეგ ტანთ ჩაიცვეს და აივანზე გავიდნენ.

ჩამავალი მზის წითელ სხივებს ვეგასის ნეონის განათება ემატებოდა და სასტუმროს შენობას ერთიანად ოქროსფერი შარავანდედი მოსავდა. შორს უდაბნო და მთები მოჩანდა. ეს მათი უკანასკნელი პაემანი იყო. ათენამ კროსს ხელი ჩასჭიდა და ჰკითხა:

- ფილმის ჩვენებასა და წვეულებაზე გნახავ?

- ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია. საფრანგეთში ჩამოვალ.

- როგორც შევნიშნე, შენთან შეხვედრა ძნელია. ძლიერი დაცვა გყავსდა ლიფტიც დაკეტილია.

- ეს მხოლოდ ამ რამდენიმე დღისთვისაა. ახლა აქ ძალზე ბევრი უცხო ადამიანი ტრიალებს.

- შენი დეიდაშვილი დანტე გავიცანი, - უთხრა ათენამ, - ეტყობა, ამ გამომძიებელთან ძმაკაცობს. ერთად ძალიან სასაცილონი არიან. ორივემ დახმარება და დაცვა შემომთავაზა. როგორც ჩანს, ძალიან აღელვებთ ჩემი ლოს-ანჯელესში მშვიდობით ჩასვლა.

- მშვიდობით ჩახვალ, - უთხრა კროსმა და ხელი მაგრად ჩასჭიდა.

- დანტე ასეთ უცნაურ ქუდებს რატომ იხურავს?

- დანტე კარგი ბიჭია.

- კლოდიამ კი მითხრა, რომ ბავშვობიდან ერთმანეთს

მტრობდით.

- ჰო, ვჩხუბობდით ხოლმე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარყოფითი პიროვნებაა.

ერთხანს დუმდნენ. ქვევით განათებული ქუჩები მანქანებითა და ფეხით მოსიარულეებით იყო სავსე. ეს ხალხი რისკთან დაკავშირებულ სიამოვნებასა და ბედისწერასთან თამაშს ეშურებოდა.

- ესე იგი, ერთმანეთს უკანასკნელად ვხედავთ, - უთხრა ათენამ.

- ხომ გითხარი, საფრანგეთში ჩამოვალ-მეთქი.

- როდის?

- არ ვიცი, - უპასუხა კროსმა, - თუ არ ჩამოვედი, ჩემი სიკვდილის ამბავს შეიტყობ.

- ასე სერიოზულადაა საქმე?

- ჰო.

- ამის შესახებ არაფერს მიამბობ?

კროსმა არ უპასუხა. მერე თქვა:

- შენ უსაფრთხოდ იქნები. და ვფიქრობ, არც მე მომივა რამე. ამაზე მეტს ახლა ვერაფერს გეტყვი.

- დაგელოდები, - უთხრა ათენამ, აკოცა და ნომრიდან გავიდა. კროსმა მის მანქანას აივნიდან გააყოლა თვალი. მერე ლია ვაზის დაურეკა და სთხოვა, ათენას ვილასთან დაცვა გაეძლიერებინა.

ათი საათისთვის სადღესასწაულო დარბაზის თეატრალური ნაწილი სავსე იყო ხალხით. წინ განსაკუთრებული სტუმრებისთვის რბილი სავარძლები დაედგათ, თითოეულს ტელეფონის კონსოლიც მიუდგეს.

ერთ-ერთი სავარძელი ცარიელი იყო, ზედ უზარმაზარი გვირგვინი იდო, რომელზეც სტივ სტოლინგზის სახელი ეწერა. დანარჩენები დაიკავეს: კლოდიამ, დიტა ტომიმ, ბობი ბენცმა, ჯოანამ და მილო სტიუარტმა ლაიზასთან ერთად. სკიპიმ მაშინვე ტელეფონი მოიმარჯვა.

დარბაზში სულ ბოლოს ათენა შემოვიდა. რიგითი სტუმრები მას ტაშით შეეგებნენ, კინოს არისტოკრატიამ კი სათითაოდ გადაკოცნა და გადაღების დასრულება მიულოცა. როგორც კი ათენამ თავისი ადგილი დაიკავა, სკიპიმ ტელეფონით განკარგულება გასცა, ფილმის ჩვენება დაეწყოთ.

შავ ფონზე გამოჩნდა წარწერა: „ეძღვნება სტივ სტოლინგზის ხსოვნას“. ბენცი და დირი ამ ჩართვის წინააღმდეგი იყვნენ, დიტამ კი დაიჟინა, კაცმა არ იცის, რატომ. თუმცა ბენცმა თქვა, ჯანდაბას, ეს ხომ მხოლოდ სამუშაო ვარიანტიაო.

შემდეგ ფილმი დაიწყო...

ათენა მომაჯადოებელი იყო. ეკრანზე კიდევ უფრო მიმზიდველი და ნატიფი ჩანდა და თავისი ნიჭისა და ჭკუის გამოვლენაც შეძლო, რასაც კლოდიას მიერ დაწერილმა ტექსტმაც შეუწყო ხელი. ეროტიკული სცენებიც მაღალი გემოვნებით იყო გადაღებული.

უკვე ეჭვს არავისში იწვევდა, რომ „მრავალტანჯული“ „მესალინა“ სეზონის ყველაზე წარმატებული ფილმი იქნებოდა. დიტა ტომი მეცხრე ცაზე იყო: როგორც იქნა, მაღალი რანგის სურათის რეჟისორობას ეღირსა. მილო სტიუარტი გონებაში ანგარიშობდა, ათენას მომდევნო

სურათისთვის რამდენი მოეთხოვა. შუბლშეჭმუხნილი ბენცი იმავე თემაზე ფიქრობდა. სკიპი დირი თავის მოგებას ითვლიდა. როგორც იქნა, საკუთარ თვითმფრინავს შეიძენდა.

კლოდია სხვებზე უფრო აღტაცებული იყო. მისი ქმნილება ეკრანზე გაცოცხლდა, თანაც, ეს ორიგინალური სცენარი იყო და მისთვის კლოდია, მოლის წყალობით, მაღალ პროცენტს მიიღებდა. მართალია, ბენი სლაიმ სცენარი ცოტათი გადააკეთა, მაგრამ არა იმდენად, რომ ეს ვინმეს სათვალავში მიეღო.

ყველა ათენასა და დიტა ტომის გარშემო შეგროვდა, ყველანი ულოცავდნენ. მოლიმ ერთ-ერთ კასკადიორს დაადგა თვალი. კასკადიორებს მუდამ ღონიერი სხეულები ჰქონდათ და საწოლში ყველას სჯობდნენ.

სტივ სტოლინგზის გვირგვინი ძირს ჩამოცურდა. ხალხი ყურადღებას არ აქცევდა, ზედ ფეხს აბიჯებდა. ათენა დაიხარა, გვირგვინი იატაკიდან აიღო და ისევ სავარძელზე დადო. ათენასა და მოლის მზერა შემთხვევით შეხვდა ერთმანეთს, ათენამ უხერხულად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

ყველამ დარბაზის მეორე ნაწილში გადაინაცვლა და მაგიდებს მიაწყდა. ორკესტრი უკვე უკრავდა, მალევე ცეკვაც დაიწყო. მოლი კასკადიორს მიუახლოვდა. ასეთ წვეულებებზე მისი პროფესიის ხალხი თავს ყველაზე უფრო დაჩაგრულად და უგულებელყოფილად გრძნობდა: მთელი დიდება რომელიმე ნებიერა ვარსკვლავს ხვდებოდა, რომელიც კამერის წინ უბათქუნებდა, არადა,

სინამდვილეში, კასკადიორი ასეთ დოყლაპიას ცალი ხელით მიახრჩობდა. როცა კაცმა საცეკვაოდ გაიყვანა, მოლიმ გაიფიქრა: აი, ნამდვილი კასკადიორი: ასო უკვე საბრძოლო მზადყოფნაში აქვსო.

ათენა მხოლოდ ერთ საათს დარჩა. მილოცვების საპასუხოდ მადლიერებას ნატიფად გამოხატავდა, მაგრამ ამასთანავე, საკუთარ სინატიფეს თვითონვე სიყალბედ აღიქვამდა და ამის გამო თავი ეზიზღებოდა. გადამღები ჯგუფის რამდენიმე წევრს ეცეკვა, მათ შორის კასკადიორს, რომლის გამოკვეთილმა აგრესიულობამ საბოლოოდ გადააწყვეტინა წასვლა.

სასტუმროს „როლს-როისი“ შეიარაღებული მძღოლითა და დაცვით გასასვლელთან ელოდებოდა.

როცა თავისი ვილის წინმანქანიდან გადმოვიდა, უეცრად მეზობელი ვილიდან გამოსული ჯიმ ლაუზი დაინახა. პოლიციელი მისკენ წამოვიდა და უთხრა:

- ეკრანზე საუცხოო იყავით. არასოდეს მინახავს ქალის ასეთი ლამაზი სხეული, განსაკუთრებით - დუნდულები.

ათენამ თვალის კუთხით შენიშნა, რომ მძღოლი და დაცვის წევრები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და საბრძოლო პოზიცია მიიღეს.

- ეს ჩემი დუნდულები არ ყოფილა, - მიუგო ლაუზის, - მაგრამ მაინც გმადლობ.

ლაუზიმ სწრაფად ჩასჭიდა ხელი.

- თქვენ უმშვენიერესი ქალი ხართ მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს. იქნებ, ამ ქალაჩუნა მსახიობების ნაცვლად, ერთხელ მაინც

მოსინჯოთ ნამდვილი ვაჟკაცი?

- მეც მსახიობი ვარ. ჩვენ ქალაჩუნები არ ვართ, - ათენამ ხელი გამოსტაცა. - ღამე მშვიდობისა.

- შემოვალ, თითო ჭიქა დავლიოთ.

- არა, მაპატიეთ, - უთხრა ათენამ და ვილის კარზე დარეკა. კარი უცხო შვეიცარმა გაუღო, რომელიც მანამდე არ შეხვედრია.

ლაუზიმ კიბე აირბინა, მაგრამ ათენას გასაოცრად, ახალმა შვეიცარმა ის კარში გაატარა, თვითონ კი გარეთ დარჩა და ლაუზის წინ აიტუზა. დაცვის ოთხი წევრიც, მძღოლის ჩათვლით, აგრეთვე, ღია კარს აეფარა.

- ეს რა ჯანდაბაა?! - დაიღრიალა ლაუზიმ.

- მის ექვითეინის დაცვა. აქედან წასვლა მოგიწევთ, - უპასუხა შვეიცარმა.

ლაუზიმ პირადობის მოწმობა ამოიღო.

- ხომ ხედავთ, ვინ ვარ! დედას გიტირებთ, ყველას ციხეში ჩაგყრით!

შვეიცარმა მოწმობას დახედა.

- ლოს-ანჯელესის პოლიციდან ხართ და აქაურობაზე თქვენი უფლებამოსილება არ ვრცელდება, - თვითონაც ამოიღო მოწმობა და ლაუზის უჩვენა, - მე კი ლას-ვეგასის ოლქს ვეკუთვნი.

ჟერ კიდევ ზღურბლთან მდგომი ათენა არ მოელოდა, მისი შვეიცარი პოლიციელი თუ აღმოჩნდებოდა, ახლა კი თანდათან ყველაფერს მიხვდა.

- კარგი, საქმეს ნუღარ გავართულებთ, - მშვიდად უთხრა დაცვას და კარი მიხურა.

ორივე პოლიციელმა მოწმობა შეინახა.

- ყველას დაგიმახსოვრებთ, - გამოცრა ლაუზიმ და გატრიალდა. უფრო მნიშვნელოვანი საქმე ელოდა: ორი საათის შემდეგ დანტე კლერიკუციოს კროს დე-ლენა მათ ვილაში უნდა მიეყვანა.

დანტე კლერიკუციო წვეულებაზე შესანიშნავად ატარებდა დროს. ერთი მიმტანი გოგონა მიზანში ამოიღო, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ერთ-ერთი კასკადიორი აირჩია. კასკადიორი დანტეს მრისხანედ უბღვერდა. შენი ბედი, რომ ამაღამ არ მცალიაო, უთხრა გულში დანტემ და მაჯის საათს დახედა. იქნებ ჯიმმა მართლაც მოიხელთა ათენა? ტიფანი არ გამოჩენილა, თუმცა კროსი დაჰპირდა, წვეულებაზე იქნებაო. დანტემ გადაწყვიტა, ნახევარი საათით ადრე დაეწყო. კროსს ოპერატორის მეშვეობით პირად ნომერზე დაურეკა. კროსმა უპასუხა.

- ახლავე უნდა დაგელაპარაკო, - უთხრა დანტემ, - სადღესასწაულო დარბაზში ვარ. მაგარი წვეულებაა.

- ჩემთან ამოდი, - უთხრა კროსმა.

- არა, - თქვა დანტემ, - მითითებები ასეთია: ვერც შენს ნომერში და ვერც ტელეფონით ვერ დაგელაპარაკები.

კროსმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უპასუხა:

- კარგი, ჩამოვალ.

დანტე ისეთი ადგილი შეარჩია, რომ უმალ დაენახა დარბაზში

შემოსული კროსი. აქეთ-იქით მიმოიხედა და დაცვა ვერ შენიშნა. ბავშვობა მოაგონდა, როცა კროსი ერთადერთი ბიჭი იყო, ვისიც ეშინოდა და ამ შიშის გამო კროსს სულ მუდამ ემტერებოდა. მაგრამ კროსის სილამაზე მოსწონდა, შურდა კიდეც.

იცოდა, რაკი პიპი მოკლა, კროსს ცოცხალს ვერ დატოვებდა. ამის შემდეგ კი დონის წინაშე მოუწევდა თავის მართლება. თუმცა, დანტეს პაპას სიყვარულში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. იცოდა, დონი მისი საქციელით უკმაყოფილო იქნება, მაგრამ თავის შემზარავ ძალას ძვირფასი შვილიშვილის დასასჯელად არასოდეს გამოიყენებს.

კროსი მას გზაზე ეღობებოდა. ახლა ისღა რჩებოდა, თავის ვილაში წაეყვანა, სადაც ლაუზი ელოდებოდა. რევოლვერით მოკლავდა, გვამს კი უდაბნოში დამარხავდნენ. ვილის უკან უკვე ელოდებოდათ მანქანა. როგორც პიპი დე-ლენა იტყოდა, საქმე მარტივად უნდა გაკეთდეს.

- რაშია საქმე? - ჰკითხა კროსმა, თუმცა არც ეჭვი, არც სიფრთხილე არ ემჩნეოდა. - ლამაზი ქუდი გაქვს, - გაეღიმა, როცა ქუდს დააკვირდა. დანტეს ეს ღიმილიც შურს აღუძრავდა: კროსი ისე იღიმოდა, თითქოს დანტეს ყველა ფიქრი ზეპირად იცოდა.

დანტე არ ჩქარობდა. კროსს ხელკავი გაუყარა და ძალიან ნელა გაიყვანა გარეთ, დიდი ფერადი კარვის წინ, რომელიც სასტუმროს ათი მილიონი დოლარი დაუჯდა. წითელი, მწვანე, იასამნისფერი სინათლეები მათ სახეებზე აირეკლა, მთვარის ნათება კი ყველაფერს სიმკრთალეს ანიჭებდა.

- ჯორჯო ჩამოფრინდა, - ყურში ჩასჩურჩულა დანტემ კროსს, -

სრულიად საიდუმლოდ. ჩემს ვილაშია. ახლავე უნდა შენთან ლაპარაკი. ამიტომაც ვერაფერი გითხარი ტელეფონით, - სიამოვნებით შენიშნა კროსის სახეზე შეშფოთება, - არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ ძალიან შეწუხებული ჩანს. მგონი, მამაშენზე რაღაც გაიგო.

კროსმა წარბები შეკრა და უთხრა, კარგი, წავიდეთო.სასტუმროდან გავიდნენ. ვილების ტერიტორიის შესასვლელთან მდგომმა დაცვის ოთხეულმა კროსი რომ იცნო, ხელით ანიშნა, მიბრძანდითო.

დანტემ ეფექტური მოძრაობით გააღო ჭიშკარი, ქუდი მოიხადა და ჰაერში აიქნია.

- თქვენ შემდეგ, - უთხრა კროსს და ისეთი დამცინავი ღიმილით გაუღიმა, რომ ამ წამს ტყის სატირს ჰგავდა.

კროსმა ჭიშკარში გაიარა.

როცა ჯიმ ლაუზი ათენას პარმაღიდან ჩავიდა და თავის ვილაში დაბრუნდა, რისხვა ახრჩობდა. თანდათან დაწყნარდა და გონება მოიკრიბა. ეჭვი გაუჩნდა: რას აკეთებდა აქ ამდენი შეიარაღებული დაცვა? თუმცა, კინოვარსკვლავს რა მოეთხოვებოდა, თანაც, როგორც ჩანს, ბაზ სკანეტის ამბის შემდეგ შიშმა ჯერაც არ გადაუარაო, იფიქრა.

ვილა საკუთარი გასაღებით გააღო. შიგნით არავინ იყო, ყველა წვეულებაზე წასულიყო. ერთი საათი რჩებოდა მოსამზადებლად, ვიდრე დანტე კროსს მოიყვანდა. ჩემოდანი გახსნა და მბზინავი, სათუთად დაზეთილი „გლოკის“ რევოლვერი ამოაძვრინა. მეორე ჩემოდნის საიდუმლო ჯიბიდან ვაზნები ამოიღო. იარაღი დატენა და

მოამზადა. საქმის წინ არასოდეს ღელავდა, ამიტომაც იყო ასეთი კარგი პოლიციელი. ¶

ლაუზი საძინებლიდან სამზარეულოში გავიდა. ამ ვილაში ბევრი მიხვეულ-მოხვეული დერეფანი იყო. მაცივრიდან ლუდი და ბუტერბროდებიანი თეფში წამოიღო. ერთი ლუკმა მოკბიჩა. ხიზილალა. ნეტარებისგან სახე გაებადრა, ასეთი გემრიელი არაფერი გაესინჯა. აი, ეს იყო ცხოვრება. მისი ცხოვრებაც ამიერიდან ასეთი იქნება: ხიზილალა, შოუს გოგონები, იქნებ ათენაც. ამისთვის მხოლოდ დღევანდელი საქმე უნდა შეესრულებინა.¶

თეფშითა და ბოთლით ხელში დიდ სასტუმრო ოთახში შევიდა. ¶

პირველი, რაც თვალში ეცა, მთელ იატაკსა და ავეჯს გამჭვირვალე ცელოფანი ეფინა, რაც ოთახს მისტიკურ თეთრ ბზინვარებას ანიჭებდა. მერე, ასევე ცელოფანგადაფარებულ სავარძელში მჯდომი კაცი დაინახა, რომელიც წვრილ სიგარას ეწეოდა და ატმის ბრენდით სავსე ჭიქა ეჭირა. ეს ლია ვაზი იყო.¶

ეს რა ჯანდაბაო?! - გაიფიქრა ლაუზიმ და თეფში მაგიდაზე დადო.¶

- სწორედ შენ გეძებდი, - უთხრა ლიას.¶

ლია ფეხზე წამოდგა.¶

- ახლა ხომ მიპოვე? შეგიძლია, კიდევ ერთხელ გამილაწუნო.¶

ლაუზი გამოცდილი კაცი იყო და თავიდანვე ენიშნა, ვილის სხვა ბინები ცარიელი რომ იყო. პიჯაკი ნელა შეიხსნა და ლიას გაუღიმა. ამჯერად გალაწუნებას არ დავჯერდებიო, გაიფიქრა. ერთი საათი

რჩებოდა, ვიდრე დანტე კროსს მოიყვანდა, ლაუზი ამ დროს საქმისთვის გამოიყენებდა. ახლა იარაღი ხელში ეჭირა და ლიას პირისპირ დგომა აღარ აშინებდა.

უეცრად ოთახში სხვადასხვა მხრიდან - სამზარეულოდან, ჰოლიდან, ვიდეოს ოთახიდან - ზორბა მამაკაცები შემოვიდნენ. მათგან მხოლოდ ორს ეჭირა იარაღი.

- პოლიციელი რომ ვარ, ეს თუ იცით? - იკითხა ლაუზიმ.

- ეს ყველამ ვიცით, - დაამშვიდა ლიამ და ლაუზის მიუახლოვდა. ამავე დროს ორმა კაცმა გამომძიებელს ზურგზე იარაღი მიადო.

ლიამ ლაუზის რევოლვერი გამოართვა და ერთ-ერთ კაცს გაუწოდა.

- ჩემთან მუდამ ბევრი შეკითხვა გქონდა. ახლა რატომ არაფერს მეკითხები? - მიმართა ლიამ.

ლაუზის არც ახლა ეშინოდა, მხოლოდ ის აწუხებდა, მალე დანტე და კროსი რომ უნდა მოსულიყვნენ. ვერ იჯერებდა, ამდენ ფათერაკგამოვლილ პოლიციელს ასე იოლად თუ მოერეოდა ვინმე.

- ვიცი, სკანეტი შენ მოკალი და ამისთვის, ადრე თუ გვიან, ჩაგსვამ, - უთხრა მან ლიას.

- ადრე მოგიწევს, რადგან გვიან ვეღარ მოასწრებ, - უთხრა ლიამ. - ჰო, მართალი ხარ, ახლა კი შეგიძლია, მშვიდად მოკვდე.

ლაუზის ბოლო წუთამდე არ ეგონა, ვინმე ასე ცივსისხლიანად თუ გაბედავდა პოლიციელის მოკვლას. ცხადია, ნარკოდილერს ან გადარეულ ზანგს შეეძლო მანამ ესროლა, ვიდრე ის პოლიციელის

მოწმობის ამოღებას მოასწრებდა, ასევე მოიქცეოდნენ ბანკის მძარცველებიც, რომლებსაც საქმეზე წაასწრეს, მაგრამ სამოქალაქო პირს ამის მშვიდად და განზრახ ჩადენა არ უნდა გაებედა.

ლიას ხელი ჰკრა, უნდოდა, ვითარება საკუთარი კონტროლის ქვეშ მოექცია, მაგრამ უეცრად მუცელში აუტანელი წვა იგრძნო. ფეხები აუკანკალდა და მუხლები მოეკვეთა. მერე თავშიც იგრძნო დარტყმა, ყურში კი თითქოს ცეცხლი აუგიზგიზდა და სმენა დაეხშო. ხალიჩაზე ჩაცურდა და ძლივს ასწია თავი. ზემოდან ლია ვაზი დაჰყურებდა, რომელსაც ხელში აბრეშუმის წვრილი ზონარი ეჭირა.

ლია ვაზიმ ორი დღე მოანდომა ბრეზენტის ორი დიდი ტომრის კერვას. თითოეულში ზრდასრული ადამიანი ჩაეტეოდა. ტომრებიდან სისხლი არ გაჟონავდა. სასტუმრო ოთახში შემოსულმა ლაუზიმ ტახტზე ეს ტომრები ვერ შენიშნა. ახლა ლიას ხალხმა მისი უსულო სხეული ერთ-ერთში შეაცურა, ლიამ კი ზედ ზონარი გადაუჭირა და ტომარა ტახტზე მიაყუდა. თავის ხელქვეითებს დაავალა, ვილისთვის ალყა შემოერტყათ, მაგრამ ვიდრე არ დაუძახებდა, არ შემოსულიყვნენ.

დანტე და კროსი უდაბნოს ცხელი ჰაერით გაჟღენთილ ღამეში მიაბიჯებდნენ. ორივეს ოფლი სდიოდა. დანტემ შენიშნა, რომ კროსს შლაქსი, გულზე შეხსნილი პერანგი და ღილებშეკრულიპიჯაკი ეცვა. შესაძლებელია, იარაღი ჰქონოდა...

შვიდივე ვილის თავზე მწვანე დროშები ფრიალებდა. ეს შენობები სხვა საუკუნიდან გადმოსულ სასახლეებს ჰგავდა.

- ნახე, რა ლამაზია, - უთხრა დანტემ კროსს, - გავიგე, იმ მაგარ

ნაშას ხმარობ, ფილმში რომ თამაშობს. გილოცავ! როცა მოგწყინდება, გამაგებინე.

- ჰო, აბა, რა, - რბილად მიუგო კროსმა. - მგონი, შენ და შენი ქუდი ძალიან მოეწონეთ.

- ჩემი ქუდები ყველას მოსწონს, - აღფრთოვანდა დანტე და ქუდი მოიხადა, - რაო, მართლა მოვეწონე?

- ჰო, შენით მოიხიბლა.

- მაგარია, - ჩაიცინა დანტემ და გაიფიქრა, იქნებ ლაუზიმ ათენას დათრევა მოახერხაო? ეს „კერძისთვის“ დამატებითი „საკაზმი“ იქნებოდა. იგრძნო, რომ ამ საუბრით კროსი გააღიზიანა.

ვილასთან დაცვა არ ჩანდა. დანტემ ზარი დარეკა, არავინ გაუღო. ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ორივე ლაუზის აპარტამენტში შევიდა. დანტემ გაიფიქრა, იქნებ ლაუზი სწორედ ახლა ათენასთან ერთად საწოლში გორაობსო? საამისო დრო არ იყო, მაგრამ ალბათ თვითონაც ასე მოიქცეოდა.

სასტუმრო ოთახში შევიდნენ და დანტეს თავზარი დაეცა. მთელი ოთახი ცელოფანით იყო მოფენილი, ტახტზე დიდი ტომარა იყო აყუდებული, მეორე, ცარიელი ტომარა კი იქვე ტახტზე იდო.

- ღმერთო, ეს რა ჯანდაბაა?! - იკითხა დანტემ და კროსს მიუბრუნდა. კროსს ხელში პატარა რევოლვერი ეჭირა.

- ავეჯი სისხლით რომ არ დაისვაროს, - აუხსნა კროსმა, - უნდა გითხრა, შენი ქუდები არასოდეს მომწონდა და არც ის დავიჯერე, რომ მამაჩემი მძარცველმა მოკლა.

დანტემ გაიფიქრა, - ლაუზი სად ჯანდაბაშიაო?! თავი დაიმშვიდა, - ასეთი მცირე კალიბრის იარაღი ვერაფერს დამაკლებსო.

- მთელი ცხოვრება სანტადიო იყავი, - უთხრა კროსმა.

დანტე გვერდულად დადგა, რომ მისი სხეული, როგორც სამიზნე, დავიწროებულიყო, და კროსისკენ დაიძრა. მისმა ჩანაფიქრმა გაამართლა - პირველი გასროლილი ტყვია მხარში მოხვდა. წამიერად იმედი მიეცა, მაგრამ მეორე ტყვიამ მკლავი გაუგლიჯა და მიხვდა, რომ აღარაფერი ეშველებოდა. მერე კი ისეთი რამ ჩაიდინა, რამაც კროსი გააოცა: ჯანსაღი ხელით იატაკიდან ცელოფანის მოგლეჯა დაიწყო. სისხლი ღვარად სდიოდა, დანტე კი ორივე მკლავით სხეულზე ცელოფანის ნაფლეთებს იკრავდა და ფარივით იფარებდა, თან ცდილობდა, კროსს ჩოჩვით გასცლოდა.

კროსმა ნაბიჯი წინ გადადგა და ორი ტყვია ცელოფანის გროვას დაახალა. ტყვიები აფეთქდა და დანტეს სახე სისხლიან ნიღბად იქცა. ახდილ თავის ქალას ჯერ კიდევ ეხურა მარგალიტებით მოქარგული ქუდი. კროსი დაიხარა და დაინახა, რომ ქუდი თმაზე პატარა სამაგრების წყალობით ჩერდებოდა.

კროსი წელში გასწორდა და იარაღი ქამარში გაირჭო. ამ დროს ოთახში ლია ვაზი შემოვიდა. ერთმანეთს შეხედეს.

- მორჩა, - უთხრა ვაზიმ, - ახლა სააბაზანოში შედი, დაიბანე, ტანსაცმელი გამოიცვალე და ოტელში დაბრუნდი. იარაღს მე მივხედავ და ყველაფერს მოვასუფთავებ.

- ხალიჩას რაღას უზამ?

- ყველაფერს მივხედავ. მოწესრიგდი და სტუმრებთან გადი.

როცა კროსი გავიდა, ლიამ მარმარილოს მაგიდიდან სიგარა აიღო და, ვიდრე ეწეოდა, ოთახი მოათვალიერა. ტახტი და ხალიჩა სისხლით იყო გაჟღენთილი.

დანტეს გვამი ცელოფანში გაახვია და ორი კაცის დახმარებით, ტომარაში ჩადო. იქვე ჩატენა კედლებიდან და იატაკიდან ჩამოხსნილი ცელოფანი და ზონარი მაგრად გადაუჭირა. ტომრები სათითაოდ გადაიტანეს ვილის გარაჟში.

იქ მდგარი სატვირთო მანქანა ლია ვაზიმ თვითონ გადააკეთა: ორმაგი იატაკი გაუკეთა და სწორედ იქ მოათავსეს გვამები.

ლია გაწვრთნილი კაცი იყო და ყველაფრის თადარიგი ჰქონდა დაჭერილი. მანქანაში ბენზინით სავსე ორი კანისტრა ჰქონდა, რომელიც ახლა ვილაში შეიტანა და სასტუმრო ოთახში მოასხა. ოთახიდან გრძელი პატრუქი გაჭიმა, რომელიც ცეცხლის გაღვივებას ხუთი წუთით შეაყოვნებდა, ვიდრე გარეთ გაღწევას მოასწრებდა.

მერე მანქანაში ჩაჯდა და ლოს-ანჯელესისკენ აიღო გეზი. რამდენიმე ხელქვეითი ახლდა.

უკვე დილა იყო, როდესაც ტომრები იახტაზე აიტანეს და ნაპირს მოშორდნენ. შუადღეს, ღია ოკეანეში ორივე გვამი რკინის გალიაში მოათავსეს და წყალში ჩაუშვეს. ეს დანტესა და ლაუზის უკანასკნელი „ზიარება“ იყო.

მოლი ფლენდერსი თავის კასკადიორთან ერთად ვილაზე კი არ წასულა, არამედ მამაკაცს აჰყვა ნომერში, რადგან თავისებური

სნობიზმი ახასიათებდა: არ სურდა, ვინმეს გაეგო, რომ დაბალი ფენის მამაკაცთან დაიჭირა საქმე.

სადღესასწაულო დარბაზი გარიჟრაჟზე თანდათან დაიცალა. კროსმა ტანთ გამოიცვალა და კლოდიას, ბობი ბენცს, სკიპი დირსა და დიტა ტომის შეუერთდა, რომლებიც „მესალინას“ წარმატების აღნიშვნას განაგრძობდნენ. უეცრად გარედან განგაშის ხმები მოესმათ. ყველანი გარეთ გაცვივდნენ, კროსიც უკან გაჰყვა.

ვეგასის თავზე ცეცხლის წვრილი სვეტი აღმართულიყო და მაღლა, მთების თავზე, ალისფერ სოკოდ იშლებოდა.

- ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა კლოდიამ. - შენიერთ-ერთი ვილა იწვის.

კროსი მდუმარედ გაჰყურებდა მწვანე ალამს, რომელიც თანდათან ალისა და კვამლის ღრუბელში გაეხვია. მის მიერ დაღვრილი სისხლის დასაფარავად ოცი მილიონი დოლარი კვამლს გაჰყვა. ლია ვაზი მართლაც გაწვრთნილი კაცი იყო და არანაირ ხარჯს არ უფრთხოდა.

თავი 23

დეტექტივი ჯიმ ლაუზი შვებულებაში იმყოფებოდა, ამიტომაც მისი გაქრობა ვეგასში მომხდარი ხანძრიდან მხოლოდ ხუთ დღეში აღმოაჩინეს. ცხადია, დანტე კლერიკუციოს გაქრობის შესახებ პოლიციაში არავის განუცხადებია.

გამოძიების შედეგად ფილ შარკის გვამი აღმოაჩინეს და რაკი ეჭვი

ლაუზიზე აიღეს, დაასკვნეს, რომ სავარაუდოდ, ის პასუხისმგებლობას გაექცა.

ლოს-ანჯელესის დეტექტივებმა კროსი დაკითხეს, რადგან ლაუზი უკანასკნელად „ქსანადუში“ ნახეს, მაგრამ კროსს, როგორც ჩანდა, ამ პიროვნებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მან განაცხადა, რომ ლაუზი ძალზე ხანმოკლედ, წვეულებაზე ნახა.

კროსს სამართალდამცავების არ ეშინოდა. ელოდებდა, დონ კლერიკუციო როდის მიაწვდენდა ხმას.

ცხადი იყო, რომ ოჯახმა დანტეს გაუჩინარების შესახებ შეიტყო და ისიც იცოდა, რომ დანტე ბოლოს „ქსანადუში“ იმყოფებოდა. მაშ, რატომ არ უკავშირდებოდნენ კროსს? ნუთუ ყველაფერი ასე იოლად დასრულდებოდა? კროსს ამის ერთი წუთითაც კი არ სჯეროდა.

გამუდმებით სასტუმროს საქმეებით იყო დაკავებული და დამწვარი ვილის აღდგენას გეგმავდა.

კლოდია მასთან სალაპარაკოდ მოვიდა. ძალზე აღელვებული ჩანდა. კროსმა საუზმე ნომერში შეუკვეთა, რათა განმარტოებით მშვიდად ესაუბრათ.

- ამას არ დაიჯერებ, - უთხრა კლოდიამ, - შენი და სტუდია „ლოდსტოუნის“ ხელმძღვანელი გახდება.

- გილოცავ! - გაუღიმა კროსმა. - ყოველთვის ვამბობდი, რომ კლერიკუციოს ოჯახიდან შენ ყველაზე უფრო მაგარი ხარ.

- მამას დაკრძალვაზე მხოლოდ შენი ხათრით წავედი და ეს ყველას გავაგებინე კიდეც, - უთხრა კლოდიამ.

- რა თქმა უნდა, - გადაიხარხარა კროსმა, - და ყველანი გაანაწყენე, დონის გარდა. დონმა თქვა, გაუშვი, ფილმები გადაიღოს და ღმერთმა დალოცოსო.

- მისი ნათქვამი ნაკლებად მაინტერესებს. მაგრამ ეს ამბავი ისეთი უცნაურია, აუცილებლად უნდა მოგიყვე. როცა ყველამ ბობის თვითმფრინავით ვეგასი დავტოვეთ, ყველაფერი რიგზე იყო. ლოს-ანჯელესში რომ ჩავფრინდით, საშინელება დატრიალდა. პოლიციამ ბობი დააპატიმრა. გამოიცანი, რისთვის.

- ბანძი ფილმების გამოშვებისთვის? - გაეხუმრა კროსი.

- არა, ყური დამიგდე, მართლა უცნაურია. ის გოგო, ჯოანა ხომ გახსოვს, წვეულებაზე თან რომ ახლდა? გახსოვს, როგორ გამოიყურებოდა? მოკლედ, როგორც გაირკვა, მხოლოდ თხუთმეტი წლის ყოფილა. ბობი არასრულწლოვნის გარყვნისა და ტრეფიკინგისთვისაც დააკავეს, რაკი ერთი შტატიდან მეორეში გადაიყვანა, - კლოდიას თვალები აღტყინებისგან უბრწყინავდა. - არადა, ყველაფერი დადგმული ყოფილა: ჯოანას მშობლებმა ერთი ამბავი ატეხეს, - ჩვენი საბრალო გოგონა მასზე ორმოცი წლით უფროსმა მამაკაცმა გააუპატიურაო.

- თხუთმეტი წლისას ნამდვილად არ ჰგავდა, გვარიანად მოსული ნაშა იყო, - შენიშნა კროსმა.

- საშინელი სკანდალი ატყდებოდა, სკიპის ეს ამბავი რომ არ ჩაეფარცხა. ყველაფერი მოაგვარა, პოლიციას გადაუხადა, რათა ბობი არ დაეპატიმრებინათ და იმაზეც იზრუნა, რომ ეს ამბავი პრესას არ

გაეშუქებინა.

კროსი იღიმოდა. ჩანდა, ბებერ დევიდ რედფელოს თავისი ოსტატობა არ დაუკარგავს.

- ეს სასაცილო სულაც არ არის, - უსაყვედურა კლოდიამ, - საცოდავი ბობი განადგურებული იყო. გოგონა იფიცებოდა, ბენცმა ვეგასში სექსი დამაძალაო. მშობლები ამტკიცებდნენ, - ფული არ გვაინტერესებს, გვინდა, სხვა მოძალადეები შევაკავოთო. მთელი სტუდია ფეხზე დადგა. დორა და კევინი ისე შეშფოთდნენ, რომ სტუდიის გაყიდვას აპირებდნენ. აქაც სკიპიმ იყოჩაღა. გოგონას დაბალბიუჯეტიან ფილმში მთავარ როლზე გაუფორმა კონტრაქტი, სცენარი მამამისს უნდა დაეწერა, მერე ბენი სლაის გვარიანი თანხა გადაუხადა და ბენიმ სცენარი ერთ დღეში გადააკეთა. კარგადაც გამოუვიდა. ბენი ნამდვილი გენიოსია. ბოლოს, თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ლოს-ანჯელესის ოლქის პროკურორმა განაცხადა, რომ ბობის წინააღმდეგ საქმეს აღძრავდა. არადა, ეს ის პროკურორია, რომელიც „ლოდსტოუნმა“ დანიშნა და რომელსაც ელი მერიონი, როგორც მეფეს, ისე ეპყრობოდა. სკიპიმ სტუდიის ფინანსურ განყოფილებაშიც კი შესთავაზა სამსახური, წელიწადში მილიონდოლარიანი ხელფასით, მაგრამ უარი უთხრა. დაიჟინა, ბობი ბენცი სტუდიის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეთ და გარიგებაზე მერე წამოვალო. ვერავინ გაიგო, ასე რამ გადარია.

- საჯარო მოხელე, რომელსაც ვერანაირი ფულით ვერ მოისყიდი, - მხრები აიჩეჩა კროსმა, - ასეთი რამეებიც ხდება.

ისევ დევიდ რედფელო გაახსენდა. რედფელო ამ შეხედულებას ცხარედ შეეკამათებოდა. კროსმა ცხადად წარმოიდგინა, რედფელომ პროკურორს როგორ უთხრა: „ქრთამს იმისთვის გაძლევთ, რომ თქვენი მოვალეობა შეასრულოთ...“ და ფასსაც მაშინვე დაუსახელებდა. კროსის ვარაუდით, ოც მილიონზე ნაკლებს - არა. სტუდია ათი მილიარდი ღირდა, ამასთან შედარებით, ოცი მილიონი არაფერი იყო. თანაც, პროკურორი არანაირ რისკს არ სწევდა, რადგან ზუსტად კანონის შესაბამისად იმოქმედებდა. მართლაც, ელეგანტური გეგმა მოუფიქრებიათ.

- ასეა თუ ისე, ბენცი მოხსნეს, - ისევ სწრაფად მიაყარა კლოდიამ, - დორა და კევინი სიხარულით გაყიდიან სტუდიას, თუ მათ ხუთ ფილმზე მწვანე შუქი აენთება და ნაღდი ფულით მილიარდს გადაუხდიან. მერე მოულოდნელად ვიღაციტალიელი მოვიდა და გამოაცხადა, სტუდიის ახალი მფლობელი ვარო და უეცრად, სტუდიის ხელმძღვანელად დამნიშნა. სკიპი კინაღამ გაგიჟდა. ახლა მისი ბოსი ვარ. მითხარი ერთი, ეს სიგიჟე არ არის?

კროსი მდუმარედ უყურებდა და იღიმოდა.

კლოდიამ უეცრად უკან დაიხია და ძმას შეაცქერდა. მისი მუქი თვალები კროსს ჩვეულებრივზე უფრო გამჭოლი და გონიერი მოეჩვენა. უეცარი მიგნებით თავზარდაცემულმა ქალმა თბილი ღიმილით უთხრა:

- მაშ, ახლა მეც ბიჭურ თამაშში ჩავერთე, არა? წამში ასეთი კარიერა ავიწყვე და ამისთვის არავისთან დაწოლაც კი არ მომიხდა...

- რა ხდება, კლოდია? - გაიკვირვა კროსმა. - მეგონა, ბედნიერი იყავი.

- ბედნიერი როგორ არ ვარ. ოღონდ, არც სულელი ვარ. და რაკი ჩემი ძმა ხარ და მიყვარხარ, მინდა იცოდე, რომ არ მოვტყუებულვარ.

ისევ კროსის გვერდით ტახტზე ჩამოჯდა.

- მოგატყუე, როცა გითხარი, მამას დაკრძალვაზე მხოლოდ შენი ხათრით ჩამოვედი-მეთქი. მინდოდა, მეც იმ სამყაროს ნაწილი გავმხდარიყავი, რომელსაც მამა და შენ ეკუთვნით. მაგრამ იცოდე, კროს, ის საქმე მძულს, რასაც ისინი აკეთებენ. დონიც და სხვებიც.

- ესე იგი, სტუდიის ხელმძღვანელობა არ გინდა? - ჰკითხა კროსმა.

კლოდიამ ხმამაღლა გაიცინა.

- არა, ვაღიარებ, რომ მეც კლერიკუციო ვარ. მმინდა, კარგი ფილმები ვაკეთო და ბევრი ფული ვიშოვო. საშუალება მომეცემა, გამოჩენილი ქალების შესახებ გადავიღო ფილმები. აი, ნახავ, ოჯახის ნიჭს კეთილ საქმეებს მოვახმარ. - ორივეს გაეცინა. კროსი დას გადაეხვია და ლოყაზე აკოცა.

- მე მგონი, ეს შესანიშნავია, შესანიშნავი, - უთხრა კროსმა. კლოდიას გარდა, საკუთარ თავსაც გულისხმობდა. რაკი კლოდიას სტუდია ერგო, ესე იგი, დონი დანტეს გაუჩინარებას კროსს არ უკავშირებდა.

სადილის შემდეგ კიდევ რამდენიმე საათს ისაუბრეს. ბოლოს

კროსმა უჯრიდან შავი ჩიპებით გავსებული საფულე ამოიღო და კლოდიას გაუწოდა.

- კაზინოს მაგიდებს ჩამოუარე.

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაშინდელივით, უფროსი ძმის როლს არ შეიფერებ და ჭკუის სწავლებას არ დამიწყებ, - უთხრა კლოდიამ და ლოყაში მსუბუქად გაულაწუნა.

კროსს გული აუჩუყდა და სისუსტე გამოიჩინა, რაც საერთოდ არ სჩვეოდა. მან კლოდიას უთხრა:

- იცი, ჩემი ქონების მესამედი ანდერძით შენ დაგიტოვე. ძალიან მდიდარი ვარ. ასე რომ, თუ სტუდია მოგწყინდება, ნებისმიერ დროს შეგეძლება, თავი დაანებო.

- კროს, სტუდიას ისედაც დავანებებ თავს, თუკი მომწყინდება, - გაბრწყინებული თვალებით უპასუხა დამ, მერე კი უეცრად შეწუხდა: - ავად ხომ არ ხარ?

- არა, არა. უბრალოდ მინდოდა, გცოდნოდა.

- მადლობა ღმერთს! რაკი მე ოჯახის საქმეს შევუერთდი, იქნებ შენ მაინც გააღწიო და თავისუფალი ცხოვრება დაიწყო.

- ამას ისედაც ვაპირებ, - უთხრა კროსმა, - ათენასთან ერთად საფრანგეთში ვიცხოვრებ.

მეათე დღეს ჯორჯო კლერიკუციო „ქსანადუში“ ჩამოვიდა. კროსს მის დანახვაზე გული შეუქანდა და მაშინვე მიხვდა, რომ თუკი თავს არ გააკონტროლებდა, ეს გულის ფანცქალი პანიკაში გადაიზრდებოდა.

ჯორჯომ საკუთარი დაცვა გარეთ, სასტუმროს დაცვასთან დატოვა,

მაგრამ კროსი ილუზიებს არ იქმნიდა: მისივე დაცვა ჯორჯოს ნებისმიერ ბრძანებას დაემორჩილებოდა. არც ჯორჯოს გარეგნულმა იერმა დაამშვიდა: ის გამხდარი და გადაღლილი ჩანდა.

- ჯორჯო, რა სასიამოვნო სიურპრიზია! - თითქოს ძალზე გახარებული შეეგება კროსი. - ახლავე გავცემ განკარგულებას, ერთ-ერთი ვილა მოგიმზადონ.

- დანტეს ვერ ვპოულობთ, - დაღლილი, ნაძალადევი ღიმილით უთხრა ჯორჯომ, - მხოლოდ ის ვიცით, რომ უკანასკნელად „ქსანადუში“ ნახეს.

- ღმერთო, ეს სერიოზულია, - თქვა კროსმა, - მაგრამ ხომ იცი დანტეს ამბავი, ზოგჯერ სრულიად არაპროგნოზირებადია.

- ჯიმ ლაუზისთან ერთად იყო და ისიც გაქრა, - ამჯერად, თავაზიანობის გამოც კი ვეღარ გაიღიმა.

- უცნაურია, რომ ასე დაახლოვდნენ.

- ჰო, მეგობრები იყვნენ. დონს ეს არ მოსწონდა, მაგრამ დანტეს ლაუზისთვის ხელფასის გადაცემა ევალებოდა, - უთხრა ჯორჯომ.

- რითაც შევძლებ, დაგეხმარები, - უთხრა კროსმა, - პერსონალს გამოვკითხავ. ოღნოდ ეგ არის, რომ დანტე და ლაუზი ოფიციალურად დარეგისტრირებულები არ ყოფილან: ვილის სტუმრებს არ ვარეგისტრირებთ.

- ამას მერე შეუდექი, როცა დაბრუნდები. დონს დაუყოვნებლივ უნდა შენი ნახვა. ჩარტერულ რეისზე ადგილიც კი დაგიჯავშნა.

- ჩანთას ჩავალაგებ, - ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა კროსმა,

მერე კი ჰკითხა: - ჯორჯო, ეს სერიოზულია?

- არ ვიცი, - თვალი გაუსწორა ჯორჯომ.

ნიუ-იორკში ფრენისას ჯორჯოს საქმიანი ქალალდებისთვის თვალი არ მოუწყვეტია. კროსს მასთან საუბარი არ უცდია, თუმცა ეს ცუდად ენიშნა. მაგრამ გამოკითხვას აზრი არ ჰქონდა: ჯორჯო მაინც არანაირ ინფორმაციას არ მიაწვდიდა.

თვითმფრინავს სამი დაჯავშნილიმანქანა და კლერიკუციოს ოჯახის ექვსი ჯარისკაცი დახვდნენ. ჯორჯო ერთ-ერთისკენ გაემართა, კროსს კი მეორეზე მიუთითა. ესეც ცუდი ნიშანი იყო. ქუოგის რეზიდენციას რომ მიადგნენ, თენდებოდა.

სახლს ორი კაცი დარაჯობდა, ეზოშიც დაცვის წევრები იყვნენ გაბნეულნი. ქალები და ბავშვები არსად ჩანდნენ.

კროსმა ჯორჯოს ჰკითხა:

- ყველანი სად გაიკრიფნენ? დისნეი-ლენდში? - მაგრამ ჯორჯოს ამ ხუმრობისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

სასტუმრო ოთახში რვა კაცი დახვდათ. ისინი გარს ეხვეოდნენ ტახტზე მჯდომ ორ კაცს, რომლებიც ერთმანეთს გულითადად ესაუბრებოდნენ. კროსს გული გაუჩერდა. ის ორნი პიტი და ლია ვაზი იყვნენ. ვინსენტი მათ საუბარს უკმაყოფილო სახით ადევნებდა თვალყურს.

მათ შორის თითქოს მშვიდი საუბარი მიმდინარეობდა, მაგრამ ლიას მხოლოდ შარვალი და პერანგი ეცვა, არადა, მუდამ ოფიციალურად იმოსებოდა. ესე იგი, გაჩხრიკეს და იარაღი

ჩამოართვეს. ეს კაცებიც ისე შემოჯაროდნენ გარს, როგორც კატები თაგვს. ლიამ კროსს ნაღვლიანად დაუკრა თავი, პიტის მისკენ არც გაუხედავს, მაგრამ როცა ჯორჯომ კროსი კაბინეტისკენ წაიყვანა, პიტიმ მაშინვე შეწყვიტა საუბარი და ვინსენტთან ერთად უკან გაჰყვა.

იქ დიდ სავარძელში დონ კლერიკუციო ელოდებოდა და თავის სიგარას ეწეოდა. ვინსენტმა დონს ღვინით სავსე ჭიქა დაუდგა. კროსისთვის არაფერი შეუთავაზებიათ. პიტი კართან დადგა. ჯორჯო დონის გვერდით ტახტზე დაჯდა და კროსს ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო.

დონის დაღარულ სახეზე ვერანაირ განცდას ვერ ამოიკითხავდით. კროსმა აკოცა. დონმა ნაღვლიანი მზერა მიაპყრო.

- მაშ, ასე, კროჩიფიციო, - დაიწყო დონმა, - ყველაფერი ოსტატურადაა შესრულებული. მაგრამ ახლა მიზეზები უნდა აგვიხსნა. მე დანტეს პაპა ვარ, დედამისი ჩემი ქალიშვილია, ესენი კი - მისი ბიძები. შენს ქმედებაზე ჩვენ წინაშე პასუხი უნდა აგო.

კროსი სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა.

- არაფერი მესმის.

- დანტე, - ჩახრინწული ხმით თქვა ჯორჯომ, - სად არის?

- საიდან უნდა ვიცოდე?! - გაოცება გაითამაშა კროსმა. - მე არასოდეს მაბარებს ანგარიშს. შეეძლო, სულაც მექსიკაში წასულიყო დროის სატარებლად.

- შენ ვერ გაიგე. შენი დანაშაული უკვე დამტკიცებულია. რა უყავი? - უთხრა ჯორჯომ.

ბართან მდგომმა ვინსენტმა ზურგი შეაქცია, თითქოს კროსისთვის თვალის გასწორება არ სურდა. კროსმა გაიგონა, მის ზურგს უკან პიტიმ როგორ გადადგა ტახტისკენ რამდენიმე ნაბიჯი.

- დამიმტკიცეთ. ვინ ამბობს, რომ დამნაშავე ვარ? - იკითხა კროსმა.

- მე ვამბობ, - განაცხადა დონმა, - გაიგე, შენს დანაშაულში ეჭვი აღარ მეპარება. აქ იმისთვის გამოგიძახე, რომ შეწყალება მთხოვო. ოღონდ, ვიდრე ამის უფლებას მოგცემ, უნდა აღიარო, რომ ჩემი შვილიშვილი მოკალი.

ამ ხმისა და მოზომილი, გაწონასწორებული კილოს გაგონებისთანავე კროსი მიხვდა, რომ მისი საქმე წასულია. მისიც და ლია ვაზისაც. თუმცა ლიამ ამის შესახებ უკვე იცოდა - კროსმა ეს მის თვალებში ამოიკითხა.

- უთხარი მამაჩემს სიმართლე, - მიუბრუნდა ვინსენტი. მუდამ გაქვავებული სახე მოულბა, - ეს შენი ერთადერთი შანსია.

- მართალია, - თქვა დონმაც, - მამაშენი კლერიკუციოს სისხლის იყო, მაგრამ დისშვილზე მეტად მიყვარდა. ის ჩემი განდობილი მეგობარი იყო. ამიტომაც მინდა გავიგო, რა მიზეზები გამოძრავებდა.

კროსმა გული გაიმაგრა და დაიწყო:

- დანტემ მამა მომიკლა. მისი დანაშაული ჩემთვის ისევე ცხადი იყო, როგორც თქვენთვის - ჩემი. მან მამაჩემი შურისძიებისა და ამბიციის გამო მოკლა, რადგან გულში ნამდვილი სანტადიო იყო.

დონს არაფერი უთქვამს, კროსმა კი განაგრძო:

- მამაჩემის მკვლელზე შური როგორ არ უნდა მეძია? მამამ ყველაფერი მომცა, რაც მაბადია. კლერიკუციოს ოჯახს უდიდეს პატივს ვცემ და ამიტომაც ვერ დავიჯერე, რომ მის მკვლელობაში ხელი გერიათ. და მაინც მგონია, რომ დანტეს დანაშაულის შესახებ იცოდით, მაგრამ არაფერი მოიმოქმედეთ. ამიტომაც ვერ ვითხოვე თქვენგან დამნაშავის დასჯა.

- დაასაბუთე, - უთხრა ჯორჯომ.

- პიპი დე-ლენასნაირ კაცზე მოულოდნელი თავდასხმა შეუძლებელია, - თქვა კროსმა, - მეორე მხრივ, ჯიმ ლაუზის იქ ყოფნა დაუჯერებელი დამთხვევა იყო. ამ ოთახში არ მეგულება კაცი, დამთხვევის რომ სჯეროდეს. თითოეულმა თქვენგანმა იცოდა, რომ დანტე დამნაშავეა. დონ, თქვენ თვითონ მიამბეთ სანტადიოს ამბავი. ვინ იცის, რას გეგმავდა დანტე ჩემი მოკვლის შემდეგ. იმაში კი ეჭვი არ მეპარება, რომ მეც მიპირებდა მოკვლას. იქნებ ამის შემდეგ ბიძებიც დაეხოცა, - კროსმა ვეღარ გაბედა, ამ ჩამონათვალში დონი ეხსენებინა და უშუალოდ მოხუცს მიმართა: - თქვენს სიყვარულში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ეგონა, ყველაფერს შეარჩენდით.

დონმა სიგარა გვერდზე გადადო. სახე შეუვალი და მშვიდი ჰქონდა, მაგრამ ოდნავი სევდა ეტყობოდა.

- გვამი სად გადამალე? - იკითხაპიტიმ, რომელსაც დანტესთან ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

კროსმა პასუხი ვერ გასცა, სიტყვები ყელში გაეჩხირა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დონი წამოიწია, ხმა აიმაღლა და ყველას მიმართა:

- ახალგაზრდას რაში სჭირდება დაკრძალვის ცერემონია? ახალგაზრდას ჯერ არაფერი გაუკეთებია და არც პატივისცემა დაუმსახურებია. ახალგაზრდებს არც მადლიერება ახასიათებთ, არც თანაგრძნობა. ჩემი ქალიშვილი კი ისედაც შეშლილია და ჯობს, მეტად აღარ ვატკინოთ გული. ვეტყვით, რომ მისი შვილი გაქცეულია და ვიდრე სიმართლეს მიხვდება, წლები გავა.

ოთახში ყველამ თითქოს შვებით ამოისუნთქა. პიტი კროსის გვერდით ტახტზე ჩამოჯდა. ვინსენტმა ბარიდან სასმლით სავსე ჭიქა აიღო და ვიდრე ტუჩებთან მიიტანდა, ოდნავ ასწია, თითქოს სადღეგრძელოს თქმა სურსო.

- მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანად იმოქმედე, ოჯახის წინაშე მაინც დანაშაული ჩაიდინე და სასჯელის ღირსი ხარ, - განაგრძო დონმა. - ეს სასჯელი შენთვის ფული იქნება, ლია ვაზისთვის - სიცოცხლე.

- ლიას დანტესთან საქმე არ ჰქონია, - შეეპასუხა კროსი, - მხოლოდ ლაუზის გაუსწორდა. ნება მომეცით, გამოვისყიდო. „ქსანადუს“ ნახევარი მე მეკუთვნის. ამ ნახევარს დავთმობ ჩემი და ვაზის სიცოცხლის საფასურად.

დონ კლერიკუციო დაფიქრდა. მერე ვაჟებს გადახედა:

- თუკი თქვენ თანახმა ხართ, მეც თანახმა ვარ.

პასუხი არ მიუღია. მერე, თითქოს სინანულით ამოიოხრა.

- კარგია, შენი წილის დათმობა რომ არ გენანება, მაგრამ ეს არ კმარა. აქაურობას უნდა მოშორდე. ვაზის თუ უნდა, სიცილიაზე დაბრუნდეს. შენ და ვაზი ერთმანეთს აღარასოდეს არ უნდა შეხვდეთ. შენი თანდასწრებით ვუბრძანებ ჩემს ვაჟებს, დისშვილის მკვლელობის გამო არასოდეს იძიონ შური. ერთ კვირას გაძლევ ყველა საქმის მოსაგვარებლად და ჯორჯოსთან ერთად საბუთების გასაფორმებლად. დამიჯერე, დანტეს გეგმების შესახებ არაფერი ვიცოდი. და გახსოვდეს - მამაშენი შვილივით მიყვარდა.

როცა კროსი სახლიდან გავიდა, მოხუცი ვინსენტს მიუბრუნდა და უთხრა, საძინებელში ამაცილეო. ვინსენტმა კიბეზე აიყვანა. დონს ფეხები დაუსუსტდა: ბოლოს და ბოლოს, ასაკი მოერია.

ეპილოგი - ნიცა, საფრანგეთი - ქუოგი

გამგზავრების წინადღეს კროსი უკანასკნელად იჯდა აივანზე და ვეგასის კაზინოების სინათლეებს გაჰყურებდა. „კეისრის სასახლე“, „ფლამინგო“, „ტავერნა უდაბნოში“, „მირაჟი“ და „ქვიშის დიუნები“ მზის სინათლეს ეჯიბრებოდნენ.

დონ კლერიკუციომ ფრიად უჩვეულო სასჯელი გამოუტანა: კროსი აღარასოდეს დაბრუნდებოდა ვეგასში. პიპი აქ ბედნიერი იყო, გრონეველტმა კი ეს ბდღვრიალა სამყარო საკუთარ ვალჰალად ააშენა. კროსს კი აქ არასოდეს განუცდია სიმშვიდე. მართალია, ვეგასის საცდურებით დამტკბარა, მაგრამ ეს სიტკბოება ფოლადივით ცივი იყო.

უდაბნოს ქარი არ ქროდა და შვიდი ვილის მწვანე ალმები დუნედ ეფინა. მართალია, ერთ-ერთი მათგანი გამჭვარტლულიყო და შენობაც დანახშირებულ ჩონჩხად, დანტეს აჩრდილად ქცეულიყო, მაგრამ სულ მალე კროსი აღარც მას იხილავდა.

„ქსანადუ“ უყვარდა ისევე, როგორც მამა, კლოდია და გრონეველტი. არადა, გარკვეულწილად, ყველას უღალატა. გრონეველტს იმით, რომ სასტუმროს ვერ უერთგულა; მამას - კლერიკუციოს ოჯახის მიტოვებით; კლოდიას რწმენასაც უღალატა: მას ხომ ძმა უდანაშაულო ეგონა. ახლა კი მათგან გათავისუფლდა და სრულიად ახალ ცხოვრებას იწყებდა.

ათენასადმი სიყვარულს რაღას მოუხერხებდა? გრონეველტი აფრთხილებდა, რომანტიკული სიყვარული სახიფათოაო. მამაც იმავეს ეუბნებოდა და მოხუცი დონიც კი. ეს მომაკვდინებელი სისუსტე იყო ძალაუფლებას მოწყურებულისთვის. მაშ, ახლა რატომ ღალატობდა მათ რჩევას? საკუთარ ბედს ქალს რატომ ანდობდა?

ყველაფერი მარტივი იყო: ამ ქალის ცქერა, მისი ხმის გაგონება, მისი მიხრა-მოხრა, მისი დარდი და სიხარული - ყველაფერი ბედნიერებას ანიჭებდა. როცა მასთან იყო, სიცოცხლე ნეტარებად ექცეოდა. საჭმელსაც სულ სხვა გემო ჰქონდა, მზეც უფრო ათბობდა, ამ ქალის სხეულით აღძრული ჟინი კი სიცოცხლეს ახალ შინაარსს სძენდა. როცა კროსს მასთან ეძინა, არასოდეს ხედავდა იმ კოშმარებს, რომელიც სხვა დროს აწუხებდა.

ათენა უკვე სამი კვირა იყო, რაც არ ენახა, მაგრამ ამ დილით მისი

ხმა გაიგონა. დაურეკა და შეატყობინა, მოვდივარო, და ქალის ხმაში სიხარული იგრძნო, იმის გამო, რომ ცოცხალი იყო. ესე იგი, შესაძლოა, ათენას მართლა უყვარდა. შეხვედრამდე კი ოც საათზე ნაკლები რჩებოდა.

კროსს სჯეროდა, რომ ეს ქალი ოდესმე მართლა შეიყვარებდა, მფარველ ანგელოზად მოევლინებოდა და ჯოჯოხეთისგან იხსნიდა.

ათენა ექვითეინი ალბათ ერთადერთი ქალი იყო საფრანგეთში, ვინც ტანსაცმლითა და მაკიაჟით საკუთარი სილამაზის დამალვას ცდილობდა. თავს მთლად არ იუშნოებდა, მაზოხისტი ნამდვილად არ იყო, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი სილამაზე მის შინაგან სამყაროს ვნებდა. სძულდა ის გავლენა, რომელსაც სილამაზე ანიჭებდა და ის ამპარტავნობა, რომლის მოთოკვასაც ცდილობდა.

აუტისტი ბავშვების ინსტიტუტში მუშაობის პირველ დღეს ათენა მათთან იდენტიფიცირებას ცდილობდა: სურდა, გარეგნულადაც და მოძრაობებითაც მათ დამსგავსებოდა. სახის კუნთები სრულიად მოადუნა და უემოციო გამომეტყველება მიიღო, კიდურებსაც დუნედ და ნელა ამოძრავებდა იმ ბავშვებივით, რომლებსაც მოტორიკა ჰქონდათ დარღვეული.

ექიმმა ჟერარმა ეს შენიშნა და დამცინავად უთხრა:

- კარგია, მაგრამ არასწორი მიმართულება აირჩიეთ, - მერე ხელები ჩასჭიდა და ალერსიანად უთხრა: - ამ უბედურებასთან თავი კი არ უნდა გააიგივოთ, არამედ მას უნდა შეებრძოლოთ.

ათენას შერცხვა. მსახიობის ამპარტავნობამ კვლავ უხერხულ

მდგომარეობაში ჩააგდო. მაგრამ ამ ბავშვებზე ზრუნვა მართლაც სიამოვნებას ჰგვრიდა. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ფრანგულად ცუდად მეტყველებდა, მისი სიტყვების აზრს მაინც ვერ სწვდებოდნენ.

უსიამოვნო მოვლენებიც არ აშინებდა. ეს ბავშვები სამყაროს წესებს უმხედრდებოდნენ: ერთმანეთსა და ძიძებს სცემდნენ, თავიანთ განავალს კედლებზე უსვამდნენ, სადაც მოეგუნებებოდათ, იქ ისველებდნენ. ზოგჯერ მათი ეს ამბოხი იმდენად შემზარავი იყო, რომ ადამიანს დააფრთხობდა.

სასოწარკვეთილება მხოლოდ საღამოობით, პატარა ნაქირავებ ბინაში განმარტოებისას ეუფლებოდა, სადაც ძილის წინ ინსტიტუტის ლიტერატურას სწავლობდა. ეს წლების განმავლობაში ბავშვების მდგომარეობის ჩანაწერები იყო, რომლებმაც ათენა შეძრა. ამის შემდეგ საწოლში წვებოდა და ტიროდა. იმ ფილმებისგან განსხვავებით, რომლებშიც აქამდე ცხოვრობდა, ბავშვების ავადმყოფობის ისტორიებს, როგორც წესი, ცუდი დასასრული ჰქონდა.

როცა კროსმა აცნობა, ჩამოვდივარო, სიხარულითა და იმედით აივსო: კროსი ცოცხალი იყო და ძველებურად უყვარდა. მერე კი ეჭვი დაეუფლა და ექიმ ჟერარს ჰკითხა:

- როგორ ფიქრობთ, კარგი იქნება, რომ ჩამოვიდეს?

- ვფიქრობ, მას შეუძლია, ბეთანის დაეხმაროს, - მიუგო ექიმმა, - ინტერესით დავაკვირდები იმას, როგორ დაუახლოვდება მას ბეთანი

დროთა განმავლობაში. თანაც, ეს თქვენთვისაც კარგი იქნება. დედები შვილებს არ უნდა შეეწირონ.

ათენა ამ სიტყვებზე ფიქრობდა, როცა ნიცის აეროპორტში კროსის დასახვედრად მიდიოდა.

კროსმა თვითმფრინავიდან აეროპორტის ტერმინალამდე ფეხით გაირა. აქ ჰაერი გრილი და კრიალა იყო, ვეგასის ხვატს არ ჰგავდა. შენობის გასწვრივ ხასხასა ყვავილები იყო დარგული.

ათენა მოსაცდელ დარბაზში დაინახა და კვლავაც დააფასა შენიღბვის მისეული ნიჭი: თავისი სილამაზე ბოლომდე ვერ დამალა, მაგრამ გააფერმკრთალა.დაბინდული სათვალის წყალობით, მისი მწვანე თვალები რუხად ჩანდა, ფართო სამოსი უფრო მძიმე და მოსული ქალის იერს ანიჭებდა, ფარფლებიანი ქუდი თმასა და ნახევარ სახეს უფარავდა. კროსს ნეტარების ჟრუანტელმა დაუარა იმის გაფიქრებაზე, რომ გარშემო მყოფთაგან მხოლოდ თვითონ იცნობდა ამ ქალის ნამდვილ მშვენებას.

როცა კროსი მიუახლოვდა, ათენამ სათვალე მოიხსნა. კროსს ამ ამპარტავნული ჟესტის დანახვაზე გაეღიმა.

ერთი საათიც არ გასულიყო, სასტუმრო „ნეგრესკოს“ ნომერში რომ შეაბიჯეს. კარზე გაკრულ სარეკლამო ბანერს თუ დავუჯერებთ, აქ ნაპოლეონი ჟოზეფინასთან ერთად იწვა. მიმტანმა კარზე დააკაკუნა, სინით ღვინო და სენდვიჩები შემოიტანა და აივნის მაგიდაზე დადგა, რომელიც ხმელთაშუა ზღვას გადაჰყურებდა.

თავიდან უხერხულობა მოეძალათ. ათენამ კროსს თბილად ჩასჭიდა

ხელი, აღელვებაც ემჩნეოდა, მაგრამ კროსმა იგრძნო, რომ ქალი ჯერ მზად არ იყო.

ნომერი უზადო გემოვნებით იყო გაწყობილი, რაც ვეგასს არც კი დაესიზმრებოდა. საწოლს მეწამული აბრეშუმი ეფარა, ზეწარიც ამავე ფერის იყო, ოქროსფერი შროშანებით დამშვენებული.

აივანზე გავიდნენ. კროსმა ქალს მსუბუქად აკოცა ლოყაზე. ათენამ ვეღარ მოითმინა, ხელი დაავლო სველ პირსახოცს, რომელშიც ღვინის ბოთლი იყო გახვეული, და სახიდან ფერუმარილი მოიწმინდა. მისმა სილამაზემ ერთბაშად გაიბრწყინა. მან კროსს მხარზე ხელი დაადო და ტუჩებზე ნაზად აკოცა.

სანაპიროზე ქვის უძველესი სახლები მწვანეში იყო ჩაფლული. თითქმის სრულიად შიშველი ახალგაზრდები ზღვის ლურჯ ტალღებში ჭყუმპალაობდნენ, ბავშვები ქვიშაში თამაშობდნენ. ჰორიზონტზე იახტების თეთრი იალქნები მოჩანდა.

ათენამ ღვინო შესვა და მიუბრუნდა.

- რამდენ ხანს დარჩები?

- ხუთ წელიწადს, თუ წინააღმდეგი არ იქნები, - მიუგო კროსმა.

- რა სისულელეა! აქ რა უნდა აკეთო?

- მდიდარი ვარ. იქნებ პატარა სასტუმრო ვიყიდო.

- მერე, „ქსანადუ“?

- ჩემი წილის გაყიდვამ მომიწია. ფული არ მოგვაკლდება.

- ფული თვითონაც მაქვს. კარგად გაიგე: ხუთი წლის შემდეგ, რაც უნდა იყოს, ჩემს შვილთან ერთად შინ დავბრუნდები. არ მადარდებს,

ვინ რას იტყვის. კლინიკაში აღარ მოვათავსებ და სიცოცხლის ბოლომდე მოვუვლი. თუ რაიმე დაემართება, მისნაირ ბავშვებთან ვიმუშავებ. ხომ ხედავ, მე და შენ ერთად ვერასოდეს ვიცხოვრებთ.

კროსს მისი კარგად ესმოდა. დაფიქრდა, მერე კი უპასუხა:

- ათენა, ახლა ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, ესაა: შენ და ბეთანი მიყვარხართ. ვიცი, იოლი არ იქნება, მაგრამ ყველაფერი ვცადოთ. შენ გინდა, ბეთანის დაეხმარო, მაგრამ მსხვერპლად ხომ არ შეეწირები?!. იცი, ჩემს კაზინოში მოთამაშეებივით ვიქნებით: ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგაა, მაგრამ მოგების შანსი მაინც მუდამ გვაქვს. - შენიშნა, ქალი მოლბა, და განაგრძო: - ვიქორწინოთ, სხვა ბავშვებიც გაგვიჩნდება და ნორმალური ცხოვრებით ვიცხოვრებთ. შვილებთან ერთად ვცადოთ იმის გამოსწორება, რაც ამქვეყნად არ მოგვწონს. ბევრ ოჯახს გადახდენია უბედურება, მაგრამ მას ღირსეულად უმკლავდება. ხომ გჯერა ჩემი?

- ჰო, თუკი გჯერა, რომ მართლა მიყვარხარ, - უთხრა ქალმა.

საწოლში ერთმანეთს რომ ეალერსებოდნენ, ბოლომდე განიმსჭვალნენ ერთურთის ნდობით. ათენა მთელი სხეულით მიეკრო და ჩასჩურჩულა:

- მიყვარხარ. მართლა მიყვარხარ, - ისევ და ისევ გაიმეორა. „ამ ქალის ნათქვამს რომელი მამაკაცი არ დაიჯერებდა?“ - გაიფიქრა კროსმა.

საძინებელში განმარტოებული დონი საწოლში დაწვა და საბანი ყელამდე დაიფარა. სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, მაგრამ

ყველაფერმა მისი გეგმის თანახმად ჩაიარა. მაინც რა ადვილი ყოფილა ახალგაზრდების მართვა!

უკანასკნელ წლებში ხედავდა, რომ დანტე მის გეგმას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. დანტე კლერიკუციოს ოჯახის საზოგადოებასთან შერწყმას არ დაუშვებდა. მაგრამ თვითონ რა უნდა მოემოქმედებინა? საკუთარი შვილიშვილის მკვლელობა შეეკვეთა? განა მისი ვაჟები ასეთ ბრძანებას დაემორჩილებოდნენ? რომც დამორჩილებოდნენ, ისინიც და როუზ-მერიც დონს არაადამიანად, ურჩხულად ჩათვლიდნენ. პიპის მკვლელობის შემდეგ კი დონმა მაშინვე შეისწავლა ვითარება, ყველაფერს ჩასწვდა და განაჩენიც გამოიტანა.

ვინსენტი და პიტი განგებ გაგზავნა დაჯავშნილი მანქანით კროსის ჩამოსაყვანად. თვითონვე გააფრთხილა და სანტადიოსთან ომის ამბავსაც მოუყვა. რა მტკივნეული იყო წესრიგის დამყარება! ნეტავ ვინღა მიიღებს საბედისწერო გადაწყვეტილებებს, როცა დონი აღარ იქნება? მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ კლერიკუციოს ოჯახი თავის საქმიანობას შეწყვეტდა.

ვინსენტს, პიტისა და ჯორჯოს სრულიად კანონიერი საქმიანობა ჰქონდათ და თავიანთ სფეროებში განაგრძობდნენ საქმიანობას. ბრონქსის დაჯგუფებაში ახალწვეულებს აღარ მიიღებდნენ. თანდათან სრულიად კანონიერ ცხოვრებას ააწყობდნენ. დონი წარსულის შეცდომებს, ურიცხვ ცოდვასა და საკუთარი ქალიშვილის გაუბედურებას აღარ ნანობდა. კროსი მაინც ხომ გაუშვა...

ჩაძინებამდე დონს ეზმანა: ის მუდამ იცოცხლებდა, რადგან კლერიკუციოს სისხლი კაცობრიობის განუყრელ ნაწილად იქცეოდა. მაინც რა უკეთურ სამყაროში ცხოვრობს ადამიანი! ეს სამყარო მას განუწყვეტლივ ცოდვისკენ უბიძგებს...